

ქვემოთ გამახარია, ლია ახალაძე, დაზმირ ჯოჯოფია



Mengrelia :-

აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები

(საკითხავი წიგნი)

Capadocia

Asia minor

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე, დაზმირ ჯოჯუა

აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები

(საკითხავი წიგნი)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2018

ნიგნში განხილულია ოკუპირებული აფხაზეთის ისტორიის აქტუალური საკითხები უძველესი დროიდან დღემდე. განკუთვნილია ისტორიის მასწავლებლებისთვის, უფროსი კლასების მოსწავლეებისთვის, აგრეთვე დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის. ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ, ეთნიკურ და საეკლესიო პრობლემებზე. ავტორები მოგვითხრობენ 1992-1993 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის, 2008 წლის აგვისტოს ღია აგრესიის, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკის შესახებ. აღნიშნულია, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით.

ტექნიკური რედაქტორი: დავით გოგლიძე

© ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე, დაზმირ ჯოჯუა, 2018
გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-25-542-7

Ministry of Education and Culture of Abkhazia
Министерство образования и культуры Абхазии

Jemal Gamakharia, Lia Akhaladze, Dazmir Jojua
Джемал Гамахария, Лия Ахаладзе, Дазмир Джоджуа

History of Abkhazia (Georgia)

(Designed for extracurricular reading)

Вопросы истории Абхазии (Грузия)

(для внеклассного чтения)

Tbilisi – 2018

Тбилиси – 2018

The book deals with the current issues of the history of Abkhazia from ancient times to the present day. The book is designed for history teachers, high school students, as well as for a wide range of interested readers. Special attention is paid to the political, ethnic and church issues. The authors relate about the hybrid war of Russia against Georgia in 1992-1993, about open aggression having place in August of 2008, about the Russian policy of ethnic cleansing, genocide and creeping annexation. It is also stressed, that the regulation and resolution of the conflict in Abkhazia is possible only through peaceful means.

Technical Editor - David Goglidze

В книге рассмотрены актуальные вопросы истории Абхазии с древнейших времен до наших дней. Предназначена для учителей истории, учеников старших классов, а также для широкого круга заинтересованных читателей. Особое внимание обращается на политические, этнические и церковные вопросы. Авторы повествуют о гибридной войне России против Грузии в 1992-1993 годах, об открытой агрессии в августе 2008, о российской политике этнической чистки, геноцида и ползучей аннексии. Отмечается, что урегулирование конфликта в Абхазии возможно только мирным путем.

Технический редактор – Давид Гоглидзе

სარჩევი

შესავალი (ჯემალ გამახარია)	11
ნაწილი I. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია უძველესი დროიდან XV საუკუნის დასასრულამდე (ჯემალ გამახარია)	
I.1. აფხაზეთი უძველესი დროიდან VI საუკუნემდე	21
I. 2. აფხაზეთის საერისთავო დასავლეთ საქართველოში ირანული და არაბული ექსპანსიის პერიოდში (VI-VIII საუკუნის შუახანები)	35
I. 3. აფხაზეთის საერისთავო აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში (VIII ს. მეორე ნახევარი – X ს. დასასრული)	40
I. 4. აფხაზეთის საერისთავო გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში (XI ს.- XV ს. დასასრული).48	
I. 5. ტერმინები „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ შუა საუკუნეების უცხოურ ლიტერატურაში და ისტორიის თანამედროვე ფალსიფიკატორები.....	62
ნაწილი II. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი. მოკლე მიმოხილვა (ლია ახალაძე)	70
ნაწილი III. აფხაზეთის საერისთავო XVI-XVII საუკუნეებში (ჯემალ გამახარია)	
III.1. XVI საუკუნე – აფხაზეთი თურქული და მთიულური ექსპანსიის წინაშე	119
III. 2. აფხაზეთი XVII საუკუნეში. ტერიტორიული და დემოგრაფიული ცვლილებები	123
III. 3. ქრისტიანობის გავრცელება და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსო VIII-XVII საუკუნეებში	147
ნაწილი IV. ახალი აფხაზეთი და აფხაზები. XVIII-XX საუკუნის დასაწყისი (ჯემალ გამახარია).	
IV. I. აფხაზეთი XVIII საუკუნეში	165
IV. 2. აფხაზეთის სამთავრო რუსული ანექსიის პირობებში (1801-1864).....	171
IV. 3. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და რუსული	

მმართველობის დამყარება (1864-1917).....	186
IV. 4. აფხაზეთის საკათოლიკოსო XVIII საუკუნეში. სარწმუნოებრივი მდგომარეობა 1801-1917 წლებში	212
ნაწილი V. აფხაზეთი 1917 წლის თებერვლიდან 1921 წლის მარტამდე (ჯემალ გამახარია)	
V. 1. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული	225
V. 2. ქართული ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია	238
ნაწილი VI. საქართველოს ანექსია კომუნისტური რუსეთის მიერ და საბჭოთა აფხაზეთი 1921-1937 წლებში (ჯემალ გამახარია	245
ნაწილი VII. აფხაზეთი 1938-1992 წლებში (დაზმირ ჯოჯუა).254	
ნაწილი VIII. 1992 -1993 წლების ომი აფხაზეთში (დაზმირ ჯოჯუა).....	289
ნაწილი IX. ვითარება ოკუპირებულ აფხაზეთში (ჯემალ გამახარია)	
IX. 1. ეთნიკური წმენდისა და გენოციდის იმპერიული პოლიტიკა	300
IX. 2. აფხაზეთის ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკა	306
IX. 3. საეკლესიო საკითხები ოკუპირებულ აფხაზეთში და სინდისის თავისუფლების პრობლემა.....	317
ნაწილი X. მოკლე დასკვნები	324
ნაწილი XI. დანართები	
XI. 1. ისტორიული რუკები (ჯემალ გამახარია)	330
XI. 2. კულტურის ძეგლები	339
XI. 3. რეკომენდებული ლიტერატურა	346

Table of contents

Introduction (Jemal Gamaharia)	15
Part I. Modern territory of Abkhazia from ancient times to the end of the XV century (Jemal Gamakharia)	
I.1. Abkhazia from ancient times to the VI century	21
2. Abkhazian Principality during the period of Iranian and Arabian expansion in Western Georgia (6th-mid-8th century)	35
I. 3. Abkhazian Principality as part of the Abkhazian kingdom (the second half of the 8th – the end of the 10th centuries)	40
Abkhazian Principality as part of the united Georgian state (XI – end of XV century.)	48
I. 5. The terms „Abkhazia“ and „Abkhaz“ in the medieval foreign literature and modern falsifiers of history	62
Part II. The cultural heritage of Georgia is Abkhazia.	
Short review (Lia Akhaladze).....	70
Part III. Abkhaz Principality in the XVI-XVII centuries (Jemal Gamakharia)	
III.1. XVI century – Abkhazia before the Turkish and mountain expansion.....	119
III. 2. Abkhazia in the XVII century. Territorial and demographic changes	123
III. 3. The spread of Christianity and the Catholicos of Abkhazia (Western Georgia) in the VIII-XVII centuries	147
Part IV. New Abkhazia and the Abkhaz. XVIII century. – The beginning of the XX century. (Jemal Gamaharia)	
IV. I. Abkhazia in the XVIII century	165
IV. 2. The Abkhazian Principality in conditions of the Russian annexation (1801-1864)	171
IV. 3. The abolition of the Abkhazian Principality and the establishment of Russian government (1864-1917)	186
IV. 4. Catholicos of Abkhazia in the XVIII century. Religious status in the years 1801-1917	212

Part V. Abkhazia from February 1917 to March 1921 (Jemal Gamakharia)	
V. 1. Abkhazia is an autonomous unit of the Georgian Democratic Republic	225
V. 2. Sukhumi-Abkhazian Diocese of the Georgian Church	238
Part VI. The annexation of Georgia by communist Russia and Soviet Abkhazia in 1921-1937 (Jemal Gamakharia)	
Part VII. Abkhazia in the years of 1938-1992 (Dazmir Jojua) .	254
Part VIII. The war in Abkhazia in 1992-1993 (Dazmir Jojua)..	289
Part IX. The situation in occupied Abkhazia (Jemal Gamakharia)	
IX. 1. The imperial policy of the genocide and ethnic cleansing.	300
IX. 2. The occupation of Abkhazia and the Russian policy of creeping annexation	306
IX.3. Church issues in occupied Abkhazia and the problem of freedom of conscience	317
Part X. Summary	326
Part XI. Applications	
XI. 1. Historical maps (Jemal Gamaharia)	330
XI. 2. Monuments of Culture	339
XI. 3. Recommended literature	346

Оглавление

Введение (Джемал Гамахария)	17
Часть I. Современная территория Абхазии с древнейших времен до конца XV века (Джемал Гамахария)	
I.1. Абхазия с древнейших времен до VI века	21
I. 2. Абхазское Эриставство в период Иранской и Арабской экспансии в Западной Грузии (VI- середина VIII века)	35
I. 3. Абхазское Эриставство в составе Абхазского царства (вторая половина VIII – конец X в.)	40
I. 4. Абхазское Эриставство в составе объединенного грузинского государства (XI – конец XV в.)	48
I. 5. Термины «Абхазия» и «абхаз» в средневековой зарубежной литературе и современные фальсификаторы истории	62
Часть II. Культурное наследие Грузии – Абхазия. Краткий обзор (Лия Ахаладзе)	70
Часть III. Абхазское Эриставство в XVI-XVII веках (Джемал Гамахария)	
III.1. XVI век – Абхазия перед турецкой и горской экспансией	119
III. 2. Абхазия в XVII веке. Территориальные и демографические изменения	123
III. 3. Распространение христианства и Католикосат Абхазии (Западной Грузии) в VIII-XVII веках	147
Часть IV. Новая Абхазия и абхазы. XVIII в. – начало XX в. (Джемал Гамахария)	
IV. I. Абхазия в XVIII веке	165
IV. 2. Абхазское Княжество в условиях Российской аннексии (1801-1864)	171
IV. 3. Упразднение Абхазского Княжества и установление русского правления (1864-1917).....	186

IV. 4. Католикосат Абхазии в XVIII веке. Религиозное состояние в 1801-1917 годах	212
Часть V. Абхазия с февраля 1917 г. до марта 1921 г. (Джемал Гамахария)	
V. 1. Абхазия – автономная единица Грузинской Демократической Республики	225
V. 2. Сухумо-Абхазская епархия Грузинской Церкви	238
Часть VI. Аннексия Грузии коммунистической Россией и советская Абхазия в 1921-1937 годах (Джемал Гамахария) ..	245
Часть VII. Абхазия в 1938-1992 годах (Дазмир Джоджуа) ...	254
Часть VIII. Война в Абхазии 1992 -1993 годов (Дазмир Джоджуа)	289
Часть IX. Обстановка в оккупированной Абхазии (Джемал Гамахария)	
IX. 1. Имперская политика геноцида и этнической чистки ..	300
IX. 2. Оккупация Абхазии и русская политика ползучей аннексии	306
IX.3. Церковные вопросы в оккупированной Абхазии и проблема свободы совести	317
Часть X. Краткие выводы	328
ნაწილი XI. Приложения	
XI. 1. Исторические карты (Джемал Гамахария)	330
XI. 2. Памятники культуры	339
XI. 3. Рекомендованная литература	346

შესავალი

აფხაზეთი არის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში, მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე მდინარეებს ენგურსა და ფსოუს შორის. ფართობი შეადგენს 8.7 ათას კვ. კმ-ს, დედაქალაქი არის სოხუმი. ამაჟამად აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ქართული სახელმწიფოებრიობა, სულ ცოტა, 35 საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან არსებული ძველი კოლხეთის სამეფო საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის მეტ ნაწილს მოიცავდა, მათ შორის მდ. ენგურიდან მდ. ფსოუმდე მდებარე მონაკვეთს. ეთნიკური, პოლიტიკური, კულტურული თვალსაზრისით, იგი მუდამ ქართულ სამყაროს მიეკუთვნებოდა და უძველესი დროიდან ქართველთა წინაპრებით იყო დასახლებული. აღნიშნული ტერიტორია უძველესი დროიდანვე უწყვეტად შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ან იყო სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა შემოსევების შედეგად დროებით დანაწევრებულ საქართველოში აღმოცენებული ცალკეული პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ერთეულების – კოლხეთის/ლაზიკის/ეგრისის, აფხაზეთის/იმერეთის სამეფოების, ოდიშის/სამეგრელოს სამთავროს, მოგვიანებით – ქუთაისის გუბერნიის ორგანული ნაწილი.

ასეთია ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც ცალსახადაა დადასტურებული ქართულ, ძველბერძნულ, რომაულ, ბიზანტიურ, აღმოსავლურ, ევროპულ, რუსულ ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ჭეშმარიტების აღიარება არ სურთ მხოლოდ სეპარატისტებსა და მათ „მფარველებს“, რომლებიც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთის ოკუპაციას ახდენენ. სეპარატისტული ისტორიოგრაფია ეწევა საქართველოს წარსულისა და თანამედროვეობის გაუგონარ ფალსიფიკაციას. ამ გზით ცდილობს იგი რუსული ოკუპაციისა და მისი დანაშაულებრივი შედეგების გამართლებას, „ისტორიულ დასაბუთებას“. უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის მანძილზე უკუდურესად დაკნინებული აფხაზური ისტორიოგრაფიის „მიღწევები“ შეჯამებულია ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას ავტორობით 2006 წელს გამოსულ აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, აგრეთვე იმავე ავტორების მიერ 2007 წელს გამოცემულ წიგნში

«История Абхазии», რომელიც ფაქტობრივად სასკოლო სახელმძღვანელოს იდენტურია, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი. სასკოლო სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა 2015 წელს განხორციელდა¹. აღნიშნული გამოცემები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან. 2006 – 2007 წლების გამოცემებს არაერთი კრიტიკული რეცენზია მიუძღვნა ზურაბ პაპასქირმა. ქართულ-რუსულ ენებზე დანერილი ეს რეცენზიები 2009, 2010, 2012, 2016 წლებში გამოქვეყნდა². გამოთქმული შენიშვნები მთლიანად ეხება 2015 წელს გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოსაც.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას, აგრეთვე სეპარატისტულად განწყობილ სხვა ავტორთა ნიგნების სრულფასოვანი კრიტიკული ანალიზი პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც ისინი თავიდან ბოლომდე ანტიქართულ იდეოლოგიაზე, ყოველგვარ ზღვარს გადასულ სიცრუეზე, ისტორიის ტოტალურ გაყალბებაზეა აგებული. მსგავსი „შრომების“ რეცენზირებისას მეცნიერებს მოუწევთ ყოველი აზრის, შესაძლოა ყოველი წინადადების განხილვა. რეცენზენტი იძულებული გახდება ამა თუ იმ ნიგნის, არსებითად სიცრუის კრიტიკას მთელი ტომები მიუძღვნას. ეს კი შედეგის ანუ ისტორიის ფალსიფიკატორთა მხილების თვალსაზრისით ნაკლებად ეფექტური იქნება. შექმნილ ვითარებაში უფრო ქმედითი ზომების მიღებაა საჭირო. კერძოდ, მეცნიერული აზრისაგან, ელემენტარული ობიექტურობისაგან დაცლილ სეპარატისტულ ანტიისტორიას უნდა დაუპირისპირდეს მეცნიერული, ყოველმხრივ დასაბუთებული, მრავალფეროვან წყაროთა მონაცემებზე დაფუძნებული ჭეშმარიტი ისტორია. საკითხისადმი ამგვარი მიდგომით, ქართულმა ისტორიოგრაფიამ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძველესი დროიდან დღემდე საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი³,

1 О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. 2-е издание, дополненное и переработанное. Сухуми, 2015.

2 ზურაბ პაპასქირი. საქართველო. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, 2016, გვ. 327-367.

3 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე (ჯემალ გამახარია, თეიმურაზ გვანცელაძე, თამაზ ბერაძე, ლია ახალაძე, ირაკლი გელენავა, ბადრი გოგია, კობა ოკუჯავა, ბეჟან ხორავა...). თბილისი, 2007; ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბილისი, 2004; ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული

თუმცა მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

მოცემულ ეტაპზე ობიექტურად წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები აფხაზეთის ისტორიის შესწავლის საქმეში ხელმისაწვდომი გახდეს ფართო მკითხველისთვის, პირველ რიგში, მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, პედაგოგებისთვის. ინტერესი აფხაზეთის პრობლემატიკისადმი, მოთხოვნილება შესაბამის ლიტერატურაზე დღითიდღე იზრდება; საქართველოს ისტორიის არსებული სახელმძღვანელოები კი ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ. სწორედ ეს გახდა კლასგარეშე საკითხავი წიგნის „აფხაზეთის, საქართველო, ისტორიის საკითხები“ მომზადებისა და გამოცემის მიზეზი.

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია ისტორიის მასწავლებლებისთვის, უფროსი კლასების მოსწავლეებისთვის, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის. მისი მიზანია საქართველოს ოკუპირებული რეგიონის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიით დაინტერესებული მოსწავლეების ხელშეწყობა სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებაში. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკითხებზე და თემებზე, რომელთა ფალსიფიკაციას განსაკუთრებული მონდომებით ეწევა სეპარატისტული ისტორიოგრაფია. ეს არის პოლიტიკური, ეთნიკური და საეკლესიო საკითხები უძველესი დროიდან დღემდე. სწორედ ამ საკითხების გარშემო საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს დისკუსია ქართველ მეცნიერებსა და ისტორიის გამყალბებლებს შორის. ამგვარ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული შუასაუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლების თემა, რომელთა მიმოხილვას ცალკე თავი ეძღვნება. წიგნი დიდი ყურადღება ეთმობა ვითარებას XIX საუკუნის აფხაზეთში, აგრეთვე საქართველოს

წარსულიდან, ნაკვ. II. 1917-1993. თბილისი, 2007; Essays from the History of Georgia. Abkazia from ancient times till the present days . Tbilisi, 2011; Tamaz Diasamidze. Georgia Regional Conflicts (South Ossetia, Abkhazia) in Documents. Prehistory and Present 1917-2011 http://www.rrc.ge/admn/books.php?lng_3=en; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарий) с древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси, 1997; Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тбилиси, 1999; Зураб Папаскири. О национально-государственном облике Абхазии/Грузия. Тбилиси, 2003; Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней. Тбилиси, 2009, და სხვა.

დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. შედარებით ვრცლად არის გაშუქებული XX საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, 1992-1993 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომი, 2008 წლის აგვისტოს ღია აგრესია, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და მცოცავი ანექსიის თანამედროვე რუსული პოლიტიკა.

წინამდებარე წიგნს თან ერთვის XIV-XVIII საუკუნეებში სრულიად მიუკერძოებელი ავტორების მიერ შედგენილი დასავლეთ-ეროპული, თურქული და რუსული ისტორიული რუკები. ისინი ადასტურებენ წიგნის მთავარ დედააზრს აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის საქართველოსადმი კუთვნილების, XVI-XVII საუკუნეებში აღნიშნულ ტერიტორიაზე მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებების შესახებ. დანართის სახით ქვეყნდება აგრეთვე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე შედგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა პროფესორმა ირაკლი გელენავამ მოგვანოდა⁴.

რეკომენდებული ლიტერატურის სია დაეხმარება პედეგოგებსა და მოსწავლეებს აფხაზეთის ისტორიის ცალკეული საკითხების უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში, მოხსენებების მომზადებაში.

წიგნზე მუშაობისას განეული დახმარებისთვის ავტორები მადლობას უხდებიან დინარა დარსალიას და დავით ყვანას.

4 კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში. მთავარი რედაქტორი ირაკლი გელენავა. თბილისი, 2015.

Introduction

Abkhazia is an autonomous republic within Georgia, situated on the Black Sea coast in the north-west of the country between the rivers Inguri and Psou. The total territory comprises 8.7 thousand square meters. The capital of Abkhazia is the city of Sukhumi. Currently, Abkhazia is occupied by the Russian Federation.

Georgian statehood counts at least 35 centuries of history. Colchis Kingdom, which existed from the middle of the II millennium BC. Covered most of the modern territory of Georgia, including the space between the rivers Inguri and Psou. From the ethnic, political and cultural points of view, it has always belonged to the Georgian world and has been inhabited since ancient times by the ancestors of the Georgians. Since ancient times, this territory has continuously been a part of the unified Georgian State or it was an organic part of the separate political or administrative units – Colchis / Laz / Egris / Abkhaz / Imereti kingdoms, Odisha / Megrelian principality, Kutaisi province having been emerged in the temporarily fragmented Georgia, as a result of various foreign invasions.

This elementary truth is unequivocally confirmed by the Georgian, ancient Greek, Roman, Byzantine, Eastern, European, Russian historical sources and scientific literature. Only separatists and their „protectors“ occupying Abkhazia since the beginning of the 90s of the 20th century do not want to recognize the truth. Separatist historiography commits an unprecedented falsification of the past and present of Georgia. In such a manner, it tries to „historically justify“, the Russian occupation and its criminal consequences. The „achievements“ of Abkhazian historiography, which has been extremely lagging behind over the last two or three decades, are summarized in a school textbook on the history of Abkhazia published in 2006, authored by O. Bgazhba and S. Lakoba. In 2007, the same authors published the book „History of Abkhazia“, intended for the general public, but virtually identical to the school textbook. The second edition of the school textbook was implemented in 2015. These books are essentially the same. Critical reviews by Zurab Papaskiri, published in 2009, 2010, 2012 and 2016 in Georgian and Russian, are devoted to publications of 2006-2007. His comments can be fully attributed to the school textbook published in 2015.

It should be noted that a full-fledged critical analysis of the books of O. Bgazhba and S. Lakoba, as well as other separatist-minded authors is practically impossible, since they are constructed from beginning to the end on unlimited lies, on the total distortion of history. When reviewing such „works”, scientists will be forced to analyze each paragraph, each sentence, devoting the whole volumes to the criticism of a false book. And this is from the aspect of the outcome, that is, the lustration of the falsifiers of history will be ineffective. In this situation, you need to take more effective measures. In particular, it is necessary to oppose to a devoid of scientific thought and elementary objectivity the separatist anti-history, a scientific, comprehensively grounded and based on the various sources, grounded data of the true history. Due to the approach to the problem, Georgian historiography has achieved significant success. The centuries-old history of Abkhazia from ancient times to the present day has been studied quite thoroughly, though the work in this direction is still underway.

At this stage, it became objectively necessary that the achievements of Georgian historiography in the study of the history of Abkhazia should be made accessible to the wide reader, first of all, to students and teachers. Interest in the problems of Abkhazia, the demand for relevant literature is constantly growing, and the existing textbooks on the history of Georgia cannot satisfy it. This was the reason for the preparation and publication of the book for extracurricular reading „Questions of the history of Abkhazia, Georgia.”

This book is intended for history teachers, high school students, as well as for the general public. Its goal is to assist students interested in the history of the occupied Autonomous Republic of Abkhazia in deepening the knowledge gained at school. The authors pay attention to such issues and topics that are falsified with a particular zeal by separatist historiography. These include political, ethnic and church issues from ancient times to the present day. It is around these issues that discussions between Georgian scholars and falsifiers of history have been and still are taking place over the course of a century. Among them is the theme of monuments of medieval material culture, located on the modern territory of Abkhazia. Their review is given in a special chapter of the book. Much attention is paid to the situation in Abkhazia in the XIX century in the conditions of the Georgian Democratic Republic, as well

as the Soviet power. The events occurring in Abkhazia at the end of the twentieth century, during the collapse of the Soviet Union and the restoration of Georgia's state independence – are relatively widely covered – Russia's hybrid war against Georgia in 1992-1993, open aggression taking place in August 2008, modern Russian policy of ethnic cleansing and the genocide of the Georgian population and creeping annexation.

The book contains historical maps of the XIV-XVIII centuries, the authors of which are completely unbiased Western European, Turkish and Russian authors. The maps confirm the main idea of the book about the belonging of the modern territory of Abkhazia to Georgia and demographic changes that occurred in the XVI-XVII centuries in the specified territory. The appendix also publishes a list of the cultural heritage of Georgia in Abkhazia, compiled by the National Agency for the Protection of Cultural Heritage and kindly provided by the head of the department of the Ministry of Education and Culture of Abkhazia, Professor Irakli Gelenava.

The list of recommended literature will help teachers and students in a deeper and more thorough study of individual issues of the history of Abkhazia and the preparation of reports.

We are expressing our gratitude and sincere appreciation to Dinara Darsalia and David Zhvania for their kind help and assistance during the working process on the book.

Введение

Абхазия – автономная республика в составе Грузии, занимает Черноморское побережье на северо-западе страны между реками Ингури и Псоу. Площадь составляет 8.7 тыс. кв. км., столица – город Сухуми. В настоящее время Абхазия оккупирована Российской Федерацией.

Грузинская государственность насчитывает, по меньшей мере, 35 вековую историю. Колхидское Царство, существовавшее с середины II тысячелетия до н. э., охватывало большую часть современной территории Грузии, в том числе пространство между реками Ингури и Псоу. С этнической, политической и культурной точек зрения он во

все времена принадлежал грузинскому миру и издревле была населена предками грузин. Указанная территория с древнейших времен непрерывно входила в состав единого грузинского государства или же являлась органической частью отдельных политических и административных единиц – Колхидского/Лазского/Эгрисского/Абхазско-Имеретинского царств, Одишского/Мегрельского княжества, Кутаисской губернии, возникавших в Грузии, когда она была временно раздробленной в результате нашествия разного рода захватчиков.

Такова элементарная истина, однозначно подтвержденная грузинскими, древнегреческими, римскими, византийскими, восточными, европейскими, русскими историческими источниками и научной литературой. Не желают признавать истину лишь сепаратисты и их «покровители», оккупирующие Абхазию с начала 90-х годов XX века. Сепаратистская историография совершает неслыханную фальсификацию прошлого и настоящего Грузии. Таким путем пытается она «исторически обосновать», оправдать русскую оккупацию и ее преступные последствия. «Достижения» абхазской историографии, крайне отставшей за последние два-три десятилетия, обобщены в изданном в 2006 году школьном учебнике по истории Абхазии, авторами которого являются О. Бгажба и С. Лакоба. Те же авторы в 2007 году выпустили книгу «История Абхазии», предназначенную для широкой общественности, но фактически идентичную школьному учебнику. Второе издание школьного учебника осуществлено в 2015 году⁵. Указанные книги друг от друга по существу не отличаются. Изданиям 2006-2007 годов посвящены критические рецензии Зураба Папаскири, опубликованные в 2009, 2010, 2012 и 2016 годах на грузинском и русском языках⁶. Высказанные им замечания целиком можно отнести к школьному учебнику, изданному в 2015 году.

При этом необходимо отметить, что полноценный критический анализ книг О. Бгажба и С. Лакоба, а также других сепаратистски настроенных авторов практически невозможен, поскольку они от начала и до конца построены на беспредельной лжи, на тотальное искажение истории. При рецензировании подобных «трудов» уче-

5 О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. 2-е издание, дополненное и переработанное. Сухуми, 2015.

6 ზურაბ პაპასკირი. საქართველო. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, 2016, გვ. 327-367.

ные вынуждены будут подвергнуть анализу каждый абзац, каждое предложение, посвятив критике той или иной лживой книги целые тома. А это с точки зрения результата, то есть разоблачения фальсификаторов истории будет малоэффективным. В данной ситуации нужно принимать более действенные меры. В частности, необходимо сепаратистской антиистории, лишенной научной мысли, элементарной объективности противопоставить научную, всесторонне обоснованную, опирающуюся на данных различных источников истинную историю. Благодаря такому подходу к проблеме, грузинская историография добилась серьезных успехов. Многовековая история Абхазии с древнейших времен до наших дней изучена довольно основательно⁷, хотя работа в этом направлении продолжается.

На данном этапе объективно возникла необходимость, чтобы достижения грузинской историографии в деле изучения истории Абхазии сделались доступными для широкого читателя, в первую очередь, для учащейся молодежи и педагогов. Интерес к проблематике Абхазии, спрос на соответствующую литературу постоянно растет, а имеющиеся учебники по истории Грузии не могут его удовлетворить. Это и стало причиной подготовки и издания книги для внеклассного чтения «Вопросы истории Абхазии, Грузия».

Настоящая книга предназначена для учителей истории, учеников старших классов, а также для широкой общественности. Ее цель – оказание помощи ученикам, заинтересованных историей оккупированной Автономной Республики Абхазия, в углублении знания, полученного в школе. Авторы уделяют внимание таким вопросам и

7 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия _ историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарий) с древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси, 1997; Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тбилиси, 1999; Зураб Папаскири. О национально-государственном облике Абхазии/Грузия. Тбилиси, 2003; Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней (Джемал Гамахария, Теимураз Гванцеладзе, Тамаз Берадзе, Лия Ахаладзе, Ираклий Геленава, Бадри Гогия, Коба Окуджава, Бежан Хорава...). Тбилиси, 2009; Зураб Папаскири. Абхазия: История без фальсификации. Тбилиси, 2010; *Essays from the History of Georgia. Abkazia from ancient times till the present days*. Tbilisi, 2011; Тамаз Диасамидзе. Региональные конфликты в Грузии: в Южной Осетии и Абхазской АССР (1989-2001). Сборник политико-правовых актов. Тбилиси, 2002; Tamaz Diasamidze. *Georgia Regional Conflicts (South Ossetia, Abkhazia) in Documents. Prehistory and Present 1917–2011* http://www.rrc.ge/admn/books.php?lng_3=en, & & & &.

темам, которые с особым усердием фальсифицируются сепаратистской историографией. К ним относятся политические, этнические и церковные вопросы с древнейших времен до наших дней. Именно вокруг этих вопросов более одного века происходили и ныне происходят дискуссии между грузинскими учеными и фальсификаторами истории. К их числу относится также тема памятников средневековой материальной культуры, находящихся на современной территории Абхазии. Их обзору посвящается отдельная часть книги. Большое внимание уделяется обстановке в Абхазии в XIX веке, в условиях Грузинской Демократической Республики, а также советской власти. Сравнительно широко освещены события, разыгравшиеся в Абхазии в конце XX века, то есть в период распада Советского Союза и восстановления государственной независимости Грузии – гибридная война России против Грузии в 1992-1993 годах, открытая агрессия в августе 2008 года, современная русская политика этнической чистки, геноцида грузинского населения и ползучей аннексии.

К книге приложены исторические карты XIV-XVIII веков, авторами которых являются совершенно непредвзятые западноевропейские, турецкие и русские авторы. Карты подтверждают главную мысль книги о принадлежности современной территории Абхазии к Грузии, демографических изменениях, произошедших в XVI-XVII веках на указанной территории. В виде приложения публикуется также список культурного наследия Грузии на территории Абхазии, составленный Национальным Агентством Охраны Культурного Наследия и предоставленный начальником управления Министерства Образования и Культуры Абхазии профессором Ираклием Геленава⁸.

Список рекомендованной литературы поможет педагогам и учащимся в более глубоком и основательном изучении отдельных вопросов истории Абхазии, подготовке докладов.

Выражаем благодарность Динаре Дарсалия и Давиду Жвания за помощь, оказанную при работе над книгой.

⁸ კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში. მთავარი რედაქტორი ირაკლი გელენავა. თბილისი, 2015.

**ნაწილი I. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია უძველესი
დროიდან XV საუკუნის დასასრულამდე
I.1. აფხაზეთი უძველესი დროიდან VI საუკუნემდე**

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია კოლხური სამყაროს ორგანული ნაწილია. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან არსებული ისტორიული კოლხეთის სამეფო (აია) კი არის ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ცნობებს აია-კოლხეთის შესახებ შეიცავს ძველბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ⁹. არგონავტების კოლხეთში ლაშქრობასთან დაკავშირებული მოვლენები ფაზისში (ფოთი), რიონის ხეობასა და ქუთაისში ვითარდება. ლაშქრობის მნიშვნელოვანი ეპიზოდი აფხაზეთსაც უკავშირდება. არგონავტების ლაშქრობაში მონაწილე დიოსკურების (ბერძნ. – „ზევის შვილები“) კასტორისა და პოლუქსის (პოლიდეკე) მეეტლეების – ამფიტიუსისა და კერკიუსის ხომალდი ქარიშხალმა გაიტაცა და სოხუმთან გამორიყა. ლეგენდის მიხედვით, ქალაქი დიოსკურია (სოხუმი) სწორედ მათი დაარსებულია. ბერძენი ისტორიკოსი აპიანე (100-180) დიოსკურიის შესახებ წერდა, რომ „კოლხებს ეს ქალაქი არგონავტებთან ერთად დიოსკურების აქ ყოფნის საბუთად მიაჩნიათ“¹⁰. ძველმა მწერლებმა ზუსტად იცოდნენ, რომ არგონავტები კოლხეთში ჩამოვიდნენ; იცოდნენ ისიც, რომ ამ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი დიოსკურიაა. სწორედ ამიტომ ისტორიულ წყაროებში დიოსკურია ზოგჯერ ქალაქ აიასთანაც არის გაიგივებული¹¹, თუმცა ეს სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს.

ძველი ბერძენი ეპიკოსი და სწავლული აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. 295-215) თავის „არგონავტიკაში“ დოკუმენტური სიზუსტით აღწერს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველურ ტომებს და გარკვევით უთითებს, რომ არგონავტები მდინარე ფაზისის (რიონი) შესართავთან მოვიდნენ, საიდანაც გზა ქუთაისისკენ გააგრძელეს. „არგონავტიკის“ მიხედვით,

9 აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბილისი, 1964; აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი აკაკი გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებლები აკაკი ურუშაძისა. თბილისი, 1975.

10 აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1958, გვ. 195.

11 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, выпуск IV. Тбилиси, 1884, с. 212-213; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 189, 545.

აია-კოლხეთი ძლიერი და ამასთანავე ცივილიზებული სახელმწიფოა. როგორც ფრანგი ეროვნების შვეიცარიელი მოგზაური და მეცნიერი დიუბუა დე მონპერე (1798-1850) წერდა, კოლხეთის ხალხი და მეფე აიეტი, რომლებმაც გულთბილი მიღება მოუწყვეს არგონავტებს, „ცივილიზაციის გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ის ფათერაკების მაძიებელნი და მათი მოლაშქრენი, რომლებიც შუასაუკუნეების ნორმანების მსგავსად, მათთან საძარცვავად მოვიდნენ და სტუმართმოყვარეობის ყველა კანონი დაარღვიეს“¹². ოქროს სანმისისა და მედეას გამტაცებელ ბერძნებს, – წერდა აპოლონიოს როდოსელი, – აიეტ მეფის შიში აქვთ; ფიქრობენ, „მაღე ჩამოვა ის ელადაში, რომ შვილისათვის იძიოს შური“¹³; კოლხთა მბრძანებლის გადაკიდება, ბერძნების აზრით, არ ივარგებს, რადგანაც „ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება კოლხეთის მეფეს, თუმცა შორს არის, თუ მონიდომა, ელადაშიც წავა სალაშქროდ“¹⁴.

კოლხეთის ძლიერება და მისი წარმატებული ეკონომიკური მდგომარეობა ასახულია მეფე აიეტის ეპიტაფიაში, რომელიც მოტანილი აქვს ბერძენ ფილოსოფოსს არისტოტელეს (ძვ. წ. 384-322): „ოქროთი მდიდარი კოლხეთის მეფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ გააპატიოსნა“¹⁵. არგონავტების შესახებ მითის თანახმად, კოლხეთი კულტურულადაც დაწინაურებული ქვეყანა ყოფილა, ჰქონია საკუთარი დამწერლობაც კი: „შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები და ამ კირბებშია ნაჩვენები გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“¹⁶. ეს არის უძველესი ცნობა ქართული დამწერლობისა და კარტოგრაფიის არსებობის შესახებ.

კოლხეთის სახელმწიფოს არსებობა და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ აღწერილი ძირითადი მოვლენების ისტორიულ სინამდვილესთან შესაბამისობა, ამ ნაწარმოების გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, დოკუმენტურად დასტურდება მიკენური ეპოქის (ბრინჯაოს ხანა – III – II ათასწლეული) ბერძნულ წარწერებში, რომლებიც ძვ. წ. XV – XIV საუკუნეებით თარიღდება. ამ წარწერებში დაფიქსირებულია ისეთი სახელები არგონავტების მითიდან, როგორიცაა ქვეყანა „აია“, „კოლხიდა“, „იასონი“, და ა. შ.¹⁷ „კოლხეთის ქვეყანას“

12 Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т. I. Сухуми, 1937, с. 12.

13 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, წიგნი მე-4, სტრიქონები 740-741.

14 იქვე, სტრიქონები 1100-1103.

15 აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 294.

16 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, წიგნი მე-4, სტრიქონები 278-280.

17 თამაზ გამყრელიძე. საქართველო ევროპაა თუ აზია? – ლიტერატურული

პირველად ძველბერძენი მწერალი ევმელოს კორინთელი (ძვ. წ. VIII ს.) ახსენებს არგონავტებთან დაკავშირებულ კონტექსტში¹⁸. ჰომეროსის (ძვ. წ. VIII ს.) „ოდისეაში“ ჩართული ცნობა არგონავტების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აიეტის სამეფოს საზღვრების შესახებ, რომელიც სარმატიამდე და კიმირიელებამდე იყო გადაჭიმული¹⁹. რომაელი პოეტი პუბლიუს ოვიდიუს ნაზო (ძვ. წ. 43-ახ. წ. 17/18) კოლხეთისა და აიეტის შესახებ მედეას ათქმევინებს: „ჩემი მამა სახელგანთქმულია, მას უპყრია თოვლიანი სკვითეთი, რაც კი პონტოს სანაპიროა“ (ჰეროდები, XII, 25-28). ლუციუს ანეუს სენეკას (ძვ. წ. 4 – ახ. წ. 65) ტრაგედიაშიც („მედეა“) ვპოულობთ კოლხეთის სამეფოსთან დაკავშირებულ ცნობებს. ტრაგედიის მთავარი პერსონაჟი მედეა კორინთოს მეფესთან დაპირისპირებისას აცხადებს, რომ მისი მამის სამეფო სკვითიის პონტომდეა, სადაც არის ქაობიანი წყალი (აზოვის ზღვა), რომლითაც შავი ზღვა მტკნარდება და სადაც ამორძალები ცხოვრობენ²⁰. მოტანილი ცნობების თანახმად, აიეტის დროინდელი კოლხეთის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვასთან უნდა ყოფილიყო. თითქოს ამაზე მეტყველებს ბერძენი ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. I ს.) ცნობაც ძვ. წ. მეორე ათასწლეულში კოლხთა ტომის აზოვის ზღვის მიდამოებში ფორმირების შესახებ²¹.

ბერძულ-რომაული ლიტერატურის მონაცემები კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების შესახებ ეხმიანება „ქართლის ცხოვრებას“. კერძოდ, ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით, ქართველებისა და მთლიანად კავკასიელების ეპონიმი (მამამთარი) არის ბიბლიური პერსონაჟის ნოეს ძის – იაფეტის შვილიშვილი თარგამოსი. საქართველოსა და კავკასიის ტერიტორია მან თავის რვა შვილს გაუნაწილა. ერთ-ერთს, სახელად ეგროსს – ეგრთა ანუ მეგრელთა წინაპარს, წილად ხვდა დასავლეთ საქართველო. ამის თაობაზე „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა

საქართველო, 1999, 18-25 ივნისი, გვ. 4.

18 ავ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 195.

19 ჰომეროსი. ოდისეა. რედაქტორი რისმაგ გორდეზიანი. თბილისი, 1979, თავი XI. 10.

20 Сенека. Трагедии. Перевод с латинского С. Ошерова, комментарий Е. Рабинович. Москва, 1991, с. 15, 430.

21 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, წ. III. თბილისი, 1976, გვ. 75.

ან ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. ან ამას ადგილსა ჰქვიან ბედია“²². კავკასიელთა წინაპრებს (თარგამოსის შვილებს) შორის აფხაზთა ეპონიმი დასახელებული არ არის. ამ საკითხს ეხება საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს (1798-1800) ძე, მწერალი და მეცნიერი თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846). მისი აზრით, ტერმინი „აფხაზი“, შესაბამისად „აფხაზეთი“ უკავშირდება ეგროსის შთამომავლისა და აფხაზეთის პირველი მეფის აფხაზოსის სახელს²³. ამრიგად, კოლხეთის სამეფოს, მათ შორის, აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის უძველესი მკვიდრნი ქართველთა წინაპრები – ეგრები იყვნენ.

ამასვე ადასტურებს არქეოლოგთა დასაბუთებული, სამეცნიერო სამყაროში აღიარებული დასკვნა დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, ერთიანი კოლხური კულტურის არსებობის შესახებ²⁴. აღნიშნული კულტურა ქრონოლოგიურად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე და პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარს მოიცავს, თუმცა მისი წინარე და მომდევნო კულტურებიც ასევე კოლხურია. მთლიანად დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის ჩათვლით, კულტურული განვითარების ერთიანი უწყვეტი ხაზი დასტურდება ნეოლითის ხანიდან (ძვ. წ. IX-VI ათასწლეულები)²⁵. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან თითქმის მთელს დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებულია ერთგვაროვანი მაღალგანვითარებული კოლხური ბრინჯაოს კულტურა²⁶. „სოხუმის მთაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალების შემქმნელნი და დამტოვებელი კოლხები იყვნენ, – წერდა არქეოლოგი ალ. კალანდაძე. – დღეს უკვე არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ბრინჯაოს იმ კულტურის ეთნიკური სუბიექტის საკითხი, რომელიც წარმოიშვა და გაიფურჩქნა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. აღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევარში და II-I ათასწლეულების მიჯნაზე. უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ძლიერი, ადგილობრივი ფესვებით მოსაზ-

22 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1. თბილისი, 1955, გვ. 2.

23 თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებიდან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელი არს სრულიად საქართველოსა. სანკტ-პეტერბურგი, 1848, გვ. 56.

24 ო. ჯაფარიძე. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი, 2003, გვ. 203; ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 9-27.

25 საქართველოს არქეოლოგია, II. თბილისი, 1992, გვ. 224.

26 ო. ლორთქიფანიძე. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1986, გვ. 97; O. Лорткипанидзе. Наследие Грузии. Тбилиси, 1989, с. 189.

რდოვე კულტურა ეკუთვნის მინათმოქმედებასა და მეტალურგიულ საქმიანობაში დახელოვნებულ კოლხური ჩამომავლობის ტომებს²⁷. ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე მეოთხედი არის კოლხური კულტურის აყვავების ხანა. უმაღლეს დონეზე ასული ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია, დემოგრაფიული აფეთქება, პროტოურბანისტული ცივილიზაცია იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ იმ პერიოდის კოლხეთი (აფხაზეთის ჩათვლით) წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ წარმონაქმნს ერთგვაროვანი მოსახლეობით. მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებაში ერთიანი გენეტიკური ხაზის უწყვეტობა დასავლეთ საქართველოში ადასტურებს, რომ კოლხური კულტურა მეგრულ-ზანური (ქართველური) ეთნიკური მასის კუთვნილებაა. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ქართული მოსახლეობის არსებობის ფაქტი არქეოლოგიური მასალის მონაცემებითაც დამტკიცებულია²⁸. მსგავსი დასკვნები ბევრად უფრო ადრე რუსმა მეცნიერმა ვ. სიზოვმაც გააკეთა, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში სოხუმთან ახლოს წარმოებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. თავის ვრცელ ანგარიშში ის საფუძვლიანად აანალიზებს გათხრების შედეგად მოპოვებულ ადგილობრივი წარმოების არქეოლოგიურ მასალას და აღნიშნავს, „რომ ჩემს მიერ აღმოჩენილი ძველი ცხოვრების ნაშთები უმთავრესად ქართული კულტურის ნიშნებს ატარებენ“²⁹.

კოლხეთის სამეფოს მკვიდრთა ეთნიკურ კუთვნილებაზე მსჯელობისას ჰომეროსის „ოდისეაში“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ დაცულ ქართველურ ენობრივ მასალასაც იშველიებენ. მათ შორისაა სამკურნალო ბალახი „მოლი“³⁰, რომელიც აიაში ხარობდა. ეს სიტყვა დღემდეა სამეგრელოში შემორჩენილი და ნორჩ ბალახს ნიშნავს. „მოლი“ ფიქსირდება „ვეფხისტყაოსანშიც“: «მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა, მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა»³¹. ქართველური სიტყვაა „ტკოვ“

27 ალ. კალანდაძე. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954, გვ. II.

28 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 25, 26; М. Барамидзе. Абхазия в свете грузинской археологии. – Всемирный конгресс всех грузин. Картвелологический научный симпозиум на тему Сакартвело (Грузия). Бюллетень, 1. Тбилиси, 1994, с. 25.

29 Материалы по археологии Кавказа, выпуск II. Москва, 1889, с. 35.

30 ჰომეროსი. ოდისეა, თავი X, სტრიქონები 303-306; P. В. Гордезиани. Проблемы Гомеровского эпоса. Тбилиси, 1978, с. 209.

31 ქართული მწერლობა, ტ. 4. თბილისი, 1988, გვ. 262.

(ტყავი) „არგონავტიკიდან“³². როგორც ზემოთ აღინიშნა, „არგონავტიკაში“ გვხვდება აგრეთვე „კირბები“, რომელსაც მეგრულ „კირიბთან“ (კრავი) ან მისი ტყავისგან დამზადებულ სანერ ფურცელთან აიგივებენ. მოტანილი ენობრივი მასალა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ კოლხეთში ჩამოსული არგონავტები ქართველთა წინაპრებთან ურთიერთობდნენ.

ძვ. წ. VI-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, კერძოდ, დიოსკურიასა (სოხუმი) და გიენოსში (ოჩამჩირე) ბერძნული ფაქტორიები წარმოიშვნენ. ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება ეშერის ნაქალაქარი, სადაც ასევე ბერძნული ფაქტორია არსებობდა³³. სავაჭრო ფაქტორიები ადრე არსებულ დასახლებებში ყალიბდებოდა. კოლონისტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან უწევდათ ურთიერთობა და თანამშრომლობა. მათ შორის სერიოზული დაპირისპირების ფაქტები არ ფიქსირდება, ისინი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს ადგილზე ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობაზე, რომლებიც ქართველთა და ბერძენთა მშვიდობიან თანამშრომლობას უზრუნველყოფდნენ. კოლხეთის სიძლიერეზე და მისი განვითარების მაღალ დონეზე საკუთარი ფულის არსებობაც მეტყველებს. ძვ. წ. VI-III საუკუნეებში კოლხეთის სამეფოში იჭრებოდა ვერცხლის მონეტები – „კოლხური თეთრი“, რომლის ნიმუშები სოხუმშიც არის აღმოჩენილი. „კოლხური თეთრი“ საერთაშორისო ვაჭრობაშიც გამოიყენებოდა, რაზეც მიუთითებს მისი ნიმუშების აღმოჩენა ყირიმში, შუა აზიაში და ა. შ.

ბერძენთა სავაჭრო საქმიანობა დიოსკურიაში თავისი მასშტაბებით დიდად ჩამოუვარდებოდა ვაჭრობის მოცულობას ხერსონესსა და პანტიკაპეონში (თანამედროვე ქალაქები ხერსონი და ქერჩი ყირიმში/უკრაინა). მიუხედავად ამისა, დიოსკურია მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც რეგიონის საკმაოდ ჭარბ ადგილობრივ მოთხოვნილებებს, ისე სატრანზიტო ვაჭრობასაც ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, აგრეთვე «აბრემუ-

32 თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან. – ნიგნიდან: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი 1993, გვ. 588.

33 ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი, 1962; ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და კოლხეთი. თბილისი, 1966; მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი, 1982; О. Лорткпанидзе. Наследие древней Грузии. Тбилиси, 1989 და სხვ.

მის გზაზე“ გასვლას³⁴. ბერძნული სავაჭრო ფაქტორიების არსებობამ ხელი შეუწყო კოლხეთის სამეფოს შემდგომ განვითარებას, იმდროინდელ მსოფლიოში მოწინავე, მაღალგანვითარებულ ძველბერძნულ სამყაროსთან მის ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას³⁵. ამან განაპირობა ის დიდი ყურადღება, რომელიც ბერძნულ ლიტერატურაში კოლხეთს ეთმობა.

არსებობენ მონაცემები კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბერძენი ავტორების ჰეკატე მილეტიელის (ძვ. წ. VI ს.), სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ.VI ს. მისი ცნობები შემონახულია ძვ. წ. IV საუკუნის შუახანების ავტორთან ფსევდო სკილაქს კარიანდელთან), ჰელანიკე მიტილენელის (ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი), „ისტორიის მამის“ – ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) და სხვათა შრომებს. აღნიშნული ავტორები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მხოლოდ ქართულ ტომებს – კოლხებს, მოსხებს, კორაქსებს, კოლებს ასახელებენ³⁶.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრიდან კოლხეთი/ეგრისი ქუჯის (ძვ. წ. 302-237) მეთაურობით ნებაყოფლობით ერთიანდება ქართლის სამეფოსთან და გაერთიანებული ქართული სახელმწიფო ყალიბდება, რომელსაც სათავეში ედგა მეფე ფარნავაზ I (ძვ. წ. 302-237) – ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია სოხუმის ჩათვლით ამ გაერთიანებული სახელმწიფოს ნაწილია³⁷. უშუალოდ ქუჯის სამფლობელო კი ეგრისწყლამდე (მდინარე ღალიძგა) ვრცელდებოდა, რადგანაც ეგრისწყლის ჩრდილოეთით მცხოვრებმა ეგრისელებმა „არა ინებეს განდგომა ბერძენთა“³⁸. ეს ფაქტი ჩრდილო-დასავლეთ ეგრისში ბერძნული დასახლებებისა და ფაქტორიების როლის მნიშვნელოვან ზრდაზე და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან მათ კეთილმეგობრულ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს და არა იმჟამინდელ დაქუცმაცებულ, შინაომებით დაკავებულ საბერძნეთთან

34 Н. Н. Иоаниди. Греки в Абхазии. Сухуми, 1990, с. 7-8.

35 თ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და კოლხეთი. თბილისი, 1966.

36 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები საქართველოს შესახებ.- მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35. თბილისი, 1963, გვ.3-35; თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1960, წიგნი I, 104; წიგნი IV, 37.

37 Н. Берулава. Город Диоскурия-Севастополис и район Сухумской бухты в античную эпоху (VI век до н. э. и III век н. э.). Тбилиси, 2005, с. 90.

38 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 16.

გაერთიანებაზე.

ძვ. წ. II საუკუნიდან ეგრისი (კოლხეთი) კვლავ ცალკე არსებული წარმატებული სახელმწიფოა. მის შემადგენლობაში აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიაც შედიოდა. ეგრისის მეფე სავლაკი (ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისი), სავარაუდოდ, სოხუმში იჯდა და იქ საკუთარ მონეტებსაც კი ჭრიდა. მათი ნიმუშები სოხუმის რაიონშიც არის აღმოჩენილი³⁹. სავლაკის შემდეგ კოლხეთში მეფობდნენ აკა (ძვ. წ. 190 წლის ახლო პერიოდი), აკუსილოხი (ძვ. წ. 179 წლის ახლო პერიოდი).

ძვ. წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა (ძვ. წ. 111-63) მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი საკუთარი სამეფოს შემადგენლობაში მოაქცია. პონტოს სამეფოში შემავალი ეგრისი/კოლხეთი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც ძვ. წ. 85-83 წლებში მითრიდატე უმცროსი (მეფის ვაჟი) მართავდა. მალე იგი ლალატში იქნა მხილებული და სიკვდილით დასაჯეს. კოლხეთის მმართველებად მითრიდატე VI-სთან დაახლოებული პირები ინიშნებოდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, მოაფერნე (ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის დედის ბიძა), ოლთაკე, მაქარესი, ორქოზი. ძვ. წ. I საუკუნის შუახანებიდან, როცა რომაელებმა მითრიდატე დაამარცხეს, თვითონ დაეუფლნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, მათ შორის კოლხეთს დღევანდელი აფხაზეთის ჩათვლით. რომაელთაგან დევნილმა მითრიდატემ ძვ. წ. 66/65 წლების ზამთარი სოხუმში გაატარა, აქვე შეიმუშავა გრანდიოზული სამოქმედო გეგმა⁴⁰, მაგრამ მისი რეალიზება ვერ მოახერხა.

კოლხეთი/ეგრისი კვლავაც აქტიურად იყო ჩაბმული ელინისტურ სამყაროსთან გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. სტრაბონის თანახმად, დიოსკურიაში/სოხუმში სხვადასხვა ეროვნების უამრავი ვაჭარი ჩამოდიოდა⁴¹. ეს ცნობა უნდა ეხებოდეს რომაელთა ბატონობის პერიოდს, როდესაც კოლხეთს ენერგიული მმართველი არისტარხი (ძვ. წ. 64-47) განაგებდა. რეზიდენცია მას დიოსკურიაში ჰქონდა, სადაც მონეტებსაც ჭრიდა. ძვ. წ. 48 წელს ბოსფორის მეფე ფარნაკემ (მითრიდატეს ვაჟი) ისარგებლა რომაელი სარდლის პომპეუსის დაღუპვით (ძვ. წ. 48 წელი) და მიძიმე ბრ-

39 Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, с. 305.

40 აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1958, გვ. 195-196, 261.

41 თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 122-123.

ძოლების გადახდის შემდეგ კოლხეთს დაეუფლა. მან დაიბრუნა პონტოს სამეფოც და თავი აზიის მეფედ გამოაცხადა. ძვ. წ. 47 წელს იულიუს კეისარმა (ძვ. წ. 49-44) ფარნაკე დაამარცხა. კოლხეთი/ეგრისი კვლავ რომის პროვინციად დარჩა. წელთაღრიცხვათა მიჯნაზე იგი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. იმპერატორ ნერონის (ძვ.წ. 54-68) მიერ პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ კოლხეთი/ეგრისი რომის პროვინციების – ჯერ გალატიის, შემდეგ კი კაპადოკიის ნაწილი ხდება. ძვ. წ. I საუკუნის 60-იანი წლებიდან კოლხეთის ქალაქებში ფაზისსა (ფოთი) და დიოსკურიაში (სოხუმი), ხოლო II საუკუნის პირველ ნახევარში ბიჭვინთაშიც რომაული გარნიზონები განალაგეს. რომაელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მტკიცედ აკონტროლებდნენ სამხედრო გარნიზონების მიმდებარე რეგიონებს, მათ შორის აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიას⁴².

IV საუკუნის ბოლოს (395 წელი) რომის იმპერია ორ ნაწილად გაიყო. კოლხეთზე/ეგრისზე დასავლეთ რომის იმპერიის, ანუ ბიზანტიის ჰეგემონია ვრცელდებოდა. იმავე ხანებში აღსდგა კოლხეთის სამეფო ლაზიკის სახელწოდებით, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ლაზები რომაელთა (ბიზანტიელთა) ქვეშევრდომებად რჩებოდნენ. VI საუკუნის ავტორის პროკოპი კესარიელის მონაცემებით, ლაზთა ქვეშევრდომობა იმაში გამოიხატებოდა, რომ „რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს“⁴³. ბიზანტიას და ლაზიკას ჰქონდათ გოთების, ჰუნებისა და ირანის მოგერიების საერთო ინტერესები. მათ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ერთმონწმუნეობის – ქრისტიანობის ფაქტორიც. როგორც ცნობილია, ქრისტიანული სარწმუნოება 313 წელს რომის იმპერიაში უფლებამოსილ რელიგიად გამოცხადდა, საქართველოში კი IV საუკუნის 20-იანი წლებიდან იგი სახელმწიფო რელიგიად არის აღიარებული. V საუკუნეში, როცა საქართველოში ვახტანგ გორგასალი მეფობდა (458-502), ქვეყანაც და ეკლესიაც ერთიანი იყო. ქართული წყაროების მიხედვით, მეფე ვახტანგმა ბერძენთა მეფის ლეონ დიდის (457-474) წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლა მათ შორის მორიგებით დასრულდა. მეფე ვახტანგი ლეონ დიდის ასულზე დაქორწინდა, საქართველოსა და საბერძნეთს

42 Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, с. 363-364; თ. თოდუა. რომაული სამყარო და კოლხეთი. I – IV საუკუნეები. თბილისი, 2003, გვ. 6-8.

43 გეორგიკა, ტ. 2. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1965, გვ. 172.

შორის საზღვარი კი მდინარე კელასურზე დაფიქსირდა. კელასურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აფხაზეთი (აბაზგია), როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება, „უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“⁴⁴.

ახალი ნელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული ეთნიკური სიტუაცია არაერთ ისტორიულ წყაროშია ასახული. მათ შორის არის ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის „გეოგრაფია“ (I საუკუნის დასაწყისი), რომლის მიხედვით, დიოსკურია (სოხუმი) და ბიჭვინთა კოლხური, ანუ ქართული ქალაქებია. დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობას დიოსკურიის თავზე სვანთა ქართული ტომის დომინირების შესახებ⁴⁵. პლინიუს უფროსიც (I ს.) თანამედროვე სოხუმს კოლხურ ქალაქად მიიჩნევს⁴⁶. ფლავიუს არიანეს „მოგზაურობაში შავი ზღვის გარშემო“ (II ს.) ტრაპიზონიდან ქალაქ ძველ ლაზიკამდე (მდებარეობდა დღევანდელი რუსეთის შავი ზღვისპირა ქალაქ ტუაფსეს ჩრდილოეთით) წვრილ-წვრილ თემებად დაყოფილი ქართული სამყაროა წარმოდგენილი – კოლხები/ლაზების, აფსილების, აბაზგების, სანიგების სახით. ლაზების მმართველია მალასა, აფსილების – იულიანე, აბაზგების – რესმაგა, სანიგების – სპადაგი⁴⁷. მათი ვინაობა დაზუსტებულია კლავდიოს პტოლემეაოსთან (II ს.) და V საუკუნის ანონიმთან. კლავდიოს პტოლემეაოსი თანამედროვე გაგრისა და სოჭის მიდამოებში ქართველ „სუანო – კოლხებს“ ასახელებს; მათი სამხრეთ – აღმოსავლეთით კაპადოკიამდე იგივე ქართველები – ლაზები, მანრალები (მეგრელები) და ეკრეკტიკის (ეგრიოსის) მცხოვრებნი არიან წარმოდგენილი⁴⁸. კლავდიოს პტოლემეაოსის მონაცემებს გარკვეულწილად ადასტურებს 2005 წელს გაგრის რაიონში აღმოჩენილი ვერცხლის თასი ბერძნული წარწერით: „Εγώ Πάκουρος ὁ βασιλεὺς τοῦ ἄμυσις ἔθους – „მე, მეფემან პაკურმა, (ჩემს) ცხვრებს მივეცი“. პაკური//პაკორი – რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161) მიერ დანიშნული ლაზთა მეფეა⁴⁹. ვერცხლის თასი,

44 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 177.

45 თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 125-126 (თავი XI, 2, 14, 19).

46 ლ. არბოლიშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“ როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. თბილისი, 2006, თავი VI, 15.

47 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუქა ნათელა კეჭალმაძისა. თბილისი, 1961, გვ. 42-44.

48 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეაოსი, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბილისი, 1955, გვ. 43-45.

49 თედო დუნდუა. საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები.

სავარაუდოდ, გაგრა-სოჭის არეალში მცხოვრებ ქართველთა წინაპრებს „სუანო-კოლხებს“ გადაეცა.

V საუკუნის ანონიმი იმეორებს ფლავიუს არიანეს ცნობას და ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე (სოხუმამდე) რამდენიმე წვრილ თემს ასახელებს. მათ აღწერას ავტორმა დაურთო განმარტება, რომლის მიხედვითაც ქ. სოხუმიდან (სებასტოპოლისი) მდინარე ჭოროხამდე „წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომლებსაც კოლხები ეწოდებოდათ და (მერე) გადაერქვათ ლაზები“⁵⁰. V საუკუნის ანონიმის აღნიშნული ცნობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის აკონკრეტებს ისტორიულ კოლხთა ისედაც კარგად ცნობილ ვინაობას. ავტორი ცალსახად აიგივებს მათ დასავლეთ საქართველოს იმჟამინდელ მოსახლეობასთან – ლაზებთან და არა თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრებთან. კოლხებს ლაზებთან, კოლხიდას კი ლაზიკასთან აიგივებდნენ აგრეთვე VI საუკუნის ისეთი ცნობილი ბიზანტიელი ავტორები, როგორებიც იყვნენ პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე⁵¹ და სხვები. კოლხებს/ლაზებს თანამედროვე აფხაზთა ანუ აფსუათა წინაპრებად არც ერთი დღემდე ცნობილი ისტორიული წყარო არ აღიარებს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ფლავიუს არიანეს მიერ დასახელებული თემები (აბსილები, აბაზგები, სანიგები და ა. შ.) ქართველებად მიაჩნიათ არა მხოლოდ კლავდიოს პტოლემეაიოსსა და V საუკუნის ანონიმს. IV საუკუნის ლათინური ავტორი რუფიუს ფესტ ავიენიც ამგვარ მოსაზრებას უჭერს მხარს. იგი წერს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩერქეზების სამხრეთ – აღმოსავლეთით, ანუ საქართველოს შავიზღვისპირეთში აფხაზეთის ჩათვლით, მხოლოდ „ენერგიული კოლხები“ და „მკაცრი იბერები“ ცხოვრობდნენ⁵². ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) გვანვდის ვრცელ ინფორმაციას აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მცხოვრები კიდევ ერთი ქართული თემის – მისიმელების შესახებ⁵³. როგორც ძველ ქართულ მატრიანეებში, ისე რომაულ, ბიზანტიურ და აღმოსავლურ ლიტერატურაში აფ-

თბილისი, 2017, გვ. 119 -121.

50 გეორგიკა, ტ. 2, გვ. 6-11.

51 გეორგიკა, ტ. 2, გვ. 47-48, 236, 242.

52 В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. II, выпуск 2. Санкт – Петербург, 1906, с. 358 – 359.

53 გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 3. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1936, გვ. 85-90, 154-174.

სილები, აბაზგები (ისტორიული აფხაზები), სანიგები და მისიმელები წარმოდგენილი არიან არა უცხო ეთნოსის სახით, არამედ ქართველთა ორგანულ ნაწილად. ასე მიაჩნდა ყველა რომაელ თუ ბიზანტიელ ავტორს, ვინც მსოფლიოს ხალხთა გენეოლოგიის თემას ეხებოდა. მათ შორის იყვნენ იპოლიტე რომაელი (III ს.), ევსევი ანტიოქელი (280-360), „Liber generationis“-ს ავტორი (334 წ.), ევსევი კესარიელი (გარდაიცვალა 340 წელს), ეპიფანე კვიპრელი (314-403), პასქალური ქრონიკის შემდგენელი (630-640), გიორგი სინგელოზი (VIII-IX სს.), ლეონ გრამატიკოსი (IX ს.), გიორგი კედრენე (IX ს.), იოანე ზონარა (XII ს.) და სხვები. მათ მიერ წარმოდგენილ გენეოლოგიურ სქემებში ცალკე ეთნოსად არ სახელდებიან მათთვის კარგად ცნობილი აფსილები, აბაზგები, სანიგები, მისიმელები, რომლებიც ზოგიერთი თანამედროვე ავტორის მიერ, სათანადო დასაბუთების გარეშე, აფსუა-აფხაზთა წინაპრებად არიან მიჩნეული⁵⁴. რომაელი და ბიზანტიელი ავტორები კი მსოფლიოს ხალხთა გენეოლოგიურ სქემებში აფსილებს, აბაზგებს, სანიგებს და მისიმელებს კოლხებად//ლაზებად//ეგრებად ანუ ქართველთა წინაპრებად მოიხსენიებენ⁵⁵.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი პლინიუსისა და პტოლემეაიოსის შრომებზე დაყრდნობით წერდა, „რომ კოლხიდაში მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს წარმომადგენელი ტომები ცხოვრობდნენ“⁵⁶. რომაული და ბიზანტიური წყაროების ანალიზმა კი მეცნიერი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: „როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს“⁵⁷. ფლავიუს არიანეს, აგრეთვე სხვა ზემოხსენებული ავტორების მიერ დასა-

54 О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с.14, 87, 94-112.

55 გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.

1. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1961, გვ. 11-20, 35, 39-41; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, წ.

1. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1941, გვ. 6-9, 61-63; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 5. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1963, გვ. 3-4, 10; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1966, გვ. 191.

56 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1908, გვ. 45.

57 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I-II. თბილისი, 1913, გვ. 55.

ლეთ საქართველოს კოლხ//ლაზების, აფშილების, აბაზგებისა და სანეგების სამფლობელოებად დაყოფა ივანე ჯავახიშვილს რომაელთა „საყვარელი პოლიტიკური მცნების *divire et impera*“-ს („გათიშე და იბატონე“) გამოვლინებად მიაჩნდა⁵⁸. აფშილებისა და აბაზგების ეთნიკური კუთვნილების თემას ივანე ჯავახიშვილი სხვაგან არ შეხებია. მოგვიანებით, ჰყავდა რა მხედველობაში თანამედროვე აფხაზები და არავითარ შემთხვევაში ისტორიული აფშილ-აბაზგები, იგი წერდა: „აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუნოდებ“⁵⁹.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თანდათანობით შემოვიდა ძველი და ახალი („ანინდელი“) აფხაზების, ძველი და ახალი აფხაზეთის ცნება. მათ შორის არსებულ განსხვავებაზე ყურადღებას აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ამახვილებდა. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლებთან (ანანგუარები) დაკავშირებით იგი წერდა, რომ „ეს შეიძლება **ანინდელი აფხაზებისა** იყოს და იმ **ძველ აფხაზეთან** (ხაზგასმა ჯ.გ.) კავშირი არ ჰქონდეს“⁶⁰. ნიკო ბერძენიშვილი განმარტავდა, რომ მთიელთა ჩამოსახლების შედეგად „შეიქმნა ახალი აფხაზეთი“⁶¹. მეცნიერის აზრით, „ანინდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე“ ძველი აფხაზები – აფშილ-აბაზგები უფრო მეტად არ განსხვავდებოდნენ „ბერ-ლაზებისაგან, ვიდრე, ვთქვათ, სვანები, მესხები, ჰერები“⁶². ნ. ბერძენიშვილი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველი ერის დაშლისკენ მიმართული რუსული იმპერიული „კულტურულ-მეცნიერული“ პოლიტიკის წყალობით, „ჩვენ დღეს მტკიცებაც კი გვჭირდება აფხაზების, მესხების (შავშ-კლარჯ-ტაოელთა), ლაზების, აჭარლების, ქობულეთელების და ინგილოების ქართველობისა“⁶³. ძველი და ახალი აფხაზეთის მოსახლეობას მკვეთრად განასხვავებდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაიაძე. ნაშრომში „ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური ჩამომავლობის შესახებ“ ის მიმოიხილავს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებებს აფხაზეთა წარმოშობის თაობაზე, აგრეთვე

58 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1979, გვ. 214.

59 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 152.

60 ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1990, გვ. 555.

61 ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 609-610.

62 ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III. თბილისი, 1966, გვ. 278.

63 ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, გვ. 280-281.

ეთნოგრაფიულ მასალას და ასკვნის: „ცხადი უნდა იყოს, რომ აფხაზები, საკუთრივ ძველი აფხაზები განსხვავდებიან აბასა-აფსუა-აფსილებისაგან. რომ ეს უკანასკნელი მთის იქიდან მოსული ტომია, ხოლო საკუთრივ აფხაზები – ადგილობრივი ძველი მოსახლეობა“⁶⁴.

ისტორიულ (ძველ) აფხაზთა ვინაობის თემას მიეძღვნა გამოჩენილი მეცნიერის პავლე ინგოროყვას კაპიტალური ნაშრომის – „გიორგი მერჩულეს“ (თბილისი, 1954) IV თავი სახელწოდებით: „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო (აფხაზეთის სამეფო) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულეს ძეგლში“ (იგულისხმება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ავტორის მტკიცებამ ანტიკურ ხანაში აფხაზეთის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე რომელი და ბიზანტიელი ავტორების მიერ დაფიქსირებული ტომებისა და თემების ქართული ეთნოსისადმი კუთვნილების შესახებ აფხაზური ინტელიგენციის უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოო ჯამში, საქმე კომუნისტური ხელისუფლების მიერ პავლე ინგოროყვას ნაშრომის დაგმობამდე (ფაქტობრივ აკრძალვამდე) მივიდა. ეს მოხდა 1956 წელს. მანამდე ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა არაერთი დადებითი რეცენზია მიუძღვნეს პავლე ინგოროყვას ნაშრომს. 1956 წლიდან, „ზემოდან“ მითითებით, რამდენიმე უარყოფითი რეცენზიაც დაინერა. ამიერიდან აფსილ-აბაზგები უპირობოდ აფსუა-აფხაზთა წინაპრებად უნდა ყოფილიყვნენ წარმოჩენილი. სხვა ტომებთან თუ თემებთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო განსხვავებული მოსაზრების დაფიქსირება. ქართველ მეცნიერებს, რომელთა უდიდესი ნაწილი მონონებით შეხვდა პავლე ინგოროყვას ნაშრომის გამოქვეყნებას⁶⁵, არაოფიციალურად, მაგრამ ძალიან მკაცრად ეკრძალებოდათ აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხებზე მუშაობა.

შექმნილ ვითარებაში ქართულ ისტორიოგრაფიას, შეიძლება ითქვას, მსხნელად მოევიდნა ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია, რომლის თანახმადაც ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობა თითქოს იყო არა მონოეთნიკური (მხოლოდ ქართველებისაგან ან მხოლოდ აფსუა-აფხაზებისაგან შემდგარი), არამედ პოლიეთნიკური (მრავალეთნიკური) და შედგებოდა როგორც თანამედროვე აფსუა-აფხაზთა, ისე ქართველთა წინაპრებისაგან; ამავე დროს აფხაზეთი, მიუხედავად მისი

64 გიორგი ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად, II. თბილისი, 2000, გვ. 119.

65 გერონტი გასვიანი. ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ. თბილისი, 2003; ჯემალ გამახარია. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიიდან. ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. – ნიგნ-ში: თეიმურაზ მიბჩუანი – 70. თბილისი, 2008-2010, გვ. 44-63.

მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილებისა, პოლიტიკურ – სახელმწიფოებრივი და კულტურულ – ისტორიული თვალსაზრისით იყო ქართული რეგიონი⁶⁶. ამით ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია ემიჯნებოდა „ნაციონალიზმს“ ისტორიოგრაფიაში (იქნებოდა ის ქართული თუ აფხაზური) და მთლიანად თავსდებოდა ე. წ. ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში. სეპარატისტები აღნიშნულ კონცეფციასაც არ იზიარებდნენ, რადგანაც იგი საშუალებას აძლევდა ქართველ მეცნიერებს აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე უძველესი დროიდან აფსუა-აფხაზებთან ერთად ქართველთა ყოფნაც დაეფიქსირებინათ. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის, როდესაც საბჭოური სისტემა დაინგრა და ისტორიული მეცნიერება კომუნისტური წნეხისაგან განთავისუფლდა, ნიკო ბერძენიშვილის კონცეფციამ თავისი მისია დაასრულა, თუმცა მას დღემდე ჰყავს მიმდევრები⁶⁷. აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხებთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს შორის არსებული ეს მცირე უთანხმოება ხელს არ უშლის ქართულ ისტორიოგრაფიას მთავარ საკითხებში იყოს ერთიანი და დასაბუთებულად ამხილოს ისტორიის გამყალბებელი სეპარატისტები.

I. 2. აფხაზეთის საერისთავო დასავლეთ საქართველოში ირანული და არაბული ექსპანსიის პერიოდში (VI-VIII საუკუნის შუახანები)

VI საუკუნის პირველ ნახევარში მთელი დასავლეთ საქართველო ბიზანტია-ირანის სამხედრო დაპირისპირების ასპარეზად იქცა. 532 წელს საომარი მოქმედებები შეწყდა „უვადო ზავის“ გაფორმებით, რომლის თანახმადაც, ბიზანტიამ საქართველოს შავიზღვისპირეთში სამი გარნიზონი ჩააყენა (პეტრაში, ბიჭვინთასა და სევასტოპოლში// სოხუმში). სამხედროთა თვითნებობით უკმაყოფილო ლაზები ბიზანტიელებს განუდგნენ და ირანთან შეკრეს კავშირი. ბიზანტია იძულებული

66 ნიკო ბერძენიშვილი. მეცნიერის არქივიდან. – ჟურნ. მნათობი, 1990, № 5, გვ. 138-145; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III. თბილისი, 1966, გვ. 280, 287, 288; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1990, გვ. 414, 604, 608.

67 ნოდარ ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბილისი, 1998; ე. ხომტარია-ბროსე. აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში. თბილისი, 2000; ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. თბილისი, 2004, გვ. 90-92; ზურაბ პაპასქირი. საქართველო. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, 2016, გვ. 368-379, და სხვ.

ბული გახდა სამივე გარნიზონი დაეცალა, მაგრამ მალევე მოახერხა ლაზებთან ურთიერთობის მოგვარება. გაერთიანებული ძალებით 549 წელს ირანელები ლაზიკიდან განდევნეს, თუმცა ბრძოლები შემდგომშიაც გაგრძელდა. ირანი ახლა ლაზიკის ერთ-ერთ პროვინციაში – აბაზგიაში ცდილობდა დამკვიდრებას. 550 წელს ბიზანტიამ სასტიკად დასაჯა განდგომილი აბაზგები, რის შესახებაც წერს პროკოფი კესარიელი⁶⁸. VI საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, იმავე პრ. კესარიელის ცნობით, მოხდა „ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომების“ – აბაზგების ქრისტეს რჯულზე მოქცევა და სებასტოპოლის/სოხუმის ეპარქიის დაფუძნება, რაც იმპერატორ იუსტინიანე დიდის (527-565) სახელს უკავშირდება⁶⁹. ეს ყოველივე დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის პოზიციების განმტკიცების ინტერესებსაც ემსახურებოდა. გარკვეული პერიოდი აბაზგები თავისუფლად, ადგილობრივი მმართველების გარეშე ცხოვრობდნენ. მალე მიხვდნენ, რომ რომაელთა მიერ შემოღებულ წესებს მათთვის მონობა მოჰქონდა, ამიტომ კვლავ დაიყენეს მმართველები. პრ. კესარიელის ცნობით, აღმოსავლეთ აბაზგიას ოფსიტე, დასავლეთს – სკეპარნა მართავდა⁷⁰. 552 წელს ბიზანტიამ უბრძოლველად დაიმორჩილა ლაზეთის კიდეც ერთი პროვინცია – აფშილეთი, რომელსაც ლაზი თერდეტი მართავდა⁷¹. 555 წელს კი მოხდა კოდორის ხეობაში მცხოვრებ მისიმიელთა ქართული თემის იარაღის ძალით დამორჩილება, მათ დასახმარებლად იბერიიდან გადმოსული ირანელთა ჯარის დამარცხება⁷². ბიზანტიელებისა და ლაზების ერთობლივი მოქმედებით, 575 წელს ირანელებმა საბოლოოდ დატოვეს ლაზიკა – დასავლეთ საქართველო. აბაზგია, აფშილეთი და მისიმიანეთი ლაზიკის პროვინციებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ყველანი ერთად ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ირანმა გამოიყენა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად VII საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლში შექმნილი რთული ვითარება და ბიზანტიის ტერიტორიების გარკვეული ნაწილი (ეგვიპტე, სირია და სხვ.) დაიპყრო. უზარმაზარ საფრთხეს წარმოადგენდა 632 წელს ჩამოყალიბებული არაბთა ხალიფატიც. მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641) მოახერხა. 627-628 წლებში მან ირანი დაამარცხა და სამხრეთ კავკასიაზე დიდი

68 გეორგიკა, ტ. 2, გვ. 161.

69 გეორგიკა, ტ. 2, გვ. 133-135.

70 გეორგიკა, ტ. 2, გვ. 156, 157.

71 გეორგიკა, ტ. 2, გვ. 164-165.

72 გეორგიკა, ტ. 3, გვ. 86, 155-175.

ხნით ბიზანტიის ჰეგემონია დაამყარა. ირანთან ბრძოლაში ლაზები და აბაზგები ბიზანტიელთა საიმედო მოკავშირენი არ აღმოჩნდნენ. ამიტომ ირანის დამარცხების შემდეგ ბიზანტიამ უშუალოდ დაიმორჩილა აბაზგია და მას სათავეში თავისი არქონტი (ქართული წყაროების ერისთავი) ჩაუყენა.

VII საუკუნის შუახანებში და მის მეორე ნახევარში აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების თაობაზე წარმოდგენას გვიქმნის იერუსალიმელი მღვდელმონაზონი თეოდოსი განგრელი. მისი თხზულების მიხედვით, ლაზიკა და აბაზგია უკვე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოქცეული პოლიტიკური ერთეულებია, რომლებსაც კონსტანტინოპოლიდან დანიშნული პატრიკოსები მართავდნენ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მეტი ნაწილი ქალაქ სოხუმის ჩათვლით ლაზიკის, აგრეთვე მის დაქვემდებარებაში მყოფი აფშილეთისა და მისიმიანეთის შემადგენლობაში შედიოდა. საკუთრივ ლაზიკის საზღვარი მდინარე კელასურამდე აღწევდა, აფშილეთი მდინარე კელასურიდან ანაკოფიამდე ტერიტორიას მოიცავდა, მისიმიანეთი – კოდორის ხეობას. თეოდოსი განგრელის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ ლაზიკა და აბაზგია ქრისტესმოყვარე ქვეყნებია; ქრისტესმოყვარენი არიან მათი მმართველებიც, რომლებიც კეთილ დამოკიდებულებას იჩენდნენ მაქსიმე აღმსარებლისა და მასთან ერთად ლაზიკაში გადასახლებულთა მიმართ⁷³.

VII საუკუნის შუახანებიდან საქართველოსა და ბიზანტიის წინაშე არაბული საფრთხე წარმოიშვა. აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, იმავე ხანებში ბიზანტიელებმა ივერიის მთაზე მდებარე ანაკოფიის ციხე გაამაგრეს, სადაც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ერეკლეს კეისარმან დასუა ერისთავი აფხაზთა“⁷⁴. ტერმინი „აფხაზთა“, ისევე როგორც „აფხაზეთი“ ამჟამად ქართული წარმოშობისაა. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) წერდა: „ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად ნოდებელი ეგრეთვე ეგრისი“. ეს ტერიტორია, „დაიპყრეს რა ბერძენთა, უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა – აფხაზეთი“⁷⁵. თეიმურაზ ბაგრატიონი ადასტურებს ვახუშტის მოსაზრებას და ამბობს, რომ აფხაზეთი არის

73 გეორგიკა, ტ. 4, ნან. 1, გვ. 38-56.

74 ქართლის ცხოვრება, ტ. 4. თბილისი, 1973, გვ. 781, 795. ვახუშტი გულისხმობს იმპერატორ კონსტანტინე II-ს, იგივე კონსტანტინე ერეკლეს (641-668).

75 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 783, 784.

ქვემო ივერია, „რომელსაცა ეგრისი სახელსძევს“⁷⁶. ანაკოფიის ციხემ, სადაც აფხაზეთის ერისთავი იჯდა, თავისი დანიშნულება გაამართლა – მან დიდი როლი ითამაშა საქართველოში შემოჭრილ არაბთაგან თავდაცვის საქმეში. X-XI საუკუნეების მიჯნაზე შექმნილმა ქართულმა წყარომ („აფხაზთა მეფეთა დივანი“) შემოგვინახა VII-VIII საუკუნეებში აფხაზეთის მმართველთა სახელებიც: ანოსი, გოზარი, ისტინე, ფინიკტიოსი, ბარნუკი, დემეტრე I, თეოდოსი I, კონსტანტინე I, თევდორე, კონსტანტინე II. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კარგად არიც ცნობილი ლეონ I – აფხაზეთის ერისთავი VIII საუკუნის შუახანებამდე.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში უალრესად მძიმე ვითარება შეიქმნა. 697 წელს ლაზიკის//ეგრისის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე ბიზანტიელებს განუდგა და ქვეყანა არაბებს ჩააბარა, რომლებსაც იმ დროისათვის ქართლი უკვე დაკავებული ჰქონდათ. VIII საუკუნის დასაწყისში მთელი დასავლეთ საქართველო, მათ შორის აფხაზეთი არაბთა ხელში აღმოჩნდა. შექმნილ ვითარებაში ბიზანტიის კეისარმა ვარდან ფილიპიკოსმა (711- 713) სწორი სვლა გააკეთა – ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ III-ს (710-738) ეგრისის ერისმთავრობაც უბოძა და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. 712 წელს სტეფანოზ III და მისი უფროსი ვაჟი მირი ეგრისში გადავიდნენ და ბიზანტიელებთან ერთად არაბებს ბრძოლა გაუმართეს. არაბებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, ხაზარეთიდან არაბი სარდალი მასლამა იბნ აბდ-ალ მალიქი მობრუნდა. მან ჯერ ქართლი ააოხრა, რომელსაც მართავდა სტეფანოზ III-ის უმცროსი ვაჟი არჩილი. იგი არაბებს გამოექცა და ეგრისში მამას და ძმას შეუერთდა. მასლამას შეტევების შედეგად ბიზანტიელებმა ფაზისისკენ დაიხიეს, ქართველებმა კი თავი აფხაზეთს შეაფარეს და ანაკოფიაში გამაგრდნენ. ქართულმა ჯარმა, რომელსაც ძმები მირი და არჩილი მეთაურობდნენ, ანაკოფიას მომდგარი არაბები დაამარცხა. ამასთანავე მიიღო ხელი შეუწყო ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II-ის (705-711) ელჩს ალანიაში ლეონ სპათარს როგორც ერთ-ერთი მისიის შესრულებაში, კერძოდ აბაზგიის კვლავ დამორჩილებაში, ისე უვნებლად კონსტანტინოპოლში დაბრუნების ორგანიზებაში. სამშობლოში დაბრუნებულმა ლეონ სპათარმა მალე იმპერატორის ტახტი დაიკავა და ბიზანტიას ლეონ III ისავრიელის სახელით 717-741 წლებში მართავდა. ახალმა იმპერატორმა არჩილისა და მირის ამაგი

76 თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებიდან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელი არს სრულიად საქართველოსა, გვ. 56.

დააფასა და, დაახლოებით, 717-718 წლებში ძმებს ორი სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა. მირს ერგო ეგრისის სამეფო გვირგვინი, არჩილს – ქართლის.

მორიგი სისხლიანი შებრძოლება არაბებთან 738 წელს გაიმართა. მაშინ საქართველოს არაბთა სადამსჯელო ლაშქარი შემოესია, რომელსაც მარვან იბნ მუჰამედი (744-750 წლებში – ხალიფა) სარდლობდა. არაადამიანური სისასტიკის გამო, „ქართლის ცხოვრებაში“ იგი მურვან ყრუს სახელით მოიხსენიება. არაბები ჯერ ქართლში შეიჭრნენ, შემდეგ ეგრისში გადავიდნენ, გადალახეს მდინარე კელასური, „რომელ მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“⁷⁷, გაანადგურეს ქალაქი ცხუმი (სოხუმი) და ანაკოფიის ციხეს მიაღწენენ. ამჯერადაც ქართველები მირისა და არჩილის სარდლობით ამ ციხეში იყვნენ გამაგრებულები. მათ მხარში ედგა აფხაზეთის ერისთავი ლეონი თავისი ორათასიანი რაზმით. არაბებმა ქართველები შეავიწროეს, მეფე მირიც სასიკვდილოდ დაჭრეს, მაგრამ ციხის აღება მაინც ვერ მოახერხეს. ამიტომ „ქართლის ცხოვრება“ გამარჯვებულად ქართველებს აცხადებს, თუმცა არაბებმა ანაკოფიასთან ბრძოლების შემდეგ კოდორის ხეობის ქრისტიანი მოსახლეობა ამონყვიტეს⁷⁸, მთელი ეგრისი კიდევ ერთხელ მოაოხრეს და დიდი დანაკარგებით დასავლეთ საქართველო დატოვეს.

738-739 წლებში ლეონ III ისავრიელმა აფხაზეთი მდინარე კელასურიდან მდინარე ყუბანამდე ლეონ I-ს მემკვიდრეობით გადასცა და ერისთავობა უბოძა, ამასთანავე ქართლის მეფეთა პატივისცემა უბრძანა. აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა მეფე არჩილს ქვეშევრდომობა სთხოვა. არჩილმა არაბებთან ბრძოლისას დაჭრილი და მალევე გარდაცვლილი ძმის – მირის ქალიშვილი გურანდუხტი ლეონ ერისთავს მიათხოვა. მირის კუთვნილი ეგრისის სამეფო გვირგვინიც ლეონს გადასცა. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ არჩილმა აფხაზეთის ერისთავს გადასცა „გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვის და ჰყვეს ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (მორჩილებდეს-ჯ.გ.) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“⁷⁹. ამის შემდეგ მეფე არჩილი (იგივე არჩილ II) უმცროს შვილთან – ჯუანშერთან ერთად ქართლში გადავიდა, ეგრისი კი სამართავად უფროს ვაჟს – იოანეს გადასცა. არჩილ II – პირველი ქართველი მეფეა, რომელიც

77 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 235.

78 გეორგიკა, ტ. 4, წ. 1, გვ. 115-116.

79 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 242-243.

ქრისტიანობისთვის არაბთაგან ენამა (744 წელი) და ქართული ეკლესიის წმინდანი გახდა (ხსენების დღე – 21 ივნისი).

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის დასრულებას ქართლის სამეფო სახლის მეთაურობით ეგრისში მეფობის აღდგენა და აფხაზეთზე მისი იურისდიქციის გავრცელება მოჰყვა. ერისთავი ლეონ I ეგრისის (და ასევე ქართლის) მეფის ვასალი, მორჩილი, ხოლო ეგრისის მეფის ასულზე ქორწინების შემდეგ სამეფო სახლის წევრიც გახდა. როცა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საქმეში.

I. 3. აფხაზეთის საერისთავო აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში (VIII საუკუნის მეორე ნახევარი – X საუკუნის დასასრული)

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის ხელსაყრელი პირობები VIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ („მატიანე ქართლისაი“) ვკითხულობთ: „ხოლო რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა⁸⁰ აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდგა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალეულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა“⁸¹. აფხაზეთის სამეფოს შექმნასთან დაკავშირებულ საშინაო და საგარეო ფაქტორებს დიდ ყურადღებას უთმობს ვახუშტი ბაგრატიონი. მისი მოსაზრებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც მან, როგორც უფლისწულმა (1703-1724 წლებში ქართლის გამგებლისა და მეფის – ვახტანგ VI-ს შვილმა), როგორც დიდმა მეცნიერმა, ზედმიწევნით იცოდა საკუთარი ქვეყნის ისტორია და გეოგრაფიულა. აი რას წერდა ვახუშტი ბატონიშვილი აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი. რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა

80 ძველქართულში „დაიპყრა“-ს მნიშვნელობა განსხვავებული იყო და ნიშნავდა არა ძალით დაპყრობას, არამედ ფლობას (დაუფლებას), დაკავებას, თავისთან დატოვებას და ა. შ. (ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 151, 180, 293; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 567-568, და ა. შ.).

81 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 251.

თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თვისთა ხუდა წილად ქუეყანა ესე და ინოდებოდა სახელით ამით, ვიდრე ხოსროვანთ გარდავლინებამდე (გადაშენებამდე – ჯ. გ.). ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს ქრისტეს შობიდან 785 ... ესე ლეონ შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა⁸². ვახუშტი ბატონიშვილს ჰქონდა შესაძლებლობა, ესარგებლა ისეთი წყაროებითაც, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მათზე დაყრდნობით იგი კიდევ უფრო აკონკრეტებს თავის შეხედულებას და წერს, რომ ლეონ მეორემ „ხაზართა შეწევნითა გაიმკვიდრა საერისთო თვისი და მორჩილებდნენ სრულიად ეგრისი მათთა მეფისა მოყურობისათვის და პატივსა უყოფდნენ, და შემდგომად სიკუდილისა იოანესა და ჯუანშერისა განდგა ესე ლევან და დაიპყრა ძალითვე ხაზართა და მორჩილებითა ეგრისელთათა სრულიად ეგრისი ლიხის მთის იქითი ვიდრე ზღუამდე და ხაზარეთამდე და იწოდა მეფედ აფხაზეთა და მოილო საერისთოსა თვისისა სახელი ეგრისსა ზედა ქრისტეს შობიდან 786...“⁸³

ამრიგად, სურათი სრულიად ნათელია: აფხაზეთის სამეფო იყო ქვეყანა, რომელსაც VIII საუკუნის 80-იანი წლების შუახანებამდე ანუ ხოსროიანთა დინასტიის⁸⁴ წარმომადგენლების იოანესა და ჯუანშერის გარდაცვალებამდე ეგრისი ერქვა; VIII საუკუნის 50 – 80-იან წლებში ლეონ II-მ ისარგებლა ხაზართა სამხედრო მხარდაჭერით, განუდგა დასუსტებულ ბერძნებს (ბიზანტიას), დაიკავა აფხაზეთის საერისთავო. ლეონ II-ს მორჩილება გამოუცხადა ეგრისმა, რომელსაც მეფე იოანე არჩილის ძის გარდაცვალების შემდეგ ტახტის პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ეგრისისა და აფხაზეთის მშვიდობიანი გაერთიანება ეგრისელთა მეფესთან ლეონ II-ის ნათესაურმა კავშირმა განაპირობა („მორჩილებდნენ სრულიად ეგრისი მათთა მეფისა მოყურობისათვის“); გაერთიანებული სამეფოსთვის აფხაზეთის დარქმევას მემატთანე ეგრისის სამეფო დინასტიის შეწყვეტას უკავშირებს. საკუთარი საერისთავოს სახელის ეგრისზე გავრცელებით („მოილო საერისთოსა თვისისა სახელი ეგრისსა ზედა“) ლეონ II-ის გამეფებას დასავლეთ საქართველოში, აწინდელ აფხაზეთში თითქოს მეტი ლეგიტიმურობა ენიჭებოდა – აფხაზეთის

82 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 742.

83 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 795-796.

84 ხოსროიანთა (ხოსროვიანთა) სამეფო დინასტია იბერიასა და კოლხეთში სათავეს იღებს მირიან მესამისგან (265-342) და ბაგრატიონებამდე გრძელდება.

მეფე ხდებოდა არა ვინმე უცხო პირი, არამედ აფხაზეთის ერისთავი. გარდა ამისა, სახელწოდება „აფხაზეთი“ წინასწარ საფუძველს აცლიდა ეგრისის ტახტის სხვა შესაძლო პრეტენდენტს, თუნდაც თვითმარქვიას. ასეთი პრეტენდენტის გამოჩენა კი (მაგალითად, ბიზანტიიდან) სულაც არ იყო გამორიცხული. მსგავსი საფრთხის პრევენციის თვალსაზრისითაც ლეონ II-ის მიერ დასავლეთ საქართველოსთვის აფხაზეთის დარქმევის გადაწყვეტილება გამართლებული ჩანს.

ეგრისის მეფის იოანეს, აგრეთვე მისი ძმის – ჯუანშერის გარდაცვალების (787 წელი) შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოშიც, რომელსაც ფაქტობრივად თბილისის ამირები მართავდნენ, ეგრისის ტახტის კანონიერი პრეტენდენტი ხოსროიანთა დინასტიიდან არ გამოჩენილა, სავარაუდოდ, ვერც გამოჩნდებოდა. ქართლის უუფლებო მთავრებს, რომელთა მოვალეობას არაბების სასარგებლოდ ხარკის აკრეფა წარმოადგენდა, არ შეეძლოთ დასავლეთ საქართველოს საქმეებში აქტიური ჩარევა, სამეფო ტახტის დაკავება. შექმნილ ვითარებაში ლეონ II დასავლეთ საქართველოს ტახტის არაპირდაპირი, მაგრამ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ხდება. ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების მიზნით ის მარჯვედ იყენებს ხელსაყრელ საშინაო და საგარეო ფაქტორებს. საშინაო ფაქტორებში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს არაბული ოკუპაცია, ხოსროიანთა სამეფო სახლის გაურკვეველი მდგომარეობა და, რაც მთავარია, ეგრისის მეფის გარდაცვალება, პირდაპირი მემკვიდრის გარეშე სამეფო ტახტის დარჩენა; საგარეო ფაქტორებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ომებით დაკავებული ბიზანტიის მოუცლევლობასა და ხაზართა სამხედრო მხარდაჭერას.

სამეფო ტახტის დაუფლების მიზნით აფხაზეთის ერისთავის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი იყო თანმიმდევრულიც და კანონიერიც. იგი ჯერ ერისთავის, შემდეგ მთავრის, ბოლოს კი მეფის ტიტულს ატარებდა. ლეონ II-ის ტიტულის ამგვარი ევოლუცია ხდებოდა მისი ხელისუფლების თანდათანობითი განმტკიცების, დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის კვალობაზე. ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ლეონ II მეფის ტიტულს იღებს VIII საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში – „შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა“. მისი გამეფების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი ლეგიტიმურად და ცივილიზებულად მიმდინარეობდა; ტახტის პირდაპირი მემკვიდრის არარსებობას არ გამოუწვევია თვითმარქვია პრეტენდენტთა გამოჩენა და მათ შორის ბრძოლა. ლეონი მოთმინებით ელოდა სამეფო

ტახტის განთავისუფლებას, თავისი ნათესავის – მეფე იოანეს გარდაცვალებას. მხოლოდ ამის შემდეგ იკავებს ის ეგრისის სამეფო ტახტს ყოველგვარი დაპირისპირებისა და ძალადობის გარეშე. ლეონ II-ის გამეფების მთელი ეს პროცესი, რომელიც ლეგიტიმურ ჩარჩოებში მიმდინარეობდა, იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ იგი წინასწარვე იყო იოანეს მიერ ეგრისის სამეფო ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ დანიშნული. ამიტომაც „მორჩილებდნენ“ ეგრისელები და „პატივსა უყოფდნენ“ მას როგორც კანონიერ მეფეს. ეგრისის სამეფო ტახტის დაკავების კანონიერ უფლებას ლეონ II-ს აძლევდა ზემოაღნიშნული ისტორიული აქტი – არაბებთან ბრძოლის შემდეგ გარდაცვლილი მირის კუთვნილი დასავლურქართული სამეფო გვირგვინის აფხაზეთის ერისთავ ლეონ I-სთვის გადაცემა. ამ უფლების რეალიზება შესაძლებელი გახადა ეგრისის სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრის გარეშე დარჩენამ.

საგარეო ფაქტორებზე საუბრისას ქართული ისტორიული წყაროები ერთხმად უთითებენ ისეთ ხელშემწყობ გარემოებაზე, როგორცაა ბიზანტიის დასუსტება („მოუძღურდეს ბერძენნი“). ისმის კითხვა, კონკრეტულად რამი გამოიხატებოდა ბიზანტიელთა „მოუძღურება“ – დასუსტება? VIII საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტია სულაც არ იყო დასუსტებული. ქართველ მემკვიდრეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის გარემოება, რომ იმ პერიოდში ბიზანტია ენეოდა თითქმის განუწყვეტელ, მაგრამ ამასთანავე წარმატებულ ომებს არაბების, აგრეთვე ბულგარელების წინააღმდეგ და ამ ვითარებაში დასავლეთ საქართველოსათვის მას ნამდვილად არ ეცალა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიის მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა, თუნდაც უკმაყოფილება ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბების გამო ისტორიული წყაროებში არ დასტურდება. გარეგნულად კონსტანტინოპოლი მშვიდად შეხვდა აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებას. ამ აქტით გამოწვეული მთელი მისი უკმაყოფილება აფხაზეთის მეფეების, შემდგომში კი გაერთიანებული საქართველოს მეფეების მხოლოდ მთავრების ტიტულით მოხსენიებაში გამოიხატებოდა. ბიზანტია მაინც ინარჩუნებდა გავლენას დასავლეთ საქართველოზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული არაბების მხრიდან მომდინარე პოტენციური საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. აღნიშნული გარემოება განაპირობებდა ბიზანტიის საკმაოდ ლოიალურ დამოკიდებულებას დასავლურქართული სამეფოს მიმართ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო „აფხაზთა სამეფოდ“ ან „აფხაზეთის სამეფოდ“, მისი მმართველები კი „აფხაზთა მეფეებად“ („მეფე აფხაზთა“) ან „აფხაზეთის მეფეებად“ არიან მოხსენიებული. აფხაზეთის სამეფო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. აღმოსავლეთით მას ლიხის მთები ესაზღვრებოდა, დასავლეთით – შავი ზღვა; ჩრდილო-დასავლეთით სამეფოს საზღვარი მდინარე ყუბანთან გადიოდა; სამხრეთის საზღვარი ტრაპიზონამდე აღწევდა. აფხაზეთის სამეფო დაყოფილი იყო რვა საერისთავოდ: საკუთრივ აფხაზეთის, ცხომის/ცხუმის (სოხუმის), ეგრისის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის – ცენტრით შორაპანში, ვაკის – ცენტრით ქუთაისში. განსაზღვრული იყო ყველა საერისთავოს ფარგლები. ამის თაობაზე ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არლარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი რვა საერისთოდ:

დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე;

დასუა ცხომს და მისცა ეგრის-იქითი ანაკოფია ალანითურთ;

დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე;

ვინაითგან ამასვე ლეონს მოერთნენ (შეუერთდნენ – ჯ. გ.) ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამხრეთისანი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, უწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თვისი;

დასუა რაჭა-ლეჩხუმისა;

დასუა სუანეთისა;

შორაპნისავე, რიონისა და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგუეთისა;

დასუა ქუთაისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლეთისა გურიათმდე და რიონის დასავლეთი ცხენისწყლამდე⁸⁵.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მტკიცება ლეონ II-ის დროს და შემდგომ პერიოდშიც „აფხაზეთის სამეფოს აღმოსავლეთისკენ ექსპანსიის“ შესახებ⁸⁶. დასავლეთ საქართველოს ერთიანი სამეფო, როგორც უკვე ითქვა, არა იარაღის ძალით, არამედ ნებაყოფლობით ჩამოყალიბდა. ეს ფაქტი იმდენად აშკარაა, რომ შეუძლებელია მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობას, რაიმე უთანხმოებას ინვესტდეს. აფხაზეთის სამეფო ფაქტობრივად იყო ისტორიული კოლხეთის//ლაზიკის//ეგრისის სამართალმემკვიდრე. ეს გარემოება გახლდათ სამეფოს

85 ქართლის ცხოვრება, ტ. 4. გვ. 796.

86 О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 141.

დედაქალაქის ქუთაისში გადატანის ერთ-ერთი მიზეზიც. ლეონ II-ის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ქართულ ისტორიულ წყაროებში შეფასებულია არა „ექსპანსიად“ და „დამპყრობლურ“ პოლიტიკად, არამედ პროგრესულ მოვლენად. ქართველ მემკვიდრეთა კეთილგანწყობას აფხაზეთის მეფეთა პოლიტიკისადმი აქვს ერთადერთი ახსნა: მემკვიდრეები მათში ხედავდნენ არა უცხოელ დამპყრობლებს, არამედ ქართველ პოლიტიკურ ლიდერებს⁸⁷. როგორც უკვე ვნახეთ, ოძრახეს საერისთავომ უარყო თავისი ერისთავი და აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში ნებაყოფლობით გაერთიანდა.

პირველ რიგში, აფხაზეთის მეფეთა პრაქტიკული მოღვაწეობა არის უტყუარი დასტური იმისა, რომ ისინი ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ და საქართველოს ინტერესებს ემსახურებოდნენ⁸⁸. ლეონ II-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტს მისი ვაჟები თეოდოს II (806-825), დემეტრე II (825-861) და გიორგი I (861-868) იკავებენ. თეოდოს II ეხმარება ტაოკლარჯეთს აღმოსავლეთ საქართველოსათვის ბრძოლაში. დემეტრე II-ის სახელს უკავშირდება გრიგოლ ხანძთელის დახმარებით უბისის მონასტრის მშენებლობა, რის შესახებაც მოთხრობილია X საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გიორგი I-მა აფხაზეთის მეფეთაგან პირველმა დაიწყო უშუალო ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოსათვის და წარმატებითაც. მან შიდა ქართლი შემოიერთა, რომლის ერისთავად ძმისწული, ტახტის მემკვიდრე ბაგრატ დემეტრეს ძე დასვა.

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი იოანე შავლიანმა ჩაიგდო ხელში. იოანე მისმა შვილმა ადარნასემ შეცვალა. შავლიანების მეფობა 868-881 წლებს მოიცავს. ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ ბაგრატ დემეტრეს ძემ თავი ბიზანტიას შეაფარა. იმავე ბიზანტიის დახმარებით, 881 წელს მან გამეფება მოახერხა და 893 წლამდე ქვეყანას ბაგრატ I-ის სახელით მართავდა. მისი მემკვიდრე კონსტანტინე III (893-922) აქტიურად იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისთვის. ადგილობრივ ფეოდალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მან მოახერხა შიდა ქართლის შენარჩუნება და ერისთავის დანიშვნა, რომელიც უფლისციხეში იჯდა. 912 წელს კონსტანტინე III ებრძოდა ქართლში შემოჭრილ არაბებს, მაგრამ მტერს სერიოზული

87 ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე, გვ. 50; ზურაბ პაპასქირი. საქართველო. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, 2016, გვ. 334-335.
88 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 91-110.

წინააღმდეგობა ვერ გაუწია. არაბებმა მოაოხრეს ქართლი და იქაურობა დატოვეს. ამის შემდეგ კონსტანტინე III-ის პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ უფრო აქტიური გახდა. კახეთის მეფე კვირიკესთან ერთად მან ჰერეთი დალაშქრა, რის შედეგადაც აფხაზეთის სამეფოს დაქვემდებარებაში ორი სიმაგრე არიში და გავაზი⁸⁹ გადავიდა.

კონსტანტინე III-ის ინიციატივით აიგო ერდვისა და სამწევრისის ტაძრები, რის შესახებაც ამ ტაძრების კედლებზე მეფის სიცოცხლეში შესრულებული და დღემდე მოღწეული ქართული წარწერები მიუთითებენ (იხილე აქვე, ნაწილი II). კონსტანტინე III დინასტიური ქორწინებით იყო დაკავშირებული კახეთის ქორეპისკოპოსთან, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოში. მან სცადა ქართლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზის, ე. წ. ალანთა კარის (დარილის) გაკონტროლება. IX-X საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი წერდა, რომ კონსტანტინე III-მ, რომელსაც იგი „ეგრისის მეფედ“ მოიხსენიებს, „შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთის ხეობით, რათა გუგართა ქვეყანა (ქართლი-ჯ.გ.) და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა თავის ხელქვეით დაემორჩილებინა“⁹⁰. კონსტანტინე III-ის ამ განზრახვას წინ აღუდგა სომეხთა მეფე სმბატ I ბაგრატიონი (890-914), რომელმაც აფხაზთა მეფე დაამარცხა, მაგრამ თავადაც ვერ მოახერხა ალანთა კარის ახლოს მცხოვრებთა დამორჩილება. შექმნილ ვითარებაში კონსტანტინე III-მ ჩრდილოეთის მხრიდან აფხაზთა სამეფოს საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ალანთა შორის ქრისტიანობის გავრცელებით გადანწყვიტა.

კონსტანტინე III-ის პოლიტიკას წარმატებით აგრძელებდა ტახტის მემკვიდრე გიორგი II (922-957). მისი მეფობის პერიოდი ყველაზე წარმატებული ხანაა აფხაზთა სამეფოს ისტორიაში. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „იყო იგი სრული ყოვლისა სიკეთისა, სიმხნითა და ახოვანებითა; ღმრთის მოყუარე იყო, უმეტეს მაშენებელი ეკლესიათა, მონყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი, და ყოვლითა კეთილითა და სათნოებითა სრული“⁹¹. გიორგი II-მ უშუალო

89 თანამედროვე ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლები მთისძირი და ახალი სოფელი.

90 იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია. გამოსცა ვ. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1965, გვ. 109.

91 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 265.

მონანილეობა მიიღო ალანთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაში, რაც უზრუნველყოფდა აფხაზთა სამეფოს პოლიტიკური გავლენის ზრდას ჩრდილოეთ კავკასიაში. მისი ინიციატივით აშენდა აგრეთვე ჭყონდიდის (მარტვილის) საკათედრო ტაძარი, რომელიც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე სოფელ ხვაფში (დღევანდელი გუდაუთის რაიონი) გიორგი II-მ ააგო წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, რომელსაც ქართული წარწერა ამშვენებს. მისივე ინიციატივით ქიანში (დღევანდელ ჯგერდასთან, ოჩამჩირის რაიონი) აიგო ცნობილი ტაძარი. გიორგი II-მ მას ქართულწარწერებიანი ვერცხლის საცეცხლური და ხატი შესწირა.

გიორგი II-ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა საქართველოს გაერთიანებისკენ იყო მიმართული. მან ორჯერ სცადა კახეთის შემოერთება. 956 წლის ახლო ხანებში ეს საქმე თითქმის ბოლომდე მიიყვანა მეფის ვაჟმა, ქართლის ერისთავმა ლეონმა, რომელიც მამის დავალებით მოქმედებდა. გიორგი II-ის გარდაცვალების გამო, ლეონმა კახეთის შემოერთების ოპერაცია დროებით შეაჩერა და ქუთაისში დაბრუნდა. აფხაზთა სამეფოს იგი ლეონ III-ის სახელით 957-967 წლებში მართავდა, აგრძელებდა რა ქართული მიწების გაერთიანების პოლიტიკას. პირველ რიგში, მან ჯავახეთის ერისთავად თავისი ერთგული მოხელე ზვიად მარუშიანი დასვა. ამჯერადაც მეფის მოულოდნელმა გარდაცვლელბამ შეუშალა ხელი კახეთის საბოლოოდ შემოერთებას. სამეფო ტახტი დემეტრე III-მ დაიკავა. მას დაუპირისპირდა ბიზანტიიდან დაბრუნებული ძმა თეოდოსი. დემეტრე III-მ იგი შეიპყრო და თვალები დასთხარა. უსინათლო („მწუხარე“) თეოდოსი მაინც განაგრძობდა ტახტისთვის ბრძოლას და მეფის გარდაცვალების შემდეგ მიზანსაც მიაღწია. თეოდოსი III (967-975) – აფხაზეთის უკანასკნელი მეფეა. მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანა ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა. რადგანაც მეფე უშვილო იყო, ტახტის ერთადერთი მემკვიდრე მისი დისშვილი (გურანდუხტის შვილი) ბაგრატ ბაგრატიონი გახდა. როგორც ქართველთა მეფის ბაგრატ II-ისა და აფხაზთა მეფის გიორგი II-ის შვილიშვილი, როგორც ტაოს მეფის დავით III-ის შვილობილი, ბაგრატი ფაქტობრივად იყო ყველა ამ სამი ქართული სამეფო ტახტის მემკვიდრე.

აფხაზთა სამეფოს არსებობის პერიოდში ტერმინები „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ არა მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს, არამედ სამეფოში შემავალ ყველა რვა საერისთავოს, ე. ი. მთელს დასავლეთ საქართველოს და მის ქართულ მოსახლეობას აღნიშნავდნენ (იხილე აქვე ნაწილი I. 5).

ამჟამინდელი სეპარატისტები სპეკულირებენ აფხაზეთის სამეფოს თემით, ცდილობენ რა თანამედროვე გაგებით აფხაზურ (აფსუურ) სახელმწიფოდ მის გასაღებას. მსგავსი მოსაზრება ძალიან შორსაა სიმართლისაგან. სეპარატისტები მალავენ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის სამეფოს მთელი პოლიტიკური და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ჩვენამდე მოღწეული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები, არის მხოლოდ ქართული. არაქართული ეთნოსის მოღვაწეობის არანაირი კვალი არ ჩანს აფხაზეთის სამეფოს იმ ნაწილშიც კი, რომელსაც აფხაზეთის საერისთავო ეწოდებოდა და ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. აღნიშნულ ტერიტორიაზეც მხოლოდ ქართული კულტურა ფიქსირდება (იხილე აქვე ნაწილი II).

ისმის ელემენტარული კითხვა: აფხაზეთის სამეფო თანამედროვე აფხაზთა წინაპრების შექმნილი სახელმწიფო თუ იყო, რატომ არის მისი უნიკალური კულტურა მხოლოდ ქართული და არა აფსუურ-აფხაზური? ცხადია, დასმულ კითხვაზე სეპარატისტებსა და მათ „მფარველებს“ პასუხი არა აქვთ თუ „პასუხად“ არ ჩავთვლით საქართველოს ისტორიის გაყალბებისა და მითვისების მცდელობას. სეპარატისტები და ოკუპანტები საკუთარ მოსახლეობას საგულდაგულოდ უმაღავენ მრავალრიცხოვან უტყუარ მონაცემებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აფხაზთა სამეფო წმინდა ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. საპირისპირო მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი კი არ არსებობს.

I. 4. აფხაზეთის საერისთავო გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში (XI ს.- XV საუკუნის დასასრული)

აფხაზეთის სამეფო წარმოადგენდა იმ მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო ძალას, რომელმაც მეთავე საუკუნის ბოლოს კვლავ გააერთიანა უპირატესად საგარეო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დაქუცმაცებული საქართველო. ბაგრატიონთა ახალ ქართულ სამეფო დინასტიას საფუძველი ჩაუყარა დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზთა მეფემ ბაგრატ ბაგრატიონმა, რომელიც სრულიად საქართველოს ბაგრატ III-ის (978-1014) სახელით მართავდა. ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის 2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა იგი წმინდანთა დასში შერაცხა.

გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემა-

ვალი აფხაზეთის საერისთავო, ისტორიული აფხაზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის ცხოვრებაში. ისინი მუდამ მხარში ედგნენ საქართველოს მეფეებს. მოვიტანთ ერთ-ერთ მაგალითს. ბაგრატ IV-ის (1027-1072) ნახევარძმამ დემეტრემ, რომელიც საუფლისწულო მამულში – ანაკოფიაში ცხოვრობდა, სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, 1032 წელს შეთქმულება მოაწყო, ციხე-ქალაქი (ანაკოფია) კი თავის მოკავშირეს – ბიზანტიას გადასცა. შექმნილ საკმაოდ რთულ ვითარებაში ბაგრატ IV-ის მთავარი სამხედრო – პოლიტიკური დასაყრდენი და მხარდამჭერი სწორედ აფხაზეთის საერისთავო და ერისთავი ოთალო ჭაჭას-ძე იყო⁹². ამ მხარდაჭერამ დიდწილად განაპირობა შეთქმულთა დამარცხება, დემეტრე ბიზანტიაში გაიქცა. ანაკოფია კი საქართველოს მოგვიანებით – 1074 წელს დაუბრუნდა. ქართველი მეფეები ბაგრატ IV (1027-1072), გიორგი II (1072-1089), დავით IV აღმაშენებელი (1089-1125), თამარი (1184-1213), ლაშა გიორგი (1213-1223) და სხვები ხშირად ჩადიოდნენ აფხაზეთში იქაური საქმეების მოსაგვარებლად. დავით აღმაშენებლის ბიჭვინთაში ჩასვლის შესახებ მემატიაზე წერს: „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრა, და წუართნა“⁹³. თამარ მეფეს ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია ცხუმში ჰქონდა. მემატიაანის ცნობით, ზაფხულობით „მეფე თამარ ... ზოგჯერ გარდავიდეს აფხაზეთს – გეგუთსა და ცხუმს“⁹⁴. იგივეს აკეთებდა მისი მემკვიდრე გიორგი ლაშა. როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, იგი მოივლიდა სამეფოს, მოაგვარებდა საქმეებს, მერე გადადიოდა „აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს, განაგნის საქმენი მანდაურნი“⁹⁵. მოტანილი ცნობებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ თამარ მეფის დროიდან არსებული ცხუმის საერისთავო (ამანელისძეთა სამფლობელო) და აფხაზეთის საერისთავო (მარვაშიძეთა სამფლობელო) სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ.

„ქართლის ცხოვრება“ შეიცავს დიდძალ ინფორმაციას საქართველოს დასაცავად გარეშე მტრებთან ბრძოლაში ისტორიული აფხაზების აქტიური მონაწილეობის შესახებ. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებთან ერთად ისინი მონაწილეობდნენ

92 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 299.

93 ქართლის ცხოვრება, ტ. გვ. 338-339.

94 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 111. ამ შემთხვევაში მემატიაზე გულისხმობს არა საკუთრივ აფხაზეთს ვინაოთ გაგებით, არამედ დასავლეთ საქართველოს.

95 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 156.

საქართველოს სამეფოს სახელით წარმოებულ ისეთ მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში, როგორც იყო დიდგორის (1121წ.), შამქორისა (1195წ.) და ბასიანის (1203წ.) ბრძოლები თურქთა წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია ისტორიულ აფხაზთა წვლილი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით სამეფო კარის მიერ 1203-1204 წლებში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში, რომელთა შედეგად ქართველებმა ერთმანეთის მიყოლებით აიღეს რიზე, ტრაპეზუნდი, ჰერაკლეა, ლიმნია და ა. შ. აფხაზი მეომრები მონაწილეობდნენ განძის ალბაში, გარნისთან ბრძოლაში (1225წ.), მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავზე დაგეგმილ შეთქმულებაში (1246წ.) და სხვა სახელოვან ბრძოლებში⁹⁶. „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა XIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის, აფხაზეთის ფეოდალური სახლის ღირსეული წარმომადგენლის, მტერთან ბრძოლაში გამირულად დაღუპული დარდინ შარვაშიძის სახელიც⁹⁷.

საქართველოს სამეფოს ჩრდილო – დასავლეთი საზღვარი XIV საუკუნის შუახანებში ჯერ კიდევ ნიკოფსიამდე აღწევდა⁹⁸. როგორც ზემოთ ითქვა, ანტიკურ ხანაში, დაახლოებით V საუკუნემდე, მას ძველი ლაზიკა ერქვა და დღევანდელი რუსეთის ფედერაციის შავიზღვისპირა ქალაქ ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია გაერთიანებული საქართველოს შიდა ტერიტორიას წარმოადგენდა. აქ ფუნქციონირებდა და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მხოლოდ ქართულმა კულტურამ. ამავე დროს, აღნიშნულ რეგიონში არაქართული მოსახლეობის, მათ შორის აფსუა – აფხაზების პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის კვალი (წერილობითი წყაროები, არქიტექტურული ძეგლები, ტოპონიმიკა და ა. შ.), როგორც უკვე აღინიშნა, არ არსებობს. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მონღოლთა მონოლის შედეგად აფსუები (აბზოა), რომლებიც I საუკუნეში, პლინიუს უფროსის ცნობით, ვოლგისპირეთში ასტრახანის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ⁹⁹, დაიძრნენ სამხრეთ – დასავლეთის მიმართულებით, შემოვიდნენ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში, მაგრამ ჯერ ვერ მიაღწიეს აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიამდე.

96 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 123-124.

97 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 192-194.

98 ქართლის ცხოვრება, ტ.2, გვ. 103, 168, 243; ტ. 4, გვ. 179, 259, 260 და ა. შ.

99 В.В. Латышев. Известия древних писателей, т. II, выпуск I. Санкт-Петербург, 1904, с. 180.

მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ, რომელიც XIII საუკუნის შუახანებიდან XIV საუკუნის შუახანებამდე გრძელდებოდა, სათავე დაუდო ქართული სამეფოს ერთიანობის რღვევის პროცესს. საქართველოს დეზინტეგრაციის პროცესი ფაქტობრივად მონღოლების მიერ ორმეფობის შემოღებით (1247-1248 წლები) იწყება. მეფე დავით VI ნარინი (1247-1293) მის მიერ მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების (1259 წელი) დამარცხების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ადგილობრივმა დიდებულებმა იგი აფხაზეთის მეფედ გამოაცხადეს. ამის თაობაზე „ქართლის ცხოვრება“ შემდეგ ცნობას გვანდის: „ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე ყვეს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე“¹⁰⁰. დავით ნარინი აღდგენილი აფხაზეთის სამეფოს პირველი მეფეა.

დეზინტეგრაციული პროცესები გაგრძელდა დავით VI ნარინის გარდაცვალების შემდეგაც. აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ძე კონსტანტინე (1293-1327) ავიდა. მეფეს საკუთარი ძმა მიქელი აუჯანყდა. ტახტისთვის გაჩაღებულმა ბრძოლამ დასავლეთ საქართველოს სამეფოს ერთიანობაც შეარყია. შექმნილი ვითარების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „იხილა დადიანმან გიორგიმ ესევითარება მათ შორის (მეფე კონსტანტინესა და მიქელს შორის დაპირისპირება – ჯ. გ.), მაშინ მიიტაცა საერისთო ცხომისათა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე, ეგრეთვე შარვაშიძემ – აფხაზეთი და გურიელმან – გურია და სუანთა ერისთავმან სუანეთი და და განიძკვიდრეს თვისად და არლარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა. ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი და დაჯდა მის წილ ძე მისი მამია და ამან უმეტესად დაიპყრა ოდიში“¹⁰¹. ამრიგად, XIII – XIV საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ანაკოფიამდე (ახალი ათონი) სამეგრელოს (ოდიშის) შემადგენლობაშია. ცხუმის საერისთავოს „მიტაცებით“ გიორგი I დადიანმა (1300-1323) და მისმა მემკვიდრემ მამია I (1323-1345) „უცხო ქვეყნის“ ტერიტორია კი არ მიითვისეს, არამედ, როგორც ვახუშტი ამბობს, „სრულიად ოდიში“ დაიკავეს. ანაკოფიის იქით აფხაზეთის საერისთავო მდებარეობდა. ამ ტერიტორიასაც, ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ადრე ეგრისი ერქვა, მაგრამ შემდგომში ქართველებმა მას აფხაზეთი უწოდეს (იხილე

100 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 229.

101 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 801.

აქვე ნაწილი I. 2. და I. 3.). ვახუშტი ზუსტად უთითებს აფხაზეთის საერისთავოს საზღვრებს: „ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლეთით ზღუა და კაპპეტის მდინარე (ბზიფი – ჯ. გ.). არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამხრით ზღუა შავი. სიგრძე ამის არს ანაკოფიამდე კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღვიდამ კავკასის თხემამდე“¹⁰². როგორც ვხედავთ, აფხაზეთის საერისთავოს ადმინისტრაციული საზღვარი აღმოსავლეთის მხრიდან ანაკოფიის (ახალი ათონის) დასავლეთით იწყებოდა და მდინარე ბზიფამდე ვრცელდებოდა, რაც თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორიას შეადგენს. ოდიშის შემადგენლობაში ის უშუალოდ არ შემოდიოდა, მაგრამ მაინც სამეგრელოს მთავრებს ემორჩილებოდა, რადგანაც დადიანები XII-XIII საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდლებიც იყვნენ¹⁰³.

საქართველოს სახელგანთქმულმა მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ (1313-1346) ქვეყანა მონღოლთა უღლისაგან გაანთავისუფლა და მის გამთლიანებას შეუდგა. მან მოახერხა პოზიციების განმტკიცება დასავლეთ საქართველოშიც, სადაც ანარქია სუფევდა. კონსტანტინეს გარდაცვალების (1327 წ.) შემდეგ ტახტზე ასული მისი ძმისა და მონინალმდევის მიქელის მეფობამ მხოლოდ ორი წელი გასტანა. მიქელის მცირეწლოვანმა მემკვიდრემ ბაგრატმა მეფედ კურთხევა ვერ გაბედა. რეგიონში განუკითხაობის ხანა დადგა. დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა დახმარებისთვის გიორგი V-ს მიმართეს. მეფემაც არ დააყოვნა, 1330 წელს დიდძალი ჯარით იგი დასავლეთ საქართველოში გადმოვიდა და ქუთაისში ჩავიდა. ბაგრატ უფლისწულმა გიორგი V-ს ქუთაისისა და მთელი იმერეთის ციხე-სიმაგრეები გადასცა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით, „ამისნი მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სუანთა ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მოერთნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა. მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო“¹⁰⁴. ამრიგად, მეფემ ცხუმის საერისთავო ოდიშს დაუმტკიცა, როგორც თავიდანვე მისი კუთვნილი ტერიტორია. რაც მთავარია, გიორგი V ბრწყინვალემ სრულიად საქა-

102 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 783-784.

103 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ.132.

104 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 257-258, 801-802.

რთველო კიდევ ერთხელ გააერთიანა. დროებით აღდგენილმა დასავლეთ საქართველოს/აფხაზეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა; მთელი ძალაუფლება ერთი მეფის ხელში მოექცა. გიორგი ბრწყინვალეს მეფობის წლებში გარდაიცვალა მამია I დადიანი, რომლის მფლობელობაში იყო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მეტი ნაწილი ანაკოფიამდე. ამის შემდეგ მეფემ დადიანობა მამიას ძეს – გიორგი II-ს (1345-1384) უბოძა.

გიორგი V ბრწყინვალეს კურსი მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს. დიდი მეფის უშუალო მემკვიდრე იყო მისი ძე დავით IX (1346-1360). ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი დავით მეფედ. შემოკრბნენ კათალოკოზ-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსიით, სპერიით, დარუბანდამდე და აკურთხეს მეფედ. ამან დავით მეფემან დაიპყრნა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თვისისა და მატა უმეტეს შენებასა ეკლესიასა და ციხესიმაგრეთა, რომელნი მოხრებულ იყვნენ და დაუშთნეს ბრწყინვალესა მეფესა გიორგისა, ვინაითგან მოსცნა ღმერთმან ჟამნიცა მშვიდობისანი“¹⁰⁵. ამ შემთხვევაში ქართულ საისტორიო წყაროებში საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად ნიკოფსია უკანასკნელად ფიქსირდება, შესაბამისად, ენგურ-ფსოუს მონაკვეთი კვლავაც რჩებოდა საქართველოს არა განაპირა მხარედ, არამედ ქვეყნის შიდა ტერიტორიად.

დავით IX-ს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი მისმა მემკვიდრემ ბაგრატ V-მ (1360-1393) დაიკავა. გამეფების მეორე წელს მას მოუწია განდგომილ სვანთა დაშოშმინება. ამ მიზნით მეფემ ქუთაისში „შემოიკრიბნა სპანი გიორგიისანი“, რომელთა შორის იყვნენ „დადიანი, გურიელი და აფხაზნი...“¹⁰⁶ 1386 და 1387 წლებში, როდესაც ბაგრატ V საქართველოში ორჯერ შემოჭრილ თემურ ლენგის ურდოებს ებრძოდა, მოხერხდა განდგომილ ოდიშართა და აფხაზთა დამორჩილება¹⁰⁷. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ ნიკოფსია არა, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია კვლავაც საქართველოს მეფის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ბაგრატის მემკვიდრე გიორგი VII (1393-1407), რომელმაც 1394-1403 წლებში თემურ ლენგის კიდევ ექვს შემოსევას გაუძლო, ასევე ინარჩუნებდა საქართველოს ერთიანობას. მან აღადგინა ნესრიგი დასავლეთ საქართველოში, სადაც ტახტის მაძიებლები და აფხაზეთის სამეფოს აღდგენის მსურველები გამოჩნდნენ. როგორც კი თემურ-ლენგთან ომი დასრულდა, გიორგი VII

105 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 260.

106 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 261.

107 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 342.

„შთავიდა სპითა და დაიპყრა ყოველი იმერეთი, მოერთუნენ ყოველნი წარჩინებულნი: დადიანი მამია, გურიელი, შარვაშიძე, სუანნი“¹⁰⁸. ვამეყ I-ს (1386-1396) გარდაცვალების შემდეგ სწორედ გიორგი VII-მ დასვა დადიანად მამია II (1396-1414), „ამანვე მეფემან მიუბოძა საერისთო ცხომისა დადიანს მამიას ერთგულობისათვის“¹⁰⁹, - წერდა ვახუშტი ბატონიშვილი. ამის შემდეგ ცხუმის საერისთავო წყაროებში არ მოიხსენიება. ყოფილი საერისთავოს ტერიტორია კი ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა.

თემურ ლენგის შემოსევებმა საქართველო უკიდურესად დაასუსტა. მიუხედავად ამისა, მეფე ალექსანდრე I (1412-1443) დიდმა ქვეყანა გააძლიერა და მისი ერთიანობაც განამტკიცა. ძალიან მალე მეფე თავისი მხედრობით დასავლეთ საქართველოში ჩავიდა, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. 1414 წელს მამია II დადიანმა ძალის გამოყენებით სცადა აფხაზეთის საერისთავოს ოდიშისთვის მიერთება, მაგრამ უშედეგოდ – თვითონაც საკუთარ ავანტიურას ემსხვერპლა. მეფის ნებართვის გარეშე სხვა საერისთავოს წინააღმდეგ გალაშქრება საქართველოს სამეფო კარის წინაშე დანაშაულად ითვლებოდა. შეიტყო რა მომხდარის შესახებ, ალექსანდრე I თავისი ჯარით ოდიშისკენ გამოემართა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო შთასრულსა ოდიშს მოეგება მეფესა ძე მამია დადიანისა ლიპარიტ და ითხოვდა შენდობასა, უკეთუ სცოდა რაი მამამან მისმან. შეუნდო მეფემან, რამეთუ იყო ტკბილ და მოწყალე და არარაი ვის ავნო; გარნა ლიპარიტ აღიყვანა პატივსა მამისა. მერმე წარვიდა აფხაზეთს და წარიყვანა ლიპარიტ დადიანი. მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა; განაგნა მუნებურნი და დაამშვიდა იგინი და მოვიდა ქუთაისს. შემოკრებული იმერ-ამერთა დიდებულთა და კათალიკოზთა და ეპისკოპოსთაგან ეკურთხა მეფედ“¹¹⁰.

აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის საქართველოს სახელმწიფოსადმი, ხოლო სოხუმის საერისთავოს სამეგრელოს სამთავროსადმი კუთვნილება დადასტურებულია როგორც ქართულ¹¹¹, ისე მრავალრიცხოვან უცხოურ, მათ შორის რუსულ წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში. უცხოური წყაროებიდან შეიძლება მოვიტანოთ ცნობები XIII-XIV საუკუნეების არაბი მეცნიერისა და პოეტის აბულ – ფიდას „გეოგრაფიიდან“. მასში მოხსენიებულია „ქართული ქა-

108 ქართლის ცხოვრება, ტ.4, გვ. 275, 804-805.

109 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 268-269.

110 ქართლის ცხოვრება, ტ.4, გვ. 278.

111 ქართლის ცხოვრება, ტ. 4. გვ. 258, 269, 801.

ლაქი სოხუმი“; ასევე აღნიშნულია, რომ ქალაქი აფხაზი, რომელიც თანამედროვე სოჭთან მდებარეობდა, „არის ქართველთა ერთ – ერთი პორტი“¹¹². კიდევ ერთი არაბი ისტორიკოსის ალ – მუჰიბის (XIV ს.) ცნობების მიხედვით, „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავითი და დადიანი (დადიანი – ჯ.გ.) მეფე, რომელიც განაგებს სოხუმსა და აბზაზს“. იგივეს იმეორებს XV საუკუნის არაბი ისტორიკოსი და ენციკლოპედისტი ალ – კალკაშანდი¹¹³. ვენეციელი ვაჭარი და დიპლომატი იოსოფატ ბარბარო, რომელიც 1436 – 1451 წლებში ტანაში (ქალაქი აზოვი) იმყოფებოდა, წერდა, რომ „სამეგრელოს ხელმწიფე ბენდიანად იწოდება და შავ ზღვაზე ფლობს ორ დიდ სიმაგრეს – ბათუმსა და სოხუმს“. ამ უკანასკნელს იგი ანტიკური პერიოდის სახელით – სევასტოპოლად მოიხსენიებს¹¹⁴.

სამეგრელოს სამთავროსადმი სოხუმის კუთვნილება და იქ ქართული მოსახლეობის მკვიდრობა დადასტურებულია ამ ქალაქში 1354-1475 წლებში არსებული გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის მასალებში¹¹⁵. სეპარატისტები ეწევიან გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის თემის უხეშად გაყალბებას. შეგნებულად ითვისებენ და ამახინჯებენ რა ქართველთა ისტორიას, ისინი ცდილობენ თავი მოიწონონ ადრე შუასაუკუნეებში ევროპასთან და, კერძოდ, გენუასთან თანამედროვე აფსუა – აფხაზთა წინაპრების სავაჭრო – ეკონომიკური კავშირების არსებობით¹¹⁶. საქმის ვითარება კი სულ სხვანაირად იყო. ცნობილია, რომ XIII-XIV საუკუნეებში შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ვაჭრობაში თავდაპირველად ვენეციელები გამოირჩეოდნენ, რომლებსაც 1319 წლიდან ტრაპიზონში, 1333 წლიდან კი ტანაში საკუთარი ფაქტორიები ჰქონდათ. აღნიშნულ ფაქტორიებთან სოხუმელი ქართველებიც ვაჭრობდნენ. მიხეილ VIII პალეოლოგოსთან (ნიკეის იმპერატორი 1259 წლიდან და ბიზანტიის იმპერატორი 1261-1282 წლებში) 1261 წელს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების წყალობით, XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ვაჭრობაში პირველობა თანდათანობით გენუელთა ხელში გადავიდა. საქართველოს შავიზღვისპირეთი, განსაკუთრებით

112 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 220 – 221, 589 – 590.

113 XIV–XV საუკუნეების არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო დ. გოჩალეიშვილმა. თბილისი, 1988, გვ. 53, 56.

114 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 226 – 227, 595 – 597.

115 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 139-145.

116 О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, с. 174-180.

ქალაქი სოხუმი/სევასტოპოლი იმთავითვე გენუელთა ინტერესების სფეროში მოექცა. ცნობილია, რომ ამ ქალაქში 1280 წელს ერთმა გენუელმა მეორისაგან სავაჭრო ხომალდი „Mugetto“ შეიძინა. ყიდვა – გაყიდვის აქტივ გენუელმა ნოტარიუსმა სოხუმშივე დაამტკიცა.

XIV საუკუნის დასაწყისიდან გენუელთა კოლონია იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ სოხუმში კათოლიკე ეპისკოპოსებიც კი ინიშნებოდნენ. მათი ვინაობა კარგად არის ცნობილი. ჩვენამდე მოაღწია ეპისკოპოს პეტრუს გერალდის მიერ სოხუმიდან 1330 წელს ინგლისში კენტერბერის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილმა წერილმა. ავტორი მასში აღნიშნავს, რომ ის იმყოფება „ქვემო საქართველოს“ (inferioris Georgiane) ქალაქ სევასტოპოლში (სოხუმში). პეტრუს გერალდის მიხედვით, სოხუმში ქართველები ცხოვრობდნენ, რომლებისგანაც ის მოწყალებასაც იღებდა; იმ ქვეყნის მბრძანებელი, სადაც ის მოღვაწეობს, იმავდროულად „სრულიად საქართველოს მხედართმთავარიც არის“, და ა. შ.¹¹⁷. პეტრუს გერალდი გულისხმობდა სამეგრელოს სამთავროს (რომელსაც ეკუთვნოდა სოხუმი) და მის მთავარს მამია I დადიანს (1323 -1345), რომელიც დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდალიც იყო. პეტრუს გერალდი და სოხუმის სხვა კათოლიკე ეპისკოპოსები, რომლებიც XV საუკუნის ბოლომდე ინიშნებოდნენ, თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს საერთოდ არ იცნობდნენ, რადგანაც ქალაქში ისინი ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ.

სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები გენუასა და საქართველოს შორის ბევრად უფრო ინტენსიური გახდა 1354 წლიდან, როდესაც სამეგრელოს მთავრის გიორგი II დადიანის (1345-1384) ნებართვით, გენუელებმა სოხუმის თვითმმართველი ფაქტორია დაარსეს. იგი 1475 წლამდე წარმატებით ფუნქციონირებდა და სხვა შავიზღვისპირა ფაქტორიებთან ერთად გენუაში არსებულ სპეციალურ უწყებას „ოფიცოუმ გაზარია“-ს ექვემდებარებოდა. 1398 წლიდან „ოფიცოუმ გაზარია“ შავიზღვისპირა ფაქტორიებს კაფას (ფეოდოსია) კონსულის მეშვეობით მართავდა. სოხუმის კონსულსაც ეს უკანასკნელი ნიშნავდა ადგილობრივ მმართველთან – ბედიანთან შეთანხმებით¹¹⁸. 1453 წლის ნოემბრიდან გენუელთა ფაქტორიების მართვის უფლება „წმინდა გიორგის ბანკს“ გადაეცა. გენუელთა სოხუმის ფაქტორიის საქმი-

117 ვ. კიკნაძე. ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბილისი, 1983, ტ. 243, გვ. 101-103.

118 ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, I, გვ. 81.

ანობის შესახებ არაერთი ისტორიული წყარო მოგვითხრობს. ისინი ადასტურებენ, რომ გენუელებს სოხუმში ურთიერთობა მხოლოდ ქართველებთან ჰქონდათ, მათთან აგვარებდნენ სადაო საკითხებსაც. ასე იყო სოხუმის ფაქტორიის დაარსებიდან მის გაუქმებამდე. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. 1465 წლის მაისში „წმ. გიორგის ბანკის“ პროტექტორები კაფას კონსულისაგან მოითხოვდნენ, რომ სოხუმში ფრთხილად ემოქმედათ, არ გაეკეთებინათ „ისეთი რამ, რაც სამეგრელოსთან ვაჭრობის საქმეს გააფუჭებს“. იმავე ბანკიდან 1472 წლის ივნისში კაფაში გაგზავნილი ინსტრუქცია, ქართველებსა და გენუელებს შორის კონფლიქტის მოგვარების მიზნით, მოითხოვდა „ელჩის გაგზავნას ბატონ ბენდიანოს შვილთან“. „წმ. გიორგის ბანკის“ პროტექტორები 1472 წლის 15 დეკემბრის ინსტრუქციაში, რომელიც ასევე კაფაში გაიგზავნა, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, „რომ თქვენ იმედი გაქვთ, დადებით ზავს ბატონ ბენდიანთან, სამეგრელოს მთავართან „¹¹⁹. ბანკის მიერ 1475 წლის 4 დეკემბერს კაფაში გაგზავნილი ინსტრუქციიდან ირკვევა, რომ მხარეებს კონფლიქტი უკვე მოუგვარებიათ. მასში ნათქვამია: „თქვენ კარგად მოაგვარეთ საქმე ბენდიანთან, სამეგრელოს მთავართან.“¹²⁰ „ბენდიანო“, „ბენდიანოს შვილი“ ნამდვილად არიან სამეგრელოს მთავრები ლიპარიტ I დადიანი (1414-1470), მისი მემკვიდრე შამადავლე დადიანი (1470-1474) და ვამეყ II დადიანი (1474-1482).

ამრიგად, გენუელთა საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების მიხედვითაც, XIII – XV საუკუნეების სოხუმი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შემავალი ქართული ქალაქია, სადაც თვითმმართველი სავაჭრო ფაქტორია, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები ფუნქციონირებდნენ. შესაბამისად, ვენეციელები და გენუელები ურთიერთობდნენ სოხუმელ ქართველებთან, რეგიონის მმართველ დადიანებთან და არა თანამედროვე აფხაზთა წინაპრებთან, როგორც ამის თაობაზე ცრუობენ ამჟამინდელი სეპარატისტები.

ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების (1453 წ. 29 მაისი) შემდეგ ვითარება შავი ზღვის აუზში მკვეთრად შეიცვალა. სოხუმს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ როგორც ოსმალები, ისე „ავოგაზები“ – თანამედროვე აფხაზთა წინაპრები. იმჟამად ისინი აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის მიღმა ცხოვრობდნენ (იხილე 1318 წლის პეტრუს ვესკონტეს, 1367 წლის ძმების პიციგანების, 1563 წლის

119 Т. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси, 1989, с. 110.

120 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 144.

ჯაკომო დე მაჯალოს და სხვათა რუკები)¹²¹. ცნობას ოსმალებისა და ავოგაზების თავდასხმის შესახებ შეიცავს სოხუმის გენუელი კონსულის ჯერარდო პინელის მიერ 1454 წლის მეორე ნახევარში იტალიაში გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მე ჩავიბარე სევასტოპოლის (სოხუმის-ჯ.გ.) კონსულობა... დაყავი აქ მცირე ხანი... მოულოდნელად მას თავს დაესხნენ ავოგაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა თავი გადაერჩინა. მეც მათ მივბაძე. ავოგაზებს უნდოდათ უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ ჩემს ჩასვლამდე თურქები დაესხნენ თავს და გაძარცვეს ეს ქალაქი“¹²².

1475 წელს ოსმალებმა კაფასა და ყირიმში არსებული გენუელთა ფაქტორიები დაიკავეს. ამის შემდეგ სოხუმის ფაქტორიამაც არსებობა მალევე შეწყვიტა. მისი საქმიანობის ამსახველი მასალები, შუასაუკუნეების აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის ანგარიშგასანვე პირველწყაროს წარმოადგენს. ისინი ცალსახად მიუთითებენ, რომ მაშინდელი სოხუმი დადიანებს ეკუთვნოდა და იქ ქართველები ცხოვრობდნენ. სწორედ იმათ ჰქონდათ სავაჭრო – ეკონომიკური კავშირები გენუელებთან. თანამედროვე აფხაზთა წინაპრების „ურთიერთობა“ გენუელებთან მათზე თავდასხმაში და ძარცვაში გამოიხატა, რამაც სხვა მიზეზებთან ერთად სოხუმის გენუელთა ფაქტორიის დახურვა განაპირობა.

XV საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას ახდენდა მონღოლთა მიერ თავის დროზე ვიწრო ხეობებში შერევილ კავკასიელ მთიელთა თანდათანობითი ჩამოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს პროცესი XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობდა, მისი გააქტიურება კი პირდაპირ კავშირშია ბიზანტიის დაცემასთან და ოსმალო-თურქების შავ ზღვაზე გაბატონებასთან. მთიელთა ექსპანსიის შედეგი ერთ-ერთმა პირველმა სოჭი-ტუაფსეს მონაკვეთმა განიცადა, რომელიც ფაქტობრივად ჩამოშორდა სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებთან ომებში დასუსტებულ საქართველოს.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოზე კონტროლის დაკარგვას და მთიელთა ჩამოსახლებას შავ ზღვაზე მეკობრეობის აღორძინება მოჰყვა. საჭირო გახდა ზომების მიღება. მეკობრეთა ალაგმვას ისახავდა მიზნად ვამეყ II დადიანის (1474-1482) ლაშქრობა ჯიქეთში. ცნობა

121 Джемал ГамахARIA, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 823-835.

122 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 135-136.

ამის შესახებ ხობის მონასტრის ეკვდერის ლაპიდარულმა წარწერამ შემოინახა. როგორც ჩანს, ოდიშის მთავარმა მთელი ჯიქეთი აზოვის ზღვამდე მოარბია, მისი ყველა ციხე-სიმაგრე დაანგრია; ერთგულებს მძევლები ჩამოართვა, მტრულად განწყობილები დახოცა. ვინაიდან მთიელთა ჩამოსახლების გამო ქრისტიანობა ჯიქეთში შესუსტდა და იქ არსებული ეკლესიები დაცარიელდა, ოდიშის ერისთავმა მიტოვებული ტაძრებიდან ბიზანტიური სტილის მარმარილოს სვეტისთავები, ჩუქურთმიანი ქვები წამოიღო, რომლებითაც ხობის, ნალენჯისა და სხვა ტაძრები გაამშვენიერა¹²³. ვამეყ II დადიანის ჯიქეთში ლაშქრობამ მეკობრეობა შავ ზღვაზე დროებით შეამცირა, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ჩერქეზულ-ადიღეური ტომების ექსპანსია ვერ შეაჩერა.

საქართველოს მდგომარეობაზე მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა ისეთმა მოვლენამ, როგორიც იყო 1453 წელს ისტორიული ასპარეზიდან ბიზანტიის ათასწლოვანი იმპერიის გაქრობა. „და ოდეს აღიღეს კოსტანტინეპოლი, მას ჟამსა დაბნელდა მზე“¹²⁴, – ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“. აღნიშნულ მოვლენას მოჰყვა გამოხმაურება მთელს ქრისტიანულ სამყაროში. გაჩნდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნისა და კონსტანტინოპოლის განთავისუფლების იდეა, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ რომის პაპები კალიქსტუს III (1455-1458) და პიუს II (1458-1464). კოალიციის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად 1459 წელს საქართველოში პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი ჩამოვიდა. საქართველოსათვის მისაღები და მომხიბვლელიც აღმოჩნდა კოალიციის იდეა. იმავე წლის 5 ნოემბერს საქართველოს მეფემ გიორგი VIII-მ და სხვა ქართველმა მთავრებმა შეთანხმებასაც მიაღწიეს ქრისტიანობის მტრების – ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ქართველებს 70 ათასზე მეტი მეომარი გამოჰყავდათ, ტრაპიზონის სამეფოს – 30 ათასი. ლუდოვიკო ბოლონიელთან ერთად ევროპაში საქართველოს ელჩობაც გაემგზავრა, რომელიც 1460 წელს რომის პაპმა მიიღო. ელჩობის ამსახველი ლათინურენოვანი მასალები შეიცავენ საინტერესო ინფორმაციას XV საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების, ცალკეული სამთავროებისა და საერისთავოების შესახებ. ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს (იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს) ალექსანდრე I დიდის ძმისწული ბაგრატი განაგებდა. ზოგიერთ დოკუმენტში

123 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 134.

124 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 475.

დადიანი (ბენდიანი) ასეთი ტიტულით მოიხსენიება: „სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე“ („Bendas rex Mengrelia et Abasiae“). აფხაზეთის საერისთავო ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, თუმცა მისი ერისთავი სამეგრელოს მთავარს ემორჩილებოდა. ალბათ, ეს იგულისხმება დადიანის ზემოაღნიშნულ ტიტულში. ლათინურ დოკუმენტში აფხაზეთის ერისთავი რაბია ანაკოფიის დუკას ტიტულით არის მოხსენიებული („Rabia dux Anocaciae“)¹²⁵.

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გეგმა ჩაიშალა, ევროპის ქვეყნები ამისთვის მზად არ აღმოჩნდნენ. აღნიშნული გეგმის ჩაშლამ ვითარება საქართველოში უკიდურესად დაძაბა, რეგიონებს შორის 1459 წელს მიღწეული ერთიანობა დაირღვა და ქვეყანა გარედან ინსპირირებულმა შიდაომებმა მოიცვა. დასავლეთ საქართველოში ალექსანდრე I დიდის ძმისწული ბაგრატი დომინირებდა, მას მხარს უჭერდნენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის მმართველები. 1463 წელს ბაგრატი ჩიხორთან (თერჯოლის მუნიციპალიტეტში) გამართულ ბრძოლაში საქართველოს მეფე გიორგი VIII (1446-1466) დაამარცხა¹²⁶. ქუთაისში გამარჯვებით დაბრუნებულს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, „მოერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო ჩინებითა მეფედ ... იქმნა იმერეთი მიერთ ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ ანუ სათავადოდ, რამეთუ მიიღო დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოვანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ“¹²⁷. 1466 წელს ბაგრატი აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა, დაიკავა შიდა ქართლი და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ისტორიაში ის ბაგრატ VI-ის (1463-1478) სახელით შევიდა, თუმცა როგორც იმერეთის მეფე, ბაგრატ II-ის სახელითა ცნობილი. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბაგრატ VI იყო სახელოვანი მეფე, „ჰქონდა ქართლი, სომხითი, ჰმონებდნენ პიტიახში ლორისა, კახეთისა, შირვანისა და სამცხისა, და ყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიულნი, კავკასიანნი. ამასა შინა უკუდგნენ დადიანი, გურიელი და უკუიტანნეს ოდიშარნი და აფხაზნი, შეიყარნეს ერთად და და არღარა მსახურებდეს ბაგრატ მეფესა“. ეს მოხდა 1477 წელს, როდესაც ბაგრატ VI-ს დაუპირისპირდა ვამეყ II

125 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3. თბილისი, 1979, გვ. 737-739; ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 136-137.

126 ამის შემდეგ გიორგი VIII აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა, დაუდორა სათავე კახეთის სამეფოს და მის სამეფო დინასტიას.

127 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 805.

დადიანი. ამ უკანასკნელმა „შემოიკრიბნა აფხაზი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა იმერეთსა“¹²⁸. მეფემ ამბოხებულები დაამარცხა და კვლავ დაიმორჩილა.

ბაგრატ VI-ს გარდაცვალების (1478 წ.) შემდეგ ქართლის სამეფო ტახტი ალექსანდრე I დიდის შვილიშვილმა კონსტანტინე II-მ (1479-1505) დაიკავა. დადიანმა, გურიელმა, შარვაშიძემ და გელოვანმა ქართლის მეფე გაერთიანებული ძალებით დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანეს, რის შემდეგაც მოკავშირეებმა სრულიად საქართველოს გაერთიანება გადაწყვიტეს. ამ მიზნით 1481 წელს ერთობლივად გაილაშქრეს სამცხის ათაბაგის წინააღმდეგ და დაამარცხეს იგი. დაიმორჩილა რა სამცხე-ჯავახეთი, კონსტანტინე II სრულიად საქართველოს მეფე გახდა. მან „მოიმორჩილნა იმერელი, ოდიშარნი, აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა“¹²⁹. ქვეყნის ერთიანობა მალე დაირღვა. 1483 წელს კონსტანტინე II სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე III-მ დაამარცხა. ამით ისარგებლა ბაგრატ VI-ის ვაჟმა ალექსანდრემ, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა, და დასავლეთ საქართველოს ტახტს დაეუფლა. მიუხედავად დადიანის, გურიელის, შარვაშიძისა და გელოვანის მხარდაჭერისა, 1487 წელს კონსტანტინე II-მ დასავლეთ საქართველო ვერ დაიბრუნა. უფრო მეტიც, 1488 წელს მას მოუწია ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრილ ირანელ (აკ-კოინლუს) მბრძანებელთან იაკუბ ხანთან (1478-1490). ამ ვითარებაში ალექსანდრემ მოახერხა იმერეთში საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება. იგი „დაეზავა დადიან-გურიელსა. ამით დაიმშვიდა იმერეთი და დაიპყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა“¹³⁰. ალექსანდრე II -ის (1484-1510) შემდეგ იმერეთის მეფეთა დინასტია XIX საუკუნის დასაწყისამდე უწყვეტად გრძელდებოდა. 1490 წელს კონსტანტინე II-მ სამეფო დარბაზის რეკომენდაციით დროებით, ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე, ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა შეწყვიტა. საქართველო დე-ფაქტო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაიშალა. ქვეყნის ერთიანობის რღვევა, უპირველეს ყოვლისა, გარემო ფაქტორებითა და ამ ფაქტორების ზეგავლენით გამოწვეული ნეგატიური შიდა პროცესებით იყო განპირობებული.

ამრიგად, აფხაზეთის საერისთავო XV საუკუნის ბოლომდე ერთიანი საქართველოს ან იმერეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილს წარ-

128 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 342; ტ. 4, გვ. 807.

129 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 343.

130 ქართლის ცხოვრება, 4. გვ. 809.

მოადგენდა. სხვა ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებთან (ოდიშთან, გურიასთან, სვანეთთან) ერთად ის აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნაში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ პროცესებში. აფხაზეთი კვლავაც ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა სამეგრელოსთან, შესაბამისად, შარვაშიძე მუდამ დადიანის გვერდით იდგა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ანაკოფიამდე სამეგრელოს ორგანულ ნაწილად რჩებოდა. მისი ჩრდილო-დასავლეთი – აფხაზეთის საერისთავოსა და ჯიქეთის სახით, შარვაშიძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა.

I. 5. ტერმინები „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ შუა საუკუნეების უცხოურ ლიტერატურაში და ისტორიის თანამედროვე ფალსიფიკატორები

„აფხაზეთი“ და „აფხაზი“ ტერმინების მნიშვნელობა შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე განსხვავებული იყო. თავდაპირველად ამ ტერმინებით მხოლოდ აფხაზეთის საერისთავო და მისი ქართული მოსახლეობა აღინიშნებოდა. აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ უკვე დასავლეთ საქართველოს და მის ქართულ მოსახლეობას აღნიშნავდნენ. X საუკუნის ბოლოდან ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, ტერმინებმა „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ სრულიად „საქართველო“-სა და „ქართველი“-ს მნიშვნელობაც შეიძინეს¹³¹. ხსენებულ ტერმინთა მნიშვნელობის გაფართოებას თავისი კონკრეტული მიზეზი და ახსნა გააჩნია. ვინაიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენა აფხაზეთის მეფის წინამძღოლობით განხორციელდა, როგორც ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა (იხილე აქვე ნაწილი I. 3), ბაგრატ III-ისა და საქართველოს სხვა მეფეთა ტიტულატურა იწყებოდა სიტყვებით – „მეფე აფხაზთა...“ შემდეგ მოდიოდა სხვა რეგიონებისა და ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების ჩამონათვალი იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მოხდა გაერთიანებული საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მათი მოქცევა. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, 1014 წლისთვის ბაგრატ III-ის ტიტულატურა ასე გამოიყურებოდა: „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოისა

131 „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ ტერმინების მნიშვნელობა ბერძნულ, სომხურ, რუსულ, ევროპულ და აღმოსავლურ წყაროებში უფრო ვრცლად არის განხილული ნიგნში: ნინო ჯაველიძე. აფხაზეთი და აფხაზნი. თბილისი, 2016, გვ. 140-230.

და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი¹³². უცხოელი ავტორები კი საქართველოს მეფეებს ხშირად არა სრული ტიტულატურით, არამედ შემოკლებით, „აფხაზთა მეფეებად“, ხოლო ქვეყანას აფხაზეთად მოიხსენიებდნენ. სწორედ ამის გამო მოხდა ტერმინების „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ მნიშვნელობის გაფართოება.

XI-XV საუკუნეების ბიზანტიელი ავტორები „საქართველოსა“ და „ქართველის“ აღსანიშნავად ხშირად იყენებდნენ ტერმინებს აფხაზეთი//აბაზგია და აფხაზი//აბაზგი¹³³. ასე მაგალითად, XI საუკუნის ბიზანტიელი ქრონოგრაფი გიორგი კედრენე საქართველოს მეფეს გიორგი პირველს (1014-1027) აფხაზეთის არქონტად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ (1025-1028) თავისი ძმისშვილი ელენე აფხაზეთში (ანუ საქართველოში) გაგზავნა როგორც ბაგრატ IV-ს (1027-1072) საცოლე¹³⁴. იგივეს წერს XII საუკუნის ავტორი იოანე ზონარა¹³⁵. ტერმინ „აფხაზს“ „ქართველის“ მნიშვნელობით იყენებს XI საუკუნის ისტორიკოსი მიხეილ ატალიატე, აგრეთვე XIII – XIV საუკუნეების ქრონოგრაფი ექვთიმე და სხვები¹³⁶. ვატიკანის არქივში დაცულია საქართველოს მეფის რუსუდანის (1223-1245) მიერ რომის პაპის ჰონორე III-ის (1216-1227) სახელზე 1224 წელს გაგზავნილი წერილი. პაპის კანცელარიაში წერილი ასე დაასათაურეს: „აფხაზეთის მეფის წერილი“¹³⁷.

აზერბაიჯანულ და სპარსულ წყაროებში (ხაყანი შირვანელი, ნიზამი განჯელი და სხვ.) მოხსენიებული „აფხაზეთი“, „აფხაზი“ სრულიად საქართველოს და ქართველს ან დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს თანამედროვე აფხაზეთს და აფსუა-აფხაზებს. მაგალითად, ხაყანი შირვანელი (XII ს.)

132 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 119.

133 ნოდარ ლომოური. საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში. – წიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993, გვ. 82-83.

134 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 199, 557 – 558.

135 გეორგიკა, ტ. 6. თბილისი, 1966, გვ. 235.

136 გეორგიკა, ტ. 6, გვ. 27-29; გეორგიკა, ტ. 7. თბილისი, 1967, გვ. 90, 95-96; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 199, 217, 562 – 563, 586 – 587 და ა. შ..

137 ილია ტაბაღაძე. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, წიგნი I. თბილისი, 1984, გვ. 176 – 177.

წერს: „აფხაზეთში დავესახლე და ქართულად ვლაპარაკობ“¹³⁸. იგივე ავტორი აცხადებს: „ერთ მშვენიერ დღეს ფეხს დავკრავ და აფხაზეთს გავალ, ღიად დამხვდება ქართველების კარები, მჯერა“¹³⁹.

ნიზამი განჯელიც (XII – XIII საუკუნეები) არაერთხელ იყენებს ტერმინებს „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ მხოლოდ ქართველისა და საქართველოს მნიშვნელობით. მაგალითად, ჰქონდა რა მხედველობაში მისი თანამედროვე საქართველოს მეფის თამარის რუს უფლისწულზე გათხოვების ფაქტი, ნიზამი წერდა: „Приди на помощь, о шах, от притеснения руссов, которые в колыбелях Абхазии требуют невесту“¹⁴⁰. თავის პოემაში „ხოსროვი და შირინი“ ნიზამი განჯელი „აფხაზს“ არაერთხელ მოიხსენიებს „ქართველის“ მნიშვნელობით¹⁴¹. იმავე პოემაში ვკითხულობთ, რომ ადგილობრივი ათაბაგის ილდეგიზის სანადირო ადგილები იყო აფხაზი და დარუბანდი. აზერბაიჯანელი ისტორიკოსების აზრით, ქალაქი აფხაზი, რომელიც აგრეთვე სპარსულ და არაბულ წყაროებშიც მოიხსენიება, აზერბაიჯანის ხაჩმაზის რაიონში ან თანამედროვე ქალაქ ქუბის ადგილას მდებარეობდა¹⁴². უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში ამგვარი სახელწოდების ქალაქი ჩრდილო – დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, ამჟამად რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ქალაქ სოჭთან ახლოსაც მდებარეობდა. ამის თაობაზე მრავალი სხვა წერილობითი და კარტოგრაფიული წყარო მიუთითებს. მათ შორის დავასახელებთ მეცამეტე საუკუნის ვენეციურ რუკას, პეტრუს ვესკონტეს (1318 წ.), ძმები პიციგანების (1367 წ.), სოლერისა (1385 წ.) და სხვათა რუკებს¹⁴³. იმ პერიოდში ორივე „ქალაქი აფხაზი“ საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული. ერთი ქვეყნის ორ რეგიონში საერთო სახელწოდების მქონე ორი ქალაქის არსებობა, აღნიშნული ქალაქების საერთო ფუნქციურ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს. ეს არ იყო ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა. მაგალითად, საქართველოს ჩრდილო – აღმოსავლეთი საზღვრის უკიდურეს წერტილს წარმოადგენდა კასპიისპირა დარუბანდი, რაც „რკინის კარს“ ნიშნავს. ქალაქი დარუბანდი ნამ-

138 მაგალი თოდუა. სპარსული პოეზიის შედეგები, ტ. II. თბილისი, 2010, გვ. 10.

139 მაგალი თოდუა. სპარსული პოეზიის შედეგები, ტ. II, გვ. 12.

140 Низами Гянджеви. Искандер – наме. Баку, 1983, с. 285.

141 მაგალი თოდუა. სპარსული პოეზიის ნიმუშები, ტ. II, გვ. 435.

142 Историческая география Азербайджана. Баку, 1987, с. 73.

143 Джемал Гамахрия, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 820 – 830 და ა. შ.).

დვილად ასრულებდა „რკინის კარის“ ფუნქციას. საინტერესოა, რომ საქართველოს ჩრდილო – დასავლეთ საზღვარზე მდებარე შავიზღვისპირა ქალაქი გაგრა ცალკეულ ავტორებთან დარუბანდის, ანუ „რკინის კარის“ სახელით მოიხსენიება (იხილე კავკასიის თურქული რუკა – აქვე ნაწილი XI.1. 7). ეს ფაქტი უეჭველად იმაზე მიუთითებს, რომ ერთი ქვეყნის ფარგლებში არსებულ ორ „დარუბანდს“, მსგავსად ზემოაღნიშნული ორი „აბხაზისა“, ერთმანეთის მსგავსი ფუნქციები გააჩნდათ¹⁴⁴. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შუასაუკუნეების კასპიისპირა და შავიზღვისპირა ქალაქებთან „აფხაზი“ და „დარუბანდი“, თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს – აფსუებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ.

XII – XIII საუკუნეების სპარსულ წყაროებში, როგორც წესი, საქართველო და მისი მეფეები აფხაზეთად და აფხაზეთის მეფეებად მოიხსენიებიან. ასეთი წყაროების რიცხვს მიეკუთვნება იბნ ფუნდუყის (1168 წ.), იბნ ისფენდიარის (XII-XIII სს.), იბნ ბიბის (XIII საუკუნის დასასრული) და სხვა ავტორთა თხზულებები¹⁴⁵. იბნ მოჰამედ ჯუვეინი (1226-1283), რომელიც გვანდის ცნობებს 1226 წელს საქართველოში ჯალალ ად-დინის ლაშქრობის შესახებ, აგრეთვე XIV-XV საუკუნეების ავტორები, რომლებიც 1386-1403 წლებში საქართველოში თემურ ლენგის ლაშქრობების შესახებ მოგვითხრობენ (მოინ ად-დინ ნათანზი, ნეზამ ად-დინი, შარაფ ად-დინი, ჰაფეზუ აბრი და სხვები) ტერმინ „აფხაზეთი“-ს ქვეშ დასავლეთ საქართველოს გულისხმობენ¹⁴⁶.

შუა საუკუნეების სომხურ წყაროებშიც ტერმინები „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ მხოლოდ „დასავლეთ საქართველოსა“ და „ქართველის“ მნიშვნელობით მოიხსენიება¹⁴⁷. ასე მაგალითად, ისტორიკოსები იოვანეს დრასხანაკერტელი (IX- X სს.), ფსევდო შაპუხ ბაგრატიუნი

144 იხილე ამის შესახებ: Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 577-578.

145 კარლო ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV საუკუნეების სპარსული წყაროების მიხედვით. – ნიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993, გვ. 218-222; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с. 217, 585-586.

146 კარლო ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV საუკუნეების სპარსული წყაროების მიხედვით, გვ. 245-251.

147 ელენე ცაგარეიშვილი. „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში. – ნიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993, გვ. 153-208.

(X ს.) და სტეფანოზ ტარონელი ასოხიკი (XI ს.) აფხაზეთის მეფეებს ლაზიკის ან ეგრისის (ანუ დასავლეთ სსაქართველოს) მეფეებად მოიხსენიებენ. კიდევ ერთი სომეხი ისტორიკოსის ვარდან ვარდაპეტის მონაცემებით (XIII ს.), აფხაზეთის მეფეები V საუკუნის საქართველოს დიდი მეფის ვახტანგ გორგასალის შთამომავლები არიან. XIII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორი მხითარ აირავანციის მიხედვით კი აფხაზები და მათი მეფეები იგივე ქართველები არიან¹⁴⁸. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინები „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ არც ერთ სომეხ ავტორთან თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრებს არ აღნიშნავს.

არაბული წყაროების „ალ-აბხაზ“, „ალ-აქხაზ“, „ალ-აბხას“ არის „ქართველის“, სრულიად საქართველოს ან დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც არაბულ ენაში ქართულის შემკვობით დამკვიდრდნენ. მაგალითად, ალ-მასუდის ნაშრომში „აფხაზი“ ნიშნავს ქართველს დასავლეთ საქართველოდან; აბუ ალ-კასიმის „აფხაზეთის ქვეყანა“ და „აფხაზი“ ასევე დასავლეთ საქართველოსა და მის ქართულ მოსახლეობას აღნიშნავს; ალ-ისფაჰანისა და იბნ ალ-ადიმის მიხედვით კი – როგორც ქართველს დასავლეთ საქართველოდან, ისე ზოგადად ქართველს. ალ-ჰუსაინისა და ან-ნასავის ცნობებში ტერმინები „ქურჯისთან“, „ბილად ალ-ქურჯ“, „ბილად ალ-აბხაზ“ ერთმანეთთან არის გაიგივებული. გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს მეფეები გიორგი I (1014-1027), ბაგრატ IV (1027-1072), დავით IV (1089-1125), დემეტრე I (1125-1156), გიორგი III (1156-1184) ისეთ არაბ ავტორებთან, როგორებიც არიან იაჰია ანტიოქელი, ალ-ჰუსაინი, ალ-ისფაჰანი, ალ-ფარიკი, აფხაზთა და ქართველთა მეფეებად იხსენიებიან. არაბი გეოგრაფი იაკუთი თავის ლექსიკონში „მუჯამ ალ-ბულდანიში“ ტერმინ „აბხაზის“ განმარტებისას აღნიშნავს, რომ ეს არის ერთ-ერთი მხარის სახელი კაბკის (კავკასიის) მთაზე, ემეზობლება ალ-ლანის ქვეყანას, „დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ. აქ შეიკრიბნენ ისინი, დაემყნენ თბილისის სანახებისკენ, განდევნეს იქიდან მუსლიმები, დაეუფლნენ მას 517/1122 წელს და არ შეუწყვეტიათ მისი გამგებლობა. აბხაზი მათი (ქურჯების) თავმესაფარი იყო, ისე რომ, როცა 621/1226 წელს გაემართა მათკენ ხვარაზმშაჰი ჯალალ ად-დინი, თავს დაესხა მათ და ცდილობდა გაენთავისუფლებინა მათგან თბილისი, მაშინ გაიქცა

148 სომხური წყაროები კომენტარებით იხილეთ: Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 192-193, 196-197, 208-209, 216-217, 550-551, 554-556, 572-573, 584-585.

დედოფალი მათი აბხაზს და არ დარჩენილა სამეფო სახლიდან არავინ მის გარდა¹⁴⁹. იაკუთის მიერ მოხსენიებული ქართველი დედოფალი არის საქართველოს მეფე რუსუდანი (1223-1245), რომელიც ჯალალ ად-დინის თბილისზე თავდასხმის გამო 1226 წელს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში გადავიდა. ამრიგად, იაკუთისთვის და მთლიანად არაბული ისტორიოგრაფიისთვის შუა საუკუნეების „აბხაზი“, პირველ რიგში, ნიშნავს დასავლეთ საქართველოს თავისი ქართული მოსახლეობით და არა იმ ტერიტორიას, რომელსაც დღეს აფხაზეთი ჰქვია. როგორც დავინახეთ, ხშირად იგივე ტერმინით აღინიშნებოდა სრულიად საქართველო და ქართველი.

პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სეპარატისტები მანიპულირებენ უცხოურ წყაროებში ტერმინ „აფხაზეთის“ საქართველოს მნიშვნელობით გამოყენების მრავალრიცხოვანი ფაქტებით და ცდილობენ ისტორიის ფალსიფიკაციას, კერძოდ, აფხაზეთის სამეფოს// დასავლეთ საქართველოს, ასევე სრულიად საქართველოს ისტორიის მითვისებას, თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ისტორიად მის გასაღებას. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს აფსუა-აფხაზი ისტორიკოსების მიერ IV საუკუნის ავტორის აგათანგელოსის ბერძნულენოვანი ნაშრომის არაბული თარგმანის შინაარსის დამახინჯების მცდელობა. აღნიშნული ნაშრომი ეხება წმინდა გრიგოლის მიერ ქრისტეს რჯულზე სომეხთა, ქართველთა, აფხაზთა და ალანთა მოქცევის ისტორიას. მისი არაბული თარგმანი 1902 წელს სინას მთის მონასტრის წიგნსაცავში აღმოაჩინა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ ნიკო მარმა. მან იგი რუსული თარგმანითა და ვრცელი გამოკვლევით 1905 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა¹⁵⁰. აღმოჩნდა, რომ აგათანგელოსის არაბულ თარგმანში ეთნონიმი „ლაზი“ (ქართული ტომი) ჩანაცვლებული იყო ტერმინით „აფხაზი“. ნიკო მარმა თავის გამოკვლევაში დასაბუთებულად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „არაბულ ტექსტში საუბარია სწორედ ლაზებზე და ლაზიკაზე და არა დღევანდელ აფხაზეთზე“¹⁵¹. ბერძნულ ორიგინალშიც მითითებულია „ლაზი“. ერთი

149 გოჩა ჯავარიძე. ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. I, გვ. 19-24; იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I. არაბული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ. თბილისი, 1964, გვ. 1; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с. 193 – 196, 210, 215, 552-553, 574, 583.

150 Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, т. 16, выпуск 2-3. С.-Петербург, 1905, с. 63-211.

151 Записки Восточного Отделения..., с. 165 -166.

სიტყვით, ამ შემთხვევაშიც არაბი თარჯიმანი, ისევე როგორც, სხვა არაბი ავტორები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მოიხსენიებს ტერმინით „აბხაზი“, რაც ტერმინ „ლაზის“ იდენტურია. ყოველივე ამის შესახებ მშვენივრად იციან თანამედროვე აფსუა-აფხაზმა ისტორიკოსებმა¹⁵². მიუხედავად ამისა, ისინი შეგნებულად ამახინჯებენ საქართველოს ისტორიას და ამტკიცებენ, რომ აგათანგელოსის არაბულ თარგმანში არა ლაზთა ქართული ტომი, არამედ თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრები იგულისხმებიან¹⁵², რაც სინამდვილეს არ შეესაბამება¹⁵³.

გაყალბებული ისტორიის მეშვეობით სეპარატისტები ცდილობენ ანტიქართული ფსიქოზის გამონწვევას, აფხაზური მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას, საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის ისტორიულ „დასაბუთებას“, საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. დასახული მიზნების მისაღწევად სეპარატისტი ისტორიკოსები თვით ისტორიული წყაროების დამახინჯებასა და აშკარა ტყუილებსაც არ ერიდებიან. მოვიტანთ კონკრეტულ მაგალითს. თავიანთ გამოცემებში სეპარატისტები ხშირად იმონებენ მეთავე საუკუნის სომეხ ავტორს უხტანესს და წერენ, რომ შავიზღვისპირა ტომი აღორძინდა, გამრავლდა, „მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა (აზერბაიჯანი – ავტ.) საზღვრებამდე. შეიქმნა ფრიად მრავალრიცხოვანი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება“. სეპარატისტები ამ ადგილას წყვეტენ უხტანესის ტექსტის ციტირებას, საკუთარ ხალხს კი ატყებენ და ეუბნებიან, რომ X საუკუნის სომეხი ავტორი თითქოს თანამედროვე აფხაზთა წინაპრებსა და დღევანდელ აფხაზეთს გულისხმობს¹⁵⁴. ამით სეპარატისტები უხეშად ამახინჯებენ სომხური წყაროს შინაარსს. უხტანესის ნაშრომში, რომელიც ქართველთა და სომეხთა შორის ეკლესიური განხეთქილების თემას ეხება, თანამედროვე აფხაზთა წინაპრები საერთოდ არ მოიხსენიებიან. ავტორი საუბრობს მხოლოდ ქართველებზე და საქართველოზე. უხტანესის მტკიცებით, შავი ზღვის სანაპიროზე აღორძინდნენ, გამრავლდნენ და სომხეთ – აზერბაიჯანის საზღვრებამდე გავრცელდნენ აღმოსავლეთიდან მოყვანილი „ტყვე იბერიელი ტომები“; ქვეყანაში,

152 Е. К. Аджинджал. Из истории христианства Абхазии. Сухуми, 2000, с. 19; О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 141.

153 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005, გვ. 48-50; გოჩა ჯაფარიძე. ძიებანი..., გვ.18-19.

154 М. Гумба. Абхазия в первом тысячелетии. Сухуми, 1989, с. 12; О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 163, და ა. შ.

რომელსაც „აფხაზეთი ეწოდება“, უხტანესის მიხედვით, ცხოვრობს „ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას (ივერია – ზ.გ.) უწოდებენ, აქ ქართველნი ეწოდებათ“¹⁵⁵. სეპარატისტები ცდილობენ მოტანილი ციტატის ამ ბოლო და მთავარი ნაწილის მიჩქმალვას. ეს არის ტიპიური მაგალითი, თუ როგორ აყალბებენ სეპარატისტები ისტორიას, როგორ ცდილობენ საქართველოს ისტორიის მითვისებას, საკუთარი ხალხისა და საერთაშორისო საზოგადოების მოტყუებას.

სამწუხაროდ, სეპარატისტი ისტორიკოსები ძალიან ხშირად პედაგოგთა და მოსწავლეთა შეცდომაში შეყვანასაც კი არ ერიდებიან. ასე მაგალითად, აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში გამოქვეყნებულია X – XI საუკუნეების მიჯნაზე ქართულ ენაზე შედგენილი უნიკალური ისტორიული წყარო ”აფხაზთა მეფეების დივანი“¹⁵⁶, რომელიც მოგვითხრობს აფხაზეთის მმართველების შესახებ VII საუკუნიდან X საუკუნის ბოლომდე. ზემოაღნიშნული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს „დივანი“ რუსულ ენაზეა შედგენილი (?!). სეპარატისტებს არ აწყობთ ნამდვილი ისტორია, არ აწყობთ აფხაზეთის სამეფოში და ცალკე აფხაზეთის საერისთავოში, აგრეთვე აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში შექმნილი წერილობითი ძეგლების გამომზეურება, სკოლის მოსწავლეებისთვისა და სტუდენტებისთვის მათი გაცნობა, რადგანაც ისინი ქართულ ენაზეა შესრულებული. თანამედროვე აფხაზთა წინაპრების ენაზე კი არავითარი წერილობითი წყარო, კულტურის ძეგლი დასავლეთ საქართველოში, მათ შორის საკუთრივ აფხაზეთში არ მოიპოვება. არსებული წყაროების მიხედვით, აფხაზეთის სამეფოში და აფხაზეთის საერისთავოში მხოლოდ ქართული ენაა გაბატონებული, რაც ცალსახად მიუთითებს როგორც მთლიანად სამეფოს, ისე საერისთავოს მოსახლეობის ანუ ისტორიული აფხაზების, აგრეთვე მათი მმართველების ეთნიკურ კუთვნილებაზე. ამ ჭეშმარიტების აღიარება კი სეპარატისტებს არ სურთ. ამიტომაც გამონახეს, მათი აზრით, იოლი გზა – წყაროების მიჩქმალვა ან დამახინჯება, საქართველოს ისტორიის მითვისება, ისტორიის ფალსიფიკაცია. ამ გზით ცდილობენ სეპარატისტები საკუთარი მიზნების თუ ილუზიების ისტორიულ „დასაბუთებას“.

155 უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბილისი, 1957, გვ. 57.

156 О. Бражба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 134.

ნანილი II. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი (მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას ქმნის ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, მესხეთ-ჯავახეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ხევის ისტორიულ – გეოგრაფიულ ტერიტორიებზე დაცული სხვადასხვა სახის მატერიალური კულტურის ძეგლები. მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი შემორჩენილია ჩრდილო – დასავლეთ საქართველოს – დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ტოპონიმ „აფხაზეთის“ გეოგრაფიული საზღვრები, როგორც წინა თავებში არის ნაჩვენები, საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა. უცხოური წყაროები აფხაზეთა სამეფოს ჯერ დასავლეთ საქართველოს, ხოლო მოგვიანებით სრულიად საქართველოსაც უწოდებდნენ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებულ ქართულ სამეფოში აფხაზეთა საერისთავოს, ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ნაწილს მოიცავდა. ასე გრძელდებოდა XVII საუკუნის ბოლომდე. შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღეს არსებული შუა საუკუნეების ქართული კულტურის კერების დიდი ნაწილი რეალურად შექმნილია ოდიშში და მხოლოდ XVII საუკუნის 70-80-იანი წლებიდან აღმოჩნდა ტერიტორიულად გაფართოებული აფხაზეთის შემადგენლობაში. აღნიშნულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს საქართველოს მოსახლეობის სულიერი განვითარების ისტორიაში.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების საქართველოში ქართული მწიგნობრობისა და კულტურის ცენტრებს ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენდა. ეკლესია იყო ძირითადი ძარღვი, საიდანაც იწყებოდა ქართული კულტურისა და მწიგნობრობის, ქართული სულიერების სათავეები. VI საუკუნის საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო ცხოვრებას, რომელიც განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის VIII საუკუნიდან ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ ეკლესია-მონასტრებში. ისინი გადაიქცნენ ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებად, სადაც მიმდინარეობდა ორიგინალური და თარგმნილი საერო თუ სასულიერო ლიტერატურის შექმნა, ხელნაწერთა განახლება; აქვე ჩამოყალიბდა ხატწერისა და ფერწერის შესანიშნავი სკოლები, სხვადასხვა კალიგრაფიული მიმდინარეობანი და ა. შ. „აფხაზეთა“ სამეფოში გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული

საეკლესიო ცენტრების იდეოლოგიურ გავლენაზე და კულტურულ-სარწმუნოებრივ ერთობაზე მიუთითებს „აფხაზთა“ მეფის დემეტრე II-ის მიერ გრიგოლ ხანძთელის მოწვევა უბისის მონასტრისა და საეკლესიო ცენტრის დასაარსებლად. ეს კულტურული ერთიანობა ტრადიციულად შემდეგშიც გაგრძელდა, რადგან „აფხაზთა“ მეფეების ინიციატივით დაარსებული ახალი საეკლესიო ცენტრები უბე, არმაზი, მარტვილი, ხოფი, მოქვი, წირქოლი, ხობი, სამწევრისი, ერედვი ქართული მნიგნობრობის, განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდნენ არა მარტო „აფხაზთა“ სამეფოს ეპოქაში, არამედ მომდევნო საუკუნეებშიც ხშირად წამყვანი კულტურული ტენდენციების მატარებლებად და ახალი კულტურული წამოწყებების ინიციატორებად გვევლინებიან.

ცხადია, ამ მოვლენას სათავე დაუდო „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკურმა და სარწმუნოებრივმა დამოუკიდებლობამ. მისი მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში „აფხაზთა“ მეფეებს გვერდით ედგნენ ბიზანტიის გავლენისაგან თავისუფალი ეკლესია და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რომელმაც შეძლო არა მარტო საეკლესიო და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება, არამედ ბრძოლა განაახლა დანარჩენი ქართული მიწების შემოერთებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

გამომდინარე აქედან, ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ „აფხაზთა“ სამეფოში მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები, საეკლესიო და საერო პირები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქართველთა და აფხაზთა სულიერი ღირებულებების ფორმირებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფისა და მთარგმნელის, სტეფანე სანანოაძის სამწერლო მოღვაწეობა მარტვილის ტაძარში, რომელიც გიორგი II-ის დროს გადაიქცა ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად. იმავე გიორგი II-ის მფარველობით სარგებლობდა დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი, შესანიშნავი „აღდგომის საგალობლების“ ავტორი იოანე მინჩხი, „აფხაზთა“ სამეფოს მკვიდრი იყო მიქაელ საბანმინდელის მარტვილობის „აბუკურას“ ავტორი. კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის დაკვეთით ქართულ ენაზე დაინერა „აფხაზთა“ მეფეთა დივანი“, რომელიც წარმოადგენს ეგრის-აფხაზეთის მეფეთა VIII-X საუკუნეების მატანეს.

„აფხაზთა“ სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ასევე სამწერლობო კულტურა მხოლოდ ქართული იყო, რაზეც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, როგორც ზემოთმოყვანილი ფაქტები, ასევე

„აფხაზთა“ მეფეების დაკვეთით შესრულებული თითქმის ყველა წარწერა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია და რომლებიც ქართული ასომთავრული დამწერლობით არის შესრულებული. ამ ფაქტს აღნიშნავს მკვლევართა უმრავლესობა, ვინც კი ოდესმე შეხებია ამ სამეფოს ისტორიას, მათ შორის აფხაზი ავტორებიც. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხს საგანგებოდ უვლიან გვერდს თანამედროვე აფხაზური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები მ. გუნბა ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა და სხვები. საგულისხმოა, რომ აფხაზეთში დამწერლობის განვითარების ისტორიას ერთ-ერთი პირველი იკვლევდა ხ. ბლაჟბა (ო. ბლაჟბას მამა). მისი დასკვნით, „აფხაზთა სამეფო“ წარმოადგენდა დასავლურქართულ სახელმწიფოს, რომლის სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო. დ. გულიას აზრით კი, არსებული „მრავალრიცხოვანი მეცნიერულად შემონმეებული ფაქტები უცილობლად მეტყველებენ, რომ აფხაზები ყოველთვის ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ საერთო ისტორიული და კულტურული ცხოვრებით, რომ აფხაზები, კაცმა რომ თქვას, იგივე ქართველები არიან...

უცილობლად დადგენილია, რომ უკვე IX ს-ის შუა ხანებიდან ქართული ენა არის დამწერლობის, სახელმწიფო და კერძო საქმისწარმოების, ყოველდღიური საეკლესიო ცხოვრებისა და ღმრთისმსახურების ერთადერთი ენა¹⁵⁷.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის თანამედროვე ეტაპზე, აფხაზეთის რეგიონის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მატერიალური კულტურა პირობითად შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

I. არქიტექტურული ძეგლები;

II. წერილობითი კულტურის ძეგლები;

III. საეკლესიო დანიშნულების ნივთები;

IV. არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მოძიებული მასალა.

აღნიშნული კლასიფიკაცია რეალურად ასახავს ამ ეტაპზე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების საერთო სურათს¹⁵⁸.

I. არქიტექტურული ნაგებობანი აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ და მათი რაოდენობა დაახლოებით ასზე მეტია. მიუხედავად იმისა,

157 Д. Гулия. О моей книге «История Абхазии. Сухуми. 1951 (репринтное издание). Тбилиси, 1998, გვ. 10,15.

158 ლია ახალაძე. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და მათი კლასიფიკაცია. – კრებულში: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თბილისი, 2012, გვ. 131.

რომ აღნიშნული ძეგლების დიდი ნაწილი დღემდე დაზიანებული სახით არის მოღწეული, ყველა მათგანს განვითარების თავისი ისტორია აქვს. არქიტექტურული ნაგებობანი თავის მხრივ, აერთიანებს აფხაზეთის მატერიალური კულტურის ორ ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეჯგუფს: ა) საკულტო დანიშნულების (საეკლესიო) ხუროთმოძღვრების ძეგლები და ბ) საერო დანიშნულების ძეგლები. მათ შორის, პირველ ქვეჯგუფში შედის სამონასტრო კომპლექსები, ტაძრები, პატარა ეკლესიები და სამლოცველოები; ხოლო მეორე ქვეჯგუფში ერთიანდებიან საფორტიფიკაციო ნაგებობები, ხიდები, სამეთვალყურეო ნაგებობანი, საერო და მსხვილ სასულიერო ფეოდალთა სასახლეები და ა. შ.

ცნობილია, რომ ძველი არქიტექტურა კარგად ასახავს ეროვნული კულტურის შემოქმედების პოტენციალს. ბუნებრივია, იგი არ არის ჩაკეტილი მხოლოდ თავის საზღვრებში და გარედან შემოტანილი თემებითაც საზრდოობს. ამავე დროს ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების გათვალისწინების გარეშე, სხვა კულტურის გამოცდილების გადმოტანა შეიძლება მხოლოდ ზედაპირულ მიმბაძველობად იქცეს. აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე დაცული შუასაუკუნეების არქიტექტურული ძეგლები დახვეწილი ხუროთმოძღვრული ფორმებითა და მრავალფეროვანი დეკორით საქართველოს არქიტექტურული ძეგლების ერთიან გალერეაში ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს. რეგიონის ყველაზე ცნობილ, ძველი ხუროთმოძღვრების საეკლესიო ძეგლებს მიეკუთვნებიან ბიჭვინთის, ბედიის, მოქვის, ილორის, ლიხნის, დრანდის, გაგრის, ბზივის, წკელიკარის, გუდავის, ლაშქენდარის და ა. შ. ეკლესიები და სამონასტრო კომპლექსები¹⁵⁹. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი, ისევე, როგორც საქართველოს ყველა ისტორიული რეგიონი, მოფენილია სხვადასხვა დანიშნულების ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობებით და მათი რაოდენობა იმდენად შთამბეჭდავია, „როდესაც აფხაზეთის შუასაუკუნოვან კულტურაზე ნამოინწყებენ საუბარს მხედველობაში უპირატესად იქ შემორჩენილი საეკლესიო ხელოვნების ნაწარმოებები აქვთ“¹⁶⁰.

„აფხაზეთის მხატვრული მემკვიდრეობა, ისევე როგორც მთე-

159 ლევან რჩულიშვილი. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1994; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. აფხაზეთი, ტ. I. თბილისი, 2007.

160 დიმიტრი თუმანიშვილი. ქრისტიანული ხელოვნება აფხაზეთში, ნიგნში გაზაფვარედინზე, თბილისი, 2008. გვ. 174.

ლი ქართული შავიზღვისპირეთისა, ნაკლებად ჰომოგენურია¹⁶¹ ანუ არაერთგვაროვანია, რაც განპირობებულია დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში „ჯერ ელინური, შემდგომ ელინისტური, რომაული, და ბოლოს ბიზანტიური პოლიტიკური და კულტურული გავლენით“.¹⁶² სწორედ აქედან ვრცელდებოდა მთელ საქართველოში კულტურული ელემენტების „იმპორტი“, რამაც ჩვენ, როგორც აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქრისტიანული ქვეყანა, ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნებში გაგვაერთიანა, ხოლო კულტურულ ნათესაობას ბიზანტიური ცივილიზაციის პარადიგმა ეწოდა¹⁶³. ქართული ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე, განსაკუთრებით საეკლესიო ნაგებობებზე ასახული ეს ნათესაობა სულაც არ ცვლის საერთო სურათს ძველი ქართული არქიტექტურის ავთენტურობის შესახებ, რადგან ძველი ქართული საეკლესიო ძეგლები თვალსაჩინოდ თვითმყოფადი და განსხვავებულია აღმოსავლური ქრისტიანობის ძეგლებისაგან.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის გვერდს ვერ ავუვლით საერო დანიშნულების ძველ არქიტექტურას. აფხაზეთში ამ ტიპის ძეგლებიდან დღემდე მოღწეულია როგორც თავდაცვითი ხასიათის ძველი, საფორტიფიკაციო ძეგლების ნაშთები – ციხეები, სამეთვალყურეო კოშკები, ხიდები და ა. შ., ასევე, მსხვილ ფეოდალთა სასახლე-ნაგებობანი. მათი უმრავლესობა დღეს ნანგრევების სახით არის შემორჩენული, თუმცა არ დაუკარგავს ისტორიული ღირებულება და მნახველში დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მრავალი საუკუნის მანძილზე, საქართველოს ჩრდილო დასავლეთ საზღვრის დაცვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა ანაკოფიის ციტადელი, ბაგრატის ციხე სოხუმთან, სოხუმის აკროპოლისი, კელასურის ზღუდე, ბზიფის, გაგრის, ანუხვის, კოდორის, ლიძავის, ჩხალთის, ამტყელის, ხაშუფსეს, მჭიშთის, ბიჭვინთის, აზანთას, კოდორის, დურიფშის, ლიხნის, სათამაშიას ციხეები და ა. შ. მათი რაოდენობა თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 70-ზე მეტია.

მსხვილ საერო და საეკლესიო ფეოდალთა სასახლეებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლიხნის, მერხეულის, ბედიის, ანუხვისა და ნებელდის სასახლეთა ნანგრევები, რომლებიც შარვაშიძეების, მარშანიების, ყვანისძეებისა და ბასილიძეთა ფეოდალურ

161 დიმიტრი თუმანიშვილი. ქრისტიანული ხელოვნება აფხაზეთში, გვ. 174.

162 იქვე.

163 Джон Норвич. История Византии. Перевод с английского Н. М. Забилоцкого. Москва, 2013.

გვარებს ეკუთვნოდა.

საქართველოს უძველეს ხიდებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინოა „თამარის ხიდი“ სოხუმთან ახლოს მდინარე ბესლეთზე. მსგავსი ხიდები დამახასიათებელია X, XI, XII, XIII საუკუნეების საქართველოსათვის და შემორჩენილია ქართლში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. ხიდი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მის თაღს მიუყვება ძველი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელშიც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (978-1014 წწ) არის დასახელებული. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა მას საქართველოს მეფის თამარის (1184-1213 წწ.) სახელთან აკავშირებს.

II. წერილობითი კულტურის ძეგლები აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობაში, ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფიან: **ა) ეპიგრაფიკული ძეგლები**, ანუ მაგარ მასალაზე შესრულებული წარწერები და **ბ) ხელნაწერები** (რბილ მასალაზე შესრულებული წერილობითი ძეგლები), **გ) ნუმიზმატიკური მასალა**, რომელზეც დაცულია წარწერები¹⁶⁴.

ა) ეპიგრაფიკული ძეგლებიდან გვაქვს: ლაპიდარული (ქვაზე ღრმა კვეთით შესრულებული წარწერები), ჭედური (ხატებზე, ჯვრებზე, სხვადასხვა სახის საეკლესიო ნივთებზე ამოკვეთილი) და ფრესკული (საღებავით შესრულებული) წარწერები. ეპიგრაფიკული ძეგლები, წარწერები გვხვდება ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, ოსმალურ (არაბული დამწერლობით) ენებზე. მათ შორის ისტორიული მნიშვნელობის ქართული წარწერები ასზე მეტია და მათი ქრონოლოგია VIII-XIX საუკუნეებს მოიცავს¹⁶⁵. ბერძნული წარწერები ძირითადად, IX საუკუნემდეღია, თუმცა გვხვდება XI საუკუნის ბერძნული გრაფიტოებიც. შემორჩენილია ექვსი თუ შვიდი ოსმალური¹⁶⁶ და სამი ლათინური წარწერა.

ისტორიული შინაარსის ბერძნული წარწერები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, რამდენჯერმე გამოსცა აკადემიკოსმა თი-

164 წარწერებზე იხილეთ: ლ. ახალაძე. Эпиграфические памятники Абхазии. В книге: Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тбилиси, 1999, с. 363-374; ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბილისი, 2004; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბილისი, 2005.

165 ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბილისი, 2008; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბილისი, 2005.

166 X. Бгажба. Из Истории письменности в Абхазии. Тбилиси, 1967.

ნათინ ყაუხჩიშვილი¹⁶⁷. ივერიის მთის წმ. თევდორესა და წმ. სიმონ კანანელის ტაძრების ბერძნული ეპიგრაფიკა ბოლო დროს რუსმა მეცნიერმა ა. ვინოგრადოვმა გამოაქვეყნა¹⁶⁸. სამწუხაროდ, ა. ვინოგრადოვი ცუდად იცნობს და სათანადოდ ვერ იყენებს თ. ყაუხჩიშვილის გამოცემებს.

ოსმალური ისტორიული წარწერები ძირითადად, XVI-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. ასევე გვაქვს რამდენიმე აფხაზი დიდებულის XIX საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფიაც. აფხაზი ენათმეცნიერის ხ. ბლაჟბას სიტყვებით, თურქულმა დამწერლობამ აფხაზეთში ვერ მოიპოვა გავრცელება და იგი ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი ცალკეული საფლავის ქვების ეპიტაფიებზე. ოსმალური წარწერები ძირითადად გვხვდება სოხუმში, მის შემოგარენში, სოფ. ჭალასა (ჭლოუ) და ჯირხვაში. უკანასკნელ ხანს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა სოხუმის ციხის საამშენებლო წარწერა, რომელიც XVIII საუკუნეში სოხუმის ციხის რესტავრაციაზე მოგვითხრობს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე სამიოდე ლათინურენოვანი წარწერაა აღმოჩენილი. მათ შორის ერთ-ერთში, რომელიც სოხუმშია ნაპოვნი, იმპერატორი ადრიანე და მისი მოხელე ფლავიუს არიანე არიან დასახელებული. შესაბამისად, წარწერა ადრიანეს იმპერატორობის წლებით (ახ. წ. 117-138 წწ.) თარიღდება. მასში მოთხრობილია არიანეს მიერ სოხუმში საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობის ამბავი. როგორც ცნობილია, ფლავიუს არიანემ იმპერატორის ბრძანებით, სამხრეთ და აღმოსავლეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, მათ შორის სოხუმში (სებასტოპოლისი), რომაული გარნიზონების საინსპექციო აღწერა და ციხე-სიმაგრეთა სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოებიც ჩაატარა¹⁶⁹.

მეორე ლათინურენოვანი წარწერა აღმოჩნდა ბიჭვინთაში, რომლის ფრაგმენტიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი გრაფემა „ლეგ“. მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ აქ სიტყვა „ლეგიონი“, ან „ლეგიონერი“ იკითხებოდა. ეს წარწერა ახ. წ. II – IV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

მესამე წარწერა 2011 წელს სოხუმის ციხის გათხრების დროს

167 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძნული წარწერები საქართველოში. თბილისი, 1951; თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, მეორე შეესებული გამოცემა. თბილისი, 2004; მესამე გამოცემა – 2008 .

168 А. Виноградов. Эпиграфика. Надписи с Анакопийской горы. წიგნში: Искусство Абхазского царства. Санкт-Петербург, 2011, с. 209 – 224.

169 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭყემაძისა. თბილისი, 1961.

აღმოჩნდა და მასში რომის იმპერატორი ვალერიანუსი (253-260) იხსენიება. აქედან გამომდინარე, წარწერა 253-260 წლებით თარიღდება.

სამივე წარწერის შინაარსზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახ. წ. II – IV საუკუნეებში სებასტოპოლისი, ანუ ცხუმი/სოხუმი რომის იმპერიის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა, სადაც რომაელთა გარნიზონი იყო განლაგებული.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ინფორმაცია დაცულია კათოლიკე მისიონერების, კერძოდ, თეატიწელი ბერების ქრისტიანულ კასტელის, არქანჯელო ლამბერტის და სხვათა თხზულებებში. კასტელის ალბომსა და ლამბერტის თხზულებაში „სამეგრელოს აღწერა“ არაერთი ძვირფასი ცნობაა შემონახული იმ ეკლესია – მონასტრებისა და საეპისკოპოსო კათედრალების შესახებ, რომელთა ნაწილი შემორჩენილია, ნაწილი განადგურებულია, ან ნანგრევებადაა ქცეული¹⁷⁰.

ბ) წერილობითი კულტურის ძეგლების მეორე ჯგუფი – ხელნაწერები, მხოლოდ ქართულენოვანია და ისინი აფხაზეთის ქართული სკრიპტორიუმების ბიჭვინთის, მოქვისა და ბედიის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებშია გადაწერილი. მათ შორის თვალსაჩინოა ბიჭვინთის XII საუკუნისა და მოქვის XIII საუკუნის (1300 წლის) უნიკალური მინიატურებით მოხატული ოთხთავებები, ბიჭვინთის XVI საუკუნის იადგარი, XVII საუკუნის ბედიის გულანი, XVI საუკუნის მოქვის ომოფორი, X საუკუნის აფხაზ მეფეთა დივანი და ა. შ.

ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერები მოქვი, ბედია, ბიჭვინთა, ილორი, ლიხნი, წებელდა, წარჩე და ა. შ. საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ იმ სულიერ ღირებულებებს, რომლითაც უნდა ამაყოფიერდეს არა მარტო ქართველი, არამედ აფხაზი ხალხიც. ქრისტიანული კულტურის ამ ცენტრებში განთავსებული იყო ძველი წიგნთსაცავები, სადაც დაიწერა ორიგინალური ქართული თხზულებები, ბერძნულიდან ქართულზე ითარგმნებოდა სასულიერო დანიშნულების წიგნები, იქმნებოდა ახალი ხელნაწერები. ამ წიგნთსაცავებიდან ჩვენამდე მოღწეული უნიკალური ხელნაწერები ქართული წერილობითი კულტურის განვითარების ისტორიისათვის ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს და დღეს თბილისში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ან ცხვა საცავებში ინახება.

აქვე გვერდს ვერ ავუვლით ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) სა-

170 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938; დონ ქრისტიანული დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბილისი, 1977.

მეფოს (VIII-X სს) დროინდელ წერილობით ძეგლებს, რომლებიც „აფხაზთა მეფეთა“ დაკვეთით არის შესრულებული, ან საკტიტორო საქმიანობისათვის წარწერაში არიან მოხსენიებულნი. სულ მოღწეული არის ოცამდე ეპიგრაფიკული ძეგლი და ერთი ისტორიული ქრონიკა – „აფხაზ მეფეთა დივანი“. ყველა მათგანი, გარდა ორიოდ ბერძნული ფრესკული წარწერისა, შესრულებულია ქართულ ენაზე, ძველი ქართული დამწერლობით¹⁷¹.

საგულისხმოა, რომ „აფხაზთა მეფეთა“ წარწერების უმრავლესობა გვხვდება თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში – ისტორიული ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) სამეფოს ტერიტორიაზე, კერძოდ: სამეგრელოში, ქართლში, იმერეთსა და ჯავახეთში.

გ) აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია **მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური** ნიმუში, რომლებიც ნაპოვნია ძირითადად, სოხუმში, ანაკოფიის ციხეში (ივერიის მთაზე), ლიხნში და ა. შ. მონეტების უმრავლესობა ქართული და ბერძნული ლეგენდითაა. ქართული მონეტები, მათზე ამოკვეთილი წარწერების მიხედვით, ეკუთვნის საქართველოს მეფეებს ბაგრატ IV – ს (1027-1072), გიორგი II – ს (1072-1089), დავით IV აღმაშენებელს (1089-1125) და ა. შ. გარდა ამისა, ნაპოვნია ვერცხლის ფული, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ცხუმურ თეთრს“, ხოლო გენუელები „სებასტოპოლისის ასპრას“ უწოდებდნენ (როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში სოხუმი იწოდებოდა როგორც ცხუმი, ლათინურენოვანი წყაროები მას, რომაელთა მსგავსად, სებასტოპოლისს უწოდებდნენ). „ცხუმურ თეთრს“ ოღიშის ერისთავთ ერისთავი და საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესი ვამეყ I დადიანი (1384-1396) მეფის ნებართვით, სწორედ, ცხუმის ზარაფხანაში ჭრიდა. ქართული მონეტების დღემდე მოღწეული რაოდენობა 50-ზე მეტია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1927 წელს სოხუმში აღმოჩენილი მონეტების განძის დიდი ნაწილი დაიკარგა, მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა.

ბიზანტიური მონეტები მოჭრილია იუსტინიანე I-ის (527-565), კონსტანტინე მონომახოსის (1042-1055), კონსტანტინე დუკას (1059-1067), რომანოზ IV დიოგენეს (1067-1071) და სხვათა სახელით. მათი რაოდენობა 30-მდე აღწევს და ნაპოვნია სოხუმში, ლიხნში და ა. შ., საქართველოს მეფეების ბაგრატ IV-ის (1027-1072), გიორგი II -ის (1072-1089), დავით აღმაშენებლის მონეტებთან ერთად. როგორც

171 L. Akhaladze. Inscriptions of the Kings of Egris-Abkhazeti. Informational-analytical journal „Abkhazeti“, I. Tbilisi, 2004.

ჩანს, აფხაზეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, ქართულ ფულთან ერთად ბიზანტიური (მათ შორის ტრაპიზონული) ფულიც იყო მიმოქცევაში.

III. საეკლესიო ნივთებიდან ყველაზე ცნობილ ნიმუშებს მიეკუთვნებიან ბედიის ოქროს ბარძიმი (999 წელი), ილორის ვერცხლის ბარძიმი (X ს.), წებელდის წმ. ეკატერინეს (XI ს.), იოანე ნათლისმცემლისა (XI ს.) და ანდრია პირველწოდებულის ხატები (XIII ს.), გიორგი II (922-957) აფხაზთა მეფის სამწერობელი, ლეონ III (957-967) აფხაზთა მეფის ხატი, დავით VI ნარინის (1247-1293) ილორის ტაძრისადმი შეწირული ხატი, აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის (1557-1578) ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი და სანწინამძღვრე ჯვარი, მოქვის ეპისკოპოს ანდრია საყვარელიძის (1660-1666) დაკვეთით მოქვის ღმრთისმშობლის ტაძრისადმი შეწირული კარედი, აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმე საყვარელიძის (1578-1614) მოქვის სანწინამძღვრე ჯვარი, ბედიელი მთავარეპისკოპოსის კირილე ჟუანისძის (დაახლოებით 1572-1582 წწ.) ილორის წმ. გიორგისადმი შეწირული ხატი, ოდიშის ერისთავთ-ერისთავებისა და მთავრების ილორის წმ. ჩვიორგისადმი შეწირული ხატები, მათ შორის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1511-1557 წწ) მიერ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის და ბიჭვინთის ღმრთისმშობლისადმი შეწირული ხატები. ზემოთდასახელებულ ყველა ძეგლზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც მოგვითხრობენ ძეგლის კტიტორთა და ოსტატთა შესახებ, ან წარმოადგენენ მემორიალურ წარწერებს¹⁷².

რაც შეეხება **არქეოლოგიური გათხრების** საფუძველზე მოძიებულ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას, რომლებიც ჩვენს კლასიფიკაციაში ცალკე ჯგუფს ქმნიან, აქ გვხვდება როგორც ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის, ასევე შუასაუკუნეების ძეგლებიც. საგულისხმოა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მოძიებული მასალა ერთმნიშვნელოვნას ავლენს გენეტიკურ მსგავსებას და კავშირებს დანარჩენი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებთან.

ქვემოთ წარმოდგენილი მასალა დალაგებულია აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი საეკლესიო დანიშნულების ძეგლების მიხედვით, იქვე

172 იხილე სრული მასალა: Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство: исследование по истории грузинского средневекового искусства. Тбилиси, 1959; Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство с VIII по XVIII век. Тбилиси, 1957.

მოცემულია ეპიგრაფიკული ძეგლები, ქედური ხელოვნების ძეგლები და სხვა სახის კულტურული არტეფაქტები.

I. გაგრის ბაზილიკა. ქალაქი გაგრა, VI ს. (სურათი №1)

ადრეშუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ნიმუში, რომელიც გაგრის ტერიტორიაზე მდებარე ძველი ციხესიმაგრის ნარჩენების ცენტრში მდებარეობს. წარმოადგენს ადრექრისტიანულ ბაზილიკას.

ტაძარი აგებულია ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით და VI – VIII საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული სამნავიანი ბაზილიკების ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად ითვლება. შესრულების ტექნიკური დონით გაგრის ბაზილიკა ძალიან ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოში ამ ეპოქაში აგებული ბაზილიკების არქიტექტურას. ტაძრის შიდა ინტერიერში სვეტების ნაცვლად კედლებია აღმართული, რაც მიუთითებს მომდევნო საუკუნეებში მის რესტავრაციაზე. დღეს გაგრის ეკლესიის არც გარეთა ფასადებზე და არც ინტერიერში ნარწერები არ არის შემორჩენილი. ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით საყურადღებოა ეკლესიის თაღოვან საბჯენთან გამოსახული რელიეფური ჯვარი. ეკლესია თარიღდება VI საუკუნით.

გაგრის ციხე მდებარეობს გაგრის მუნიციპალიტეტში გაგრის ტერიტორიაზე. ციხის შიგნით შემორჩენილია გაგრის ცნობილი ბაზილიკის ტაძარი, რომელიც კარგად არის მოვლილი. გაგრის ციხე რესტავრირებულია განვითარებულ შუა საუკუნეებში. ციხის თავდაპირველი მშენებლობა V-VI სს. თარიღდება.

II. განთიადის ბაზილიკა. გაგრის მუნიციპალიტეტი, VI-VII სს.

გაგრის ჩრდილო-დასავლეთით, დაბა განთიადში ზღვის სანაპიროზე დგას ტაძრის ნანგრევები. ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. აგებულია საშუალო ზომის სწორი, კირქვის კვადრებით, გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ბრტყელი აგური. ტაძარში მიკვლეულია მარმარილოს ფრაგმენტები, რომლებიც თარიღდებიან VI-VII საუკუნეებით. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ეს სწორედ ის ტაძარია, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565) აბაზგებს – აფხაზთა წინაპარ ტომს აუგო მათი გაქრისტიანებისას. 1980 წელს ბაზილიკის ნანგრევებში აღმოჩნდა თეთრი მარმარილოს საფლავის ქვის ფრაგმენტი, რომელზეც ბერძნული ასომთავრული წარწერა იკითხება „აბაზგიას“. როგორც ჩანს, წარწერა აფხაზეთის საერო ან სასულიერო წარჩინებული პირის საფლავს წარმოადგენდა. წარწერა თარიღდება VI საუკუნით.

III. დრანდის ღმრთისმშობლის ეკლესია. სოფ. დრანდა, გულრიფ-

შის მუნიციპალიტეტი, VIII ს. (სურათი №2)

სოფელ დრანდამი მდებარეობს აგურითა და რიყის ქვით ნაგები ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში – ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც არქიტექტურული თავისებურებებით განსხვავდება ქართული საეკლესიო ნაგებობებისაგან, მაგრამ მსგავსი ტაძრები იმ ეპოქის საქართველოს სხვა ისტორიულ პროვინციებშიც გვხვდება. VI–VII საუკუნეების ბიზანტიაში ფართოდ იყო გავრცელებული მსგავსი – ოთხსაყრდენიანი ჯვარგუმბათოვანი ტიპის საეკლესიო ნაგებობა, მაგრამ დრანდის ეკლესიის ხუროთმოძღვარს ზოგი რამ ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებიდანაც აუღია, კერძოდ, მცხეთის ჯვრის ტაძრის მსგავსად, აქაც საკურთხეველის თავზე აღმართული ნახევარწრიული უბები პატარ-პატარა თალებითაა გადაბმული¹⁷³.

ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) მიხედვით, „არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდმენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა“¹⁷⁴. ვახუშტი იქვე ადასტურებს, რომ აფხაზთა შემოსევების გამო დრანდამი ეპისკოპოსი უკვე არ იჯდა.

1637 წელს ოსმალთა ერთ-ერთი შემოსევის დროს ტაძარი ხანძრის შედეგად ძლიერ დაზიანდა, თალი მთლიანად ჩამოინგრა და განადგურდა ფრესკული მოხატულობანი, საეკლესიო წიგნები, ხელნაწერები. XVII საუკუნის ბოლოს დაცარიელებული დრანდის ეკლესიაში ღმრთისმსახურება მხოლოდ 1871 წელს განახლდა. 1900 წელს რუსეთის სინოდის მონდომებით დრანდის ეკლესიის გუმბათი აამაღლეს და მას რესტავრაცია ჩაუტარდა, მაგრამ იმავდროულად ტაძრიდან გაქრა ძვირფასეულობა და მარმარილოს სამარხები.

ეკლესიაში კარგად არის შემონახული გუმბათის თაღთან გამოსახული უფლის სახება, დასავლეთის კარების ზემოთ მოხატული მიქაელ მთავარანგელოზის ფრესკული სახე და ხარების ფრაგმენტი დაჩოქილ ღმრთისმშობლის სახებასთან ერთად¹⁷⁵.

დრანდის ეკლესია ქართული და ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ნაზავს წარმოადგენს. წარწერები შემორჩენილი არ არის.

IV. მსიგვას მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი. მსიგვას მთა, გუდაუთის მუნიციპალიტეტი. VIII– IX სს. (სურათი №17)

173 ლ. რეულიშვილი. Купольная архитектура VIII – X веков в Абхазии. Тбилиси, 1988.

174 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 781.

175 ლ. რეულიშვილი. Купольная архитектура VIII – X веков в Абхазии.

გუდაუთის მუნიციპალიტეტში შავი ზღვიდან 3 კილომეტრზე მდ. ნკუარას ხეობაში შემალღებულ ადგილზე, რომელსაც მსიგხვას მთას უწოდებენ, მდებარეობს მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი. აფხაზი ხელოვნებათმცოდნის ა. კაციას მიხედვით, ტაძარი წარმოადგენს VIII – IX საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშს, რომელსაც ფასადი შესანიშნავი დეკორატიული ფრაგმენტებით ჰქონდა მორთული. მსიგხვას ტაძარში აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ძველი ქართული ასომთავრული წარწერების ნიმუშები (სულ 46 წარწერა). წარწერების შინაარსში იკითხება, რომ ტაძარი იმთავითვე მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე იყო აგებული.

V. ახალი ათონის სვიმონ კანანელის ტაძარი. ახალი ათონი, გუდაუთის მუნიციპალიტეტი. IX–X სს. (სურათი №4)

სოხუმთან ახლოს თანამედროვე ახალ ათონში, ივერიის მთაზე, მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარი, რომლის თავდაპირველი მშენებლობა VII–VIII საუკუნეებით, ხოლო დღევანდელი ნაგებობა IX – X საუკუნეებით თარიღდება. ძველი ქართველი და უცხოელი მემკვიდრეების ცნობით, ქრისტეს მოციქულებმა სვიმონ კანანელმა (ზილოტი) ანდრია მოციქულთან ერთად სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში პირველებმა იქადაგეს ქრისტიანობა.

წმინდა მამათა გადმოცემით, ახ. წ. აღ-ის 55 წელს ქრისტეს მოციქული სვიმონი წარმართებმა, ქრისტეს დარად, ჯვარზე გააკრეს და დაასაფლავეს ახალ ათონში, მდინარე ფსირცხის სანაპიროზე. არსებობს თვალსაზრისი, რომ იგი დაასაფლავეს ნიკოფსიაში – ისტორიული საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე. „სვიმონ კანანელის საფლავი არს ნოკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა“¹⁷⁶ – გვეუბნება „ქართლის ცხოვრება“.

IV საუკუნეში ახალ ათონში მოციქულის საფლავზე პატარა ეკლესია ააგეს, რომელიც სავარაუდოდ ხის უნდა ყოფილიყო, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში აქ თეთრი თლილი ქვისგან დამზადებული ტაძარი აიგო, რომელსაც რესტავრაცია რამდენჯერმე ჩაუტარდა, მათ შორის XIX საუკუნეშიც. ტაძრის ფრესკული მოხატულობა შემორჩენილი არ არის. არქიტექტურული დეკორიდან ყურადღებას იქცევს ქრისტიანული სიმბოლოების თევზის, ლომისა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებანი. ტაძარზე შემორჩენილი ქართული წარწერები დღეს აღარ იკითხება, ხოლო ბერძნული წარწერებიდან შემორჩენილია IX-

¹⁷⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 42-43.

X საუკუნეებით დათარიღებული რვა ლაპიდარული წარწერა. მათ შორის თვალსაჩინოა, ტაძრის სამხრეთის კედელზე, კარების თავზე გაკეთებულ რელიეფურ ჯვარში ჩაჭრილი წარწერა, რომელშიც ჯიქეთის წინამძღვარი გიორგი არის დასახელებული. ქვის ფილის ფორმა მკვლევართა ნაწილს აფიქრებინებს, რომ წარწერა საფლავის ქვის ეპიტაფია არის და ის XII საუკუნეში, რესტავრაციის დროს უნდა იყოს კედელში ჩაშენებული. ნმ. სვიმონ კანანელის ტაძრის დანარჩენ ბერძნულ წარწერებში ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ისტორიული პირები: სისინე, ნიკოლოზი, მიქაელი, ადაროკე, ხარიტონი და დესპოტი, უცნობის ბერძნული გრაფიტი და ა. შ.

VI. ჩხორთოლის დარბაზული ტიპის ეკლესია. სოფ. ჩხორთოლი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი. IX-X სს.

გალიდან 26 კილომეტრის დაშორებით, სამურზაყანოს დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე, ოხოჯესა და ოქუშისწყლის მდინარეებს შორის მდებარეობს სოფ. ჩხორთოლი, რომლის ტერიტორიაზე შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 5 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ოხოჯეს შენაკად ჯუხუს სიღრმეში, მდინარის მარცხენა მხარეზე არის აგებული.

ჩხორთოლის ეკლესია სწორკუთხედში ჩანერილ აბსიდიან დარბაზული ეკლესიების ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც კომპოზიციური სქემითა და ხუროთმოძღვრული ნიშნებით, ანალოგიებს პოულობს საქართველოს სხვა რეგიონების არქიტექტურულ ნიმუშებთან. ადრე შუა საუკუნეების (V-X სს.) ანალოგიური კომპოზიციის მქონე დარბაზული ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება, კერძოდ, ერედვის, ხეითის, დისევის, კუსირეთის, ლაშქენდარის, ილორის ეკლესიების სახით.

ჩხორთოლის დარბაზული ტიპის ეკლესია გარდამავალი ძეგლია და როგორც ამ დროის ძეგლებს შეეფერება მოკლებულია ქანდაკებასა და ჩუქურთმას. შიგა და გარე პირისათვის გამოყენებული შირიმი, ნყობის წესიერი სისტემა, სამშენებლო ხერხების ხარისხობრივი დონე, როცა მთელი ყურადღება გადატანილია ახალი, სივრცითი მომენტებისაკენ, ამკარად მიუთითებს მისი ამენების დროსა და ეპოქაზე. იგი ორგანულადაა დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან, ზუსტადაა ჩანერილი ქართული ეროვნული საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო ხაზში და გამონატავს ერთიან შემოქმედებით ძიებებსა და მიმართულებებს ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ტაძრის არქიტექტურული სტილისა და ანალოგიების

გათვალისწინებით, ეკლესია აგებული უნდა იყოს „აფხაზთა მეფის“ კონსტანტინე III-ის (893-922 წწ.) ეპოქაში.

VII. ბზიფის ეკლესია. ბზიფის ხეობა, გუდაუთის მუნიციპალიტეტი. IX-X სს.

სოფელ ბზიფში, მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირზე შემალ-
ლებულ ადგილას შემორჩენილია IX-X სს. ხუროთმოძღვრული
კომპლექსი, რომელშიც შედის გალავნით შემოზღუდული ციხე და
ტაძარი. თავად ბზიფის ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ციხის ზე-
და ნაწილში მდებარეობდა ტაძარი, ქვედა ნაწილის ეზოში გადიოდა
ძველი საქარავნო გზა.

ბზიფის ციხის ეკლესია ჯვარგუმბათოვანი, „ჩანერილი ჯვრის“
ტიპისაა, სამი შვერილი აფსიდით და თარიღდება IX-X საუკუნეებით.
თლილი ქვით მოპირკეთებული კედლები შემორჩენილია მთელ სი-
მალლეზე, მაგრამ უგუმბათოდ, მიუხედავად ამისა, მნახველზე დიდ
შთაბეჭდილებას ახდენს. ეკლესიის კარ-სარკმლები თავსართებითაა
შემკული, რაც დამახასიათებელია ქართული საეკლესიო ხუროთმოძ-
ღვრებისათვის. ბზიფის ტაძრის აღმოსავლეთით ჩანს კიდევ ერთი,
უფრო ძველი ტაძრის ნანგრევები.

ბზიფის ციხე. მდებარეობს ბზიფის ხეობაში, გუდაუთის მუნიცი-
პალიტეტში, ბზიფის მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ციხეს მნიშვნელოვანი
ადგილი ეკავა გაერთიანებული საქართველოს თავდაცვით სისტემაში.
იგი კეტავდა მეტად მნიშვნელოვან ჩრდილოეთ კავკასიის გადასასვ-
ლელებისაკენ მიმავალ გზებს. ციხის გალავანი აგებულია კარგად და-
მუშავებული კორქვის კვადრებით, დატანებული აქვს ოთკუთხა და ნა-
ხევარნრიული კოშკები, კონტრაფორსები და კარიბჭე დათარიღებულია
IX-XII სს..

VIII. ბიჭვინთის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. დაბა ბიჭვინ-
თა, გაგრის მუნიციპალიტეტი. X-XI სს.

საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლებს შორის
ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ძეგლია ბიჭვინთის
ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც აფხაზეთის ჩრდილო
– დასავლეთ ნაწილში, დღევანდელი ბიჭვინთის, ძველი ანტიკური
ქალაქის – დიდი პიტოუნტის ფარგლებში მდებარეობს. პიტოუნტ-
ბიჭვინთამ, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია ადგილობრივი
რელიქტური ფიჭვის სახელთან, განსაკუთრებული როლი შეასრულა
დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში.

ბიჭვინთის ტაძრის თავდაპირველი მშენებლობა ანდრია მოცი-
ქულის სახელს უკავშირდება, რომელმაც ახ. წ. I საუკუნეში, საქა-

რთველოში ქრისტიანობა იქადაგა და საყდარიც ააგო. საუკუნეების მანძილზე აქ საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, რომელსაც „წმ. ანდრიას საყდრად“ მოიხსენიებდნენ. დღევანდელი გუმბათიანი ტაძარი მოგვიანებით, X–XI საუკუნეების მიჯნაზე, აშენდა და იმ პერიოდის ხუროთმოძღვრულ ნიმუშს წარმოადგენს. „არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვის კიდესა ზედა“¹⁷⁷, – წერდა ვახუშტი ბაგრატიონი. ჯერ კიდევ III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად იქცა, რასაც მოწმობს ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. საუკუნეების მანძილზე ბიჭვინთაში მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, რომელიც XVI საუკუნის შუახანებში, მთიელთა შემოსევების გამო, გელათში გადმოვიდა. XVII საუკუნის ბოლოდან ბიჭვინთის ტაძარი მიტოვებული იყო და არ ფუნქციონირებდა. XVIII საუკუნის ბოლოს ტაძარს მეხი დაეცა და ძლიერ დაზიანდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ტაძარი შეაკეთეს, შეიცვალა გუმბათის ფორმა, შელესეს და შეათეთრეს ფასადები, რის გამო ნაგებობამ სახე იცვალა და დამახინჯდა. XX საუკუნის 60-იან წლებში აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის რეკომენდაციით ტაძარში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მოიხსნა შელესილობა, გუმბათს დაუბრუნდა პირვანდელი სახე, გამოიცვალა სახურავი, მონესრიგდა ეზო და ტაძრის თავდაპირველი სახე აღდგა. დღეს ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკულტო დანიშნულების ძეგლებს მიეკუთვნება.

გადმოცემების მიხედვით, XIX საუკუნის დასაწყისში რუსული ჯარების ბიჭვინთაში შესვლის დროს, როცა ტაძართან მისასვლელი გზა გაიწმინდა, საკურთხეველზე გადაშლილი დახვდათ შუა საუკუნეების ხელნაწერი ქართული სახარება.

ბიჭვინთის წერილობითი სიძველეებიდან ფასდაუდებელია ტაძარში აღმოჩენილი რამდენიმე ბერძნულენოვანი წარწერა, XII საუკუნის ბიჭვინთის ქართული სახარება, რომელიც მოხატულია მინიატურებით და შემკულია ორნამენტებით, (სურათი №19) XVI საუკუნის ბიჭვინთის ქართული იადგარი, ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი (XVI ს) და ა. შ.

ბიჭვინთის ბერძნული წარწერებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია V-VI საუკუნეების ორი მოზაიკური წარწერა, მათ შორის, ერთ-ერთი არის მოსახსენებელი წარჩინებული პირის ორელისა,

177 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 784.

რომლის ინიციატივითა და საფასით გაკეთდა ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკური იატაკი VI საუკუნეში. ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძრის დასავლეთ ნაწილის სამხრეთ კუთხეში აგებულია პატარა ეკვდერი, ე. წ. ევდემონის კაპელა, რომლის ინტერიერი მთლიანად მოხატული ყოფილა. ფრესკულ მოხატულობას თან ახლდა XVI ს. ბერძნული წარწერები, რომლებშიც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578) და მხატვარი პარასკევა არიან დასახელებული. პარასკევას წარწერის ქვემოთ არის ჯვრის გამოსახულება ბერძნული განმარტებითი წარწერებით, რომლებსაც ქვემოთ შესაბამისი ქართული ფრესკული წარწერა ახლავს: „იესუ“, „ქრისტე“, „ძლევან“¹⁷⁸.

ბიჭვინთის ტაძრის ფრესკულ წარწერებში გვაქვს წმინდანთა ფრესკული გამოსახულებების განმარტებითი წარწერები. ცნობილია, წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. სვიმონ კანანელის, წმ. პეტრეს ფრესკები შესაბამისი ბერძნული განმარტებითი წარწერებით. იოანე ოქროპირის ფრესკას ახლავს, როგორც ფრესკის განმარტებითი წარწერა „იოანე ოქროპირი“, ასევე ექვესტრიქონიანი წარწერა, რომელიც ბიბლიურ ტექსტს წარმოადგენს¹⁷⁹.

ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი ევდემონ ჩხეტიძის წარწერით (1568). 1568 წელს „ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოზმან“ ევდემონ ჩხეტიძემ მოაჭედინა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის კარედი ხატი, რომლის „თავი ხატი“ გააკეთებინა ოქროსი, ხოლო სახატე ვერცხლისა და დაასვენა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარში. ბიჭვინთის საკათალიკოზო რეზიდენციის გელათში გადმოტანის შემდეგ სხვა ნივთებთან ერთად ხატიც გელათში აღმოჩნდა. ხატის უკანა მხარეს მოთავსებულია ქართული წარწერა რომელიც მოგვითხრობს მისი შექმნის ისტორიას. წარწერაში დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ ჩხეტიძე, ოდიშის მთავრები მამია III (1512-1533) და ლევან I (1533-1572) დადიანები. კარედი ხატიდან დღეს შემორჩენილია მხოლოდ „თავი ხატი“, სახატე კი არ არსებობს. ხატი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

IX. ბედიის სამონასტრო კომპლექსი. სოფ. ბედია, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი X–XI სს. (სურათი №5).

ოჩამჩირიდან 25 კმ-ის დაშორებით, სოფელ ბედიის ცენტრში აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების ულამაზესი ნიმუში

178 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი, 2004, გვ. 60-61.

179 იქვე. გვ. 66-67.

ბედიის სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც დღეისთვის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი, საეპისკოპოსო პალატი და სამრეკლო შედის. ისტორიული ცნობების თანახმად, ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა (978-1014 წწ) და მისი მშენებლობა, დაახლოებით 999 წელს დასრულდა. ქართველი მემკვიდრის ცნობით, ბაგრატ მეფემ ბედია „შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“¹⁸⁰.

სამონასტრო კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს ეზოს ცენტრში აგებული ბედიის ღმრთისმშობლის ტაძარი. მისგან დასავლეთით, 40 მეტრზე კარიბჭეა, სადაც მდებარეობს ტაძრის სამრეკლო, ხოლო ტაძრის სამხრეთიდან კარიბჭეს ებჯინება ბედიელ მიტროპოლიტთა სასახლე, რომელიც ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს.

ტაძარი მნიშვნელოვნად გადაკეთებულია XIII – XIV მიჯნაზე. სამრეკლო XIII–XIV საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო საეპისკოპოსო პალატა აშენდა XVI საუკუნეში ბედიელი მიტროპოლიტის ანტონ ჟუანისძის მიერ, რაც დასტურდება პალატის ტიშპანზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერით. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის სამი ფენა, რომელიც X–XI, XIII–XIV და XVI საუკუნეებით თარიღდება.

ბედიის ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში ფრესკებზე და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილია ლაპიდარული, ფრესკული და ქედური წარწერები, რომლებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული დამწერლობით და მოგვითხრობენ ტაძრის მშენებლობისა და განახლება – რესტავრაციის ამბავს. მათ შორის დღეს სრული სახით იკითხება 11 წარწერა. დანარჩენი წარწერების მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

წარწერებში დასახელებულია ბედიის ტაძრის ხუროთმოძღვარი სუმეონ გალატოზთუხუცესი (X ს. დასასრული), აფხაზეთის კათალიკოზი ნიკოლოზ გონგლიბაძესძე (XIII საუკუნის 80-90-იანი წლები), ბედიელი მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტები: სოფრონ გონგლიბაძესძე (XIII-XIV საუკუნეების მიჯნა), ანტონ ჟუანისძე (XVI ს.), გერმანე ჩხეტიძე (XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა), ბედიის ტაძრის ქტიტორები მისი მშენებლობისა და შემდგომი რესტავრაციის დროს: გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (978-1014 წწ), (სურათი №5) ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე დავით ნარინის ძე (1293-1327 წწ), „დიოფალი“ როდაბი და ძე მისი კაბაბერი (XIII ს), ოდიშის „დიოფალთ დიოფალი“ მარიხი და მისი ძე,

180 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 281.

ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი (XIV-XV საუკუნეების მიჯნა) და ა. შ. წმინდანთა ფრესკულ გამოსახულებებთან შემორჩენილია, ქართული ასომთავრული წარწერები: წმ. კონსტანტინე, წმ. ელენე, წმ. ბასილი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. სტეფანე, წმ. ზაქარია, წმ. ნიკოლოზი და ა. შ.

ბედიის საეპისკოპოსო საუკუნეების მანძილზე შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) ბედიელ მთავარეპისკოპოსს სვიმეონ გულას-ბერისძეს ბედიელ-ალავერდელის ნოდება უბოძა, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ და ეკლესიურ ერთიანობას განასახიერებდა; 1118 წელს კი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად ანუ სახელმწიფოში მეორე პირად დანიშნა.

მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჟუანისძემ ბედიის სამონასტრო კომპლექსში XVI საუკუნის შუახანებში შექმნა შესანიშნავი წიგნთსაცავი, სადაც მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა განახლება – რესტავრაცია, საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა და წიგნთსაცავის შევსება ახალი ხელნაწერებით. მიტროპოლიტმა გერმანე ჩხეტიძემ ბედიის წიგნთსაცავში სპეციალურად მოიწვია გამოცდილი კალიგრაფები სამხრეთ საქართველოდან. ბედიის წიგნთსაცავში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი კალიგრაფები გაბრიელ ლომსანიძე, ამბროსე კარგარეთელი და სვიმეონ ევფრატელი, იგივე გიორგისძე, რომელთა კალიგრაფიულმა ნიმუშებმა დღემდე მოაღწია.

ბედიის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოს. აქ დასაფლავებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (978-1014) და დედამისი – დედოფალი გურანდუხტი.

მონასტრის დღევანდელი მდგომარეობა: ბედიის ტაძარში, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს, განადგურდა ბაგრატ III ბაგრატიონის ფრესკა ქართული წარწერით, რომელიც 999 წლით არის დათარიღებული.

ბედიის ბარძიმი (999 წელი). (სურათი №7). ბედიის ტაძრის კუთვნილ საეკლესიო ნივთებს შორის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში – ბედიის ბარძიმი, რომელიც არის მრგვალი ფორმის ბაჯჯალო ოქროს თასი, მისი სიმაღლე – 12,5 სმ, ხოლო დიამტრი – 14 სმ-ს წარმოადგენს. თასის გარე ზედაპირი დაყოფილია 12 არედ. თითოეული თალის ქვეშ

გამოსახულია წმინდანები, რომელთა შუაში ერთ მხარეს – ტახტზე მჯდომი ქრისტე ჩანს, ხოლო მეორე მხარეს ღმრთისმშობელი ყრმით ხელში. ბარძიმის შექმნისა და რესტავრაციის ისტორია მოთხრობილია მის წარწერებში, რომლებიც ორ სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნებიან. ბარძიმზე გამოქანდაკებული წმინდანებისა და მაცხოვრის გამოსახულებებთან მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი ქართული წარწერები. ბარძიმის ზედა ნაწილში ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ისა და გურანდუხტ დედოფლის მიერ ბედიის ტაძრისადმი ამ ძვირფასი ნივთის შეწირვის ამბავს.

ბარძიმთან კიდევ ერთი წარწერაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ბარძიმს ასევე ბაჯალლო ოქროსგან დამზადებული ფეხი – სადგარი ჰქონდა, რომელიც დაიკარგა. ბარძიმის ფეხზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობდა, რომ ოქროს ფეხი XVII საუკუნეში ბედიელი მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტიძის დაკვეთით გაუკეთებიათ. როგორც ჩანს, ბედიის ბარძიმისთვის სადგარი ორჯერ შემოუძარცვავთ – პირველად XVII საუკუნეში, ხოლო მეორედ XIX საუკუნეში. ბარძიმის ზედა მრგვალი ფორმის ნაწილი – თასი ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

X. ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. ლიხნი, გუდაუთის მუნიციპალიტეტი. X საუკუნე. (სურათი №8)

გუდაუთის ცენტრიდან 5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფელი ლიხნი, რომლის შუაგულში აღმართულია X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. იგი ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს. მოგვიანებით ტაძრისთვის დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ღია ეგვტერები მიუშენებიათ. ტაძრისა და ეგვტერის შიდა კედლები მთლიანად მოხატული ყოფილა. ტაძარი გარეგუნლად გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით, რამდენადმე წაგრძელებული ფიგურების დინამიურობითა და ექსპრესიულობით. ლიხნის ტაძარში შემორჩენილია, როგორც X–XI საუკუნეების, ასევე გვიანი პერიოდის მოხატულობის კვალი და ქართული წარწერები. ლიხნის ტაძრის სიძველეები პირველად აღწერა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ, რომელმაც ტაძრის კედლებიდან გადმოიწერა რამდენიმე ქართული წარწერა, მათ შორის 1066 წლით დათარიღებული ცნობილი ტექსტი ჰალეის კომე-

ტის გამოჩენის შესახებ, რომელზეც კიევის სამთავროს მატთანე და ერთ-ერთი ჩინური ქრონიკაც მოგვითხრობს.

შეიძლება ითქვას, რომ ლიხნის ტაძარი ეპიგრაფიკული ძეგლების კრებულს წარმოადგენს, რადგან მის მხატვრობაში არის ასომთავრული და მხედრული დამწერლობით შესრულებული ქართული და ბერძნული ფრესკული წარწერები. ქართული წარწერები ორ ათეულამდე აღწევს. წარწერებში დასახელებულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენები, მაღალი საერო და სასულიერო პირები. მათ შორის არიან გაერთიანებული საქართველოს მეფეები ბაგრატ IV (1027-172), გიორგი II (1072-1089); სასულიერო მოღვაწეები ვაჟე პროტოისპათარი და იპატოსი (XI საუკუნის 60-იანი წლები) და პეტრიკ პატრიკი, მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი იოანე (1060-XII საუკუნის 10-იანი წლები) და ა. შ. პეტრიკ პატრიკი გახლდათ ბაგრატ IV-ის ნდობით აღჭურვილი პირი და მისი წარმომადგენელი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ისტორიული პირები საქართველოს მეფის ბაგრატ IV – ის ასულს მარიამ-მართას თან ახლდნენ ბიზანტიის იმპერატორის ვაჟზე გათხოვების დროს.¹⁸¹

როგორც აღვნიშნეთ, ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის ოდესლაც მდიდარი მოხატულობიდან შემორჩენილია ფრესკები ბერძნული და ქართული წარწერებით. ბ (სურათი №9) ერძნული ფრესკული წარწერები XIV საუკუნით თარიღდება: აქ ვხვდებით კონსტანტინოპოლის პატრიარქების წმ. ნიკიფორეს, წმ. გერმანეს, წმ. კირილეს, წმ. ბასილის, ფრესკებს განმარტებითი ბერძნული წარწერებით. გარდა განმარტებებისა, წმ. კირილესა და ბასილის გრაგნილებზე არის ექვსსტრიქონიანი ბერძნული წარწერები, რომლებიც ბიბლიურ ტექსტებს წარმოადგენენ¹⁸².

XI. მოქვის ღმრთისმშობლის ტაძარი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი. X საუკუნე. (სურათი №10)

ოჩამჩირიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლი – მოქვის საკათედრო ტაძარი, რომელიც სამწავიან გუმბათოვან ეკლესიას წარმოადგენს, გუმბათის

181 ლ. ახალაძე. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVII სს. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1998, გვ. 110-111; ვ. სილოგავა. სამგერელო – აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბილისი, 2004, გვ. 198 – 211; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. ტ. I. თბილისი, 2004, გვ. 165 – 169.

182 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბილისი, 2004, გვ. 64-67.

თოთხმეტწახნაგოვანი ყელით. XI საუკუნის ქართველი მემატინის ცნობით, აფხაზთა მეფე ლეონ III-მ (957-967 წწ) „აღაშენა ეკლესია მოქცსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ¹⁸³“. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, ეპისკოპოსის სამწყსოს წარმოადგენდა ტერიტორია მდინარეებს კოდორსა და მოქვისწყალს შორის.¹⁸⁴

მოქვეში საუკუნეების მანძილზე არსებობდა ქართული კულტურის ძლიერი კერა, სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერთა გამრავლება და ძველი ნუსხების განახლება. დღემდე მოღწეულია მოქვის წიგნთსაცავის ხელნაწერები, რომლებიც გვამცნობენ მოქველ მოღვაწეთა სახელებს. მოქვის სიძველეებიდან განსაკუთრებით მაღალი ღირებულება აქვს დანიელ მოქველის თაოსნობით 1300 წელს გადაწერილ მოქვის ცნობილ ოთხთავს, რომელიც მოხატულია მდიდრულად და შემკულია მაღალი ოსტატობით შესრულებული ორნამენტებით. მოქვის ოთხთავის გადამწერი და გამფორმებელია ბერი ეფრემი. (სურათი №18)

მოქვის ეკლესია, რომელიც საქართველოს კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა, მდიდარი იყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებითაც, მაგრამ დღეს მოქვის წარწერებიდან შემორჩენილია მხოლოდ სამრეკლოს XII საუკუნის წარწერა, რომელშიც მოქველი ეპისკოპოსი გრიგოლი არის დასახელებული. (სურათი №11) ფრესკული წარწერებიდან ცნობილია 1659 წელს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1669-1707) მიერ მოქვის მონასტერში ნანახი წარწერა, რომელშიც საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელი (1089 – 1125 წწ) და ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსი (1081-1118 წწ) არიან დასახელებული¹⁸⁵.

მოქვის ტაძარი დავით აღმაშენებლის ხანაშიც საფუძვლიანად შეუკეთებიათ და მოუხატავთ, მაგრამ ფრესკული მოხატულობის კვალი დღეს ძლივს შეიმჩნევა. როგორც წყაროები ადასტურებენ, ქართული წარწერები აქ მრავლად იყო, მაგრამ ისინი მომდევნო საუკუნეებში განადგურდა. 1902 წელს თ. ჟორდანიას გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროს განახლებულ, ან უკეთ რომ ვთქვათ გაფუჭებულ მოქვის ტაძარში უჩინონი გახდნენ ქართული წარწერანი.“ „ქართულ წარწერას თუ სადმე მოიხელთებდნენ, ჰმლიდნენ, რყვნიდნენ¹⁸⁶“.

183 ქართლის ცხოვრება, ტ. 1. გვ. 270.

184 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 780-781.

185 М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, книга I. Санкт-Петербург, 1847, с. 31.

186 თედო ჟორდანია. მოქვის ეკლესიის ომოფორი ისტორიული წარწერებით.

მოქვის საეპისკოპოსო კათედრა X საუკუნეში დაარსდა, მაგრამ მოქვი, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი განსაკუთრებით XIII საუკუნიდან დანიშნაურდა. ისტორიულ-მაწყაროებმა შემოინახეს, მოქველი ეპისკოპოსების სახელები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი საეკლესიო პირები გრიგოლ მაგნისძე (XII), დანიელ მოქველი (1300 წლის ახლო პერიოდი), აბრაამ მოქველი (XIV საუკუნის პირველი ნახევარი), ფილიპე ჩხეტიძე ((XV ს.), ეფთვიმე საყვარელიძე (XVI საუკუნის მეორე ნახევარი, 1578-1614 წლებში აფხაზეთის კათოლიკოსი) და სხვები.

მოქვის სიძველეთა შორის აღსანიშნავია ღმრთისმშობლის ხატი ლეონ III აფხაზთა მეფის წარწერით (957-967). ლეონ III აფხაზთა მეფის დაკვეთით შესრულებულია წმ. ღმრთისმშობლის ხატი, რომელზეც დედა ღვთისა გამოსახულია ვედრების პოზაში. მისი ვედრება მიმართულია მაცხოვარისაკენ, რომელიც ხატის მარჯვენა კუთხეში იკითხება. მარცხენა კუთხეში გამოსახულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. ღმრთისმშობლის ფერწერული სახე XIX საუკუნეშია რესტავრირებული. ხატის ორნამენტირებული ჩარჩო მორთულია წმინდანების მინანქროვანი მედალიონებით. ხატის ქვედა არშიაზე ქართული ასომთავრული წარწერაა, სადაც მოხსენიებულია აფხაზთა მეფე ლეონ III (957-967 წ).

მოქვის ღვთისმშობლის ხატი ანდრია საყვარელიძის წარწერით. XVII საუკუნის 50-60-იანი წლებით დათარიღებული მოქვის ვერცხლის კარედი, რომელშიც მოთავსებულია ოქროთი შეჭედილი ღმრთისმშობლის ხატი, ჩვილედი, წარმოადგენს გვიანშუასაუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს. ხატის შუაში გამოსახულია ფეხზე მდგომარე ღმრთისმშობელი, მარჯვნივ იოანე წინამორბედი, მარცხნივ კი სტეფანე მთავარდიაკონი. ხატი ჩასვენებულია დიდ ვერცხლით შეჭედილ კარედ ბუდეში, რომელსაც თან ახლავს მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ხატის კტიტორი ანდრია საყვარელიძის – 1660-1666 წლებში მოქველი მთავარეპისკოპოსის სავედრებელი წარწერა, რომელშიც ანდრია საყვარელიძე მოგვითხრობს ღმრთისმშობლის ხატის მოქვის წმინდა ტაძრისადმი შეწირვის ამბავს.

XII. ილორის წმიდა გიორგის ტაძარი. სოფ. ილორი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, XI ს. I მეოთხედი, (სურათი №12).

ოჩამჩირიდან 3 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფ. ილ-

ორი, რომლის შუაგულში აღმართულია XI საუკუნის I მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ილორის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრსა და სალოცავს წარმოადგენს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ზღვის კიდეზედ. . . არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგისა... უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული“¹⁸⁷.

ილორის ტაძარი აგებულია ადგილობრივი ფეოდალის გიორგი გურგენისძის მიერ, რაზეც მოგვითხრობს ტაძარზე შემორჩენილი ერთ-ერთი წარწერა. აფხაზი ხელოვნებამცოდნის ა. კაციას სიტყვებით, ილორის ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკური დონით იგი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომელშიც კარგად იკვეთება შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრულ – მხატვრული მისწრაფებანი. იგი აფსიდით დასრულებული ერთნაჯიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთის მხრიდან სხვადასხვა სახის მინაშენები აქვს. ეკლესია ნაგებია თლილი ქვის წყობით, მას აქვს კარები დასავლეთიდან და სამხრეთიდან, ხოლო შიდა სივრცე – ინტერიერი განათებულია ექვსი სარკმელით¹⁸⁸.

ილორის ეკლესიის ფასადებზე დღემდე შემორჩენილია ქართული დამწერლობით შესრულებული ხუთი ლაპიდარული წარწერა, ხოლო მეექვსე წარწერა გადაშლილია და იკითხება რამდენიმე გრაფემა. ფრესკული მოხატულობა აქ დაცული არ არის, რადგან ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის მიერ შეკეთებული და მოხატული ილორის ეკლესია, 1736 წელს დაწვეს ოსმალებმა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ტაძრის მოხატულობა მაშინ განადგურებულა¹⁸⁹.

ილორის ტაძრის წარწერების მიხედვით, ეკლესია თავიდანვე წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული, ტაძრის ქტიტორები იყვნენ ადგილობრივი ფეოდალი გიორგი გურგენისძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი და მღვდელი გიორგი ქოჩოლავა, ტაძრის მშენებელთა შორის დასახელებულია გიორგი გალატოზი, საერო პირი მიქაელი და ა. შ.

ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა: რესტავრირებულია აფხაზეთში მოქმედი საოკუპაციო რეჟიმის პირობებში, რის შედეგად ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა – დაადგეს ე. წ. რუსული გუმბათი, შეთეთრებულია, როგორც ინტერიერი, ასევე ექსტერიერი, რის შედეგად ნ ქართული წარწერიდან არც ერთი აღარ იკითხება.

187 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 779.

188 А. Кация. Илори (памятник XI века). Сухуми, 1963.

189 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 886-887.

ილორის ბარძიმი X ს. ილორის ვერცხლის ბარძიმი XIX საუკუნის ბოლოს იპოვეს ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში. გარეგნულად ძალზე წააგავს ბედიის ბარძიმს – ზედაპირი ისევე, როგორც ბედიის ოქროს ბარძიმისა, დაყოფილია თაღედებით რვა ნაწილად. თითოეულში მოთავსებულია წმინდანის ფიგურა. შუა თაღში გამოსახულია აღსაყდრებული მაცხოვარი მალლა აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, მარცხენა ხელში – სახარებით. გვერდით თაღედში გამოსახულია ქრისტესკენ გადახრილი მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი ბარძიმითა და ფეშხუმით ხელში¹⁹⁰. ილორის ვერცხლის ბარძიმის პირს შემოუყვება ქართული ასომთავრული წარწერა. ილორის ბარძიმის ადგილსამყოფელი უცნობია.

ილორის წმინდა გიორგის ხატი (1572-1582 წწ). გვიან შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ილორის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც მასზე დაცული ქართული წარწერის მიხედვით ბედიელი მთავარეპისკოპოსის კირილე ჟუანისძისა და ოდიშის მთავრის გიორგი III დადიანის (1572 –1582 წწ) დაკვეთით არის დამზადებული. ხატზე აღბეჭდილია წმ. გიორგის პირველი სასწაულმოქმედების სცენა.

ხატი თავდაპირველად ბედიის მონასტერში დააბრძანეს, მაგრამ მალე ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაასვენეს. სწორედ აქედან იწყება ამ ხატის სასწაულმოქმედების ისტორია, რომელიც დაკავშირებული იყო ხეობის განკურნებასთან, ბრმისთვის თვალის ახელასთან, ყრუსთვის სმენის დაბრუნებასთან და ა. შ.

ილორის წმ. გიორგის ხატი 1936 წელს საბოლოოდ დაიკარგა, მაგრამ მისი ფოტო შენარჩუნებულია.

ილორის წმინდა გიორგის ხატი (XVII ს. 60-70 წწ.) ვერცხლის დასაკეცი, სამფრთიანი და ძენკვით შემკობილ ხატი, რომლის წინა ნაწილზე გამოსახულია წმ. თევდორე და წმ. დემეტრე განმარტებითი წარწერებითურთ. ხატი იხსნება და შიგნით გამოსახულია ფეხზე მდგომარე, საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდა გიორგი, რომლის გამოსახულების მარჯვნივ ვედრების ფორმაში გამოქანდაკებულია ბედიელი მიტროპოლიტი კირილე ჟუანისძე (1572-1582). ყველა გამოსახულებას თან ახლავს განმარტებითი წარწერები, გარდა ამისა. ხატის ჩასასვენებელზე მოთავსებულია 15 სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ბედიელი მიტროპოლიტის კირილე ჟუანისძის მიერ ილორის ტაძრისადმი წმინდა გიორგის ხატის შეწირ-

190 Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство: исследование по истории грузинского средневекового искусства. Тбилиси, 1959.

ვის ისტორიას.

წარწერაში კირილე ჟუანის ძესათან ერთად დასახელებული არიან საერო პირები, კერძოდ, მისი თანამედროვე ოდიშის მთავარი გიორგი III დადიანი და მთავრის თანამეცხედრე დედოფალი თამარი. ამჟამად დაცულია ზუგდიდის მუზეუმში.

XIII. ანუხვის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესია.

სოფ. ანუხვა, გუდაუთის მუნიციპალიტეტი. XI ს.

სოფელი ანუხვაში, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, რუსი არქეოლოგის გრაფინია პრასკოვია უვაროვას მიერ გამოვლინდა დიდი ზომის ეკლესიის ნანგრევები, რომლის სიდიდეს, ჩუქურთმათა დახვეწილ ჰარმონიასა და ორნამენტთა პროპორციულობას დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. ტაძარი წარმოადგენს XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს, რომელიც არქიტექტურისა და მაღალმხატვრული ჩუქურთმის ხასიათით სამხრეთ საქართველოს ძველ არქიტექტურას ენათესავება.

ანუხვის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი XI – XIV საუკუნეების ქართული ასომთავრული წარწერები მოგვითხრობენ ტაძრის მშენებლობის ისტორიის, ქტიტორებისა და მომდევნო ეპოქებში მისი რესტავრაციის შესახებ. ერთ-ერთი წარწერის მიხედვით, ანუხვის ტაძარი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე ყოფილა აგებული. XI საუკუნით დათარიღებულ ულამაზეს ქართულ კიდურწაისრულ წარწერაში, რომელიც ამოკვეთილია ანუხვის სვეტზე, დაფიქსირებულია ამ ეპოქის აფხაზეთის მსხვილი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები, ანუხვის ტაძრის ქტიტორები: გიორგი ბასილის ძე, მისი მამა – ბასილი, ძმები თეოდორე, დემეტრე და მერკილე, რომლებმაც აღმართეს ჯვარი და ააგეს ანუხვის ტაძარი თავისი ოჯახის წევრების სულის საოხად¹⁹¹. (სურათი №13) ანუხვის ტაძრიდან შემორჩენილია ქვის ფილა ჯვარცმის გამოსახულებითა და ქართულ-ბერძნული განმარტებითი წარწერებით. ბერძნული წარწერა ერთსტრიქონიანია: ჯვარცმა, ხოლო ქართული წარწერები განმარტავს: „აჰა მეუფე ჰურიათა“ და „ჯვარცმაჲ ქრისტესი“¹⁹².

ანუხვის ტაძრის შესანიშნავი ხუროთმოძღვრული სტილი, ორნამენტები და ჩუქურთმა და წარწერების ფორმები მეორდება საქართველოს სხვა რეგიონების არქიტექტურაში. საყურადღებოა, ულამაზესი ხელოვნებითი დამწერლობით შესრულებული გიორგი ბასილის

191 ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც სასიტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბილისი, 2005, გვ.156-157.

192 იქვე. გვ. 163-164.

დის კიდურნაისრული წარწერა, რომლის ანალოგები გვაქვს სვეტიცხოვლის, სამთავისის, ალავერდის, ნიკორწმინდისა და შიომღვიმის ლაპიდარულ წარწერებში.

XIV. ბესლეთის ეკლესია. სოფ. ბესლეთი, სოხუმის მუნიციპალიტეტი, X- XI ს.

ბესლეთის ეკლესია მდებარეობს სოფელ ბესლეთში, ცნობილი ბესლეთის (თამარის) თაღოვანი ხიდიდან 200 მეტრის დაშორებით. ნანგრევებიდან ჩანს, რომ აქ ოდესღაც სამონასტრო კომპლექსი ყოფილა, რომლის ძირითადი ნაგებობა – ტაძარი დღეს თითქმის დანგრეულია და მისი კონტურები ძლივს ჩანს მიწის ზემოთ. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით კლდესთან ახლოს მდებარეობს დიდი ნაგებობა, რომლის პირველ სართულზე განლაგებული ყოფილა ერთმანეთთან ვიწრო გასასვლელებით დაკავშირებული ოთხი ოთახი. გარდა ამისა, შეიმჩნევა რამდენიმე სხვა ნაგებობის ნანგრევი, რაც მიუთითებს აქ დიდი სამონასტრო კომპლექსის არსებობაზე. ამკარაა, რომ მონასტერი შუასაუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა.

ბესლეთის ხიდი. X– XI სს. მიჯნა. (სურათი №14) სოხუმის მახლობლად, მდინარე ბესლეთის კალაპოტზე გადებულია ერთმალისანი თაღოვანი ხიდი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები თამარის ხიდს უწოდებენ. ხიდის საერთო სიგრძე არის 35 მ., სიგანე – 8 მ., იგი აგებულია კირქვის ფილებით, მოპირკეთებულია ქვის თლილი ბლოკებით, მათ შორის დაყოლიებულია ბრტყელი აგურის შრეები. აკადემიკოს ნ. ჩუბინაშვილის განცხადებით, ხიდი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართულ ნაგებობას, რომლის ხუროთმოძღვარს კარგად ჰქონდა შესწავლილი ამ მდინარის თვისება. ეს ძველი ხიდი თანამედროვე ხიდთამშენებლობის კანონებსაც კი სრულიად აკმაყოფილებს და 8 ტონიანი მანქანების მთელი შეუწყვეტელი რიგის სიმძიმის ატანაც კი შეუძლია. ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდი დიდ სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზე უნდა მდგარიყო. ბესლეთის ხიდის ანალოგები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვაქვს, კერძოდ, რკონის თაღოვანი ხიდი ქართლში, დონდალოს ხიდი აჭარაში, თაღოვანი ხიდების მთელი კასკადი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო-კლარჯეთში). 1935 წელს, ხიდის მცენარეული საფარისაგან განმეიდის დროს, აფხაზმა მხარეთმცოდნემ იოსებ აძინბამ ხიდის დასავლეთ კიდეზე მოთავსებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა აღმოაჩინა. წარწერა მოგვითხრობს: „ქ(რისტ) ე [მეუფ(ე)ო] ყ(ოველთ)ა [ად]იდე ორთავე ს(უ)ფ(ე)ვათა უ[ძღვეველი]

[მეფეთა მეფე ბაგრატ]”. მიუხედავად იმისა, რომ წარწერაში დასახელებულია მეფე ბაგრატ III (97-1014), ხალხმა თამარ მეფისადმი დიდი სიყვარულის დასტურად ამ ხიდს თამარის ხიდი შეარქვა. წარწერაცა და ხიდიც X საუკუნის მიწურულითა და XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

2015 წელს აფხაზმა ისტორიკოსებმა ოლეგ ბლაჟბამ და სტან-ისლავ ლაკობამ სასკოლო სახელმძღვანელოში «История Абхазии» ეჭვქვეშ დააყენეს ბესლეთის (თამარის) ხიდის და ზოგადად აფხაზეთში არსებული ქართული წარწერების ავთენტურობა, რომ თითქოს ბესლეთის ხიდის წარწერა „თვითმხილველთა თქმით XX საუკუნის 30-იან წლებში იყოს გაკეთებული“¹⁹³. სამწუხაროა, რომ ისტორიკოსი და მეცნიერი ასეთი არამეცნიერული მეთოდით ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას, **საიდან განჩნდა ამდენი ქართული წარწერა აფხაზეთში, თუ ქართველები იქ არ ცხოვრობდნენ?** განსაკუთრებით ღიმილისმომგვრელია ეს მეთოდი, მაშინ, როცა ქართული წარწერების უმრავლესობა აფხაზი მხარეთმცოდნეების, მეცნიერების, ან უბრალო მოსახლეობის აღმოჩენილია. თავად ოლეგ ბლაჟბას მამა ცნობილი ენათმეცნიერი ხუხუტი ბლაჟბა მიუთითებს ამ წარწერების ავთენტურობაზე, კერძოდ მოგვითხრობს ბესლეთის ხიდის წარწერის აღმოჩენის ისტორიას აფხაზი მხარეთმცოდნის იოსებ აძინბას მიერ¹⁹⁴. დასაინანია, რომ XXI საუკუნეში, როდესაც ისტორიული მეცნიერება ასე განვითარდა და სამეცნიერო აკადემიური საზოგადოება კვლევის ახალ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს ეუფლება, მეცნიერი მსგავსი არაკომპეტენტურობით ცდილობს პოლიტიკური დაკვეთა შეასრულოს, წავიდეს მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის მქონე საკუთარი მამის წინააღმდეგაც კი, ოღონდ „ვილაცის“ საამებელი ახალი ისტორია დანეროს: უარყოს აფხაზეთის 100-ზე მეტი ქართული წარწერის ავთენტურობა, რადგან ისინი ყველაზე უტყუარი დოკუმენტური საბუთებია იმისა, რომ აფხაზეთი ოდითგანვე ქართველთა ისტორიული საცხოვრისი იყო¹⁹⁵.

ბესლეთის (თამარის) ხიდის დღევანდელი მდგომარეობა: ხიდი

193 О. Х. Бгажба. С. З. Лакоба. История Абхазии с древнейших времен до конца наших дней. Сухуми, 2015, gv. 170-171.

194 Х. Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Тбилиси, 1967, с. 20.

195 აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ 1992-1993 წლებს ომამდეც არაერთხელ ჰქონდა ადგილი აფხაზეთში ქართული წარწერების განადგურების მცდელობას. მაგალითად, 1988 წელს რამდენჯერმე სცადეს ბესლეთის ხიდის წარწერის ფილების ჩამოყრა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის აფხაზებიც იცავდნენ თავის კულტურულ მემკვიდრეობას.

გასუფთავებულია მცენარეული საფარისაგან. ქართული ასომთავრული წარწერის ნაშთის ნაწილი შენარჩუნებულია.

XV. წკელიკარის წმიდა გიორგის ეკლესია. სოფ. რეჩხო-ცხირი, გალის მუნიციპალიტეტი, XI ს.

ეკლესია მდებარეობს გალიდან 20 კილომეტრის მანძილზე, აგებულია წმ. გიორგის სახელზე, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებნი მას წკელიკარს („წყეველის კარს“) უწოდებენ. აფხაზი ხელოვნებათმცოდნის ლ. შერვაშიძის აზრით, ეკლესია წარმოადგენს XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშს. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია წკელიკარის ეკლესიის სამი ლაპიდარული და შვიდი ფრესკული წარწერა, რომელთა შინაარსიდან ირკვევა, რომ XI საუკუნეში წკელიკარის ეკლესია აგებულია საეკლესიო პირის მერკილეს ინიციატივითა და ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალების ქტიტორობით. ტაძარს მომდევნო საუკუნეებში რამდენჯერმე განუცდია საფუძვლიანი გადაკეთება – რესტავრაცია. XVII საუკუნეში ტაძრის ქტიტორი და რესტავრატორი ყოფილა ჩიჩუას საგვარეულო, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ფრესკული გამოსახულება ტაძრის კედლებზეა შემორჩენილი შესაბამისი ქართული წარწერის ფრაგმენტებით.

XVI. წებელდის ეკლესიები. გულრიფშის მუნიციპალიტეტი,

წებელდის წმ. თევდორეს ეკლესია, XII. წებელდის შემოგარენში, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსი არქეოლოგის, გრაფინია პრასკოვია უვაროვას მიერ აღმოჩენილი იქნა ტაძარი, რომელიც მოგვიანებით მოინახულა დ. ბაქრაძემ. ორივე მკვლევარმა აღწერა ეკლესიის შიგნით აღმოჩენილი წარწერა, რომელიც მიუთითებს, რომ ტაძარი იმთავითვე წმ. თევდორეს სახელზე იყო აგებული. აშენებულია თლილი, მოჩუქურთმებული ქვებით, რომლებმაც XX საუკუნის 60-70 – იან წლებში მკვლევართა ყურადღება მიიპყრეს და ისინი სპეციალურად შეისწავლეს ხელოვნებათმცოდნეებმა რ. შმერლინგმა და ლ. ხრუშკოვამ. არქიტექტურული ფორმების პარალელებითა და ანალოგიების მოძიებით მათ დაასაბუთეს, რომ ეს ნიმუშები მსგავსებას პოულობენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სხვა ნიმუშებთან .

წებელდის წმიდა გიორგის ეკლესია, XII-XIII სს. წებელდიდან აღმოსავლეთით, 4 კმ-ზე 1988 წელს რუსი არქეოლოგის ი. ვორონოვის მიერ გამოვლინდა ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები, რომელშიც აღმოჩნდა ტაძრის ერთ-ერთი საამშენებლო დეტალი შესაბამისი ქართული წარწერით. (სურათი №15) წარწერა მოგვითხრობს წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის შესახებ. წარწერის ისტორიულ-წყაროთ-

მცოდნეობითი და პალეოგრაფიული ანალიზის მიხედვით, აგებული უნდა იყოს XII–XIII საუკუნეებში.

ნებელდის წმინდა ეკატერინეს ხატი, XI ს. XIX საუკუნის 80-იან წლებში ნებელდამი აღმოჩნდა დაზიანებული ხატი, რომლის ცენტრალურ ნაწილში მთელი სიმაღლით გამოსახულია წმ. ეკატერინე. ფოტოზე ხატის დაზიანების გამო წმინდანის ცალი ხელი ჩანს. წმ. ეკატერინეს ნიშბის ორივე მხარეს ამოკვეთილია გამოსახულების განმარტებითი წარწერა „წ(მიდა)ე ეკ(ა)ტ(ე)რინე“. ხატის ქვედა ჩარჩოს კიდეზე ამოკვეთილია ორსტრიქონიანი, ქართული ასომთავრული წარწერა შესრულებული ულამაზესი კიდურნაისრული დამწერლობით, რომელიც მოგვითხრობს ხატის უცნობი კტიტორის – წარჩინებული ქალბატონის – მარიამის შესახებ. ხელოვნებათმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ნიშნებით წმ. ეკატერინეს ხატი XI საუკუნის ქართული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

ნებელდის წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატი XI ს. ნებელდის ძველი ეკლესიის ნანგრევებში XIX საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩნდა ხატი, რომლის ჩარჩო მოოქროვილი ვერცხლისა ყოფილა. ხატის ცენტრალურ ნაწილში ფერწერით გამოსახული იყო იოანე ნათლისმცემელი, რომლის სახე დღეს ფოტოზე აღარ ჩანს. წმინდანი მარჯვნივ არის მობრუნებული და ხელი ვედრების ნიშნად ზემოთ აქვს აპყრობილი. ნიშბის ზედა მარჯვენა და მარცხენა კუთხეში მოთავსებულია წმინდანის გამოსახულების განმარტებითი ქართული წარწერა – „წმინდა იოანე“, ხოლო ხატის ქვედა ჩარჩოზე მოთავსებული წარწერა მოგვითხრობს საბა მალელის ძის შესახებ, რომელიც არის ხატის „მამკობი“ და ქტიტორი. ხალოვნებათმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ნიშნებით იოანე ნათლისმცემლის ხატიც XI საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების შედეგს წარმოადგენს.

ნებელდის წმ. ანდრია მოციქულის ეკლესია და ხატი XII ს.

ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს წმ. ანდრია მოციქულის სახელზე შეჭედილი ხატი, რომელიც მთლიანად ვერცხლისგან არის დამზადებული. დღეს შემორჩენილია ხატის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელზეც ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს თამარ მეფის ეპოქის ცნობილი საზოგადო მოღვაწის ერისთავთ ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცეს აბულასან იობის ძის შესახებ. აბულასან იობის ძის წინაპრები წარმოშობით დალი-ნებელდის ხეობიდან ყოფილა, რისთვისაც აბულასანმა ნებელდამი, ანდრია მოციქულის სახელზე ტაძარი ააგო და შეწირა მას წმ. ანდრიას ხატი.

**XVII. ლუმურიშის ეკლესიები, გალის მუნიციპალიტეტი
ლუმურიშის I ეკლესია. ლუმურიშის მთისწინეთი, XI ს.**

სოფელ ლუმურიშის მთის ზოლში XX საუკუნის 60-იან წლებში აფხაზმა ხელოვნებათმცოდნე ლ. შერვაშიძემ გამოავლინა ეკლესიის ნანგრევები, რომლის გათხრების დროს აღმოჩნდა ძველი ქართული ასომთავრული წარწერა. წარწერა მოგვითხრობს საგდუხტ „დიოფალთ დიოფალის“ მიერ ჯვრისა და ტაძრის მშენებლობის ისტორიას. ისტორიული წყაროების თანახმად, „დიოფალთ დიოფალი“ საგდუხტი წარჩინებული ქალბატონი და ოდიშის ერისთავთ ერისთავის მეუღლეა, რომელიც ლუმურიშის ტაძრის ქტიტორი და მამენებელი იყო. ტაძარი და წარწერაც დათარიღებულია XI საუკუნით.

ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა: შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები.

ლუმურიშის II ეკლესია. XIX ს.

ლუმურიშის ცენტრში დგას ბაზილიკა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით XIX საუკუნეში აიგო. საბჭოთა პერიოდში ტაძარში ღმრთისმსახურება არ აღევლინებოდა და მასში კოლმეურნეობის სანყოფი იყო განთავსებული. XXI საუკუნის დასაწყისში მოსახლეობამ ეკლესია განმინდა, რის შედეგად გამოვლინდა მრავალრიცხოვანი საფლავის ქვები ქართული წარწერებით. ქართული მხედრულით შესრულებულ ეპიტაფიებში დასახელებულია ადგილობრივი ფეოდალური გვარს წარმომადგენლები: ემხვარი და ანჩაბაძე.

XVIII. დიხაზურგის ეკლესია, სოფ. დიხაზურგა, გალის მუნიციპალიტეტი, XI ს.

აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი დიხაზურგა, რომელსაც 1952 წლამდე „დიდი ნიფური“ ეწოდებოდა. ასეთი სოფელი გვხვდება იტალიელი კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ისტორიულ თხზულებაში და 1654 წლის რუკაზე, რომელზეც აღნიშნულია ეკლესიის არსებობაც. „ნიფურიას მონასტერი – წერდა ლამბერტი, – აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ახლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღმრთისმშობლის სახელობაზეა და მეორე წმინდა გიორგისაზე“. როგორც ჩანს, ნიფურიაში, გვიან შუა საუკუნეებში, ორი ერთმანეთთან გაერთიანებული ეკლესია არსებობდა, რომელიც XVII საუკუნის შუახანებისათვის კათოლიკე მისიონერების ხელში ყოფილა.

ამჟამად დიხაზურგაში არსებული ეკლესიის ნანგრევებს წმ. ბარბარეს ეკლესიას უწოდებენ. XX საუკუნის დასაწყისში ამ ეკლე-

სიის ნანგრევებში იპოვეს ქვის ორი ფილა. ერთ-ერთზე გამოსახულია ჯვარი, რომლის მარცხენა მხარეს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მკლავებს შორის მთელი ტანით წარმოდგენილია მამაკაცის გამოსახულება. მამაკაცს ხელები ვედრების ნიშნად ჯვრისაკენ აქვს მიმართული. ჯვრის ვერტიკალური მკლავების ზემოთ და მარჯვენა უბეში ამოკვეთილია მხედრული ანბანით შესრულებული წარწერა, რომელშიც დიხაზურგის ტაძრის ხუროთმოძღვარი გრიგოლ გალატოზთუხუცესია დასახელებული. წარწერა წარმოადგენს მხედრული დამწერლობის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშს დასავლეთ საქართველოში.

ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა: ტაძრის ინტერიერი და ექსტერიერი მძიმე მდგომარეობაშია.

XIX. გუდავის ეკლესია, გალის მუნიციპალიტეტი, VI-VIII სს. XV-XVII სს.

ძველი ბერძნული და ბიზანტიური წყაროების თანახმად, გუდავა უძველესი დროიდან წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს. აქ მდებარეობდა ზიგანისის ციხე, რომელიც დასავლურქართული ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სიმაგრეს წარმოადგენდა. VII-X საუკუნეებში ლაზიკის 4 საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი გუდავაში იყო. ცნობილია, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა (978-1014 წწ) მოშალა გუდავის საეპისკოპოსო და შექმნა ბედიის საეპისკოპოსო კათედრა.

გუდავის ეკლესია თავდაპირველად აგებული უნდა იყოს VII-X საუკუნეებში, მაგრამ განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში რამდენჯერმე მნიშვნელოვანი გადაკეთება – რესტავრაცია განიცადა. გუდავის ეკლესიის რესტავრაცია XV საუკუნეში დაკავშირებულია ადგილობრივი ფეოდალის რაბაჟსა და მისი მეუღლის ნუგამწირას სახელთან, რომლებიც დასახელებული არიან გუდავის ეკლესიის ეზოში აღმოჩენილ სამშენებლო ქვის ორნამენტირებულ ფილაზე. ფილის მეორე მხარეს ჯვრის გამოსახულება ყოფილა გამოსახული. ორნამენტის შიგნით მოთავსებულია სამსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელშიც ეკლესიის ქტიტორები რაბაჟ და ნუგამწირა იხსენიებიან. იქვე ამოკვეთილია მეორე წარწერა, რომელშიც ტაძრის დეკანოზის სახელი იკითხება. ორივე წარწერა და ეკლესიის რესტავრაციაც დათარიღებულია XV საუკუნით.

XX. სოხუმის ციხე. სოხუმის მუნიციპალიტეტი. I-II სს., XVIII სს.

ქართულ და დასავლეთ ევროპულ ისტორიულ წყაროებში ქალაქი სოხუმი (ქართული წყაროების ცხუმი) და მისი ციხე მოხსენ-

ნიებულია სხვადასხვა სახელებით: სებასტოპოლისის ციხე, სავასტოპოლი, სავატოპოლი, სანატოპოლი, ფავასტა, პორტო მეგრელო, და სხვა, როგორც ქალაქი, ციხე და ნავსადგური სამეგრელოს ქვეყანაში, საქართველოში. XVIII საუკუნის ფრანგულ გეოგრაფიულ გამოცემებში კი სოხუმი სამეგრელოს დედაქალაქადაცაა აღნიშნული (ჟან ბაპტის ლუი კლუე, ნიკოლ დელაკრუა და სხვ.). როგორც ზემოთაც (პირველ ნაწილში) ამის შესახებ ითქვა, ქართული წყაროები მას ცხუმს უწოდებენ და პირველად „ცხუმის ციხის“ მოხსენიება გვაქვს VIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულებაში¹⁹⁶.

სოხუმის ციხის დაარსება რომაელებს უკავშირდება. ისინი ძვ. წ. I საუკუნეში მოვიდნენ აქ და ააგეს ციხესიმაგრე, რომელსაც სებასტოპოლისი უწოდეს. VI საუკუნის დასაწყისში სოხუმი აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) გამგებლობას ემორჩილება. 542 – 562 წლების ირან-ბიზანტიის ომის დროს, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-მა გაიყვანა ჯარები სოხუმის ციხიდან და დაანგრია ეს სიმაგრე. 565 წელს მანვე აღადგინა სოხუმის ციხესიმაგრეც და ქალაქი ცხუმიც, რომელიც VII საუკუნიდან კვლავ დანიშნაურდა. კარგა ხნის მანძილზე ციხესიმაგრე რეგიონში ბიზანტიელთა ერთ-ერთი საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. 738 წელს ცხუმის ციხესიმაგრე და ქალაქი დაარბია არაბთა ლაშქარმა მერვან იბნ მუჰამადის (მურვან ყრუ) სარდლობით. მალე იგი საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრი გახდა, რომელიც დასავლურქართული სახელმწიფოს – ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. აქვე დაარსდა საეკლესიო კათედრალი, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ძლიერების ხანაში (XI-XIII სს.) სოხუმის ციხე და ქალაქი კვლავ აყვავებას განიცდის. თუმცა ცხუმის ერისთავების რეზიდენციას ამჯერად ბაგრატის ციხე წარმოადგენდა.

XIV საუკუნის დასაწყისიდან სოხუმში გენუელები (იტალია) სავაჭრო ფაქტორიას აარსებენ, დასავლური წყაროების მიხედვით, ამ დროს სოხუმის (ცხუმის) ციხე ოდიშის ერისთავთ-ერისთავის რეზიდენციას წარმოადგენდა. აქვე მოჭრა „ცხუმური თეთრი“, ანუ სებასტოპოლისის ასტრა“ ოდიშის ერისთავთ ერისთავმა და საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესმა ვამეყ I დადიანმა (1384-1396 წწ.). ისტორიული წყაროებით, ცხუმში ჰქონდა რეზიდენცია ვამეყ II დადიანსაც (1474 – 1482 წწ.), თუმცა მანამდე, 1453 წელს ქალაქისა და მისი ციხის აღება მცირე ხნით ოსმალებმა შეძლეს. მეორედ ოსმალებმა ქალაქი აიღეს XVI საუკუნის II ნახევარში. განსაკუთრებული სანა-

196 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 235, 238.

პიროსა და ლამაზი მდებარეობის გამო, ოსმალები სოხუმს „მეორე სტამბოლს“ უწოდებდნენ. ამის შემდეგ, სოხუმის ციხე აფხაზეთში ოსმალთა ძირითადი დასაყრდენი გახდა. 1724 წელს ოსმალებმა სოხუმის ციხესიმაგრის საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაატარეს, გაამაგრეს და მას სუხუმ-კალე (სოხუმის ციხე) უწოდეს. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის ბოლოს ჩანს, რომ სოხუმი აფხაზეთის მთავრის რეზიდენცია გახდა, თუმცა ამავე დროს სოხუმის ციხე ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი გახდა. 1810 წელს სოხუმის ციხე რუსეთის ჯარებმა აიღეს, რომელსაც მხარს უჭერდა აფხაზეთის სამთავრო სახლის მემკვიდრე გიორგი შარვაშიძე. რუსული ოკუპაციის პირობებში სოხუმის ციხე რამდენიმეჯერ შეკეთდა.

XXI. ბაგრატის ციხე-სოხუმის მუნიციპალიტეტი. Xს. (სურათი №16)

ქალაქ სოხუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე აღმართულ გორაკზე მდებარეობს ციხე, რომელიც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის (978-1014 წწ.) სახელს ატარებს. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ბაგრატის ციხე აგებულია გაცილებით ადრე და ბაგრატ III -ის ეპოქაში, X-XI სს. მიჯნაზე იგი მხოლოდ საფუძვლიანად განაახლეს. ბაგრატის ციხეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობებისათვის დამახასიათებელი საამშენებლო ტრადიციები ახასიათებს. ციხე გეგმაში ოვალური ფორმისაა, მისი კედლები კარგადაა შემონახული და ერთ მხარეს დატანებული აქვს ოთხკუთხა კოშკით დაცული კარიბჭე. ბაგრატის ციხე გაერთიანებული საქართველოს სამეფოს არსებობის ხანაში (X -XV სს) წარმოადგენდა ქალაქ ცხუმის (სოხუმის) ციტადელს. სწორედ ამ ეპოქაში, X-XIV სს-ში ციხე წარმოადგენდა ცხუმის ერისთავთა რეზიდენციას. XVI საუკუნიდან, როდესაც ქალაქმა დასავლეთისაკენ, მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე გადაინაცვლა, მან მნიშვნელობა დაკარგა და დაცარიელდა.

XXII. ანაკოფიის ციხე. ივერიის მთა ახალი ათონთან ახლოს.

სოხუმიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ივერიის მთის ერთ მონაკვეთზე მდებარეობს ისტორიული ანაკოფია, რომელსაც 1875 წლიდან ახალი ათონი ეწოდება. ამ მთაზე ზღვის დონიდან 350 მეტრზე აღმართულია ანაკოფიის ციხე-სიმაგრის ციტადელი. ქართველი მემკვიდრის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით: „ზღვის კიდეზე არს ქალაქი ანაკოფია. . . იყო ქალაქი კეთილი შუენიერი, ზღვასა ზედა წაშენებული და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული,

რომლისა ზღუასა შინა სუეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან¹⁹⁷”.

ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ქვის გალავნით შეკრულ შეუვალ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა. დღემდე შემორჩენილია ციხის გრანდიოზული კედლები სამეთვალყურეო კოშკებით, საალყო აუზითა და კირის გამოსახდელი ლუმელით. ციხე-სიმაგრის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ანაკოფიის ტაძარი, რომელიც VII–VIII საუკუნეებით თარიღდება. მის ნანგრევებში ახლაც შეინიშნება შედარებით გვიანი პერიოდის შესანიშნავი ჩუქურთმის ნაკვალევი. ივერიის მთაზე, წმ. თევდორეს ტაძარზე შემორჩენილ ბერძნულ წარწერებში, მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული ტაძრის ისტორიის შესახებ: კერძოდ, ტაძრის კედელზე, ჯვრის თავზე, ერთ-ერთი წარწერა მოგვითხრობს არქიეპისკოპოს მიქაელის მიერ, აპრილის თვეში, წმ. თევდორეს ტაძრის კურთხევის შესახებ. მკვლევარები წარწერას IX ან XI საუკუნით ათარიღებენ. იქვეა ჯვრის მარჯვენა მხარეს ჩადგმული 17 სტრიქონიანი, 929 წლით დათარიღებული ევსტათი ხუცესის წარწერა. იმავე კედელზე ამოკვეთილია 1046 წლის საამშენებლო წარწერა, რომელშიც ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე მონომახოსი (1042-1055), ტაძრის შემამკობელი უცნობი პროტოსპათარი, დაღმადიის უფალი ევგენიოსი და სარდალი თეოდორე ბალანტი არიან დასახელებული. საგულისხმოა, რომ ბიზანტიური სასულიერო ტიტული პროტოსპათარი გვხვდება ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებშიც. მათ შორის ლიხნის ტაძრის წარწერაში დასახელებულია ვაჩე პროტოსპათარი და იპატოსი. ევსტათის წარწერის ქვემოთ არის დიდი ჯვარი, რომლის მკლავებზე ბერძნული ასოებით ამოკვეთილია: „იესუ ქრისტე“. იქვე ამოკანწულია „წმიდაჲ კონსტანტინე“. წმ. თევდორეს ტაძრის წარწერებში თეოდორე ბალანტი, კიდევ ერთხელ გვხვდება, ამჯერად პროტოსპათარ ევგენი დესპოტთან ერთად¹⁹⁸. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ისტორიულ ვითარებათა გამო, ანაკოფიას 1032 წლიდან ბიზანტიელები აკონტროლებდნენ და იგი საქართველოს მხოლოდ 1074 წელს დაუბრუნდა (იხილე წიგნის პირველი ნაწილი). წმ. თევდორეს ტაძრის ბერძნული წარწერებიც ამ ეპოქით თარიღდება.

197 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 781.

198 წარწერის ტექსტების შესახებ ინფორმაცია აღებულია: თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, მეორე შევესებული გამოცემა. თბილისი, 2004; მესამე გამოცემა – 2008.

А. Виноградов. Эпиграфика. Надписи с Анакопийской горы. წიგნში: Искусство Абхазского царства. Санкт-Петербург, 2011, с. 209 _ 224.

VIII საუკუნის 80-იან წლებამდე ანაკოფია აფხაზთა საერისთავოს ცენტრს წარმოადგენდა. დაახლოებით 738 წელს ქართლისა და ეგრისის ერისმთავრების მიერ, არჩილის, აგრეთვე აფხაზთა ერისთავის ლეონ I-ის გაერთიანებულმა ლაშქარმა ანაკოფიასთან არაბი სარდალი მურვან ყრუ (არაბთა ხალიფა 744-750 წლებში მერვან იბნ მუჰამადი) დაამარცხა. VIII საუკუნის მიწურულს, როცა აფხაზთა ერისთავმა ლეონ II-მ მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა და აფხაზთა სამეფო ჩამოაყალიბა, დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოიტანა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ქვეყნის ერთ – ერთ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა და რამდენჯერმე განახლდა. აქ საქართველოს სამეფო ჯარი იდგა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს იცავდა. ანაკოფიის ციხე-სიმაგრის გათხრების დროს აღმოჩნდა საქართველოს მეფის გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მონეტა წარწერით: „ქრისტე! ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი“. გიორგი II-ის დროს ანაკოფიის ციხე – სიმაგრემ საფუძვლიანი განახლება – რესტავრაცია განიცადა. ანაკოფიის ციხიდან ცნობილია რამდენიმე ბერძნული წარწერა, მათ შორის არის შუასაუკუნეების რამდენიმე გრაფიტო, რომლებსაც ძირითადად, საკულტო დანიშნულება აქვთ.

მას შემდეგ, რაც XV საუკუნის მიწურულს საქართველოს სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ანაკოფია ჯერ აფხაზთა ერისთავების რეზიდენციას წარმოადგენდა. XVIII საუკუნეში ანაკოფიას თურქები დაეუფლნენ და აფხაზთა მთავრების რეზიდენციამ ლიხნში გადაინაცვლა, ამის შემდეგ ანაკოფია ნანგრევებად იქცა – „ან ოხერ არს“⁴⁹⁹, – ამიტომაც წერდა ვახუშტი ბაგრატიონი. ჩამოსახლებულმა აფსუა-აფხაზებმა მას „ფსირცხა“ უწოდეს.

1875-1900 წლებში, რუსული მმართველობის დროს, ისტორიული ანაკოფიის ტერიტორიაზე აიგო წმ. პანტელეიმონის სამონასტრო კომპლექსი, როგორც ათონის მთის რუსული მონასტრის ფილიალი. სწორედ ამ დროს ეწოდა ანაკოფიას ახალი ათონი.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი კულტურის ძეგლების უმრავლესობა შექმნილია ლაზიკის სამეფოს (IV – VII სს.), ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) სამეფოს (VIII ს. 90-იანი წწ. – X ს. 70-იანი წწ.) და გაერთიანებული საქართველოს (X-XV სს.) ეპოქებში. მათი ნაწილი, დღეს მოქცეულია თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში, მაგრამ შექმნილია იმ ისტორიულ დროს, როდესაც ეს ტერიტორია წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთი

199 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 781.

ისტორიული მხარის ოდიშის საერისთავოს ნაწილს. XVI-XVII საუკუნეებიდან, როდესაც დაიწყო კავკასიის მთის მოსახლეობის მიგრაცია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, იწყება ადგილობრივი, დაუცველი ქართული მოსახლეობის გამოდევნა მშობლიური ადგილებიდან ოდიშის სამთავროს შიდა რაიონებში, შეიცვალა ოდიშის სამთავროს საზღვრებიც. ახალ ვითარებაში აფხაზეთში არა თუ იქმნებოდა, არამედ თანდათან ნადგურდებოდა წინა საუკუნეებში შექმნილი უნიკალური ღირებულების მქონე ქართული ძეგლები. ამის დადასტურებას წარმოადგენს ბიჭვინთის, ბედიის, დრანდის და სხვა ეკლესიების გაუკაცრიელება XVI-XVII საუკუნეებიდან. სამწუხაროდ, იგივე ვითარებაა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიიდან გამოდევნილია ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მათ შორის აფხაზეთშიც სეპარატისტული ხელისუფლების ხელშეწყობით ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების საფუძველზე ავთენტურობა, ანუ თავდაპირველი სახე დაკარგა ილორის, ბედიის, დრანდის, სიმონ კანანელის ტაძრებმა, მძიმე ვითარებაშია ლიხნის, გაგრისა და ჭუბურხინჯის ტაძრები. აღნიშნული ტაძრები მოინახულა ICOM-ის რუსეთის კომიტეტის წარმომადგენლებმა, რომელთა ანგარიშში აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების სავალალო მდგომარეობაა ასახული. „როგორც დათვალიერებული ძეგლების წარმოდგენილი მოკლე აღწერილობიდან ჩანს, – ვკითხულობთ ანგარიშში, – მათი დაცვისთვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ძეგლების კონსერვაციის კომპლექსური სამუშაოების ჩატარება. ამ სამუშაოებში უნდა შევიდეს: (კედლის) ნიჟარების გასუფთავება და გამაგრება, მისი დაცვა სპეცშემადგენლობით, დაცული ბურულის (სახურავის) მოწყობა, წყალსარინის ორგანიზება კედლებიდან, მარილოვან ნაშალ ქვასა და დუღბთან ბრძოლა, ფუნდამენტის გაძლიერება და ა. შ.

სხვა პრობლემას წარმოადგენს ტაძრების მომხმარებელთა (ღმრთისმსახურების, რესტავრატორების, მეცნიერების) თვითნებური მოქმედება, რაც ამახინჯებს მათ ისტორიულ სახეს და ძეგლების ავთენტურ ნაწილებს აყენებს ზიანს: ილორი (გუმბათის დადგმა, შეთეთრება) დრანდა (ემბაზი), ბედია (ინექციონების დროს ფრესკების ჩამოშლა). ყველაფერი ეს ხდება რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის ორგანოების მხრიდან კონტროლის განხორციელებისას არსებული არასაკმარისი რესურსის გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიული ძეგლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროა ხაზ-



1



2



3



4



5



6



7



9



8



11



10



12



13



14



15



17



16

114



19

გასმა, რომ ყველა სამუშაო უნდა წარმოებდეს მაღალი პროფესიონალზიმის მქონე ლიცენზირებული რესტავრატორების მიერ. ასევე რესტავრაცია უნდა წარიმართოს დადგენილი წესის მიხედვით დამტკიცებული და შეთანხმებული განსაკუთრებული დოკუმენტაციით (პროექტი, საპროექტო წინადადებები, საინჟინრო და ტექნოლოგიურ-მეთოდური რეკომენდაციები და ა. შ)“. აღნიშნული ანგარიშიდან ცხადია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე დაღვეულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა საერთაშორისო ნორმა. ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ საერთაშორისო ქარტიის („ვენეციის ქარტია“, 1964 წლის 25-31 მაისი)²⁰⁰ თანახმად, ისტორიული და კულტურული ძეგლი ხელშეუხებელია, „თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა ეს მემკვიდრეობა მისი ავთენტურობის მთელი სიმდიდრით გადავცეთ მომავალ თაობებს“. ილორისა და ბედიის ტაძრების ე. წ. „რესტავრაციის“ დროს დაიკარგა მათი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულება, წაიშალა წარსულსა და თანამედროვეობას შორის არსებული ერთიანობა. ამ ერთიანობის აუცილობლობაზე მიუთითებს „ვენეციის ქარტიის“ მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც, „ძეგლი განუყოფელია მისი ისტორიისგან, რომლის მოწმეცაა და მისი გარემოსგან, რომელშიც იგი გვხდება“.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებისა და გადარჩენის მექანიზები, ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს შეიმუშავა მსოფლიომ. დღეს აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე საერთაშორისო კონვენცია და სხვადასხვა რეკომენდაციებია შემუშავებული, რომელთა განხორციელება ევალება, მათზე ხელმომწერ სახელმწიფოებს. აღნიშნული კუთხით უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებად ითვლება: ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (II ოქმი, 1977 წლის 8 ივნისი); ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენცია; 1964 წლის 24-30 მაისის ვენეციის ქარტია; 1972 წლის 16 ნოემბრის კონვენცია „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“; 1995 წლის წარას დოკუმენტი და სხვ. ჟენევის კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, „აკრძალულია მტრული მოქმედებების განხორციელება იმ ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან ღვთისმსახურების ადგილების მიმართ, რომელიც ხალხთა კულტურულ, ან სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს, ასევე დაუშვებელია ამგვარი ობიექტების გამოყენება სამხედრო მიზნების მისაღწევად“. იმავე საკითხს ტერი-

200 ვენეციის ქარტია, <http://www.tbilisiarchitecture.net/en/the-venice-charter-1964/>

ტორიის ოკუპაციის პირობებში არეგულირებს ჰააგის კონვენცია: „მხარეებმა, რომლებმაც მოახდინეს მხარის, ტერიტორიის მთლიანი, ან ნაწილობრივი ოკუპაცია შესაძლებლობის ფარგლებში მხარი უნდა დაუჭირონ ოკუპირებული ტერიტორიის ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევას მისი კულტურული ფასეულობების დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად“. იმავე ჰააგის კონვენციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „თუ კონფლიქტში ჩართული სახელმწიფო არ მონაწილეობს კონვენციაში, წინამდებარე კონვენციის მხარე სახელმწიფოები თავიანთი ურთიერთობებით ხელშეკრულნი რჩებიან კონვენციის დადგენილებით“. ანუ, რახან საქართველო მიერთებულია აღნიშნულ კონვენციებს, საქართველოსთან დავის მხარედ წარმოდგენილი ქვეყანა ვალდებულია დაემორჩილოს საერთაშორისო სამართლის ზემოთმიითი-თებულ ნორმებს²⁰¹.

კონფლიქტურ სიტუაციებში კულტურულ ფასეულობათა დაცვის მიზნით 1995 წელს იაპონიის ქალაქ ნარაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე სპეციალურად იქნა შემუშავებული „ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ“, რომლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ: „კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება არსებობს დროსა და სივრცეში და მოითხოვს პატივისცემას სხვა კულტურების და მათ შეხედულებათა სისტემის ყველა ასპექტის მიმართ. იმ შემთხვევებში, სადაც კულტურული ფასეულობები კონფლიქტშია ერთმანეთთან, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპი მოითხოვს თითოეული მხარის კულტურული ფასეულობის ლეგიტიმურობის აღიარებას“²⁰². აღნიშნული დოკუმენტი ემყარება, როგორც ვენეციის ქარტიას, ასევე 1972 წლის 16 ნოემბრის კონვენციას „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“. მიუხედავად ამისა, ოკუპირებულ აფხაზეთში გარკვეული ჯგუფები ცდილობენ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევით სხვისი კულტურული მემკვიდრეობის მითვისებას, შეცვლას და ქართული კულტურული კვალის ნაშლას. სამწუხაროდ, ეს არამართო ქართული კვალის ნაშლა, არამედ აფხაზეთა ისტორიული ფესვებიდან მოწყვეტის, მათი იდენტურობის დაკარგვის, არსებულ ფაქტობრივ რეალობასთან იოლად ადაპტირების ერთ-ერთი საშუალებაა.

201 დაწვრილებით იხილეთ: ლ. ახალაძე. აფხაზეთის (საქართველო) მატერი-ალური კულტურის ძეგლები, თბ., 2013.

202 ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ, <https://ancientgeorgia.files.wordpress.com/2014/04/naras-dokumenti-avtventurobis-shesaxeb.pdf>

ნაწილი III. აფხაზეთის საერისთავო XVI-XVII საუკუნეებში

III.1. XVI საუკუნე – აფხაზეთი თურქული და მთიულური ექსპანსიის წინაშე

XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ვითარება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი ოდიშ-აფხაზეთში რამდენადმე შეცვლილია. „ქართლის ცხოვრება“ ამის შესახებ მოგვითხრობს: „დადიანს ეპყრა ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქუემოთი (დასავლეთი-ჯ.გ.), სუანეთის მთის გაღმომართი, აფხაზეთის ზემოთი (აღმოსავლეთი-ჯ.გ.) და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა. კუალად ეპყრა დადიანს ზღუას შემოღმართი და რიონს გაღმართი“²⁰³. ვახუშტი ბატონიშვილი კიდევ უფრო აკონკრეტებს ოდიშის ადმინისტრაციულ საზღვრებს. „ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე (იმერეთში მდ. რიონისა და ტეხურის შესართავთან-ჯ.გ.), მერმე თაკუერსა (ლეჩხუმი-ჯ.გ.) და ოდიშს შორის მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამხრით და და კუალად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ეგრისის მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგრის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამხრით ზღუამდე; ჩრდილოთ კავკასის მთა“²⁰⁴.

სურათი მეტნაკლებად ნათელია. სამეგრელოს სამთავროსა და აფხაზეთის საერისთავოს შორის საზღვარი უცვლელია და ისევ ანაკოფიასთან (ახალ ათონთან) გადის; შარვაშიძეს ჯიქეთი უკვე აღარ ემორჩილება, ამავე დროს იგი დადიანის ყველა ბრძანებას არ ასრულებს. ჯიქეთის განკერძოება, სამეგრელოს დაქვემდებარებიდან აფხაზეთის გამოსვლის მცდელობა, რაც XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ფიქსირდება, იყო XV საუკუნის ბოლოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დროებითი დეზინტეგრაციის მხოლოდ პირველი შედეგი.

ოდიშ-აფხაზეთს შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვარი უცხოელ ავტორებთანაც არის დადასტურებული. ასე მაგალითად, ერთ-ერთ თურქულ სამთავრობო დოკუმენტში, რომელიც XVI საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება, საქართველოსკენ მიმავალი გზები და ქართული რეგიონებია თანმიმდევრულად და ზუსტად მითითებული. დოკუმენტში ჯერ საუბარია აღმოსავლეთ საქა-

203 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 349.

204 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 776.

რთველოზე, რომლის „ქვევით ხეობაში ქუთაისის ქვეყანა... უფრო ქვევით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება. იმის იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი (სოხუმი) ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუჯის მთის კალთა. იმის იქით კი არის აფხაზეთის ქვეყნები. მთების უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა“²⁰⁵.

აფხაზეთის საერისთავო იმერეთის სამეფოს ნაწილად რჩებოდა. „ქართლის ცხოვრების“ ზემოთმოტანილი ცნობა იმის თაობაზე, რომ „შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“, არ ნიშნავდა სამეგრელოს დაქვემდებარებიდან აფხაზეთის მთლიანად გამოსვლას. ამაზე მიუთითებს მამია III დადიანის (1512-1533) მიერ ბიჭვინთის ტაძრისთვის ყმებისა და მამულების შეწირვა, რომელთა ერთი ნაწილი მდინარე ენგურსა და კოდორს შორის მდებარეობდა, მეორე ნაწილი კი – უშუალოდ აფხაზეთის საერისთავოში – ბიჭვინთის გარშემო იყო განლაგებული. ესენია სოფლები აიფარნე, არუხა და რაბინა²⁰⁶. მამია III დადიანის აღნიშნული გადაწყვეტილება სამეგრელოს მომდევნო მთავრების მიერაც არის დადასტურებული. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ დადიანებს აფხაზეთის საერისთავოს ყმა-მამულებზე XVI საუკუნის ბოლომდე ხელი მიუწვდებოდათ. ძნელი წარმოსადგენია, სოფლები აიფარნე, არუხა და რაბინა არა ქართველებით, არამედ წარმართი მთიელებით ან ქართველებისადმი მტრულად განწყობილი რომელიმე სხვა ეთნოსით ყოფილიყვნენ დასახლებული და ისინი ბიჭვინთისთვის შეეწირათ. აღნიშნული სოფლების მკვიდრნი აფსუა-აფხაზები რომ ყოფილიყვნენ, ეს დასახლებული პუნქტები შემდგომშიაც იარსებებდნენ, არც მათი სახელწოდებები დაიკარგებოდა (მხოლოდ რაბინა შემორჩენილი რაფინას ფორმით).

რთული ვითარება შეიქმნა მდინარე ბზიფის მარჯვენა მხარეს, საიდანაც ზღვით თუ ხმელეთით დასავლეთ საქართველოზე ჯიქთა თავდასხმები გახშირდა. ამის საპასუხოდ 1533 წლის იანვარში ჯიქეთზე დიდი ლაშქრობა მოეწყო, რომელსაც მამია III დადიანი და მამია I გურიელი (1512-1534) სარდლობდნენ. ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა, მამია III დადიანი ბრძოლაში დაიღუპა, მამია I გურიელი და ქართველ მოლაშქრეთა ერთი ნაწილი ტყვედ ჩავარდა. დაღუპულ-

205 თურქული წყაროები XVI საუკუნის პირველი მეოთხედის სამცხე – საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბილისი, 1983, გვ. 57.

206 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2. თ. დოლიძე. თბილისი, 1965, გვ. 179; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 170-171.

თა ცხედრები და ტყვეები ქართულმა ეკლესიამ გამოიყიდა.

ჯიქეთში განცდილი მარცხის შემდეგ სამეგრელოს გავლენა აფხაზეთზე შესუსტდა. შარვაშიძეთა ხელშეწყობით კავკასიელი მთიელები ინტენსიურად ითვისებდნენ აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიას. აფხაზეთის მფლობელებმა, რომლებიც დადიანების ძალაუფლები-საგან განთავისუფლებას ცდილობდნენ, ჩამოსახლებული წარმართი (ნაწილობრივ მაჰმადიანი) მთიელების დახმარებით თავიანთი მდგომარეობა განიმტკიცეს. XVI საუკუნის შუახანებისთვის აფხაზეთის საერისთავოს მოსახლეობის ეთნიკური სურათი იმდენად შეიცვალა, რომ საფრთხე შეექმნა თვით დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს რეზიდენციის ბიჭვინთაში ფუნქციონირებას, უკიდურესად დასუსტდა ქრისტიანული სარწმუნოება, თანდათანობით შეიცვალა ტოპონიმთა ანუ გეოგრაფიული სახელწოდებები. ასე მაგალითად, მდინარე ანაკოფიას ფსირცხა დაერქვა, ალაცოსწყალს და სოფელ ალაცოს – ააცი (ბაკლანოვკა), მდინარე ზუფუს – ხიფსთა, დასახლება ზუფუს – ლიხნი (აქ შარვაშიძეთა რეზიდენცია მდებარეობდა), მუნის წყალს – მდინარე მჭიშთა, სოფელ ანუხარეთს – ანუხვა, ხოფს – ხვაფი, მდინარე კინჭულს – ჟოკევარა, გაგარს – გაგრა და ა. შ.²⁰⁷

მიუხედავად საკმაოდ კრიტიკული ვითარებისა, სამეგრელოს მთავარი ახერხებდა აფხაზეთის ერისთავთან საერთო ენის გამონახვას, შარვაშიძეები თავიანთი ლაშქრით დადიანებს კვლავინდებურად სამსახურს უწევდნენ. 1547 წელს, როდესაც ოსმალებმა გურიას შემოუტიეს, ლევან I-მა დადიანმა (1533-1572) გურიის დასახმარებლად „შემოიყარა სრულიად აფხაზნი და ოდიშარნი“ და „სპითა ოდიშ-აფხაზთათა“ თავისი ფლოტით რიონის შესართავში („რიონის თუალსა ზედა“) დაიბანაკა²⁰⁸. სამწუხაროდ, პოლიტიკური ინტრიგების გამო, ერთობლივმა ლაშქრობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

აფხაზეთის საერისთავოში მოვლენების განვითარებაზე უარყოფით გავლენა მოახდინეს არახელსყრელმა საგარეო ფაქტორებმა. კერძოდ, 1555 წლის 29 მაისს ირანმა და თურქეთმა ქალაქ ამასიაში ზავი გააფორმეს, რომლის საფუძველზე მხარეებმა საქართველო გადაინაწილეს. ირანის გავლენის სფეროში აღმოსავლეთ საქართველო მოექცა, თურქეთის გავლენა კი ქვეყნის დასავლეთ ნაწილზე ვრცელდებოდა. „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპიდან გამომდინარე, 1557 წელს ოსმალეთის სულთანმა სულეიმან I-მა (1520-1566) ლევან

207 ვრცლად იხილეთ: პაატა ცხადაია, ბეჟან ხორავა. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბილისი, 2016.

208 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 360, 502; ტ. 4, გვ. 814.

I-ს „ხელმწიფე დადიანის“ ტიტული დაუდასტურა. ლევან I 1572 წელს გარდაიცვალა და სამთავრო ტახტზე გიორგი III (1572-1582) ავიდა, რასაც შინაომი მოჰყვა – მთავარს საკუთარი ძმა მამია დაუპირისპირდა. გიორგი III-მ ტახტის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში „აფხაზნი, ჯიქნი და ჩერქეზნი“ გამოიყენა²⁰⁹. ექვსწლიანმა შიდადაპირისპირებამ, რომელიც 1578 წელს დასრულდა, გიორგი III-ის გავლენა აფხაზეთზე კიდევ უფრო შეასუსტა. ამას დაემატა 1578 და 1580 წლებში მუსტაფა ფაშას სარდლობით საქართველოში ოსმალეთის ჯარის შემოჭრა და სოხუმის დაკავება, რაც შარვაშიძეთა დახმარების გარეშე არ მომხდარა. როგორც ისტორიკოსი ყ. ბუასარდო წერდა, მუსტაფა ფაშამ „ქართველი იბერიელების დამოუკიდებლობის ასალაგმავად ბათუმსა და სოხუმში თავისი ბეგლარბეგები და დევეთერდარები დანიშნა“²¹⁰. 1578 წელს სოხუმის ბეგლარბეგის თანამდებობა ჩერქეზული წარმოშობის ჰეიდარ ფაშას ჩაბარდა. იმავე პერიოდში ოსმალები სოხუმში ციხე-სიმაგრის აგებას შეუდგნენ, რისთვისაც ანტიკური ხანის გამაგრებული პუნქტის ნანგრევები გამოიყენეს. 1581 წელს ოსმალებმა სოხუმი დატოვეს, მაგრამ ქალაქი არა მის კანონიერ მფლობელებს – დადიანებს, არამედ აფხაზეთის ერისთავებს – შარვაშიძეებს გადასცეს. ამიერიდან როგორც ადმინისტრაციულმა, ისე ეთნიკურმა საზღვარმა სამეგრელოს სამთავროსა და აფხაზეთის საერისთავოს შორის, მდინარე ბესლეთზე ან კელასურზე გადმოინაცვლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანდათანობით ხდებოდა ქალაქის ისტორიული ქართული სახელწოდების „ცხუმი“-ს მისი არაბიზებული – თურქიზებული ფორმით – „სუხუმი//სოხუმი“-თ ჩანაცვლება. ქალაქი ცხუმი//სოხუმი მოიხსენიება არაბ ავტორთან ალ-ფარიკთან (1116-1181). როგორც ის წერს, 1174 წელს საქართველოში ჩამოვიდა სელჩუკი უფლისწული შაჰინ შაჰი, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ სოხუმიდან საზღვაო გზით კონსტანტინოპოლს გაემგზავრა²¹¹. ქართული ქალაქი ცხუმი ახალი ფორმით – „სუხუმი“, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, XIV საუკუნის დასაწყისში აბუ ლ – ფიდასთან მოიხსენიება (აქვე ნაწილი I. 4.). XV – XVI საუკუნეებიდან სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს ქალაქის ეს ახალი სახელწოდება. რო-

209 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 817-818.

210 ციტირებულია წიგნიდან: ილია ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. წიგნი 1. XIII – XVI საუკუნეები. თბილისი, 1984, გვ. 113 – 114.

211 გოჩა ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII საუკუნეების პირველ ნახევარში, გვ.128.

გორც ცნობილია, თურქული ენა სიტყვის დასაწყისში ორ თანხმოვანს არ იცნობს. გარდა ამისა, თურქულში არც „ც“ აფრიკატი მოიპოვება. ყოველივე ამან განაპირობა „ცხუმი“-ს ჩანაცვლება მისი თურქიზებული ფორმით „სოხუმი //სუხუმი“. კავკასიის თურქულ რუკაზე იგი „სხუმის“ ფორმით არის აღნიშნული (იხილეთ აქვე ნაწილი XI. 1. 7). XIX საუკუნიდან ქალაქის სახელწოდების ეს სახეცვლილი ფორმა საბოლოოდ მკვიდრდება ქართულ და რუსულ ენებშიც.

XIII საუკუნის შუახანებიდან XVI საუკუნის დასასრულამდე საქართველომ არნახულ გარეშე ზენოლას, ყველაზე მრისხანე, ყველაზე ვერაგ და სასტიკ დამპყრობთა შემოსევებს გაუძლო, თანაც გაუძლო ისე, რომ შეინარჩუნა თავისი ისტორიული ტერიტორიების ძირითადი ნაწილი, სარწმუნოება და კულტურა. ამასთანავე საუკუნეების განმავლობაში უთანასწორო სისხლისმღვრელი ომების წარმოებამ, მუდმივად მტრულ სახელმწიფოთა გარემოცვაში ყოფნამ ქვეყნა დაასუსტა და ერთიანი ქართული სახელმწიფო დაშლამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, იმდენად ღრმა აღმოჩნდა შორეული წარსულიდან მომდინარე ეროვნული ერთიანობის ფესვები, ეროვნული თვითშეგნება, რომ ქვეყნის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სამეფო – სამთავროები, არა უცხო ქვეყნებად, არამედ პატარ-პატარა საქართველოებად ჩამოყალიბდნენ. ასეთ საქართველოებს წარმოადგენდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული აფხაზეთის საერისთავოც და ოდიშის სამთავროც. საქართველოს ერთიანობის რღვევამ, თურქულოსმაღურმა და მთიულურმა ექსპანსიამ სერიოზული ტერიტორიული დანაკარგები (სოჭი-ტუაფსე-ნიკოფსიის მონაკვეთი), აფხაზეთის საერისთავოში კი ქართველთა საზიანო ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესები გამოიწვია.

III. 2. აფხაზეთი XVII საუკუნეში.

ტერიტორიული და დემოგრაფიული ცვლილებები

XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის დამდეგს სამეგრელოს მთავრებმა მამია IV (1582-1590) და მანუჩარ (1590-1611) დადინებმა შესძლეს აფხაზეთზე საკუთარი გავლენის გავრცელება. XVII საუკუნის 70-80-იან წლებამდე, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე აფხაზეთის საერისთავო და სამეგრელოს სამთავროს დიდი ნაწილი მდებარეობდა, ადმინისტრაციული საზღვარი კი მათ შორის ამჯერადაც მდინარე ბესლეთზე ან კელასურზე გადიოდა. აფხაზეთის საერისთავოზე სრული კონ-

ტროლის აღდგენა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (1611 – 1657) მოახერხა. საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მთავარმა, 1615 წელს მერკულაში (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) მდებარე თავის ერთ-ერთ რეზიდენციაში ხელი მოაწერა შეთანხმებას ოსმალეთთან და მასთან ურთიერთობა მოაგვარა. იმავე წელს ლევან II-მ აფხაზი თავადის სეტემან შარვაშიძის ასულზე – დარეჯანზე იქორწინა, რითაც აფხაზეთის მხრიდანაც ზურგი გაიმავრა. XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ლევან II აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 1622 წელს მან „სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა“²¹² იმერეთის მეფე დაამარცხა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთის საერისთავოში მომხდარი ეთნიკური ცვლილებების მიუხედავად, შარვაშიძეები თავიანთი ლაშქრით კვლავაც დადიანის სამსახურში იდგნენ. სულ მალე ურთიერთობა აფხაზეთთან დაიძაბა. ლევან II-მ აფხაზი მეუღლე ლალატში დაადანაშაულა, ამ საბაბით ზუფუში (ლიხნი) ილაშქრა და დასახირებული მეუღლე იქვე დატოვა. ლაშქრობა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ შარვაშიძემ ბრძოლას თავი აარიდა და მთებში მიიმალა.

XVII საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ლევან II დადიანმა გამოაშკარავა შეთქმულება, რომელიც მისი მოკვლის მიზნით იყო ორგანიზებული. როგორც გაირკვა, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639), გურიის მთავარი სიმონ II გურიელი (1625-1626, 1658), ყოფილი სიმამრი – სეტემან შარვაშიძე, მეუღლესთან მრუშობაში დადანაშაულებული ვეზირი და ბოლოს, ლევან II-ის ძმა იოსები, რომელსაც სამთავრო ტახტი უნდა დაეკავებინა. ძმისა და ვეზირის დასჯის შემდეგ ლევან II-მ გურიაში ილაშქრა, სიმონ II გურიელი, რომელიც იყო მისი სიძე (დის – მარიამის პირველი მეუღლე) დაამარცხა, დააბრმავა, თანამდებობიდან გადააყენა, ცოლშვილიც ოდიშში წამოიყვანა; სამთავროს ტახტზე აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია II გურიელი (1626-1639) აიყვანა, რომელიც ნომინალური მმართველი იყო. ფაქტობრივად გურია ლევან II დადიანის სრულ დაქვემდებარებაში მოექცა. ამის შემდეგ სამეგრელოს მთავარმა სეტემან შარვაშიძის დასჯის მიზნით აფხაზეთში წარმატებული ლაშქრობა მოახერხა, რომლის შედეგად აფხაზები დაიმორჩილა და სიმბოლური ხარკის გადახდაც დააკისრა. იგივე ბედი ეწია იმერეთის სამეფოსაც. კათოლიკე მისიონერის ჯუზეპე ჯუდიჩის მონაწილეობით, რომელიც XVII საუკუნის 30-40-იანი წლებში სამეგრელოში მსახურობდა, ლევან II-ს ხარკს უხდიდნენ იმერეთის მეფე, გურიის

212 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 826.

მთავარი და აფხაზეთის ერისთავი²¹³. შეთქმულების მონაწილეთა წინააღმდეგ მიღებული მკაცრი ზომების შემდეგ ლევან II დასავლეთ საქართველოს ჰეგემონი გახდა და, როგორც კახთა მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) შვილიშვილი, სრულიად საქართველოს მეფის ამბიციებსაც ლიად ამჟღავნებდა.

სამეგრელოს მთავრის ერთ-ერთ საზრუნავს აფხაზეთის საერისთავო წარმოადგენდა, საიდანაც მთიელთა თავდასხმების საფრთხე მომდინარეობდა. ლევან II დადიანის დროს აფხაზეთის საერისთავო საკმაოდ სუსტი ადმინისტრაციული წარმონაქმნი იყო, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე მმართველი ჰყავდა. იტალიელი მისიონერის ჯოვანი ლუკას 1629 წლის მონაცემებით, აფხაზეთს ორი მმართველი განაგებდა – ბზიფის მხარეს მართავდა ყარაბეი (ეს სახელი მის მაჰმადიანობაზე მიუთითებს), სოხუმის მხარეს – პუტო, რომელიც საკუთარ თავს ქრისტიანად თვლიდა. მისიონერი აღნიშნავს, რომ ბიჭვინთის საკათედრო ტაძარში ღმრთისმსახურებას ქართველი მღვდელი ქართულ ენაზე აღავლენდა. იგი წერდა: აფხაზეთში არ არის ქალაქები, მოსახლეობა მთიან სოფლებში ან ზღვისპირას არის მიმოფანტული. ცხოვრების წესი იგივეა, რაც ჩერქეზეთში; აფხაზებს არა აქვთ დაწერილი კანონები, არა აქვთ დამწერლობა; აფხაზები ქრისტიანები არიან, მაგრამ ქრისტიანულ რიტუალებს არ ასრულებენ²¹⁴. ასეთი ვითარება შეიქმნა რეგიონში, სადაც ანტიკური ხანიდან ქრისტიანობა ბატონობდა და, როგორც აქვე მეორე ნაწილშია ნაჩვენები, მაღალი ქრისტიანული კულტურა არსებობდა ქართული დამწერლობითა და ლიტერატურით. ჯოვანი ლუკას ცნობები კი ადასტურებენ, რომ დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად აფხაზეთის საერისთავო კულტურულად და ეკონომიკურად დაწინაურებული ქართული ქრისტიანული რეგიონიდან ყველა თვალსაზრისით დაქვეითებულ მხარედ იქცა, სადაც უკვე წარმართი მთიელები ცხოვრობდნენ.

XVII საუკუნის 30-იანი წლებში, როგორც კათოლიკე მისიონერი ქრ. კასტელი წერდა, აფხაზეთს უკვე სამი მმართველი ჰყავდა: ძმები ბესლაკო, სოლომონ და სეტემან შარაშიები (შარვაშიძეები). კასტელის თქმით, ძმები შარაშიები „ძალიან ლამაზები არიან სახით და ზნით, არანაკლებ საჭურველმცვიროთელები, ომისადმი მიდრეკილნი“²¹⁵. ამ

213 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 151-155.

214 ილია ტაბალუა. საქართველო ევროპულ არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტომი, 3. თბილისი, 1986, გვ. 155 – 171.

215 დონ ქრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. თბილისი, 1977, გვ. 194.

„მიდრეკილების“ ალაგმვის მიზნით ლევან II-მ XVII საუკუნის 20-იან წლების მიწურულს ორჯერ გაილაშქრა აფხაზეთში. ამის თაობაზე ილორის წმინდა გიორგის ხატზე გაკეთებული წარწერა მოგვითხრობს: „მას ჟამსა ოდეს მიუხვედით შარვაშიძესა ზუფუს (ლიხნი-ჯ.გ.), მუნუს წყალსა (დღევანდელი მდ. მჭიშთა-ჯ.გ.) აქათ, მოვახრეთ, კიდევ მეორედ მიუხდით ზუფუს, კაპოეტის წყალს (მდ. ბზიფი) აქათ სრულე-ბით დავსწვით და ავახრეთ და სადაცა სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ, კაპოეტის წყალზე შემოგვებნენ ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა, დავხოცეთ, ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებულნი მოვედით“²¹⁶.

აღნიშნული ლაშქრობების შედეგად ლევან II დადიანმა აფხაზეთზე სრული კონტროლი დაამყარა. ამაზე მიუთითებს კასტელის ცნობაც იმის შესახებ, რომ მთიელებს ებრძოდა სამეგრელოს მთავრის „ძლიერ გულადი სარდალი“, კავკასიის მთების ნაწილის მფლობელი დათუა ბისკაია, მისი შვილი მამუკა; ანაკოფიის ციხეს და ნავსადგურს კი დავით ჩიჯავაძე განაგებდა²¹⁷.

იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707), რომელიც არაერთხელ სტუმროდა საქართველოს და გარკვეულ დონეზე ქართულ ენასაც ფლობდა, მოგვითხრობს ლევან II-ის დროინდელი აფხაზეთის შესახებ. მისი ცნობით, „ლევანმა, რომელიც დიდხანს მეფობდა იქ (აფხაზეთში-ჯ.გ.), 1600 წლის შემდეგ 40 ათასი აფხაზი მონათლა ... და მათ ეპისკოპოსიც მისცა“²¹⁸. უძველესი დროიდან ქრისტიანული ტაძრებით მოფენილი აფხაზეთის მოსახლეობის კიდევ ერთხელ მასობრივად მონათვლა, პირველ რიგში, რეგიონში მომხდარი დემოგრაფიული ცვლილების ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია; მეორეს მხრივ, ეს ფაქტი აფხაზეთის საერისთავოზე ლევან II დადიანის ძალაუფლების გავრცელებაზეც მიუთითებს. იგივეზე მეტყველებს იტალიელი მისიონერი დომინიკანელთა ორდენიდან ემიდიო დორტელი დ'ასკოლის (ჯოვანი ლუკას სულიერი ძმა) ცნობა მის მიერ 1634 წელს გამოცემული წიგნიდან. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ავტორი ასახელებს ორ ნავსაყუდელს, „რომელთა შორის ერთ-ერთია აბაზა, ჩერქეზეთის ზღვისპირა ქალაქი, მდებარეობს

216 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 194-195.

217 დონ ქრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, გვ. 82, სურათები №№ 27, 28, 33, 47 და ა. შ.

218 М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. I. Санкт-Петербург, 1847, с. 28.

პირდაპირ სამეგრელოს საზღვარზე²¹⁹. ემიდო დორტელი აფხაზეთს და აფხაზებს საერთოდ არ ასახელებს; მიუთითებს, რომ ქალაქი აბაზა გაგრიდან 50 მილით (1 მილი=1.6 კმ) არის დაშორებული. მოტანილი ცნობა უნდა ნიშნავდეს არა საკუთრივ სამეგრელოს სამთავროს საზღვრის, არამედ დადიანის ძალაუფლების, მისი გავლენის აბაზამდე გავრცელებას.

XVII საუკუნის შუახანების საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის თურქი მოგზაური, მწერალი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ევლია ჩელები (1611 – 1683 წწ.). აღნიშნული ცნობები თავმოყრილია მისი „მოგზაურობის წიგნის“ ათტომეულის მეორე ტომში, რომელიც ქართულ ენაზეც არის თარგმნილი²²⁰. თავისი მოგზაურობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ევლია ჩელებიმ 1641 წელს განახორციელა. პირველი აბაზური ტომი ჩაჩის სახელწოდებით მან მხოლოდ თანამედროვე ლიხნში – შარვაშიძეების (ჩაჩების) რეზიდენციის მიდამოებში იხილა. ამ ტომის ხალხი ერთმანეთში ქართული ენის მეგრულ დიალექტზე საუბრობდა და სხვადასხვა სარწმუნოება ჰქონდათ. ამკარაა, რომ ჩაჩის ტომი ევლია ჩელების დროს შერეული, სხვადასხვა ენებისა და სარწმუნოების მატარებელი მეგრული და აბაზური (აფსუური) მოსახლეობისაგან შესდგებოდა. ჩაჩის ტომის ჩრდილო-დასავლეთით თურქი მოგზაური არლანის ტომს სტუმრობდა. კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთით თანამედროვე გაგრასთან ახლოს ის შეხვდა ჩანდებს. ამ ტომის ხალხს ევლია ჩელები სუფთა აბაზებად ანუ თანამედროვე გაგებით აფსუებად მიიჩნევს. თურქი მოგზაური მოგვითხრობს სხვა აბაზური ტომების შესახებაც, რომლებიც რუსეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მდინარე ყუბანამდე ვრცელდებოდნენ (იყვნენ აგრეთვე მთიელი აბაზური ტომებიც). მთელს ამ ტერიტორიაზე ლიხნიდან მდინარე ყუბანამდე ევლია ჩელებიმ მხოლოდ ერთი მეჩეთი ნახა აშკილის ტომის სოფელ ატმაში. იგი წერს, რომ აბაზები ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ამასთანავე ქაფირი – გიაური, არამაჰმადიანი – არ უყვართ, მუსლიმს კი სულს აძლევენ. ისლამი რომ მიიღონ, ძალზე მორწმუნე და ერთი ღმერთის მიმდევარი იქნებიან. ანაპის ნავსადგურის აღწერისას, ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ აქ ციხესიმაგრის

219 Джемал Гамахрия, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 240.

220 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ტომი II. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურშიძემ. ნაკვეთი I. თბილისი, 1971, გვ. 95 – 109.

განახლების, მასში შეიარაღებისა და სამხედროების განლაგების შემთხვევაში აბაზებისა და ჩერქეზების დამორჩილება გაადვილდებოდა.

თურქი მოგზაურისა და მეცნიერის მიერ საკუთარი თვალით ნანახი რეალობა და ამის თაობაზე გაკეთებული ჩანაწერები უაღრესად სანდო პირველწყაროს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ევლია ჩელების ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ არც ერთ აბაზურ – აფსუურ ტომს მაღალი ქრისტიანული კულტურით ცნობილ აფხაზეთთან და აფხაზებთან, თვით ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრასთან კავშირი არა აქვს. აღნიშნული ცნობები ამხელენ ისტორიის ფალსიფიკაციით დაკავებულ სეპარატისტებს, რომლებიც აფხაზეთის უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციის შემოქმედად არა ქართველებს, არამედ ევლია ჩელების მიერ აღწერილ წარმართ აფსუა-აბაზებს ასახელებენ. უსაფუძვლოა სეპარატისტთა მტკიცება თითქოს ქრისტიანობა აფხაზეთში არა ჩამოსახლებულმა აფსუა-აბაზებმა, არამედ თურქებმა გაანადგურეს, მოსახლეობასაც ვითომ იმავე თურქებმა ძალით თავს მოახვიეს მაჰმადიანური სარწმუნოება²²¹. ევლია ჩელების ცნობები უარყოფენ მსგავს დაუსაბუთებელ მოსაზრებებს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თურქმა მოგზაურმა მხოლოდ ერთი მეჩეთი იხილა, ისიც რუსეთის თანამედროვე ტერიტორიაზე; მოსახლეობა კი ყურანს არ იცნობდა და საერთოდ ურწმუნო იყო. ევლია ჩელების ცნობებიდან ვიგებთ აგრეთვე, რომ თურქეთი ვერ აკონტროლებდა აბაზებს და ჩერქეზებს, შესაბამისად, მას არ შეეძლო ამ ხალხებში ძალით მაჰმადიანობის გავრცელება, როგორც ამის შესახებ სეპარატისტები სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებენ.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ქართველები, ქართული ისტორიული წყაროები აფხაზეთში ჩამოსახლებულ აფსუა-აბაზებს, მათი ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმთავითვე აფხაზებს უწოდებდნენ. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ეთნოსს სახელწოდება მისცა ტერიტორიამ და არა, პირიქით. ევლია ჩელები კი, აგრეთვე ყველა თურქი ავტორი აფხაზებს დღემდე მათი ნამდვილი სახელით – აბაზებად მოიხსენიებს. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადრინდელ თურქულ წყაროებში „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი *Apkaz* (მაგალითად, „*Dede kurqud Hikaueleri*“), მუსტაფა ალის „ნუსრეთ ნამე“ და ა. შ.). XVI საუკუნის ბოლოდან თურქულ ოფიციალურ ენაში ტერმინ „აფ-

²²¹ იხილე ამის შესახებ: ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 181-182.

ხაზის“ ადგილს „აბაზა“ იკავებს. აღნიშნულის შესახებ გარკვევით წერდა ჯერ კიდე „ჯიჰან-ნუმას“ ჩანართის XVIII საუკუნის ავტორი აბუ ბექრიც. ამასთან დაკავშირებით თურქოლოგი ცისანა აბულაძე სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ აფხაზ//აბაზა ტერმინთა და-დასტურების ქრონოლოგიას დოკუმენტის მტკიცება აქვს აწინდელ აფხაზეთში ჩერქეზულ-ადიღეური მოდემის ხალხთა ჩამოსახლების ისტორიისათვის²²². არსებული მონაცემებით, თანამედროვე აფხაზთა აღმნიშვნელი ეთნონიმი „აბაზა“ არაბულ ლიტერატურაში XV საუკუნიდან ეგვიპტელი ისტორიკოსის ბადრ ად-დინ ალ-აინის (გარდაიცვალა 1451 წელს) თხზულებაში ფიქსირდება. ნაშრომი ჩერქეზული დინასტიის ეგვიპტის მამლუქ სულთანს ალ-მუაიად საიფ ად-დინ შეიხს (1412-1421) ეძღვნება. ავტორი ასახელებს კავკასიელ ხალხებს: აბხაზებს, ანუ ქართველებს, ჩერქეზულ ტომებს, მათ შორის აბაზებს, სქალუას (აშხარუას) დიალექტზე მოსაუბრე იგივე აბაზებს და ჯ.ლას, ანუ ჯიქებს²²³. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ალ-ალ-აინის მიერ მოხსენიებული აბაზები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის მიღმა – ჩრდილოეთ კავკასიაში არიან დაფიქსირებული. როგორც ქვემოთ დავინახავთ, აფხაზეთში ისინი მხოლოდ მოგვიანებით ჩამოსახლდებიან. თანამედროვე აფხაზებმაც, ცხადია, შესანიშნავად იციან თავიანთი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის შესახებ – იციან, რომ ისინი აფსუა – აბაზები არიან. ამის დასტურია აფხაზეთის დე – ფაქტო ხელისუფლების მიერ 2005 წელს მიღებული ეგრეთ წოდებული კანონი მოქალაქეობის შესახებ. მის მეხუთე მუხლში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის მოქალაქეებად, პირველ რიგში, ითვლებიან „აფხაზური ეროვნების (აბაზა) პირები“.

არსებობს უამრავი სხვა ქართული და უცხოური წყარო, რომლებიც ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის ისტორიული აფხაზეთისა და აფხაზეთის შესახებ. მათ შორისაა რუსული წყაროებიც. XVI – XVII საუკუნეებში ქართული სამეფო – სამთავროები ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრული, სამფარველო ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. 1638 წლის 12 დეკემბერს რუსეთის მეფემ მიხეილ თევდორეს ძემ მოსკოვში ერთ-ერთი ქართული პროვინციის – სამეგრელოს ელჩი მიიღო; 1639 წლის ნოემბრიდან

222 ცისანა აბულაძე. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით წყაროებში. – ნიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 274-275.

223 გოჩა ჯაფარიძე. ძიებანი ..., გვ. 23-24.

ლევან II დადიანი (კასტელის ალბომიდან)



აფხაზეთის მთავარი სეტემან შარვაშიძე და
მისი ქალიშვილი დარეჯანი, რომელსაც მეუღლემ ლევან II
დადიანმა ლალატისთვის ცხვირი მოაჭრა (კასტელის ალბომიდან)



სამეგრელოს სარდალი დათუა ბისკაია და მამუკა ბისკაია,
რომლებიც მთიელთა შემოტევებს ებრძოდნენ
(კასტელის ალბომიდან)



ანაკოფიის ციხე-სიმაგრისა და ნავსადგურის მფლობელი
დავით ჩიჯავაძე (კასტელის ალბომიდან)



მიმდინარეობს
ბიჭვინთის ტაძრის
შეკეთება



აფხაზეთის მთავარი, „როდესაც ის ქართველ მეფესთან მივიდა“
(კასტელის ალბომიდან)



„ეპისკოპოსი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ლოცავს აფხაზეთის
მთავარს ბესლაკო შარაშიას“ (კასტელის ალბომიდან)



„აფხაზეთის დიდი სარ-
დალი ავიაბაია (აჩაბაია)“
(კასტელის ალბომიდან)

1640 წლის მაისამდე კი სამეგრელოში რუსი ელჩები სტუმრობდნენ. ამ უკანასკნელთა მიერ შედგენილი ანგარიშები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული ეთნოპოლიტიკური სიტუაციის მკაფიო სურათს გვინახავენ. ისინი დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ XVII საუკუნის შუახანებისთვის სამეგრელოს სამთავროს ეთნიკური საზღვარი, სულ ცოტა, მდინარე კელასურამდე მაინც აღწევდა. ეს იქიდან ჩანს, რომ სამეგრელოში მოგზაურობისას, რუსმა ელჩებმა სოხუმთან ახლოს მდებარე დრანდის საკათედრო ტაძარიც დაათვალიერეს და ეს ტერიტორია მაშინ სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა. მისი მმართველების პოლიტიკური ძალაუფლება კი თანამედროვე აფხაზეთის მთელს დანარჩენ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. ამაზე მიუთითებს მოსკოვში მყოფი სამეგრელოს ელჩის გაბრიელ გეგენავას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამეგრელოსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ბიჭვინთაში იჯდა და მას სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი ნიშნავდა. რუსი ელჩების მასალებში არაფერია ნათქვამი აფსუა-აფხაზეზზე, თუმცა ელჩებმა მოიარეს მთელი სამეგრელო, მათ შორის ამჟამად უკვე აფხაზეთის შემადგენლობაში შემავალი გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონები. რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თევდორეს ძე 1639 წლის 30 მაისის სიგელში ლევან II დადიანისადმი სამეგრელოს სამთავროს, რომელიც მაშინ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიასაც მოიცავდა, ივერიის (საქართველოს) ქვეყანას უწოდებდა. საპასუხო სიგელში (1640 წ. 15 მაისი) ლევან II დადიანი რუსეთის ხელმწიფეს აცნობებდა, რომ ის იმყოფება „ივერიის ქვეყნის სამეგრელოს ოლქში“²²⁴. ამრიგად, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია ოფიციალურმა რუსეთმა პირველად გაიცნო როგორც ივერიის ქვეყნის (საქართველოს) ნაწილი.

რუსი ელჩების მონაცემები დადასტურებულია სხვა წყაროებითაც. XVII საუკუნის 50-60-იან წლებში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული ეთნოპოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარება ასახულია არაბულენოვან ლიტერატურაში. მათი ავტორები არიან ანტიოქიის პატრიარქი 1647-1672 წლებში მაკარიოს III და 1669 წელს თბილისში გარდაცვლილი მისი შვილი არქიდიაკონი პავლე ალექსოელი. ცნობილია, რომ მთავარდიაკონმა პავლემ გარკვეულ დონეზე იცოდა ქართული ენაც, რომელსაც იგი ჯერ კიდევ საქართველოში

224 Материалы посольств Гавриила Гегенава, Федота Елчина и Павла Захарьева. 1636-1640 годы. Для издания подготовил, исследованием, комментариями, словарем, указателями и календарем снабдил Джемал Гамахария. Тбилиси, 2014, с. 190-218, 360-367, 392-394, 416-418, 441-447.

ჩამოსვლამდე დაუფლებია. ამაზე შემდეგი ფაქტი მიუთითებს. რუსეთში ყოფნისას, კერძოდ, 1656 წლის 19-20 იანვარს, მაკარიოს მესამე და არქიდიაკონი პავლე პირადად ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის (1654-1676 წწ.) მიწვევით წმინდა საბა – სტოროჟეცისკის მონასტერში (მდებარეობს მოსკოვის ოლქში ქალაქ ზვენიგოროდთან) წირვას ესწრებოდნენ. არქიდიაკონმა პავლემ ხელმწიფე გააოცა ბიბლიის წაკითხვითა და კვერექსების წარმოთქმით ჯერ არაბულ, ბერძნულ, რუსულ ენებზე, შემდეგ კი ქართულადაც. ამის თაობაზე წერს თავად არქიდიაკონი პავლე და იქვე აღნიშნავს, რომ ქართულად კითხვა მან ადრე ისწავლა²²⁵. მაკარიოს მესამე და არქიდიაკონი პავლე საქართველოში პირველად 1664-1666 წლებში იმყოფებოდნენ; 1666 წელს რუსეთში გაემგზავრნენ და 1669 წლის იანვარში კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ. არქიდიაკონი პავლე იმავე წლის 30 იანვარს 32 წლის ასაკში თბილისში გარდაიცვალა. მაკარიოს მესამე კიდევ ნახევარი წლის განმავლობაში ძირითადად დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, სადაც მან შექმნა არაბულენოვანი ნაშრომი საქართველოს შესახებ.

არქიდიაკონ პავლეს ჩანაწერების მიხედვით, ბეღია, მოქვი, ილორი და დრანდა, ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია თითქმის ქალაქ სოხუმამდე XVII საუკუნის შუახანებში ჯერ კიდევ ქართულ რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც ეკლესიურად და ადმინისტრაციულად სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა. სოხუმი და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიები კი შეადგენდნენ აფხაზეთს, სადაც უკვე ცხოვრობდნენ არა ისტორიული აფხაზები (ქართველები), არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული წარმართი აბაზები. არქიდიაკონი პავლე მათ „ურწმუნოებს“ უწოდებს. იგი წერს იმის შესახებაც, რომ ურწმუნო აბაზების აფხაზეთში დამკვიდრების გამო, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში – იმერეთის ქართულ სამეფოში იქნა გადატანილი²²⁶.

პატრიარქ მაკარის მიერ 1669 წელს საქართველოში დაწერილი ნაშრომის მიხედვითაც, ტერიტორიები დრანდის ჩათვლით ეკლესიურად და ადმინისტრაციულად, ასევე ეთნიკურად სამეგრელოს სამთავროს ნაწილს წარმოადგენდა. ეხება რა სამეგრელოში გავრცელებულ

225 Архидиакон Павел Алеппский. Путешествие Антиохийского Патриарха в Россию в половине XVII века, выпуск IV, книга XII, глава II.

226 მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. საქართველოს აღწერილობა, შედგენილი პავლე ალექსოელის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა. თბილისი, 1973, გვ. 71, 72, 83-84.

ბულ მანკიერ ზნე-ჩვეულებებს, მაკარი აღნიშნავს, რომ დრანდამი მცხოვრები ერთი მდიდარი ქალი, რომელიც შვიდჯერ ყოფილა ბიძაშვილებზე გათხოვილი, მისი შიშით აფხაზეთში გაქცეულა. ანუ, სოხუმთან ახლოს მდებარე დრანდა ჯერ არ იყო მიტაცებული მთიელების მიერ. ანტიოქელი პატრიარქი მოუხიბლავს ბეღიაში, მოქვსა და დრანდაში ნანახ ქრისტიანულ სინმინდეებს²²⁷.

არქიმანდრიტ პავლესა და პატრიარქ მაკარის ცნობები იმაზე მიუთითებენ, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი დრანდის ეპარქიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და ქალაქ სოხუმთან – მდინარე კელასურზე გადიოდა. სწორედ აქ, სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, XVII ს. 70-იან წლებამდე ფუნქციონირებდა სამეგრელოს მთავრების მიერ აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობა – ე.წ. კელასურის კედელი. იგი გახდა ახალი ადმინისტრაციული საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის. კელასურის კედელი აღნიშნულია XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების არქანჯელო ლამბერტისა და ქრისტოფორო კასტელის მიერ შედგენილ სამეგრელოს რუკებზე შემდეგი წარწერით: „კედელი 60 ათასი ნაბიჯის (სიგრძისა) აბაზთა თავდასხმების მოსაგერიებლად“ (იხილე აქვე ნაწილი – XI. 1.5). კელასურის კედელი წარწერის გარეშე მითითებულია კავკასიის თურქულ რუკაზეც, რომელიც მოთავსებულია ქათიბ ჩელების ნაშრომში „ჯიჰან – ნუმა“ (იხილე აქვე ნაწილი – XI.1. 7). ნაშრომის გვიანდელი ჩანართის ავტორმა აბუ ბექრიმ იცოდა, რომ აფსუა-აბაზები მის დროს უკვე ფლობდნენ ტერიტორიას მდინარე ენგურამდე. ამასთანავე იგი აღნიშნავდა, რომ აბაზას თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან კელასურამდე და სოხუმამდე აღწევდა²²⁸.

XVI-XVII საუკუნეებში აფხაზეთში დამკვიდრებულ აფსუა-აბაზებს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართველები აფხაზებს უწოდებდნენ. ქართველი თავადების – შარვაშიძეების ხელმძღვანელობით ისინი თავს ესხმოდნენ სამეგრელოს, ცდილობდნენ საერისთავოს საზღვრების გაფართოებას და მთავრის ძალაუფლებისაგან განთავისუფლებას. იმავდროულად, აფხაზეთის მფლობელები საკუთარ თავს საქართველოს სახელმწიფოს მიაკუთვნებდნენ და ქართველ მეფეებს

227 მაკარი ანტიოქელი. ცნობები საქართველოს შესახებ. – არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. შემდგენელი მაგალი თოდუა. თბილისი, 1982, გვ. 102-105, 111.

228 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა. შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანია. თბილისი, 1978, გვ. 58, 132-133.

უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. მაგალითად, 1661 წელს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ ვახტანგ V-მ (შახნავაზი) დროებით ქვეყნის დასავლეთი ნაწილიც დაიქვემდებარა, აფხაზეთის მფლობელებმა მას სრული მორჩილება გამოუცხადეს. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, როცა ვახტანგ V ზუგდიდში ჩამოვიდა, „მუნ მოერთო შარვაშიძე ძღუნითა დიდითა და აფხაზითა“²²⁹. ამით აფხაზეთის ერისთავმა და მისმა ქვეშევრდომებმა ქართლის მეფის უზენაესობა აღიარეს. მეფისავე ბრძანებით, შარვაშიძეებმა სამეგრელოს მთავარის ძალაუფლებაც აღიარეს.

შემდგომ წლებში ვითარება ქვეყანაში შეიცვალა. ოსმალეთისა და ირანის მიერ 1555 წელს გადანაწილებული საქართველოს გაერთიანება ვერ მოხერხდა, გამწვავდა გარედან ინსპირირებული შიდაომები. სამეგრელოს ძვირად დაუჯდა რუსი ელჩების მიღება, რუსეთისკენ სწრაფვა, აგრეთვე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი რუსი კაზაკებისთვის პერიოდულად დახმარების აღმოჩენა. ცდილობდა რა სამეგრელოს იზოლირებას რუსეთისაგან, ოსმალეთმა ხელი შეუწყო კავკასიელ მთიელებს სამეგრელოს წინააღმდეგ ბრძოლაში. დადინებთან დაპირისპირებაში აფხაზეთის ერისთავები – შერვაშიძეებიც კავკასიელ მთიელებს ეყრდნობოდნენ. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1657წ.) მრავალწლიან შიდაომებში ჩაფლული და ამის გამო დასუსტებული სამეგრელოს სამთავრო XVII ს. 80-იანი წლების დასაწყისიდან უკიდურესად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა 1681 წელს ლევან III დადიანის (1661-1681) გარდაცვალებამ და სამთავრო ტახტის პირდაპირი მემკვიდრის მკვლელობამ²³⁰. ტახტისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩართულმა თავადმა აფხაზეთიდან სავარეხ (სორექ/სორეხ) საუსტანის ძე შარვაშიძემ სწორედ მთიელთა დახმარებით მიაღწია წარმატებას. იგი მდინარე ენგურამდე ტერიტორიას დაეუფლა, რომელსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამეგრელოს მთავრის ტიტულით მართავდა. სავარეხ შარვაშიძემ ვერ შეძლო მთავრის გარეშე დარჩენილი სამეგრელოს მთლიანად დაკავება, რომელსაც სალიპარტიანოს მფლობელი კაცია ჩიქვანი, შემდეგ კი მისი ვაჟი გიორგი სალიპარტიანი მართავდნენ²³¹. ტახტისთვის გაჩაღებული ბრძოლის დასრულების მიზნით, გიორგი

229 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 836.

230 ლევან III-ს ვაჟი მანუჩარი მძევლად ჰყავდა გიორგი III გურიელს, რომელსაც თავად სურდა სამეგრელოს ტახტის დაკავება. ამის გამო გურიის მთავარმა მანუჩარი სიცოცხლეს გამოასალმა.

231 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 844-845.

ლიპარტიანმა ოსმალეთის თანხმობით სამთავრო ტახტზე ლევან III დადიანის უკანონო შვილი ლევან IV დადიანი (1683-1689) აიყვანა, თუმცა ფაქტობრივ მმართველად თავად რჩებოდა.

მოუხედავად ყოველივე ამისა, სავარეს შარვაშიძე აგრძელებდა ბრძოლას სამეგრელოს დანარჩენი ტერიტორიების დასაუფლებლად, აფხაზეთის მფლობელს ზეგნაყ შარვაშიძეს კი არ ემორჩილებოდა. ამ უკანასკნელმა 1685 წლის 10 აპრილს სავარების წინააღმდეგ გაილაშქრა და მისი სამფლობელო სასტიკად დაარბია, რასაც მალე მდინარეებს კელასურსა და ენგურს შორის მდებარე სამეგრელოს ტერიტორიების აფხაზეთთან მიერთება მოჰყვა. XVII საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ზეგნაყი გარდაიცვალა, მდინარე ბზიფიდან ენგურამდე გადაჭიმული აფხაზეთი უკვე მისმა შვილებმა გაინაწილეს. უფროსს – როსტომ შარვაშიძეს ერგო ტერიტორია მდინარე ბზიფიდან კოდორამდე, შუათანას – ჯიქეშისა – მდინარეებს კოდორსა და ლალიძგას შორის, უმცროსს – ყვაპუს – მდინარეებს ლალიძგასა და ენგურს შორის²³². მითვისებული ტერიტორიის ახლადმოვლენილმა მფლობელებმა, უპირველეს ყოვლისა, დადიანთა ერთგული ქართული თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები გაანადგურეს, სასტიკად გაუსწორდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილი მონებად და დევნილებად აქციეს ან ტყვედ გაყიდეს. დაკავებულ ტერიტორიაზე აბაზები, ყაბარდოელები და სხვა მთიელები ჩამოსახლეს, დაანგრეს ან ფუნქციონირება შეწყვიტეს საუკუნეების განმავლობაში მოქმედმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა.

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე კავკასიელი მთიელების, ძირითადად აფსუა – აბაზების გვიან ჩამოსახლების ფაქტი, რომელსაც სეპარატისტული ისტორიოგრაფია ბოლომდე არ აღიარებს, საყოველთაოდ ცნობილია. იგი დაფიქსირებულია XVIII – XIX საუკუნეებისა და უფრო გვიანდელი პერიოდის ქართველ, რუს და ევროპელ ავტორთა შრომებში (ვახუშტი ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, ვ.ნ. ტატიშჩევი, ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, ა. კურაევი, პ. – ს. პალასი, ი. კლაპროტი, ფრ. დიუბუა დე მონპერე, ე. სპენსერი და სხვა).

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს თანამედროვე აფხაზების, ანუ აფსუა-აბაზების წარმოშობისა და აფხაზეთში ჩამოსახლებამდე მათი ლიკალიზაციის საკითხზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს თურქი ავტორის ქიათიბ ჩელების მოსაზრებები. აბაზებს იგი ებრაული წარმოშობის ხალხად, მათ უშუალო

232 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 292-293, 664-665.

წინაპრებად კი ასტრახანის მოსახლეობას მიიჩნევდა²³³. ებრაელებში თურქი ისტორიკოსი იუდაიზმის მიმდევარ ხაზარებს გულისხმობდა და არა საკუთრივ ებრაელებს. ყველაზე მეტად იუდაიზმი სწორედ ასტრახანელ ხაზარებში იყო გავრცელებული. ქიათიბ ჩელების მოსაზრება სრულ თანხმობაშია პირველი საუკუნის ავტორის პლინიუს უფროსის ზემოთმოტანილ ცნობასთან აბზოას ტომის კასპიის ზღვის ჩრდილოეთით ვოლგისპირეთში (სადაც მდებარეობს ქალაქი ასტრახანი) ბინადრობის შესახებ. XVI საუკუნის წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით, აფსუა – აბაზების წინაპრები უკვე მდინარე ყუბანთან ჩანან. ამას ადასტურებდა სპეციალური დავალებით რუსეთში არაერთხელ ნამყოფი ცნობილი გერმანელი დიპლომატი სიგიზმუნდ გერბერშტეინი (1486 – 1566) თავის ცნობილ წიგნში „ჩანაწერები მოსკოვის შესახებ“. მისი მონაცემებით, მდინარე ყუბანის გასწვრივ ცხოვრობდა Aphgasi ხალხი, ყუბანის სამხრეთით კი სამეგრელო მდებარეობდა²³⁴. კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდი 1561 წელს მის მიერ შედგენილ რუკაზე მდინარე ყუბანის შუა წელში აფიქსირებს Abcvas regi – ს, რომლის მთავარი ქალაქი იყო Acua (იხილე აქვე ნაწილი XI. 1. 4). აფხაზეთში ჩამოსახლებულმა აფსუა – აბაზებმა თან ჩამოიტანეს თავიანთი მთავარი ქალაქის სახელწოდებაც (Acua) და იგი აფხაზეთის მთავარ ქალაქს – ცხუმს//სოხუმს შეარქვეს. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მთიელთა ჩამოსახლების შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, მრავალი ავტორი წერდა. პირველ რიგში, ამ ფაქტს უტყუარი ქართული წყარო – ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება ადასტურებს. მასში ნათქვამია: „გარნა იყო ქირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნან ნავებითა და ხმელითა და სტყუენვიდიან, დაიპყრეს ვიდრე მდინარე ეგრისის მდინარედმდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი (ხაზგასმა ჯ. გ.) და არლარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“²³⁵. აფხაზეთში აღმოჩენილი ახალი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მეგრულ-სვანური მეტყველების გავრცელების არეალი გაგრამდე მანაც

233 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიაშვილი. თბილისი, 1973, გვ. 132, 133.

234 С. Герберштейн. Записки о Московии. Москва, 1988, с. 181.

235 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 845.

ვრცელდებოდა, თუმცა, ნერდა იგი, „მეგრელებს ეკავათ მთელი შავიზღვისპირეთი ყუბანიდან ტრაპიზონამდე და თვით ტრაპიზონიც“. თანამედროვე აფხაზთა წინაპრების ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დამკვიდრება კი, მისი აზრით, მოხდა „შემდეგ იმათის გადმოხვეწნისა მთას-იქიდან“²³⁶.

აფხაზეთში მთიელთა ჩამოსახლების თითქმის თანამედროვე გახლდათ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. ნ. ტატიშჩევი (1686-1750), რომლის შრომებს რუსული ისტორიოგრაფია წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს. იგი სავსებით სწორად ნერდა, რომ აფხაზეთი (ავხეთი), არის „სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები აფხაზოსს ეძახდნენ, ჩვენი წინაპრები კი ობეზებს უწოდებდნენ. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი ყუბანელებითაა დასახლებული“²³⁷. ვ.ნ. ტატიშჩევის განმარტებით, ობეზები ჩრდილოეთ სამეგრელოს (აფხაზეთის) უძველესი მაცხოვრებლები ანუ ქართველები არიან. „ივერიელი – იგივე ობეზია“, – ამბობს რუსული მატჩიანე²³⁸. ყუბანელები კი, რომლებიც აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, რუსული მატჩიანეების მიხედვით, ჩერქეზულადილური ტომების წარმომადგენლები არიან. როგორც დავინახეთ, ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუახანებში ისინი ნამდვილად ყუბანიპირეთში ცხოვრობდნენ (იხილე აქვე ნაწილი XI.1.4).

აფხაზეთის ისტორია, იქ არსებული კულტურის ძეგლები კარგად შეისწავლა XIX საუკუნის შუახანების რუსმა ისტორიკოსმა მ. სელეზნიოვმა. თავის ნაშრომში მან ყურადღება მიაქცია, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარ შეუსაბამობას. „საოცარია, – ნერდა იგი, – რომ აფხაზებმა, რომლებსაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, რომაელებთან, ბოსფორელებთან, გენუელებთან, არ გადმოიღეს იმათგან არც სამოქალაქო მონყოლა, არც განათლება, ან მიიღეს იგი და ვერ შეითვისეს თავიანთ ზნე-ჩვეულებებში“²³⁹. სამწუხაროდ, მ. სელეზნიოვი ვერ მიხვდა, რომ მის მიერ აღნიშნული „საოცრების“ მიზეზი იყო აფსუა-აფხაზთა გვიან შუასაუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლება. ამის გამო მათ არ ჰქონიათ და

236 Д. Бакрадзе. История Грузии на основе новых изысканий. Санкт-Петербург, 1873, с. 2-3; დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. თბილისი, 1889, გვ. 272-273.

237 В.Н. Татищев. История Российская, т. I. Москва-Ленинград, 1962, с. 171.

238 Полное собрание русских летописей, т. VI. Санкт-Петербург, 1853, с. 125, 152; Г. Пайчадзе. Название Грузии в русских письменных исторических источниках. Тбилиси, 1989, с. 13-21, 51-56.

239 М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, книга II. С.-ПБ, 1847, с. 203.

ვერც ექნებოდათ უშუალო ურთიერთობა ბერძნებთან, რომაელებთან... შესაბამისად, ვერც სამოქალაქო მოწყობას და განათლებას გადმოიღებდნენ მათგან.

მ. სელეზნიოვისაგან განსხვავებით, სწორი დასკვნები გააკეთა ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა, აფხაზეთის მკვიდრმა ან. დიაჩკოვ-ტარასოვმა. 1905 წელს იგი წერდა: „აფხაზები ყოველთვის როდი მოსახლეობდნენ აქ. მათი გადმოცემები, წეს-ჩვეულებები და მრავალი ისტორიული მონაცემი ადასტურებს, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და შეავიწროეს ქართული ტომები, სანამ ენგურთან არ შეჩერდნენ“. აფსუა-აფხაზების ჩრდილოეთიდან ჩამოსახლების შესახებ ან. დიაჩკოვ-ტარასოვი 1903, აგრეთვე 1909-1910 წლებშიც აღნიშნავდა, რომ ეს ჩამოსახლება „მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, შესაძლოა, XVI-XVII საუკუნეებში“²⁴⁰.

სავსებით სწორი მოსაზრებაა. მას მთლიანად იზიარებდნენ²⁴¹ და დღესაც იზიარებს ისეთი ცნობილი რუსი მეცნიერი, როგორიცაა ანდრია კურაევი. აფხაზეთში იგი მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა, იმავდროულად რეგიონის ისტორიასაც სწავლობდა. 2013 წლის 26 ივნისს ერთ-ერთ კონფერენციაზე გამოსვლისას მან დასვა „მეტად სერიოზული საკითხი: რა საერთო აქვთ აფხაზეთთან იმათ, ვისაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვუწოდებთ? ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არის გასაოცარი უძველესი ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძრები, არსებობდა უძველესი მართლმადიდებელი აფხაზეთის სამეფო, არსებობდა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ყველაფერი ეს სიმართლეა! საქმე ის არის, – აგრძელებს პროფესორი ა. კურაევი, – თუ რა კავშირი აქვთ ამასთან იმათ, ვინც დღეს იქ ცხოვრობს? პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანები თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ, თავის ქვეყანას – „აფსნის“ და არა აფხაზეთს. სიტყვა „აფხაზეთი“ კი ქართული სიტყვაა, ე.ი. ისინი, ვინც ოდესღაც თავის თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ქართული ეთნოსის ნაწილს წარმოადგენდნენ, როგორც მეგრელები და სხვანი. ვთქვათ, ქართველებიც, ქართველი ისტორიკოსებიც ასე ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ,

240 А.Н. Дьячков-Тарасов. Гагры и его окрестности. Тифлис, 1903, с. 36-37; А.Н. Дьячков-Тарасов. Бзыбская Абхазия. – В кн.: Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества (ИКОРГО), т. XVII. Тифлис, 1905, с. 85; А.Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XIX столетии. – ИКОРГО, т. XX. Тифлис, 1909-1910, с. 152, 210.

241 Л. И. Лавров. Историко-этнографические очерки Кавказа. Ленинград, 1978, с. 127-128.

რომ აი, ის ავთენტური, ქართული ეკლესიის წიაღში და ქართველ ხალხთან გაერთიანებული მართლმადიდებელი აფხაზები თურქებმა გაჟლიტეს და გამოდევნეს იქიდან, იმ სანაპიროდან XVI-XVII საუკუნეებში. ნაწილი გაქრა და ნაწილი აღმოსავლეთით, საქართველოს ღრმა მთიანეთში გაიხიზნა. ხოლო დაცარიელებულ სანაპირო ზოლში თურქულმა ხელისუფლებამ მთებიდან ჩერქეზები ჩამოასახლა და უთხრა: – ამიერიდან აქ იცხოვრეთ. ანუ გამოდის, რომ აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობა დიდი ხანი არაა, რაც იქ არის; მაგრამ მათ ეამებათ თავიანთი თავი იმ უძველესი ტაძრების მშენებლებად და მემკვიდრეებად მიიჩნიონ როგორც, მაგალითად, ვალახები ნეტარებენ იმის გამო, რომ ჩვენ ძველი რომაელების მემკვიდრეები ვართო, თავის თავს რუმინელებს, რომეებს, რომანებს, უძველეს რომაელთა შთამომავლებს უწოდებენ; თუმცა დაკებს რა კავშირი აქვთ რომთან – ძალიან, ძალიან შორეული. მაგრამ რუმინელები პატიოსნად მაინც აღიარებენ, რომ მათთან რუმინეთში იმპერატორ ტრაიანეს კულტია. რატომ? იმიტომ, რომ ტრაიანემ დაიპყრო დაკები. და აი, გასაოცარი ისტორია: ე.ი. ერი თავყვანს სცემს თავის დამპყრობელს იმიტომ, რომ – ჩვენ, ბარბაროსები, ამით ევროპულ ცივილიზაციას გვაზიარესო. აფხაზეთში საპირისპირო სიტუაციაა. ის ძირძველი აფხაზები მათ არ დაუმარცხებიათ, მათი დახმარების გარეშე მოხდა როგორღაც ეს დეპორტაცია. მათი მიწები კი დაისაკუთრეს, სახელიც ნაწილობრივ მიითვისეს, მაგრამ არა თავიანთის, არამედ ტურისტებისთვის. თავის თავს ისინი აფხაზებს არ უწოდებენ. ამას აკეთებენ მხოლოდ რუსულ ენაზე და უცხოელებთან, აგრეთვე ნაწილობრივ სხვა ისტორიაზე საუბრისას. მე თუ აფხაზებს ამის მოყოლას დაუწყებ, ისინი ძალიან განაწყენდებიან, ქართველების აგენტს დამარქმევენ²⁴². ანდრია კურაევის მოსაზრება აფხაზთა ისტორიის შესახებ, რომელიც სხვადასხვა თაობის ქართველი, რუსი და ევროპელი მეცნიერების დასაბუთებულ დასკვნებს ეფუძნება, სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

აფხაზეთისა და აფხაზების ისტორია გერმანელმა მეცნიერმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა პიეტრო – სიმეონ პალასმა (1741 – 1811) შეისწავლა. 1793 – 1794 წლებში მან კავკასიაში იმოგზაურა და 1811 წელს ამ მოგზაურობის შესახებ პარიზში წიგნიც გამოსცა. ავტორი აფხაზებს „აბსნე“ – ს სახელით იხსენიებს და მათ შესახებ წერს: „ეს ხალხი, ჩანს, წარმოშობით კავკასიის მთების ჩრდილო – დასავლეთი ნაწილიდანაა“²⁴³. აფხაზთა წარმოშობის შესახებ

242 <http://www.youtube.com/watch?v=yjtMXbsPgH4>

243 Джемал Гамахория, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии,

წერდა კიდევ ერთი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ჰაინრიხ იუ-ლიუს კლაპროთი (1783 – 1835). კავკასიასა და საქართველოში 1807 – 1808 წლებში განხორციელებული მოგზაურობის შემდეგ გერმანულ და ფრანგულ ენებზე მან რამდენიმე ნაშრომი გამოსცა. ეყრდნობოდა რა მეცნიერთა შორის აფხაზთა (აბსნე) შესახებ გაბატონებულ მოსაზრებებს, 1812 წელს ის წერდა: „ფიქრობენ, რომ ისინი ჩრდილო – დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან და მოგვიანებით გავრცელდნენ სხვა რაიონებში“²⁴⁴. 1823 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში კლაპროთი აღნიშნავს, რომ აბსნე მთელი ანტიკურ ხანა კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა²⁴⁵. 1827 წელს გამოცემულ ნაშრომში მან უფრო გარკვევით აღნიშნა, რომ აფსუა – აბაზები „ძალიან დიდხანს ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო – დასავლეთ ნაწილში“²⁴⁶.

სწორ დასკვნამდე მივიდა ფრანგული წარმოშობის შვეიცარიელი მეცნიერი, პარიზის აკადემიის წევრი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850). კავკასიაში მოგზაურობისას, 1833 წელს ის აფხაზეთშიც იმყოფებოდა. თავის კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ 1839 წელს პარიზში გამოსცა, წერდა იმის შესახებ, რომ სამეგრელოს ქართული პროვინცია, რომელსაც დადიანები მართავდნენ, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაახლოებით ჯიქეთამდე ვრცელდებოდა. ფრანგი მეცნიერის აზრით, სამეგრელო მტერთა მუდმივი თავდასხმების ქვეშ იმყოფებოდა და შავი ზღვის „ამ მშვენიერი სანაპიროების გასწვრივ, ერთის მხრივ, ჩერქეზთა, მეორეს მხრივ, თურქთა სისხლიანი ხელი დასეირნობდა. მთავრებმა დადიანებმა, რომლებიც ორი საუკუნის წინ იძულებული გახდნენ თავიანთი საზღვრები ანაკოფიაში გადაეტანათ, ახლა მდინარე ლალიძგამდე დაიხიეს და აფხაზეთი, ეს ბედკრული ქვეყანა, ისეთივე ველური გახდა, როგორც ამერიკის ტყეები: ყველაფერი ნანგრევებად იქცა, ყველა ეკლესია ჩამოიქცა, ცივილიზაციის ყველა კვალი ნაიშალა“²⁴⁷.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს დასკვნა ადასტურებს XVI-XVII

გვ. 285.

244 Klaproth Y. Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808. Hale und Berlin, 1812, p. 447.

245 Voyage ou montdu Kaukaset en Georgie par M. Jules Klaproth, I. Paris, 1823, p. 201.

246 Tableau historique, géographique, ethnographes entre la Russe et la Perse. Par M. Klaproth. Paris, 1827, p. 83.

247 Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т. I. Перевод с французского Н.А. Данкевич-Пушиной. Сухуми, 1937, с. 149.

საუკუნეებში ჩრდილო – დასავლეთ საქართველოში აფსუათა ჩამოსახლების უცილობელ ფაქტს. როგორც ვხედავთ, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, აფსუა – აფხაზები ქართველთა მიერ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქრისტიანული ცივილიზაციის არა შემოქმედნი, არა თანაშემოქმედნი, არამედ მისი გამანადგურებლები არიან. ამ ქრისტიანული ცივილიზაციის შემქმნელები აფსუა-აფხაზები რომ არ არიან, მტკიცდება მათ ენაში ქრისტიანული ტერმინოლოგიის (მათ შორის ისეთი ძირითადი ტერმინების, როგორიცაა ქრისტე, ქრისტიანი, ეკლესია, მღვდელი, ჯვარი, შობა, აღდგომა, ნათლობა და ა.შ.) არარსებობითაც. აფხაზურ ენაში მთელი ქრისტიანული ტერმინოლოგია ქართული ენიდანაა ნასესხები²⁴⁸.

ინგლისელი ედმუნდ სპენსერი აფხაზთა შესახებ 1851 წელს წერდა: „ისინი ნაწილობრივ ყირიმისა და ყუბანის ხანებისა და სულთნების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“²⁴⁹. აფსუა-აფხაზთა ავტოხტონობას ეჭვსკეპს აყენებდა ინგლისელი მზვერავი და კონსული სოხუმში ჯიფორდ პოლგრაფი. 1876 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი აღნიშნავდა, რომ აფხაზთა ადრეული ისტორიის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი და მომავალშიც ბევრი ვერაფერი გაირკვევა; ძველბერძნული წყაროების მიხედვით, ორი ათასი წლის წინ ისინი შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ. „მაგრამ საიდან მოვიდა მათი ეს მოგონილი ავტოხტონობა“? – წერდა ჯიფორდ პოლგრაფი და გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებას აფსუა-აფხაზთა ჩრდილოკავკასიური წარმოშობის შესახებ²⁵⁰.

კავკასიელ მთიელთა გვიანშუასაუკუნეების აფხაზეთში გადმოსახლების ფაქტი დადასტურებულია თვით აფხაზურ ისტორიოგრაფიკაშიც. აფსუა-აფხაზებში დღემდეა შემონახული გადმოცემები ავიძებების, ამფარების, ადლეიბების, აშუბების, არშუბების, ინაფშუბების, კაპბების, მარშანიების (ამარშან), შამბების და სხვათა გადმოსახლების შესახებ. ამის თაობაზე წერდნენ დ. გულია, ს. ბასარია, შ. ინალ-იფა, ს. ზუხბა

248 თეიმურაზ გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტუქტურა, ისტორია. ფუნქციონირება. თბილისი, 2011, გვ. 330-349.

249 კ. კოხისა და ე. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბილისი, 1981, გვ. 135.

250 Джемал Гамахрия, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 339.

და სხვები²⁵¹. შესაბამისი გადმოცემები არსებობს ყაბარდოელებშიც, რომლებიც XV საუკუნეში ინალის წინამძღოლობით ანაპიდან აფხაზეთში მთელი ტომის გადასახლების თაობაზე მოგვითხრობენ. ინალი – ისტორიული პიროვნებაა, მისი საფლავი ფსხუში აფსუა-აფხაზთა ერთ-ერთი წმინდა სალოცავი ადგილია²⁵².

ამრიგად, ისტორიული აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, ხოლო ისტორიულ აფხაზთა ქართული ეთნოსისადმი კუთვნილება როგორც წყაროთა მონაცემებით, ისე სრულიად მიუკერძოებელ ქართველ და განსაკუთრებით უცხოელ ავტორთა დასკვნებითაა დადასტურებული. ამასთანავე XVI-XVII საუკუნეებში სამეგრელოს სამთავრო ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში ანუ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე კავკასიელი მთიელების, კერძოდ აფსუა-აბაზების ჩამოსახლების ფართოდ აღიარებული ფაქტიც არავითარ ეჭვს არ იწვევს. დაპირისპირება დადიანებსა და შარვაშიძეებს შორის „მთლიანად ჯდება ფეოდალური შუღლისა და შინაომის ფარგლებში“²⁵³, რომელიც იმ ისტორიულ ეტაპზე მიზნად არ ისახავდა ქართული სამყაროსაგან აფხაზეთის მოწყვეტას.

III. 3. ქრისტიანობის გავრცელება და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსო VIII-XVII საუკუნეებში

XVI – XVII საუკუნეებში ჩამოსახლებული აფსუა-აბაზების მიერ ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის განადგურების მყარად დადასტურებული ფაქტი სულაც არ უშლის ხელს მათ შთამომავლებს, თანამედროვე სეპარატისტებს და ისტორიის ფალსიფიკატორებს ოკუპირებული აფხაზეთიდან, ურცხვად ამტკიცონ, რომ მხოლოდ ისინი არიან მათი წინაპრების მიერ მიწასთან გასწორებული ქრისტიანული კულტურის „სამართალმემკვიდრენი“. საქართველოს საეკლესიო ის-

251 Д. Гулия. История Абхазии. Собрание сочинений, т. 6, с.268; С. Басария. Редкие случаи долголетия в Абхазии. – Труды АБНИИ, II. Сухуми, 1934с. 108;

III. Ина-Ипа.Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976, с.175; ს. ზუხბა.აფხაზური ზეპირსიტყვიერება. თბილისი, 1988, გვ. 214-215.

252 III. Ногмов. История адыгейского народа (по кабардынским преданиям). Нальчик, 1982, с. 76-78; ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხ-ისათვის (საგვარეულო სალოცავები). – კლიო. საისტორიო აღმანახი, 2000, №7, გვ. 28-30.

253 ზურაბ პაპასკირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, I, გვ. 109.

ტორიის გაყალბებას საფუძველი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა²⁵⁴. დღევანდელ აფხაზეთში, რომელიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და აღვირახსნილობით გრძელდება ქართული ეკლესიის ისტორიის ფალსიფიკაცია. ამ ყოვლად მიუღებელ ანტიქრისტიანულ საქმიანობაში „პირველობას“ არავის უთმობს დიმიტრი დბარი – არქიმანდრიტი დოროთე. ნათქვამის დასტურად გამოდგება 2001 წელს რუსეთში მის მიერ დაცული დისერტაცია, რომელიც საფუძველად დაედო 2005 წელს გამოცემულ მონოგრაფიას. მათში თავდაყირაა დაყენებული აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ისტორია. დისერტაციაშიც და მონოგრაფიაშიც ცალკე თავი ეძღვნება აფხაზეთის საკათოლიკოსოს, რომლის ისტორია უხეშად არის დამახინჯებული²⁵⁵. დოროთე დბარი და მისი თანამოაზრეები არა მეცნიერული და სარწმუნოებრივი, არამედ ილუზორული პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ცდილობენ დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს ისტორიის გაყალბებას, მის გასაღებას აფსუა-აბაზურ ეკლესიად, რაც სრული აბსურდია.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში ქრისტეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა იქადაგეს. სიმონ კანანელი საქართველოშივე აღესრულა და ანაკოფიაში დაიკრძალა. IV საუკუნის 20-იანი წლებიდან ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად არის აღიარებული. V საუკუნის ავტორის გელასი კვიზირელის ცნობით (ავტორი ეყრდნობა IV საუკუნის ავტორის გელასი კესარიელის მონაცემებს), რომში კონსტანტინე I-ის იმპერატორის დროს (306-337) „ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მინანყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“²⁵⁶. როგორც ვხედავთ, გელასი კვიზირელი პონტოს ანუ შავი ზღვის გასწვრივ გაქრისტიანებულთა შორის მხოლოდ ქართველებს ასახელებს. IV საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ გარკვეულწილად განაპირობა 325 წელს ნიკეის I

254 Л. Воронов. Абхазия – не Грузия. Москва, 1907; М. Тарнава. Краткий очерк истории абхазской церкви. Сухуми, 1917.

255 Дмитрий Дбар. История христианства в Абхазии в первом тысячелетии. Диссертация на соискание ученой степени кандидата богословия. Сергиев-Посад, 2001, с. 198-227; Иеромонах Дорофей (Дбар). История христианства в Абхазии в первом тысячелетии. Новый Афон, 2005, с. 199-235.

256 გეორგიკა, ტ. I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1961, გვ. 186, 245-246.

მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთისა და ტრაპიზონის ეპისკოპოსების სტრატოფილესა და დომნუსის დასწრება. VI საუკუნის შუახანებში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოხდა აბაზგების გაქრისტიანება. იმავე პერიოდში დაფუძნდა სებასტოპოლისის (აბაზგის) ეპარქია, რომელმაც შთანთქა ბიჭვინთის კათედრა. 553 წელს მოწვეული მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის გვხვდება სებასტოპოლისის ეპისკოპოსიც. VII საუკუნის დასაწყისიდან სებასტოპოლისის ეპარქია მოხსენიებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა პირველ ნუსხაში, რომელიც იმპერატორ ჰერაკლეს (610-641) მმართველობის პერიოდში უნდა იყოს შედგენილი. მასში შეტანილია აგრეთვე ფაზისის (ფოთი) სამიტროპოლიტოში შემავალი ზიგანევის (გუდავის) ეპარქიაც, რომელიც დღევანდელი გალის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა²⁵⁷. აღნიშნული ეპარქიები IX საუკუნის ბოლომდე არსებობდნენ.

ამასთანავე, VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, გარკვეული ისტორიული ფაქტორების ზეგავლენით, შეიქმნა ვითარება, რომელმაც კონსტანტინოპოლისაგან დამოუკიდებელი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს ჩამოყალიბება განაპირობა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობაში პირველი ბზარი ბიზანტიაში მონოთელიტების²⁵⁸ გამარჯვებამ გააჩინა. ამ მიმდინარეობის მთავარი მოწინააღმდეგე მაქსიმე აღმსარებელი (580-662) კი ლაზიკაში იყო გადასახლებული, რის შესახებაც მონოთელიტების კიდევ ერთი მოწინააღმდეგე, ასევე ლაზიკაში გადასახლებული იერუსალიმელი მღვდელმონაზონი თეოდოსი განგრელი მოგვითხრობს²⁵⁹. კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად დამძიმება ხატმებრძოლობის²⁶⁰ პერიოდში მოხდა. როგორც ცნობილია, იმპერატორ ლეონ III ისავრიელის ბრძანებით (730 წ.), ბიზანტიაში საფუძველი ჩაეყარა რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობას – ხატმებრძოლობას, რომელიც 843 წლამდე გაგრძელდა. იგი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა იმჟამინდელი ქართული სამღვდელთაგანისთვის. ხატმებრძოლობამ ბიზანტიასთან დროებითი ეკლესიური გაუცხოება

257 ბუბა კუდავა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში (VI-IX სს.). – კლიო. საისტორიო აღმანახი, 2002, № 15, გვ.180-197.

258 მოძღვრება, რომელიც უარყოფს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას და მხოლოდ მის ერთბუნებოვნებას (ღვთიურ საწყისს) აღიარებს.

259 გეორგიკა, ტ. 4, წ. 1, გვ. 38-56.

260 ხატების თაყვანისცემის აკრძალვა.

გამოიწვია. ამ გაუცხოების შედეგად დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლის გავლენისაგან თავისუფალი ქართული ქრისტიანული ცენტრები ჩამოყალიბდნენ და საკმაოდაც გაძლიერდნენ²⁶¹. სასვებით ბუნებრივად წარმოიშვა აღნიშნულ ცენტრებზე მწყემსმთავრული ზრუნვის აუცილებლობა. ამასთანავე ქართლში არაბთა მძლავრობის პირობებში მცხეთის საკათოლიკოსოსთან, ასევე აღმოსავლეთის ეკლესიებთან უშუალო და მუდმივი კავშირის დამყარება შეუძლებელი აღმოჩნდა. ყოველივე ამან VIII საუკუნის შუახანებში ანტიოქიაში ივერიის კათოლიკოსის კურთხევა განაპირობა. ამის შესახებ წერდა ანტიოქიაში მოღვაწე XI საუკუნის ქართველი სასულიერო მწერალი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე თავის ნაშრომში „უნწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“. ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავდა ქართველთა მოქცევასთან და ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების ბერძნული წყაროების საფუძველზე გარკვევას. მრავალ წყაროთა შორის ეფრემ მცირემ გამოიყენა მის მიერ ანტიოქიაში მიკვლეული ქრონიკა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. სწორედ ამ ნაშრომზე დაყრდნობით წერდა იგი, რომ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე V-ს (741-775) და პატრიარქ თეოფილაქტეს დროს (744-751) ანტიოქიაში ქართლიდან ჩასული ორი მღვდელმონაზონიდან ერთ-ერთი, სახელად იოანე, მღვდელმთავართა კრების გადანყვეტილებით, ხელდასხმულ იქნა საქართველოს (ქართლის) კათოლიკოსად და მას ეპისკოპოსთა ხელთდასხმის უფლებაც მიენიჭა²⁶².

ქართული ეკლესიის ისტორიაში იგი იოანე III-ის სახელითაა შესული, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ VIII საუკუნის შუახანებში მოხდა ქვემო (დასავლეთ) ივერიის – დასავლეთ საქართველოს – კათოლიკოსის ხელთდასხმა. ამის შესახებ წერდნენ გამოჩენილი ბერძენი სასულიერო მოღვაწეები, იერუსალიმის პატრიარქები დოსითეოსი (1669-1707) და ხრისანფი (1707-1731). დასავლეთ საქართველოს, რომლის ნაწილიცაა აფხაზეთის საერისთავო, ისინი „ქვემო იბერიად“ მოიხსენიებენ. დოსითეოსისა და ხრისანფის მონაცემებით, ქვემო (დასავლეთ) იბერიის კათოლიკოსის კურთხევა ლეონ III ისავრიელის იმპერატორობის ჟამს (დოსითეოსის აზრით, 720 წელს) უნდა მომხ-

261 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005, გვ. 88-89.

262 ეფრემ მცირე. უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. თბილისი, 1959, გვ. 9.

დარიყო. პატივით ის უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე ზემო (აღმოსავლეთ) იბერიის კათოლიკოსი²⁶³. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-1672) ასევე აღნიშნავდა, რომ 744-751 წლებში თეოფილაქტე ანტიოქელმა, წმინდა კრების გადანყვეტილებით, აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს პირველ კათოლიკოსად იოანე აკურთხა, რომელსაც ეპისკოპოსების ხელთდასხამის უფლება ჰქონდა. იმავე კრების გადანყვეტილებით, ქვემო იბერიის კათოლიკოსს ღმრთისმსახურებისას ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება ევალებოდა. როგორც მაკარიოს III წერდა, იოანე „იყო ქართველების (ხაზგასმა ჯ. გ.) პირველი კათოლიკოსი. ტახტი აფხაზთა ქვეყანაში ედგა“²⁶⁴.

ეგრემ მცირეს, დოსითეოსის, ხრისანფის, მაკარიოს III-ის და სხვა მონაცემების შეჯერებით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება. როგორც ჩანს, ანტიოქიაში ქართლის კათოლიკოსად კურთხეულმა იოანემ ბიჭვინთის საკათედრო ტაძარი დაიკავა. 758 წელს ბიჭვინთაში გუთელი ეპისკოპოსის კურთხევის ფაქტიც²⁶⁵ ამაზე უნდა მიუთითებდეს. იოანეს მიერ საკათოლიკოსო რეზიდენციად ბიჭვინთის და არა მცხეთის არჩევა, სავარაუდოდ, დროებით და იძულებით ხასიათს ატარებდა. ეტყობა, მან ვერ მოახერხა ჩასვლა თბილისის საამიროში, რომელიც არაბი სარდლის მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობის (737-738) შემდეგ ჩამოყალიბდა და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა. ამ ვითარებაში საქართველოს კათოლიკოსი იოანე ირჩევს იმ პერიოდისათვის შედარებით უსაფრთხო, არაბებისთვის მიუწვდომელ, თანაც ქრისტიანულ სამყაროში კარგად ცნობილ უძველეს ბიჭვინთის კათედრას. კათოლიკოსის იურისდიქციაც ფაქტობრივად დასავლეთ საქართველოზე-ქვემო იბერიაზე ვრცელდებოდა. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა მძლავრობის პირობებში დე-ფაქტო დაფიქსირდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია. VIII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებამ შექმნა პირობები ეკლესიური დამოუკიდებლობისთვისაც. ამიერიდან ქვემო იბერიის საკათოლიკოსოც აფხაზეთის საკათოლიკოსოდ იწოდებოდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, აფხაზეთის საკათოლიკოსო შეიქმნა „ჟამსა აფხაზთა მეფეთათა“. მისი აზრით, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების შემდეგ „საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათოლიკოსი-

263 ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.2. თბილისი, 1998, გვ. 90-91.

264 არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბილისი, 1982, გვ. 89-90.

265 ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბილისი, 1991, გვ. 169-178.

სა ნებითავე ბერძენთათა... ოდეს განდგა ლეონ და ინოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძღურებელი იყვნენ ბერძენნიცა; და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაიდგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინეს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოსსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისა და იმერეთისასა²⁶⁶. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ აფხაზეთის საკათოლიკოსოს „ნებითავე ბერძენთათა“ განთავისუფლება, ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარება IX საუკუნის 80-90-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

აფხაზეთის საკათოლიკოსოს მიერ ავტოკეფალიის მოპოვებამ დააჩქარა ეროვნულ (ქართულ) ნიადაგზე დასავლეთ საქართველოს სულიერი და კულტურული ცხოვრების აღორძინება, ეკლესია მთლიანად ქართულ ღმრთისმსახურებაზე გადავიდა. ეს ეხებოდა იმ ტერიტორიასაც, რომელსაც დღეს აფხაზეთი ეწოდება. ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართული კულტურა ვითარდებოდა, აქ მდებარეობდა ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრა – დასავლეთ საქართველოს მთავარი საეკლესიო და კულტურული ცენტრი. არსაიდან ჩანს ამ ცენტრთან თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრების რაიმე კავშირი; არსაიდან ჩანს მათი მონაწილეობა არა თუ მთლიანად დასავლეთ საქართველოს, არამედ ცალკე აფხაზეთის საერისთავოს საეკლესიო და კულტურულ ცხოვრებაში (იხილე აქვე ნაწლი II).

აფხაზეთის საკათოლიკოსო წმინდა მირონს ჯერ ანტიოქიიდან იღებდა, შემდგომში კი აღმოსავლეთ საქართველოდან – მცხეთის საპატრიარქოდან. ისტორიულ გარემოებათა გამო ორად გაყოფილ ქართულ ეკლესიას შორის აღდგენილი კავშირი მალე სრულ ერთიანობაში გადაიზარდა – X საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ეკლესია გაერთიანდა. აფხაზეთის საკათოლიკოსო მცხეთას დაექვემდებარა, მაგრამ არსებობას აგრძელებდა, რაზეც არაერთი ქართული ისტორიული წყარო მიუთითებს²⁶⁷. ეკლესიური გაერთიანების შემდეგ აფხაზეთის საკათოლიკოსო ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შემავალ ერთ-ერთ საეკლესიო სამთავროდ იქცა²⁶⁸. აფხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს მრავალ-

266 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 746, 785, 796.

267 ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ. 281; ტ. 2, გვ.156, 158,180; ტ. 4, გვ. 26, 201, 259, 260, 261, 268-269; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 89-93; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბილისი, 1978, გვ. 311 და ა. შ.

268 ქართლის ცხოვრება, ტ.2, გვ. 118.

რიცხოვანი საეპისკოპოსოები, მათ შორის X საუკუნეში დაფუძნებული და XVII საუკუნის ბოლომდე ტერიტორიულად სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შემავალი დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსო კათედრები. ამრიგად, გაერთიანებულ ქართულ ეკლესიაში აფხაზეთის საკათოლიკოსო ისეთივე ფუნქციის მატარებელი იყო, როგორც ბერძნულ ეკლესიაში სამიტროპოლიტო²⁶⁹. ანანია ჯაფარიძის განმარტებით, საქართველოს პატრიარქს „უხუცესი“, ხოლო აფხაზეთის კათოლიკოსს „უმრწემესი“ (უმცროსი) მამამთავარი ეწოდებოდა. ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს XIII საუკუნის 40-იანი წლების აფხაზეთის კათოლიკოსის, ფილოსოფოსისა და ჰიმნოგრაფის არსენ ბულმაისიმისძის სახელი, რომელიც თავის თავს მოიხსენიებს როგორც „მრწემი სინმინდისა მათისა“²⁷⁰, ანუ მისი უწმინდესობის საქართველოს პატრიარქის მორჩილი, უმცროსი. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია მოფენილია ქართველების მიერ XIII – XIV საუკუნეებამდე აგებული ტაძრებით. მათი დიდი ნაწილი X-XII საუკუნეებშია აშენებული (იხილე აქვე ნაწილი XI.2). აფხაზეთის მმართველი ქელემ ბეი შარვაშიძე (XVIII საუკუნის 80-იანი წლები – 1808) აღიარებდა, რომ მის სამფლობელოში არსებული ეკლესიები ქართველების აშენებულია: „როცა იმერეთსა და საქართველოში ერთმეფობა არსებობდა, – აცხადებდა იგი 1806 წელს, – აფხაზეთიც იმ მეფეთა და არა ოტომანის პორტას დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, რასაც ამტკიცებს მათ მიერ აქ აშენებული ეკლესიები“²⁷¹.

აფხაზეთის კათოლიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ სრულიად საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებაში. საქართველოს პატრიარქთან, მნიგნობარო-უხუცესთან და მოძღვართ-მოძღვართან ერთად, ისინი შედიოდნენ როგორც უმაღლესი საეკლესიო, ისე ქვეყნის საერო მთავრობის შემადგენლობაში²⁷². საქართველოს მეფეთა კურთხევისას, პატრიარქის შემდეგ მთავარ ფიგურას აფხაზეთის კათოლიკოსი წარმოადგენდა²⁷³. საქართველოს ისტორიაში ცნობილია აფხაზეთის კათოლიკოსის მიერ საქართველოს მეფის კურთხ-

269 ანანია ჯაფარიძე. აფხაზეთი, გვ.46-47.

270 თ. ქორიძე. XI-XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგია. - კლიო, საისტორიო აღმანახი, 2002, №15, გვ. 6.

271 Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 3. Тбилиси, 1869, с. 193.

272 ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 3. თბილისი, 1999, გვ. 35-38.

273 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 51-53.

ევის ერთადერთი ფაქტიც. ეს მოხდა ქალაქ ქუთაისში 1225 წელს. იმ-
ჟამად თბილისი ხვარაზმელებს ჰქონდათ დაპყრობილი, სამეფო კარი
კი დასავლეთ საქართველოში იყო გახიზნული. სწორედ მაშინ აფხა-
ზეთის კათალიკოსმა სრულიად საქართველოს მეფედ მცირეწლოვანი
დავით VI რუსუდანის ძე აკურთხა²⁷⁴. XV საუკუნის 70-იან წლებამდე
სულ რამდენიმე კათოლიკოსის ვინაობაა ცნობილი. ქვემო ივერიის
(დასავლეთ საქართველოს) პირველ კათოლიკოსად ზემოხსენებული
იოანე უნდა ვაღიაროთ, რომელიც 744-751 წლებს შორის პერიოდში
ანტიოქიაში ივერიის კათოლიკოსის ტიტულით აკურთხეს. ქართულ
ისტორიულ წყაროებში პირველად სახელით იხსენიება XI-XII საუ-
კუნეების მიჯნაზე მოღვაწე „სვიმეონ აფხაზეთისა კათოლიკოსი“²⁷⁵.
XII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის კათედრა ნიკოლოზს ეკა-
ვა. ზემოთ უკვე იყო ნახსენები არსენ ბულმაისიძისძე – აფხაზეთის
კათოლიკოსი XIII საუკუნის 40-იანი წლებში. XIV საუკუნის 70-80-
იან წლებში აფხაზეთის მღვდელმთავარი არის დანიელი. 1390 წელს
იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფემ გიორგი I-მა (1389-1392)
აფხაზეთის კათოლიკოსად არსენი დანიშნა²⁷⁶.

გარეშე მტრების (მონღოლების, თემურ ლენგის, ოსმალების)
ზენოლით XV საუკუნის საქართველოში დეზინტეგრაციის პროცესი
მიმდინარეობდა. მსოფლიო მართლმადიდებელთა დედაქალაქის კონ-
სტანტინოპოლის დაცემამ (1453 წლის 29 მაისი) ეს პროცესი კიდევ
უფრო გააღრმავა და დააჩქარა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ბი-
ზანტიაში სიკვდილს გადარჩენილი ასობით ბერძენი სასულიერო პირი
დასავლეთ საქართველოში ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა მორწმუნე-
თათვის უძვირფასესი ქრისტიანული სინმინდეები. მათი გარკვეული
ნაწილი სამეგრელოს სამთავროში მდებარე, XVII საუკუნის ბოლოდან
კი აფსუა-აბაზების ხელში გადასული დრანდის, მოქვისა და ბედიის
ტაძრებში იყო დაცული. ამის შესახებაც არაერთი ისტორიული წყ-
არო მოგვითხრობს. აღნიშნულ სინმინდეებზე განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას ამახვილებდნენ 1639-1640 წლებში სამეგრელოს სამთავ-
როში ჩამოსული რუსი ელჩები. მათი ჩანაწერების მიხედვით, დრან-
დის საკათედრო ტაძარში დაცული იყო დიდმოწამე ბარბარეს წმინდა
ნაწილები. მოქვის საკათედრო ტაძარში რუსმა ელჩებმა იხილეს ცარ-
გრადიდან (კონსტანტინოპოლიდან) ჩამოტანილი არქიდიაკონ სტე-

274 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 180.

275 თ. ქორიძე. XI-XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)
კათოლიკოსთა ქრონოლოგია, გვ. 4-6.

276 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 803.

ფანეს, აგრეთვე ევანგელისტი ლუკას წმინდა ნაწილები. იქვე უნახ-
ავთ ჯვარი, გაკეთებული იმ ძელისგან, რომელზეც ქრისტე გააკრეს.
ბედიის საკათედრო ტაძარში კი დაცული ყოფილა ქრისტეს თმები
და წვერები, ეკლის გვირგვინი, სამსჭვალები, რომლებითაც ქრისტე
ჯვარს მიამსჭვალეს; თოკი, რომლითაც ის შეკრეს და ა. შ.²⁷⁷. ქართვე-
ლი მეფე-მთავრები დიდი პატივით იღებდნენ ბიზანტიიდან გადმოხ-
ვენილ ბერძენ სასულიერო პირებს, თუმცა არც საქართველოში იყო
სახარბიელო ვითარება.

დეზინტეგრაციის პროცესმა XV საუკუნის ბოლოსათვის საქარ-
თველოს სამეფოებად და სამთავროებად დაშლით დასრულდა. ქვეყნის
ერთიანობის რღვევის პირობებში ეკლესიური ერთიანობის შენარჩუ-
ნებაც შეუძლებელი აღმოჩნდა. იმერეთის მეფის ბაგრატ II-სა (1455-
1478) და სამეგრელოს მთავრის შამადავლე დადიანის (1470-1474) ერ-
თობლივი გადაწყვეტილებით, XV საუკუნის 70-იანი წლების პირველი
ნახევრიდან აფხაზეთის საკათოლიკოსო არსებობას დამოუკიდებლად
აგრძელებს. იმჟამად დასავლეთ საქართველოში შესანიშნავის შესა-
გროვებლად მყოფმა ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილ IV-მ (1454-1478)
აფხაზეთის კათოლიკოსად ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იოაკიმე
აკურთხა. მისი იურისდიქცია მთელს დასავლეთ საქართველოზე ვრ-
ცელდებოდა. მიხეილ IV -ის მიერ დამტკიცებულ „მცნებაი სასჯულოს“
მიხედვით, საკათოლიკოსოს საზღვრები გადაჭიმული იყო „ჭოროხსა
აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაი პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა
სამზღვარი მიანევს“²⁷⁸. იოაკიმე „აფხაზეთისა“ ან „ლიხთ-ამერისა და
აფხაზეთისა“ კათოლიკოსად მოიხსენიება. „მცნებაი სასჯულო“–ში
აფხაზეთის კათოლიკოსის კურთხევის ერთ-ერთ მიზეზად აფხაზეთ-
ში//დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის დასუსტება სახელდება.
დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს განაგებენ
იმერეთის მეფე ბაგრატ II და „დიდი ერისთავთ ერისთავი“ შამადავ-
ლე დადიან-გურიელი. ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაშია აფხა-
ზეთის ერისთავი შარვაშიძე, რომელიც „მცნებაი სასჯულოში“ არც
მოიხსენიება. როგორც დაბალი რანგის მოხელეს, აფხაზეთის საკათო-
ლიკოსოსთან დაკავშირებული საკითხები შარვაშიძეს არ ეხება, იგი
არც კათოლიკოსის დანიშვნაში იღებს მონაწილეობას, თუმცა დასავ-
ლეთ საქართველოს საკათოლიკოსო კათედრა კვლავაც აფხაზეთის
საერისთავოს ტერიტორიაზე – ბიჭვინაში მდებარეობდა. ხაზგასმით

277 Материалы посольств Гавриила Гегенава, Федота Елчина и Павла Захарьева, с. 416-418, 443-447.

278 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 872.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის საკათოლიკოსოს მცხეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა იყო არა ეკლესიური განხეთქილების ან რაიმე უთანხმოების შედეგი, არამედ შექმნილი პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული დროებითი მოვლენა.

ქართული ისტორიული წყაროები შეიცავენ ინფორმაციას XV საუკუნის 70-იანი წლების შემდგომი პერიოდის აფხაზეთის კათოლიკოსების ვინაობისა და მათი მოღვაწეობის შესახებ. იოაკიმეს მომდევნო კათოლიკოსი იყო ბართლომე; ცნობილია კიდევ ერთი კათოლიკოსის – სტეფანეს სახელი. ცნობები ამ სამი კათოლიკოსის შესახებ საკმაოდ მწირია. გაცილებით მეტი მონაცემები მოიპოვება მალაქია I-ის (აბაშიძე) შესახებ. აფხაზეთის კათოლიკოსად იგი იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ (1510-1565) 1519 წელს დანიშნა და ამ თანამდებობაზე XVI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისამდე რჩებოდა. მალაქია I-ის კათოლიკოსობის პერიოდში შეიქმნა ქართული საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – „ბიჭვინთის იადგარი“ (სახსენებელი, საჩუქარი). იგი შეიცავს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შემონიშნულობების ჩამონათვალს, ბიჭვინთის საყდრის ქონების, მღვდელმსახურთა და ყმა-მსახურთა დამცავ სამართლებრივ ნორმებს, გვიანდელი ხანის საერო და სასულიერო პირთა მინაწერებს. აფხაზეთის საკათოლიკოსოს საზღვრებთან დაკავშირებით, მასში ნათქვამია: „კათალიკოსის საკურთხი არის სამწყო – ლიხსა და კაფას (ფეოდოსია-ჯ.გ.) შუა და რუსეთის სამზღუარსა და ქანეთს შუა“²⁷⁹.

„ბიჭვინთის იადგარი“ თავისი მინაწერებით ქართულ ენაზეა შედგენილი და დამონმებულია სხვადასხვა დროის რვა ქართველი კათოლიკოსის ხელმოწერით. პირველი ხელმოწერა დოკუმენტზე მალაქია I-ს, უკანასკნელი – კათოლიკოს დავით ნემსაძეს (1673-1696) ეკუთვნის. აღნიშნული დოკუმენტის გამოყენების გარეშე შეუძლებელია XVI-XVII საუკუნეების აფხაზეთის საეკლესიო და ეთნოპოლიტიკური ისტორიის ობიექტურად გაშუქება. სეპარატისტები კი, რომლებიც ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიან, თავიანთ შრომებში ამ დოკუმენტს არა თუ არ იყენებენ, საერთოდაც არ ახსენებენ.

კათოლიკოს მალაქია I-ის (აბაშიძე) მოღვაწეობა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ოსმალების მოკავშირე კავკასიელი მთიელები – აფსუა-აბაზები (თანამედროვე აფსუა/აფხაზთა წინაპრები) თავს ესხმოდნენ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებს, მათ შორის აფხაზეთის საერისთავოს, სადაც ბიჭვინთა მდებარეობდა.

279 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 887.

თავდამსხმელები ანიოკებდნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, იტაცებდნენ მათ ან ძარცვავდნენ. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ მთიელთა თავდასხმების მოგერიების მიზნით გამართულ ბრძოლებში ქართულ ლაშქართან ერთად იარაღით ხელში სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. 1533 წელს ერთ-ერთი ასეთი ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დასრულდა. ლაშქრის ნაწილი, მათ შორის ეპისკოპოსი ტყვედ ჩავარდნენ. კათოლიკოსმა მალაქია I-მა ბიჭვინთა დატოვა და საკათოლიკოსოს ფარგლებიდან შორს მცხოვრებ მთიელებს ეახლა, „გამოიხსნა ცოცხალნი, და მკუდარნი ფასით იყიდნა“²⁸⁰. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს როგორც თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრების ექსპანსიის, ისე მათთან აფხაზეთის კათოლიკოსის პირველი შეხვედრის დოკუმენტურად დადასტურებულ ისტორიულ ფაქტთან. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის კათოლიკოსის პირველი შეხვედრა თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრებთან უკავშირდება მათ ხელში ჩაყვარდნის ქართველი ტყვეების, მათ შორის ეპისკოპოსების, დახსნას და დაღუპულთა გვამების გამოსყიდვას.

დაახლოებით 1541 წლიდან აფხაზეთის კათოლიკოსის ტახტზე იოსებ I (მაჭუტაძე) იჯდა. 1557-1578 წლებში იგი ევდემონ I-მა (ჩხეტიძე) დაიკავა. მისი კათოლიკოსობა დაემთხვა პერიოდს, როდესაც ირან-ოსმალეთს შორის 1555 წელს ამასიაში დადებული ზავის საფუძველზე დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის ჰეგემონია დამყარდა. შექმნილი ვითრებით ოსმალეთის მოკავშირე წარმართმა, ნაწილობრივ კი მაჰმადიანმა მთიელებმა ანუ თანამედროვე აფსუა-აფხაზების წინაპრებმაც ისარგებლეს. როგორც ზემოთ უკვე ითქვა (იხ. აქვე ნაწილი III.1.), ისინი აფხაზეთის საერისთავოს დაეუფლნენ, რომელიც იმჟამად დღევანდელი გუდაუთისა და გაგრის რაიონების ტერიტორიას მოიცავდა. მთიელთა ჩამოსახლებას მოჰყვა საერისთავოს ფარგლებში არსებული ყველა (30-ზე მეტი) ეკლესიისა და მონასტრის განადგურება ან დახურვა. ევდემონ I-მა იძულებით დატოვა ბიჭვინთის საკათედრო ტაძარი და საკათოლიკოსო რეზიდენცია გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაიტანა. მის სახელს უკავშირდება დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათოლიკოსოს საეკლესიო კრების მოწვევა XVI საუკუნის 50 – 60-იანი წლების მიჯნაზე. კრებამ მიიღო ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი „სამართალი კათოლიკოსისა“²⁸¹. საეკლესიო კრებას ქართლის (მცხეთის)

280 ქართლის ცხოვრება, ტ.2, გვ. 497.

281 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 183-184, 892-896.

კათოლიკოსი მალაქია გურიელი (კასტელის ალბომიდან)



ნიკიფორე
ჩოლოყაშვილი
(კასტელის ალბომიდან)



კათოლიკოსი ზაქარია ქვარიანი (კასტელის ალბომიდან)



კათოლიკოს-პატრიარქი მალაქია და აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონ I (ჩხეტიძე) ხელმძღვანელობდნენ, რითაც ხაზი გაესვა ქართული ეკლესიის ერთიანობას. დასავლეთ საქართველოს სხვა მღვდელმთავრებთან ერთად კრებას ესწრებოდნენ XVII საუკუნის ბოლომდე სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შემავალი ბედიის, მოქვისა და დრანდის ქართულ საეპისკოპოსოთა მღვდელმთავრები. ევდემონ I-ის სახელს უკავშირდება აგრეთვე 1568 წელს აფხაზეთის საკათოლიკოსოს მთავარი სინმინდის – ბიჭვინთის ღრმთისმშობლის ხატის დამზადება. თავიდან იგი დასვენებული იყო ბიჭვინთის საკათედრო ტაძარში, რომელიც კანონიკურად საკათოლიკოსო კათედრად რჩებოდა. შემდგომში ხატი გელათში გადაიტანეს, ამჟამად კი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ევდემონ I-ის (ჩხეტიძე) გარდაცვალების შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში – 1578-1614 წლებში – აფხაზეთის კათოლიკოსი გახლდათ ექვთიმე I (საყვარელიძე). იმავდროულად ის იყო მოქვის მთავარეპისკოპოსიც. კათოლიკოსი ექვთიმე I ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა როგორც დასავლეთ საქართველოში ანუ აფხაზეთის საკათოლიკოსოში, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც. ქართული ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებების გამო, ისტორიულ წყაროებში ის მოიხსენიება როგორც „აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარხი, კათოლიკოზი“²⁸². წარმართი და მაჰმადიანი აფსუა-აბაზების ჩამოსახლების გამო აფხაზეთის კათოლიკოსი ექვთიმე I აფხაზეთის საერისთავოში მდებარე ბიჭვინთის რეზიდენციაში ჩასვლას ვერ ახერხებდა.

1614-1639 წლებში აფხაზეთის საკათოლიკოსოს სათავეში ედგა გურიის სამთავრო ტახტის მემკვიდრე მალაქია II (გურიელი), რომელიც 1625 წლიდან ერთდროულად გურიის მთავარიც გახდა. მისი მოღვაწეობა დროში ემთხვევა სამეგრელოს მმართველის ლევან II დადიანის (1611-1657) დასავლეთ საქართველოში დომინირების პერიოდს. სამეგრელოს მთავრის ძალაუფლება აფხაზეთის საერისთავოზეც ვრცელდებოდა. მან სცადა იქ დამკვიდრებული აფსუა-აბაზების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა. როგორც ზემოთაც ითქვა, ლევან მეორემ აფხაზეთში 40 ათასი მთიელი მონათლა, მაგრამ აფსუა-აბაზებზე ოსმალეთის ძლიერი გავლენის გამო, ქრისტიანულ სარწმუნოებაში მათი განმტკიცება ვერ მოხერხდა. XVII საუკუნის 20-იან წლებში სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით ღმრთისმსახურება მხოლოდ ბიჭვინთის ტაძარში აღევლინებოდა. როგორც უკვე აღინიშნა,

282 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბილისი, 2000, გვ. 141-143.

იქ ქართველი მღვდელი მსახურობდა და წირვა-ლოცვასაც ქართულ ენაზე აღავლენდა (იხილე აქვე ნაწილი III.2). აფხაზეთის კათოლიკოსს მალაქია II-ს აფხაზეთის საერისთავოში პერიოდულად ჩასვლისა და ბიჭვინთაში წმინდა მირონის დამზადების საშუალება მიეცა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საერისთავოში ჩამოსახლებული წარმართი აფსუა-აბაზების ხელში ქრისტიანული სარწმუნოება უკიდურესად დასუსტდა. ეს გამოიხატა როგორც ეკლესია-მონასტრების განადგურებაში ან დახურვაში, ისე საეკლესიო მეურნეობების მოშლაში. კათოლიკოსი მალაქია II დიდად ზრუნავდა საეკლესიო ადგილ-მამულების გაფართოებისთვის. მის მიერ 1621 წელს შედგენილი ბიჭვინთის დიდი დავთრის მიხედვით, აფხაზეთის საკათოლიკოსოს გამგებლობაში 24 მეურნეობა ირიცხებოდა თავისი ყმა-გლეხებით. საეკლესიო მამულების უმეტესობა სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანუ იმ ტერიტორიაზე მდებარეობდა, რომელიც იმჟამად სამეგრელოს სამთავროს ორგანულ ნაწილს შეადგენდა. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, ანუ აფხაზეთის საერისთავოში, სადაც აფსუა-აბაზები დამკვიდრდნენ, აფხაზეთის საკათოლიკოსოს კუთვნილი არც ერთი მეურნეობა უკვე არ ფუნქციონირებდა²⁸³.

განსაკუთრებული ღვთისმოსავობის გამო წმინდა კაცად იყო მიჩნეული 1640-1657 წლებში აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე I (მაჭუტაძე). ძირითადად იგი სამეგრელოში – ლევან II დადიანის კარზე იყო ოფებოდა, ჩადიოდა აგრეთვე ქუთაისში. ბიჭვინთის რეზიდენციაში მისი ჩასვლის შესახებ ცნობები არ არსებობს. მაქსიმე I-მა რამდენჯერმე იმოგზაურა იერუსალიმში, სადაც ქართული მონასტრებისთვის შესაწირავი ჩაიტანა. ამ ღვანლისთვის იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში IV და V საუკუნეების ქართველი წმინდანი მეფეების მირიანისა და ვახტანგ გორგასლის ფრესკებს შორის იქნა გამოსახული²⁸⁴. არსებული მონაცემებით, კათალიკოსი მაქსიმე I (მაჭუტაძე) იმავე მონასტერში უნდა იყოს დაკრძალული.

ლევან II დადიანის ხელშეწყობით აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ცნობილმა დიპლომატმა, მწიგნობარმა და სასულიერო მოღვაწემ, კათოლიკური წარსულის მქონე მართლმადიდებელმა, 1643-1649 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა, XVII საუკუნის შუახანებში კი ბედიელმა ეპისკოპოსმა ნიკიფორემ (ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი) დაიკავა (1657-1658). ლევან II-ის გარდაცვალების შემდეგ გამთავრებული ვამეყ III ლიპარტიანის (1658-1661) საჯაროდ

283 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.198-199.

284 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 149.

შერვენების გამო, ნიკიფორე საპყრობილემი მოათავსეს, სადაც ის მალევე გარდაიცვალა²⁸⁵. სამწუხაროდ, აფხაზეთის კათოლიკოსების ქრონოლოგიაში ნიკიფორე არ მოიხსენიება, რისი მიზეზიც სათანადოდ დასაბუთებული არ არის.

აფხაზეთის კათოლიკოსებად მსახურობდნენ 1658-1660 წლებში ზაქარია (ქვარიანი), 1660-1666 წლებში – სვიმონი (ჩხეტიძე), 1666-1669 წლებში – ევდემონ II (საყვარელიძე), 1669-1673 წლებში – ექვთიმე II (საყვარელიძე). ისინი ზრუნავდნენ აფხაზეთის საკათოლიკოსოს განმტკიცებისათვის და საკუთარ სამწყსოს გელათის რეზიდენციიდან მართავდნენ. ამავე დროს აფსუა-აბაზების ხელში მყოფ აფხაზეთის საერისთავოში და იქ მდებარე ბიჭვინთის საკათედრო (საკათოლიკოსო) ტაძარში მათ არ უშვებდნენ. იგივე ითქმის აფხაზეთის კათოლიკოს დავითის (ნემსაძე) შესახებაც. საკათოლიკოსოს იგი 1673-1696 წლებში მართავდა. სწორედ დავითის მმართველობის პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიელმა აფსუა-აბაზებმა ოსმალეთის მხარდაჭერით დაასრულეს სამეგრელოს სამთავროს მიწების მიტაცება მდინარე კელასურიდან მდინარე ენგურამდე. აქვე უნდა ითქვას, რომ კათოლიკოს დავითის იურისდიქციას აღიარებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის მფლობელი ყვაპუ შარვაშიძე, რომელმაც ფიცი მიართვა მას, როგორც „ჩრდილოისა და აფხაზეთის კათოლიკოსს“. ყვაპუ შარვაშიძემ ფიცი მიართვა აგრეთვე კათოლიკოს დავით ლორთქიფანიძეს (1706-1742). ორივე ფიცი „ჟამთა ვითარებით ამოწყვეტილ ქვეყანაში“ დარჩენილი საეკლესიო გლეხების გადარჩენის საკითხებს შეეხებოდა.

დაპყრობილ ტერიტორიაზე ოკუპანტებმა განადგურეს ქართული ქრისტიანული მოსახლეობა. სიკვდილს გადარჩენილები ოსმალეთში გაყიდეს ან მონებად აქციეს, ნაწილმა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შეაფარა თავი. მომხდურთა მიერ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის „აყრის“ შესახებ მოგვითხრობენ XVII – XVIII საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული საეკლესიო დოკუმენტები²⁸⁶.

იგივე ბედი ეწია მართლმადიდებელ სამღვდელოებს. ახლადმოვლენილმა მმართველებმა, რომელთა შორის განსაკუთრებული სისასტიკით ყვაპუ შარვაშიძე გამოირჩეოდა, ასზე მეტი მართლმადიდებელი სასულიერო პირი მოკლეს, ბევრმა თავს გაქცევით უშველა. ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოების გარკვეული ნაწილი

285 დონ ქრ. დე კასტელი. ცნობები და ალბომი, გვ. 178; https://ka.wikipedia.org/wiki/ნიკოლოზ_ჩოლოყაშვილი.

286 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 276-283.

იმ კათოლიკე მისიონერებმა შეიფარეს და სიკვდილს გადაარჩინეს, რომლებიც სამეგრელოში იმყოფებოდნენ, მაგრამ შემდგომში აფსუა-აბაზების მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. ყვაპუს შარვაშიძის ბრძანებით, „ბერძენ მღვდელს“ ანუ მართლმადიდებელ სამღვდლოებას სპეციალური ნებართვის გარეშე აფხაზეთის ახალ საზღვრებში სამსახური აეკრძალა. ამით ისარგებლეს კათოლიკე მისიონერებმა და აფხაზეთში თავიანთი საქმიანობის გააქტიურება გადაწყვიტეს. მათ მიერ ვატიკანის პროპაგანდის განყოფილებაში 1688 წელს გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „იქაურობა რა დამშვიდება, ჩვენმა მამებმა საჭიროდ დაინახეს იქაურობას თავი არ დაანებონ, მეტადრე ახლა, როდესაც ადვილად შეიძლება მოზრდილთა შორისაც დიდი ნაყოფი გამოვიღოთ, ვინაითგან იქ აღარ არიან ჩვენი ქადაგების მონინაალმდევე ბერძენები“²⁸⁷. ვატიკანის არქივში ნაპოვნი ეს წერილი ნათლად ადასტურებს XVII საუკუნის ბოლოს აფსუა-აბაზების მიერ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მართმადიდებლური ქრისტიანობის განადგურების ფაქტს.

კათოლიკეთა მისიონერულ მოღვაწეობას, რომელიც 1700 წლამდე გრძელდებოდა, შედეგი არ მოჰყოლია. დაინგრა ან ფუნქციონირება შეწყვიტეს საუკუნეების განმავლობაში მოქმედმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა. მათ შორის დავასახელებთ ზოგადქართული მნიშვნელობის ისეთ რელიგიურ და კულტურულ ცენტრებს, როგორებიც არიან ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრა, დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსო კათედრები, აგრეთვე ლიხნის, ანუხვის, ანაკოფიის, ნებელის, ქიაჩის, ჭალას (ჭლოუს), თილითის და სხვა ქართული ეკლესიები. სამუდამოდ დაიკარგა ზემოხსენებული უნიკალური ქრისტიანული სიმნიშვნელები, რომელთა ნაწილი კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ბიზანტიიდან იყო ჩამოტანილი. ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი მთლიანად მოშალეს აფხაზეთის საკათოლიკოსოს კუთვნილი მეურნეობები. მხოლოდ მდინარეების ენგურ-ღალიძგის მონაკვეთზე (თანამედროვე გალის რაიონი), სადაც შემორჩა ქართული მოსახლეობა და რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში სამეგრელოს სამთავროს დაუბრუნდა, მოხერხდა ოკუპანტების მიერ გაძარცვული და გავერანებული ბედიის საეპისკოპოსო კათედრისა და ილორის ტაძრის შენარჩუნება.

ამრიგად, VIII-XVII საუკუნეებში აფხაზეთის საერისთავოს საეკლესიო ისტორია, ერთის მხრივ, ქრისტეს მოციქულების მიერ გავრცელებული ქრისტიანობის შემდგომი აყვავების, რეგიონში ქა-

287 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა. თბილისი, 1902, გვ. 210-212.

რთული ქრისტიანული ცენტრების დაფუძნებისა და ქართული კულტურის გაფუძრჩქვნის სახელოვანი ისტორიაა; მეორეს მხრივ, ეს არის XVII საუკუნის ბოლოს ოსმალების დახმარებით აფსუა-აბაზების მიერ ამ ტერიტორიის თანდათანობითი მიტაცების, ქართული მოსახლეობის, ისტორიული მნიშვნელობის ქრისტიანული ცენტრების, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერების განადგურების, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსების ბიჭვინთიდან განდევნის, მართლმადიდებელი სამღვდელოების ამონყვეტის, უნიკალურ ქრისტიანულ სინმინდეთა მოსპობის ტრაგიკული ისტორია.

ნაწილი IV. ახალი აფხაზეთი და აფხაზები (XVIII-XX ს. დასაწყისი)
IV. I. აფხაზეთი XVIII საუკუნეში

XVI-XVII საუკუნეების შემდგომ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე ადგილობრივი ქრისტიანი ქართველებისა და გაბატონებულ მდგომარეობაში მყოფი ჩამოსახლებული წარმართი, ნაწილობრივ მაჰმადიანი მთიელების შერწყმის გზით აფხაზი (აფსუა) ერის ფორმირების ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი მიმდინარეობდა. ძირითადად იგი XIX საუკუნეში დასრულდა. ორი სხვადასხვა აღმსარებლობის ეთნოსის შერწყმამ თავისებური გავლენა მოახდინა ხალხის რელიგიურ მდგომარეობაზე (გამოვიდა ქრისტიანობის, მაჰმადიანობისა და წარმართობის ერთგვარი ნაზავი), ზნე-ჩვეულებებზე, რომელიც დიდწილად საერთოა ქართველებთან. რადიკალური დემოგრაფიული ცვლილებების მიუხედავად, აფხაზეთის მფლობელებად და მმართველებად დარჩნენ ქართველი თავადები შარვაშიძეთა გვარიდან. ისინი არასდროს გამიჯნულან ქართული სამყაროსაგან, ქართული ენა ახალ აფხაზეთშიც საქმისწარმოებისა და ღმრთისმსახურების ენად რჩებოდა. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) მეფეები აფხაზეთის საერისთავოს მუდამ თავიანთ პროვინციად თვლიდნენ, რაც ასახულია კარტოგრაფიულ და წერილობით წყაროებში. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784) აფხაზ-იმერთა მეფის ტიტულს ატარებდა. 1776 წლის 26 აპრილით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში საკუთარ თავს იგი „აფხაზთა, იმერთა, გურიელთა და მთელი ქვემო ივერიის მფლობელად“ მოიხსენიებს²⁸⁸. როგორც ზემოთ დავინახეთ, „ქვემო ივერია“ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთსაც მოიცავდა.

სამეგრელოს (ოდიშის) მთავრებს, რომლებსაც რეალური კონტროლი აფხაზეთზე დაკარგული ჰქონდათ, ასევე არ უთქვამთ უარი თავიანთი ძირძველი მიწების დაბრუნებაზე. მდინარე ლალიძგამდე ტერიტორია აფსუა-აფხაზებმა საკმაოდ მყარად აითვისეს. განსხვავებული ვითარება იყო მდ. ლალიძგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ქრისტიანული ქართული მოსახლეობა სჭარბობდა. 1702 წელს გიორგი IV დადიანმა (1691-1715) იმერეთის მეფის გიორგი აბაშიძის დახმარებით აფხაზეთში ილაშქრა, რასაც შედეგად მდინარეებს ლალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის სამეგრელოს დაქვემდებარებაში დაბრუნება მოჰყვა, თუმცა მას კვლავაც შარვა-

288 Д. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 649.

შიძეები – აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები განაგებდნენ. 1704 წელს რუხში ყვაპუ შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ტერიტორიის მფლობელი მურზაყან ყვაპუს ძე შარვაშიძე გახდა. მან ტყვეთა სყიდვა აკრძალა, ქურდავაზაკთა თარეში აღკვეთა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გააუმჯობესა, სამფლობელოს კი სამურზაყანო უწოდა. ქართულ წყაროებში სამურზაყანოს აღმნიშვნელად დამკვიდრდა ტერმინები „ზემო აფხაზეთი“ (ანუ აღმოსავლეთ აფხაზეთი) და „სამურზაყანო აფხაზეთი“. ვინაიდან ეს ტერიტორია ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა, სამეგრელოს მთავრები „ოდიშის – ლეჩხუმის – სვანებისა და აფხაზეთის მპყრობელად“ იწოდებოდნენ. ასეთ ტიტულს ატარებდნენ სამეგრელოს მმართველები კაცია II დადიანი (1758-1788), გრიგოლ დადიანი (1788-1804) და სხვები²⁸⁹.

XVII საუკუნის ბოლოდან ახალი, წარმართულ-მაჰმადიანური აფხაზეთი ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა. ძლიერი იყო მისი პოზიციები მთლიანად დასავლეთ საქართველოშიც. ეს პოზიციები რამდენადმე შეირყა 1696 წელს აზოვის ციხის დაკარგვით და შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის გამოჩენით. ამ ახალმა გარემოებამ სტიმული მისცა XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ანტითურქული გამანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას. განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთის მმართველები აქტიურობდნენ. ერთიანი ძალებით ისინი თავს ესხმოდნენ რუხისა და ანაკლიის ციხეებში გამაგრებულ ოსმალებს. თურქეთმა გადამჭრელი ზომების მიღება გადაწყვიტა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებას ხელი შეუშალა 1703 წელს სამხედროთა აჯანყების შედეგად სტამბულში ხელისუფლების შეცვლამ. აფხაზეთისა და სამეგრელოს მმართველები კი აგრძელებდნენ თურქ მეციხოვნეებზე თავდასხმებს. 1714 წელს სეროზული პრობლემები შექმნიათ რუხისა და ანაკლიის მეციხოვნეებს „აფხაზ და მეგრელ ურწმუნოთა“ თავდასხმების გამო. რუხის ციხემ თავდასხმებს ვერ გაუძლო და 1719 წლამდე დაცარიელებული იყო²⁹⁰.

იმ პერიოდის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვანჭდის XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე თურქი ისტორიკოსი მეჰმედ რაშიდი. იგი წერდა: „გურჯისტანის ქვეყნების მოსახლეობიდან მეგრელი, გურული და აბაზა აჯანყებულები ეს რამდენიმე ხანია უარს

289 იქვე, c. 287, 650.

290 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 197.

ამბობენ ჯიზიას გადახდაზე²⁹¹. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თურქი ისტორიკოსის მიერ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცების მიუხედავად, აბაზა/აფხაზები „გურჯისტანის ქვეყნის“ მოსახლეობას წარმოადგენდა. ცხადია, ამის თაობაზე, ყველაზე კარგად თურქეთმა იცოდა, რომლის გავლენის ქვეშ იმჟამად დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა.

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში რუსეთმა ისარგებლა ირანში სეფიანთა დინასტიის დაკეცვით (1722 წ.) და კასპიის ზღვის მიმართულებით გააქტიურდა. ამ გარემოებამ თურქეთის შეშფოთება გამოიწვია. მანაც ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ირანის ცალკეული ოლქები დაიკავა. 1723 წელს თურქეთმა კასპიისპირეთში რუსეთის ლაშქრობის შეჩერება მოახერხა, იმავე წლის ივნისში თბილისიც აიღო. შავიზღვისპირეთში პოზიციების გამაგრების მიზნით, ფოთსა და სოხუმში ახალი ციხეების მშენებლობა დაიწყო. თურქები იდგნენ ანაკოფიასა და ბიჭვინთაშიც. უნდა ითქვას, რომ სოხუმში თურქული ციხის მშენებლობა აფხაზთა მუდმივი თავდასხმების პირობებში მიმდინარეობდა. თურქებმა თავი მოუყარეს მნიშვნელოვან ძალებს და აფხაზეთი დაიმორჩილეს. 1722 წელს სოხუმის ციხის მფლობელად იხსენიება აფხაზეთის ერთ-ერთი მმართველის როსტომის (დაახლოებით 1700-1730) ძმისშვილი გიორგი.

XVIII საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში სამეგრელოს მთავრის ბეჟან დადიანის (1717-1728) ინიციატივითა და მეთაურობით ანტიოსმალური გამოსვლები მიმდინარეობდა. მასში აქტიურ მონაწილეობას აფხაზებიც იღებდნენ. 1728 წელს აფხაზებმა სოხუმის ციხეს ალყაც შემოარტყეს. იმავე წელს მოხერხდა აფხაზთა შემორიგება, ბეჟან დადიანიც მოკლეს, მაგრამ ამის გამო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა. ოსმალები ციხეებშიც თავს დაცულად ვერ გრძნობდნენ. ეს იყო პერიოდი, როდესაც შარვაშიძეები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, „არავის მორჩილებასა შინა“ არ იმყოფებოდნენ²⁹².

1730 წლის გაზაფხულზე ოსმალებმა ბათუმიდან აზოვის ზღვამდე სანაპირო ზოლის დამორჩილება განიზრახეს. ამ ლაშქრობაში იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1746) მონაწილეობდა. ოსმალებმა ოდიში მოარბიეს და სამურზაყანოში შევიდნენ. ვახუშტი ბატონიშვი-

291 მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ვ. ჩოჩიევმა. თბილისი, 1976, გვ. 21/35.

292 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 784.

ლის ცნობით, „შევიდნენ ოსმალნი ილორს, არამედ ხატნი და ჯუარნი და სახმარი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუდევს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა (ტყვია, კალა-ჯ. გ.) და მოსპენს დახატულებანი და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს“²⁹³. მიუხედავად წინააღმდეგობისა, აფხაზები დამარცხდნენ. აფხაზეთის მმართველი როსტომი და მისი ახლობლები იძულებით გაამაჰმადიანეს. ჯიქეთისკენ წასულ ოსმალებს იმერეთის მხედრობა ჩამოშორდა. ამით ისარგებლეს აფხაზებმა, აუჯანყდნენ ოსმალებს და მათი ლაშქრის დიდი ნაწილი ამოჟლიტეს, ნაწილმა თავს გაქცევით უშველა. ოსმალებმა გადაწყვიტა ბიჭვინთისა და ანაკოფიის ციხეების დაცლა და სოხუმის ციხის გაძლიერება. 1737 წლისთვის სოხუმის ციხის 200 კაციან გარნიზონს ზურგს უმაგრებდა 60 ქვემეხი.

აფხაზეთი იმ პერიოდში ტყვეთა მსყიდველებისა და მძარცველების სათარეშო ადგილს წარმოადგენდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, აფხაზები „დაუხდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურისასა“; მოულოდნელად ადგებოდნენ ნაპირს, იტაცებდნენ ადამიანებს, რომლებიც მონებად მიყავდათ ან თურქებზე ყიდდნენ²⁹⁴. აფხაზეთიც ხშირად განიცდიდა მეზობელი მთიელი ტომებისა და თემების მძარცველურ თავდასხმებს, რასაც „შუა სოფლის“ (აბჟუას) მმართველი ჯიქეშია შარვაშიძე შეეწირა. საერისთავოს მფლობელები სიტუაციას ვერ აკონტროლებდნენ. XVIII საუკუნის 30 -იანი წლების ბოლოს აფხაზეთის მმართველი მანუჩარ შარვაშიძე (დაახლოებით 1730-იანი წლები) ხელისუფლებას ჩამოაშორეს და ორ ძმასთან – ზურაბთან და შირვანთან ერთად თურქეთში გაამწყესეს. მისი ადგილი ჯიქმა დიდგვაროვანმა ასლან ბეი გეჩიმ (1730-იანი წლების დასასრული – 1744) დაიკავა. ძმებმა შარვაშიძეებმა თურქულ მხარესთან საერთო ენა გამონახეს და მაჰმადიანობაც მიიღეს. 1744 წელს ზურაბ შარვაშიძე სოხუმის ბეგად ანუ აფხაზეთის მმართველად დაინიშნა (დაახლოებით 1744-1780), მანუჩარს ბათუმის ბეგობა უბოძეს, შირვანი კი ფაშას ტიტულით ფოთის ციხესა და ჭანეთს მართავდა. ზურაბ შარვაშიძე დიდი პატივით მიიღეს აფხაზეთში, მაგრამ ქვეშევრდომებმა გაქრისტიანება მოსთხოვეს. ისიც ილორში მოინათლა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავა მმართველის ტახტი. ვინაიდან ზურაბს მემკვიდრე არ ჰყავდა, მან ოსმალებითან ძმისწული – ქელემბეი მანუჩარის ძე ჩამოიყვანა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. მეორე ძმისწულს ბექირ-ბეი შირვანის ძეს აბჟუა უბოძა.

293 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 887-888.

294 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 785.

XVIII საუკუნის შუახანებში აფხაზეთს ეკავა ტერიტორია მდინარე ლალიძგიდან ბზიფამდე, რომელსაც სოხუმის გარნიზონის ძალებით ოსმალები აკონტროლებდნენ. იმ პერიოდიდან თანდათანობით მკვიდრდება ქალაქისა და ციხის აფსუური სახელწოდება აყურუსული წყაროს ცნობით (კაპიტან იაზიკოვის 1770 წლის მოხსენება), მისი მოსახლეობა მთლიანად თურქებისაგან შედგებოდა. სამურზაყანო კვლავაც ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა. ცნობილია, რომ მისი მფლობელი ხუტუნია მურზაყანის ძე შარვაშიძე 1757 წელს ხრესილთან ბრძოლაში დაიღუპა, სადაც იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა ოსმალები დაამარცხა.

1768 – 1774 წლებში რუსეთ – თურქეთის ომი მიმდინარეობდა. 1769 წელს საქართველოში გენერალ ტოტლებენის სარდლობით რუსული საექსპედიციო კორპუსი შემოვიდა. იგი შავი ზღვის სანაპიროებიდან, პირველ რიგში, ფოთიდან თურქების განდევნას გეგმავდა, მაგრამ მიზანს ვერ მიღწია. სოხუმის ბეგი ზურაბ შარვაშიძე თავიდან მხარს უჭერდა თურქებს, მაგრამ შემდეგ განუდგა მათ და სამურზაყანოს მფლობელ ლევან ხუტუნიას ძე შარვაშიძესთან ერთად სოხუმის ციხის დაკავებაც მოახერხა. ზურაბსა და ლევანს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო სუხუმის ციხე კვლავ თურქებმა დაიკავეს. ამის შემდეგ ზურაბმა ოსმალეთის ნდობა დაკარგა. აფხაზეთის მმართველად ის ჯერ კიდევ რჩებოდა, მაგრამ სოხუმის ციხე ტახტის მემკვიდრეს ქელემშეის ჩააბარეს. 1774 წლის 21 ივლისს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულმა ქუჩუკ – კაინარჯის საზავო ხელშეკრულებამ შავ ზღვაზე და კავკასიაში რუსეთის პოზიციები განამტკიცა. გარდა გარკვეული ტერიტორიების შემოერთებისა, მისმა სავაჭრო ფლოტმა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობისა და სრუტეებზე გავლის უფლება მოიპოვა. ხელშეკრულების 23-ე მუხლის თანახმად, იმერეთის სამეფო თურქეთის სასარგებლოდ ხარკის გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა. შექმნილ ვითარებაში ოსმალეთი სამეგრელოში ცდილობდა პოზიციების შენარჩუნებას და გამყარებას. ამ მიზნით მან ორგანიზება გაუკეთა აფხაზეთის მფლობელების („ბატონების“), აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების გაერთიანებულ ლაშქრობას ოდიშის წინააღმდეგ. კაცია II დადიანმა დახმარებისთვის სოლომონ I-ს მიმართა. იმერეთის მეფე თავისი ლაშქრით, რომელშიაც გურულებიც შედიოდნენ, ოდიშში ჩამოვიდა. 1780 წლის მარტში რუხთან გამართულ ბრძოლაში მეფემ და დადიანმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ქართველობა ამ დაპირისპირებას აღიქვამდა რო-

გორც ბრძოლას ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის²⁹⁵.

რუხში განცდილმა მარცხმა აფხაზეთის მმართველებს შორის უთანხმოების გაღრმავება გამოიწვია. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბზიფის მხარისა და მთლიანად აფხაზეთის მფლობელი ზურაბ შარვაშიძე და ქელემ-ბეი, რომელიც სოხუმის ციხეს და გუმისთის მხარეს ფლობდა. ზურაბმა დახმარება კაცია II დადიანს სთხოვა. სამეგრელოს ლაშქარი გიორგი დადიანის (მთავრის ძმა) სარდლობით სასწრაფოდ სოხუმში ჩავიდა და ქელემ-ბეი დაამარცხა. დადიანის წყალობით ზურაბ შარვაშიძემ ხელისუფლება შეინარჩუნა, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. 80-იანი წლების დასაწყისში ქელემ-ბეიმ ოსმალთა მხარდაჭერით ზურაბ შარვაშიძე დაამარცხა და აფხაზეთის მფლობელის ტახტი დაიკავა. საკუთარი რეზიდენცია მან ლიხნიდან სოხუმში გადმოიტანა. ქელემბეი ძლიერი მმართველი აღმოჩნდა, დაიმორჩილა შქანყარისა (აბჟუის) და ნებელის მმართველები, გაავრცელა თავისი ძალაუფლება სამურზაყანოზეც, დაამყარა ურთიერთობა უბიხებთან და ჯიქებთან. ქელემ-ბეი აფხაზეთის ერთპიროვნული მმართველი და დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის მთავარი დასაყრდენი გახდა. მისი მმართველობის პერიოდში გაძლიერდა აფხაზეთის ისლამიზაციის პროცესი.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ქელემ-ბეიმ მონაწილეობა მიიღო დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ შიდაომებში. იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810), რომელიც საკუთარ თავს ქვემო ივერიის მეფეს უწოდებდა, მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ჩათვლით. მთავარ დაბრკოლებად ამ გზაზე მას ოდიშის სამთავრო მიაჩნდა. 1792 წელს შეთქმულებმა, რომლებსაც მხარს უჭერდა სოლომონ II, გრიგოლ დადიანი გადააყენეს. თავი მან სამურზაყანოს შეაფარა და დაიწყო ბრძოლა ტახტის დაბრუნებისათვის. დადიანს ამ ბრძოლაში ეხმარებოდა ქელემ-ბეიც, რომლისთვისაც იმერეთის მეფის პოლიტიკური მიზნები მიუღებელი იყო. აფხაზეთის მფლობელი თავისი ჯარით სამეგრელოში გადავიდა და ხიზულაში დაბანაკდა. ეს მოხდა 1794 წლის შემოდგომაზე, როდესაც სოლომონ II-მ ტახტის დაბრუნებისთვის მებრძოლი იმერეთის ყოფილი მეფე დავით II გიორგის ძე (1784-1789) აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოსული ერეკლე II-ს (1744-1798) ჯარის დახმარებით დაამარცხა. ამის შემდეგ დავით II თავისი ლაშქრით გრიგოლ დადიანისა და ქელემ-ბეის ბანაკს შეუერთდა. ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ჯარებთან ბრძოლას ქელემ-ბეიმ

295 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 199-201.

თავი აარიდა და აფხაზეთში დაბრუნდა. გრიგოლ დადიანმა ტახტი მხოლოდ 1798 წელს დაიბრუნა.

XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, რაც დაკავშირებულია 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გეორგიევსკის „სამფარველო“ ტრაქტატის გაფორმებასთან. ტრაქტატი, მართალია, რამდენადმე ზღუდავდა საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ ქვეყანა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად რჩებოდა. უფრო მეტიც, გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო არტიკულის მიხედვით, რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსთვის საქართველოს სხვა ისტორიული ტერიტორიების შემოერთებისა და ქვეყნის გამთლიანებისთვის ბრძოლაში ხელშეწყობის ვალდებულებასაც იღებდა. შესაბამისად, 1783 წლის ტრაქტატი უშუალოდ აფხაზეთსაც ეხებოდა, რომელსაც რუსეთში კვლავაც სამეგრელოს სამთავროსა და, შესაბამისად, სრულიად საქართველოს ნაწილად განიხილავდნენ. 1793 წელს შედგენილი „რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის“ თანახმად, საქართველო ახლად მოპოვებულ ტერიტორიადაა მიჩნეული და მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვასთან ფიქსირდება (იხილე აქვე ნაწილი XI.1.9). რუკაზე აღნიშნულია ქართული პროვინციებიც-იმერეთი და სამეგრელო. აფხაზეთი (რომელიც რუკაზე საერთოდ არ არის მითითებული), აგრეთვე მისი ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიები აზოვის ზღვამდე სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმება. ცხადი იყო, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო არტიკულის გათვალისწინებით, რუსეთის იმპერია საქართველოს სამეფოს ვითომ აღდგენის დროშით ძალიან მალე დაიწყებდა დასავლეთ საქართველოსა და მთლიანად ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შემოერთების ბრძოლას.

IV.2. აფხაზეთის სამთავრო რუსული ანექსიის პირობებში (1801-1864)

საქართველო იმედგაცრუებული შეხვდა XIX საუკუნის დამდეგს – რუსეთმა არ შეასრულა გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები. უფრო მეტიც, 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა (1801-1825) საერთოდ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი რუსეთის იმპერიას შეუერთა. აღმოსავლეთ საქართველო რუსული ადმინისტრაციის მმართველობის

ქვემ მოექცა. 1802 წელს „საქართველოს მმართველობა“ დაფუძნდა, რომლის სათავეში კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სარდლები – ე. წ. საქართველოს მთავარმართველები იდგნენ. „საქართველოს მმართველობის“ შემოღება, 1783 წლის ტრაქტატის IV მუხლის თანახმად, რუსეთს უტოვებდა მეზობელი ქვეყნების მიერ მიტაცებული სხვა ქართული რეგიონების „განთავისუფლებისა“ და შემოერთების „უფლებას“. როგორც კი რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია მოახდინა, იგი მაშინათვე შეუდგა ამ „უფლების“ რეალიზებას. პირველ რიგში მან გაააქტიურა მოქმედებები დასავლეთ საქართველოში.

1803 წლის დეკემბერში გრიგოლ დადიანმა (1788-1804), „ოდიშის, ლეჩხუმის, სვანეთის, აფხაზეთის და ოდითგანვე ჩემი წინაპრების კუთვნილი მიწების მპყრობელის“ ტიტულით ხელი მოაწერა „თხოვნას“ რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ მთელი თავისი „სამფლობელოთი, როგორც ზემოთ დასახელებულით, ისე სხვადასხვა მიზეზით მისგან გამოყოფილით“²⁹⁶. წინაპრების კუთვნილ და სამეგრელოსაგან გამოყოფილ მიწებში, გარდა აფხაზეთისა, აშკარად იგულისხმებოდა ჯიქეთი და აზოვის ზღვამდე მდებარე სხვა ისტორიული ქართული მიწები (იხილე აქვე ნაწილი XI. 1. 9). ეჭვსგარეშეა, გრიგოლ დადიანის „თხოვნა“ ადრე „მისგან გამოყოფილი“ მიწებით რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ დაინერა პეტერბურგში ან პეტერბურგიდან კარნახით. აღნიშნული „თხოვნა“, აგრეთვე იმერეთის მეფესთან დადებული ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1804 წლის 4 ივლისს დაამტკიცა.

დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პროცესებს ყურადღებით აკვირდებოდა აფხაზეთის მმართველიც. 1803 წლიდან ქელემ-ბეიმ პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე დაიწყო ფიქრი. რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილს იგი ფარულად გამოთქვამდა და სამეგრელოს მთავრის მეშვეობით საქართველოს მთავარმართველ პ. ციციანოვთან კავშირის დამყარებას ცდილობდა. 1803 წლის 27 ოქტომბერს პ. ციციანოვი სახელმწიფო კანცლერს გრაფ ა. ვორონცოვს ატყობინებდა: „ამასთანავე ჩემს მოვალეობად ვრაცხ, შევეხო ქელემ-ბეისა და მისი სამფლობელოს ისტორიას. XV საუკუნეში, კერძოდ, ქრისტეშობიდან 1414 წლამდე, როცა ივერია დაქუცმაცებული არ იყო, ის, ქელემ-ბეი, შარვაშიძის სახელით იყო ცნობილი, მისი სამ-

296 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 287.

ფლობელო ივერიის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა²⁹⁷. ისტორიას იშველიებდა აგრეთვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბუდბერგი, როდესაც მან 1806 წლის 25 სექტემბერს საქართველოს მთავარმართებელს გენერალ ი. გუდოვიჩს შეატყობინა იმპერატორის სურვილი აფხაზეთის შემოერთების თაობაზე. თავის წერილში ა. ბუდბერგი გამოთქვამდა გონიოს, ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, ისგაურის (მდებარეობდა ტამიშთან), სოხუმის, ანაპის ციხეების დაკავების სურვილს, რადგანაც „ეს ციხეები უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, ამიტომ არ შეიძლება არ გვსურდეს ყველა ამ ადგილის რუსეთთან შეერთება“²⁹⁸. როგორც ვხედავთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მშვენივრად იცოდა არა თუ აფხაზეთის, არამედ მისგან თითქმის 300 კილომეტრით დაშორებული და ამჟამად რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ანაპის ისტორიული საქართველოსადმი კუთვნილების შესახებაც. ეს გარემოება კი რუსეთს აფხაზეთისა და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწების შემოერთების „კანონიერ“ უფლებას აძლევდა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ისევე როგორც სხვა ქართული პროვინციები, ნაწილ-ნაწილ შევიდა რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ. 1805 წლის 9 ივლისს სოფ. ბანძაში (მარტვილის რაიონი) სამურზაყანოს მფლობელებმა ლევან და მანუჩარ შარვაშიძეებმა ხელი მოაწერეს ქართულ ენაზე შედგენილ ფიცს რუსეთის ხელმწიფისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე. ფიცის ტექსტში სამურზაყანო აღიარებულია სამეგრელოს ისტორიულ ტერიტორიად. მასში ნათქვამია: „როგორც რომ ყოვლად უმონყალესი ხელმწიფისა ყმა ვიყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ძველიდგან ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელი თავადი დადიანისა“²⁹⁹. სამურზაყანოს მფლობელების ფიცი დამონმებულია ქყონდიდელი მიტროპოლიტის ბესარიონის (დადიანი) ბეჭდით.

ლევან ხუტუნისა ძე შარვაშიძის გარდაცვალების (1805 წელი) შემდეგ, სამურზაყანოს მფლობელი გახდა მისი ძმისშვილი და ლევან V დადიანის (1804-1846) დის ქმარი – მანუჩარ სოლომონის ძე შარვაშიძე. 1810 წელს სამეგრელოს დროებითმა მმართველმა ნინო ბაგრატიონ-დადიანმა მას სამურზაყანოს მოურავობა უბოძა. სამურზაყანო-

297 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 2. Тифлис, 1868, с. 463.

298 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 3, с. 525-526.

299 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 2, с. 527.

ში წესრიგის დამყარებისა და სამფლობელოს სამართლიანად მართვის მიზნით, 1815 წლის 20 ნოემბერს ლევან V დადიანმა ხელი მოაწერა ბრძანებებს სამურზაყანოს აფხაზეთში ყაჩაღობის, ტყვეთა სყიდვის, მტრობის, ქურდობის, მტაცებლობის, გაქცეული ყმა გლეხების გადაძალვის სასტიკად აკრძალვისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ. იმავე დღეს სამურზაყანოს თავადაზნაურობამ ლევან V-ის წინაშე მორჩილების ფიცი დადო³⁰⁰.

სამურზაყანოს საკითხის გადაწყვეტამ აფხაზეთის მფლობელი ქელემ ბეი აიძულა რუსეთის მფარველობაში მიღებისა და თურქეთის შესაძლო აგრესიისაგან დაცვის თაობაზე თხოვნით მიემართა საქართველოს რუსული ადმინისტრაციისათვის. ეს მოხდა 1806 წლის მაისში. საერთაშორისო ვითარების გამო, პირველ რიგში, თურქეთის ფაქტორის გათვალისწინებით, რუსეთი არ ჩქარობდა საკუთარი „მფარველობის“ ქვეშ აფხაზეთის მიღებას.

აფხაზეთისათვის ბრძოლა რუსეთ – თურქეთის 1806 – 1812 წლების ომის პირობებში მიმდინარეობდა. საომარმა მოქმედებებმა დუნაის აუზი და ამიერკავკასია მოიცვა. 1807 წლის აგვისტოში მხარეებმა დროებითი ზავი დადეს, რომლის მოქმედება 1809 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში აფხაზეთთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. 1808 წლის 2 მაისს ქელემ ბეი დაიღუპა, ოფიციალური ვერსიით, ის მოკლა მისმა უფროსმა შვილმა ასლან ბეიმ, რომელსაც ტახტის მემკვიდრის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული. მამის მოკვლის შემდეგ ასლან ბეი აფხაზეთის ტახტს დაეუფლა და თურქეთის ქვეშევრდომობა აღიარა. საკუთარი თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა ქელემ-ბეის მიერ ტახტის მემკვიდრედ დანიშნულმა და ქრისტიანად მონათლულმა უმცროსმა შვილმა საფარ-ბეიმ (ნათლობის სახელი – გიორგი), რომელიც სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის სიძე (დის ქმარი) გახლდათ. გიორგი შარვაშიძემ ომი გამოუცხადა ასლან-ბეის და დახმარებისათვის საქართველოს რუსულ ადმინისტრაციას და სამეგრელოს დროებით მმართველს ნინო დადიანს (გარდაცვლილი გრიგოლ დადიანის მეუღლეს) მიმართა. ამ უკანასკნელმა აფხაზეთის ახალი მთავარი რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა. თავის მიმართვაში ნინო დადიანისა და სამთავრო ტახტის მცირეწლოვან მემკვიდრე ლევან V დადიანისადმი (1804-1840) გიორგი შარვაშიძე ვალდებულებას იღებდა, რომ ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად საქართველოს მთავარმართველის ბრძანებებს დაემორჩილე-

300 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия _ историческая область Грузии, с. 293-296, 665-666.

ბოდა. მან იცოდა, რომ რუსეთის „მფარველობაში“ შესვლის შემდეგ მისი სამფლობელო კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებოდა, რომელსაც უკვე არა ქართველი მეფეები, არამედ რუსი გენერლები მართავდნენ. რადგანაც თქვენ დამაფიცეთ იმპერატორის ერთგულებაზე, – წერდა გიორგი შარვაშიძე ზემოხსენებულ წერილში, – მიშუამდგომლეთ მის წინაშე რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე, „მაშასადამე თქვენდამი დამოკიდებულ არს, თუ ვითარ იგი იღწვით ჩემთვის ანუ ვითარ იგი განმიღებთ კარსა უთვითმპყრობელისასა ხელმწიფისა ჩვენისასა“³⁰¹.

აფხაზეთის ბედის გადანყვეტა ნამდვილად იყო დამოკიდებული სამეგრელოზე. მისი მმართველები მუდმივად შეახსენებდნენ რუსულ ადმინისტრაციას, რომ აფხაზეთი ისტორიულად სამეგრელოს ნაწილს წარმოადგენდა. 1808 წლის 8 ივნისს ნინო დადიანი, სთხოვდა რა იმპერატორ ალექსანდრე I-ს რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე, არაორაზროვნად მიანიშნებდა: „თუმცალა ჟამმან ცვლილებისამან და მეზობლის უთანხმოებანამ განხადა მფლობელობისაგან სამთავროსა ჩვენისა ესე აფხაზეთი, გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოპსისა (ანაკოფისა-ჯ.გ.) დადიანისა ლევანისა და წინაპართა მათთა და გარდაცვალებული კაცია დადიანი (1758-1788), მამა ახალგარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისა, ახდევინებდა ხარკსა და არს უკვე წევრი სამეგრელოსა“³⁰². ნინოს აზრით, შეიქმნა კარგი წინაპირობა და დადგა ხელსაყრელი დრო რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მისაღებად. ამრიგად, რუსეთის მფარველობაში აფხაზეთი უნდა შესულიყო როგორც „ივერიის პროვინცია“, (პ. ციციანოვი) როგორც ნაწილი – „წევრი სამეგრელოსა“.

ამ ეტაპზე რუსეთი, ფორმალურად იცავდა რა თურქეთთან დადებული დროებითი ზავის პირობებს, თავს იკავებდა აფხაზეთის შემოერთებისაგან. მიუხედავად ამისა, 1808 წლის აგვისტოს დასაწყისში მან სცადა გიორგი შარვაშიძის ერთგული აფხაზური რაზმებისა და სამეგრელოს სახალხო ლაშქრის ერთობლივი ძალებით სოხუმის აღება. ამ ძალებს ზურგს უმაგრებდნენ რუსული რეგულარული სამხედრო ნაწილები. გაერთიანებული მხედრობა, რომელსაც ნიკო დადიანი (გრიგოლ დადიანის ბიძა) სარდლობდა, სოხუმამდე ჩავიდა, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა.

ამის შემდეგ აფხაზეთის საკითხის გადანყვეტა დაჩქარდა. 1808 წლის 12 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ და მისმა ერთგულმა თა-

301 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 3, с. 205.

302 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 3, с. 201.

ვადაზნაურობამ ხელი მოაწერეს ქართულ ენაზე შედგენილ „სათხოვარ პუნქტებს“ რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მიღების თაობაზე. აფხაზეთის მთავარი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ იქნებოდა „მორჩილ საქართველოსა უპირატეს მმართველისა ერთგულთა და სარწმუნო მონათა და ყმათა ჩემთათანა.“ „სათხოვარ პუნქტებს“ თან ერთვოდა გიორგი შარვაშიძის მინაწერი, რომ მის მიერ ადრე გაგზავნილი წერილები და ეს თხოვნაც დაწერილია დადიანების კარის ეკლესიის წინამძღვრის „დეკანოზ იოანე იოსელიანის მიერ, რომელიც წრფელი გულით მირჩევადა საიმპერატორო ტახტის ქვეშევრდომი გაემხდარვიყავი“³⁰³. საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, რუსეთი კვლავაც თავს იკავებდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისაგან. 1809 წლის მარტში დროებითი ზავი დაირღვა და საომარი მოქმედებები განახლდა. რუსეთმა იმავე წლის 15 ივნისს ანაპის, ხოლო 15 ნოემბერს ფოთის ალება მოახერხა. ყოველივე ამან აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაც დააჩქარა. 1810 წლის 17 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა აფხაზეთის მმართველის „სათხოვარი პუნქტები“ დაამტკიცა. იმავე წლის 10 ივლისს რუსებმა სოხუმის ციხეც აიღეს.

მოტანილი მასალები ნათლად გვიჩვენებენ, რომ აფხაზეთი – ტერიტორია მდინარე ლალიძგიდან ბზიფამდე, რუსეთმა შეიერთა როგორც საქართველოს ისტორიული პროვინცია, როგორც სამეგრელოს ნაწილი. ამაში გადამწყვეტი როლი მიუძღვის სამეგრელოს დროებით მმართველს, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს ქალიშვილს ნინო ბაგრატიონს-დადიანისას. მას ამოძრავებდა რუსეთის დახმარებით საკუთარი სამთავროს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების სურვილი. საქართველოს მთავარმართველი ა.ნ. ტორმასოვი 1810 წლის 11 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ ნ.პ. რუმიანცევს წერდა, რომ სწორედ ნინოს „მონდომებას უნდა ვუმაღლოდეთ საფარ-ბეის (გიორგი შარვაშიძის – ავტ.) გადმობირებას, რათა ის მთელი თავისი სამფლობელოთი რუსეთის სამუდამო მფარველობაში და ქვეშევრდომობაში შემოსულიყო“³⁰⁴.

ყოველივე ამის შემდეგ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ დღევანდელი რუსეთის მესვეურთა ხმამაღალი განცხადებები, რომლებიც თავიანთ უკანონო გადაწყვეტილებას აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების შესახებ ამართლებენ ცრუისტორიით – რუსეთის

303 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 3, с. 209.

304 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 4. Тифлис, 1870, с. 393.

შემადგენლობაში აფხაზეთის ვითომ საქართველოსაგან დამოუკიდებლად შესვლით. სინამდვილეში კი რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ აფხაზეთი შევიდა როგორც საქართველოს პროვინცია. ამ საკითხზე რუსეთის ხელისუფლებასთან მთელს მიმონერას გიორგი შარვაშიძე ქართულ ენაზე აწარმოებდა.

რუსეთ – თურქეთის ომი კვლავაც გრძელდებოდა. იგი 1812 წლის 28 მაისს ხელმოწერილი ბუქარესტის ზავით დასრულდა. ხელშეკრულების 6-ე მუხლის თანახმად, რომელიც კავკასიას ეხებოდა, რუსეთი თმობდა ფოთსა და ანაპას, სამაგიეროდ მისი „მფარველობის“ ქვეშ რჩებოდა დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი – იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი.

აფხაზეთის მმართველს გიორგი შარვაშიძეს არ ემორჩილებოდა აფხაზეთის ისეთი რეგიონი, როგორიცაა ნებელი (ნებელდა). ქართულ ენაზე შედგენილ ფიცს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე ამ რეგიონის სახელით ხელი მოაწერეს ნებელის მფლობელმა მარშანიებმა. ლევან V დადიანის მიწვევით 1815 წლის 29 ნოემბერს ისინი სამურზაყანოში, კერძოდ, ოქუმში ჩავიდნენ. ხელმოწერილ დოკუმენტში ნათქვამია: „ჩვენ ქვემო ხელის მომწერელნი ნებელის თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ეთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან, და აწი გინებებიათ ჩვენი თქვენდა მახლობლობა და პირველისამებრ სიყვარული და წყალობა განგვიახლეთ, და ჩვენ რწმუნებულ ვართ ამ თქვენის ჭეშმარიტის სიტყვით ჩვენდა დაჯერებას და ჩვენც ვფიცავთ ამას წმინდა ალყურანსა ზედა ესრეთ, რომელ პირველ ყოველთასა ვიყვნეთ არა რაისამე შინა წინააღმდეგომ მისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა და მისგან დაწესებულთა ამა მხარეთა მმართველთა საშუალობითა თქვენითა. და თქვენისაცა ბრძანებისა ჩვენგან შესაძლებელსა მორჩილ და შეძლებისამებრ მტერთა რუსეთისა და თქვენის უგანათლებულესობისათა წინააღმდეგომ ყოვლითა გზითა...“³⁰⁵. ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ნებელის გამაჰმადიანებულმა მფლობელებმა ყურანზე დაიფიცეს ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების – ცაიშის მიტროპოლიტ გრიგოლის (ჩიქოვანი), არქიმანდრიტ გიორგისა (კუხალაშ-

305 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 5. Тифлис, 1873, с. 507-508.

ვილი) და დეკანოზ იოანე იოსელიანის წინაშე. მოტანილი დოკუმენტებიდან, რომელიც მიტროპოლიტ გრიგოლის ბეჭდითაა დამონმებული, კარგად ჩანს, რომ ნებელის თემი, მის მფლობელთა აღიარებით (და სხვა მრავალი წყაროს მიხედვითაც), XVII საუკუნემდე სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა; ამიტომაც დაიფიცეს ნებელის მფლობელებმა რუსეთისა და ლევან V დადიანის ერთგულებაზე.

„სათხოვარი პუნქტებისა“ და „ფიცის“ ტექსტების ხელმოწერის შემდეგაც აფხაზ ხალხს XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე არ შეუწყვეტია წინააღმდეგობა, რომელიც არაერთხელ გადაიზარდა რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო სისხლისმღვრელ ბრძოლაში. არც თურქეთი აპირებდა იოლად აფხაზეთისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს დათმობას, ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობების შესრულებას. თურქეთის ხელშეწყობითა და მოსახლეობის უმეტესობის მხარდაჭერით 1813 წელს ასლან ბეიმ აფხაზეთში დაბრუნება სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

1817 წელს რუსეთ – კავკასიის ომის დაწყებამ აფხაზეთის ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. რუსეთი თავისი 500 კაციანი გარნიზონით ფაქტობრივად მხოლოდ სოხუმს აკონტროლებდა. მას კი აფხაზეთისა და მთელი ჩრდილო – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გაკონტროლება სჭირდებოდა, საიდანაც თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიელი მთიელები გარესამყაროს უკავშირდებოდნენ და დახმარებას ლებულობდნენ. ამ ბრძოლაში მათი ძირითადი მოკავშირეები იყვნენ ინგლისი და თურქეთი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რუსეთი მხარს უჭერდა მის მიერ დამტკიცებულ აფხაზეთის მმართველს გიორგი შარვაშიძეს, თუმცა აფხაზთა უმეტესობა მას არ ცნობდა. 1818 წელს რუსეთმა მშვიდობიანი მეთოდებით მოახერხა ამბოხებულ და დაუმორჩილებელ აფხაზთა დაშოშმინება. სისხლისმღვრელი ბრძოლები კი 1821 და 1824 წლებში გაიმართა. აჯანყებულ აფხაზებს ასლან ბეი ხელმძღვანელობდა. დიდი ძალისხმევის შედეგად ეს აჯანყებები რუსეთმა სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშო.

მიუხედავად რუსეთის სამხედრო მხარდაჭერისა, აფხაზეთის მმართველი გიორგი შარვაშიძე თავის სამფლობელოში სიტუაციას ვერ აკონტროლებდა. ვითარება ამ მხრივ მისი გარდაცვალების შემდეგაც (1821 წელი) არ შეცვლილა. გიორგის უშუალო მემკვიდრე დიმიტრი შარვაშიძე, რომელიც რუსეთში იყო აღზრდილი, 1822 წელს მის წინააღმდეგ აფხაზთა მიერ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. 1823 წლის 14 თებერვალს სამთავრო ტახტზე ასული სრული-

ად ახალგაზრდა მიხეილ შარვაშიძის ძალაუფლებაც თითქმის 20-იანი წლების ბოლომდე მთლიანად რუსულ ხიმშტებზე იყო დამყარებული. რუსეთი ხვდებოდა, რომ აფხაზეთში სტაბილურობის დასამყარებლად სადამსჯელო სამხედრო ოპერაციების გარდა, საჭირო იყო სხვა ზომების გატარებაც. პირველ რიგში, უნდა გარკვეულიყო ურთიერთობა თურქეთთან, რადგანაც ის იდგა აფხაზთა ამბოხებების უკან. რუსეთმა ისარგებლა იანიჩარების აჯანყების შედეგად ოსმალეთში შექმნილი რთული ვითარებით და თურქები სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებაზე დაიყოლია. მოლაპარაკების შედეგად 1826 წლის 1 ივლისს ხელი მოეწერა აკერმანის კონვენციას. საქართველოსთან მიმართებაში იგი ადასტურებდა ზემოხსენებული ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობებს. აკერმანის კონვენციას თურქეთი დროებით დათმობად განიხილავდა, თუმცა მისმა ხელმოწერამ გარკვეული როლი ითამაშა აფხაზეთში სიტუაციის რუსეთის სასარგებლოდ შემოტრიალების თვალსაზრისით. 1827 წლის 20 დეკემბერს სულთანმა მეჰმედ II-მ აკერმანის კონვენცია გააუქმა. ეს გახდა 1828 – 1829 წლების რუსეთ – თურქეთის ომის ერთ – ერთი საბაბი. მისი დასრულების შემდეგ 1829 წლის 2 სექტემბერს ხელი მოეწერა ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებას. თურქეთი აღიარებდა იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, აგრეთვე ქალაქების ფოთის, ახალციხისა და ახალქალაქის რუსეთის ხელში გადასვლას.

XIX საუკუნის 20 – იანი წლების ბოლოსათვის რუსეთის სამხედრო და დიპლომატიურმა წარმატებებმა წინააღმდეგობის მოძრაობა აფხაზეთში რამდენადმე შეასუსტა. ამბოხებათა თავკაცების დიდმა ნაწილმა რუსეთის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლაზე დროებით უარი თქვა და რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაძლიერდა აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის ძალაუფლებაც. ეს იყო პერიოდი, როდესაც რუსეთი კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ტაქტიკაზე გადადიოდა. კავკასიის დაპყრობის ადრინდელი გეგმა, რომელიც გენერალმა ა. ვ. ერმოლოვმა³⁰⁶ (1777-1861) შეიმუშავა და რომელიც დაკავებული ტერიტორიების თანდათანობითი ათვისების გზით გეგმაზომიერ წინსვლას ითვალისწინებდა, შეიცვალა გენერალ ი. თ. პასკევიჩის³⁰⁷ (1782-1856) ახალი ტაქტიკით. იგი იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ 1830

306 1816-1827 წლებში საქართველოსა და (1820 წლიდან) კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, საქართველოსა და კავკასიის მთავარმართველი.

307 1827-1831 წლებში კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, საქართველოსა და კავკასიის მთავარმართველი.

წელს დაამტკიცა. ი. პასკევიჩის გეგმის არსი კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ ცალკეული სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებაში მდგომარეობდა. მსგავსი ოპერაციების ჩასატარებლად შავი ზღვის სანაპიროზე ანაპიდან ფოთამდე გამაგრებული სამხედრო პუნქტები იქმნებოდა. 30 – იანი წლების დასაწყისში ასეთი პუნქტები აფხაზეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, გაგრაში, ბიჭვინთასა და ბომბორაში დაფუძნდა.

გენერალი ე.ა. გოლოვინი³⁰⁸ (1782-1858) კავკასიელ მთიელებთან ბრძოლის მეტი ეფექტურობისთვის, აგრეთვე გარესამყაროსაგან მათი მოწყვეტის მიზნით აღმოსვლეთ შავი ზღვისპირეთში გამაგრებულ პუნქტებს აგებდა. 1839 წლისთვის აღნიშნული სიმაგრეები მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარე ჩოლოქამდე ერთმანეთთან სახმელეთო გზებით დააკავშირეს. მათი გაერთიანებით ჩამოყალიბდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის ერთიანი სისტემა, რომლის უფროსად გენერალი ნ. ნ. რაევსკი (1801-1843) დაინიშნა. ამ სისტემაში იყო მოქცეული აფხაზეთიც. აღნიშნული სანაპირო ხაზის მოწყობასთან დაკავშირებით, მთავარმართებელი ე. გოლოვინი 1839 წლის 21 მარტს რუსეთის სამხედრო მინისტრის ა. ი. ჩერნიშევის (1785/86-1857) წინაშე აყენებდა საკითხს (შემდგომში იმპერატორისთვის მოსახსენებლად) ნ. რაევსკისთვის აფხაზეთის მართვა-გამგეობაზე ზეგავლენის მოხდენის უფლების მინიჭების შესახებ და დასძინდა, რომ „**აფხაზეთისა და ნებელის იმერეთისაგან გამოყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვან უხერხულობას არ წარმოადგენს**“³⁰⁹ (ხაზგასმა ჯ. გ.). 1840 წლის ოქტომბერში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შავი ზღვის სანაპირო ხაზი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული სიმაგრეები გაგრაში, ბიჭვინთაში, ბომბორაში, სოხუმში, აგრეთვე საგუშაგოები მრამბაში, დრანდაში, კვიტოულში, ილორში (ნავაგინსკთან, გოლოვინსკთან, აგრეთვე ანაკლიასთან, რედუტ-ყალესთან, ფოთთან, ოზურგეთთან და წმ. ნიკოლოზის სიმაგრეებთან და საგუშაგოებთან ერთად) შავი ზღვის სანაპირო ხაზის მესამე განყოფილებაში შეიყვანეს. ამით აფხაზეთი, მისი მთავრის ხელისუფლება რუსული ჯარების მკაცრი და ეფექტური კონტროლის ქვეშ მოექცა.

კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტაქტიკის

308 1837-1842 წლებში კავკასიის ჯარების მთავარსარდალი და მთავარმართებელი.

309 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. IX, Тбилиси, 1884, с. 459.

განხორციელებაში, ანუ სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებაში რუსეთი აქტიურად იყენებდა აფხაზეთის მთავარს და მის დაქვემდებარებაში მყოფ აფხაზურ მილიციას. ასე, მაგალითად, აფხაზური მილიცია 1837 წლის მაისში და 1840 წლის ივლისში რუსებთან ერთად სასტიკად გაუსწორდა ნებელის მოსახლეობას³¹⁰. 1841 წლის ოქტომბერში კი მიხეილ შარვაშიძემ 1500 კაციანი მილიციით რუსეთის ჯარებთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიიღო შაფსუღებისა და ნატუხაელების დარბევებაში, მათი სახლ – კარის გადანვასა და საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნაში. ამ „გმირობისათვის“ მიხეილ შარვაშიძემ რუსული სარდლობის ქებაც დაიმსახურა³¹¹. სამწუხაროდ, აფხაზურ, ასევე ქართულ მილიციას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამხედრო თვალსაზრისით მილიცია სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა, მაგრამ მსგავსი ფორმირების თუნდაც სიმბოლურ მონაწილეობას თანამოძმეთა წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთი დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ასეთი გზით ცდილობდა იგი კავკასიელ ხალხებს შორის განხეთქილების ჩამოგდებას, მათ დაპირისპირებას ერთმანეთთან. უნდა ითქვას, რომ ამ მცდელობამ ნაყოფი გამოიღო და მის სავალალო შედეგებს კავკასია დღემდე იძკის.

მთიელებთან ბრძოლის გააქტიურების პარალელურად, რუსეთი აშკარად ახორციელებდა აფხაზეთის ნაწილ-ნაწილ ანექსიის პოლიტიკას. უშუალო რუსული მმართველობა დამყარდა ნებელსა (1837 წ.) და სამურზაყანოში (1840 წ.). შეიქმნა ქუთაისის გუბერნატორს დაქვემდებარებული სამურზაყანოს საბოქაულო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ენგურიდან ლალიძგამდე. სამეგრელოს მთავარები ლევან V დადიანი (1805-1840) და მისი მემკვიდრე დავით დადიანი (1840-1853) სამეგრელოს სამთავროსთვის სამურზაყანოს ჩამორთმევას აპროტესტებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. სამეგრელოს დაუბრუნეს მხოლოდ სოფლები ბორბალო (კოკი) და ფახულანი. დანარჩენი სამურზაყანოს სანაცვლოდ 1847 წელს დავით დადიანმა რუსეთის მთავრობისაგან კომპენსაციის სახით 25 ათასი ვერცხლის მანეთი მიიღო. ამ ფაქტმა მიხეილ შარვაშიძე გაანაწყენა, რომელიც ასევე აცხადებდა პრეტენზიას სამურზაყანოზე. აფხაზეთის მფლობელს განაწყენებისა და შემოფოთების საფუძველს აძლევდა 1847 წელს

310 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т.VIII. Тбилиси, 1881, с. 457 – 463; იქვე, т. IX, Тбилиси, 1884, с. 492 – 493.

311 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. IX. Тбилиси, 1884, с.513 – 519.

რუსული ხელისუფლების მიერ გუდაუთის, კელასურის, ოჩამჩირის ნავსადგურების მისაკუთრება და რუსული საბაჟო უწყებისთვის მათი გადაცემა. რადგანაც აღნიშნული ნავსადგურები მიხეილ შარვაშიძის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ, მთავრობამ მას წლიური პენსია 12 ათასი მანეთი დაუნიშნა. აფხაზეთის მთავარი კარგად ხედავდა მოვლენების განვითარების მიმართულებასაც და აფხაზეთთან მიმართებაში რუსული ხელისუფლების საბოლოო მიზანსაც; იგი იმდენად გალიზიანდა, რომ მზად იყო სამთავრო უფლებებზე უარი ეთქვა. ვინაიდან ომს კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ ჯერ დასასრული არ უჩანდა, რუსეთს ძალიან სჭირდებოდა მიხეილ შარვაშიძის ავტორიტეტი, ამიტომ მიხეილ ვორონცოვმა³¹² (1782-1856) აფხაზეთის მთავარს გადადგომის განზრახვაზე ხელი ააღებინა.

აფხაზეთის საკითხი აქტუალური გახდა აღმოსავლეთის ომის პერიოდში (1853 – 1856 წლები), რომელიც ასევე ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი. რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა, 1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა მას ომი გამოუცხადეს. ამ ორი ქვეყნის შავ ზღვაზე დომინირებამ რუსეთის მიერ აგებულ შავი ზღვის სანაპირო ხაზს საფრთხე შეუქმნა. რუსული სარდლობა იძულებული გახდა ციხე-სიმაგრეთა მთელი ეს სისტემა მოეშალა და 1854 წლის მარტ – აპრილში სამხედრო ნაწილები აფხაზეთიდან გამოეყვანა. აფხაზეთის დროულად დაცლა რუსეთმა მიხეილ შარვაშიძის დახმარებით მოახერხა. 1855 წლის მარტში კი სოხუმში თურქეთის ჯარი შევიდა. აფხაზეთის თურქული ადმინისტრაციის უფროსი მუსტაფა ფაშა აფხაზთა გადაბირებას ცდილობდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. აფხაზეთში მიხეილ შარვაშიძის არყოფნის პერიოდში მის მოვალეობას უმცროსი ძმა ალექსანდრე შარვაშიძე ასრულებდა. ის ურთიერთობდა თურქულ ადმინისტრაციასთან, მაგრამ მოქმედებდა მთავრის მითითებით, რომელიც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ოჯახთან ერთად სამეგრელოს სოფელ ჭკადუაშში, აგრეთვე კურზუმი სიმაგრის გიორგი დადიანის სახლში იმყოფებოდა. 1855 წლის მაისში

312 1844-1854 წლებში მეფისნაცვალი კავკასიაში. ერთგულად ემსახურებოდა კავკასიის რუსეთთან შერწყმის იმპერიულ პოლიტიკას. ამასთანავე კარგად აცნობიერებდა საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთისთვის იმ მეტად რთულ ვითარებაში, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში ომი მიმდინარეობდა, აღმოსავლეთის საკითხი კი სულ უფრო და უფრო მწვავედებოდა. ქართველთა ლოიალობის მოპოვების მიზნით, მ. ვორონცოვი მოქმედებდა მეთოდურად, გამოირჩეოდა მოქნილობით, ლიბერალიზმით. მისი მმართველობის პერიოდში თბილისში გაიხსნა ქართული თეატრი, საჯარო ბიბლიოთეკა, არაერთი ახალგაზრდა გაიგზავნა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

მიხილ შარვაშიძე აფხაზეთში დაბრუნდა. იგი რუსულ სარდლობასთან კავშირს ინარჩუნებდა და მას ღირებულ ინფორმაციასაც აწვდიდა თურქების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ.

როგორც ცნობილია, ყირიმსა და ბალკანეთში რუსეთი დამარცხდა, მაგრამ წარმატებას კავკასიაში მიაღწია. 1855 წლის ივნისში რუსეთის არმიამ ყარსი ალყაში მოაქცია. ყარსის დამცველებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, 1855 წლის სექტემბერში სოხუმში შემოსულმა 45 ათას კაციანმა თურქულმა სამხედრო დესანტმა ომერ ფაშას სარდლობით ვითარება ფრონტზე რადიკალურად ვერ შეცვალა. იმავე წლის ოქტომბერში ომერ ფაშამ მხოლოდ სამეგრელო დაიკავა, მაგრამ წინსვლა ვერ გააგრძელა. 1855 წლის ნოემბერში რუსებმა ყარსი აღეს, რის შემდეგაც ომერ ფაშას ლაშქრობამ დასავლეთ საქართველოში აზრი დაკარგა. 1856 წლის თებერვალში თურქებმა აფხაზეთი და მთლიანად დასავლეთ საქართველო დატოვეს. იმავე წლის მარტში პარიზის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთმა კავკასია შეინარჩუნა, მაგრამ ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოები თურქეთს დაუბრუნა. გარდა ამისა, რუსეთს აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის განთავსება და შავი ზღვის ნავსადგურების გამაგრება.

აღმოსავლეთის ომის დასრულების შემდეგ რუსეთს ხელახლა მოუხდა აფხაზეთის დაპყრობა და შავიზღვისპირა ზოლში სამხედრო ნაწილების ჩაყენება. მიხილ შარვაშიძეს, რომელიც თურქებთან კავშირში და რუსეთის ლალატში იყო ეჭვმიტანილი, დიდხანს უწევდა თავის მართლება კავკასიის რუსული ადმინისტრაციის წინაშე³¹³. ლალატის უსაფუძვლო ბრალდება კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად უნდა ყოფილიყო შეთითხნილი. თავის მართლების მკაცრ რეჟიმში ჩაყენებით კუთხეში მიმწყვედილი მიხილ შარვაშიძის მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე რუსული ადმინისტრაცია ახორციელებდა მთავრის ხელისუფლების ჯერ შეზღუდვისკენ, საბოლოო ჯამში კი, სამთავროს გაუქმებისკენ მიმართულ ზომებს. მათი შენიღბვა ხდებოდა ყირიმის ომის შედეგებიდან და მთიელებთან ბრძოლის ამოცანებიდან გამომდინარე, კავკასიის კორპუსის რეორგანიზაციის აუცილებლობით. ასეთი რეორგანიზაცია მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ (1856-1862) განახორციელა, რომელმაც 1856 წლის ივნისში მეფისნაცვალი ნიკოლოზ მურავიოვი (1854-1856)

313 იხილე ამის შესახებ: შ. ჩხეტია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856). – საისტორიო მოამბე, 1963, № 15-16, გვ. 123-283.

შეცვალა. კავკასიის კორპუსი არმიად გარდაიქმნა; მართვის ცენტრალიზაციის მიზნით, 1856 წლის აგვისტოში ქუთაისის გუბერნიისა და შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების (რომელიც აფხაზეთის ტერიტორიასაც მოიცავდა) გაერთიანებით შეიქმნა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო. მაშინვე იქნა შემოღებული აფხაზეთის ჯარების უფროსის თანამდებობაც. ეს ზომა ერთდროულად სამთავროზე კონტროლის გაძლიერებასაც ისახავდა მიზნად. იმავე მიზანს ემსახურებოდა ქუთაისის გენერალ – გუბერნატორისთვის აფხაზეთის დაქვემდებარებაც.

რუსეთის მთავრობა აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და ამ რეგიონში უშუალო რუსული მმართველობის შემოღების საკითხსაც განიხილავდა. ეს ხდებოდა 1857 წელს სამეგრელოში, 1858 წელს კი სვანეთში რუსული მმართველობის შემოღების პარალელურად. აფხაზეთთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დროებით გადაიდო. რუსეთის წინაშე იდგა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის ამოცანა. მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო. 1860 წლის სექტემბერში კავკასიის არმიის სარდლობის მიერ შემუშავებული ახალი გეგმის მიხედვით, უნდა მომხდარიყო დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის აყრა და იქ რუსების ჩასახლება. ამ უმძიმესი ამოცანის გადასაწყვეტად ჯერ კიდევ საჭირო იყო აფხაზთა ლოიალობა და მიხეილ შარვაშიძის დახმარება. ამასთან დაკავშირებით მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკი 1862 წლის აპრილში სამხედრო მინისტრს დ. ა. მილიუტინს წერდა, რომ მიხეილ შარვაშიძის „გავლენა აფხაზეთში და მეზობელ ტომებზე, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია ... ამიტომ ამ კაცის კეთილად განწყობა ჩვენს მიმართ ძალზედ საჭიროდ მიმაჩნია“³¹⁴. ამასთანავე რუსულმა ადმინისტრაციამ კარგად იცოდა, რომ აფხაზეთი სულაც არ წარმოადგენდა საიმედო პლაცდარმს, მისი მთავარი კი ძალიან ხშირად ორმაგ თამაშს ეწეოდა.

რუსეთ – კავკასიის ომის დასკვნით ეტაპზეც აფხაზეთის მთავარი და მისი ერთგული მილიცია რუსებთან ერთად კავკასიელ თანამოძმეებს ებრძოდა. ასე მაგალითად, 1859 წლის იანვარში ფსხუს წინააღმდეგ განხორციელებულ ლაშქრობაში, როგორც მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკი რუსეთის სამხედრო მინისტრს ნ. სუხოზანეტს (1794-1870) წერდა, რუსებთან ერთად ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ოლქის (დღევანდელი სოხუმისა და გულრიფშის რაიონები-ჯ.გ.) მილიციის 5 ასეული, ბზიფის ოლქის მილიციის 6 ასეული და ნებელის

314 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с. 323, 325-327; ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 248-250.



აფხაზეთის მთავარი
მიხეილ შარვაშიძე



გიორგი მიხეილის
ძე შარვაშიძე

ოლქის მილიციის 6 ასეული, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას მიხეილ შარვაშიძე უწევდა³¹⁵. 1860 წლის აგვისტოში 3000 კაციანი აფხაზური მილიცია აქტიურად მონაწილეობდა მორიგ ლაშქრობაში ფსხუს თემის წინააღმდეგ. რუსებსა აფხაზებს სერიოზული დარტყმა მიუყენებიათ ფსხუს თემისთვის და მათ დასახმარებლად მოსულ ახჩიფსხუელებისთვის, აიბგელებისთვის და ჯიქებისთვის. ბრძოლაში თავი გამოუჩინია პოლკოვნიკ (შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი) გრიგოლ შარვაშიძეს(1818-1898)³¹⁶.

1864 წლის მაისში წებელდის აფხაზური მილიციის თავდასხმამ აიძულა აიბგას თემის მოსახლეობა საკუთარი სახლები მიეტოვებინათ და თურქეთში გადასახლებულიყო. რუსეთ-კავკასიის ომი დასრულდა. დასავლეთ კავკასიიდან 470 ათასი ადამიანი თურქეთში გადასახლდა, 90 ათასი – ყუბანში. რუსეთ – კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად იმავე წლის 21 მაისს კბაადაში (დღევანდელი კრასნაია პოლიანა) გამართულ „გამარჯვების“ აღლუმში რუსებთან ერთად ქართული და აფხაზური მილიციაც მონაწილეობდა³¹⁷. ისტორიის გაყალბებაში დახელოვნებული სეპარატისტი ისტორიკოსები მუდმივად ხაზს უსვამენ რუსებთან ერთად კავკასიელთა წინააღმდეგ ომში, აგრეთვე 1864 წლის 21 მაისის „გამარჯვების“ აღლუმში მხოლოდ ქართველთა მონაწილეობის ფაქტს³¹⁸. ამავე დროს ისინი თავიანთ მკითხველებს უმალავენ აფხაზური მილიციის „გმირობის“ ამსახველ ზემოთმოტანილ მრავალრიცხოვან ისტორიულ მონაცემებს კავკასიელ თანამოძმეთა (შაფსულები, ნატუხაელები), მათ შორის თვით ცალკეული აფხაზური საზოგადოებების (წებელი, ფსხუ, აიბგა) დარბევის, მათი სახლების გადანვისა და მოსახლეობის თურქეთში განდევნის შესახებ. ისტორიის ფალსიფიკატორები აგრეთვე დუმილით უვლიან გვერდს 1864 წლის 21 მაისის „გამარჯვების“ აღლუმში მიხეილ შარვაშიძისა და მისდამი დაქვემდებარებული აფხაზური რაზმების მონაწილეობის კარგად ცნობილ ფაქტს.

315 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. XII. Тбилиси, 1904, с. 805-806.

316 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. XII, с. 859 – 865.

317 Покорение Западного Кавказа и окончание кавказской войны. Исторический очерк. Составил С. Эсадзе. Тифлис, 1914, с. 167 – 174.

318 О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 244, 271.

IV.3. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება (1864-1917)

რუსეთ-კავკასიის ომის დასრულებამდე ორი თვით ადრე, 1864 წლის 27 მარტს, მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა³¹⁹ (1834-1909) რუსეთის სამხედრო მინისტრის დ. ა. მილიუტინის წინაშე დასვა საკითხი აფხაზეთის სამთავროს გაუქმების აუცილებლობის შესახებ. მისი აზრით, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას უნდა მოჰყოლოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაქვემდებარებული სამხედრო ოკრუგის შექმნა და მდ. ენგურის შესართავამდე ზღვის მთელს სანაპიროზე კაზაკური დასახლებების დაფუძნება³²⁰. 1864 წლის აპრილში იმპერატორმა მოინონა მეფისნაცვლის წინადადებები.

რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების (1864 წლის 21 მაისი) შემდეგ აფხაზეთის სამთავროს ფუნქცია ამოიწურა და გადაწყვეტილება მისი გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. 1864 წლის ივნისში აფხაზეთის მმართველი მიხეილ შარვაშიძე თანამდებობიდან გადააყენეს და, მიუხედავად ავადმყოფობისა, იმავე წლის ნოემბერში იძულებითი წესით ვორონეჟში გადაასახლეს. 1866 წლის 16 აპრილს მიხეილი გადასახლებაში გარდაიცვალა, მასში მისი ნეშთი სამშობლოში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს. 1864 წლის 12 ივლისიდან აფხაზეთში უშუალო რუსული მმართველობა შემოიღეს³²¹. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც 1883 წლამდე ანუ ახალი ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელებამდე არსებობდა. სოხუმის სამხედრო განყოფილების პირველი უფროსი იყო აფხაზეთში რუსული ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი პ. ნ. შატილოვი (1864-1866). 1866 წელს იგი პოლკოვნიკმა ვ. მ. კონიარმა შეცვალა³²². შემდგომ წლებში სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე იმყოფებოდნენ: გენერლები მ. ნ. ტოლსტოი (1866-1868), ვ. ა. გეიმანი (1868-1872), პ. პ. კრაფჩენკო (1872-1877), ბ. მ. შელკოვნიკოვი (1877-1878), პოლკოვნიკი, 1881 წლი-

319 1863-1881 წლებში მეფისნაცვალმა კავკასიაში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა.

320 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 329-333.

321 Кавказский Календарь на 1866 год. Тбилиси, 1865, отдел третий, с. 45.

322 М. Аргун, С. Салакая. Деятельность администрации Абхазии накануне восстания 1866 года. – Гуманитарные и юридические исследования. Научно-теоретический журнал, вып. 1. Ставрополь, 2018, с. 15.

დან გენერალი პ. ი. არაკინი (1878-1883).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამ და რუსული მმართველობის შემოღებამ, მიხეილ შარვაშიძისადმი არაადამიანურმა მოპყრობამ, რამაც დააჩქარა მისი გარდაცვალება, რუსული ადმინისტრაციის მიერ უხეში მეთოდებით „სახელმწიფოებრივი ნესრიგის“ დამყარების, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე საგლეხო რეფორმის ჩატარების მცდელობამ, მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყება 1866 წლის 26 ივლისს ლიხნში გამართული დიდი შეკრებით დაიწყო. იმ დღესვე აჯანყებულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსად ახლადდანიშნული ვ. მ. კონიარი და სხვა ჩინოვნიკები. ხელისუფლებამ სამხედრო ძალის გამოყენებით სასტიკად ჩაახშო აფხაზთა აჯანყება. მისი ხელმძღვანელები რუსეთში გადაასახლეს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1866 წლის 11 აგვისტოს იმპერატორმა დაამტკიცა „დებულება სოხუმის განყოფილების მართვის შესახებ“. სოხუმის განყოფილების შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთი ქალაქ სოხუმით, სამურზაყანო და ნებელი. განყოფილების უფროსი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა. ადმინისტრაციული თვალსაზრისით სოხუმის განყოფილება ბიჭვინთის, დრანდის, ნებელისა და ოქუშის ოკრუგებად იყოფოდა; ქალაქი სოხუმი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. სოხუმის განყოფილების ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდინარე ბელერეფსთაზე (ხოლოდნაია რეჩკა), სამხრეთ-აღმოსავლეთი – ენგურზე, ჩრდილოეთი კი – კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა. მისი საერთო ფართობი 7315 კვ. კმ.-ს (6427 კვ. ვერსი) შეადგენდა³²³.

მთავრობაში დაისვა საკითხი აფხაზების თურქეთში გადასახლების შესახებაც. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დ. სვიატოპოლკ-მირსკი 1866 წლის 27 ოქტომბერს კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსს დ. სტაროსელსკის წერდა: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საშიშროების აღმოსაფხვრელად, ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გადასახლება“³²⁴. მას ეთანხმებოდა მეფისნაცვალი მ. რომანოვი, რომელსაც „აფხაზთა გადასახლების მთავარ ამოცანად“ მიანდა იმპერიის ფარგლებიდან ხელისუფლებისადმი ყველაზე მტრულად განწყობილი მოსახლეობის მოშორება. 1866 წლის ნოემბერში

323 Кавказский Календарь на 1879 год. Тбилиси, 1878, с. 327.

324 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 252.

იმპერატორიც დასთანხმდა აფხაზთა თურქეთში გადასახლების წინადადებას.¹⁸⁶⁷ წლის განმავლობაში ხელისუფლებამ 20 ათასზე მეტი აფხაზი იძულებით თურქეთში გადაასახლა (მუჰაჯირობა). მთლიანად დაცარიელდა რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წებელი. მუჰაჯირობას ახალი ადმინისტრაციული რეფორმა მოჰყვა, რომლის მიზანი იყო მართვის ცენტრალიზაცია და მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებული ადგილების კოლონიზაცია. ოთხი ოკრუგის ნაცვლად შეიქმნა ორი – ბიჭვინთისა (მოიცავდა გუდაუთისა და გუმისთის უბნებს) და ოჩამჩირის (მოიცავდა კოდორისა და სამურზაყანოს უბნებს). წებელდისთვის შეიქმნა ცალკე სამზრუნველო, რომლის ამოცანას მხარის კოლონიზაცია წარმოადგენდა.³²⁵ ახალი ადმინისტრაციული დაყოფა 1883 წლამდე არსებობდა.

XIX საუკუნის 60-ინ წლებში რუსეთის იმპერიამ დაიწყო „ზრუნვა“ დამწერლობის არმქონე კავკასიელი მთიელებისთვის დამწერლობის შექმნისთვის. წამოწყებას, რომელიც აფხაზებსაც შეეხო, ჰქონდა არა კულტურული, არამედ შორს მიმავალი პოლიტიკური დატვირთვა. ამის შესახებ ღიად აცხადებდნენ რუსი მოხელეები და მეცნიერები. მათ შორის იყო ე. გ. ვეიდენბაუმიც, რომელიც წერდა: „აფხაზური ენა, რომელსაც დამწერლობა და ლიტერატურა არა აქვს, მეტ-ნაკლებად ახლო მომავალში გასაქრობად არის განწირული. საკითხავია, რომელი ენა შეცვლის მას? ცხადია, რომ მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და ცნებების გამტარებლის როლი არა ქართულმა, არამედ რუსულმა ენამ უნდა შეასრულოს. ამიტომ მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნა უნდა იყოს არა თავისთავადი თვითმიზანი, არამედ მხოლოდ ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართულ ენაზე მოთხოვნილების შემცირებისა და თანდათანობით სახელმწიფო ენით მისი ჩანაცვლების საშუალება“³²⁶. სწორედ აფხაზი ხალხის საკუთარი ისტორიული ფესვებისაგან, ქართული კულტურული სამყაროსაგან მონყვეტისა და ამის შემდეგ იოლად გარუსების მიზნით 1860-იან წლებში შეიქმნა აფხაზური დამწერლობა რუსული გრაფიკის ბაზაზე; თუმცა მისი შემქმნელების (პ.უსლარი, ი. ბარტოლომეი) აღიარებითაც კი, მსოფლიოში არსებულ დამწერლობათაგან აფხაზური ენისათვის ყველაზე შესაფერისი იყო ქართული სადამწერლობო-საანბანო სისტემა³²⁷.

325 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 253-256.

326 III. Инал-Ипа. Абхазы. Сухуми, 1965, с. 164-165.

327 თეიმურაზ გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი, 2011, გვ. 388-393,443-446.

მიუხედავად ყველაფრისა, დამწერლობის შექმნას ჰქონდა უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აფხაზი ხალხისთვის. 1865 წელს თბილისში გამოიცა პირველი „აფხაზური საანბანო წიგნი“. კავკასიაში მართმადიდებლობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1866 წელს კიდევ ერთი აფხაზური წიგნი გამოსცა სახელწოდებით „კეთილი საკითხავი მართმადიდებლებისთვის“ («Доброе чтение православным»). მუჰაჯირობის შემდეგ ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზური დამწერლობისადმი შეიცვალა. 1868 წელს ზემოსენეზული საზოგადოების საბჭომ აფხაზური „ჩვილ და განუვითარებელ“ («младенческим и неразвитым»), შესაბამისად, განათლებისთვის და ღმრთისმსახურებისთვის გამოუსადეგარ ენად გამოაცხადა³²⁸. ამჟამად, რომ, ეს იყო, არა ლინგვისტური, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილება.

საკუთარი სამშობლოდან აფხაზთა დიდი ნაწილის განდევნის სამთავრობო გეგმის „წარმატებით“ შესრულების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების მთავარი ამოცანას არა ამ ხალხის კულტურული განვითარება, არამედ აფხაზეთის უცხოური კოლონიზაცია წარმოადგენდა. მას წინ უძღოდა საგლეხო რეფორმა, რომელიც აფხაზეთში იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ 1870 წლის 8 ნოემბერს დამტკიცებული დებულების მიხედვით განხორციელდა. იმპერიის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სოხუმის განყოფილებაში ბატონყმობა კი არ გაუქმდა (რომელიც იქ ისედაც არ არსებობდა), არამედ გლეხობას პირადი თავისუფლება მიენიჭა. საგლეხო რეფორმამ აფხაზური თემის ტრადიციული პატრიარქალური სახე დიდად ვერ შეცვალა, თუმცა შექმნა პირობები თავისუფალი მენარმეობისთვის, ვაჭრობისთვის, მიწის ყიდვა-გაყიდვისთვის. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აფხაზეთის კოლონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის დაჩქარებისა და საჭირო მიმართულებით წარმართვისთვის.

მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ინიციატივითა და იმპერატორ ალექსანდრე II-ის გადაწყვეტილებით, 1861 წლიდან თურქეთის ქრისტიანულ მოსახლეობას რუსეთის ქვეშევრდომებად იღებდნენ. იმ პერიოდიდან იწყება ოსმალეთიდან ბერძნების ჩამოსახლება. 1866-1867 წლებში აფხაზეთში 93 ბერძნული და 54 ბულგარული ოჯახი ჩამოსახლეს. ასე გაჩნდა კოლონისტთა პირველი დასახლებები სახელწოდებით ალექსანდროვსკოე, გეორგიევსკოე, ოლგინსკოე, მარინსკოე, ანასტასიევსკოე და ნიკოლაევსკოე. იმავე საუკუნის 80-იანი

328 Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1960-1910 годы. Тифлис, 1910, с. 149-150, 157.

ნლებიდან სოხუმის ოკრუგში ბერძნების ჩამოსახლების პროცესმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო³²⁹. კოლონისტების პირველი ნაკადი არარუსებისაგან, ძირითადად სამხრეთელებისაგან შედგებოდა, რომლებიც ხელისუფალთა აზრით, უკეთესად აიტანდნენ აფხაზეთის მავნე კლიმატს (მაღარიით დაავადების საფრთხე) და შეამზადებდა პირობებს რუსული დასახლებების შესაქმნელად. სანაპირო ზოლში და ასევე სტრატეგიულად არანაკლებ მნიშვნელოვან ნებელში ხელისუფლებას სურდა სწორედ პოლიტიკურად საიმედო ხალხის – რუსების დასახლება. აფხაზეთში რუსული ეთნიკური ელემენტის გამრავლების მიზნით, მიწებს ურიგებდნენ ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს, აგრეთვე რუსულ მონასტრებს. ასე მაგალითად, 70-იან წლებში 48 რუსულმა ოჯახმა 27 640 დესეტინა მიწა მიიღო³³⁰. 1872 წელს დაფუძნებულ ბიჭვინთის მონასტერს 1049 დესეტინა მიწის ფართობი, ფიჭვნარი და ინკითის ტბა გადაეცა. ხელისუფლება განსაკუთრებით გულუხვი აღმოჩნდა 1875 წელს ფსირცხაში დაფუძნებული ათონის წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ფილიალის მიმართ. დაფუძნებისთანავე მას გამოეყო 327 დესეტინა მიწა და 200 დესეტინა ტყის მასივი, შემდგომში გამოყოფილი მიწების საერთო ფართობმა 6000 დესეტინაზე მეტი შეადგინა³³¹.

კოლონიზაციის პროცესი დროებით შეაფერხა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, რომლის შედეგები ტრაგიკული აღმოჩნდა აფხაზი ხალხისთვის. 1875-1876 წლებში ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ბოსნიელებთან, ჰერცოგოვინელებთან, განსაკუთრებით ბულგარულ ხალხთან სოლიდარობის საბაბით, 1877 წლის 24 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. ძირითადი საბრძოლო მოქმედებები ბალკანეთში მიმდინარეობდა. არც თუ ისე შემთხვევით, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება დროში დაემთხვა ანტირუსულ აჯანყებებს კავკასიაში, მათ შორის აფხაზეთში. ამით ისარგებლა თურქეთმა და 29 აპრილს გუდაუთასთან ძირითადად მუჰაჯირებისაგან შემდგარი

329 Н. Н. Иоаниди. Греки в Абхазии, с. 14-19; Панкратис Папунидис. Краткая история переселения греков в Грузию, с. 16-17. <http://papounidis.com/istoriya-pereseleniya-grekov-v-gruziju>

330 http://apsnyteka.org/1320-brakker_v_pamyatnaya_zapiska_o_kolonizatsii_v_sukhumskom_okruge.html

331 წმინდა მღვდელმონაქე კირიონ II (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიაშვილმა. თბილისი, 2006, გვ. 203; წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიაშვილმა. თბილისი, 2007, გვ.44-58.

სამხედრო დესანტი გადმოსხა. აჯანყებული აფხაზები თურქულ დესანტს შეუერთდნენ. რუსულმა სამხედრო ნაწილებმა სოხუმის განყოფილების უფროსის გენერალ პ. კრაფჩენკოს სარდლობით მონინალმდეგესთან ბრძოლის გამართვა ვერ გაბედეს, სოხუმი უბრძოლველად დატოვეს და მდ. კოდორისკენ დაიხიეს. მას თან გაჰყვა მოსახლეობაც. 2 მაისს აჯანყებული აფხაზები სოხუმში შეიჭრნენ, რომელსაც თურქული ფლოტი ინტენსიურად ბომბავდა; ქალაქი მათ ჯერ გაძარცვეს, მერე გადაწვეს. 6 მაისს თურქებმა დესანტი ოჩამჩირეშიც გადმოსხეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მხარი თურქებს დაუჭირა. აჯანყებულებს მხოლოდ სამურზაყანოს ქართული მოსახლეობა არ შეუერთდა. ბრძოლები 1877 წლის 20 აგვისტომდე გრძელდებოდა. რუსულმა ჯარებმა მონინალმდეგეს სამი მხრიდან შეუტყეს. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უტევდა ენგურის რაზმი გენერალ ი. ალხაზიშვილის მეთაურობით, ჩრდილო-დასავლეთიდან – სოჭის რაზმი პოლკოვნიკ პ. შელკოვნიკოვის მეთაურობით, აღმოსავლეთიდან – მარუხის რაზმი, რომელიც ნებელის გავლით სოხუმისკენ მოიწევა. რაზმის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი პ. ბაბიჩი საერთო ხელმძღვანელობას უწევდა სამივე რაზმის მოქმედებას. მონინალმდეგის მიერ მთლიანად გადამწვარ სოხუმში 1877 წლის 20 აგვისტოს პირველი შევიდა ენგურის რაზმი გენერალ იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილის მეთაურობით³³².

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს უკავშირდება მუჰაჯირობის მორიგი დიდი ტალღა, როდესაც რუსულმა ადმინისტრაციამ მაჰმადიან აფსუა-აფხაზებს მშობლიური კერა იძულებით დატოვებინა და თურქეთში გადასახლა³³³. ოფიციალური მონაცემებით, 1877 წლამდე სოხუმის სამხედრო განყოფილების მთელი მოსახლეობა 75 698 ადამიანს შეადგენდა (23 369 ოჯახი), აქედან 31 964 ანუ 7067 ოჯახი თურქეთში გადასახლდა. მუჰაჯირობა შეეხო მხოლოდ აფხაზებით დასახლებულ უბნებს. კერძოდ, კოდორის/ოჩამჩირის უბანში მცხოვრები 3935 აფხაზური ოჯახიდან 1071 – თურქეთში გადასახლდა (ოჯახში საშუალოდ 4. 5 სულს ანგარიშობდნენ); გუმისთის უბნის (თანამედროვე გულრიფშისა და სოხუმის რაიონები) მოსახლეობამ, რომელიც 2221 ოჯახს და 9985 ადამიანს ითვლიდა, აფხაზეთი ერთიანად დატოვა; გუდაუთის უბნიდან, სადაც 23 545 სული (5293 ოჯახი) ირიცხებოდა, 17 160 ადამიანი (3775 ოჯახი) სამშობლოდან განდევნეს. უპირატესად ქრისტიანი ქართველებით დასახლებული

332 Джемал Гамахрия, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 341-349, 716-717.

333 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 261.

სამურზაყანო არავის დაუტოვებია. მუჰაჯირობის შედეგად სოხუმის განყოფილებაში ეთნიკურ აფხაზთა რაოდენობა 51 ათასიდან 19 ათას სულამდე დავიდა³³⁴. აფხაზეთიდან განდევნილთა შორის ქრისტიანებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც შემდგომში ამაოდ ითხოვდნენ სამშობლოში დაბრუნებას³³⁵. მუჰაჯირობა იყო უდიდესი სახალხო ტრაგედია და უმძიმესი პერიოდი აფხაზთა ისტორიაში. მდინარე ფსოუდან მდინარე ყუბანამდე მდებარე ტერიტორია რუსეთმა მთლიანად „განმინდა“ მკვიდრი მოსახლეობისაგან, იქ მცხოვრები კავკასიელები მან ფიზიკურად გაანადგურა ან თურქეთში გადაასახლა. იგივე ბედი აფსუა – აფხაზებმა თუ არ გაიზიარეს, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქართული სამღვდელთა და მთლიანად ქართული საზოგადოების ისტორიული დამსახურება³³⁶.

კავკასიაში ომის ძლევამოსილად დამთავრების, მთელი ერების განადგურებისა და მშობლიური ადგილებიდან გასახლების, აფხაზთა დაშორებისა და უკიდურესად დასუსტების შემდეგ რუსეთმა გაამკაცრა იმპერიული და კოლონიური პოლიტიკა საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში. რუსეთის მთავრობამ, პირველ რიგში, სამშობლოში დარჩენილი „არასაიმედო“ აფხაზების კიდევ უფრო მეტად შევიწროება და მკაცრად დასჯა გადაწყვიტა. იმპერატორ ალექსანდრე II-ის 1880 წ. 31 მაისის ბრძანებულებით, მთელი აფხაზობა „დამნაშავე ერად“ გამოცხადდა. ამან კი, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებში აფხაზური მოსახლეობის დისკრიმინაცია გამოიწვია. იმპერიულ პოლიტიკის გამკაცრებას უკავშირდება ახალი ადმინისტრაციული რეფორმა. აფხაზეთიდან „ველური“ აფხაზების გასახლებისა და „ცივილიზებული“ კოლონისტების ჩამოსახლების პირობებში სამხედრო მმართველობის შენარჩუნების აუცილებლობა არ არსებობდა. 1883 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილებას სოხუმის ოკრუგი ეწოდა. იგი კვლავ ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში რჩებოდა და 1903 წლამდე უშუალოდ ქუთაისის საგენერალგუბერნატოროს სამხედრო-სახალხო სამმართველოს ექვემდებარებოდა. სოხუმის ოკრუგი ოთხი უბნისაგან შესდგებოდა: გუდაუთის, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოს. 1883-1903 წლებში სოხუმის ოკრუგის უფროსები იყვნენ პოლკოვნიკები: ა. ნ. ვედენსკი (1883-1889), ა. ვ. კუცევალოვი

334 Кавказский Календарь на 1879 год. Тбилиси, 1878, с. 330-331.

335 Абхазия и абхазы в Российской периодике (XIX – начале XX вв.), кн. II. Составители Агуажба Р. Х., Ачугба Т. А. Сухуми, 2008, с. 6.

336 Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, с. 350-406.

(1889-1892), ვ. ა. ბრაკერი (1893-1900) და პოდპოლკოვნიკი, 1901 წლიდან კი პოლკოვნიკი ვ. კ. პროგულბიციკი (1900-1905).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იმპერიული და კოლონიური პოლიტიკის გამკაცრება სოხუმის ოკრუგში გამოიხატებოდა აგრეთვე სკოლისა და ეკლესიის რუსიფიკაციაში, ქართული მოსახლეობის შევიწროებაში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან ქართული ენის განდევნაში, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების ხელოვნურად პროვოცირებაში.

იმპერიული პოლიტიკის გამკაცრების გამოხატულება გახლდათ აფხაზეთის დაჩქარებული კოლონიზაცია. 1879-1884 წლებში დიდი რაოდენობით ჩამოსახლეს რუსები, სომხები, ბერძნები. აფხაზეთში დასახლეს აგრეთვე გერმანელები, ესტონელები, ქართველები და სხვები. ამ თემაზე საუბრისას სეპარატისტები განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველების ჩამოსახლებაზე, იაკობ გოგებაშვილის „პროგრამაზე“ ამახვილებენ³³⁷. ამასთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ვისაც აფხაზეთში შეღავათიან პირობებში ასახლებდნენ, ქართველები აფხაზეთის შიდა რაიონებში **ბრუნდებოდნენ**, საიდანაც მათი წინაპრები XVII საუკუნის ბოლოს გამოაძევეს; ხდებოდა ადამიანების გადასახლება, საქართველოს ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში, რომელიც საერთო მტერმა, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, უკაცრიელ ადგილად აქცია.

მანც რა მიზანი ამოძრავებდა საერთო მტერს, როცა იგი აფხაზეთიდან აფხაზებს დევნიდა და მის კოლონიზაციას ახდენდა? ამის თაობაზე გულახდილად საუბრობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის ერთ-ერთი იდეოლოგი ს. შარაპოვი. ეხებოდა რა აფხაზეთში ჩამოსახლებული რუსების მდგომარეობას, იგი წერდა: „რატომაა, რომ რუსი კაცი აქ ლალად ვერ გრძნობს თავს, რატომაა, რომ ის აქ შევიწროებულია, სულმეხუთულია? რატომაა უცხო ის ამ თბილ ნაპირზე, ამ კაშკაშა მზის ქვეშ? ვფიქრობ იმიტომ, რომ რუსული სიკეთის წყალობით აქ, ამ მიწაზე, რომელიც რუსული სისხლითაა მოპოვებული, მოკალათდა ყოველგვარი უცხოტომელი, განსახლდა საუკეთესო ადგილებზე და არა მარტო ავიწროებს რუს ადამიანს, არამედ დასცინის მას. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი.

337 О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 270-271.

ვისურვოთ, ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვატომობრივი და სხვადასხვაეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს“³³⁸.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აფხაზთა სრული გადაშენების ეს გეგმა თუ ვერ განხორციელდა, ეს არის თანამედროვე სეპარატისტების მიერ იაკობ გოგებაშვილის „პროგრამად“ შერაცხული და დაგმობილი გეგმის ნაწილობრივ შესრულების შედეგი. ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ აფხაზეთის რუსიფიკაციას ხელს უშლიან ქართველები, ამიტომ მთელი მისი პოლიტიკა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დისკრიმინაციისკენ იყო მიმართული. სოხუმის ოკრუგის უფროსი ვ. ა. ბრაკერი თავის „სამახსოვრო ჩანაწერებში სოხუმის ოკრუგში კოლონიზაციის შესახებ“ (1894 წ.) ცალკე პარაგრაფს უძღვნის ქართველების (მეგრელების) სოხუმის ოკრუგში ჩასახლების „თავისებურებებს“. ეს „თავისებურებები“ იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთში მათ ორჯერ ნაკლებ მინას აძლევდნენ ოჯახზე, ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ან შავი ზღვის გუბერნიაში ასახლებდნენ. „სამახსოვრო ჩანაწერების...“ დასკვნით ნაწილში, სადაც აფხაზეთის შემდგომი კოლონიზაციის გეგმაა ჩამოყალიბებული, ვ. ბრაკერი წერდა, რომ მოუწყობელ სოხუმის ოლქში უცხო ელემენტების ადრე დაშვებული ჩასახლება, რომელიც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიუხედავად, დღემდე გრძელდება, „აუცილებელია შეწყდეს ახლავე, განსაკუთრებით მეგრელების ჩასახლება. ამის თაობაზე უკვე გაცემული ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის³³⁹ სათანადო განკარგულება, რადგანაც ოკრუგში დასახლების მსურველთა რაოდენობა რუსეთის შიდა გუბერნიების მაცხოვრებლებში მუდმივად იზრდება. შესაბამისად, სასურველია შევინარჩუნოთ თავისუფალი მიწების რაც შეიძლება მეტი ფონდი მხოლოდ მკვიდრი რუსი ადამიანების დასახლებლად“³⁴⁰.

სოხუმის ოკრუგის მიმართ განსაკუთრებულ „მზრუნველობას“ იჩენდა 1898-1901 წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თევდორე გერშელმანიც. 1900 წლის 2 სექტემბერს შედგენილ მოხსენე-

338 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 263.

339 იგულისხმება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1890-1898 წლებში მ. შალიკოვი.

340 http://apsnyteka.org/1320-brakker_v_pamyatnaya_zapiska_o_kolonizatsii_v_sukhumskom_okruge.html

ბაში „სოხუმის ოკრუგში ქართული მოძრაობის შესახებ“ იგი წერდა: „ოკრუგის რუსულ კოლონიზაციას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს... აფხაზები უკიდურესად დაბალი კულტურის მქონე განუვითარებელი ხალხია როგორც გონებრივი, ისე კულტურული თვალსაზრისით... ქართული მოძრაობა სოხუმის ოკრუგში მხარის გარუსების დამუხრუჭებას ემსახურება“. სოხუმის ოკრუგის გარუსების მიზნით, თ. გერშელმანის აზრით, საჭირო იყო აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიებში და სკოლებში ქართული სამღვდელთა რუსებით, „შეძლებისდაგვარად აფხაზებით“ ჩანაცვლება, რაც შექმნიდა პირობებს „მომავალში ადგილობრივი მოსახლეობის რუსებთან შერწყმისთვის“. საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებაა – ქართული სამღვდელთა არა მხოლოდ რუსებით, არამედ აფხაზებით ჩანაცვლებაც ხელს შეუწყობდა რუსიფიკაციას!!! ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სიამაყით წერდა „სოხუმის ოკრუგში რუსული გავლენის გაძლიერების“ მიზნით უკვე მიღებული ზომების შესახებ: „1) უწმინდესი მართებული სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით განსაზღვრულია – სამრევლოებში ღმრთისმსახურება და ყველა ქრისტიანული წესი შესრულდეს სლავურ ენაზე; 2) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით ქართული ენის სწავლება აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში აკრძალულია; 3) სოხუმის მთიელთა სკოლის დაფუძნება უპირატესად აფხაზი ბავშვების აღსაზრდელად და მათთვის სახაზინო სტიპენდიების გამოყოფა სტავროპოლის გიმნაზიაში; 4) ღმრთისმსახურებისა და სასკოლო სწავლების თაობაზე მიღებული განკარგულებების შესრულებაზე საეპარქიო და ადმინისტრაციულ ხელისუფალთა ზედამხედველობის დაწესება; 5) ქართველთა შეზღუდვა სასოფლო საზოგადოებების მკვიდრ მოსახლეობად მიწერის უფლებაში, რომელიც ეძლევა იმათ, ვინც 1865 წლამდე ჩამოვიდა; 6) სოხუმის ოლქის კოლონიზაცია რუსი ადამიანებით“³⁴¹. თ. გერშელმანი წერდა ქართველების წინააღმდეგ მის მიერ განხორციელებულ კიდევ ერთ ზომაზე – სოხუმის ოკრუგში „ქართული პარტიის“ ლიდერების კავკასიიდან გასახლების თაობაზე 1900 წლის 28 ივლისს მთავარმართებლისთვის მოხსენების წარდგენის შესახებ.

სოხუმის ოკრუგის მცხოვრებთა გარუსების გზაზე მთავარ დაბრკოლებად ადგილობრივ ქართველებს მიიჩნევდა მთავარმართებელი

341 ა. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II. თბილისი, 1999, გვ. 71-85; Ф. Гершельман. Причины неурядиц на Кавказе. Санкт-Петербург, 1908, с. 6, 24 – 26, 30 – 35, 67 – 72, 78.

და მასთან არსებული საბჭოც. 1904 წლის 1 მაისს საბჭომ განიხილა აფხაზეთში ქართული მოძრაობის ლიდერების თედო სახოკიას, აკაკი ჩხენკელის, ანთიმოზ ჯუღელის, იოანე გეგიას და სხვათა საქმე, დაადანაშაულა რა ისინი „ქართული პარტიის“ წევრობაში, „რომელიც ეწინააღმდეგება ოკრუგის მოსახლეობის გარუსებისკენ მიმართულ სამთავრობო ღონისძიებებს“ და მიიღო გადაწყვეტილება კავკასიიდან მათი გასახლების შესახებ. იმავე საბჭომ მსგავსი „მიძიმე“ ბრალდება წაუყენა აფხაზეთში მოღვაწე ქართულ სამღვდელოებსაც, რომელიც „თავისი პოლიტიკური არასაიმედოობის გამო არა მხოლოდ არ თანაუგრძნობს ოკრუგის მოსახლეობის საჩქაროდ გარუსებისკენ მიმართულ მთავრობის ყველა სასიკეთო ღონისძიებას, არამედ თავის მხრივ ლიად ეწინააღმდეგება მას“³⁴². 1904 წლის 10 მაისს საბჭოს გადაწყვეტილებები კავკასიის მთავარმართველმა გ. გოლიცინმა (1896-1904) დაამტკიცა.

სამწუხაროდ, თანამედროვე სეპარატისტები არ ცდილობენ სოხუმის ოკრუგის უფროსის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და მთავარმართველის ზემოთმოტანილ განცხადებებსა და გადაწყვეტილებებში ასახული ოფიციალური ასიმილაციური სახელმწიფო პოლიტიკის მხილებას, რომელსაც მთავრობა აფხაზეთში რეალურად ახორციელებდა. სამაგიეროდ ერთხმად „აკრიტიკებენ“ ცნობილი საბავშვო მწერლისა და პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის საგაზეთო პუბლიკაციას, მის პირად მოსაზრებას აფხაზეთში ქართველების ჩასახლების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება არანაირ ყურადღებას არ აქცევდა, შესაბამისად, რეალურ პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენდა. კავკასიაში რუსული ხელისუფლების უმაღლესი დონის წარმომადგენლების ზემოაღნიშნულ განცხადებებსა და გადაწყვეტილებებში ფაქტობრივად დადასტურებულია ქართული მოსახლეობის ისტორიული მისია – რუსიფიკაციისაგან, ასიმილაციისაგან აფხაზეთისა და აფხაზების გადარჩენა. ეს იყო ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი ქართველების დისკრიმინაციის უმთავრესი მიზეზი³⁴³. ისტორიული სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ქართველთა დაბრუნებამ აფხაზეთში, ქართული სამღვდელოებისა და

342 ა. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II. თბილისი, 1999, გვ.130-132.

343 ამის შემდეგ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძღვებს სეპარატისტთა მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ქართველები აფხაზეთში კაზაკების როლს ასრულებდნენ და ამის გამო პრივილეგირებულ მგომარეობაში იმყოფებოდნენ. იხ.: О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 271.

ინტელიგენციის ძალისხმევამ ჩაშალა უცხოური კოლონიზაციის გზით აფხაზეთის რუსიფიკაციის იმპერიული გეგმა. ქართველთა თანადგომით აფხაზობა ჯერ გადაურჩა სრულ კატასტროფას – ერთიანად თურქეთში გადასახლებას; ამის შემდეგ სწორედ ქართველებმა იხსნეს სამშობლოში დარჩენილი აფხაზები, ს. შარაპოვის ზემოთმოტანილი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მძლავრ რუსულ მუცელში მოხარშვისაგან“. მოვა დრო და ყოველივე ამას ქვეყნარტი აფხაზობაც სათანადოდ დააფასებს. ის აუცილებლად დასვამს და თავადვე უპასუხებს კითხვაზე, თუ როგორ წარიმართებოდა აფხაზთა მომავალი არა ქართველების, არამედ რუსებისა და მისი ერთგული ერების მიერ აფხაზეთის ეთნიკურად ათვისების შემთხვევაში?

კოლონიზაციის შედეგად აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარება შეიცვალა. 1886 წლის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 68 700 ადამიანს შეადგენდა, 1914 წლისთვის იგი 2.5-ჯერ გაიზარდა და 181 382 გახდა. აქედან რუსების რაოდენობამ (შესაბამისად, 971 და 18097) თითქმის 20-ჯერ იმატა, სომხებისამ (შესაბამისად, 1049 და 13038) – დაახლოებით 12-ჯერ. ბერძნების რაოდენობა 1886 წელს 2149 ადამიანს შეადგენდა, 1914 წლის მონაცემებში კი ბერძნები „ევროპულ ხალხებში“ იგულისხმებიან (სულ 13784 ადამიანი³⁴⁴). მათ შორის, ცხადია, ყველაზე მრავალრიცხოვანი ბერძნები იყვნენ. ხელოვნურად მახინჯდებოდა და დღემდე მახინჯდება აფხაზეთში ქართულ – აფხაზური მოსახლეობის თანაფარდობა. 1886 წლის მონაცემებით, სოხუმის ოკრუგში 28 000 აფხაზი, 30 600 სამურზაყანოელი და 4166 ქართველი ცხოვრობდა. სეპარატისტები სამურზაყანოელებს მთლიანად აფხაზებს მიაკუთვნებენ და აქედან ხელოვნურად გამოჰყავთ მათთვის სასურველი ციფრები და პროცენტები. ამგვარი ხელოვნური ჩარევისაგან თავისუფალი 1914 წლის სტატისტიკა უფრო ზუსტ სურათს იძლევა, რომლის მიხედვითაც, „მთიელები და აფხაზები“ შეადგენდნენ 45705, „ქართველური ტომები“ კი – 70114 ადამიანს³⁴⁵.

სეპარატისტები ხშირად იშველიებენ 1897 წლის ოფიციალური აღწერის შედეგებს და ამტკიცებენ, რომ იმ პერიოდის სოხუმის ოკრუგში მცხოვრები 114177 კაციდან მხოლოდ 28347 იყო ქართველი,

344 სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს მტკიცება, თითქოს ბერძნული მოსახლეობა აფხაზეთში 1915 წელს 48 ათას კაცს შეადგენდა. იხ. Н. Н. Иоаниди. 1949 год (технология преступления). Сухуми, 2006, с.10.

345 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 719, 790; О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 272.

აფხაზთა რაოდენობა კი – 58853. სინამდვილეში, 1897 წლის აღწერის მასალებში აფხაზი ეთნოსი საერთოდ არ ფიგურირებს. მასში მითითებულია „კავკასიელი მთიელები და ჩერქეზები“. ამ გაურკვეველ ეთნოსში არა მხოლოდ აფხაზები და სხვა კავკასიელები, არამედ სამურზაყანოელი ქართველებიც იგულისხმებოდნენ, რამაც სრულიად დაამახინჯა აღწერის შედეგები. ასე მაგალითად, 1897 წლის აღწერის მიხედვით, სოხუმის ოკრუგში მცხოვრები 58853 „კავკასიელი მთიელიდან და ჩერქეზიდან“ 51366 ქრისტიანი ყოფილა. იმავე აღწერის თანახმად, სოხუმის ოლქში „მთიელი და ჩერქეზი“ მართლმადიდებელი მღვდლებისა და მათი ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობა 102 ადამიანს შეადგენდა³⁴⁶. თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს აფხაზური მოსახლეობის უმრავლესობა წარმართობას ან მაჰმადიანობას მისდევდა, აგრეთვე იმ ფაქტსაც, რომ სოხუმის ოკრუგში მხოლოდ ორი აფხაზი ეროვნების მღვდელი მოღვაწეობდა, დავინახავთ იმპერიული ოფიციალური სტატისტიკის სრულ სიყალბეს. ეს კომიკური მონაცემები სამურზაყანოელების „კავკასიელ მთიელებად და ჩერქეზებად“ გასაღების მცდელობის შედეგად იყო მიღებული. სეპარატისტები დღემდე თავს იტყუებენ მსგავსი ცრუ სტატისტიკით. სამწუხაროდ, ზოგიერთი მკვლევარი XIX საუკუნის დასასრულის ყალბი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე XXI საუკუნის დასაწყისში „ადგენს“, რომ სამურზაყანოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თითქოს აფხაზური ცნობიერების მატარებელი იყო³⁴⁷(?!).

სამურზაყანოელთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი დავის საგანი მხოლოდ რუსეთის იმპერიაში გახდა. მთელი ისტორიის მანძილზე ისინი იყვნენ და დარჩნენ ქართველებად. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, როცა შარვაშიძეებმა სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიკავეს, იქ ქართველები ცხოვრობდნენ და ქართული ეკლესია ფუნქციონირებდა. ცნობილია მდ. ენგურსა და კოდორს შორის XVI-XVIII საუკუნეებში მცხოვრები ასობით ადამიანის სახელი და გვარიც კი, საიდანაც ნათლად ჩანს ქართული ეთნოსისადმი მათი კუთვნილება³⁴⁸. მდინარე ენგურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობა წინა პარაგრაფებში განხილულ უამრავ ქართულ

346 Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г. L XVI. Кутаисская губерния, 1905, с. VIII, 1-3, 90-93, 114-116, 142-143, 288-291; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 593-594.

347 Т. А. Ачугба. Этническая история абхазов XIX-XX веков. Сухуми, 2010, с. 163.

348 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 165-167.

და უცხოურ წყაროშია დაფიქსირებული (იხილე ნაწილი I. 1, 5; III. 1, 2), თუმცა დამატებით კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ. სამეგრელოში მყოფი კათოლიკე მისიონერის ლუი დე გრანჟიეს მიერ 1615 წლის 2 მარტს მოქვეში დაწერილ მოხსენებაში, ნათქვამია, რომ იმ მხარეში სამოღვაწეოდ საჭიროა მეგრულისა და სამწიგნობრო ქართულის ცოდნა³⁴⁹. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, აფხაზურის ცოდნის აუცილებლობაზე მოხსენების ავტორი არ საუბრობს.

ამასთანავე, ცნობილია იმის შესახებაც, რომ ყვაპუ შარვაშიძემ, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მდინარე ლალიძგიდან მდინარე ენგურამდე ტერიტორიას მართავდა, უფროსი ძმის როსტომის სამფლობელოდან – ბზიფიდან თავად-აზნაურული გვარის წარმომადგენლები გადმოასახლა. ესენი იყვნენ: ანჩაბაძეები, ემუხვარები, ინალიშვილები, მარლანიები, ზვანბაიები, ლაკერბაიები და აქირთავეები. სამურზაყანოში ჩამოსახლდა შარვაშიძეთა ერთი შტოც. თავად-აზნაურებს ჩამოჰყვათ დაბალ ნოდებას მიკუთვნებული ზუხბაიები, კაკუბავეები, ყოლბაიები, აკიშბაიები, ბუთბაიები, ქეცბაიები, ეზუგბაიები, წარალბაიები, წუშბაიები, ცხუცხუბაიები, ქირთბაიები, თარბაიები, ივანბაიები, ხინთბაიები, ქვაცაბაიები. ისინი სამურზაყანოს სხვადასხვა სოფლებში დამკვიდრდნენ და იოლად შეერწყნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, რადგანაც გადმოსახლებულთა უმეტესობა ქართველი აფხაზები იყვნენ, მცირე ნაწილს კი აფსუა-აფხაზები შეადგენდნენ³⁵⁰. XVII საუკუნის ბოლოს სამურზაყანოში აფხაზთა ჩამოსახლების შესახებ კარგად იყო ცნობილი თვით რუსული ისტორიოგრაფიისთვისაც; ცნობილი იყო, რომ ისინი გადმოსახლებულან „არა ცალკეული ოჯახების მიხედვით, არამედ მთელი ორგანიზებული თემებით“³⁵¹.

სამურზაყანოს ადმინისტრაციული კუთვნილების საკითხი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, XVII საუკუნის დასასრულიდან დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტომობრივ კავშირზე კი რუსული ხელისუფლება იშვიათად საუბრობდა. კავკასიაში მეფისნაცვლის ა. ბარიატინსკის 1857-1859 წლების ანგარიშის მიხედვით, სწორედ ტომობრივი კავშირები, გახდა გადამწყვეტი, როდესაც მეფისნაცვალმა სამურზაყანო (ასევე სვანეთი) სამეგრელოს დაუქვემდებარა³⁵². იმავე ანგარიშში ა. ბარიატინსკი სამურზაყანოს

349 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 163.

350 ვ. ზუხბაია. გალი. თბილისი, 2002, გვ.73.

351 Утверждение русского владычества на Кавказе, т. XII. Тбилиси, 1902, с.417.

352 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. XII.

მოსახლეობას სამეგრელოს მიაკუთვნებს. აღნიშნული მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების თემა აქტუალური გახდა XIX საუკუნის 60-იან წლების შუახანებში, როცა სამურზაყანო სოხუმის სამხედრო განყოფილების შემადგენლობაში შევიდა. მაშინ გამოქვეყნდა დეკანოზ დ. მაჭავარიანისა და გენერალ ნ. ბარტოლომეის წერილი „ზოგი რამ საურზაყანოს შესახებ“ («Нечто о Самурзакани»). ავტორების აზრით, სამურზაყანოელები ქართველთა და აფხაზთა ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდნენ, თუმცა გვარების მიხედვით, უფრო აფხაზებს მიეკუთვნებოდნენ³⁵³. სამურზაყანოელთა „არაქართველობა“ ირიბად „ასაბუთებდა“ აფხაზეთისა და სამურზაყანოს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოქცევის მიზანშეწონილობას. სამურზაყანოს პრობლემამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა მაშინ შეიძინა, როდესაც რუსეთის მთავრობამ აფსუა-აფხაზთა ნაწილი თურქეთში გადაასახლა და სოხუმის ოკრუგის რუსიფიკაციის გზას დაადგა. ხელისუფლება ამ თემას ქართველთა და აფხაზთა პოზიციების დასუსტების, როგორც ერთზე, ისე მეორეზე ზეწოლის გაძლიერების, მათ შორის დაპირისპირების გაღრმავების, საბოლოო ჯამში კი ასიმილაციის დაჩქარების მიზნით იყენებდა.

აფხაზეთ-სამეგრელოსთან მიმართებაში ამა თუ იმ ეტაპზე იმპერიის კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, რუსული მთავრობისთვის სამურზაყანოელები ხან ქართველები იყვნენ, ხან ცალკე ეთნოსს წარმოადგენდნენ, ან კიდევ აფხაზებად ცხადდებოდნენ. 1892 წელს გაზეთში „კავკაზ“ (№77) გამოქვეყნდა ი. პანტიუხოვის აშკარად „ზემოდან“ დაკვეთილი წერილი „სამურზაყანოელები“. მასში საუბარია, რაღაც „კვლევის“ შესახებ, რომლის შედეგად თურმე „დადგინდა“, რომ სამურზაყანოელები თმისა და თვალის ფერით, სიმაღლით, ახალგაზრდებში ქალარის სიმრავლით, თავისა და გულმკერდის ზომის მიხედვით მეგრელებისაგან განსხვავდებიან. ავტორის მტკიცებით, „სამურზაყანოელ მეგრელთა ტიპი უფრო ახლოსაა აფხაზის შერეულ ტიპთან, მაგრამ არ შეიძლება ისინი სუფთა აფხაზებად ჩავთვალოთ, თუნდაც იმიტომ, რომ სამურზაყანოელი მეგრელები საშუალოდ უფრო მაღლები, ფიზიკურად და გონებრივად აფხაზებზე მეტად განვითარებულები არიან“. წერილის ავტორის მთავარი „დასკვნა“ კი

Тбилиси, 1904, с. 1321.

353 Записки Кавказского Отделения Императорского Русского Географического Общества книга IV. Тифлис, 1864. Смесь, с. 75. ანალოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამდა სოხუმის ოლქის უფროსი ა. ვედენსკიც. – იხილეთ: Сборник сведений о Кавказских горах. Выпуск VI. Тифлис, 1872, с. 14-16.

იმამი მდგომარეობდა, რომ სამურზაყანოს მოსახლეობას „ჰქონდა და აქვს ფიზიკური ორგანიზაციის საკუთარი თავისებურებანი, რომლებიც განანსხვავებენ მას მეზობელი აფხაზებისაგან და მეგრელებისაგან“. როგორც ვხედავთ, „კვლევის“ მიხედვით, სამურზაყანოელები არიან და კიდევაც არ არიან მეგრელები; არიან და კიდევაც არ არიან აფხაზები. 1894 წელს სოხუმის ოკრუგის უფროსი ვ. ბრაკერიც შეეხო ამ თემას და „დაასკვნა“, რომ სამურზაყანო „ამჟამად თითქმის გამეგრელა“³⁵⁴. სამურზაყანოელთა „ქომაგების“ ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. ასე მაგალითად, ვინმე „სამურზაკანეც“-ის მიერ 1897 წელს გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ში გამოქვეყნებული წერილის თანახმად, სამურზაყანოელთა ვითომ „გამეგრელება“ არა „ამჟამად“, არამედ შორეულ წარსულში – XIV საუკუნის შემდგომ პერიოდში მომხდარა. როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ოსმალები გაბატონდნენ, წერილის ავტორის მტკიცებით, მთიელებს, გარდა სამურზაყანოელებისა, მაჰმადიანობა მიუღიათ. თურმე ამის შემდეგ სამურზაყანოელები რელიგიურ ნიადაგზე აფხაზებს გამოეყვნენ, მეგრელებს დაუახლოვდნენ და ენაც მათი შეითვისეს³⁵⁵.

1899 წლის 22 თებერვალს (6 მატს), გაზეთში „სანკტ-პეტერბურგ-სკიე ვედომოსტი“ გამოქვეყნდა წერილი „სოხუმი“. მასში საუბარია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის, პირველ რიგში, სამურზაყანოელების დისკრიმინაციის, ხელისუფლების მიერ მათი არაქართველებად გამოცხადების, მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლებისა და ღმრთისმსახურების აკრძალვის შესახებ. წერილის ავტორი, რომლის ვინაობა უცნობია, აღნიშნავს, რომ სამურზაყანოელები – ქართველები არიან, რომ ეს მხარე იყო და რჩება სამეგრელოს ნაწილად; რომ სამურზაყანოში მცხოვრები 40299 ადამიანიდან მხოლოდ 800 მეტყველებს აფხაზურად, დანარჩენები კი ქართული ენის მეგრულ დიალექტზე საუბრობენ და ა. შ. აღნიშნულ პუბლიკაციას იმავე წლის აპრილ-ივნისში გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ფურცლებზე მოჰყვა პირველი ღია დისკუსია პედაგოგ კონსტანტინე მაჭავარიანსა და მამა ამბროსი ხელაიას შორის. ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. ამბროსი ხელაია ასაბუთებდა, რომ სამურზაყანოელები ქართველები არიან; ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სამურზაყანოელებს აფხაზებს მიაკუთვნებდა კონსტანტინე

354 http://apsnyteka.org/1320-brakker_v_pamyatnaya_zapiska_o_kolonizatsii_v_sukhumskom_okruga.html

355 Абхазия и абхазы в Российской периодике (XIX – начале XX вв.), кн. II. Составители Агуажба Р. Х., Ачугба Т. А. Сухуми, 2008, с. 468.

მაჭავარიანი³⁵⁶.

ქართული ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე რუსული ხელისუფლება ცდილობდა ქართველი ერის დასუსტებას, მისი ეროვნული და ტერიტორიული ერთიანობის მოშლას მეგრელების, სვანებისა და სამურზაყანოელების არაქართველებად გამოცხადების, ასევე ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ხელოვნურად გამწვავების გზით. მუშაობა ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ამხელდა რა ამ პოლიტიკას, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სოხუმის მკვიდრი თედო სახოკია 1905 წელს წერდა, რომ სამურზაყანოელების „ნათესაობა ქართველებთან (მეგრელებთან) ყოველ ეჭვს გაერეშა“, რუსული ბიუროკრატია კი უარყოფდა „ყოველს ისტორიულს, ეთნოგრაფიულს და ლინგვისტურ საბუთებს, რომელნიც ამკარად ამტკიცებენ სამურზაყანოელთა მეგრულ ჩამომავლობას და, მაშასადამე, მათს ნათესაობას ქართველებთან. ერთი მხრივ, ამ ნათესაობას უარყოფს და, მეორეს მხრივ, სამურზაყანოელთა აფხაზებს უნათესავეებს და თანაც გაიძახის, რაკი სამურზაყანოელნი მეგრელები კი არა აფხაზები არიან..., მათთვის ქართული ენა საჭირო არ არისო; რაკი სამურზაყანოელნი აფხაზები არიან და აფხაზებს საკუთარი მწერლობა არა აქვთ, სამურზაყანოელებმა ისევ რუსული ენა ისწავლონო. „ასწავლიან“ კიდევ რუსულ ენას.

... ადგილობრივი მთავრობა რომ არ აბრკოლებდეს ქართულ წერა-კითხვის გავრცელებას საქართველოს ამ პროვინციაში, სადაც ქართული ლაპარაკი, როგორც ქართველთა მონათესავეთ, თითქმის ყველას ემარჯვება, ქართული წერა-კითხვა ადვილად გავრცელდებოდა და ქართული მწერლობა შეძლებისა და გვარად საგრძნობელ სამსახურს გაგვიწევდა ამ მხარის გონებრივად ამაღლების საქმეში. თორემ ახლა სამურზაყანოელთა სამშობლო (ქართულ) ენაზედაც უმლიან გონების განვითარებას და ვეღარც რუსულ ენაზედ ანათლებენ და არამც თუ ვერ ანათლებენ..., აძულებენ სკოლას და მნიგნობრობას, გონებრივად ამახინჯებენ, ზნეობრივად აქვეითებენ, ქართველობას ამორებენ, გადაამენების გზაზე აყენებენ³⁵⁷. ამ მიმე ვითარებაში სამურზაყანოელები სწავლა-აღზრდის ხალხური წესების, საოჯახო

356 წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი. თბილისი, 2006, გვ. 64-68, 422-439; ჯემალ გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის. თბილისი, 2012, გვ. 30-31.

357 სოხუმელი (თედო სახოკია-ჯ.გ.). სკოლა, ქართველები და ქართული ენა. სკოლა აფხაზეთში. – გაზ. ცნობის ფურცელი, 1905, 1 აპრილი.

განათლების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ახერხებდნენ ქართულ ენაზე განათლების მიღებას, ქართული ცნობიერების შენარჩუნებას. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ ადგილობრივი პედაგოგები და სასულიერო პირები³⁵⁸.

სამურზაყანოელების ქართველებისაგან განცალკევებისა და აფხაზებთან ერთად მათი ასიმილაციის სახელმწიფო პოლიტიკა საკმაოდ ვრცლად არის ასახული 1907 წელს მოსკოვში ლ. ვორონოვის ავტორობით გამოცემულ ბროშურაში „აფხაზეთი საქართველო არ არის“, აგრეთვე ქუთაისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის თ. გერშელმანის წიგნში „კავკასიაში არეულობის მიზეზები“, რომელიც 1908 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა³⁵⁹. ლ. ვორონოვი (ისევე როგორც თ. გერშელმანი) სამურზაყანოელებს აფხაზებად მიიჩნევს და აცხადებს, რომ „განსაკუთრებული ისტორიული პირობების ზეგავლენით, ახლხან მათ დაკარგეს (მაგრამ არა ყველამ) მშობლიური ენა და მეგრულად დაიწყეს საუბარი“³⁶⁰. რომელ „ისტორიული პირობებზეა“ საუბარი და კონკრეტულად როდის „დაკარგეს“ სამურზაყანოელებმა „მშობლიური ენა“ (ანუ აფხაზური), ავტორი არაფერს ამბობს. ცხადია, ვერც იტყოდა. 1907 წლამდე სამურზაყანოელების მიერ აფხაზური ენის ვითომ დაკარგვის თაობაზე ლ. ვორონოვის ვერსია წინააღმდეგობაში მოდის ცნობილი სეპარატისტის სიმონ ბასარიას მოსაზრებებთან. ეყრდნობა რა, ბროშურას „აფხაზეთი საქართველო არ არის“, ის წერს სამურზაყანოელთა (მისი აზრით, აფხაზთა) „ასიმილაციის“ შესახებ. ამასთანავე აღნიშნავს, რომ 1914 წელს სამურზაყანოში 35639 აფხაზი ცხოვრობდა და მხოლოდ 3915 ქართველი; „ასიმილაცია“ კი 1917 – 1920 წლებში განხორციელდა³⁶¹. გამოდის, რომ 3915 ქართველს რაოდენობრივად მასზე 10 ჯერ მეტი აფხაზის ასიმილაცია მოუხდენია(!). ასეთ აბსურდთან გვაქვს საქმე. როგორც ვხედავთ, ორი „თანამოაზრე“ ავტორის „დასკვნები“ ერთმანეთს გამორიცხავენ. იმ შემთხვევაში, თუ კიდევ ვირწმუნებთ ვ. ბრაკერის ზემოთმოტანილ მტკიცებას 1894 წლისათვის სამურზაყანოელთა „გამეგრელების“ შესახებ, ცხადი გახდება სამურზაყანოს მკვიდრთა ეთნიკური კუთვნილების თემის ხელოვნურობა და არასერიოზულობა.

358 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 273.

359 Л. Воронов. Абхазия-не грузия. Москва, 1907; Ф. Гершельман. Причины неурядиц на Кавказе. Санкт-Петербург, 1908.

360 Л. Воронов. Абхазия-не грузия. Москва, 1907, с. 23-24.

361 С. Басария. Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении. Сухуми, 1924, с. 37, 101-103.

ყველა დროისა და ყველა ჯურის ანტიქართველებს სამურზაყანოელთა „გამეგრელების“ თუ „გაქართველების“ საკუთარი ვადები აქვთ „დადგენილი“. თანამედროვე ოკუპირებულ აფხაზეთში ამ „მოვლენას“ საბჭოთა პერიოდით – 20-30-იანი წლებით ათარიღებენ³⁶². როგორც ვხედავთ, ქართველების მიერ სამურზაყანოელთა „ასიმილაციის“ ვადები საუკუნეებს მოიცავს (XIV საუკუნის შემდგომი პერიოდიდან XX საუკუნემდე), რაც უკვე თავისთავად მეტყველებს აღნიშნული თემის სრულ აბსურდულობაზე. მთელი ამ სიყალბის „დასაბუთება“ ხდებოდა და ხდება არა საუკუნეების მანძილზე შექმნილი და პოლიტიკურად სრულიად ნეიტრალური ქართული თუ უცხოური წყაროების, მათ შორის სამურზაყანოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან შექმნილი ქართული (მხოლოდ ქართული) წერილობითი ძეგლების გამოყენებით, არამედ პოლიტიზირებული, მცირე ერების ასიმილაციაზე გათვლილი XIX-XX საუკუნეების ცრუ იმპერიული სტატისტიკის საფუძველზე. სოხუმის ოკრუგში ქართველთა დევნა-შევიწროება, მათ შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამახინჯება აფხაზეთა (ასევე ქართველთა) რუსიფიკაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. „ქართველების მოძრაობა, – აცხადებდა სოხუმის ეპოსკოპოსი არსენ იზოტოვი, – დიდად აბრკოლებს აფხაზეთის გარუსების და გადაგვარების საქმეს“³⁶³. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო სოხუმის ოკრუგის ქართველების, შეიძლება ითქვას, ერთადერთი, მაგრამ ძალიან „მძიმე დანაშაული“. ამასი შეუძლებელია არ დაეთანხმო ქართველთა მოძულე ეპოსკოპოსს.

სწორედ ქართველი მოღვაწეები უჭერდნენ მხარს აფხაზურ ენაზე დამწერლობისა და ღმრთისმსახურების შემოღებას. აფხაზურს, „როგორც დამოუკიდებელ ენას, ... უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“³⁶⁴, – წერდა სეპარატისტების მიერ ლამის აფხაზეთა მტრად შერაცხული იაკობ გოგებაშვილი. სოხუმელ ქართველებსა და აფხაზებს იგი მოუწოდებდა გაერთიანებული ძალებით შეედგინათ და დაებეჭდათ აფხაზური დედა-ენა. თუ კი ამას ადგილზე ვერ მოახერხებდნენ, იაკობ გოგებაშვილი მზად იყო აფხაზური დედა-ენა თბილისში ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხარჯებით გამოეცა³⁶⁵.

362 Т. А. Ачугба. Этническая история ахазов XIX-XX веков. Сухуми, 2010, с. 166.

363 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 597.

364 იაკობ გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 4. თბილისი, 1955, გვ. 200.

365 იაკობ გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 1. თბ., 1952, გვ. 157; ტ. 4, გვ. 174.

სამწუხაროდ, რუსული მთავრობა ქართველებს სპეციალურად არ ინვესტა კომისიებში, რომლებიც სხვადასხვა დროს აფხაზური დამწერლობის თუ სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობდნენ. ამასთან დაკავშირებით, ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშია გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორც არის დამწერლობის შექმნა აფხაზურ ენაზე“, რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზებისა და ქართველების დასაპირისპირებლად გამოიყენა. შესაბამის კომისიას, – წერდა ნიკო ჯანაშია, – აფხაზური ენის აღიარებული სპეციალისტი პეტრე ჭარაიაც კი სათოფეზე არ გააკარეს, „აქაო და ქართველიაო. უშლის ქართველობა ამაში რასმეს? რა თქმა უნდა, არა. ქართველებს თავის ზურგზე ძალიან კარგად გამოუცდიათ თუ რა არის ეროვნული დევნა, და ეს მწარე გამოცდილება თავმდება იმისა, რომ თვითონ არ იკისრებს იმავე ჯალათის როლს, მერე ჯალათის არა ერთი ადამიანისა, არამედ მთელი ხალხისას! და რამდენადაც საქმესთან გაცნობილი ვარ, ჯერ ერთს ქართველს არ უთქვამს: „აფხაზნო, ნუ გინდათ საკუთარი მწერლობა, ჩვენი იკმარეთ“. პირიქით, ეპისკოპოს კირიონს არ დააცალეს, თორემ უნდა სერიოზულად მოეკიდა ამ საქმისთვის ხელი, გაისხენეთ ბატონ გოგებაშვილის წერილიც“³⁶⁶.

იაკობ გოგებაშვილი, რომელიც კატეგორიულად მხარს უჭერდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას, მშვენივრად ხედავდა, თუ რა აფერხებდა აფხაზურ ენაზე განათლებისა და ღმრთისმსახურების შემოღებას. იგი წერდა: „ამჟამად აფხაზებს ორი მოტროფალე ჰყავს, ერთნი სცდილობენ სრულიად დააშორონ იგი საქართველოს, გაიმარტოვონ, გადაიბირონ თავისკენ. მეორენი მონატრებულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან“. საქართველოსაგან ჩამოშორებამ აფხაზები კატასტროფამდე მიიყვანა, „მოზრდილი ერის ნაცვლად ერთ მუჭა თემად იქცა, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკანებმა გააცალკევეს, გაიმარტოვეს და მოსწყვიტეს საქართველოს“. მწერლისა და პედაგოგის აზრით, განწყვეტილი ისტორიული კავშირის აღდგენა ქართველებთან „ნელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს“³⁶⁷.

მიუხედავად ხელისუფლების ვერაგული მიზნებისა, ორ მონათე-

366 დროება, 1909, 18 დეკემბერი.

367 იაკობ გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 4, გვ. 174-175, 200; ტიტე სარიშვილი. იაკობ გოგებაშვილის ეროვნული პროგრამა და საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა აღზრდა-განათლების საკითხები. თბილისი, 1990, გვ.52-85.

სავე ხალხს შორის კავშირების აღდგენას და შენარჩუნებას უზრუნველყოფდა აფხაზ და ქართველ მოღვაწეებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა. შთამომავლობისთვის სამაგალითო გიორგი შარვაშიძისა (1847-1918) და აკაკი წერეთლის (1840-1915) მეგობრობა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა აფხაზეთში საქართველოს „უგვირგვინო მეფე“ ილია ჭავჭავაძე. 1903 წლის მაისში ის ჯერ გაგრამი პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მიწვევით ქართული სკოლის გახსნაზე იმყოფებოდა, იქიდან კი 22 მაისს სოხუმში ჩამოვიდა. მისი მასპინძლები ქართველები და აფხაზები იყვნენ, მათ შორის თედო სახოკია, ივანე მიმინოშვილი, მამო ანჩაბაძე, ანტონ ჩუკბარი. ილიას პატივსაცემად სუფრა ალექსანდრე და ივანე შარვაშიძეების სახლში გაიმართა. გაგრამი ალექსანდრე ოლდენბურგელთან სტუმრობისას მიღებული შთაბეჭდილებებისა და სოხუმში ნანახის ზეგავლენით, ილიამ სუფრასთან წარმოთქმულ სადღეგრძელოში ბრძანა: „დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მინა-წყალს ხმლით ვინახავდით და, ასეა თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო, დღეს სხვა მტერი მოდის... იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზარავი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნებ მადლობელიც გაუხდეთ. კიდე ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეინარჩუნოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენდა შვილთა და ახლობელთა საბედნიეროდ და თავმოსაწონად“³⁶⁸.

ილია ჭავჭავაძის სიტყვები უხმლოდ და უსისხლოდ აფხაზეთის დაკარგვის საფრთხის შესახებ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 1903 წელს სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან გამოიყვანეს და უშუალოდ კავკასიის მთავარმართებელს დაუქვემდებარეს; იმპერატორის 1904 წლის 25 დეკემბრის ბრძანებით კი, მისი ნათესავის ალექსანდრე ოლდენბურგელის მიერ აშენებული და 1903 წლის 9 იანვარს გახსნილი გაგრის კლიმატოლოგიური სადგური სოხუმის ოკრუგს გამოეყო და შავიზღვისპირეთის გუბერნიას შეუერთდა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო უფრო შორს მიმავალი გეგმის განხორციელების გზაზე. რუსეთის სახელმწიფო საბჭოში უკვე იდო პროექტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ოკრუგი (სამურზაყა-

368 ივერია, 1903, 28 ივნისი; ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 274.

ნოს გამოკლებით) შავიზღვისპირეთის გუბერნიის ნაწილი ხდებოდა, სამურზაყანო კი ზუგდიდის მაზრას გადაეცემოდა³⁶⁹. აღნიშნული პროექტი ხელისუფლებამ ვერ განახორციელა, მაგრამ ეს საკითხი 1917 წლამდე დღის წესრიგიდან არ მოხსნია.

რუსული ხელისუფლება აფხაზთა მიმართ „მათრახისა და თაფლისკვერის“ პოლიტიკას ატარებდა. მუჰაჯირობის შედეგად აფხაზობა იმდენად დასუსტდა, რომ რეალურ პოლიტიკურ ძალას და იმპერიისთვის საფრთხეს (მით უფრო ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ) ის უკვე აღარ წარმოადგენდა. ამ ვითარებაში მთავრობა ცდილობდა აფხაზთა უკმაყოფილების მიმართვას რეგიონში დემოკრატიული და ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდის – ქართველების წინააღმდეგ. ქართველებისაგან აფხაზთა იზოლირება, ამ ორი ხალხის დაპირისპირება, მათ შორის შუღლის ჩამოგდება იქცა სოხუმის ოკრუგში რუსული პოლიტიკის ქვაკუთხედად. „გათიშე და იბატონეს“ იმპერიულმა პოლიტიკამ პირველი რეალური შედეგები რუსეთის 1905-1907 წლების დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში გამოიღო. აფხაზური მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა მაშინ არა რევოლუციას, არამედ თვითმპყრობლობას დაუჭირა მხარი. ამ უცნაური მოვლენის მიზეზი აფხაზური საზოგადოების სოციალური წყობის თავისებურებებში, კერძოდ, სოციალური ჩაგვრისა და კლასობრივი დაპირისპირების არარსებობაში, ცარიზმის მიზანმიმართულ ანტიქართულ პოლიტიკაში, აფხაზობის რუსიფიკაციაში, 1880 წელს წართმეული უფლებების აღდგენისკენ ბუნებრივ მისწრაფებაში უნდა ვეძიოთ. „გამოვიდა მოულოდნელი კაზუსი, როგორ მოხდა, აფხაზები – „ცნობილი მეამბოხენი“, უეცრად იყვნენ მშვიდად და ეს მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი მღელვარებაშია, – წერდა გიორგი შარვაშიძე...- ვერ გაუგებ ამ ხალხს. მუდამ აკეთებენ იმას, რასაც არანაირად არ ელოდები... მათთვის ჯერ კიდევ ფეოდალიზმი გრძელდება, საჭიროა მათში ამ განცდის აღმოფხვრა, რადგან სასაცილოა, ჩვენს დროში გყავდეს სახელმწიფოში ხალხი ფეოდალური წყობილების ყოფითი სისტემით... რევოლუციურმა პროპაგანდამ აქ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან აქ არ არსებობდა წოდებრივი დაპირისპირება“³⁷⁰.

1906 წლის მაისში კავკასიაში მეფისნაცვლის საბჭომ თავის სხდომაზე აღნიშნა, რომ აფხაზური მოსახლეობა, რომელიც დამნაშავის სახელს ატარებს, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, მთავრობისად-

369 ცნობის ფურცელი, 1900, 18 აპრილი.

370 გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2. ქუთაისი, 2006, გვ. 301.

მი ლოიალობით გამოირჩევა და რევოლუციურ გამოსვლებში არ მონაწილეობს. აფხაზთა ამგვარი განწყობა ხელისუფლებამ სათავესოდ, რევოლუციური მოძრაობის, მისი ავანგარდის – ქართველების წინააღმდეგ გამოიყენა. იმდროინდელი პრესა აჭრელეული იყო ინფორმაციებით აფხაზეთში შექმნილი მძიმე ვითარების, მოსალოდნელი სისხლისღვრის შესახებ. ხელისუფლება ამ შემთხვევაში წამქეზებლის როლში გამოდიოდა. მისი მეცადინეობით, აფხაზურ მოსახლეობაში მიზანმიმართულად ვრცელდებოდა ჭორები თითქოს ქართველები აფხაზთა მიწების ხელში ჩაგდების მიზნით გეგმავდნენ მათ ამოწყვეტას. ლიად მიმდინარეობდა აფხაზთა დამუშავება: „თქვენ მშვიდი, კეთილი და წესიერების მოყვარული ხალხი ხართ, – ეუბნებოდნენ მათ, – თქვენგან არავითარი უნესობა არ არის მოსალოდნელი, დარწმუნებული ვართ, არც იქნებაო. მაგრამ თქვენი მეზობელი ქართველები სანდონი არ არიან; იმათგან თქვენს დასაღუპავად რასმე უნდა მოველოდეთ, ამიტომ „ჰკა მაგათაო“. დარწმუნებული იყავით, ამისათვის ჯილდოს მეტი სხვა არაფერი გელითო“³⁷¹. მსგავსი ცნობები იბეჭდებოდა სხვადასხვა ქართულ და რუსულ გაზეთებში.

ვითარების რამდენადმე განმუხტვა და სისხლისღვრის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა 1905-1908 წლებში სოხუმის ოკრუგის უფროსის ლევან ჯანდიერის (1845-1922) მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად. აფხაზეთში უმაღლეს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ცნობილი და გამოცდილი ქართველი თავადის დანიშვნა დემოკრატიული რევოლუციის აღმავლობამ და მასში ადგილობრივ ქართველთა აქტიურმა მონაწილეობამ განაპირობა. ოკრუგის უფროსის ამოცანა ქართველთა დაშოშმინება იყო, რასაც მან თავი გაართვა. თანამდებობიდან მისი განთავისუფლება, პირიქით, რევოლუციის დამარცხებას და რეპრესიების დაწყებას უკავშირდება. ლევან ჯანდიერის გადაყენება რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროში მოკალათებულმა შოვინისტებმა ვითომ აფხაზთა „გაქართველების“ თავიდან აცილების მიზნით მოითხოვეს; თანამდებობა მან 1909 წლის იანვარში დატოვა და სოხუმის ქალაქის თავის სავარძელში გადაინაცვლა. იმავე წლის 7 თებერვალს შოვინისტებს პასუხი გასცა დუმის წევრმა პროკოფი შარვაშიძემ, რომელმაც განაცხადა: ლევან ჯანდიერმა, რომელიც „იცნობდა ადგილობრივ ცხოვრებას და მოსახლეობას, თავისი იშვიათი ადმინისტრაციული ტაქტით რევოლუციის მძიმე წლებში მოახერხა ოკრუგში ხელისუფლების პრესტიჟის შენარჩუნება და მხოლოდ ღრმა სინანულს გამოვხატავ იმ თანამდებობიდან მისი

371 ცნობის ფურცელი, 1905, 26 აპრილი.

განთავისუფლების გამო, რომელზეც ის მუდამ მონოდების სიმალ-
ლეზე რჩებოდა³⁷². ლევან ჯანდიერის გადაყენების შემდეგ სხვადასხ-
ვა დროს სოხუმის ოკრუგის უფროსები იყვნენ პოლკოვნიკები მ. ნ.
კროპაჩევი (1909-1913), ნ. ე. ვეტცელი (1913-1914), გენერალი თ. ა.
ზასისკინი (1914-1916), პოლკოვნიკი ნ. ვ. პოლივანოვი (1916-1917).

რევოლუციის წლებში გამოიკვეთა, რომ კრიტიკულ ვითარებაში
იმპერიის მთავარ დასაყრდენს კავკასიაში, მათ შორის აფხაზეთში, მს-
ოლოდ რუსული მოსახლეობის შოვინისტური ნაწილი წარმოადგენდა.
იაპონიასთან წარუმატებელი ომისა (1904-1905) და 1905-1907 წლების
რევოლუციის შედეგად დასუსტებულ იმპერიას უფრო ფართო და-
საყრდენი სჭირდებოდა. იმავე რევოლუციამ აფხაზეთა სახით მთავ-
რობას არც თუ ისე საიმედო, მაგრამ მაინც მოკავშირე შესძინა. ეს
მოხდა კანონზომიერად – XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან წარმოებ-
ულმა აფხაზეთა გარუსებისა და ქართველებთან მისი დაპირისპირების
პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. რევოლუციის პერიოდში გამოჩენილი
ლოიალობის გათვალისწინებით, 1907 წლის 27 აპრილს ნიკოლოზ
II-მ დაამტკიცა დებულება „სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის მინათ-
მფლობელობის უფლებებში გათანაბრების შესახებ“. ამით აფხაზი
ხალხი „დამნაშავე ერის“ დამორგუნველი და დამამცირებელი წო-
დებისაგან განთავისუფლდა. თუმცა არანაკლებ დამამცირებელი იყო
კავკასიაში მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის (1905-1916) 1907
წლის 11 მაისის მიმართვა აფხაზებისადმი. მეფისნაცვალი აღნიშნავ-
და, თუ როგორ „გამოასწორეს“ აფხაზებმა 30 წლის წინ ჩადენილი
„დანაშაული“ და იმედს გამოთქვამდა, რომ „თავისი ხელმწიფე იმ-
პერატორის წინაშე აფხაზები არასოდეს და არანაირ გარემოებაში
დანაშაულს ანი არ ჩაიდენენ“³⁷³.

XX საუკუნის პირველ ათწლეულში აფხაზეთში გააქტიურდა
საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება. შეიქმნა სასოფლო-
სამეურნეო, საკრედიტო, სახელოვნებო, საგანმანათლებლო, საქველ-
მოქმედო და სხვა მიმართულების ამხანაგობები, საზოგადოებები.
1909 წელს ჩამოყალიბდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამა-
ვრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილება; 1913 წელს
დაარსდა აფხაზეთა შორის განათლების ბზიფის კომიტეტი, რომლის
დამფუძნებელ კრებას გუდაუთის უბნის უფროსი დ. ქელბაქიანი
თავმჯდომარეობდა. 1907 წელს დიმიტრი გულიამ თბილისში გამოსცა

372 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 686-687.

373 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 368-369.

„აფხაზური ანდაზები, გამოცანები და ენის გასატყეხი“; იმავე წელს აფხაზეთის მკვიდრის კ. მაჭავარიანის ავტორობით გამოვიდა აფხაზური ენის სახელმძღვანელო, აგრეთვე თომა ეშბას მიერ აფხაზურ ენაზე მომზადებული სასწავლო წიგნი მათემატიკაში. 1908 წელს ა. ჭოჭუამ გამოუშვა საკითხავი წიგნი აფხაზურ ენაზე. დღემდე ინარჩუნებენ მნიშვნელობას აფხაზეთის შესახებ იმ პერიოდში გამოცემული წიგნები და წერილები, რომელთა ავტორები იყვნენ პეტრე ჭარაია, ნიკო ჯანაშია, თედო სახოკია, მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა, ანთიმოზ ჯუღელი, ივანე გეგია და სხვები³⁷⁴.

როგორც 1905-1907 წლების რევოლუციამდე და რევოლუციის პერიოდში, ისე მისი დამარცხების შემდეგაც მთავრობა აგრძელებდა ქართველთა და აფხაზთა შორის უფსკრულის კიდევ უფრო გაღრმავების ნაცად პოლიტიკას. ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით აფხაზური მოსახლეობის ცნობიერებაში მეთოდურად ინერგებოდა იმპერიული იდეოლოგია „აფხაზეთი-საქართველო არ არის“. XX საუკუნის 10-იან წლებში საზოგადოებრივ ასპრეზზე გამოვიდა სწორედ ამ იდეოლოგიით ნასაზრდოები, რუსიფიკაციის პოლიტიკის ზეგავლენით აღზრდილი, ძირითადად მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული აფხაზი ახალგაზრდობა. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ სამსონ ფირცხალავამ, რომელმაც 1915 წლის ოქტომბერში მთელი აფხაზეთი შემოიარა, სოხუმის ოლქის ყველაზე მწვავე პრობლემად ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მიიჩნია. აფხაზთა შორის გამორჩნდნენ „ისეთები,- წერდა იგი,- რომელთაც დაიწყეს ლაპარაკი: ჩვენ ქართველებთან საერთო არც გვქონია და არც გვაქვსო... საბედნიეროდ ასეთი მიდრეკილება ნელ-ნელა ჰქრება“. სამსონ ფირცხალავას ცნობით, გუდაუთაში არსებულა „მცირე წრე აფხაზთა ინტელიგენტებისა, რომელთაც სურთ სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში. ბევრი სიმწარე გადმომცეს აფხაზების მდგომარეობისა. ძლიერ ჩამორჩენილნი და დაქვეითებულნი არიან და ეხლა იწყებენ ნელ-ნელა მოქალაქეობრივ ცხოვრებას. ყველა მათ სჩაგრავდა და იბრწყვებდა და ქართველებმაც ვერ გაუწიეთ კეთილი ძმობა“. ს. ფირცხალავა მოუწოდებდა ქართველობას, „გაუწოდოთ აფხაზებს ძლიერი ხელი... რაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისთვის, იმას არ გაგვიკეთებს არავინ უცხო და გარეშე“. აფხაზეთიდან ის წამოვიდა მწარე შეგნებით, „რომ უგუნურად მივიწყებულა ის მხარე, რომელიც სალაროა საგანძურებისა და რომელიც საფუძველია ჩვენის ეროვნული განვითარებისა. წარმოვიღე შეგნება იმისა, რომ ეს მხარე უკიდურეს საფრთხეშია, მას ყოველის

374 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 279-283.

მხრით ეტანება ურიცხვი მტერი და თუ განსაკუთრებული ზომები არ მივიღეთ, ხელიდან გამოგვცავენ³⁷⁵. ს. ფირცახალავას მიერ ერთი საუკუნის წინ გაკეთებული შეფასებები და წინადადები დღესაც უაღრესად აქტუალურია.

საბედნიეროდ, აფხაზური საზოგადოება არ შედგებოდა მხოლოდ განცალკევებისკენ მიდრეკილი ახალგაზრდა ინტელიგენტებისაგან. მასში ჯერ კიდევ ძლიერი იყო უპირატესად ქართული ორიენტაციის მატარებელი თავად-აზნაურობის გავლენა. შექმნილ ვითარებაში ქართველთა და აფხაზთა შორის დაპირისპირებამ ხელისუფლებისთვის სასურველ დონეს ვერ მიაღწია. ამის გამო ვერ განხორციელდა უმთავრესი მიზანი – ამ ორი ხალხის ერთმანეთისაგან გამიჯვნა როგორც ადმინისტრაციულად, ისე ეკლესიურად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად XX საუკუნის დასწყისში შემუშავებული გეგმები და პროექტები ქალაქებზე დარჩა (იხილე აქვე ნაწილი IV. 3 და IV. 4). მათი რეალიზება ვერ მოხერხდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველ მსოფლიო ომამდე, განსაკუთრებით კი ომის დაწყების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას სოხუმის ოლქისთვის დიდად არ ეცალა. იმპერიის დროებითი უკან დახევა ქართველებისა და აფხაზების მიერ საერთო საფრთხის გაცნობიერებამ, ერთიანობის შენარჩუნებამ და კავკასიის რუსული ადმინისტრაციის წინაშე აფხაზეთის ინტერესების ერთობლივად დაცვამ განაპირობა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში თვითმპყრობელობა დაემხო, გაიმარჯვა დემოკრატიულმა რევოლუციამ. რუსეთის იმპერიაში სრულიად ახალი რეალობა შეიქმნა.

IV. 4. აფხაზეთის საკათოლიკოსო XVIII საუკუნეში. სარწმუნოებრივი მდგომარეობა 1801-1917 წლებში

XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა ოსმალეთის აგრესია, წარმართი აფსუა-აბაზების მიერ ახალი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საეკლესიო ცენტრების მოშლა, ქრისტიანული სარწმუნოების განადგურება, მაჰმადიანობის გავრცელება. შექმნილ ვითარებაში აფხაზეთის საკათოლიკოსოს ფაქტობრივი იურისდიქცია ახალ აფხაზეთზე ვერ ვრცელდებოდა, თუმცა კანონიკურად

375 სახალხო ფურცელი, 1915, 25 ოქტომბერი; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 736-738.

ეს რეგიონი კვლავაც მის სამწყსოდ, ხოლო ბიჭვინთა საკათოლიკოსო კათედრად და კათოლიკოსთა რეზიდენციად რჩებოდა. აფხაზეთის საერისთავოდან აფსუა-აბაზების მიერ გამოძევებული კათოლიკოსები კვლავაც გელათის დროებით რეზიდენციაში მოღვაწეობდნენ.

1696-1742 წლებში აფხაზეთის საკათოლიკოსოს გამორჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, გონიერებითა და სამართლიანობით გამორჩეული გრიგოლ I (ლორთქიფანიძე) განაგებდა. დიდი იყო მისი კეთილისმყოფელი გავლენა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც, რაც მეფე-მთავრებს შორის ურთიერთობების დალაგებაში, ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვაში და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებაში გამოიხატა. კათოლიკოს გრიგოლის ერთ-ერთი დამსახურება გახლდათ აფსუა-აბაზების მიერ მიტაცებული თანამედროვე გალის რაიონიდან საკათოლიკოსოს კუთვნილი გლეხების ტყვეობიდან დახსნა და სამეგრელოში მათი დასახლება. ეს მოხდა XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც აღნიშნული ტერიტორია გარკვეული ავტონომიურობის შენარჩუნებით სამეგრელოს სამთავროს დაუბრუნდა. მიუხედავად კათოლიკოს გრიგოლის სერიოზული მცდელობისა, აფხაზეთში დამკვიდრებული აფსუა-აბაზების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა ვერ მოხერხდა³⁷⁶. სამწუხაროდ, იგი თავის კანონიკურ რეზიდენციაში – ბიჭვინთაშიც ვერ ჩადიოდა.

კათოლიკოსი გრიგოლ I (ლორთქიფანიძე) ატარებდა ტიტულს: „მეუფე და მღვდელმთავარი აფხაზეთისა“, „მეუფე და მღვდელმთავარი ყოვლისა აფხაზეთისა“. მის დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს ტიტულატურა, რომელიც კათოლიკოსის ერთ-ერთ ბეჭედზე იყო ასახული: „გრიგორ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზი“. იგი ჭეშმარიტად სრულიად საქართველოს მასშტაბის მწყემსთავარი იყო. გრიგოლ I-ის გარდაცვალების (1742 წელი) შემდეგ აფხაზეთის კათოლიკოსად იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ს (1660-1681 წწ.) შვილიშვილი ბესარიონი (ერისთავი) დაინიშნა, რომელიც საკათოლიკოსოს 1742-1769 წლებში მართავდა. ახალი კათოლიკოსის იურისდიქციაც დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. საკუთრივ აფხაზეთთან და აფსუა-აბაზებთან, მათ შორის ბიჭვინთასთან ურთიერთობა მას არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა. იმ პერიოდში ფუნქციონირებას აგრძელებდა მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სამურზაყანოში მდებარე ბედიის ეპარქია, რომელიც კათოლიკოს ბესარიონს ექვემდებარებოდა. ბედიელი მიტროპოლიტი მაქსიმე (იამშვილი) 1759 და 1761 წლებში გამართულ დასავლეთ საქართველოს

376 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 278-282, 298-307.

საეკლესიო კრებებში მონაწილეობდა და იმერეთის მეფესთან, აფხაზეთის კათოლიკოსთან, დასავლეთ საქართველოს სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს აწერდა კრებათა გადამწყვეტილებებს. ოსმალური გავლენის გაძლიერებისა და მაჰმადიანობის მოძალების გამო XVIII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ბედიის კათედრამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

1769 წლის 10 მაისს აფხაზეთის კათოლიკოსად იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752-1784) ძმა იოსები (ბაგრატიონი) იქნა დადგენილი. კათოლიკოსის ტახტი მას 1776 წლამდე ეპყრა. სხვადასხვა დოკუმენტებში იგი თავის თავს მოიხსენიებდა როგორც „პონტო-ჩრდილო და აფხაზ-იმერთა სავესებისა კათოლიკოზი“, „აფხაზ – იმერ – გურია – სამეგრელოსა, ესე იგი სრულიად ქვემოისა ივერიისა კათოლიკოზ მამამთავარი“. წინამორბედების მსგავსად, კათოლიკოსი იოსები აფხაზეთის საერისთავოში ვერ ჩადიოდა, ვერ ხერხდებოდა ამ ტერიტორიაზე ჩამოსახლებული აფსუა-აბაზების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა, რისი სერიოზული მცდელობა გრიგოლ I-ის (ლორთქიფანიძე) კათოლიკოსობის შემდეგ არც ყოფილა.

მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში, მიუხედავად ოსმალურ-ისლამური ექსპანსიისა და ადგილობრივ ქართველებში ჯერ კიდევ შენარჩუნებული ქრისტიანული კულტურის გავლენისა, ახალ აფხაზეთში დამკვიდრებულმა აფსუა-აბაზებმა ვერ გაითავისეს ვერც ერთი და ვერც მეორე მათთვის უცხო რელიგია, დარჩნენ რა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოტანილი მამა-პაპური წარმართობის ერთგულ მიმდევრებად. XVII საუკუნის ბოლოს ჩამოსახლებულთა მიერ განადგურებული ისტორიული ქრისტიანული საეკლესიო ცენტრებისა და მრავალრიცხოვანი ტაძრების ადგილი წარმართულმა სალოცავებმა დაიკავეს. იგივე ვითარება რჩებოდა აფხაზეთის უკანასკნელი კათოლიკოსის მაქსიმე II-ის (აბაშიძე) დროსაც. საკათოლიკოსოს იგი 1776 – 1795 წლებში განაგებდა.

მაქსიმე II ენერგიულად შეუდგა აფხაზეთის საკათოლიკოსოში დაგროვილი სარწმუნოებრივი და ეკონომიკური საკითხების მოგვარებას. მთავარ ამოცანად კი მან კანონიკური რეზიდენციის – ბიჭვინთის დაბრუნება, იქ საკათოლიკოსო კათედრის აღდგენა დაისახა. ეს იქცა მაქსიმე II-ის უპირველეს ოცნებად, მთელი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დედააზრად. ამასთანავე კარგად ესმოდა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან, მთლიანად დასავლეთ საქართველოდან, მათ შორის აფხაზეთის საერისთავოდან ოსმალების განდევნის გარეშე დასახული მიზნის, აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც

დაეთანხმა იგი იმერეთის მეფის დავითის (1784-1789) წინადადებას პეტერბურგში გამგზავრებისა და რუსეთის იმპერატრიცასთან ეკატერინე II-სთან (1762-1796) მოლაპარაკების გამართვის შესახებ. იმერეთის სამეფოს სამკაცრიანი ელჩობა კათოლიკოს მაქსიმე II-ის მონაწილეობით 1784 წლის 29 დეკემბერს მართლაც შეხვდა ეკატერინე II-ს, მაგრამ მოლაპარაკებამ რუსეთსა და იმერეთის სამეფოს შორის სამფარველო ტრაქტატის გაფორმების შესახებ შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, მაქსიმე II რუსეთში დარჩა, სადაც აქტიურად აგრძელებდა დიპლომატიურ მისიას. 1792 წლის 27 ივლისის წერილში დასავლეთ საქართველოს სამღვდლოებისადმი აფხაზეთის კათოლიკოსი წერდა დიპლომატიურ სარბიელზე განუვლი მუშაობის, ბიჭვინთისა და აფხაზეთის საერისთავოს მიმართ განუხორციელებელი მიზნებისა და იმედგაცრუების შესახებ. როგორც წერილიდან ირკვევა, შავიზღვისპირა ქალაქ ანაპიდან ოსმალების განდევნის (1791 წლის 22 ივნისი) შემდეგ კათოლიკოსი მაქსიმე II დარწმუნებული იყო, რომ რუსული ჯარი გააგრძელებდა წინსვლას სამხრეთის მიმართულებით, გაანთავისუფლებდა ბიჭვინთას, აფხაზეთის სამთავროს და მთლიანად დასავლეთ საქართველოს. იგი ასევე იმედოვნებდა, რომ ეკატერინე II-ის წყალობით ბიჭვინთის ტაძარსაც აღადგენდა. „მაგრამ ჩემის ცოდვის ძალით, ესეც უსრულ შეიქმნა და საუკუნო ტკივილი დაშთა სულსა შინა ჩემსა“³⁷⁷, - წერდა კათოლიკოსი ზემოხსენებულ წერილში.

ვინაიდან აფხაზეთის განთავისუფლების, ბიჭვინთის ტაძრის დაბრუნებისა და განახლების ოცნება ვერ განხორციელდა, მაქსიმე II-მ დასავლეთ საქართველოს მომავალ კათოლიკოსს და მთელს სამღვდლოებას ანდერძად დაუტოვა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა: „უმეტესი ღვანლი თქვენი იყავნ აფხაზეთის მოქცევასა და ბიჭვინთის ეკლესიის განახლებისათვის“³⁷⁸. 1792 წელს აფხაზეთის კათოლიკოსი მაქსიმე II (აბაშიძე) კიევ-პეჩერის ლავრაში გადავიდა, სადაც ის 1795 წლის 30 მაისს აღესრულა, დაკრძალულია იქვე.

მაქსიმე II-ის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის საკათოლიკოსოს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია, თუმცა ამიერიდან მცხეთას ექვემდებარებოდა. გაერთიანებული ქართული ეკლესიის შემადგენლობაში მყოფ აფხაზეთის საკათოლიკოსოს ქუთაისის მიტროპოლიტი, შემდგომში ქართული ეკლესიის წმინდანად შერაცხული დოსითე-

377 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. II. თბილისი, 1953, გვ. 339.

378 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 171.

ოსი (წერეთელი) მართავდა. XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთმა სრულიად საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, ანექსია დაასრულა, ქართულმა ეკლესიამაც ავტოკეფალია დაკარგა და იგი რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა დაიმორჩილა. საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით საქართველოს ეკლესიის წმინდანს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს, რომელიც წინასწარ პეტერბურგში იყო განვუული, უფლებამოსილება შეუწყდა და მის ნაცვლად 1811 წლის 30 ივნისს საქართველოს პირველი ეგზარქოსი დაინიშნა. ეგზარქოსები ქართულ ეკლესიას მართავდნენ 1814 წელს შექმნილი უწმინდესი სინოდის დიკასტერიის, 1815 წლიდან კი უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის მეშვეობით.

XIX საუკუნის დასაწყისში საკუთრივ აფხაზეთში (მდინარე ლალიძგის ჩრდილო-დასავლეთით) არც ერთი ეკლესია არ ფუნქციონირებდა. ქართველებით დასახლებულ სამურზაყანოშიც კი მხოლოდ ერთი – ილორის წმინდა გიორგის ეკლესია მოქმედებდა, რომელიც ცაიშის ეპარქიას ექვემდებარებოდა. ქართულ სამღვდელოებას, პირველ რიგში, სამეგრელოს ეპარქიას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის ბედის გადაწყვეტაში (იხილე აქვე, ნაწილი IV.2), დაეკისრა აფხაზეთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ურთულესი მისია. განსაკუთრებით აღსანიშნავია XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე აფხაზეთში გამწესებული სასულირო პირების იოანე იოსელიანის, სიმეონ ჟორდანის, იოანე ქავთარაძის, სოლომონ ნადირაძის და სხვათა მისიონერული ღვაწლი. ქართველმა მისიონერებმა აღადგინეს მიტოვებული ეკლესიები, მათ შორის აფხაზეთის მფლობელთა კარის ეკლესია ლიხნში. ბერძენმა ვაჭარმა გიორგი სკარდანამ 1821 წელს საკუთარი სახსრებით სოხუმში წმინდა გიორგის სახელზე ახალი ეკლესია ააშენა, რომელიც ერთ საუკუნეზე მეტ ხანს – საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფუნქციონირებდა³⁷⁹. იმჟამინდელ აფხაზეთში ბევრი რამ ხდებოდა პირველად. 30-იანი წლების დასაწყისში გაიგზავნა პირველი ორგანიზებული მისიონი სამურზაყანოში. საკმაოდ ხანგრძლივი წინასწარი მომზადების შემდეგ 1834 წელს საკუთრივ აფხაზეთში XVII საუკუნის შემდეგ პირველად ჩავიდა ქართული სასულიერო მისია არქიმანდრიტ ანტონ დადიანის ხელმძღვანელობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი მისიონერები, რომელთა ნაწილმა აფხაზური ენაც ისწავლა და მოსახლეობას

379 საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 489, აღწ. 1, ს. 54949, ფ. 1; ს. 58702, ფ. 1-6; Н. Н. Иоаниди. Греки в Абхазии, с. 14; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 372, 859.

წმინდა მღვდელმთავრები ალექსანდრე (ოქროპირიძე) და
გაბრიელი (ქიქოძე)



ქრისტიანულ მოძღვრებას მშობლიურ ენაზე უქადაგებდა. შედარებით მოკლე დროში მისიამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია³⁸⁰.

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას აფსუა-აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დამპყრობელი რუსეთის პოლიტიკური გავლენის გაფართოებისა და განმტკიცების მცდელობად აღიქვამდა. ამგვარი მოსაზრება სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული. ამიტომაც ქრისტიანობის მოწინააღმდეგეებმა მაჰმადიანობის პროპაგანდაც გააძლიერეს. ამ ვითარებაში კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ მოსახლეობის გაქრისტიანების გზით აფხაზეთში იმპერიის პოზიციების განმტკიცების ილუზიას სამხედრო ძალის გამოყენებით მოქმედება ამჯობინა. აღნიშნული პოლიტიკა XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან ტარდებოდა და ერთდროულად ქართველი მისიონერების ეთნიკური რუსებით ჩანაცვლებასაც გულისხმობდა. ამ გეგმის განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობები 1842 წელს შეიქმნა, როდესაც აფხაზეთის მისიონის ხელმძღვანელი ანტონ დადიანი სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა. აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ მხარი არ დაუჭირა ხელისუფალთა გეგმას. აფხაზეთის მისიონის ხელმძღვანელად მან ილუმენ თეოფანე გაბუნას დანიშვნა მოითხოვა, რომელიც თავის მხრივ, სამეგრელოს ეპისკოპოს ანტონს უნდა დამორჩილებოდა. რუსულმა ხელისუფლებამ ანგარიში გაუნია მიხეილ შარვაშიძის ნებას. აფხაზეთში მისიონერულ საქმიანობას კვლავ სამეგრელოს ეპარქია და მისი წარმომადგენელი თეოფანე გაბუნია წარმართავდნენ. 1845 წელს აფხაზეთის მისიონის მთავრის სულიერი მოძღვარი ილუმენი გერმანე გოგელაშვილი ჩაუდგა სათავეში. იმავე წელს მისიონერული მიზნებით აფხაზეთში სამეგრელოს ეპისკოპოსი ანტონი (დადიანი) ჩავიდა და რამდენიმე სამრევლო ეკლესია აკურთხა. მათ წინამძღვრებად ქართველი სასულიერო პირები დაინიშნენ.

სამხედრო-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვი (1844-1854). ამ გზით მას სურდა იმამ შამილის მეთაურობით რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიელი მთიელების იდეოლოგიის-მიურიდიზმის აფხაზთა შორის გავრცელების რეალური საფრთხის თავიდან აცილება. მ. ვორონცოვმა მხარი დაუჭირა მიხეილ შარვაშიძის მიერ 1849 წელს წამოყენებულ წინადადებას აფხაზეთის ეპარქიის დაფუძნების შესახებ. 1851 წლის აპრილში აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრა გაიხსნა. მასთან ერთად

380 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 374-398.

დაფუძნდა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელიც. მ. ვორონცოვმა თავისი წერილებითა და მიმართვებით დაარწმუნა რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლება აფხაზეთის ეპისკოპოსად გერმანეს (გოგელაშვილი) დანიშვნის, აგრეთვე ეპარქიაში არა რუსული, არამედ ქართული სამღვდლოების დასაქმების აუცილებლობაში³⁸¹.

1851 წლის 8 სექტემბერს ქალაქ თბილისში სიონის საკათედრო ტაძარში აფხაზეთის პირველი ეპისკოპოსის გერმანეს (გოგელაშვილი) კურთხევა გაიმართა. სასულიერო სასწავლებელს კი სათავეში ჩაუდგა ყაზანის სასულიერო აკადემია დამთავრებული ახალგაზრდა მღვდელმონაზონი ალექსანდრე (ოქროპირიძე) – მომავალში გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, ქართული ეკლესიის წმინდანი³⁸². განუზომელია ეპისკოპოს გერმანეს, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ოქროპირიძის ღვაწლი აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისა და სასკოლო განათლების შემოღების საქმეში. ეს პროცესი 1853-1856 წლების ყირიმის ომის დროს შეფერხდა, მაგრამ ომის დასრულებისთანავე კვლავ განახლდა. ეპისკოპოს გერმანეს შემდეგ, 1857-1862 წლებში, აფხაზეთის ეპარქიას ეპისკოპოსი გერონტი (პაპიტაშვილი) ედგა სათავეში. მისი მარჯვენა ხელი იყო არქიმანდრიტის ხარისხში აყვანილი იგივე ალექსანდრე (ოქროპირიძე). ამ უკანასკნელის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს როგორც აფხაზთა შორის წარმატებული მისიონერული და პედაგოგიური მოღვაწეობა, ისე ეთნიკურად აფხაზი სასულიერო პირების აღზრდა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ აფსუა-აფხაზთა ისტორიაში პირველი მღვდელი იოანე გეგია (მღვდლად ეკურთხა 1855 წლის 1 მაისს), რომელიც 1859 წლიდან ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი და ადგილობრივი სკოლის პედაგოგი იყო. მან შესამჩნევი კვალი დატოვა აფხაზეთის საეკლესიო ისტორიაში და მოწამებრივად აღესრულა 1877 წლის 5 აგვისტოს, როცა აფხაზეთი ოსმალების მიერ იყო ოკუპირებული.

1862-1868 წლებში აფხაზეთის ეპარქიას ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) განაგებდა. თავისი მოღვაწეობით მან მრავალეროვანი მრევლის, მათ შორის აფხაზთა სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. 1869-1885 წლებში აფხაზეთის ეპარქიას შეთავსებით მართავდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) – გამოჩენილი ქართველი სასუ-

381 Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 10. Тбилиси, 1885, с. 230-232.

382 წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. თბილისი, 2006.

ლიერო მოღვაწე, ქართული ეკლესიის წმინდანი³⁸³. მის სახელს უკავშირდება ორი-სამი საუკუნის წინ აფსუა-აბაზების მიერ დანგრეული თუ გაუქმებული ისტორიული ტაძრების აღდგენა, ახალი სამრევლო ეკლესიების მასობრივი მშენებლობა, სკოლების გახსნა, 20 ათასამდე აფხაზის მონათვლა და ა. შ.

ქართული სამღვდელოების მიერ XIX საუკუნის დამდეგს აფხაზეთში ფართოდ გაშლილი მისიონერული საქმიანობა, რომლის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი იმავე საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში დასრულდა, წარმოდგენილად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ქრისტიანობის გავრცელებას სერიოზულად აფერხებდნენ რუსეთის წინააღმდეგ აფხაზთა პერმანენტული აჯანყებები, რუსეთ-კავკასიისა და რუსეთ-ოსმალეთის ომები, მაჰმადიანობის მოძალევა, ხალხის ნების წინააღმდეგ აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, მასობრივი მუჰაჯირობა, რუსეთის იმპერატორის მიერ აფხაზთა „დამნაშავე ერად“ გამოცხადება, რეგიონის უცხოური კოლონიზაცია და ა. შ. ამ და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, XIX საუკუნის 80-იან წლებამდე მოხერხდა XVI-XVII საუკუნეებში ოსმალეთის დახმარებით აფხაზეთში დამკვიდრებული აფსუა-აბაზების მიერ განადგურებული ქრისტიანობის აღდგენა. ამაში მდგომარეობს აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მისიონერების, განსაკუთრებით ეპისკოპოსების ალექსანდრესა (ოქროპირიძე) და გაბრიელის (ქიქოძე) ერთ-ერთი ისტორიული დამსახურება. მათ მიერ აფსუა-აფხაზთა დიდი ნაწილის ქრისტეს რჯულზე მოქცევამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იხსნა მთელი ერი თურქეთში ერთიანად გადასახლებისაგან, შესაბამისად, გარდუვალი ფიზიკური განადგურებისაგან, როგორც ეს მოუვიდათ რუსეთის მიერ ოსმალეთში განდევნილ უბიხებს და სხვა კავკასიელ მთიელებს. ამაში მდგომარეობს ქართული სამღვდელოებისა და ქართველი მღვდელმთავრების კიდევ ერთი დიდი დამსახურება.

როგორც საგანმანათლებლო, ისე საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი გახლდათ. ამ პოლიტიკით იყო ნაკარნახევი აფხაზეთში რუსული მონასტრების დაფუძნებაც. მათი ჩამოყალიბება XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და XX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა. რუსული მონასტრები სავსებით მიზანმიმართულად იხსნებოდა ისეთ ტაძრებში, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ზოგადქართული მნიშვნელობის საეკლესიო და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

383 წმინდა მღვდელმონაწივე გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. თბილისი, 2007.

მონასტრები გაიხსნა ბიჭვინთაში (1872 წ.), ანაკოფიაში//ახალ ათონში (1875 წ.), დრანდაში (1881 წ.), კამანში (1901 წ.), მოქეში (1902 წ.). ქართული ცივილიზაციის ეს მნიშვნელოვანი კერები რუსული მონასტრების მეშვეობით ქართველთა და აფხაზთა დენაციონალიზაციის კერებად უნდა ქცეულიყო.

აფხაზეთში დაფუძნებულ მონასტრებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი იმსახურებს. იგი დაარსდა როგორც XI საუკუნიდან ათონში მოქმედი წმინდა პანტელეიმონის რუსული მონასტრის – „რუსიკა“-ს ფილიალი. 1875 წლის 8 თებერვალს ათონის რუსული მონასტრის ბერებმა, რომლებიც საკუთარ თავს ბერძნებისგან შევიწროებულად მიიჩნევდნენ, სამხრეთ კავკასიაში, სადაც ძველი ტაძრების აღდგენა მიმდინარეობდა, ფილიალის შექმნის მოთხოვნა წამოაყენეს. მოთხოვნას მხარი დაუჭირა კავკასიაში მეფისნაცვალმა ნიკოლოზ რომანოვმა. მანვე უზრუნველყო ათონის მონასტრის ფილიალის დაარსებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის იმავე წლის ბოლომდე გადაწყვეტა. ანაკოფიას, სადაც მონასტერი უნდა გახსნილიყო, ამიერიდან ახალი ათონი ეწოდა. ათონელი რუსი ბერების ნამდვილი მიზნები მაშინ გამჟღავნდა, როდესაც მათ ახლადდაფუძნებული მონასტრის ფილიალის მხოლოდ ეთნიკური რუსების საკუთრებად გამოცხადება მოითხოვეს. აღნიშნული მოთხოვნა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მიერ 1879 წლის 8 დეკემბერს დაამტკიცებული მონასტრის წესდების მეხუთე მუხლში აისახა³⁸⁴. წესდებაში შესაბამისი დებულების შეტანით რუსი ბერები ახალი ათონის მონასტერს „იცავდნენ“ არა მხოლოდ ბერძნებისაგან, არამედ ქართველებისაგანც. ახალი ათონის მონასტერი, რომელმაც 1885 წელს ბიჭვინთაც შეიერთა, მალევე იქცა რეგიონის რუსიფიკაციის სამთავრობო და საეკლესიო პოლიტიკის ციტადელად.

ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამოწვევას უწმინდესი სინოდის 1913 წლის 17 ოქტომბრის №16822 განკარგულებით (განკარგულება ძალაში შევიდა იმავე წლის 17 დეკემბერს) დაფუძნებული ბედიის ვლადიკლავის მამათა მონასტერი წარმოადგენდა. რადგანაც იგი ქართველი ბერებით იყო დაკომპლექტებული, რუსიფიკაციის ოფიციალური პოლიტიკის ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. შესაბამისად, ხელისუფლებამ „იზრუნა“, რათა მონასტერი არ განვითარებულიყო, ბედიის ისტორიული ტაძრის აღდგენის გეგმაც ქალაქში დარჩა. მონასტრის წინამძღვრად მისი დამაარსებელი, სამურზაყანოს მკვიდ-

384 Абхазия и в ней Симоно-Кананитский монастырь. Составил И. Н. М., 1899, с. 216-219.

რი მღვდელმონაზონი, შემდგომში სქემმონაზონი იოსები (იესე შელია) დაინიშნა. მისი გარდაცვალების (1916 წლის ნოემბერი) შემდეგ დაისვა საკითხი ბედიის მამათა მონასტრის დედათა მონასტრად გარდაქმნის შესახებ. ასეთი იყო სქემმონაზონ იოსების ანდერძიც. აღნიშნული საკითხი დადებითად გადაჭრა უკვე ავტოკეფალია აღდგენილმა ქართულმა ეკლესიამ. ბედიის დედათა მონასტრის წინამძღვრად ილუ-მენია ნინო დაინიშნა³⁸⁵.

რუსიფიკაციის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება აფხაზეთში გამწესებული რუსი მღვდელმთავრების ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა. ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) შემდეგ აფხაზეთის ეპარქიას, რომელსაც უწმინდესი სინოდის 1885 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით სოხუმის ეპარქია ეწოდა, 1919 წლამდე ძირითადად რუსი მღვდელმთავრები განაგებდნენ. სხვადასხვა დროს სოხუმის კათედრა ეკავათ ეპისკოპოსებს გენადი პავლინსკის (1886-1889), ალექსანდრე ხოვანსკის (1889-1891), აგაფოდორ პრეობრაჟენსკის (1891-1893), პეტრე დრუგოვს (1893-1894), არსენ იზოტოვს (1895-1905), სერაფიმე ჩიჩაგოვს (1905-1906), დიმიტრი სპეროვსკის (1907-1911), ანდრია უხტომსკის (1911-1913) და სერგი პეტროვს (1914-1919)³⁸⁶. მათი უმთავრესი საზრუნავი იყო ქართულ ენაზე ღმრთისმსახურებისა და სწავლა-განათლების აკრძალვა და რუსულ ენაზე გადაყვანა, სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან ჩამოშორება, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის მიზანმიმართულად გამწვავება.

სოხუმის ეპისკოპოსის შერჩევისას სასულიერო და საერო მთავრობამ გამოაკლისი მხოლოდ 1906 თებერვლიდან 1907 წლის იანვრამდე პერიოდში დაუშვა. მაშინ სოხუმის ეპარქიას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოძრაობის ლიდერი, ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) განაგებდა. ეს იყო რუსეთის იმპერიაში 1905-1907 წლების პირველი დემოკრატიული რევოლუციის აღმავლობის პერიოდი, როდესაც ხელისუფლება იძულებით გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. ეპისკოპოს კირიონის სოხუმის კათედრაზე დანიშვნაც წარმოადგენდა მთავრობის დროებით დათმობას აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) დემოკრატიული რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალის-ქართველების წინაშე. მოკლე დროის განმავლობაში კირიონმა

385 საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 489, ანან. 1, ს. 64566, ფ. 1-2; ს. 64613, ფ. 30-31; წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, გვ. 670-673.

386 Очерки из истории Грузии. Абхазия. Тбилиси, 2009, с. 428, 442.

ბოლო მოულო ეროვნული ნიშნით მრევლის დისკრიმინაციას. სოხუმის ოლქში მცხოვრებ ქართველებს, აფხაზებს, რუსებს, ბერძნებს და სხვა მართლმადიდებელ ქრისტიანებს მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების უფლება მიეცათ. სეპარატისტები ცდილობენ ეპისკოპოსი კირიონი ლამის აფხაზთა „მტრად“ წარმოაჩინონ. სინამდვილეში კი ის მზრუნველობას არ აკლებდა აფხაზებს, ცდილობდა აფხაზურ ენაზე ღმრთისმსახურებისა და განათლების შემოღებას. „ყოველმა ნამდვილმა ქართველმა აფხაზური ენა გაქრობას უნდა გადაარჩინოს, – წერდა კირიონი 1907 წელს...- აფხაზური ენის მხარდაჭერის, სკოლის საჭიროებისთვის აფხაზური დამწერლობის, ლიტერატურის საწყისების შექმნისა და საღმრთისმსახურო ნიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნის მიზნით დავაარსე კომისია, რომელიც დღემდე მუშაობს“³⁸⁷.

ისარგებლა რა, რევოლუციური მოძრაობის დასუსტებით, კავკასიის საერო და საეკლესიო მთავრობამ ყველაფერი იღონა, რათა ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერს, სოხუმის ეპისკოპოს კირიონს 1907 წლის იანვარში საქართველო დაეტოვებინა. სოხუმის ეპარქია კვლავ რუსიფიკატორულ, ქართველთა შევიწროებისა და დევნის პოლიტიკას დაუბრუნდა. აქტუალური გახდა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფისა და ყუბანის ოლქთან მიერთების საკითხიც. ოფიციალურად იგი სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა (იზოტოვი) უწმინდესი სინოდის წინაშე 1901 წლის 20 ოქტომბერს დააყენა და შემდგომ წლებშიც დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ეპისკოპოს არსენს მხარი დაუჭირეს კავკასიის მთავარმართებელმა გ. გოლიცინმა (1896-1904) და საქართველოს ეგზარქოსმა ალექსი ოპოცკიმ (1901-1905). განსაკუთრებული სიმწვავე ამ საკითხმა 1907-1910 და 1915-1917 წლებში შეიძინა. სხვადასხვა მიზეზების, პირველ რიგში, აფხაზთა და ქართველთა წინააღმდეგობის გამო, რუსულმა ხელისუფლებამ მიზანს ვერ მიაღწია. ავტოკეფალური მოძრაობის განადგურების მიზნით, უწმინდესი სინოდი თვით საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმების შესაძლებლობასაც აქტურად განიხილავდა. ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით, არაერთი ოფიციალური თუ არაოფიციალური პროექტი შემუშავდა, რომელიც საეგზარქოსოს სახით არსებული ქართული ეკლესიის ტერიტორიულ დაქუცმაცებას,

387 წმინდა მღვდელმონაშე კირიონ II (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი. თბილისი, 2006, გვ. 306, 466. აღნიშნულმა კომისიამ, რომლის წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ დ. გულია, ნ. ლადარია, ს. კაცია, ნ. პატეიფა, დ. კაკალია, დ. მარლანია და სხვები, მუშაობა 1913 წლის ბოლოს დაასრულა, თარგმნა რა საეკლესიო ნიგნების მცირე ნაწილი.

მისგან სოხუმის ეპარქიის, ხოლო სოხუმის ეპარქიისაგან სამურზაყანოს სამრევლოების გამოყოფას, საბოლოო ჯამში კი, საეგზარქოსოს გაუქმებას ითვალისწინებდა³⁸⁸. საქართველოს საეგზარქოსოს და მის შემადგენლობაში შემავალ სოხუმის ეპარქიას აღნიშნული საფრთხე თავიდან ააცილეს 1917 წლის თებერვალში რუსეთში განხორციელებულმა დემოკრატიულმა რევოლუციამ და შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა.

388 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 610-617, 682-684, 739-750; წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, გვ. 548-570; Материалы об убийстве экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории. Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина. Тбилиси-Рязань, 2016, с. 106-111, 328-339.

**ნაწილი V. აფხაზეთი 1917 წლის თებერვლიდან 1921 წლის
მარტამდე**
**V. 1. აფხაზეთი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ავტონომიური ერთეული**

1917 წლის თებერვალში ცარიზმის დამხობის შემდეგ ვითარება მთელს იმპერიაში, მათ შორის კავკასიასა და თვით აფხაზეთშიც შეიცვალა. ახალ პირობებში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ რუსეთში – დროებითი მთავრობა, ამიერკავკასიაში – განსაკუთრებული კომიტეტი, სოხუმის ოკრუგში – საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი. ეს უკანასკნელი 1917 წლის 10 მარტს შეიქმნა და მას ალექსანდრე შარვაშიძე ხელმძღვანელობდა, მალე იგი დ. ზახაროვმა შეცვალა. სოხუმის ქალაქის თავის თანამდებობა ბ. ჩხიკვიშვილს ეკავა.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აფსუა-აფხაზები და მათი პოლიტიკური ლიდერები თანაუგრძნობდნენ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა გამაერთიანებელ მოძრაობას. 1917 წლის მაისში შეიქმნა მთიელთა ცენტრალური კომიტეტი (მთავრობა), რომელმაც აფხაზეთში თავისი წარმომადგენელი მიავლინა. აფხაზი ხალხის ყრილობამ 1917 წლის 7-8 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება მთიელთა კავშირში განწევრიანების შესახებ, დაამტკიცა აფხაზთა სახალხო საბჭოს დეკლარაცია და კონსტიტუცია, აირჩია სახალხო საბჭოს შემადგენლობა (თავმჯდომარე ს. ბასარია). საბჭო მხოლოდ აფხაზი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა, იცავდა მის ინტერესებს და რეგიონის მთავრობის, უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს როლზე პრეტენზიას არ აცხადებდა. თავის წარმომადგენლად მთიელთა მთავრობაში საბჭომ ს. აშხაცავა მიავლინა, რომელსაც აფხაზეთის საკითხებში „მინისტრის“ თანამდებობა ერგო.

საზგასმით უნდა ითქვას, რომ მთიელთა მთავრობაში სახალხო საბჭოს წარმომადგენლის მივლინება, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, სულაც არ ნიშნავდა ადმინისტრაციული თვალსაზრისით აფხაზეთის შესვლას ჩრდილოეთ კავკასიის შემადგენლობაში. სოხუმის ოკრუგი, ანუ აფხაზეთი ადმინისტრაციულად კვლავ ამიერკავკასიის ნაწილად რჩებოდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ცალსახა პრეტენზიას არც მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობა აცხადებდა. 1917 წლის 4 დეკემბერს მის მიერ გამოცემულ №1 დეკრეტში ნათქვამია: „ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგების მიმართ მთიელთა დროებით მთავრობას ძალაუფლება აქვს ეროვნული და პოლიტიკური

ხასიათის საკითხებში, ხოლო ამ ოკრუგებზე მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ახლავე და მთლიანად გავრცელება გადასაწყვეტად ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგების სახალხო საბჭოებს მიენდოს³⁸⁹. აფხაზეთა სახალხო საბჭოს არასოდეს მიუღია ჩრდილოეთ კავკასიასთან აფხაზეთის სახელმწიფოებრივი გაერთიანების გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, სოხუმის ოკრუგის გლეხთა II ყრილობამ 1918 წლის 4-9 მარტს გადაწყვიტა, რომ აფხაზეთი შედის „ამიერკავკასიის ხალხების საერთო შემადგენლობაში როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი, რათა მან თავისი უკეთესი მომავალი დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოქედოს“³⁹⁰. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის იურისდიქციის ქვეშ აფხაზეთი იმყოფებოდა, 1917 წლის 11 ნოემბერს ამიერკავკასიის დროებითა მთავრობამ – კომისარიატმა ჩაანაცვლა (თავმჯდომარე – ევგენი გეგეჭკორი).

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტერბურგში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებისა და რუსეთის სათავეში კომუნისტების (ბოლშევიკების) მოსვლამ ძირეულად შეცვალა ვითარება მთელს იმპერიაში. 1918 წლის 5 იანვარს კომუნისტურმა მთავრობამ დემოკრატიულად არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრება (პარლამენტი) დაითხოვა. ამის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა გეზი დამოუკიდებლობისაკენ აიღო, რასაც მოითხოვდა ამიერკავკასიის სახელით თურქეთთან მოლაპარაკების წარმოების ინტერესებიც. თურქეთი აქტიურად ცდილობდა ბრესტ – ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, მოითხოვდა რა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რეგიონის მისთვის გადაცემას. ამ ვითარებამ დააჩქარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. რუსეთის უკვე ყოფილი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელმა დეპუტატებმა 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი) ჩამოაყალიბეს. იგი შეივსო პოლიტიკური პარტიების მიერ არჩეული ახალი წევრებითაც. სეიმის შემადგენლობაში ამიერკავკასიის მთელი პოლიტიკური ელიტა იყო წარმოდგენილი, მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე. აფხაზეთის მკვიდრთაგან ამიერკავკასიის სეიმის წევრები გახდნენ სოციალ-დემოკრატები – აკაკი ჩხენკელი, ვასილ გურჯუა და ვალიკო ჯუღელი; სეიმის წევრობის კანდიდატებად

389 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 286.

390 Джемал Гамахрия, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 408 – 409.

არჩეულებს შორის იყო ვლადიმერ ემუხვარი³⁹¹. 1918 წლის 9 აპრილს სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაამტკიცა მთავრობა აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით. ცხადია, აფხაზეთი ამჯერადაც ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ამიერკავკასიის მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. 1918 წლის 8 – 9 აპრილს თურქეთმა მის წინააღმდეგ სამომარი მოქმედებები დაიწყო და ორ კვირაში აჭარა, აგრეთვე სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიკავა. რთული ვითარება შეიქმნა აფხაზეთის მიმართულებითაც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის პარალელურად მის შემადგენლობაში შემავალი ერების თვითგამორკვევის პროცესიც მიმდინარეობდა. ამ პროცესის ფარგლებში 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში ქართული ეროვნული საბჭოსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. მხარეები შეთანხმდნენ: „საზღვრებში მდინარე ენგურიდან მდინარე მზიმთამდე აღდგეს ერთიანი, განუყოფელი აფხაზეთი, რომლის შემადგელობაშიც შევიდოდნენ საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო“³⁹². აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა დემოკრატიული წესით არჩეულ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა.

ამიერკავკასიის მთავრობის ძალისხმევით, იმ დროისათვის პრაქტიკულად გადანყვეტილი იყო გაგრის ზონის კვლავ სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში დაბრუნების საკითხი. წინასწარი დადგენილება ამ საკითხზე 1917 წლის 30 ოქტომბერს მიიღო ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა ა. ჩხენკელის ინიციატივით. ამიერკავკასიის კომისარიატმა ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით 1917 წლის 7 დეკემბერს საბოლოოდ დაადგინა: „გაუქმდეს 1904 წლის 25 დეკემბერს უზენაესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულება, აღდგეს სოხუმის ოლქის ძველი ისტორიული საზღვრები მის შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეტანის გზით“³⁹³. აფხაზეთი, როგორც ითქვა, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ რუს ბოლშევიკებს მისი დათმობა არ

391 გაზ. ერთობა, 1918, 7 თებერვალი.

392 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 402.

393 Статус автономных регионов Абхазии и Юго – Осетии в составе Грузии. 1917 – 1988. Сборник политико – правовых актов. Тбилиси, 2004, с. 213 – 214, 218.

სურდათ. 1918 წლის ზამთარში და გაზაფხულზე მათ ორჯერ სცადეს აფხაზეთის დაპყრობა. ორივე შემთხვევაში სოხუმის აღება და საკუთარი დროებითი ხელისუფლების – ე. წ. რევოლუციური კომიტეტის დიქტატურის დამყარებაც მოახერხეს. აფხაზეთის დიდი ნაწილი ბოლშევიკური ტერორისა და ძარცვის ასპარეზი გახდა. ბოლშევიკებმა დაითხოვეს აფხაზთა სახალხო საბჭო, ხოლო მისი თავმჯდომარე ს. ბასარია და არაერთი წევრი დააპატიმრეს.

ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ 1918 წლის 17 მაისს სოხუმი ბოლშევიკებისაგან გაანთავისუფლა. 20 მაისს აფხაზთა სახალხო საბჭომ დაადასტურა საკუთარი და ასევე სოხუმის ოკრუგის გლქეთა II ყრილობის გადაწყვეტილებები ამიერკავკასიის ხალხების საერთო ოჯახში აფხაზეთის ყოფნის შესახებ. აშკარა ფაქტების საპირისპიროდ, სეპარატისტული ისტორიოგრაფია მთიელთა რესპუბლიკის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 11 მაისს, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღედ მიიჩნევს³⁹⁴. გაუგებარია, როგორ აღადგინა აფხაზეთმა სახელმწიფოებრიობა რეგიონის ბოლშევიკური ოკუპაციის, სახალხო საბჭოს დათხოვნისა და მისი წევრების დაპატიმრების პირობებში და მაშინ, როცა ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკები რეგიონს არა აფხაზეთს, არამედ სოხუმის ოკრუგს უწოდებდნენ. მტკიცება ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში სოხუმის ოკრუგის მიერ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ სეპარატისტთა მორიგი სრულიად უსაფუძვლო მონაწირობა.

ვერც ერთი მწვავე პრობლემა ვერ გადაწყვიტა 1918 წლის 11 მაისს ამიერკავკასიის რესპუბლიკასა და თურქეთს შორის ბათუმში დაწყებულმა საზავო კონფერენციამ. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ თანხმდებოდნენ საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში. საქართველო გერმანულ ორიენტაციას ადგა, სომხეთი – ინგლისურს, აზერბაიჯანი კი – თურქულს. აღნიშნულმა უთანხმოებამ და თურქეთის აგრესიულმა ქმედებამ 1918 წლის მაისში ამიერკავკასიის სახელმწიფო დაშლამდე მიიყვანა. ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი, რომელიც 1918 წლის მარტ-აპრილში ტრაპიზონში, ხოლო 11 მაისიდან ბათუმში თურქეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს გადასარჩენად აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება. 1918 წლის 15 მაისიდან აკაკი ჩხენკელი წერილს წერილზე აგზავნიდა თბილისში და დაჟინებით მოითხოვდა მისი წინადადების

394 О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, 310-311.

მიღებას³⁹⁵. ნოე ჟორდანიამ და მთლიანად ეროვნულმა საბჭომ გაიზიარეს აკაკი ჩხენკელის მოსაზრებები. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების ერთ – ერთი სამართლებრივი საფუძველი გახდა.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების, მათ შორის რუსეთის ქვეშევრდომობისა და მოქალაქეობის არმქონე ათასობით ბერძნისა და სომხის ინტერესების დაცვას. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე აფხაზეთში მცხოვრები და მომუშავე ადამიანები, განურჩევლად ეროვნებისა, ქვეყნის სრულყოფილებიანი მოქალაქეები გახდნენ. მათ მიეცათ მიწაზე საკუთრების, აგრეთვე აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება³⁹⁶. ერთა თანასწორობის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებში მათი გათანაბრების სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა მისდამი მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას, სეპარატისტთა უკმაყოფილებას იწვევდა. ცნობილი სეპარატისტი ს. ბასარია საყვედურობდა ბერძნებს იმის გამო, რომ ისინი მხარს უჭერდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას³⁹⁷. ადგილი ჰქონდა სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე, მათ შორის ბერძნებზე აფხაზთა თავდასხმის ფაქტებსაც. ასე, მაგალითად, 1918 წლის 20 ივლისს სახალხო საბჭომ განიხილა გუდაუთის უბნის ბერძნული მოსახლეობის წარმომადგენლის განცხადება ბოლშევიკური ორიენტაციის აფხაზური ბანდიტური შეიარაღებული ფორმირების „კიარაზის“ მხრიდან ბერძნების დევნისა და ორგანიზებული ძარცვის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შარვაშიძემ აღნიშნა, რომ „კიარაზის“ წევრები შურს იძიებენ ბერძნებზე იმის გამო, რომ ისინი კომუნისტების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მან მოითხოვა „კიარაზის“ წევრებისაგან დაბრუნებოდნენ მშვიდობიან ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში

395 საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. თბილისი, 2003, გვ. 56-57; დოდო ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი. თბილისი, 2018, გვ. 132-142.

396 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. შემდგენელი ე. გურგენიძე. თბილისი, 1990, გვ. 46-47, 179-197, 222-223, 270-273.

397 С. Басария. Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении, с. 95.



აკაკი ჩხენკელი



ვალიკო ჯუღელი



არზაყან ემუხვარი



ვასილ გურგენ

მათი დაშოშმინებით სამხედროები დაკავდებოდნენ³⁹⁸. მიუხედავად ამისა, ბერძენთა დევნა არ შეწყვეტილა, რამაც აიძულა მრავალი ოჯახი აფხაზეთიდან გასახლებულიყო³⁹⁹. ასეთივე დევნას განიცდიდნენ „კიარაზელებისაგან“ გუდაუთის უბანში მცხოვრები სომხები. ამის შესახებაც არა ერთი დოკუმენტი მოგვითხრობს, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია⁴⁰⁰.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის სომხური და ბერძნული მოსახლეობა არ მონაწილეობდა შოვინისტებისა და სეპარატისტების მიერ მოწყობილ ავანტიურებში. აფხაზეთის ელინური საზოგადოება, რომელიც 1918 წლის 3 თებერვალს იქნა არჩეული⁴⁰¹ და რომელსაც ცნობილი ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე ივანე ფაშალიდი ხელმძღვანელობდა, მუდამ იდგა სახელმწიფოებრივ პოზიციაზე, მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. სახელმწიფოებრივ პოზიციაზე იდგა სომეხთა ეროვნული საბჭოც.

საბჭოთა რუსეთს არანაირად არ აწყობდა მშვიდობა და თანხმობა საქართველოში, პირველ რიგში, აფხაზეთში. 1918 წლის ივნისის შუა რიცხვებში რუსმა ბოლშევიკებმა სოჭიდან მორიგი შეტევა განახორციელეს და ახალ ათონამდე მოვიდნენ. აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრების თხოვნით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით სამხედრო რაზმი გამოგზავნა. 19 ივნისს გენერალი სოხუმში ჩავიდა. აფხაზთა 300 კაციანი ესკადრონით გაძლიერებულმა ქართულმა რაზმმა 27 ივნისს შეტევა განახორციელა, რომლის შედეგადაც არა მხოლოდ აფხაზეთი განთავისუფლდა, არამედ ერთ თვეში, 1918 წლის 26 ივლისს, ტუაფსეს აღებაც მოხერხდა. რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკურ-საბჭოური წითელი არმიის წინააღმდეგ მეზობელი ე. წ. თეთრი გვარდიის ზენოლით, 1918 წლის აგვისტოში ქართულმა ჯარებმა სოჭისკენ დაიხიეს.

აფხაზეთის პრორუსულმა სეპარატისტულმა ძალებმა შექმნილი ვითარება საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. 1918 წლის 27 ივნისს, როდესაც აფხაზეთში შემოჭრილი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, სახალხო საბჭოს წევრებმა ალექსანდრე შარევიძემ და ტატამ მარშანიამ კოდორის (ოჩამჩირის) უბანში ძირითადად აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებით დაკომპლექტებული თურქული სამხედრო დესანტი ჩამოიყვანეს. თითქმის ერთი თვით

398 გაზეთი „ოქროს საწმისი“, 1991, № 2.

399 Н. Н. Иоаниди. 1949 год (технология преступления). Сухуми, 2006, с. 10.

400 გაზეთი „ოქროს საწმისი“, 1991, № 15.

401 Н. Н. Иоаниди. Греки в Абхазии, с. 26-27.

ადრე, 1918 წლის 1 ივნისს გაზეთი „საქართველო“ ღიად წერდა აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმის რეალური საფრთხის არსებობის შესახებ. კიდევ უფრო ადრე, 1918 წლის 15 მაისს, ბათუმში მყოფი აკაკი ჩხენკელი თბილისს ატყობინებდა, რომ „აფხაზი მხედარნი მოჰაჯირები“ ოსმალეთიდან თავმოყრილი იყვნენ ბათუმში. „სრულიად ნათლათ გამოირკვა, – ნათქვამია წერილში, – რომ მათ უნდათ და კიდევ შეასრულებენ თურქების თავდასხმას აფხაზეთზე, არის გეგმა, არის ძალები გამზადებული სადღაც ახლო“⁴⁰². სეპარატისტები ამოდ ცდილობდნენ აფხაზეთში შემოყვანილი მეზობელი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების ნამდვილი მიზნების მათი წარმომავლობით (მუჰაჯირობით) შენიღბვას. ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომებზე განხილვის საგანიც. საბჭოს ერთ – ერთ სხდომაზე, რომელიც 1918 წლის 30 ივლისს გაიმართა, ვლადიმერ ემუხვარმა განაცხადა, რომ დესანტის წევრები წარმოშობით უეჭველად ჩვენი ძმები არიან. ამავე დროს მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „ისინი მოვიდნენ ჩვენთან როგორც თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილი და დღემდე ასეთებად რჩებიან. ომიანობის დროს ჯარისკაცები თურქეთიდან თვითნებურად ვერ წამოვიდოდნენ; დემობილიზაცია ჯერ გამოცხადებული არ არის. თურქეთის მთავრობა თუ ამას უშვებს, მაშინ ეს ხდება შეგნებულად“⁴⁰³. საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. ქართულმა ჯარებმა ბოლშევიკურ ტერორს გამოქცეული და საქართველოში შეფარებული რუსი კაზაკების, აფხაზეთში მაცხოვრებელი ბერძნების, სომხების, გერმანელებისა და სხვა ხალხების დახმარებით დესანტის ნეიტრალიზაცია მოახდინეს. ამის შემდეგ მედესანტეები თურქეთში დაბრუნდნენ.

სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მთავრობას ზოგადად აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების საკითხისადმი. აკაკი ჩხენკელი 1918 წლის 15 მაისს ზემოხსენებულ წერილში ნოე ჟორდანიას აცნობებდა, რომ ამიერკავკასია-თურქეთის ხელშეკრულებაში შეიტანდა მუხლს, „რომ მოჰაჯირი აფხაზები დაბრუნდნენ სრულიათ თავისუფლათ“⁴⁰⁴. 1920 წლის 1

402 დოდო ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 135.

403 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 81-82, 423.

404 დოდო ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 136.

თებერვალს აფხაზი მუჰაჯირების წარმომადგენლებმა სამშობლოში დაბრუნების თაობაზე თხოვნით მიმართეს თურქეთში საქართველოს მისიის ხელმძღვანელს გ. რცხილაძეს. მუჰაჯირების სურვილის თაობაზე გ. რცხილაძემ პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს ნ. ჩხეიძეს შეატყობინა. 1920 წლის 7 აპრილს ნ. ჩხეიძემ მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს წინაშე დასვა საკითხი, რათა თურქეთთან მომავალი ხელშეკრულების პირობებში შეეტანათ სპეციალური მუხლი ქართველი და აფხაზი მუჰაჯირების სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების შესახებ⁴⁰⁵. ქართული მხარის ეს კეთილი ნება მხოლოდ იმიტომ ვერ განხორციელდა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა.

რაც შეეხება თურქული დესანტის საკითხს, მას არავითარი კავშირი მუჰაჯირების დაბრუნებასთან არ ჰქონდა. პირიქით, აღნიშნული დესანტი, მიუხედავად მედესანტეთა აფხაზური წარმოშობისა, თურქული აგრესიის იარაღს წარმოადგენდა. ამიტომაც მოხდა მათი განდევნა აფხაზეთიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ სეპარატისტებს წარმატების იმედი გადაეწურათ. ამის შემდეგ პრორუსულ ძალებთან ერთად მათ ატეხეს ხმაური გენერალ გ. მაზნიაშვილის მიერ აფხაზეთის „ოკუპაციის“ შესახებ, მოითხოვეს რეგიონიდან ქართული ჯარების გაყვანა. თეზისი „ოკუპაციის“ შესახებ თანამედროვე სეპარატისტულმა ისტორიოგრაფიამაც აიტაცა, რათა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის „უკანონობა“ დაამტკიცოს. ე.წ. ოკუპაციის საკითხი არაერთხელ განიხილა აფხაზთა სახალხო საბჭომაც. 1918 წლის 17 ივლისს იგი გ. მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდობის საკითხს იხილავდა. სახალხო საბჭომ თითქმის ერთხმად გადაწყვიტა: „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწყვეტილება და ითქვას საქართველოს ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ“⁴⁰⁶. 1918 წლის 18 – 19 ივლისს სახალხო საბჭომ მხარი არ დაუჭირა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრის ი. რამიშვილის წინადადებას ქართული ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ. მოტანილი ფაქტები უარყოფენ მტკიცებას „ოკუპაციის“ თაობაზე. ქართული ჯარები აფხაზეთში, ანუ საკუთარ ქვეყა-

405 ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი, 1991, გვ. 80-82.

406 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 418.

ნაში 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულებისა და აფხაზეთა სახალხო საბჭოს თხოვნის საფუძველზე იმყოფებოდნენ.

ბოლშევიკური ავანტიურის ჩაშლის შემდეგ უპრინციპო სეპარატისტებმა გეზი გენერლების მ. ალექსეევისა და ა. დენიკინის მეთაურობით მოქმედ ანტიბოლშევიკურ ძალაზე – თეთრგვარდიელებზე აიღეს. 1918 წ. 25-26 სექტემბრს გაიმართა უშედეგო მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა (საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, გენ. გ. მაზნიაშვილი) და ზემოხსენებულ თეთრგვარდიელ გენერლებს შორის. იგი ძირითადად სოჭის კუთვნილების საკითხს შეეხებოდა. უშედეგოდ დასრულებულმა მოლაპარაკებებმა აჩვენეს, რომ რუსი თეთრგვარდიელები საქართველოსთან დაპირისპირებაში დიდ იმედებს აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებზე ამყარებდნენ.

ამგვარი საფრთხის არსებობა სულ მალე დადასტურდა. თეთრგვარდიელთა მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა 1918 წლის 9 ოქტომბერს ძალადობის გზით სცადეს სოხუმში პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა, სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის, მათ შორის თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გადაყენება. მცდელობა ჩაიშალა. სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვ. შარვაშიძის და საბჭოს წევრების დ. ემუხვარის, ი. გოგელაშვილის, ი. ფაშალიძისა და პ. გელოვანის წინადადებით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთა სახალხო საბჭო დაითხოვა, შეთქმულები დააპატიმრა და ამის შემდეგ წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები დანიშნა. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საქართველოს მოუხდა სოჭიდან შემოჭრილი თეთრგვარდიელების მოგერიება. მოწინააღმდეგე გაგრა დაიკავა და მდ. ბზიფზე გამაგრდა. მიუხედავად ამისა, 1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციამ. თითქმის ერთდროულად, 1919 წლის 14-16 თებერვალს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) არჩევნები. აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტის წევრები გახდნენ დიმიტრი ემუხვარი, ვარლამ შარვაშიძე, ვასილ გურჯუა, ივანე ფაშალიდი და დიმიტრი ზახაროვი⁴⁰⁷. მანამდე, 13 თებერვალს, ისინი აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებადაც იყვნენ არჩეულები. 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე აფხაზეთიდან წარგზავნილებმა ხელი მოაწერეს 1918 წლის 26 მაისს ეროვნული კრების მიერ მიღებულ აქტს საქართველოს სახელმ-

407 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 299. ჭ

ნიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრებმა სამურზაყანოელმა აკაკი ჩხენკელმა-საქართველოს პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და სოხუმელმა ვალიკო ჯუღელმა – საქართველოს ეროვნული გვარდიის სახელოვანმა მეთაურმა.

აფხაზეთის ახლადარჩეული სახალხო საბჭო პირველად 1919 წლის 18 მარტს შეიკრიბა, საბჭოს თავმჯდომარედ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი იქნა არჩეული. მისი თავმჯდომარეობით სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. დოკუმენტის პირველი პუნქტით გაცხადდა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“⁴⁰⁸. 1919 წ. მაისში სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კომისარიატის (მთავრობის) შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი ჩაუდგა. მაშინვე სოხუმის ოკრუგს აფხაზეთი, ხოლო აფხაზეთა სახალხო საბჭოს აფხაზეთის სახალხო საბჭო ეწოდა და მისი თავმჯდომარე კვლავ ვარლამ შარვაშიძე გახდა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს უმრავლესობის პოზიცია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მთავარ საკითხებში ჩამოყალიბებულია დამფუძნებელი კრებისა და სახალხო საბჭოს წევრის ვასილ გურჯუას (ეთნიკური აფხაზი) გამოსვლაში დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე. აკრიტიკებდა რა ეროვნულ-დემოკრატებს (ნ. თავდგირიძეს და სხვებს), რომლებიც, მისი აზრით, აფხაზეთში არსებულ ვითარებას ამახინჯებდნენ, მან განაცხადა: „ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან. და ჩვენ ამ რესპუბლიკაში გერებათ კი არ ვსთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად (ტაში). რამდენიც უნდა დაგვწამონ ცილი ბატონებმა თავდგირიძეებმა, ჩვენ სწორ გზიდან მაინც არ აგვაშორებენ. გზა კი არის შემდეგი: ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი ყოველ საქართველოს ნაწილისთვის (ტაში). აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ამ საქართველოსა, მხოლოდ თავის შინაურ საქმეში იქნება დამოუკიდებელი. ჩვენ მიერ გამოთქმული კონსტიტუცია თქვენ უნდა მიიღოთ და მოინწონოთ. თქვენ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი კანონები ჩვენთვისაც იქნება სავალდებულო.

ჩვენ მეტს არაფერს არ ვთხოვლობთ და ამის წინააღმდეგ საქა-

408 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия _ историческая область Грузии, с. 435.

რთველოში ნამდვილი დემოკრატიის წარმომადგენლები არასოდეს არ იყვნენ და არც იქნებიან წინააღმდეგნი. ჩვენ ეს არაერთხელ გამოგვითქვამს. მაშ, გაუმარჯოს საქართველოს და მის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს დემოკრატიულად დარაზმულ ავტონომიურ აფხაზეთს, ამ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს (ტაში)⁴⁰⁹.

1919-1921 წლები იყო აფხაზეთის ავტონომიის რეალურად ცხოვრებაში გატარების, სახელისუფლებო სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების, გაგრიდან რუს თეთრგვარდიელთა განდევნის (1919 წ. აპრილი), აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პერიოდი. ამასთანავე, ხელისუფლებას მკვეთრად უპირისპირდებოდნენ სახალხო საბჭოში მოკალათებული კომუნისტები და მათი მხარდამჭერები, რომლებმაც „დამოუკიდებელ“ დეპუტატთა ფრაქცია ჩამოაყალიბეს. ისინი თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციას, პლატფორმას არ ამჟღავნებდნენ და მხოლოდ აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობდნენ. სახალხო საბჭოს 1919 წლის 8 აპრილის სხდომაზე ე. წ. დამოუკიდებელი დეპუტატები (სინამდვილეში კომუნისტები) მკვეთრად გააკრიტიკა ივანე ფაშალიდი. „ჩვენი სცოციალ-დემოკრატიული პროგრამა ყველასათვის ცნობილია, მაგრამ როგორია თქვენი პოლიტიკური შეხედულება“, - იკითხა ბერძენმა დეპუტატმა და თვითონვე უპასუხა: „ბოიკოტის პროგრამა“⁴¹⁰. 1920 წლის იანვარში საქართველოს საერთაშორისო აღიარებამ, აგრეთვე იმავე წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმებამ და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ რამდენადმე გააუმჯობესეს ქვეყნის მდგომარეობა, შექმნეს სამართლებრივი გარანტიები ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების III მუხლის I პუნქტი მკაფიოდ განსაზღვრავდა ორ ქვეყანას შორის სახელმწიფო საზღვარს შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გაყოლებით ახახჩას მთამდე. რუსეთი ვალდებული იქნა კისრულობდა, „აღიაროს როგორც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში უპირობოდ შემაჯალი“, გაგრის ზონა და „ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვემო ჩამოთვლილი გუბერნიები და ოლქები – თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თავიანთი მაზრებითა და ოკრუ-

409 საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში). ორმოცდამეხუთე სხდომა, 1919 წელი, 2 აგვისტო, გვ. 16-17.

410 საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 1833, ანაწერი 1, ს. 853, ფ. 94.



წმინდა მღვდელმონაპე
კირიონ II (საძაგლიშვილი)



წმინდა აღმსარებელი
ამბროსი (ხელაია)

გებით, რომლებიც აღნიშნულ გუბერნიებს და ოლქებს შეადგენენ, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები⁴¹¹. 1918 – 1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შემავალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. მას ჰყავდა დემოკრატიული წესით არჩეული სახალხო საბჭო და მის მიერ დამტკიცებული მთავრობა. ავტონომიის სტატუსი დაფიქსირდა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. კონსტიტუციის 107-ე მუხლი ადგენდა: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს, სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას, ზაქათალას ოლქი ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური თვითმმართველობა“⁴¹². იმავე კონსტიტუციის 108-ე მუხლის შესაბამისად, 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა აგრეთვე კანონი „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულების შესახებ“. საშინაო საკითხების მართვა-გამგეობაში ავტონომიის ფართო უფლებები ენიჭებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში სოხუმის ოკრუგი (ადმინისტრაციული ერთეული) ავტონომიურ ანუ პოლიტიკურ ერთეულად გარდაიქმნა; აფხაზეთის ტერიტორია გაფართოვდა გაგრის ზონის შემოერთებითა და იარალით ხელში მისი შენარჩუნებით; ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები, ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება; აფხაზეთის სტატუსი საქართველოს კონსტიტუციის ძალით იქნა დადასტურებული. სამწუხაროდ, კონსტიტუციისა და აფხაზეთის შესახებ საკონსტიტუციო კანონის ამოქმედება ვერ მოესწრო – 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია შემდგომი ანექსიით.

V. 2. ქართული ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია

აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის პარალელურად, სოხუმის ეპარქიაშიც ძირეული რეორგანიზაცია განხორციელდა. იგი შესაძლებელი გახადა საქართველოს მიერ ეკლესიური და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებამ. ქარ-

411 Оккупация и фактическая аннексия Грузии. Документы и материалы. Тбилиси, 1990, с. 75-76.

412 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 476.

თულმა სამღვდელოებამ ისარგებლა რუსეთის 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ პერიოდში შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით და იმავე წლის 25 მარტს საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევამდე ეკლესიის მართვა-გამგეობა დროებით კომიტეტს დაევალა. 1917 წლის 27 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა აღიარა, მაგრამ არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნით. საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასთან ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად 1917 წლის 1 ივლისს რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დროებითი წესები, რომლებიც უწმინდეს სინოდთანაც წინასწარ იყო შეთანხმებული. დამტკიცებული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა მხოლოდ მართლმადიდებლური ქართული სამრევლოები რუსეთის იმპერიის მასშტაბით. აფხაზეზს, ოსებს და სხვა ერის წარმომადგენლებს სურვილისამებრ შეეძლოთ ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შესვლა. 1917 წლის 14 ივლისს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა დროებითი მთავრობის 1 ივლისის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, კავკასიაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მოწყობის დროებითი წესები დაამტკიცა. ამიერიდან საქართველოს საეგზარქოსოს კავკასიის საეგზარქოსო ეწოდა, რომელსაც კავკასიის ეგზარქოსი და თბილისის მიტროპოლიტი უხელმძღვანელებდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები საქართველოში ფილეთიზმის ანტიკანონიკურ პრაქტიკას ამკვიდრებდნენ, ისინი მაინც იძლეოდნენ ქართული ეკლესიის ტერიტორიული ნიშნით ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ეს კი ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოში მაცხოვრებელი მკვიდრი ერების პოზიციაზე, განსაკუთრებით სოხუმის ეპარქიაზე. ქართულ და რუსულ სამღვდლოებს შორის დაპირისპირების ყველაზე ცხელი ხაზიც სწორედ სოხუმის ეპარქიაზე გადიოდა. ახლად ჩამოყალიბებული კავკასიის რუსული საეგზარქოსო და სოხუმის ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი) ყველა ღონეს მიმართავდნენ სოხუმის ეპარქიის რუსული ეკლესიის გამგებლობაში შენარჩუნებისთვის. ქართული ეკლესია კი, პირიქით, თავის კანონიკურ ტერიტორიაზე – სოხუმის ეპარქიაზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას ცდილობდა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1917 წლის 12 აპრილს სოხუმში გამართული საეპარქიო ყრილობა. მასში

ძირითადად ქართული სამღვდლოება მონაწილეობდა, რომელიც სოხუმის ეპარქიაში შემავალ სამრევლოთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდა. ცხადია, ყრილობამ ქართულ ეკლესიასთან გაერთიანების გადანწყვეტილება მიიღო.

1917 წლის 24-27 მაისს სოხუმში აფხაზეთა საეკლესიო ყრილობაც გაიმართა. მას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „საეკლესიო ყრილობა“, ვინაიდან 1917 წლისთვის სოხუმის ეპარქიაში მომსახურე ასზე მეტი სასულიერო პირიდან, მხოლოდ რვა იყო ეთნიკურად აფხაზი. დელეგატების ძირითად ნაწილს სხვადასხვა აღმსარებლობის საერო პირები წარმოადგენდნენ. ყრილობის მუშაობას კომუნისტური ანუ ათეისტური ორიენტაციის აფხაზი საზოგადო მოღვაწეები (სიმონ ბასარია, სამსონ ჭანბა, მ. ტარნავა და სხვები) წარმართავდნენ. საეკლესიო ყრილობის თავმჯდომარედ პედაგოგი სიმონ ბასარია იქნა არჩეული, თანათავმჯდომარედ – მუგუძირხვის წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის მღვდელი ვასილ აგრბა, რომელიც კომუნისტური პარტიის აქტიური წევრი გახლდათ. ყრილობას სიტყვით მიმართა აფხაზი კომუნისტების ლიდერმა, შემდგომში საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვანელმა ნესტორ ლაკობამ. საეკლესიო საკითხზეც მოხსენება კომუნისტური ორიენტაციის მქონე მ. ტარნავამ გააკეთა. მომხსენებელი უხეშად ამახინჯებდა აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორიას. მიუხედავად ამისა, მიღებული რეზოლუცია საკმაოდ განონასწორებელი იყო. არ გამართლდა რუსული სამღვდლოების იმედები აფხაზური სამრევლოების რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში დარჩენის თაობაზე. ყრილობამ მოითხოვა დამოუკიდებელი აფხაზური ეკლესიის ჩამოყალიბება, რომელსაც აფხაზი ხალხის მიერ არჩეული ეპისკოპოსი უხელმძღვანელებდა. ყრილობა მიესალმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და იმედი გამოთქვა, რომ იგი ჩვეულ სიყვარულს გამოიჩენდა „აფხაზური ეკლესიის“ მიმართ. ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობა ასევე მიესალმა აფხაზური ყრილობის ამ გადანწყვეტილებას და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება „ჩვენთვის მოძმე აფხაზური ეკლესიის აყვავებაში“⁴¹³.

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ქართული ეკლესიის პირველი კრება 1917 წლის 8-17 სექტემბერს გაიმართა. აფხაზეთ-სამურზაყანომ კრებაზე 22 დელეგატი მოავლინა. მათ შორის იყო აფხაზეთის საქმეთა მინისტრი საქართველოს მთავრობაში რაფაელ ჩქოტუა, რომელიც მისასალმებელი სიტყვითაც გამოვიდა. კრების მიერ დამტკიცებული ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება ითვალისწინებდა

413 საპატრიარქოს უწყებანი, 2011, 12-19 მაისი, № 18, გვ. 5-8.

ცხუმ-ზედიის ეპარქიის შექმნას ადგილსამყოფელით ცხუმში (სოხუმში). ვინაიდან ქართული ეკლესიის იურისდიქცია აფხაზეთზე ჯერ არ ვრცელდებოდა, ცხუმ-ზედიის ეპარქია დროებით წყონდიდის ეპარქიას მიენერა. წყონდიდის მიტრიპოლიტის, აფხაზეთის მკვიდრის ამბროსის (ხელაია) ძალისხმევითა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მხარდაჭერით, 1917 წლის ბოლომდე მოხერხდა აფხაზეთის ქართული სამრევლოების დროებით წყონდიდის ეპარქიის დაქვემდებარებაში გადმოყვანა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, მის შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრამ და იქ ვითარების სტაბილიზაციამ დღის წესრიგში დააყენა სოხუმის ეპარქიის რეორგანიზაციის საკითხიც. სოხუმის ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი) 1919 წლის მარტიდან აფხაზეთში არ იმყოფებოდა, სოხუმში მოღვაწე რუსული სამღვდლოება კი კანონიერად არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აღიარებდა. ამ გარემოებამ პროცესები კიდევ უფრო დააჩქარა.

1919 წლის 1 სექტემბერს ავტონომიური აფხაზეთის მთავრობამ მიიღო დეკრეტი მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ. საეკლესიო ქონება აფხაზეთის საკუთრებაში გადავიდა, ვაკანტურად გამოცხადდა საეპისკოპოსო კათედრა⁴¹⁴. შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ 1919 წლის 7 ოქტომბერს აფხაზეთის საგანგებო საეკლესიო კრება გაიმართა, რომელსაც აფხაზეთის ყველა სამრევლოდან ერთი სასულიერო და ერთი საერო პირი – სულ 350 დელეგატი ესწრებოდა. კრებამ მოისმინა მიტროპოლიტი ამბროსის (ხელაია) მოხსენება და ისტორიული გადანყვეტილებები მიიღო. ამიერიდან სოხუმის ეპარქია, რომელსაც კრების დადგენილებით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა, დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა. ცხუმ – აფხაზეთის ეპარქიის მმართველად კრებამ ერთხმად მიტროპოლიტი ამბროსი აირჩია.

1919 წლის 17-23 ოქტომბერს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) სტუმრობდა. აფხაზეთის საზოგადოებამ და სამღვდლოებამ იგი თბილად მიიღო. 19 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქმა საკათედრო ტაძარში სწირა ქართველი, ბერძენი და რუსი სასულიერო პირების თანამწირველობით. წირვაც ქართულ, ბერძნულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა. იმავე დღეს მოხდა ბერძენი და რუსი მღვდლების კურთხევაც.

414 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с.450-451.

თბილისში დაბრუნებულმა კათალიკოს-პატრიარქმა 1919 წლის 28 ოქტომბერს საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა მოიწვია, რომელმაც იმავე წლის 7 ოქტომბერს გამართული აფხაზეთის საგანგებო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები დაამტკიცა⁴¹⁵.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის გაერთიანება საეკლესიო და საერო კანონების სრული დაცვით განხორციელდა. ბოლო მოელო აფხაზეთში ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფას, ღმრთისმსახურთა ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას. ამიტომაც აფხაზეთში განხორციელებული რეფორმა არ მოსწონდათ რუს შოვინისტებს და ადგილობრივ სეპარატისტებს. 1919 წლის 18 ნოემბერს ეს საკითხი აფხაზეთის წარმომადგენლობითი ორგანოს – სახალხო საბჭოს სხდომაზე განხილვისა და ცხარე დებატების საგანი გახდა. ოპონენტების მტკიცებით, სოციალისტური მთავრობა ეკლესიის საკითხებში არ უნდა ჩარეულიყო, რითაც თითქოს სინდისის თავისუფლება ირღვეოდა; სეპარატისტების აზრით, უკანონო იყო საეკლესიო ქონების აფხაზეთის საკუთრებად გამოცხადება, ახალი მღვდელმთავრის არჩევა და ა. შ. ოპონენტებს დასაბუთებული პასუხი გასცა ავტონომიური აფხაზეთის განათლების კომისარმა (მინისტრმა) ი. ლორთქიფანიძემ.

დებატებში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამფუძნებელი კრებისა (პარლამენტის) და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრმა ივანე ფაშალიძემ. „ეკლესიის საკითხს უთუოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა და ჩვენ, როგორც ხელისუფლების სათავეში მყოფ სოციალისტებს, არ შეგვიძლია ამ საკითხის მიმართ ინდიფერენტულები ვიყოთ, - აღნიშნა მან. - იგივე საბჭოთა ხელისუფლება აკვირდება და ყურს უგდებს ყოფილი რუსეთის იმპერიის ეკლესიას. დააპატიმრეს კიდევაც მღვდლები. მაგალითად, ლენინმა პატრიარქი ციხეში ჩასვა. ჩვენ ანგარიშს ვუნევთ ეკლესიას, რადგანაც რელიგია და ეკლესია ერთი და იგივე არ არის... ეკლესია ეს არის გარკვეული დანქნებულება, რომელსაც თავისი მნიშვნელობა აქვს ისტორიაში. ჩვენთვის სულერთია მოქალაქეები ღმერთზე როგორ ლოცულობენ, მაგრამ როცა ლოცულობენ არა ღმერთზე, არამედ სატანაზე, რომელიც ჩვენს კარიბჭესთან დგას (იგულისხმება რუსი გენერალი დენიკინი - ვ.გ.), მას ადგილი უნდა მივუჩინოთ... ქართული ავტოკეფალური ეკლესია აღიარებული იყო მსოფლიო კრების მიერ. ეს კი ნიშნავს, რომ კანონიკურად და ისტორიულად ქართული ეკლესია რუსულ ეკლესიაზე ადრე იყო ავტოკეფალური. ქართული ეკლესია

415 წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, გვ. 241-281.

დაფუძნდა მაშინ, როცა რუსები პერუნზე (ნარმართული ღვთაება – ჯ.გ.) ლოცულობდნენ⁴¹⁶. აფხაზეთის სახალხო კრებამ აღნიშნულ საკითხის განხილვა ივანე ფაშალიდის მიერ შემოთავაზებული მოკლე რეზოლუციის მიღებით დაასრულა. რეზოლუციაში კი ნათქვამი იყო, რომ სახალხო საბჭო დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს განათლების კომისარიატის ახსნა-განმარტებას აფხაზეთში მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის რეფორმის შესახებ⁴¹⁶.

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის კვლავ დედა ეკლესიასთან გაერთიანება ფაქტობრივად ქართული ავტოკეფალური ეკლესიის თავის კანონიკურ საზღვრებში აღდგენას ნიშნავდა. რეალურად იგი ფლობდა უკვე არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ ტერიტორიულ ავტოკეფალიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში. ცხუმ-აფხაზეთის მრავალეროვანი ეპარქია, მიუხედავად ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელებისა, ამკარად დაადგა აღორძინების გზას. ბოლო მოეღო ეროვნული ნიშნით მრევლის დისკრიმინაციას. მართლმადიდებელ ერებს – ქართველებს, აფხაზებს, ბერძნებს, რუსებს მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების შეუზღუდავი უფლება მიეცათ. ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1921 წლის თებერვალ-მარტიდან, როდესაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, როდესაც დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ქვეყნაში მოძალადე ათეისტური საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

416 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 820-821.

ნაწილი VI. საქართველოს ანექსია კომუნისტური რუსეთის მიერ და საბჭოთა აფხაზეთი 1921-1937 წლებში

საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. 4 მარტს საბჭოთა რუსეთის მე-9 არმიის 31-ე დივიზიამ აფხაზეთში, მისი ოკუპაციის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ავტონომიური აფხაზეთის ხელმძღვანელი არზაყან ემუხვარი ემიგრაციაში წავიდა. 1921 წლის 18 თებერვალს შექმნილმა აფხაზეთის დროებითმა რევოლუციურმა კომიტეტმა (თავმჯდომარე ი. ყვანია, წევრები – ე. სვერდლოვი და მ. ცაგურია) 6 მარტს ძალაუფლება გადასცა რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს (რკპ კავკასიის ბიურო) მიერ დამტკიცებულ აფხაზეთის რევოლუციურ კომიტეტს (რევკომს) ეფრემ ეშბას თავმჯდომარეობით (წევრები – ნიკოლოზ აქირთავა და ნესტორ ლაკობა). აფხაზეთის საკითხის გადანყვეტის მიზნით, 1921 წლის 28 მარტს ბათუმში თათბირი გამართეს საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა სერგო ორჯონიკიძემ, შალვა ელიავამ, მალაქია ტოროშელიძემ; მათთან ერთად თათბირობდნენ აფხაზები ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა. ორივე თურქეთიდან ჩამოვიდა, სადაც რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს დავალებით მუჰაჯირ აფხაზებსა და სხვა კავკასიელებს შორის კომუნისტურ აგიტაციას, აგრეთვე რუსეთის სასარგებლო ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ. ბათუმის თათბირზე გადანყვეტეს დროებით, საბჭოების არჩევამდე და მათი ყრილობის მოწვევამდე, აფხაზეთი გამოცხადდეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად⁴¹⁷. ამ ე. წ. არჩევნებამდე აფხაზეთის მთელი „დამოუკიდებლობა“ იმაში გამოიხატებოდა, რომ მას მართავდნენ არა უშუალოდ საქართველოს საბჭოთა მთავრობის, არამედ თბილისში მოქმედი რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე) მიერ დანიშნული პირები.

თანამედროვე სეპარატისტები და მათი მფარველები – რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირები თვით პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ჩათვლით, ნებსით თუ უნებლიედ, ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიან. ისინი მიზანმიმართულად ატყუებენ საკუთარ ხალხს და საერთაშორისო საზოგადოებას, როდესაც აცხადებენ, რომ გასაბჭოების

417 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 310.

შემდეგ აფხაზეთი თითქოს იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა და იგი მხოლოდ მოგვიანებით ქართველმა იოსებ სტალინმა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეიყვანა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თვით რუსეთის შემადგენლობაშიც, განსაკუთრებით მის სამხრეთ რეგიონებში დროებით არაერთი „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკა არსებობდა. შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, თერგის საბჭოთა რესპუბლიკა, დონის საბჭოთა რესპუბლიკა, შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა, ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკა, ყუბან – შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა, სტავროპოლის საბჭოთა რესპუბლიკა, ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა. დროებით „დამოუკიდებელი“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები იყვნენ აგრეთვე ყირიმი (უკრაინა), ყარაბახი (აზერბაიჯანი) და ა. შ. იმავე ი. სტალინის მეცადინეობით, რუსეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალმა „რესპუბლიკებმა“ ავტონომიების ან ადმინისტრაციული ერთეულების სტატუსი მიიღეს.

იგივე მოხდა საქართველოშიც. როგორც უკვე ითქვა, აფხაზეთის სსრ იმთავითვე დროებით გამოცხადდა. ფაქტობრივად ეს იყო ავტონომიის ერთ-ერთი ფორმა. XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა რუსეთის თუ საბჭოთა კავშირის არც ერთ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოკუმენტში, ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოების არც ერთ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ განცხადებაში თუ წერილში, სახელმწიფოს ხელმძღვანელების, მათ შორის ვ. ლენინის გამოსვლებში კავკასიის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებს შორის აფხაზეთი არ მოიხსენიება. მისი დაფინანსება თბილისიდან ხდებოდა; საბჭოთა საქართველოს მთავრობის განკარგულებები შესასრულებლად საბჭოთა აფხაზეთის მთავრობასაც ეგზავნებოდა, და ა.შ. 1921 წლის 5 ივლისს რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, განეულ იქნას პარტიული მუშაობა „იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სახით შევიდეს საქართველოს შემადგენლობაში“. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, 1921 წლის 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირმა ნ. ლაკობას მოხსენების საფუძველზე მიიღო დადგენილება „ეთნოგრაფიული, ისტორიული და ყოფითი პირობების გამო საბჭოთა აფხაზეთის საბჭოთა საქართველოსთან ფედერირების შესახებ“⁴¹⁸. ეს

418 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия _ историческая область Грузии, с. 118, 475.

ნიშნავდა რუსეთის მიერ ძალით გასაბჭოებულ თბილისსა და სოხუმს შორის დე-ფაქტო არსებული ურთიერთობების დე-იურე გაფორმების პროცესის დაწყებას.

ამიერკავკასიის ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკების-აგან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) განსხვავებით, აფხაზეთს არ ჰყავდა წარმომადგენლობა მოსკოვში. რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი (მინისტრი) ი. სტალინი 1921 წლის 1 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) აცნობებდა, რომ „აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ავტონომიური ნაწილი, ამის გამო დამოუკიდებელი წარმომადგენლობები რუსეთში არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს. ამიტომ კრედიტის მიღება რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან (რსფსრ-დან) მას არ შეუძლია“⁴¹⁹. აფხაზეთი ასეთ კრედიტებს 1921 წელსაც მხოლოდ საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან იღებდა, ვინაიდან მოსკოვში მას საქართველოს ნაწილად თვლიდნენ. 1921 წლის 14 ნოემბერს აფხაზეთის ხელმძღვანელმა ეფრემ ეშბამ დასვა საკითხი იმუჟამად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთის უშუალოდ შესვლის შესახებ. ამის პასუხად იმავე წლის 16 ნოემბერს რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ დაადგინა: „წინადადება მიეცეს ამხანაგ ეშბას, წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა სახელშეკრულებო საწყისებზე საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ან ავტონომიური ოლქის საწყისებზე რსფსრ-ში აფხაზეთის შესვლის შესახებ“⁴²⁰.

ამრიგად, საბჭოთა სტანდარტების მიხედვით, აფხაზეთს შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ან თუნდაც ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსზე. მაგრამ საქართველოს შემადგენლობაში მას ეძლეოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი, რათა თავისუფლებისმოყვარე საქართველოზე ზენოლის იარაღის, ბერკეტის ფუნქცია შეესრულებინა.

საქართველოსა და აფხაზეთის „ღრმა საერთოეროვნული კავშირებიდან გამომდინარე“, 1921 წლის 16 დეკემბერს მათ შორის

419 А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси, 1998, с. 67.

420 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 482.

გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო, პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური კავშირის დამყარების შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ასევე „ყველა სამხარეო გაერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში აფხაზეთის შესვლას საქართველოს მეშვეობით“ და არა უშუალოდ. აქედანაც კარგად ჩანს, რომ 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით ორი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკის გაერთიანება კი არ მოხდა, არამედ ერთი რესპუბლიკა (აფხაზეთი) შევიდა მეორის (საქართველოს) შემადგენლობაში. 1922 წლის თებერვალში, როცა აფხაზეთში და მთლიანად საქართველოშიც „არჩევითი“ წარმომადგენლობითი ორგანოები ჩამოყალიბდნენ, ეს ურთიერთობა კონსტიტუციურადაც გაფორმდა. აფხაზეთის მუშათა, გლეხთა და ნითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების I-მა ყრილობამ 1922 წლის 17 თებერვალს დაამტკიცა თბილისსა და სოხუმს შორის 1921 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება. საქართველოს მუშათა, გლეხთა და ნითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობამ 1922 წლის 28 თებერვალს მიიღო კონსტიტუცია, რომლის I თავის I პუნქტში ნათქვამია: „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“⁴²¹.

ამრიგად, საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში საბჭოთა აფხაზეთის ყოფნა კონსტიტუციურად იქნა დადასტურებული. XX საუკუნის 20-იან წლებში ფაქტობრივად და სამართლებრივად აფხაზეთი წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას, ამიტომ ის ვერ გახდა ამიერკავკასიის ფედერაციის, მით უმეტეს, 1922 წლის 29-30 დეკემბერს შექმნილი საბჭოთა კავშირის სუბიექტი. ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელმა გ. ორჯონიკიძემ, რომელმაც მისცა თანხმობა აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებაზე, აფხაზეთის საბჭოების II ყრილობაზე 1923 წლის 21 დეკემბერს განაცხადა: „აფხაზეთმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა და თანასწორუფლებიანია ჩვენს კავშირში“⁴²². საბჭოთა

421 Образование Союза Советских Социалистических Республик. Сб-к документов. Москва, 1972, с. 237-238.

422 Съезд Советов Абхазии. Сборник документов и материалов. 1922-1923.

კავშირის პირველი კონსტიტუციის (1924 წელი) მიხედვითაც, აფხაზეთს ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. აღნიშნული კონსტიტუციის IV თავის 15-ე პუნქტში ნათქვამია: „აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და ნახიჭევანის ავტონომიური ოლქები ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს აგზავნიან“⁴²³. ამრიგად, ისტორიის ფალსიფიკატორების – სეპარატისტებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანით დაკავებული რუსეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელების განცხადებების მიუხედავად, ფაქტი რჩება ფაქტად: სსრ კავშირის პირველი (1924 წლის) კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც 1936 წლამდე მოქმედებდა, აფხაზეთს ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი.

საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებში აფხაზეთი მაინც მოხსენიებული იყო სახელშეკრულებო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. სეპარატისტები ხშირად იშველიებენ აფხაზეთის 1925 წლის ე. წ. კონსტიტუციას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ასეთი კონსტიტუცია არ არსებობდა. საუბარი არის აფხაზეთის საბჭოების III ყრილობაზე 1925 წლის 1 აპრილს მიღებული „კონსტიტუციის“ შესახებ. ვინაიდან დეპუტატების უმეტესობა წერაკითხვის უცოდინარი იყო, ყრილობამ მისი დამტკიცება წინასწარი განხილვის გარეშე მოახდინა. აღმოჩნდა, რომ მიღებული დოკუმენტი წინააღმდეგობაში მოდიოდა სსრ კავშირის, ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს კონსტიტუციებთან. ამის გამო აფხაზეთის ე. წ. კონსტიტუცია არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, ძალაში არ შესულა. უფრო მეტიც, „აფხაზეთის საბჭოების III ყრილობის ბიულეტენში“ (სოხუმი, 1925) გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ყრილობამ დაადგინა, რომ დასრულდეს მუშაობა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე, იგი მოყვანილ იქნას ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციებთან შესაბამისობაში.

რას წარმოადგენდა მაინც 1925 წლის კონსტიტუცია თუ კონსტიტუციის პროექტი? ძირითადად იგი იმეორებდა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციას და ამასთანავე მთელ რიგ ურთიერთგამომრიცხავ მუხლებს შეიცავდა. საქართველოსთან ურთიერთობა დაფიქსირებული იყო III თავის IV პუნქტში: „აფხაზეთის სსრ, გაერთიანდა რა განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე საქა-

Сухуми, 1959, с. 153.

423 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 488-489.

რთველოს სსრ-თან, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში და ამ უკანასკნელის მეშვეობით – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“. II თავის V პუნქტში კი ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთი როგორც „სუვერენული“ სახელმწიფო თითქოს ინარჩუნებდა როგორც ამიერკავკასიის ფედერაციიდან, ისე საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. რადგანაც აფხაზეთი სინამდვილეში არ იყო სუვერენული სახელმწიფო, უშუალოდ არ შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შემადგენლობაში, მას არ შეეძლო მათი შემადგელობიდან გასვლა. აფხაზეთის ხელმძღვანელმა ნესტორ ლაკობამ 1925 წლის 2 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე შეცდომა აღიარა და განაცხადა, რომ „ჩვენ კონსტიტუციური სისულელე ჩავიდინეთ“⁴²⁴. ჩადენილი „სისულელე“, პირველ რიგში, ზემდგომ კონსტიტუციებთან შეუსაბამობაში გამოიხატებოდა, ამიტომ ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება 1925 წლის 1 აპრილს მიღებული დოკუმენტის – აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის გადამუშავების შესახებ. ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ 1925 წლის „კონსტიტუციაში“, რომელიც აფხაზეთს ვითომ ამიერკავკასიის ფედერაციიდან და სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას ანიჭებდა, არ იყო ჩადებული აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის ან მასთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების დენონსირების უფლება.

აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის გადამუშავება 1926 წელს დასრულდა. იმავე წლის 11 – 16 ივნისს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ, რომელიც სოხუმში ჩატარდა, შეიტანა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში. მისი მეორე თავი აფხაზეთის სტატუსს განსაზღვრავდა და მასთან ურთიერთობას არეგულირებდა. 1926 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ საბჭოთა აფხაზეთის პირველი კონსტიტუცია დაამტკიცა. მასში უცვლელად შევიდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი აფხაზეთის შესახებ. ამით ორივე კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ „აფხაზეთი განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით ამიერკავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში“⁴²⁵. 1926 წლის

424 Н. А. Лакоба. Статьи и речи. Сухуми, 1987, с. 176-178.

425 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с.497

საბჭოური კონსტიტუცია, მართალია ფორმალურად, მაგრამ ამავე დროს მკაფიოდ მიჯნავდა უფლებამოსილებას თბილისსა და სოხუმს შორის. აფხაზეთის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მინათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) საქართველოს შესაბამისი კომისარიატებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, თუმცა ვალდებული იყვნენ განეული მუშაობის შესახებ ერთმანეთისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საბჭო ემორჩილებოდა როგორც აფხაზეთის მთავრობას, ისე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს. აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე საქართველოს სამი სამთავრობო უწყების – ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებიც. ისინი საქართველოს შესაბამის კომისარიატებს ემორჩილებოდნენ, თუმცა ვალდებული იყვნენ ანგარიში აფხაზეთის მთავრობისთვისაც წარედგინათ. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის 1926 წლის, ანუ პირველ კონსტიტუციაში დამოუკიდებლობის არავითარი ნიშნები არ ჩანს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთიც და მთლიანად საქართველოც ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორგანოებს ექვემდებარებოდნენ და დამოუკიდებლად გადანყვეტილებებს ვერ იღებდნენ.

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, 1931 წლის 11 თებერვალს, აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სახელი გადაარქვა და მას აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (აფხაზეთის ასსრ) უწოდა. როგორც 1931 წლამდე, ისე სახელის გადარქმევის შემდეგაც აფხაზეთი იყო და დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, თანაც 1926 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებები უცვლელი დარჩა. ამიტომ ყოველგვარი საუბრები ი. სტალინის მიერ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში გადაცემის შესახებ საფუძველს მოკლებულია. ეს ყველაფერი ისტორიის ფალსიფიკატორთა მორიგი მითია.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა იმპერიაში მიმდინარეობდა მართვის სრული ცენტრალიზაციისა და უნიტარიზაციის პროცესი. ამ პროცესის ფარგლებში 1935 წლის 7 იანვარს აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობის გადანყვეტილებით დამტკიცდა აფხაზეთის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომლის მიხედვითაც ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კომისარიატი საქართველოს შესაბამის კომისარიატებს ექვემდებარებოდა (მუხლი 42). საბჭოთა კავშირის უნიტარიზაციისა

და მართვის ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 1936 წლის 5 დეკემბერს ე.წ. სტალინური კონსტიტუციის მიღებით დასრულდა. ამას მოჰყვა უნიფიცირებული კონსტიტუციების მიღება საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასეთი კონსტიტუცია მიიღო როგორც საქართველომ (1937 წლის 13 თებერვალი), ისე აფხაზეთმაც (1937 წლის 2 აგვისტო). ახალი კონსტიტუციების მიხედვით, სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უშუალო გამგებლობაში არ რჩებოდა.

1921-1937 წლებში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოთა და პარტიული ორგანოების სათავეში, გარკვეული გამოწვევების გარდა, აფხაზეთი და ქართველები იდგნენ. 1921 წლის მარტიდან 1922 წლის თებერვლამდე აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის თანამდებობა ეფრემ ეშბას ეკავა. 1922 წლის თებერვალში მოწვეულმა აფხაზეთის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 12-17 თებერვალს მუშაობდა, დაამტკიცა ხელისუფლების საბჭოთა ორგანოები. აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარედ ნესტორ ლაკობა დაინიშნა. 1930 წლის აპრილიდან, როცა მთავრობა და საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკ) გაერთიანდა, ის გახდა ცაკ-ის თავმჯდომარე და ამ თანამდებობაზე 1936 წლის ბოლომდე (გარდაცვალებამდე) რჩებოდა. 1937 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე აფხაზეთის ცაკ-ს, შესაბამისად, მთავრობას ალექსი აგრბა ხელმძღვანელობდა, რომელიც ავქსენტ რაფავამ შეცვალა (1937 წლის ნოემბერი-1938 წლის ნოემბერი).

აფხაზეთის გასაბჭოების წინა პერიოდში, 1921 წლის 14 თებერვალს, რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით, სოხუმში ჩამოყალიბდა ბოლშევიკების საოლქო კომიტეტი ი. ჟვანიას თავმჯდომარეობით⁴²⁶. იმავე წლის 28 მარტს ბათუმში გამართული ზემოხსენებული თათბირის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციას დროებით, კონფერენციის მოწვევამდე, აფხაზეთში რკპ-ს ორგბიურო ეწოდა, რომელიც ჯერ რკპ-ს ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, 1921 წლის 24 ნოემბრიდან კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ექვემდებარებოდა. 1921 წლის აპრილიდან 1922 წლის იანვრამდე აფხაზეთში რკპ-ს ორგბიუროს ხელმძღვანელობდნენ გ. კრიშტოფი, პ. აღნიაშვილი (აღნიევი), ლარიონოვი და ნ. სვანიძე.

426 ჯერჯერობით გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 114.

1922 წლის 7-12 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის პირველი კონფერენცია, რომელმაც საოლქო კომიტეტი აირჩია. მისი პასუხისმგებელი, 1928 წლიდან კი პირველი მდივნები იყვნენ ნიკოლოზ აქირთავა (1922-1923), ერვანდ ასრიბეკოვი (1923-1925), გიორგი სტურუა (1925-1927), ალექსანდრე ამასი /ამირბეკოვი (1928-1929), პავლე მელაძე (1929-1930), ვლადიმერ ლადარია (1930-1936), ალექსი აგრბა (1936-1937).

20-30-იანი წლების აფხაზეთის ისტორიაში ყველაზე ღრმა კვალი ნესტორ ლაკობამ დატოვა. მის სახელს უკავშირდება როგორც იმ პერიოდის აღმშენებლობა, ისე სისხლიანი ტერორი. სხვა საბჭოთა და პარტიული ლიდერების მგავსად, ის იყო ჩვეულებრივი ჯალათი. განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა მან 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა მიმართ. ნესტორ ლაკობამ, როგორც საგანგებო სპეცლეს ორგანოს – სამეულის (ე. ნ. ტროიკა) თავმჯდომარემ, მარტო ერთ სხდომაზე, რომელიც 1924 წლის 15 და 17 სექტემბერს მიმდინარეობდა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 13 ადამიანს⁴²⁷. მათ შორის იყო 1918 წელს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სეიმის, 1917-1921 წლებში აფხაზეთის სახალხო საბჭოს, 1919-1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დიდი პატრიოტი, ეთნიკური აფხაზი ვასილ გურჯუა. სწორედ ტერორსა და ძალადობაში გამოიხატებოდა საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური რეჟიმის ბუნება, რომლის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ ნესტორ ლაკობა და აფხაზეთის სხვა ხელმძღვანელები, განურჩევლად ეროვნებისა. ნ. ლაკობამ აფხაზეთში ჩამოაყალიბა კლანური, ამასთანავე ნაციონალისტური და სეპარატიზმისკენ მიდრეკილი ერთპიროვნული რეჟიმი. მისი მუშაობის სტილი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის (რომლის ხელმძღვანელები თბილისიდან იგზავნებოდნენ) სრული იგნორირება საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის (ლავრენტი ბერია) გალიზიანებას და უკმაყოფილებას იწვევდა⁴²⁸. მხოლოდ ი. სტალინთან სიახლოვემ იხსნა ნ. ლაკობა პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ 1936

427 ვასილ გურჯუა, ბესარიონ აფრასიძე, კოკო დადეშქელიანი, სამსონ ჯანდილიანი, ნოჩო მიქელაძე, გიორგი ცინცაძე, მიხა ასათიანი, ტარას ანჩაბაძე, ერმოლაი ანჩაბაძე, ნაპარ ხუნტუა, მაქსიმე კორსანტია, ნარბეი მარშანია და ბაბილო მარლანია. – შინაგან საქმეთა სამინისტროს (უშიშროების) არქივი, სისხლის სამართლის საქმეთა ფონდი № 6, საარქივო № 23480, ფურცელი 145 – 146.

428 ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, II. თბილისი, 2007, გვ.122-126.

წლის დეკემბრის ბოლოს იგი თბილისში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ნ. ლაკობა დაიკრძალა როგორც „ძველი, ნაცადი ბოლშევიკი და აფაზეთში სოციალიზმის მშენებლობის დაუღალავი ხელმძღვანელი“, მაგრამ მალევე საბჭოთა ხელისუფლებამ „ხალხის მტრად“ გამოაცხადა.

ნაწილი VII. აფხაზეთი 1938-1992 წლებში

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, რომელმაც განსაზღვრა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საწყისები, მოხდა ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბება. 1938 წლის 12 ივნისს გაიმართა უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ავტონომიური პარლამენტის პირველმა სესიამ 12-14 ივლისს აირჩია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (თავმჯდომარე – მ. დელბა) და მთავრობის – სახალხო კომისართა საბჭოს (თავმჯდომარე – ა. რაფავა) ახალი შემადგენლობა⁴²⁹.

აფხაზეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში და მთლიანად იმპერიაში სოციალისტური წყობილების მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობის პირობებში, საერთო გენერალური მიმართულებების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციას, კულტურულ რევოლუციას და კომუნისტური იდეოლოგიური ორიენტაციის ინტელიგენციის ფორმირებას, დემოკრატიის სრულ ლიკვიდაციას და სახელმწიფო ტერორის ორგანიზებულ სისტემაზე დამყარებული ერთპარტიული დიქტატურის ჩამოყალიბებას, ე.წ. საზოგადოებრივი საკუთრების და ვერტიკალური მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის შექმნას.

ამასთანავე ეკონომიკური და სოციალური სფეროების სტრუქტურული ცვლილების პროცესში გამოვლინდა გარკვეული ლოკალური თავისებურებანი. ინდუსტრიალიზაციის მიმდინარეობის დროს ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ადგილობრივ სანედლეულო

429 გაზ. საბჭოთა აფხაზეთი, 1938, 16 ივლისი.

ბაზაზე ორიენტირებული სამრეწველო საწარმოების მშენებლობაზე და უმთავრესად ადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე. ამიტომ ავტონომიური რესპუბლიკის ინდუსტრიის განვითარება ხასიათდებოდა რუსეთიდან მოსახლეობის ინფილტრაციის (ასე ვთქვათ, პროლეტარული საკადრო კოლონიზაციის) სუსტი ტენდენციით, ვიდრე ეს იყო დანარჩენ საქართველოში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ტყვარჩელის ქვანახშირის საწარმოო კომპლექსი: 1935 წელს მის ექსპლოატაციაში გაშვებას მოჰყვა მუშებისა და ტექნიკური პერსონალის გადმოსახლება რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

ერთგვარი სპეციფიკა შეინიშნებოდა აფხაზეთში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სფეროშიც. საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ კოლექტივიზაცია მოხდა გაცილებით ნელი ტემპებით. კულაკობის, როგორც სოციალური ფენის ლიკვიდაცია განხორციელდა ეკონომიკური ზენოლის ეტაპობრივი გზით და არა ფიზიკური მოცილებისა და ადმინისტრაციული გასახლების ყაზარმული მეთოდებით, როგორც ეს იყო დანარჩენ საქართველოში.

რასაკვირველია, აფხაზეთში „სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის დამთავრების“ გამოცხადება ატარებდა ისეთსავე რეალობისაგან მოწყვეტილ, იდეოლოგიურ-კამპანიურ ხასიათს, როგორსაც დანარჩენ საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარ დასკვნას ჰქონდა ობიექტური მხარეც. გარკვეული ხარისხის რეალობას, ფაქტობრივ მოცემულობას წარმოადგენდა სამრეწველო ინდუსტრიის საფუძვლების შექმნა, ტოტალური აგრარული რეფორმა, გაგრის საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაწყება, სოხუმისა და ოჩამჩირის ნავსადგურების კეთილმოწყობა და სხვ. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური სტრუქტურის რადიკალური შეცვლა: 30-იანი წლების დასასრულისათვის სოციალიზმის საყრდენი ფენების ხვედრითი წილი შეადგენდა მოსახლეობის 80%-ზე მეტს – მუშები 21%-ს, გლეხობა – 60-61%-ს, სოციალისტური ინტელიგენცია – 6%-ს.

სოციალისტური რეჟიმი შევიდა პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაზაში. სწორედ ამ დროს გადაუარა ავტონომიურ რესპუბლიკას პოლიტიკური რეპრესიებისა და სახელმწიფო ტერორის ზოგადიმიპერიულმა ტალღამ, რომელმაც ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების ასეულობით მოქალაქის სიცოცხლე შეინირა. ოფიციალური სტატისტიკური ცნობების თანახმად, 1937 წ. ივლისიდან 1938 წ. ნოემბრის

ჩათვლით აფხაზეთში რეპრესირებულ იქნა 2186 ადამიანი, მათ შორის 749 – სასჯელის უმაღლესი ზომით, 794-ს მიესაჯა სხვადასხვა ვადით პატიმრობა, 28 – სასამართლომდე გარდაიცვალა, 238 – 1938 წლის სექტემბრის შემდეგ განთავისუფლდა, არ არსებობს მონაცემები 377 ადამიანზე⁴³⁰.

უფრო ადრე, 1936 წელს რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ სეპარატისტული სოციალიზმის იდეოლოგები ნ. ლაკობა (დაგმეს გარდაცვალების შემდეგ) და ნ. აქირთავა. განსაკუთრებით გახმაურდა პროცესები ისეთ საქმეებზე, როგორიცაა „აფხაზეთში ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ორგანიზაციის შესახებ“, „აფხაზეთში კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, საჯაშუშო და ტროცკისტულ-ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ“⁴³¹, „აფხაზეთში ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფის შესახებ“ (1941-1942 წწ.) და სხვ.

ტოტალიტარული სახელმწიფოს რეპრესიული ინსტიტუტების მიერ განხორციელებული მასობრივი ტერორის პროცესში აფხაზმა ეთნოსმა ისეთივე ანთროპული და მორალურ-ფსიქოლოგიური ზარალი განიცადა, როგორც გაცილებით დიდი მასშტაბით განიცადა ქართველმა ერმა.

1938-1941 წლებში, საბჭოთა კავშირში განხორციელებული „კულტურული რევოლუციის“ ფარგლებში, მოხდა „მცირე ერების“ ანბანური რეფორმა. კრემლის სპეციალური გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების „სატიტულო ერების“ ანბანის გადაყვანას შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დამწერლობის გრაფიკულ სისტემაზე. საკუთარ შემადგენლობაში ავტონომიური წარმონაქმნების მქონე მოკავშირე რესპუბლიკების აბსოლუტური უმრავლესობის სახელმწიფო ენის დამწერლობა იყო აგებული რუსულ-სლავურ გრაფიკაზე, რის გამოც „ალფაბეტური რევოლუციის“ შედეგად საფუძველი ჩაეყარა მცირე ერების ენობრივი დენაციონალიზაციისა და რუსიფიკაციის მძლავრ მექანიზმს.

მხოლოდ აფხაზი ხალხი გადაურჩა ამგვარ ლინგვისტურ დივერსიას იმის გამო, რომ საქართველოს სახელმწიფო ენას – ქართულ ენას ჰქონდა „კირილიცისგან“ დიამეტრალურად განსხვავებული ანბანური დამწერლობა. 1938 წლის თებერვალში აფხაზეთის ავტონო-

430 Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938, т. I. Евросовет, 2017, с. 35.

431 იხ. ვრცლად: Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938, тт. I, II, III. Евросовет, 2017.

მიური რესპუბლიკის ცაკ-მა მიიღო დადგენილება აფხაზური დამწერლობის ლათინურიდან ქართულ გრაფიკულ სისტემაზე გადაყვანის შესახებ.⁴³²

განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა აფხაზური ლიტერატურის პატრიარქის დ. გულიას მოსაზრებანი, რომელიც წერდა: „ეს ღონისძიება, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს მთელი აფხაზური კულტურის განმტკიცებას და ზრდას, რადგანაც ქართული ანბანი არის ყველაზე შესაფერისი აფხაზური ენის ბგერების უფრო მთლიანი და სრულყოფილი გადმოცემისათვის“⁴³³.

მართლაც, აფხაზური დამწერლობის ევოლუციის ქართული მოკლევადიანი ეტაპი უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა აფხაზური ენისა და სამწერლობო კულტურის აღმავლობის თვალსაზრისით. დაიწყო აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენა, გამოიცა აფხაზური ენის გრამატიკა, დაიბეჭდა აფხაზ მწერალთა პოეტური კრებულები – „სამშობლოსათვის“ (1941), „ნინ, დასავლეთისაკენ“ (1942), „სიმღერები სამშობლოზე“ (1943), ასევე გამოქვეყნდა აფხაზ პოეტთა – ბ. შინქუბას, ა. ლასურიას, ა. ჯონუას, ჭ. ჯონუას და სხვა კრებულები⁴³⁴.

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტოპონიმ-კაში. 1940 წლის 14 დეკემბერს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა „დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციის კომისია“ მ. ხაშბას თავმჯდომარეობით. სხვებთან ერთად კომისიის წევრები იყვნენ და ტოპონიმ-ჰიდრონიმების შეცვლაში აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზი ინტელიგენციის თვალსაჩინო მესვეურები – დ. გულია და ა. ჭოჭუა (იმხანად აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი). კომისიის წარდგინებათა საფუძველზე განხორციელდა დასახლებული პუნქტებისა და სხვა გეოგრაფიული ერთეულების სახელწოდებათა შეცვლა. ცვლილებას დაექვემდებარა ის სახელწოდებები, რომლებსაც არავითარი ორგანული კავშირი არ ჰქონდათ საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნომენკლატურასთან და, ამავე დროს, წარმოადგენდნენ რეგიონის

432 გვანცელაძე თ. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი, 2011, გვ. 404-454.

433 გაზ. Советская Абхазия, 1937, 11 июля.

434 აფხაზური ლიტერატურის ისტორია, წიგნი I. სოხუმი, 1986 (აფხაზურ ენაზე).

რუსული (ნაწილობრივ თურქული) კოლონიზაციისა და დემოგრაფიული ექსპანსიის შედეგს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები. 1943 წლის 10 მაისს სოხუმის რაიონში ვოლოდაროვსკის, გნადენბერგისა და ნეიდორფის ნაცვლად (ისინი გააერთიანეს) შემოღებულ იქნა სახელწოდება ახალი სოფელი; იმავე წლის 8 სექტემბერს გულრიფშის რაიონში ანასტასიევკას ეწოდა განახლება, ვლადიმეროვკას – კოდორი და ოლგინსკოვს – ოქტომბერი; იმავე წლის 21 ოქტომბერს გაგრის ზონაში პილენკოვო შეცვალა განთიადმა, ხოლო 23 დეკემბერს სოხუმის რაიონში ბემკარდაში, ეკატერინოვკა და მიხაილოვკა ჩანაცვლეს შესაბამისად – მთისუბანმა, კელასურმა და შრომამ; 1944 წლის 12 ივნისს გაგრის ზონაში ერმოლოვკისა და სალმენსკის გაერთიანებულ დასახლებულ პუნქტს ეწოდა ლესელიძე და სხვ⁴³⁵.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) ფარგლებში მიმდინარე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი (1941-1945) გახდა უმკაცრესი გამოცდა მთელი საქართველოსთვის და მათ შორის აფხაზეთისთვისაც. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ომის წლებში საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში აფხაზეთიდან იბრძოდა სხვადასხვა ეროვნების 55,5 ათასი ჯარისკაცი, რომელთაგან ომის ფრონტებზე დაიღუპა 17 ათას 436, ანუ თითქმის მესამედი⁴³⁶.

აფხაზეთი წარმოადგენდა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით შექმნილი ერთიანი სამხედრო ბანაკის ორგანულ ნაწილს, მოკლე დროში სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა მისი მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა. რეგიონში მოქმედებდა სოხუმისა და გაგრის თავდაცვითი კომიტეტები, ხოლო 1941 წლის შემოდგომაზე შექმნილი ადგილობრივი გამანადგურებელი ბატალიონები აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის დაცვის ოპერაციაში.

1942-1943 წლებში კავკასიისათვის ბრძოლების დროს რეგიონი მხოლოდ ფრონტისპირა ზონას როდი წარმოადგენდა, არამედ იყო საომარი მოქმედებების ობიექტი.

1942წ. წლის აგვისტოში გერმანიის ვერმახტის 49-ე სამთომსროლელი კორპუსის ნაწილებმა განავითარეს შეტევა ქლუხორის, მარუხისა და სანჭაროს უღელტეხილების მიმართულებით და 15-16 აგვისტოს დაიკავეს ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილები.

435 Пачулия В. Советы Абхазской АССР в период Великой Отечественной Войны (1941-1945гг.). Сухуми, 1990, გვ. 16-17.

436 История Абхазии. Сухуми, 1991, с. 357.

27 აგვისტოს გერმანელები მაღალმთიან სოფელ ფსხუში შევიდნენ და ქ. სოხუმს 28-30 კმ-ის მანძილზე მიუახლოვდნენ⁴³⁷. ფაშისტურმა ავიაციამ განახორციელა საჰაერო დარტყმები სოხუმზე და სხვა დასახლებულ პუნქტებზე. მძიმე შედეგებით დასრულდა სოხუმის დაბომბვა 15-18 აგვისტოს, რასაც 70-მდე ნაგებობის დანგრევა და ნავსადგურში რამდენიმე ხომალდის ჩაძირვა მოჰყვა.

ამ დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა 46-ე საბჭოთა არმია გენ. კ. ლესელიძის სარდლობით, ასევე ეროვნული ქართული დივიზიები და სპეცრაზმები, რომლებშიც იყვნენ განვეულნი აფხაზეთის მცხოვრებნიც.

კონტრშეტევა დაიწყო 1942 წლის სექტემბრის დასაწყისში. 9 სექტემბერს გუდაუთის გამანადგურებელმა ბატალიონმა, მ. საბაშვილისა და რ. გუბაზის მეთაურობით, ფაშისტებისაგან გაანთავისუფლა სოფ. ფსხუ⁴³⁸. 1942-1943 წლების მიჯნაზე გერმანიის ჯარები განდევნეს უღელტეხილების ზონიდან და საქართველოს მოეხსნა უშუალო ოკუპაციის საფრთხე.

1938 წლის 24 იანვარს საბჭოთა კავშირის უმაღლესი მმართველობის ერთ-ერთმა ცენტრალურმა დანაყოფმა – საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის ორგბიურომ მიიღო დადგენილება ქვეყანაში საგანმანათლებლო სექტორის გარდაქმნის შესახებ. დადგენილება შეიცავდა რამდენიმე იმპერატიულ რეკომენდაციას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცალკეული სახეების რეფორმასთან დაკავშირებით. მასში, კერძოდ აღნიშნული იყო: „ა) გარდაიქმნას განსაკუთრებული ეროვნული სკოლები (გერმანული, ფინური, პოლონური, ლატვიური, ესტონური, ბერძნული, იჟორული და ა.შ.) ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლებად. ასევე გაუქმდეს ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებთან არსებული განსაკუთრებული ეროვნული განყოფილებები; ბ) აუცილებელია განსაკუთრებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია მოხდეს ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებზე მათი გადაყვანის გზით, შესაბამისი რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე სწავლების შემოღებით“⁴³⁹.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ აფხაზურ

437 Очерки истории Абхазской АССР, Ч. II. Сухуми, 1964, გვ. 164.

438 Очерки истории Абхазской АССР, Ч. II, გვ. 164.

439 პაპასქირი ზ. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში. კრ. „საისტორიო ძიებანი“, VI, თბილისი, 2003, გვ. 19.

სკოლებში სასწავლო პროცესის სტრუქტურა ნამდვილად არ იყო სრულ შესაბამისობაში მათ სტატუსთან, თუნდაც სახელწოდება „აფხაზურთან“. სწავლება აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა მხოლოდ I-IV კლასებში, V-X კლასებში კი – რუსულ ენაზე. ამით „აფხაზური სკოლა“ წარმოადგენდა აფხაზი ხალხის რუსიფიკაციის ინსტიტუტს, უფრო მეტიც – არსებითად რუსულ სკოლას.

მაგრამ ამ შემთხვევაში საქმის არსი სხვა რამეშია: თავისი ბინარული სტრუქტურის გამო „აფხაზური სკოლა“ მთლიანად ექცეოდა 1938 წლის 24 იანვრის დადგენილების მოქმედების არეალში; ის აკმაყოფილებდა დადგენილების პირველ პუნქტში მითითებულ „განსაკუთრებული ეროვნული სკოლის“ სტატუსსაც და „ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებთან არსებული ეროვნული განყოფილების“ სტატუსსაც, რადგანაც აფხაზურ ენაზე მხოლოდ I-IV კლასებში სწავლება აფხაზურ სექტორს ფაქტობრივად რუსული სკოლის ცალკე განყოფილებად აქცევდა. ამასთან, რუსულ ენაზე სწავლების ერთადერთ ალტერნატივად რჩებოდა ქართულ ენაზე, როგორც დადგენილებით მითითებულ „შესაბამისი რესპუბლიკის ენაზე“, სასწავლო პროცესის გადაყვანა.

1945 წლის 13 მარტს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“⁴⁴⁰. რეფორმა განხორციელდა 1945-1946 სასწავლო წლის დასაწყისიდან – მოხდა სასწავლო პროცესის, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების რუსულიდან ქართულ ენაზე გადაყვანა.

სასკოლო რეფორმის გატარებას, კრემლის ზემოთაღნიშნული დადგენილების გარდა, საფუძვლად დაედო აფხაზი ინტელიგენციის და პედაგოგიური კორპუსის მოთხოვნები და წინადადებანი: ისინი ამტკიცებდნენ, რომ სწავლების ახალ სისტემაზე გადასვლა გაზრდიდა აფხაზი ახალგაზრდობის მიერ აუცილებელი ცოდნის მიღების საშუალებებს და ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო კულტურის განვითარებას.

ამავე პერიოდში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხდებოდა ობიექტური შიდამიგრაციული პროცესები, რომლებმაც გამოიწვიეს გარკვეული დემოგრაფიული ძვრები, თუმცა, ცხადია, არა იმ სახით, რომ მათ შედეგად მოჰყოლოდა დემოგრაფიული სტრუქტურის

440 История Абхазии. Сухуми, 1991, გვ. 361; თ. გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, გვ. 400-404.

შეცვლა ქართული ეთნიკური უმრავლესობის შექმნით: ქართული დემოგრაფიული უმრავლესობა აფხაზეთში 40-იანი წლების მიგრაციულ პროცესამდეც არსებობდა (1926-38 წ.წ. ქართველები შეადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 36,4%-ს, აფხაზები – 25%-ს.

საყურადღებოა, რომ 1926-1966 წლებში სომხური მოსახლეობის პროცენტული წილი 9,1-ჯერ გაიზარდა 1,64%-დან 14,6%-მდე, ხოლო რუსებისა – 8-ჯერ 1,8%-დან 14,3%-მდე), რაც სრულიად კანონზომიერი და ლოგიკურ-ისტორიული ხალხთმოსახლეობითი ფაქტი იყო.

ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის 20-30-იანი წლების დემოგრაფიულმა კრიზისმა: ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ზრდის დაბალ ტემპებს, რაც ეკონომიკური და აგრარული განვითარების შედარებით მაღალი ტემპების შეუსაბამო იყო. ამ დისბალანსმა გააღრმავა მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების ასიმეტრია.

აფხაზეთში დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან მოსახლეობის გადაადგილება აუცილებლად უნდა იქნას განხილული ამ ასიმეტრიისა და დისბალანსის კონტექსტში: მოსახლეობის აღწარმოების ტემპები საგრძნობლად ჩამორჩებოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპებს. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა ვერ პასუხობდა ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ინდექსს. აღნიშნულმა გარემოებამ თავისთავად განაპირობა ადამიანური რესურსების რეგიონალური პროპორციების გადაჯგუფება დასავლეთ საქართველოდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).

ამგვარი ტენდენცია ზოგადსაკავშირო ხასიათს ატარებდა. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ 1939 წლის 6 მაისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება „კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების განიავების სიღრმისა და ცვიის ღონისძიებათა შესახებ“. იმავე წლის 14 სექტემბერს სახკომსაბჭოსთან შეიქმნა სპეციალური საგადასახლებო კომიტეტი („აფხაზპერესელენსტროის“ ანალოგი) და დამტკიცდა „დროებითი ინსტრუქცია სსრკ-ს მცირემიწიანი რაიონებიდან უხვმიწიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო გადასახლებულების მიზიდვის, შერჩევისა და გაგზავნის და ჩასახლების ადგილებში გადასახლებულების მიღების წესების შესახებ“. გადასახლების კამპანიამ მოიცვა ვოლგისპირეთი, ომსკისა და ჩელიაბინსკის ოლქები, ალთაის მხარე, შორეული აღმოსავლეთი, ყაზახეთი და ა.შ.

აგრარული მიგრაციის მსგავსი პროცესი წარიმართა აფხაზეთ-

შიც, დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული გლეხების გადასახლება ხორციელდებოდა იმ თავისუფალი მიწების ათვისების მიზნით, რომლებიც ადგილზე ადამიანური რესურსების უკმარობის გამო ფაქტობრივად ხელუზღებელი იყო.

შიდა მიგრაციის ერთ-ერთი ტენდენცია იყო შრომითი მიგრაციაც, ანუ ეკონომიკურად აქტიური ინდივიდების მოძრაობა სამეგრელოდან აფხაზეთში ისევე, როგორც გურიიდან ბათუმში, ქვემო ქართლიდან რუსთავეში და ა.შ. ამას არავითარი კავშირი წინასწარ დაგეგმარებასთან და „ზემოდან“ მართვად მოძრაობასთან არ ჰქონდა.

აქ უალრესად ნიშანდობლივია ურბანიზაციის კანონზომიერი ფაქტორის როლი. XX საუკუნის 30-40-იანი წლები აღინიშნა დაჩქარებული ურბანიზაციით, გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა. მარტო სოხუმის აგლომერაციას (ქ. სოხუმისა და მიმდებარე დასახლებული პუნქტების შეჯგუფება-გაერთიანებას) და გაგრანბიჭვინთის ტურისტულ ზონას სჭირდებოდა შედარებით დიდი რაოდენობის მოსახლეობის, სამრეწველო წარმოებისა და შრომითი რესურსების ტერიტორიული კონცენტრაცია. ადგილზე ამისი დემოგრაფიული რესურსი არ იყო. თანაც, საკუთრივ აფხაზეთა სამუშაო ძალის ექსტენსიური ზრდა აგრარულ სექტორში ამონურული არ იყო, რის გამოც ნაკლები იყო მათი მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, დანარჩენ საქართველოში კი – პირიქით.

ამდენად, სრულიად აშკარაა მიმართება ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის უკმარობას შორის. სოციალურ-ეკონომიკური, აგრარული, ტურისტული და ურბანისტური ცენტრების ახალმა კონფიგურაციამ ობიექტურად მოითხოვა აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის შეცვლა. ახალ პირობებში ძველი დემოგრაფიული სტრუქტურა განწირული იყო და ახალი ხომ ნებისმიერ შემთხვევაში უმრავლესობის კუთხით არააფხაზეთი იქნებოდა. რატომ უნდა გამოყენებულიყო საქართველოში არაქართული მიგრაციული პოტენციალი მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს სოციალური კაპიტალის მზარდი და ჭარბი რესურსები ჰქონდა? ამას დაემატა ბუნებრივი კატაკლიზმით გამოწვეული გადაადგილება – დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მომხდარმა მიწისძვრებმა გამოიწვიეს მოსახლეობის გადასახლება სხვა რეგიონებში, მათ შორის აფხაზეთშიც.

შიდა მიგრაციის ტენდენციები რამდენადმე გააძლიერა 60-80-იანი წლების ურბანიზაციამ, სამრეწველო განვითარებამ და მოსახლეობის მოძრაობამ სოფლიდან ქალაქში. მაგრამ ეს იყო მთელ

საბჭოთა კავშირში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ახალი ტალღის ლოკალურ-რეგიონალური გამოხატულება. 1955-1985 წლებში მთელ იმპერიაში შეიმჩნევა ურბანიზაციის ტემპებისა და საქალაქო მოსახლეობის სწრაფი ზრდა. ამ პროცესს უკავშირდება სოხუმში, გარაში, ოჩამჩირესა და სხვაგან ქართული მოსახლეობის მოძრაობა.

მაგრამ ყველაზე მთავარი და არსებითი აქ სხვა რამ არის: დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან აფხაზეთში ქართული მოსახლეობის მოძრაობა იყო სრულიად კანონზომიერი მიგრაცია ერთი ქვეყნის შიგნით. ამ შიდა მიგრაციას არ შეუქმნია რეგიონის ქართული დემოგრაფიული უმრავლესობა (რაც მანამდეც ფაქტი იყო). მას არ გამოუწვევია საკუთრივ აფხაზი ეთნოსის აღწარმოების რეჟიმის შეცვლა არც ბუნებრივ და არც მექანიკურ დონეებზე. აფხაზების არც ასაკობრივი სტრუქტურა შეცვლილა, არც ბუნებრივი მატების ნეტო-კოეფიციენტი და არც შობადობა-მოკვდაობის თანაფარდობა.

XX საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში, 1945-1948 წლებში, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ პრაქტიკაში პირველად დაფიქსირდა საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის იმპერიული იდეა. ადგილი ჰქონდა ამ იდეის სამართლებრივი, პოლიტიკური და ტერიტორიულ-ეკონომიკური ასპექტების დამუშავების მცდელობას. საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის გარკვეულ ჯგუფში შეიქმნა ე.წ. „საკურორტო რესპუბლიკის“ პროექტი. იგი ითვალისწინებდა აფხაზეთისა და სოჭის ოლქის კურორტების ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ გაერთიანებას და ამის შედეგად ერთიანი შავიზღვისპირა საკურორტო ოლქის შექმნას, მოსკოვისადმი უშუალო დაქვემდებარებით. იგეგმებოდა საქართველოს შემადგენლობიდან გაგრის ზონის, სოხუმის, გუდაუთის და გულრიფშის რაიონების მონყვეტა. გარკვეულ გარემოებათა გამო ამ გეგმის განხორციელება ჩაიშალა⁴⁴¹.

აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული იმპერიული ცენტრის პოლიტიკაზე, უმაღლეს ხელისუფლებაში სხვადასხვა დაჯგუფებების ძალთა განლაგების კონფიგურაციაზე. 1953 წლის მარტში ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობაში დაიწყო მძაფრი ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომელიც 1955 წლის თებერვალში (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მალენკოვის გადადგომა) ნ. ხრუშჩოვის

441 ვრცლად იხ. Мгеладзе. А. Сталин. Каким я его знал. Страницы недавнего прошлого. Тбилиси, 2001, გვ. 108; ჯოჯუა დ. აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი, 2007, გვ. 71-75.

გამარჯვებით და მისი ერთპიროვნული ხელისუფლების ჩამოყალიბებით დასრულდა. საბჭოთა კავშირის მართვის სათავეში ჩადგა პოსტ-სტალინური გენერაციის დაჯგუფება (ნ. ხრუშჩოვი, ნ. ბულგანინი, ნ. იგნატოვი, გ. შუკოვი, მ. სუსლოვი, ნ. პოსპელოვი და სხვ.), რომელსაც საქართველოს მიმართ განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ი. სტალინისა და ლ. ბერიას ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე.

სკკპ XX ყრილობაზე გამოცხადებული „დათბობისა“ და ი. სტალინის „პიროვნების კულტის“ კრიტიკის მიუხედავად, ნ. ხრუშჩოვმა მთლიანად შეინარჩუნა საბჭოთა ტოტალიტარიზმი, ერთპარტიული დიქტატურა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის კონსერვატიზმი, რეაქციული საგარეო პოლიტიკა.

რაც შეეხება „ეროვნულ პოლიტიკას“, ნ. ხრუშჩოვმა არათუ გააგრძელა „გათიშე და იბატონე“-ს ტრადიციული კურსი, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა იმპერიალისტურ და დიდმპყრობელური შოვინიზმის ტაქტიკაზე დამყარებული ეთნოპოლიტიკა და ის მიზანმიმართულად ანტიქართული ელემენტებით „გაამდიდრა“.

ამ დროიდან კრემლი დაადგა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონიერი ქართული ინტერესების შეზღუდვისა და აფხაზური სეპარატიზმის ცალმხრივი წახალისების გზას. მოსკოვში ჩამოყალიბდა პროაფხაზური ლობი, რომელმაც ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებსა და ჰუმანიტარული პროფილის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მოკალათებული ინტერეს-ჯგუფების ქსელის ფორმა მიიღო. განისაზღვრა სტრატეგიის მთავარი მიმართულებაც – აფხაზეთში ქართული და აფხაზურ-სეპარატისტული ინტერესების შეჯახება და მათი „შუამავლობითი“ რეგულირება, ე. ი. მუდმივი და მართვადი დაძაბულობის უზრუნველყოფა.

ნებისმიერი სალი გონების ადამიანი, ვინც XX საუკუნის 50-80-იან წლებში აფხაზეთში მიმდინარე დესტრუქციულ პროცესებს დააკვირდება, უსათუოდ უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ ყოველ ან თითქმის ყოველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხდომილებას ამ პერიოდში, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, ახასიათებს საერთო მიმართულება ანუ საზრისი – ეს არის იმპერიული საზრისი.

დავუშვათ, რომ ეს საზრისი, ეს საერთო მიმართულება, ეს გენერალური ხაზი არ ყოფილა და ყველაფერი ხდებოდა სპონტანურად, წინასწარ დაგეგმილი ანტიქართული სტრატეგიის გარეშე. თუ ამ თეზისს მივიღებთ, მაშინ გაუგებარი იქნება ბევრი რამ: თუ რატომ უჩნდებოდათ აფხაზებს საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის

სურვილი, მიზნები და ინტერესები; რატომ ხდებოდა ამ სურვილის მადემონსტრირებელი თავყრილობები მაინცდამაინც ათწლიან ინტერვალებში (1957, 1967, 1977 წლები); რატომ იბრძოდნენ ისინი კრემლთან ალიანსში და რატომ არასდროს იყო იგივე კრემლი ალიანსში საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობასთან; რატომ იყო, რომ ყოველი ასეთი ბრძოლისას, ქართული და აფხაზური ინტერესების ყოველი შეჯახებისას საბოლოოდ აფხაზები იმარჯვებდნენ და მხოლოდ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდებოდა.

ცხადია, მთელს სეპარატისტულ მოძრაობას აკონტროლებდა და წარმართავდა კრემლი სწორედ იმპერიული საზრისით. სწორედ ეს ფაქტორი იყო განმსაზღვრელი XX საუკუნის 50-იანი წლებიდან.

1953 წლის ზაფხულში შეიცვალა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურა. სკკპ კარნახით, საქართველოს კპ ცკ-ის 1953 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა 1953 წლის 27 ივნისს თანამდებობიდან გადააყენა მ. დელბა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა სეპარატისტული სოციალიზმის ლაკობასეული იდეოლოგიის მიმდევარი ა. ლაბაზუა⁴⁴². 1953 წლის მეორე ნახევარში მოხდა „აფხაზური“ (ე.ი. რუსულ-აფხაზური) და სომხური სკოლების აღდგენა. 1954 წლის მარტ-აპრილში აფხაზური დამწერლობა ქართული გრაფიკული სისტემიდან გადაიყვანეს არა ლათინურზე, როგორც ეს იყო 1938 წლის რეფორმამდე, არამედ რუსულ-სლავურ „კირილიცაზე“. ამით შეიქმნა აფხაზთა რუსიფიკაციის მძლავრი კულტუროლოგიური მექანიზმი.

1954 წლის იანვარში მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოს სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. აფხაზეთის (და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) სკოლებში შემოდებულ იქნა რუსული ენის გაფართოებული სწავლება⁴⁴³. საგულისხმოა, რომ დადგენილება არ ითვალისწინებდა აფხაზურ (და ოსურ) ენებზე სწავლების აღდგენას ან თავიდან შემოღებას.

ასევე აღსანიშნავია გარკვეული პოზიტიური ხასიათის ცვლილებები კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს აფხაზი ხალხის კანონზომიერი კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგალითად, 1953 წლიდან სოხუმის ა.მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრა, გაიხსნა ფილოლოგიური

442 История Абхазии, 1991, გვ. 368-369.

443 გაზ. „აფსნი ყაფშ“, 1954, 8 იანვარი.

ფაკულტეტის აფხაზური სექტორი⁴⁴⁴.

1956 წლის 10 ივლისს სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ“. მის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1956 წლის 6-8 აგვისტოს პლენუმმა მიიღო დადგენილება „საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“⁴⁴⁵. ეს უკანასკნელი, ცხადია, წარმოადგენდა პირველში არსებული დირექტიული მითითებების პრაქტიკაში განხორციელების, ასე ვთქვათ, იმპლემენტაციის დოკუმენტს.

საქართველოს ავტონომიურ წარმონაქმნებში არსებული ვითარების ანალიზთან დაკავშირებით 10 ივლისის დადგენილება აღნიშნავდა: „აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში ხელოვნურად ღვივდებოდა შუღლი ქართველებს, აფხაზებს, ოსებსა და სომხებს შორის, შეგნებულად ტარდებოდა ეროვნულ კულტურათა ლიკვიდაციის ხაზი, ხორციელდებოდა აფხაზი, ოსი და სომეხი მოსახლეობის ძალისმიერი ასიმილაცია, ეროვნებათა წარმომადგენლები არ ინიშნებოდნენ ხელმძღვანელ პოსტებზე“⁴⁴⁶.

10 ივლისის დადგენილების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები სხვა არაფერია, თუ არა აფხაზეთში რუსიფიკაციის და სეპარატიზმის ახალი ტალღის დაწყება. დადგენილებით განსაზღვრული ახალი პოლიტიკის მიმართულება გახდა აფხაზთა უფლებების ხელოვნური, მექანიკური გაფართოება ქართული კანონიერი ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე. მეორე მხრივ, დადგენილების შესაბამისი ნაწილი მოითხოვდა საკადრო პოლიტიკაში ცვლილებების გატარებას, ხელმძღვანელ თანამდებობებზე უპირატესად აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნას. ეს იყო ავტონომიურ რესპუბლიკაში ეთნიკური ბიუროკრატისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ელიტის შექმნის იმპერატიული მოთხოვნა.

ამდენად, კრემლის „ახალმა პოლიტიკამ“ საფუძველი ჩაუყარა აფხაზური ეთნოკრატის ფორმირების პროცესს.

აფხაზური ეთნოკრატია შედარებით ახალი მოვლენა იყო ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში.

აფხაზური ეთნოკრატია უნდა გავიგოთ, როგორც ხელოვნურად

444 История Абхазии, 1991, გვ. 368-369.

445 Очерки истории коммунистической партии Грузии, ч. II. Тбилиси, 1963, გვ. 269.

446 История Абхазии, 1991, გვ. 369.

პრივილეგირებული ეთნიკურ-პოლიტიკური კლასი; ისეთი ნომენკლატურა, რომლის ჩამოყალიბების ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენდა ინდივიდის აფხაზური ეთნიკური წარმომავლობა, რაც, თავის მხრივ, იყო გარკვეული სოციალური, თანამდებობრივი და სხვ. პრივილეგიებისა და პრეფერენციების წყარო.

XX ს. 50-80-იან წლებში გატარებულმა ეთნოკრატიულმა პოლიტიკამ გამოიწვია აფხაზური ეთნოკრატიის მეტ-ნაკლებად სტაბილური სისტემის შექმნა, შინაგანად არაერთგვაროვანი სტრუქტურით – ეთნიკური პარტოკრატიით, ეთნიკური ბიუროკრატიით, ეთნიკური „დირექტორთა კორპუსით“ და სამეურნეო ელიტით, ეთნიკური სამეცნიერო-შემოქმედებითი ბიუროკრატიით და ა.შ., სოციალური იერარქიის ყველა კიბეზე თავისი ეთნიკური სტრატეგიით.

შინაგანი აგებულებით აფხაზური ეთნოკრატია არ იყო ერთგვაროვანი და ორ ძირითად დაჯგუფებად – „გუდაუთურ“ და „ოჩამჩირე-ტყვარჩელურ“ ტერიტორიულ სექტორებად – იყოფოდა, მაგრამ მთლიანობაში ის წარმოადგენდა ჩაკეტილ, კასტურ სისტემას და უზრუნველყოფდა რაოდენობრივად მცირე აფხაზი ეთნოსის პრივილეგირებულ სტატუსს, ფაქტობრივ პოლიტიკურ ბატონობას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

იდეოლოგიური თვალსაზრისით აფხაზურ ეთნოკრატიას არავითარი ეროვნულ-კულტურული აღორძინების პროგრამა არ ჰქონდა. თავისი არსებობის საწყისი დროიდანვე ის გამოირჩეოდა არა საკუთრივ აფხაზური პატრიოტიზმით და ნაციონალიზმით, არამედ კრემლის, პარტიისა და საბჭოთა იმპერიისადმი ერთგულებით.

კრემლმა შემთხვევით ხომ არ შექმნა აფხაზური ეთნოკრატია, ხელოვნური ელიტიზმის ეს ნაირსახეობა, რითაც პირდაპირ დააკანონა ავტონომიურ რესპუბლიკაში რეალური ეროვნებათაშორისი დიქტომია და უთანასწორობა, დაყოფა გაბატონებულ, მმართველ აფხაზურ უმცირესობად და მართულ ქართულ უმრავლესობად. ცხადია, ეს გაკეთდა სრულიად განსაზღვრული მიზნით – ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართული და აფხაზურ-სეპარატისტული ინტერესების შეჯახების კონფლიქტური რეჟიმის უზრუნველყოფის და ქართული ეროვნული პროექტის ბლოკირების მიზნით. სწორედ კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკის სამსახური, შესაფერის დროს „გათიმე და იბატონე“-ს იმპერიული მექანიზმის ამოქმედება წარმოადგენდა აფხაზური ეთნოკრატიის მთავარ ფუნქციას.

პირველად ასეთი შესაფერისი დრო დადგა 1957 წელს, ხოლო წინასწარგამიზნული ანტიქართული აქციის საბაზად (ხაზგასმით უნდა

ითქვას: სწორედ რომ საბაბად) და კრიზისული ვითარების წარმოქმნის ფორმალურ გასაღებად გამოყენებულ იქნა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის პ. ინგოროყვას წიგნი – „გიორგი მერჩულე – ქართველი მწერალი X საუკუნისა“ (თბილისი, 1954), უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ – ქართული აკადემიური ისტორიოგრაფიის წრეებში აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კარდინალურ საკითხებზე მასში წამოყენებული დებულებების განხილვა. როგორც ცნობილია, ნაშრომში პ. ინგოროყვამ განავითარა და დაასაბუთა XIX საუკუნიდან არსებული კონცეფცია აფხაზეთში ეთნიკური პროცესების სტადიალური ინფილტრაციული განვითარების შესახებ. მკვლევარის აზრით, ისტორიული აფხაზები წარმოადგენდნენ ქართველ ტომებს, ხოლო თანამედროვე აფხაზები (აფსუები) არიან ადილური წარმომავლობის და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლდნენ XVII საუკუნეში.

მიუხედავად იმისა, რომ „ინგოროყვას ხაზი“ „ზემოდან“ მითითებით, თვით ქართველმა მეცნიერებმაც გააკრიტიკეს, აფხაზურმა ეთნოკრატიამ ააგორა ანტიქართული საპროტესტო მოძრაობის ტალღა და მასში ჩართო აფხაზი მოსახლეობის ნაწილი. 1957 წლის 11-13 აპრილს გაიმართო 200-კაციანი საპროტესტო აქცია. მღელვარებას ჰქონდა ადგილი პედაგოგიურ ინსტიტუტში. აფხაზი ინტელიგენციის ცალკეული წევრები გავიდნენ სოფლებში – მოძრაობის მასობრივი ბაზის შექმნისა და ორგანიზებული პროტესტის გამონწვევის მიზნით.

გაჩნდა პოლიტიკური ლოზუნგებიც. აფხაზი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წევრებმა სკკპ ცკ-ისა და პირადად ნ. ხრუშჩოვის სახელზე გააგზავნეს რამდენიმე წერილი – პეტიცია. ისინი მოითხოვდნენ 1956 წლის 10 ივლისის დადგენილების ბოლომდე შესრულებას, დასავლეთ საქართველოდან მიგრაციის შეწყვეტას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შეყვანას რსფსრ-ს შემადგენლობაში⁴⁴⁷.

ვითარების ნორმალიზაცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ. საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს 1957 წლის 12 აპრილის და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 15-16 აპრილის ზედაპირულმა გადანყვეტილებებმა დროებით განმუხტეს დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია.

1957 წლის აქცია, როგორც ერთგვარი სამოქალაქო-პოლიტიკური პუტჩი, წარმოადგენს აფხაზური ეთნოკრატიის პირველ ორ-

447 Лежава Г. Абхазия: анатомия межнациональной напряжённости. Москва, 1999, გვ. 127.

განიზებულ გამოსვლას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

1964 წელს ნ. ხრუშჩოვს ჰქონდა აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფისა და რსფსრ-ს შემადგენლობაში ინკორპორაციის მცდელობა. ძნელი სათქმელია, რამდენად ჰქონდა ამ მცდელობას საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების ერთიანი გეგმის ხასიათი. მაგრამ ნ. ხრუშჩოვის ერთპიროვნული ძალაუფლებისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმის პრაქტიკიდან გამომდინარე, ჩანს, საფრთხე მაინც რეალური იყო⁴⁴⁸. ამ ვოლუნტარისტული ჩანაფიქრის განხორციელება ჩაშალა 1964 წლის 14-15 ოქტომბრის „სასახლის გადატრიალების“ შედეგად ნ. ხრუშჩოვის გადაყენებამ და სსრკ-ის სათავეში ლ. ბრეჟნევის მოსვლამ.

60-იან წლებში აფხაზეთში არსებულ სიტუაციას განსაზღვრავდა აფხაზური ეთნოკრატის შიდაელიტური კრიზისი – ფარული თუ ღია დაპირისპირება სეპარატისტულ „პრომოსკოვურ“ ფრთასა და ზომიერ-ცენტრისტულ „პროქართულ-პროაფხაზურ“ ფრთას შორის.

ზომიერ-ცენტრისტული ფრთის ლიდერი, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ბლაჟბა იყო სალად მოაზროვნე, პროგრესული ორიენტაციის ფუნქციონერი. მისი დაბალანსებული პოლიტიკა, მეგობრული ურთიერთობები თბილისის ხელმძღვანელ წრეებთან იწვევდა სეპარატისტების უკმაყოფილებას. ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო აპარატში მოკალათებულ ულტრანაციონალისტურ დაჯგუფებებს ფაქტობრივად მეთაურობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ოთირბა თავისი „იატაკქეშა კომიტეტით“. სკკპ ცკ-ის ადმინისტრაციული ზენოლით, საქართველოს კომპარტიის ცკ იძულებული გახდა 1965 წელს მ. ბლაჟბა გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ ვ. მჟავანაძემ მაინც ხელი შეუშალა „ოთირბას ჯგუფის“ თანამდებობრივ აღმასვლას: საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ვ. კობახია, რომელიც, მართალია, არ გამოიჩინებდა პროქართული სიმპატიებით, მაგრამ არც სეპარატისტულ-ულტრანაციონალისტურ პლატფორმაზე იდგა (ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდში).

სეპარატისტულ-რევანშისტულმა ძალებმა 1967 წელს კვლავ სცადეს თავიანთი გეგმების განხორციელება. ამჯერად კრიზისის „ისტორიოგრაფიული საბაზი“ გახდა აკად. ნ. ბერძენიშვილის თხ-

448 ვრცლად იხილეთ: Стурца Д. Сепаратистское движение в Абхазии в шестидесятые и семидесятые годы нашего столетия. Тбилиси, 1995, გვ. 3-4; ჯოჯუა დ. დასახ. ნაშრ., გვ. 97-99.

ზულებათა მესამე ტომის გამოცემა (1966), რომელშიც შევიდა სტატია „მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე“. სტატიაში ნ. ბერძენიშვილმა განავითარა თავისი ცნობილი კონცეფცია ისტორიულ აფხაზთა ისტორიულ-კულტურული ქართველობის და ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესში მათი განსაკუთრებული როლის შესახებ. აფხაზთა გარკვეულ წრეებში ეს თვალსაზრისი აღქმულ იქნა, როგორც აფხაზთა ეთნოგენეტიკური ქართველობის მტკიცება და, აქედან გამომდინარე, პ. ინგოროყვას თეორიის რეანიმაცია. სამეცნიერო პოლემიკაში ჩაერთო ფაქტობრივად აფხაზი მოსახლეობის ყველა ფენა, რაც საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა.

სამეცნიერო საკითხი მხოლოდ საბაბი რომ იყო შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნებისათვის გარკვეული პლატფორმის შესაქმნელად, დადასტურა საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ. საქართველოს კპ ცკ-ს ბიუროს 1967 წლის 31 მარტის სხდომაზე გამოსვლისას მან აღნიშნა: „ბერძენიშვილის სტატია ამ ძალებმა გამოიყენეს, როგორც საბაბი თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის“⁴⁴⁹.

1967 წლის 7-9 აპრილს ქ. სოხუმის საზაფხულო თეატრში გამართულ შეკრებაზე ჩამოყალიბდა შვიდი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც დაევალა აფხაზი მოსახლეობის მოთხოვნების ოფიციალური წარდგენა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი. მის შემადგენლობაში იყვნენ ჯ. ახუბა, ტ. შაკრილი, ა. აგრბა, ხ. ჩარაგუა, ო. შამბა, ო. დომენია და ა. ზუხბა⁴⁵⁰.

დელეგაციის მიერ იმავე წლის აპრილის შუა რიცხვებში სკკპ ცკ-ში წარდგენილი დოკუმენტი თავისი პათოსით, შინაარსითა და მიზანდასახულობით პირწმინდად სეპარატისტულ ხასიათს ატარებდა. მასში საუბარი იყო აფხაზთა ვითომ დევნა-შევიწროების, ხელმძღვანელ თანამდებობებზე არდაშვების, ასიმილაციის, აფხაზეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელოვნურად დამუხრუჭების შესახებ. მოთხოვნების ნაწილში კი ყურადღებას იქცევს სამი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც გამოხატავს არა მარტო კონკრეტულად 1967 წლის ანტიქართული აქციის, არამედ ზოგადად აფხაზური სეპარატიზმის პოლიტიკურ „ფილოსოფიას“: თურქეთიდან და იორდანიაიდან 200 ათასი მუჰაჯირის (?) რეპატრიაცია, ანტიქართული ტოპონიმიკური ცვლილებების გატარება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ამალღება მოკავშირე რესპუბლიკის სტა-

449 Стурца Д. Сепаратистское движение в Абхазии ..., გვ. 23.

450 Лежава Г. Абхазия: анатомия межнациональной напряжённости, გვ. 133.

ტუსამდე, ანუ საქართველოსაგან გამოყოფა.

1967 წლის 14 აპრილს საქართველოს კპ ცკ-ს ბიურომ მიიღო ხუთპუნქტიანი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ზოგიერთი პრაქტიკული ღონისძიების გატარებას აფხაზეთში არსებული ვითარების განმუხტვისათვის. დადგინდა, რომ ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა მესამე ტომის ზოგიერთი ფორმულირება საჭიროებს კორექტირებას, შეცვლილ იქნა რამდენიმე დასახლებულ პუნქტის სახელწოდება და სხვ.

1967 წლის 18 აპრილს ქ. სოხუმში გამართული აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის გაფართოებული კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში 7-9 აპრილის თავყრილობა შეფასდა „პროვოკაციულ აქციად, რომელიც ხელს უშლის ორი მოძმე ერის ურთიერთობის ნორმალიზაციას“⁴⁵¹.

ამდენად, სეპარატისტთა 1967 წლის სამოქალაქო-პოლიტიკური პუტჩი კრაზით დასრულდა. მათ ვერც აფხაზეთის სტატუსის გადასინჯვას მიაღწიეს და ვერც ნომენკლატურულ ცვლილებებს ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის უმაღლეს ეშელონებში.

მორიგი ანტიქართული საპროტესტო გამოსვლის საბაზად სეპარატისტულმა ეთნოკრატამ გამოიყენა მთელს საბჭოთა კავშირში კონსტიტუციური სისტემის ფორმალურ-იურიდიული შეცვლის პროცესის დაწყება. საკავშირო კონსტიტუციის ახალი რედაქციის შექმნის პარალელურად, ცხადია, უნდა შეცვლილიყო საქართველოს რესპუბლიკური და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური კონსტიტუციებიც.

სკკპ ცკ-ს 1977 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიურომ 13 ივნისს მიიღო დადგენილება საქართველოსა და მისი ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ⁴⁵².

1977 წლის 10 დეკემბერს აფხაზური ელიტის 130 წარმომადგენელმა სპეციალური წერილით მიმართა იმპერიის ცენტრალურ ინსტანციებს – სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს, პირადად ლ. ბრეჟნევს და რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მ. იასნოვს. წერილი გამოირჩეოდა საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ უსაზღვრო სიძულვილით, ხოლო საქართველოს პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობა გამოცხადებული იყო „ბერიას საქმის“ გამგრძელებლად, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული შევიწროებისა და ასიმილაციის პოლიტიკის გამტარებლად. წერილში ცენტრალური

451 Лежава Г. Абхазия: анатомия межнациональной напряжённости, გვ. 150.

452 Стурua Д. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 47.

თემის ადგილი ეჭირა სეპარატისტულ მოთხოვნას – მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილების ფარგლებში აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსაგან და მის გადასვლას რსფსრ-ს ტერიტორიულ-სამართლებრივ სივრცეში კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში. წერილის ავტორები მოითხოვდნენ სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნას საკავშირო დონეზე⁴⁵³.

სკკპ ცკ-დან აღნიშნული სეპარატისტული დეკლარაცია გადააგზავნეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტში შესაბამისი რეაგირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი რეაგირება მართლაც ოპერატიული და ობიექტური გამოდგა როგორც საოლქო კომიტეტის, ისე საქართველოს რესპუბლიკური ხელმძღვანელობის მხრიდან. 1978 წლის 22 და 24 თებერვლის სხდომებზე საოლქო კომიტეტის ბიურომ და საქართველოს კპ ცკ-ს ბიურომ წერილის ავტორების პოზიცია შეაფასეს, როგორც „აღმამფოთებელი და უპრინციპო“⁴⁵⁴.

მაგრამ ეს რადიკალურად ანტისეპარატისტული ხაზი არ მოეწონათ იმპერიულ ცენტრში. 1978 წლის 3 მაისს სკკპ ცკ-ს სამდივნომ სპეციალურ სხდომაზე განიხილა აფხაზეთში არსებული ვითარება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ავტონომიის პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ – საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ვ. ხინთბას ნაცვლად ბ. ადღეიბა დაინიშნა. გადანყდა, რომ ადგილზე ვითარების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად მიზანშეწონილი იყო სპეციალური ჯგუფის ჩასვლა სკკპ ცკ-ს მდივნის ი. კაპიტონოვის მეთაურობით.

ი. კაპიტონოვი და საქართველოს კპ ცკ-ს პირველი მდივანი ე. შევარდნაძე სოხუმში 19 მაისს ჩავიდნენ. სწორედ კაპიტონოვის ჯგუფის ჩამოსვლას მოჰყვა სეპარატისტული პუტჩის აქტივიზაციის განსაკუთრებული მაქსიმალური ტალღა, ანტიკონსტიტუციური მოთხოვნების რადიკალიზაცია, ესკალაციის მასშტაბური გაფართოება და ზოგიერთ შემთხვევაში სიტუაციის უმართაობის პრეცედენტის შექმნა.

1978 წლის 21 მაისს, აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრებაზე ი. კაპიტონოვმა დააფიქსირა იმპერიული ცენტრის პოზიცია: საპროტესტო მოძრაობის მოთხოვნები ანტიკონსტიტუციურია და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსაგან „ამ ეტაპზე“ გამორიცხულია. მან, კერძოდ, აღნიშნა: „ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ უნივერსიტეტისა და ტელევიზიის საკითხი, მაგრამ აფხაზეთის გადასვლა რსფ-

453 Лежава Г. Абхазия: анатомия межнациональной напряжённости, გვ. 151.

454 Лежава Г. Абхазия: анатомия межнациональной напряжённости, გვ. 151.

სრ-ს შემადგენლობაში გამორიცხულია. ასევე გამორიცხულია ახალ კონსტიტუციაში ასეთი გადასვლის უფლების შესახებ სპეციალური მუხლის შეტანა⁴⁵⁵. მომავალში ახალი გამოსვლებისკენ სეპარატისტების ნაქეზებად გაიჟღერა ი. კაპიტონოვის მრავლისმთქმელმა „ამ ეტაპზე“... დაძაბულობის ესკალაციის უმაღლეს პუნქტს წარმოადგენდა 22 მაისს მთავრობის სახლის წინ ორგანიზებულ 20-ათასიან მიტინგზე სეპარატისტების მიერ მოწყობილი ობსტრუქცია, როცა ი. კაპიტონოვმა და ე. შევარდნაძემ სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა.

ე. შევარდნაძის ლიბერალური და უსაფუძვლოდ კომპრომისული, ფაქტობრივად კი კაპიტულანტური პათოსი კარგად ჩანს 1978 წლის 27 ივლისს საქართველოს კპ ცკ-ს პლენუმზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ წარსულში ადგილი ჰქონდა აფხაზი ხალხის მიმართ შოვინისტურ პოლიტიკას,... ტარდებოდა სკოლების დახურვა, ეროვნული ინსტიტუტების შევიწროება, უნდობლობა საკადრო პოლიტიკაში, რაც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობის განმტკიცების საქმეს“⁴⁵⁶.

კომპრომისული ტაქტიკის იმპერატიული ბაზა გახდა საქართველოს კპ ცკ-ს 1978 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება „აფხაზეთის ასსრ-ს ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებში ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“⁴⁵⁷. სწორედ ამ გადაწყვეტილების რეალიზაციის ფარგლებში მოხდა აფხაზური ტელევიზიის გახსნა, ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედინსტიტუტის გარდაქმნა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად და სხვ.

ე. შევარდნაძემ აფხაზური ეთნოკრატიის ინტერესების შესაბამისად განახორციელა ნომენკლატურული ცვლილებები აფხაზეთის პარტიულ-სახელმწიფო ელიტაში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. კობახია, რაც იყო აშკარა კაპიტულაცია ეთნოკრატიის გუდაუთური კლანის წინაშე.

1984 წელს იმპერიულ ცენტრში სეპარატისტებმა გააგზავნეს მორიგი მიმართვა. მიმართვის ადრესატები იყვნენ სკკპ ცკ-ს გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ჩერნენკო და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტიხონოვი.⁴⁵⁸

455 Лежава Г. Абхазия: анатомия межнациональной напряжённости, გვ. 152.

456 Лежава Г. Абхазия: анатомия межнациональной напряжённости, გვ. 155.

457 გაზ. კომუნისტი, 1978, 26 მაისი.

458 პაპასქირი ზ. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი II. 1917-1993 თბილისი, 2007, გვ. 190.

მიმართვა იმეორებდა სეპარატისტული ეთნოკრატიის ტრადიციულ ანტიქართულ რიტორიკას და სვამდა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფის სრულიად უსაფუძვლო საკითხს.

70-80-იანი წლების მიჯნასა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში ფარული კონფლიქტი საქართველოს რესპუბლიკურ ხელმძღვანელობასა და აფხაზურ ეთნიკურ ბიუროკრაციას შორის ფაქტობრივად ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ამას შედეგად მოჰყვა ავტონომიურ რესპუბლიკაში ეთნოკრატიული მოდელის საბოლოო ფორმირება და აფხაზური ეთნოკრატიის, როგორც ელიტარული პოლიტიკური კლასის, ჩამოყალიბება. ყურადღებას იქცევს ეთნოკრატიული რეჟიმის იმდროინდელი ფაქტოლოგიური სტატისტიკა, რომელიც მოჰყავს ლ მარშანიას: „საქართველოდან არჩეული 15 სსრკ-ს სახალხო დეპუტატიდან რვა იყო აფხაზი... აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან 57 (40,7 %) იყო აფხაზი, 53 (37,9%) – ქართველი, 30 (21,4%) – დანარჩენი ეროვნების წარმომადგენელი. საქალაქო და სასოფლო საბჭოების შემადგენლობის მესამედს და მინისტრთა საბჭოსა და საოლქო კომიტეტის აპარატის ნახევარს შეადგენდნენ აფხაზები. 12 მინისტრიდან რვა და სახელმწიფო კომიტეტის რვა თავმჯდომარიდან ხუთი იყო აფხაზი. ქალაქისა და რაიონების რვა თავმჯდომარიდან ხუთი იყო აფხაზი. ქალაქისა და რაიონების რვა პროკურორიდან ხუთი იყო აფხაზი“⁴⁵⁹.

1985 წლის მარტში საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში მოხდა ფორმალურად მორიგი, მაგრამ თავისი შინაარსითა და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ხარისხით რადიკალური ცვლილებები.

ხელისუფლების სათავეში მოვიდა „გორბაჩოვის გუნდი“, რომელმაც გამოაცხადა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და გარდაქმნის („პერესტროიკის“) კურსი.

„პერესტროიკის“ პირველმა ორნახევარმა წელიწადმა აჩვენა, რომ ტოტალიტარული სისტემა არ ექვემდებარებოდა რეფორმებს. ამიტომ 1987 წლის ოქტომბრიდან მ. გორბაჩოვმა გამოაცხადა გადასვლა „პერესტროიკის“ მეორე ეტაპზე – დემოკრატიისა და საჯაროობის პოლიტიკაზე, რამაც სტიმული მისცა რეჟიმის მიმართ ოპოზიციური მოძრაობების გააქტიურებას. სწორედ მაშინ მოხდა საქართველოს დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგალიზაცია, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ოფიციალური დღის წესრიგში დაყენება. სწორედ ამ დროიდან აფხაზურმა სეპარა-

459 Маршания Л. Трагедия Абхазии. Тбилиси, 1995, გვ. 11-12.

ტიზმმა შეიძინა სრულიად განსაზღვრული, იმპერიული ცენტრიდან დეტერმინირებული ფუნქცია – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი პოლიტიკური სუვერენიზაციის შეკავების ფუნქცია.

“პერესტროიკის” მიერ შექმნილი პლურალიზმის პირობებში აფხაზური ეთნოკრატის სეპარატისტული პლატფორმის პირველ გამოვლინებას წარმოადგენდა ე.წ. „სამოცის წერილი“ – აფხაზური მეცნიერებისა და კულტურის სამოცი თვალსაჩინო წარმომადგენლის 1988 წლის 17 ივნისის მიმართვა სკკპ XIX საკავშირო პარტკონფერენციისადმი⁴⁶⁰. ეს ე.წ. „აფხაზური წერილი“ გამოირჩეოდა რადიკალური ანტიქართული პათოსით, უსაფუძვლო თავდასხმებით ქართველ ხალხზე და საქართველოს ხელმძღვანელობაზე. დოკუმენტის მთავარი მოთხოვნა იყო აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსაგან და მოსკოვისადმი პირდაპირი დაქვემდებარება მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით. შეიძლება ითქვას, რომ ამ „წერილით“ აფხაზეთში მორიგი ანტიქართული ფრონტი გაიხსნა. ფრონტის სტრუქტურირება კი მოხდა ცოტა მოგვიანებით, 1988 წლის ნოემბერში, როდესაც „სამოცის წერილის“ ხელმძღვანელთა ჯგუფის ინიციატივით გამოცხადდა აფხაზური ეთნოკრატის მთავარი პოლიტიკური პარტიის – „აიდგილარას“ („თანადგომა“) შექმნა. სახალხო ფორუმ „აიდგილარას“ დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1988 წლის 13 დეკემბერს⁴⁶¹. მისი პირველი თავმჯდომარე იყო თავისი სეპარატისტული შეხედულებებით ცნობილი ა. გოგუა,⁴⁶² ხელმძღვანელ ბირთვში კი შევიდნენ რ. ჭანბა, ი. ახბა, ო. დომენია, ი. მარხოლია, ზ. აჩბა და სხვები.

1989 წლის 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზი მოსახლეობის მრავალათასიანი მიტინგი – თავყრილობა, რომელმაც მიიღო ე.წ. „ლიხნის წერილი“ – „მიმართვა სკკპ ცკ-ს, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს“. „მიმართვაში“ აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება უხეშად არღვევს „ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებს და ფეხქვეშ თელავს აფხაზი ხალხის უფლებებს“. „მიმართვა“ მოითხოვდა აფხაზეთისთვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, ე.ი. მის გამოყოფას საქართველოს შემადგენლობიდან.

„ლიხნის დეკლარაციაში“ მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გად-

460 Бгажба О. Лакоба С. История Абхазии. Сухуми, 2006, გვ. 414.

461 გაზ. Единение (Айдгилара), №1, 1989, 25 октябрь.

462 მეორე (რიგგარეშე) ყრილობაზე 1990 წლის 3 თებერვალს ფორუმის ლიდერი გახდა ს. შამბა.

ამწყვეტი როლი შეასრულა „აფხაზეთის კრიზისის“ შემდგომი გაღრმავების, ვითარების ესკალაციისა და ომის პირობების წარმოქმნის პროცესში. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების ხარისხი ერთიორად აამაღლა იმ გარემოებამ, რომ „ლიხნის მიმართვა“, სეპარატისტული ხროვის გვერდიგვერდ ხელს აწერდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირები – საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია.

25 მარტს სოხუმსა და გალში გაიმართა ქართული მოსახლეობის გრანდიოზული საპროტესტო მიტინგები. 1 აპრილს დაბა ლესელიძეში ჩატარდა ანტიიმპერიალისტური მიტინგი, რომლის მონაწილეთა ერთი ჯგუფი აფხაზთა ეგზალტირებული მასის მიერ დარბეულ იქნა ბზიფსა და ახალ ათონთან. იყვნენ დაჭრილებიც. ამ ვერაგული აქტის საპასუხოდ, 2 აპრილს სოხუმში გაიმართა ქართული მოსახლეობის მიტინგები და მანიფესტაციები, რამაც შექმნა, 1 აპრილის პროვოკაციულ დარბევაზე რეაგირების ფარგლებში, სიტუაციის უკიდურესად ესკალაციისა და გარკვეულწილად მისი უმართაობის საფრთხე.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, აფხაზეთში დესტაბილიზაციის ღერძული ზონა გახდა კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე, კონკრეტულად კი ა.მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი ქართული სექტორი წარმოადგენდა რეგიონში ქართული კულტურისა და განათლების, ასევე საქართველოს ეროვნული მოძრაობის მთავარ კერას და, აქედან გამომდინარე, აფხაზური სეპარატიზმის მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობის ბირთვს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ლიხნის დესტრუქციული „მიმართვა“, ასევე 9 აპრილის ტრაგედიაში „აფხაზური კარტის“ ხვედრითი წილი გაცილებით მტკივნეულად სწორედ უნივერსიტეტში აღიქვეს. მით უმეტეს, რომ ლიხნის „მიმართვის“ ხელმომწერთა შორის ფიგურირებდა უნივერსიტეტის რექტორი ა. გვარამია. გვარამიასა და მისი ჯგუფის შიდა საუნივერსიტეტო პოლიტიკა ქართული სექტორის დისკრიმინაციული შეზღუდვის თვალსაზრისით, რამაც უნივერსიტეტი გადააქცია სეპარატიზმის გონებრივ ცენტრად, ისედაც ინვევდა სამართლიან, კანონზომიერ უკმაყოფილებას. თანდათანობით მომწიფდა სოხუმში ახალი საუნივერსიტეტო ცენტრის შექმნის იდეა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 მაისის განკარგულების საფუძველზე, აფხაზეთის ა.მ. გორკის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფის შედეგად შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის სოხუმის ფილიალი.

სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი მოსახლეობის ნაწილი აღშფოთებით შეხვდა თსუ სოხუმის ფილიალის ჩამოყალიბებას. ქართული საუნივერსიტეტო ცენტრის შექმნიდან პრაქტიკულად მეორე დღესვე, 15 მაისს სოხუმში, ლენინის მოედანზე გაიმართა აფხაზი მოსახლეობის 10-ათასიანი მიტინგი, რომელმაც მოითხოვა ფილიალის გაუქმება და წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისღვრით დაიმუქრა. სწორედ აქედან დაიწყო ვითარების წინასწარ დაგეგმილი და მიზანმიმართული ესკალაცია, რომელიც 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგედიით დასრულდა. იმპერიული ცენტრის მხრიდან ოსტატურად ორგანიზებული სამოქალაქო მღელვარება შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა, რომლის დროსაც აფხაზების ეგზალტირებულმა ბრბომ თავდასხმა განახორციელა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლაში განთავსებულ ფილიალის მიმღებ კომისიაზე და რუსთაველის პარკში შეკრებილ ქართულ საზოგადოებრიობაზე.

პირველი აფხაზურ-ქართული შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე, უმეტესად ეთნიკური ქართველები. დაღუპულთა შორის იყო აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა.

1990 წლის 9 მარტს, საქართველოს ეროვნული მოძრაობის პოზიტიური ზენოლით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო ისტორიული დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“⁴⁶³. დადგენილებაში 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შეჭრა და ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდა როგორც სამხედრო ჩარევა (ინტერვენცია) და ოკუპაცია არსებული წყობილების ძალდატანებითი შეცვლის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც ფაქტობრივი ანექსია. შესაბამისად, იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა 1921 წლის თებერვლიდან მიღებული ყველე სამართლებრივი აქტი, მათ შორის 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ. ამდენად, თვით საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ აიღო კურსი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს დადგენილების (ასევე ლიტვის სეიმის მიერ 1990 წლის 11 მარტს მიღებული დამოუკიდებლობის

463 გაზ. კომუნისტი, 1990, 10 მარტი.

დეკლარაციის) საპასუხოდ, იმპერიულმა ცენტრმა სასწრაფოდ შექმნა პრევენციული სამართლებრივი მექანიზმი, თანაც სწორედ ავტონომიებში სეპარატიზმის ნახალისების მიზანდასახულობით. 1990 წლის 3 აპრილს სსრკ-ს პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა ხელი მოაწერა „კანონს სსრკ-ს შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებული წესების შესახებ“⁴⁶⁴. კანონის თანახმად, საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო რეფერენდუმის გზით, ამასთან, „იმ მოკავშირე რესპუბლიკაში, რომელიც თავის შემადგენლობაში ფლობდა ავტონომიურ რესპუბლიკებს და ავტონომიურ ოლქებს, რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო „ცალ-ცალკე თითოეულ ავტონომიაში“. ელექტორალურ კვოტად დადგენილ იქნა ორი მესამედი.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზურმა მხარემ გამოაცხადა, რომ გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესია, რომელმაც თითქოს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ და ე.წ. დეკლარაცია „აფხაზეთის სსრ (?) სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“⁴⁶⁵. ორივე აქტი იყო საფუძველშივე უკანონო, ორივე აქტი ეწინააღმდეგებოდა არა მარტო საქართველოს სსრ კონსტიტუციას, არამედ სსრკ-ს კონსტიტუციას და საკუთრივ აფხაზეთის ასსრ 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუციას. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ 25 აგვისტოს ჩატარდა არა სესია, არამედ დეპუტატთა ჯგუფის კრება, რომელსაც უმაღლესი საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე ნაკლები ესწრებოდა.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 26 აგვისტოს გაუქმებულად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა ზემოხსენებული აქტები. 1990 წლის 31 აგვისტოს, რეგლამენტის სრული დაცვით და დეპუტატთა ნახევარზე მეტის მონაწილეობით (მონაწილეობდა 72 დეპუტატი), გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია (მომხსენებელი – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ყოლბაია). სესიამ გააუქმა 25 აგვისტოს დეპუტატთა ჯგუფის კრებაზე მიღებული აქტები. აფხაზური ეთნოკრატიის სეპარატისტული პროექტი, მიმართული აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის შეცვლით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაკენ, ჩავარდა. ამით სეპარატისტებმა იგემეს დიდი პოლიტიკური და მორალური დარტყმა.

464 გაზ. Известия, 1990,5 апреля.

465 გაზ. Советская Абхазия, 1990, 28 августа.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი არასაბჭოური და მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები. აფხაზეთში არჩევნები მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა, მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტებმა შეძლეს საარჩევნო პროცესის ჩაშლა გუდაუთასა და ტყვარჩელში. გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების 57% და შექმნა მყარი საკანონმდებლო უმრავლესობა.

უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ 1990 წლის 14 ნოემბერს თავმჯდომარედ აირჩია ზვიად გამსახურდია. სესიამ მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ღონისძიებათა კომპლექსს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უზრუნველსაყოფად.

თვისობრივად ახალ ვითარებაში, როდესაც საქართველოს ეროვნული მოძრაობა გახდა ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლება, ხოლო საქართველოს სრული დამოუკიდებლობის იდეა გადაიქცა სახელმწიფო დოქტრინად, სრულიად ცხადი იყო, რომ იმპერიული ცენტრი გააძლიერებდა აფხაზეთში სეპარატისტულ მოძრაობას და გამოიყენებდა მას ტოტალური დესტაბილიზაციის გამოსანეევად. ამიტომ საჭირო იყო უაღრესად ფრთხილი რეგიონალური პოლიტიკის გატარება აფხაზეთში, კრიზისის მართვისა და დაძაბულობის პრევენციის კურსის განხორციელება.

1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. არძინბა. საქართველოს ხელისუფლებას ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარების დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა არ გაუწევია ვ. არძინბას არჩევისთვის (მას არც გააჩნდა სამართლებრივი ბერკეტები ასეთი წინააღმდეგობისთვის). ეს იყო პერიოდი, როდესაც მთელს სსრ კავშირში რეალური ძალაუფლება პარტიული ორგანოებიდან საბჭოთა ორგანოების ხელში გადადიოდა⁴⁶⁶. ამით ისარგებლა ვ. არძინბამ და ძალიან მალე რეალურ

466 აფხაზეთშიც მთელი ძალაუფლება საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელში იყო თავმოყრილი. 1938 წლიდან საოლქო კომიტეტის პირველი მდივნები, ანუ ფაქტობრივად აფხაზეთის პირველი პირები იყვნენ: კირილე ბეჭვია (1937-1940), მიხეილ ბარამია (1940-1943), აკაკი მგელაძე (1943-1951), შოთა გეთია (1951-1953), გრიგოლ ქარჩავა (1953 წლის აპრილ-ნოემბერი), გიორგი გეგეშიძე (1953-1956), ოთარ გოცირიძე (1956-1958), მიხეილ ზღაპტა (1958-1965), ვალერიან კობახია (1965-1975), ვალერი ხინთა (1975-1978), ბორის ადღეიბა (1978-1989) და ვლადიმერ ხიშბა (1989-1991). აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავათ: კონსტანტინე

ძალაუფლებას დაეუფლა.

1991 წლის 17 მარტს არძინბას დაჯგუფებამ მონაწილეობა მიიღო კრემლის მიერ დანიშნული სრულიად უკანონო „რეფერენდუმის“ ჩატარებაში სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე. ამასთან, სეპარატისტები წავიდნენ გაუგონარ ფალსიფიკაციაზე – ამომრჩეველთა საერთო სიიდან მთლიანად ამოიღეს გალის რაიონი თავისი 50 ათასზე მეტი ამომრჩევლით. შედეგად მიღებულ იქნა უბრალო უმრავლესობის საჭირო რაოდენობა – 50,3%.

17 მარტის ვაკხანალიაზე საქართველოს ეროვნული მთავრობის რეაქცია კანონიერი და ოპერატიული იყო. 1991 წლის 22 მარტს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლისა და უზენაესი საბჭოს ე.წ. რეფერენდუმის შედეგები ცნო უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ.

სამაგიეროდ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე დიდი დარტყმა მიაყენა სეპარატისტულ მოძრაობას აფხაზეთში. მიუხედავად არძინბას რეჟიმის, „აიდგილარას“ და სხვა სეპარატისტული ორგანიზაციების მიერ ბოიკოტის გამოცხადებისა (რეფერენდუმი ვერ ჩატარდა გუდაუთისა და ტყვარჩელის საარჩევნო ოლქებში), რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (347175) 61,27%-მა. საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,73%-მა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 60%-მა⁴⁶⁷. ფაქტობრივად იგივე მაჩვენებლები განმეორდა იგივე ვითარებაში 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

მოკლე დროში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რეფერენდუმისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებმა აჩვენეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, მათ შორის ეთნიკურ აფხაზთა გარკვეული ნაწილიც მხარს უჭერდა არა სეპარატიზმს, არა საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებას, არამედ საქართველოს ერთიანო-

ჭიჭინაძეს (1938-1943), ალექსანდრე მირცხულავას (1943-1948), მიხეილ დელბას (1948-1953), არხიპო ლაბახუას (1953-1957), მიხეილ ბლაჟბას (1957-1958), მიხეილ ჩიქოვანს (1958-1967), პავლე გილაშვილს (1967-1972), ბორის გიგიბერიას (1972-1973), შოთა თათარაშვილს (1973-1975), ავთანდილ საყვარელიძეს (1976-1978), იუზა უბილავას (1978-1987), ოთარ ზუხბაიას (1987-1989), გივი ანჩაბაძეს (1989-1990).

467 ჯემალ გამახარია. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წ.წ.). თბილისი, 2004, გვ. 7.

ბას, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ხოლო 14 აპრილს შემოიღო საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და პრეზიდენტად ზ. გამსახურდია აირჩია.

თავის საინაუგურაციო გამოსვლაში, 1991 წლის 7 ივნისს, პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა დამოუკიდებელი საქართველოს ურყევი ნება – დაეცვა აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა პოლიტიკური ავტონომიის კონსტიტუციური გარანტიების საფუძველზე.

აფხაზეთთან მიმართებაში საქართველოს მაშინდელი მთავრობის საგანგებოდ ფრთხილი, მშვიდობიანი და კომპრომისული პოლიტიკის დემონსტრირება კიდევ ერთხელ 1991 წლის ზაფხულში მოხდა. მაშინ ქართულ და აფხაზურ მხარეთა საერთო ძალისხმევით, 1991 წლის 9 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო ახალი საარჩევნო კოდექსი – კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“⁴⁶⁸. 1991 წლის 27 აგვისტოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები. უმაღლესი საბჭოს 65 მანდატი ეთნიკური პრინციპით ჩამოყალიბებულ ერთმანდატიან ოლქებში გადანაწილდა. აფხაზებს (მოსახლეობის 17%) 28 მანდატი ერგოთ, ქართველებს (მოსახლეობის 47%) – 26, სხვა ეროვნებებს – 11. მანდატები ისეთნაირად გადანაწილდა, რომ არც ერთ მხარეს არ შეეძლო კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება და ცალმხრივად კონსტიტუციური, მათ შორის აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. ქართველთა და აფხაზთა შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იყო არა მხოლოდ სტატუსის საკითხის ლეგიტიმური გზით გადაჭრა, არამედ რეფერენდუმის ჩატარება, მთავრობის წევრების დანიშვნა. ყოველივე ამისათვის საჭირო იყო უმაღლესი საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობის გადაწყვეტილება.

ეთნიკური ნიშნის მიხედვით გადანაწილდა როგორც მანდატები უმაღლეს საბჭოში, ისე უმაღლესი თანამდებობებიც. კერძოდ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აფხაზი უნდა არჩეულიყო, მის პირველ მოადგილედ – ქართველი; აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ქართველი ინიშნებოდა, პირველ მოადგილედ – აფხაზი. განხორციელდა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებებიც. მაგალითად, აფხაზეთის კონსტიტუციაში ტერმინი „საქართველოს სსრ“ შეიცვალა

468 გაზ. აფხაზეთის ხმა, 1991, 18 ივლისი.

ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“. ეს იყო სერიოზული კომპრომისი. აღნიშნული ცვლილებით აფხაზეთი კონსტიტუციურად ადასტურებდა, რომ ადრე თუ ის იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს ნაწილი, ამიერიდან დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი ხდებოდა. იმისათვის, რათა სათანადოდ შეფასდეს ამ კონსტიტუციური ცვლილების მნიშვნელობა, საჭიროა გავიხსენოთ სეპარატისტთა მიერ ატაცებული კრემლის უცნაური ინსტრუქცია იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი, მისი მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ ის თითქოს არ იყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი. აფხაზეთის კონსტიტუციაში ტერმინის „საქართველოს სსრ“ ჩანაცვლებამ ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“ მსგავს ინსინუაციებს ბოლო მოუღო. აფხაზეთის კონსტიტუციაში შევიდა ასევე დამატება, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონის მიღებას ხმათა ორი მესამედი სჭირდებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის მიმართ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკამ გაიმარჯვა, თანაც გაიმარჯვა ორივე მხარემ.

გამარჯვება კი დროებითი აღმოჩნდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ კრემლი ძლიერ იყო შეშფოთებული დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს დამაჯერებელი მოძრაობით. 1991 წლის 17 და 31 მარტის რეფერენდუმების, 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, მოსკოვი დარწმუნდა, რომ მშვიდობიანი, დემოკრატიული მეთოდებით საქართველოს დაჩოქება, მისგან აფხაზეთის მოწყვეტა შეუძლებელია. იმპერიული ცენტრი იმითაც იყო შეშფოთებული, რომ თბილისმა და სოხუმმა კრემლის მედიატორული როლის გარეშეც მოახერხეს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობების დალაგება, ანუ ვერ მოხერხდა „აფხაზური კარტის“ ეფექტურად გათამაშება. მოსკოვში მარტივად მიხვდნენ, რომ საქართველოზე კონტროლის აღდგენა მხოლოდ მისი პირველი პრეზიდენტის დამხობითა და აფხაზეთში ომის გაჩაღებით იყო შესაძლებელი. მაგრამ იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას საქართველოსთვის ჯერ არ ეცალა⁴⁶⁹.

1991 წლის ივლის-აგვისტოს კომპრომისმა აფხაზეთში შექმნა ერთგვარი ნონასწორობა და პოლიტიკური ბალანსის მდგომარეობა, ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელებასა და პოლიტიკური კრიზისის დეესკალაციას.

469 აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები, გვ. 90-92.

ახალი საარჩევნო კოდექსის საფუძველზე არჩევნები გაიმართა 1991 წლის 29 სექტემბერს. ზოგიერთ საარჩევნო ოლქში მეორე ტური და ხელახალი არჩევნები ჩატარდა 31 ოქტომბერს და 1 დეკემბერს. აფხაზეთმა შეძლეს შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევა, ანტიქართულ პლატფორმაზე ძალების კონსოლიდაცია და დეპუტატთა კორპუსში სეპარატისტული მოძრაობის ყველა თვალსაჩინო ლიდერი გაიყვანეს. ამიტომ ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში იმთავითვე ჩამოყალიბდა სახელისუფლებო პრეროგატივებით აღჭურვილი „ომის პარტია“ ვ. არძინბას მეთაურობით. „ომის პარტია“ შეუდგა წინასწარ დაგეგმილი პროგრამის განხორციელებას, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ სეცესიური ომის პირობების შექმნისათვის.

იმ პერიოდში მოსკოვში ძალაუფლებისათვის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა საკავშირო ცენტრსა (მიხეილ გორბაჩოვი) და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას (ბორის ელცინი) შორის. რუსეთის პრეზიდენტის სასარგებლოდ ამ ბრძოლის ბედი ფაქტობრივად 1991 წლის 19-21 აგვისტოს გადაწყდა, როდესაც კრახი განიცადა საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამ⁴⁷⁰. შეთქმულებაში აქტიურად მონაწილე საბჭოთა კავშირის კომპარტიის საქმიანობა ბ. ელცინის 1991 წლის 23 და 25 აგვისტოს ბრძანებულებებით შეჩერდა. იგივე მოხდა საქართველოშიც, რის შესახებაც გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 26 აგვისტოს მიიღო. იმ დღეებში არსებობა შეწყვიტა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციამაც. კომპარტიის საქმიანობის შეჩერების შედეგად უკიდურესად დასუსტებულ და სრულიად დეზორგანიზებულ საკავშირო ცენტრთან დაპირისპირება ბორის ელცინის გამარჯვებითა და საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. საბჭოთა კავშირის დაშლა იურიდიულად გაფორმდა ჯერ 1991 წლის 8 დეკემბერს, საბოლოოდ კი იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში 11 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ

470 1991 წლის 19 აგვისტოს გამოცხადდა, რომ შეიქმნა საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი, ე. წ. ГКЧП (თავმჯდომარე – სსრკ ვიცე-პრეზიდენტი გ. იანაევი, წევრები – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კრიუჩკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. პუგო, თავდაცვის მინისტრი დ. იაზოვი და სხვები), რომელმაც პრეზიდენტი მ. გორბაჩოვის იზოლაცია მოახდინა. შეთქმულებს მხარი დაუჭირა ვ. არძინბამ. ფართო სახალხო წინააღმდეგობის შედეგად, რომელსაც ახლად არჩეული პრეზიდენტი ბორის ელცინი ხელმძღვანელობდა, თვითმარქვია ГКЧП დამარცხდა, მისი წევრები კი დააპატიმრეს.

შესაბამისი დეკლარაციის ხელმოწერით. დეკლარაციით გამოცხადდა საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაფუძნების შესახებ. ამით მოიხსნა მთავარი სამართლებრივი ბარიერი საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების გზაზე.

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთვის მოიცალა, რომელმაც ხელი არ მოაწერა აღმა-ატის დეკლარაციას. თბილისში უკიდურესად დაძაბული ვითარება შეიქმნა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე. 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში არსებული დაძაბული ვითარება შეიარაღებულ დაპირისპირებასა და სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიზარდა. როგორც 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პუტჩისტური მოძრაობა, ისე 1991 წ. 22 დეკემბერ – 1992 წ. 6 იანვრის სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ-დიპლომატიური, ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერით. მხარდაჭერის რუსულ ძალებს და სტრუქტურებს კოორდინაციას უწევდა სპეციალურად ამისთვის პრეზიდენტ ელცინის ხელისუფლებაში შექმნილი არაფორმალური კომიტეტი, ვიცე-პრემიერისა და სახელმწიფო მინისტრის გ. ბურბულისის მეთაურობით.

1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ იძულებით დატოვა საქართველო და ჯერ სომხეთში (ქ. იჯევანში), შემდეგ კი ჩეჩნეთში გადავიდა. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ (ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი), რომელმაც შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა უზენაესი საბჭო და შექმნა დროებითი მთავრობა თ. სიგუას ხელმძღვანელობით. სამხედრო რეჟიმის რამდენადმე ზედაპირული შეცვლა მოხდა მარტის დამდეგს: 7 მარტს საქართველოში ჩამოვიდა ყოფილი სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შვეარდნაძე, ხოლო 10 მარტს მისი თავმჯდომარეობით საქმიანობას შეუდგა სახელმწიფო საბჭო.

თბილისში განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ რადიკალურად შეცვალა ვითარება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ფაქტობრივად შექმნა ახალი პოლიტიკური წესრიგი. დაიშალა 1991 წლის კომპრომისის მოდელი და მასზე დამყარებული მეტნაკლებად განონასწორებული პარტიულ-პოლიტიკური სისტემა. ამ სისტემის აფხაზური სექტორი და საკუთრივ ვ. არძინბას დაჯგუფება უკვე ღიად დაადგა საქართველოსაგან გამოყოფის სეპარატისტულ პლატფორმას. სეპარატისტული კურსის განხორციელებას სტიმულს

აძლევდა თბილისში განხორციელებული გადატრიალების ორი მთავარი შედეგი – აფხაზეთის სეცესიის აღკვეთის ძირითადი პოლიტიკური ღონისძიება – საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება და ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ქართული ძალების გათიშულობა-კონფრონტაცია.

ისარგებლა რა ხელსაყრელი ვითარებით, კრემლისგან მართული ვ. არძინბას პოლიტიკური კლანი შეუდგა აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის პოლიტიკური, სამართლებრივი და სამხედრო-ადმინისტრაციული საფუძვლების უზრუნველყოფას, რამაც, თავის მხრივ, შეუქცევადი გახადა აფხაზეთის კრიზისის ომში გადაზრდის პროცესი.

1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილები გადადიოდნენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის იურისდიქციაში, ხოლო საჯარისო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობები და სხვა ქონება ცხადდებოდა აფხაზეთის საკუთრებად. იმავე 29 დეკემბერს მიღებული მეორე დადგენილებით, ვ. არძინბამ შექმნა „დროებითი სამხედრო საბჭო“, რომლის ფუნქციებში შედიოდა „აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციური ნაწილების საქმიანობის კოორდინაცია“⁴⁷¹.

1992 წლის 25 იანვარს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მორიგი სეპარატისტული ხასიათის დადგენილება „სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტასთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედების შესახებ“. დადგენილებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული და ადმინისტრაციული აქტების სამართლებრივი ძალმოსილება აფხაზეთის ტერიტორიაზე.

1992 წლის 31 მარტს ვ. არძინბას გარემოცვამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაღებინა დადგენილება „აფხაზეთის შინაგანი ჯარების პოლკის შექმნის შესახებ“. არსებითად დადგენილება ითვალისწინებდა საქართველოს ცენტრალური სტრუქტურებისაგან დამოუკიდებელი სამხედრო ერთეულის – აფხაზური მონოეთნიკური გვარდიის შექმნას.

1992 წლის მარტში ჩამოყალიბდა სეპარატისტული პოლიტიკური ცენტრი-ბლოკი „სოიუზი“ („კავშირი“). ეს იყო ანტიქართული, პრო-იმპერიული და ანტიდემოკრატიული ძალების კოალიცია, რომელიც

471 რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, გვ. 267-268.

მთლიანად მხარს უჭერდა ვ. არძინბას სეპარატისტულ კურსს, მის მიერ მიღებულ ყველა ანტიკონსტიტუციურ ნორმატიულ აქტს და ამით ამზადებდა ომის პოლიტიკურ ნიადაგს.

1992 წლის 5 მაისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ფაქტობრივად გაითიშა ეთნოპოლიტიკური ნიშნით. ამის შემდეგ ერთობლივი სხდომები არც ჩატარებულა, საბჭოს სეპარატისტული ნაწილი და ქართული დეპუტაციის ბაზაზე შექმნილი ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“ ცალ-ცალკე მართავდნენ სესიებს.

ვ. არძინბას პოლიტიკას, რომელიც ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების უზურპაციისაკენ და ანტიქართული ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისაკენ იყო მიმართული, ჩიხში შეჰყავდა ვითარება. 1992 წლის 5 ივნისს არძინბას დაჯგუფების ინიციატივით ქ. სოხუმში გაიმართა სეპარატისტული ორიენტაციის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების გაფართოებული კრება. კრებაზე გამოცხადდა ე. წ. „აფხაზეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის“ შექმნა. ყურადღებას იქცევს კრებაზე მიღებული ე. წ. „აფხაზეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის დეკლარაცია“, რომელიც გამოირჩევა ანტიქართული პათოსით და არსებული კრიზისული ვითარების ძალისმიერი მეთოდებით, ე. ი. სამხედრო გზით გადაწყვეტის სურვილით. კერძოდ, „დეკლარაციაში“ აღნიშნულია: „... თუ შეიქმნება ანტიკონსტიტუციური პარალელური სტრუქტურები, ასევე უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: საყოველთაო მობილიზაცია; თხოვნა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტისადმი ანალოგიური მობილიზაციის შესახებ; აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის დაუყოვნებლივ მიღება...“⁴⁷².

1992 წლის 24 ივნისს, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ მოტივით, ვ. არძინბას ბრძანებით, ე. წ. შინაგანი ჯარების ასეულმა დაიკავა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობები, კონტროლქვეშ აიყვანა ქალაქის ცენტრალური მაგისტრალეები, ქუჩები და მოედნები. 26 ივნისს ვ. არძინბამ გამართა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი აფხაზი მოხელეების შემადგენლობით მონვეული თათბირი⁴⁷³. თათბირზე გადანყდა, რომ „ადრე მიღებული აფხაზი ხალხის ეროვნულ უფლებათა დამრღვევი აქტებისა და დადგენილებების გაუქმების შემთხვევაში შესაძლო ექსცესების თავიდან ასაც-

472 Авидзба А. Отечественная война (1992-1993 г.г.). Вопросы военно-политической истории Абхазии. Сухуми, 2008, გვ. 72.

473 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 352.

ილებლად“ საქიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: აფხაზური გვარდიის დაკანონება, სამხედრო და მილიციის ნაწილების მზადყოფნაში მოყვანა, საკვანძო ობიექტების კონტროლქვეშ აყვანა და ა. შ.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ, პროცესუალური ნორმებისა და რეგლამენტის უბეში დარღვევით, არაკვალიფიციური უმრავლესობით (ე. წ. „სესიაში“ მონაწილეობდა 36 დეპუტატი 65-დან) მიიღო ანტიკონსტიტუციური აქტი – დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებისა და აფხაზეთის სსრ 1925 წლის არარსებული კონსტიტუციის აღდგენის შესახებ“⁴⁷⁴. ამით ვ. არძინბას დაჯგუფებამ განახორციელა პოლიტიკური გადატრიალება, მოახდინა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის ანტიკონსტიტუციური გამოყოფის უკანონო სეცესიის დეკლარირება.

1992 წლის 25 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა 23 ივლისის დადგენილება. 28-30 ივლისს სოხუმში გაიმართა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ კონტრესია, რომელმაც ასევე უკანონოდ ცნო 23 ივლისის აქტი და მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთისათვის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ სახელწოდების მინიჭების შესახებ⁴⁷⁵.

ასე მიიყვანა აფხაზ სეპარატისტთა ელიტამ და კონკრეტულად ვ. არძინბას გარემოცვამ საქმე სამხედრო დაპირისპირებამდე.

ომის მიზეზთა შორის მთავარი ადგილი უკავია რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას. სწორედ კრემლის იმპერიული ინტერესი, მისი ანტიქართული ალიანსი აფხაზ სეპარატისტებთან, „გათიშე და იბატონე“-ს მუხანათური სტრატეგია გახდა შეიარაღებული შეჯახების გამონვევის ძირითადი ფაქტორი. მაგრამ 1992 წლის ზაფხულის კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში რუსეთის გავლენა „აფხაზეთის კრიზისის“ პოლიტიკურ ფაქტორებზე და ძალთა განლაგების კონფიგურაციაზე თავისებურებით ხასიათდება. როგორც ჩანს, კრემლში ჩათვალეს, რომ ამ ეტაპზე ცალმხრივი პროაფხაზური კურსი არ შეესაბამებოდა კრიზისის მართვის იმპერიულ ინტერესებს და ომისაკენ ორივე მხარის სტიმულირების მიზნებს. ამიტომ საქართველოსაც მისცეს გარკვეული გარანტიები და სეპარატისტებსაც.

474 რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, გვ. 279-280. 1925 წლის ე. წ. კონსტიტუციის თაობაზე იხილე აქვე, ნაწილი VI.

475 რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, გვ. 283.

ცხადია, რომ დაპირისპირებულ მხარეთა ორმხრივი გარანტირების ტაქტიკა გაცილებით ეფექტურად დაანგრევდა მყიფე ბალანსს, მოსობდა კონფლიქტის დეესკალაციის საფუძვლებს და უშუალო სამხედრო შეტაკების პრევენციის მექანიზმებს.

1992 წლის 24 ივნისს დაგომისში ე. შევარდნაძისა და ბ. ელცინის შეხვედრაზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის მონესრიგების პრინციპების გარდა, განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საერთო კომპლექსი. მიღებულ „კომუნიკეში“, სხვათაშორის, აღინიშნა: „საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები აღკვეთენ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე უკანონო სამხედრო, ნახევრად სამხედრო და თვითნებურად შექმნილი რაზმებისა და ჯგუფების მოღვაწეობას“⁴⁷⁶. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დაგომისის შეხვედრაზე ე. შევარდნაძემ ბ. ელცინისგან მიიღო აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარების სანქცია, როგორც ჩანს, რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიით.

1992 წლის 18 ივლისს სოჭში, „ბოჩაროვ რუჩეის“ სახელმწიფო აგარაკზე გაიმართა ბ. ელცინის არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა ვ. არძინბასთან და აფხაზური ელიტის ზოგიერთ სხვა წარმომადგენელთან⁴⁷⁷. შეხვედრიდან სულ რაღაც ხუთიოდე დღეში მიღებულ იქნა 23 ივლისის ზემოხსენებული სეპარატისტული აქტი. მოვლენათა შინაგანი ლოგიკის თანახმად ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ კონფიდენციალურ შეხვედრაზე სეპარატისტებმა მიიღეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ომის დაწყების სანქცია, ოღონდ ამჯერად რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის გარანტიით.

იმ პერიოდში რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ა. ჩინდაროვი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა: „აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების დაჯგუფება წარმოდგენილია საპარაშუტო-სადესანტო პოლკით, 901-ე განყოფილებით და საჰაერო-სადესანტო ბატალიონით. აქ რუსეთის ჯარების დაჯგუფების ყოფნა უაღრესად აუცილებელი და სწორია. რატომ? იმიტომ, რომ ის არის შემაკავებელი ფაქტორი უპირველეს ყოვლისა ქართული მხარის თავგასული პოლიტიკოსებისათვის“⁴⁷⁸.

ამრიგად, აფხაზეთში 1989-1992 წლებში არსებული საზოგა-

476 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, 27 ივნისი.

477 Лакоба С. Абхазия де факто или Грузия де юре? Москва, 2001, გვ. 25.

478 ციტ. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, 2000, გვ. 55.

დოებრივ-პოლიტიკური ვითარების შინაგანი ანატომია, რეგიონალური ისტორიული პროცესის ფარგლებში განვითარებული ფაქტების, მოვლენებისა და პირობების ერთობლიობა სრულიად ცალსახად და არაორაზროვნად აფიქსირებს 1992-1993 წლების ომის უმთავრეს მიზეზებს – აფხაზურ ეთნოკრატიულ სეპარატიზმს და რუსულ ჰეგემონისტურ იმპერიალიზმს, მათ ანტიქართულ ბლოკს და ერთობლივ ბრძოლას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

ნაწილი VIII. 1992 -1993 წლების ომი აფხაზეთში

1992 წლის 14 აგვისტოს, რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წ. 10 აგვისტოს დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების და თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სპეციალური გეგმის (კოდური სახელწოდებით „მახვილი“) საფუძველზე, ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნაწილები გადაადგილდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შეზღუდული კონტინგენტის ჯავშანკოლონას აფხაზი ბოვეიკებისაგან შემდგარმა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან, რასაც მოჰყვა პირველი მსხვერპლი. სერიოზული ბრძოლები გაიმართა გულრიფშის რაიონის დაბა აგუძერასთან, ბაბუშარის აეროპორტსა და ქ. სოხუმში წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე. ასე დაიწყო 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთში.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული საარმიო კონტინგენტის გადაადგილება არ წარმოადგენდა ინტერვენციონისტურ და საოკუპაციო აქციას, რადგანაც ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა გადაადგილება მოახდინეს ერთიანი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი სივრცის შიგნით, განუყოფელი და სუვერენული იურისდიქციის ფარგლებში. ფორმალურ-იურიდიული ასპექტით, ის უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ჯარების გადაადგილება, რედისლოკაცია სახელმწიფოს ტერიტორიის ერთი ნაწილიდან მეორეში.

1992 წლის 15 აგვისტოს გაგრის ზონის დაბა განთიადში გადასხდა საქართველოს შეიარაღებული ძალების საზღვაო დესანტი,

რომელმაც კონტროლი დაამყარა განთიად-ლესელიძის ზონასა და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე მდ. ფსოუზე. ამის შემდეგ აფხაზურ ფორმირებებთან წარმოებული ოთხდღიანი ბრძოლების შედეგად ქართული დესანტი 19 აგვისტოს ქ. გაგრაში შევიდა და დაამყარა კონტროლი გაგრის რაიონსა და სტრატეგიულად მნიშვნელოვან გაგრის ქედზე.

14-17 აგვისტოს ქართული ნაწილები მდ. კელასურთან შეჩერდნენ და მხოლოდ 18 აგვისტოს შევიდნენ ქ. სოხუმში. ამ პერიოდის განმავლობაში ვ. არძინბას დაჯგუფება და სეპარატისტული ორგანოები გუდაუთაში გადავიდნენ, ხოლო აფხაზურ-კონფედერატულმა ფორმირებებმა მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე დაიკავეს პოზიციები.

ქართული შენაერთების ახალი ათონი-გუდაუთის ხაზის მიმართულებით შეტევის ბლოკირებამ აფხაზურ მხარეს შესაძლებლობა მისცა, გამაგრებულიყო მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე და შეექმნა იქ მეტ-ნაკლებად სტაბილური ფრონტის ხაზი – გუმისთის ფრონტის სახით.

რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილები ომში სანყის ეტაპზევე ჩაებნენ. ომის პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ორი მექანიზებული პოლკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი, სამხედრო-საჰაერო ძალების 529-ე პოლკის ესკადრია, სპეციალიზებული ფუნქციის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი, ქ. სოხუმის შუქურას რაიონში და ქ. ოჩამჩირეში განლაგებული სანაპირო დაცვის ბატალიონები, სამხედრო ნაწილები 5482 და 3697, ე.წ. 901-ე განყოფილება, ეშერის 24-ე სამხედრო-სეისმური ლაბორატორია, ასევე კავშირგაბმულობისა და ლოგისტიკური ქვედანაყოფები და უზრუნველყოფის ჯგუფები⁴⁷⁹. ყველა ეს ნაწილი გაერთიანებული იყო კორპუსში სახელწოდებით – „აფხაზეთში რუსეთის ჯარების დაჯგუფება“ (სარდალი – გენერალ-ლეიტენანტი ა. ჩინდაროვი).

1992 წლის აგვისტოს ბოლოს ბომბორის ავიაჯგუფისა და 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკის მეცადინეობით შეჩერებულ იქნა ქართული ძალების შეტევა ეშერა – ახალი ათონის მიმართულებით.

1992 წლის 22 სექტემბერს ქვემო ეშერაში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილიდან ქვეითთა საბრძოლო მანქანამ ცეცხლი გაუხსნა ქართული ჯარის პოზიციებს და საცეცხლე ნერტილების

479 ჯოჯუა დ. რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში. წიგნში: აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. თბილისი, 2017, გვ. 142.

ჩაქრობის შემდეგ შეტევაზე გადავიდა. რუსებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები: სოხუმის ნავთობბაზა და წისქვილკომბინატი⁴⁸⁰.

ე. შევარდნაძის ხელისუფლების სამხედრო სისტემის ოპერირების რეჟიმი, მისი სამხედრო პოლიტიკა აღმოჩნდა უალრესად არაეფექტური და არაადექვატური. როცა საჭირო იყო მოლაპარაკება და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება, მოხდა ჯარების შემოყვანა, ხოლო ჯარების შეყვანის შემდეგ, როცა საჭირო იყო საქმის ბოლომდე მიყვანა, პირიქით, ხელისუფლება მიმართავდა ჰუმანიტარულ და პაციფისტურ ლოზუნგომანიას.

პირველი სერიოზული დარტყმა სისტემამ მიიღო 1992 წლის ოქტომბერში. 1 ოქტომბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა კოალიციამ, დაარღვია რა 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი რუსეთ-საქართველოს შეთანხმება, დაიწყო მასირებული შეტევა გაგრის მიმართულებით. საგულისხმოა, რომ შეტევის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რუსმა სამშვიდობოებმა, რომლებიც აქ განლაგებულნი იყვნენ 3 სექტემბრის შეთანხმების თანახმად, დატოვეს სადამკვირვებლო ნერტილები და დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდნენ. 1 ოქტომბრის საღამოს მტერმა დაიკავა სოფ. კოლხიდა, ხოლო 2 ოქტომბერს – ქ. გაგრა.

გაგრის ოპერაციაში აფხაზურ და კონფედერატულ (შ. ბასაევის „აფხაზური ბატალიონი“) ფორმირებებთან ერთად მონაწილეობდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილები, კერძოდ 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა უზრუნველყვეს გაგრის ზონაში მებრძოლი ქართული დაჯგუფებისათვის („თეთრი არწივისა“ და „მხედრიონის“ შენაერთები, პოლიციის ქვედანაყოფები) დესანტის გადასხმით დახმარების განწევის შეწყვეტა. ოპერაციას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გ. კონდრატიევი. 1992 წლის 6 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა ლესელიძე, განთიადი და საქართველო-რუსეთის საზღვარზე გავიდა. გაგრასა და მის ზონაში მტრული კოალიციის ძალებმა განახორციელეს ქართული მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა, ასევე საერთაშორისო კონვენციებით დასჯადი სხვა დანაშაულობანი ადამიანურობის წინააღმდეგ.

გაგრის ტრაგედიის შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა აფხაზეთის ქართული ხელისუფლების სამხედრო და პოლიტიკურ

480 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 357.

სტრუქტურაში. ქ. სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების მოსახლეობისაგან შემდგარმა სახალხო ლაშქარმა მიიღო ოფიციალურად სტრუქტურირებული სამხედრო შენაერთების ფორმა. ჩამოყალიბდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის (სარდალი-გენერალ-მაიორი პ. დათუაშვილი), 23-ე (მეთაური – გ. ადამია) და 24-ე (მეთაური -ზ. უჩაძე, შემდგომში – ბ. თოხაძე) მექანიზებული ბრიგადები. 1992 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, შეიქმნა აფხაზეთის მთავრობა – მინისტრთა კაბინეტი თ. ნადარეიშვილის თავმჯდომარეობით⁴⁸¹.

1992 წლის 1-6 ოქტომბრის მარცხმა უაღრესად ნეგატიური როლი შეასრულა ომის მსვლელობაში. საქართველომ დაკარგა კონტროლი სტრატეგიულად მნიშვნელოვან გაგრის ზონაზე, მონინალმდეგის დაჯგუფების ანკლავური მდგომარეობა გაირღვა და სეპარატისტებმა მიიღეს მთავარ მხარდამჭერ რუსეთთან უშუალო კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა.

მიუხედავად ამისა, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა და სახალხო ლაშქარმა შესძლეს სხვა უბნებზე ფრონტების სტაბილიზაცია და ტყვარჩელის ბლოკადის შენარჩუნება. 1992 წლის 26 ოქტომბერს მონინალმდეგის ძალების განადგურებითა და უკანდახვევით დასრულდა მათ მიერ დაგეგმილი ოჩამჩირის ალების ოპერაცია.

1992 წლის 3 ნოემბერს ქართულმა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს რუსულ-აფხაზური ძალების შემოტევა გუმისთის ფრონტის შრომის უბანზე. აღნიშნული წარუმატებლობების კომპენსირების სახით მონინალმდეგემ გაააქტიურა „დისტანციური ომის“ ტაქტიკა – 1992 წლის ნოემბრიდან დაიწყო ქ. სოხუმისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ოპერატიული სივრცის ინტენსიური დაბომბვა როგორც ჰაერიდან, ისე ზაღპური ცეცხლის რეაქტიული არტილერიით. სეპარატისტებს სერიოზულ დახმარებას უწევდნენ რუსეთის ავიაცია და რუსეთის არმიის მიერ შექმნილი ინტერვენციის ზონები (ზომბორა, ეშერა, „მაიაკი“, ოჩამჩირის ბაზა). სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას და განხორციელებას ხელმძღვანელობდა რუსეთის არმიის სარდლობა (გენ. გ. კონტრატიევი, გენერალი ა. ჩინდაროვი, გენერალი ი. სიგუტკინი, გენერალი ა. კვაშნინი, გენერალი ი. ტინდიტნიკოვი) და ოფიცერთა კორპუსი.

ქართული შენაერთების მიერ ტყვარჩელის დაკავების ოპერაციის ხშირი შეჩერება, ცხადია, იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და უმაღლესი სამხედრო სარდლობის დანაშაულებრივი სტრატეგიული

481 აფხაზეთის ლაბირინთი. თბილისი, 1999, გვ. 209.

შეცდომა. 1992 წლის დეკემბრის დასაწყისში გენ. გ. ყარყარაშვილის შტაბმა დაგეგმა შეტევითი ოპერაცია აფხაზურ და სომხურ ათარაში, შემდგომში სამხრეთ-დასავლეთიდან ტყვარჩელზე შეტევის მიზნით. 3 დეკემბერს ქართულმა ქვედანაყოფებმა აღნიშნული სოფლები დაიკავეს, მაგრამ 10 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ დაბომბა მდ. კოდორის ხიდი და მიმდებარე პოზიციები, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.⁴⁸² მოგვიანებით ტყვარჩელის იერიში შეჩერდა, თანაც ორივე ათარა (მიმდებარე სოფლებითურთ) დატოვებულ იქნა. ასე ჩაიშალა მონინალმდევის ტყვარჩელის დაჯგუფების ნეიტრალიზაციისა და 60 კმ-იანი აღმოსავლეთის ფრონტის ლიკვიდაციის რეალური შანსი.

1993 წლის იანვარსა და მარტში რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა კოალიციამ ორჯერ სცადა გუმისთის ხაზის გარღვევით ქ. სოხუმის დაკავება. 1993 წლის 2 იანვარს მონინალმდევემ გუმისთის პოზიციიდან „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარებიდან მასირებული ცეცხლი გაუხსნა სოხუმის საცხოვრებელ უბნებს, რათა პანიკა და შიში დაეთესა მებრძოლებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში. 4-5 იანვარს მონინალმდევემ დაიწყო შეტევა გუმისთის ფრონტის აჩადარას უბანზე, მაგრამ არტილერიის კონტრდარტყმებისა და 23-ე ბრიგადის ნაწილების კონტრშეტევის შედეგად მტერი განადგურებულ იქნა.

ომის ეს ეტაპი რუსეთის სამხედრო ინტერვენციის მასშტაბების გაფართოებით აღინიშნა. 1993 წლის იანვარში მოზდოკიდან გუდაუთაში (ბომბორაში) შემოიყვანეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მეოთხე საჰაერო არმიის „СУ 25“ ტიპის ბომბდამშენების ესკადრილია მაიორ ა. კოშკინის მეთაურობით. სწორედ ეს ქვედანაყოფი წარმოადგენდა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საჰაერო ომის ღერძულ ჯგუფს: ბომბავდა ქართული ჯარების საფრონტო პოზიციებს და სარეზერვო დისლოკაციის ზონებს, სტრატეგიული დანიშნულების წერტილებს და კომუნიკაციებს, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის განსახლების რაიონებსა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტებს. მოზდოკის ესკადრილიას ზურგს უმაგრებდა მეოთხე საჰაერო არმიის „МИГ-23“ ტიპის გამანადგურებლების საესკადრილიო რგოლი პოლკოვნიკ რიაბინოვის მეთაურობით, რომელიც კრასნოდარის მხარის კუშჩევსკაიას ბაზიდან 1993 წლის მარტის დასაწყისში გადმოისროლეს⁴⁸³.

რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის მეორე და გაცილებით მასშტაბური შეტევითი ოპერაცია გუმისთის ფრონტზე

482 ზარანდია რ. ომი აფხაზეთში. თბილისი, 2011, გვ. 26.

483 ჯოჯუა დ. რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში..., გვ. 147.

მოხდა 1993 წ. 14-17 მარტს. შეტევა დაიწყო რუსული ავიაციისა და სეპარატისტთა მხიმი არტილერიის მიერ ქ. სოხუმისა და ქართული არმიის პოზიციების მასირებული დაბომბვით. შემდეგ შეტევაზე გადმოვიდნენ აფხაზების, კონფედერატებისა და „სლავბატის“ ფორმირებები. სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად მონინაალმდეგემ შესძლო ქართული შენაერთების ტაქტიკური ხაზის გარღვევა გუმისთის ფრონტის ცენტრალურ უბანზე და 23-ე ბრიგადის მიერ დაკავებული ტერიტორიის სიღრმეში შემოაღწია. მაგრამ სწორედ აქ მოექცა ის ალყაში და ქართული მხიმი არტილერიის მიერ პროფესიონალურად და ოპერატიულად განხორციელებული მასირებული ცეცხლისაგან წარმოქმნილ „ქვაბში“. მონინაალმდეგის დანაკარგები ყველაზე დიდი იყო ომის დაწყებიდან, როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო ტექნიკის მხრივ.

ქართული არმიის კონტრშეტევა 17 მარტს დასრულდა გუმისთის ფრონტზე 14 მარტამდე არსებული სტრატეგიული სტატუსს ქვო-ს აღდგენით. ე. შევარდნაძის ბრძანებით შემტევი შენაერთები შეაჩერეს თავდაცვის ოპერატიული ზონის წინა ხაზზე მაშინ, როდესაც თავისუფლად შეიძლებოდა შეტევის გაფართოება და გუდაუთის დაკავება, თანაც მეორადი ემელონებისა და რეზერვების გარეშე (სეპარატისტთა ბანაკში არსებული ტოტალური ქაოსისა და დეზორგანიზაციის გამო). ეს იყო სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი ქმედება, რადგანაც სწორედ მარტის კონტრშეტევეთი ოპერაციის დროს არსებობდა მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე გასვლისა და მონინაალმდეგის გუდაუთა-ახალი ათონის დაჯგუფების ლიკვიდაციის პრაქტიკულად ერთადერთი ყველაზე რეალური შანსი.

1993 წლის 29 აპრილს შეიქმნა ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური ორგანო – აფხაზეთის თავდაცვის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: თ. ნადარეიშვილი (თავმჯდომარე), გ. გაბისკირია (ქ. სოხუმის მერი), დ. გულუა (აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი), ი. კეშელავა (აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი), ვ. ქვარაია (მეორე საარმიო კორპუსის მეთაური), გ. ადამია (23-ე ბრიგადის მეთაური), ზ. უჩაძე (24-ე ბრიგადის მეთაური), ლ. მარშანია და რ. სიჭინავა (აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები)⁴⁸⁴.

1993 წლის ივნისში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა სოხუმის აღების სპეციალური საიდუმლო გეგმა, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგებოდა: 1. ტყვარჩელის

484 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 359.

დაჯგუფების მიერ ოჩამჩირის რაიონის ავტოტრასის ხელში ჩაგდება; 2. ოჩამჩირეში საზღვაო დესანტის გადასხმა ტამიშთან და მისი შეერთება ტყვარჩელის დაჯგუფებასთან; 3. პარალელურად შეტევის განხორციელება გუმისთიდან და სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდება; 4. საბოლოო ჯამში, სოხუმის რკალში მოქცევა და აღება⁴⁸⁵. სტრატეგიული ატრიბუციის თვალსაზრისით, ცხადია, რომ გეგმა მიზნად ისახავდა საომარი მოქმედებების თეატრის დაყოფას ორ საოპერაციო ზონად, რომელთაგან ერთში (გუმისთის ფრონტზე) უნდა განხორციელებულიყო მთავარი დარტყმა, ხოლო მეორეს (ოჩამჩირის ფრონტზე) უნდა ჰქონოდა ქართული მხარის დეზორიენტაციისა და ყურადღების გადატანის ფუნქცია.

1993 წლის 2 ივლისს სოფ. ტამიშთან რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა მოახდინეს რუსებისაგან და აფხაზებისაგან შემდგარი 300 მეზობლის დესანტირება თითო ერთეული ტანკით, ჯავშანტრანსპორტიორითა და „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარით. ტამიშთან და ლაბრასთან დისლოცირებულმა ქართულმა ფორმირებებმა მოულოდნელობის გამო, ვერ შესძლეს სადესანტო ოპერაციის ბლოკირება. ტამიშთან პლაცდარმის შექმნის შემდეგ დესანტმა მოახერხა ტყვარჩელის დაჯგუფების ნაწილებთან შეერთება, რის შემდეგაც გაერთიანებული ძალებით შეუდგა ოჩამჩირე-სოხუმის ავტომაგისტრალის ცალკეული მონაკვეთების გადამლობი კონტროლის განხორციელებას.

ტამიშის სადესანტო ოპერაციას ყურადღების გადატანის ფუნქცია ჰქონდა. 2 ივლისს მოწინააღმდეგის ფორმირებებმა დაიწყეს მასირებული შეტევა გუმისთის ფრონტის ცენტრალურ და მარჯვენა სექტორებში. მათ შესძლეს მდინარის ფორსირება, ფრონტის ხაზის გარღვევა და სოხუმის ჩრდილოეთით სოფლების – კამანის, ახალშენის და გუმას დაკავება. 9 ივლისს რუსულ-აფხაზურმა ძალებმა დაიკავეს სოფ. შრომა და კონტროლი დაამყარეს ახბიუკის სტრატეგიულ სიმაღლეზე.

ქართულმა შენაერთებმა, გმირული ბრძოლებისა და შეთანხმებული ოპერატიულ-ტაქტიკური ღონისძიებების, განსაკუთრებით 11-ე ბრიგადისა და 24-ე ბრიგადის მძიმე არტილერიის უშეცდომო მოქმედების წყალობით, წარმატებით დაასრულეს ტამიშის დესანტის ლიკვიდაციის ოპერაცია, დესანტის ფორმირებები თითქმის მთლიანად განადგურებულ იქნა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა შესძლო ალყის გარღვევა და ტყვარჩელის დაჯგუფებასთან შეერთება.

485 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 360.

მიუხედავად ამისა, ივლისის ბრძოლების შედეგად ფრონტებზე შექმნილი სტრატეგიული ვითარება არახელსაყრელი იყო ქართული მხარისათვის. 21 ივლისს რუსეთის ავიაციამ და ფლოტმა დაბომბეს ქ. სოხუმი და სოფ. დრანდის რკინიგზის სადგური. 23-24 ივლისს ტყვარჩელის დაჯგუფების ნაწილებმა შეუტეეს ტამიშსა და ლაბრას მიდამოებს. გუმისთის ფრონტზე მოწინააღმდეგემ სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა, ფრონტი ფაქტობრივად შუაზე გაიხლიჩა, სეპარატისტებმა კონტროლი დაამყარეს შრომა-სოხუმის სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაზე, ასევე ახბიუკის სიმაღლეზე. აღმოსავლეთის ფრონტზე კი, ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთ სოფელზე კონტროლის დამყარებით, აფხაზურმა ფორმირებებმა შექმნეს ცენტრალურ ავტონომიურ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიახლოებული ოპერატიული ზონა, რომლიდანაც გაცილებით ადვილი იყო ოჩამჩირე-სოხუმის სტრატეგიული კომუნიკაციის ჩაკეტვა დიდ სიგრძეზე – სოფ. ლაბრიდან მდ. კოდორის ხიდამდე.

1993 წლის 27 ივლისს ქ. სოჭში ხელი მოეწერა შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმის შესახებ“. შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, მეომარ მხარეთა დაშორიშორებას, ქ. სოხუმისა და სხვა ადგილების დემილიტარიზაციას, ომამდელი სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის აღდგენას, სამშვიდობო პროცესის მართვისა და მონიტორინგის საკონტროლო მექანიზმის შექმნას⁴⁸⁶.

როგორც უკვე ვნახეთ, 1993 წლის 2-9 ივლისის რუსულ-აფხაზურმა შეტევამ ფაქტობრივად უზრუნველყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბში შემუშავებული სოხუმის ალების ზემოაღნიშნული 4-პუნქტიანი ოპერატიული გეგმის სამი პუნქტის რეალიზაცია. რჩებოდა მხოლოდ ბოლო პუნქტის – უშუალოდ სოხუმის დაუფლების – განხორციელება, რასაც აბრკოლებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სოხუმი-გულრიფშის დაჯგუფება და მის ხელში არსებული სტრატეგიულ-ტექნიკური არსენალი. მაშასადამე, საჭირო იყო ამ დაჯგუფების დაშლა, მისი ძირითადი ნაწილის გაყვანა აფხაზეთიდან და მძიმე საბრძოლო ტექნიკის გატანა. სწორედ ამას ითვალისწინებდა სოჭის ხელშეკრულება: თავისი ფორმალური სამშვიდობო პათეტიკის მიუხედავად, სოჭის ხელშეკრულების სიღრმისეულ სტრატეგიულ ატრიბუციას პრაქტიკულად ერთადერთ დასკვნამდე მივყავართ – ის ითვალისწინებდა საქართველოს ჯარების გაყვანას აფხაზეთიდან. რეალურად სოჭის ხელშეკრულება აღმოჩნდა რუსულ-აფხაზური კოალი-

486 რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., გვ. 111-112.

ციის მიერ სოხუმის ალების ოპერატიული გეგმის ორგანული ნაწილი.

1993 წლის აგვისტოსა და სექტემბრის პირველ ნახევარში, სოჭის ხელშეკრულების პირობების შესრულების ფორმატით, ე. შევარდნაძის რეჟიმმა განახორციელა სტრატეგიულად კაპიტულანტურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი: გუმისთის ხაზზე მხოლოდ ორი (?) ქართული სამეთვალყურეო პუნქტის დატოვება, ქართული სამხედრო შენაერთებისა და ბატალიონების, მათ შორის სოხუმის დაცვის ღერძული სამხედრო სტრუქტურის – თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის, ასევე მოსახლეობის ვოლონტიორული კორპუსების დაშლა და განიარაღება, მძიმე სამხედრო ტექნიკის გატანა კონფლიქტის ზონიდან (რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებებისათვის გარკვეული თანხის გადახდით).

1993 წლის 16 სექტემბერს, როცა ქართულ მხარეს უკვე დასრულებული ჰქონდა განიარაღების პროცესი, მონინალმდეგემ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დაიწყო წინასწარ დაგეგმილი შეტევა ოჩამჩირის ფრონტზე. ტყვარჩელის დაჯგუფების რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა შესძლეს ოჩამჩირე-სოხუმის სტრატეგიული კომუნიკაციების ბლოკირება ოჩამჩირე-გულრიფშის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვართან, მდ. კოდორზე არსებულ საავტომობილო და სარკინიგზო ხიდებზე. პარალელურად მათ დაიწყეს მიმდებარე სოფლების (ვარჩე, ყორასი, დრანდა, ბაბუშარა) და სოხუმის აეროპორტის დაბომბვა.

17 სექტემბერს მონინალმდეგე გადმოვიდა შეტევაზე გუმისთის ფრონტზე. ყურადღებას იქცევს შეტევის ოპერატიული მხარე. თუ ადრე მტრის შეტევების ოპერატიული სტრუქტურა იყო ერთიანი, ამჯერად მან მიიღო ეშელონიზებული ფორმა: პირველ ეშელონს ქმნიდნენ რუსეთის რეგულარული არმიის სპეცნაწილები და კონფედერატთა რაზმები: მეორე ეშელონს – აფხაზური ბატალიონები. გარდა ამისა, გამოყოფილი იყო მესამე, სარეზერვო ეშელონი რუსეთის არმიის ნაწილების სახით, რომელიც მოიცავდა ქვეითთა, სატანკო და საარტილერიო რეზერვებს. სარეზერვო ეშელონის ამოქმედება გათვალისწინებული იყო პირველი და მეორე ეშელონების წარუმატებლობის შემთხვევისათვის. საბოლოო ჯამში, რუსულ-აფხაზურ-კონფედერატიული კოალიციის შეტევის ოპერატიულმა სიღრმემ რამდენიმე კილომეტრი შეადგინა. ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ ქართულმა მხარემ შეძლო შედარებით ნაკლები რაოდენობის ცოცხალი ძალის მობილიზაცია, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისაგან, თანაც თითქმის ყოველგვარი მძიმე ტექნიკის გარეშე. ამავე დროს, ვერ მოხ-

ერხდა თავდაცვის ემელონიზებული ტაქტიკური ზონის აღდგენა – ქართული მხარის მიერ სოჭის ხელშეკრულების კეთილსინდისიერმა შესრულებამ გამოიცილა ამისი შესაძლებლობა.

მონინალმდევემ შეტევის პირველსავე დღეს შესძლო მდ. გუმისთაზე ორივე ხიდის აღება და ავიაციისა და არტილერიის მხარდაჭერით კონტროლი დაამყარა სოხუმის მიმდებარე სოფლებზე – თავისუფლებაზე, ბირცხასა და ოდიშზე.⁴⁸⁷

სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული წრის შეკვრაში დიდი როლი შეასრულა რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა. უკვე 16-17 სექტემბერს რუსეთის სამხედრო ხომალდები შევიდნენ სოხუმ-გულრიფშის აკვატორიაში და, ქართული არმიის პოზიციებისა და სოხუმის აეროპორტის პერმანენტულ დაბომბვასთან ერთად, უზრუნველყვეს ქართული კომუნიკაციების ბლოკირება.

21 სექტემბერს ადლერში გაიმართა ე. შევარდნაძის, თავდაცვის მინისტრის გ. ყარყარაშვილისა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის ი. ბათიაშვილის შეხვედრა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან პ. გრაჩოვთან. შეხვედრაზე საქართველოს მხარემ მოითხოვა რუსეთის მიერ სოჭის შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ე.ი. მონინალმდევემ მხარის შეტევის სამხედრო ბლოკირება ან, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალიტეტის დაცვა. მაგრამ რუსეთმა აქაც გამოავლინა თავისი მზაკვრული სახე. „გრაჩოვმა, – აღნიშნავს ე. შევარდნაძე, – მთელი პრინციპულობით დააყენა საკითხი: „აფხაზეთის პრობლემას მოგიხსნით, საჭიროა მხოლოდ ორი სრულფასოვანი დივიზია შემოვიყვანოთ“⁴⁸⁸.

როგორც ჩანს, რუსეთი თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პირობად აყენებდა არა საკუთრივ სოჭის ხელშეკრულების ძალით სანქცირებულ ჩარევას, რისთვისაც აბსოლუტურად საკმარისი რესურსები არსებობდა აფხაზეთში რუსეთის ჯარების ოპერატიული ჯგუფის (სარდალი – გენერალ-ლეიტენანტი ჩინდაროვი) სახით, არამედ დამატებითი სამხედრო ხელშეკრულების საფუძველზე ორი სპეცდივიზიის დისლოკაციას, რაც საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ფაქტობრივ ოკუპაციას გულისხმობდა (თანაც, უკეთეს შემთხვევაში, აფხაზეთის ომის გუმისთის ფრონტზე ვადგაურკვეველი გაყინვით). შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

23 სექტემბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა რაზმებმა

487 გასვიანი გ., გასვიანი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 198.

488 შევარდნაძე ე. ფიქრები წარსულსა და მომავალზე. თბილისი, 2005, გვ. 177.

დაიკავეს სოფ. აჩადარა. 25 სექტემბრისთვის მათ დაამყარეს კონტროლი ეშბას ქუჩასა და რკინიგზის სადგურზე. დაიწყო სისხლისმღვრელი ქუჩის ბრძოლები. მძიმე ტექნიკისა და მძლავრი საბრძოლო იარაღის უქონლობის პირობებში, სოხუმის დამცველები გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მონინააღმდეგის კბილებამდე შეიარაღებულ შენაერთებს. 10-11 დღიანი ბრძოლის შემდეგ, როდესაც ყველა შესაძლებელი რესურსი ამოიწურა, სოხუმის დამცველების წინააღმდეგობა გატეხილ იქნა: 27 სექტემბერს მონინააღმდეგემ აიღო მთავრობის სასახლის შენობა და კონტროლი დაამყარა სოხუმზე. 28-30 სექტემბერს მან გააგრძელა შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და 30 სექტემბერს მდ. ენგურზე – გალისა და ზუგდიდის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე გავიდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთიდან ევაკუაციის შემდეგ დროებით შეწყდა რეგიონზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული სუვერენიტეტი და იურისდიქცია. ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული კატასტროფა მოჰყვა კოდორის ხეობით – მერხეული-ნებელდა-ლათა-აჟარა-გენწვიში-ჩხალთა-საკენი-ჭუბერის მიმართულებით (ე.წ. „გოლგოთას გზით“) კონფლიქტის ზონიდან ქართული მოსახლეობის ევაკუაციას. მოსახლეობის ნაწილი ჭუბერის უღელტეხილზე სიცივისა და შიმშილისაგან დაიღუპა.

რუსულ-სეპარატისტული ალიანსის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები, დაიწყო ქართული მოსახლეობის ტოტალური ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის გატარება, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნებისმიერ აქტში კვალიფიცირდება, როგორც სამხედრო დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ნაწილი IX. ვითარება ოკუპირებულ აფხაზეთში

IX. 1. ეთნიკური წმენდისა და გენოციდის იმპერიული პოლიტიკა

1992-1993 წლების ომი აფხაზეთში ფაქტობრივად წარმოადგენდა რუსეთ – საქართველოს სისხლიან დაპირისპირებას, თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვიტ, რუსეთის ჰიბრიდულ ომს საქართველოს წინააღმდეგ. მისი შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა აფხაზეთის მოსახლეობისთვის, მთლიანად საქართველოსთვის. ორივე მხრიდან ათეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა. გარდა ამისა, ავტონომიური რესპუბლიკა მისი კანონიერი მოსახლეობის სამმა მეოთხედმა დატოვა. დევნილებად იქცა თითქმის 300 ათასი ქართველი. ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი სრული ქაოსისა და განუკითხაობის გამო აფხაზეთიდან გადასახლდა 40 ათასამდე აფხაზი (ანუ აფხაზეთა თითქმის ნახევარი), ათასობით ბერძენი, ესტონელი, უკრაინელი, ებრაელი, რუსი და ა. შ. მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით, 1992 წლის იანვრისთვის, ანუ ომის წინა პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობა 535 ათასს შეადგენდა. 1997 წლისთვის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 145986 კაცამდე შემცირდა. შემდგომში ეს მონაცემები საგრძნობლად არ შეცვლილა, თუმცა სეპარატისტთა სტატისტიკა აშკარად არარეალურ ციფრს ასახელებს – 240705 ადამიანს. აქედან აფხაზურ ეროვნებას ვითომ 122690 კაცი მიეკუთვნება, რაც აშკარა სიცრუეა. სინამდვილეში ეთნიკურ აფხაზეთა რაოდენობა ომამდელი 94 767 კაციდან 53 993 კაცამდე შემცირდა (1997 წლის მონაცემები) და შემდგომში მექანიკური გზით, კერძოდ, მუჰაჯირთა შთამომავლების ჩამოსახლებით უმნიშვნელოდ გაიზარდა. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ეთნიკურ აფხაზებს არ ჩამოუვარდებიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური და რუსული თემები.

მთლიანობაში, ომის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 388 075 კაცით (72,7 პროცენტით), ანუ 3,7 ჯერ შემცირდა. სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით ქართველებმა აფხაზეთი იძულებით დატოვეს. 1992 წლის 1 იანვრისთვის მათი რაოდენობა 244872 კაცს შეადგენდა (მონაცემები აშკარად შემცირებულია), გენოციდისა და ეთნოწმენდის შედეგად, 1997 წლის მონაცემებით, 43442 კაცამდე შემცირდა. ამრიგად, ქართველთა რაოდენობა სულ ცოტა 201 430 კაცით – 82,2% ანუ 5,64 – ჯერ შემცირდა⁴⁸⁹.

489 Очерки из истории Грузии. Абхазия, 572.

საერთო ჯამში, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის რაოდენობა იქ დარჩენილებს 3,5-ჯერ აღემატება. ამიტომ ეუთომ რუსეთის მონაწილეობით არაერთხელ აღიარა და დაგმო აფხაზეთში ჩატარებული ეთნონმენდა: 1994 წლის 6 დეკემბერს ბუდაპეშტში, 1996 წლის 3 დეკემბერს ლისაბონში და 1999 წლის 18 ნოემბერს სტამბულში⁴⁹⁰.

მოტანილი მშრალი სტატისტიკური მონაცემები და ეუთოს ზოგადი ხასიათის რეზოლუციები მიახლოებითაც ვერ ასახავენ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის სიმძიმეს, მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მასშტაბებს, ადამიანთა ნამების გაუგონარ ფორმებსა და მეთოდებს, არნახულ სისასტიკეს. მსგავსი რამ არ ახსოვს ორი მსოფლიო ომის მომსწრე XX საუკუნეს. აფხაზეთის ტრაგედიის ანალოგია შუასაუკუნეებში და უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

ათასობით ადამიანია დახვრეტილი არნახული მეთოდებით ღირსების შელახვისა და ნამების შემდეგ. ძალიან ხშირად სეპარატისტები და ოკუპანტები თავიანთ მსხვერპლს ორმოს ამოთხრას აიძულებდნენ და მერე მასში ცოცხლად მარხავდნენ. ცნობილია ცალკეული ადამიანების, მთელი ოჯახების, ზოგჯერ ადამიანთა დიდი ჯგუფის ამა თუ იმ შენობაში, მათ შორის საკუთარ სახლებში ჩაკეტვისა და ცოცხლად დაწვის მრავალი შემთხვევა. უამრავია აგრეთვე როგორც ცოცხალი ადამიანებისთვის, ისე დახოცილებისთვის ბენზინის გადასხმისა და დაწვის მაგალითები. ეტყობა, ოკუპანტებს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა დახვრეტის წინ უმწეო ადამიანების სასტიკი წამება – ხელებისა და ფეხების, აგრეთვე ცხვირის, ყურების, ენის, სასქესო ორგანოების მოკვეთა, დაკოდვა, თვალების დათხრა, ფრჩხილებისა და კბილების მოძრობა.

მრავალი მაგალითია ცნობილი, როდესაც ტყვე-მამაკაცებს ჯერ აყურებინებდნენ, თუ როგორ აუპატიურებდნენ მათ დედებს, მეუღლეებს, ქალიშვილებს, დებს, მერე ყველას ერთად ფიზიკურად ანადგურებდნენ. არც თუ ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როცა მოძალადეები დახვრეტილი ადამიანების დასაფლავების საშუალებას არ აძლევდნენ მათ ახლობლებს, რათა გვამები ძაღლებისა და ღორების საჯიჯგინი გამხდარიყვნენ. 1992 წლის სექტემბერში სოფელ ბზიფში (გაგრის რაიონი) მოკლული გიორგი აბრამიშვილის ხორცის ნაჭრები ჯერ დაამარილეს, მერე მისსავე ფეხსაცმელში ჩაალაგეს და მეუღლეს გაუგზავნეს. 1993 წლის 10 ოქტომბერს სოფელ ზემო კელასურის

490 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში (1989-1999), ნაწ. I. თბილისი, 2000, გვ. 408-410; იქვე, ნაწ. II. თბილისი, 2000, გვ. 126, 138, 333.

(სოხუმის რ-ნი) მკვიდრს იროდიონ ფიფიას გული ამოაჭრეს და ძალებს მიუგდეს. ხშირი იყო მსხვერპლის სხეულის დანანევრების, ადამიანთა მოკვეთილი თავებით ბურთის თამაშის, ან ამ თავების თვალსაჩინო ადგილას სარებზე ჩამოცმის ფაქტები. ეთნიკური წმენდისა და გენოციდის საკმაოდ გავრცელებული ფორმები იყო ადამიანების ხეებზე ან ელექტრობოძებზე ჩამოკიდება, აგრეთვე საკუთარი ეზოს ქაში ჩახრჩობა. ამით ისინი ორ მიზანს აღწევდნენ: კონკრეტული ადამიანის წამებას, მის ფიზიკურ განადგურებას და საარსებო წყლის ხშირად ერთად-ერთი წყაროს – ჭის სამუდამოდ გაფუჭებას.

ოკუპანტები და სეპარატისტები განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ ქალებს, მათ შორის ორსულებს. კოლექტიური გაუპატიურება, აუცილებლად მკერდისა და სხეულის სხვა ნაწილის მოკვეთა, თვალების დათხრა, ორსულებისთვის მუცლის გამოფატვრა, ბოლოს კი ცოცხლად დაწვა ან დახვრეტა იყო მოძალადეთა ხელში ჩავარდნილი ქალების დიდი ნაწილის ხვედრი. არც ბავშვებს ჰქონდათ რაიმე შეღავათი. მათ მშობლებთან ერთად ხოცავდნენ. აფხაზეთის ტრაგედიის თვითმხილველი რუსი ჟურნალისტი მიხეილ აიდიონოვი ერთ-ერთ თავის წერილში გვამცნობს ასეთი შემზარავი ფაქტების შესახებ: „ახალდაბაში (ოჩამჩირეს რაიონი – ავტ.) ბავშვებს ხელები და ფეხები გადაუმტვრიეს, სარებზე დასვეს, ერთ ბავშვს ტანკით გადაუარეს. სტადიონზე გაუპატიურებული ქალები ცოცხლად დაწვეს. ბავშვი გაატყავეს, ხორცზე წააწერეს: „ქართული ძაღლი იყიდება კუპონზე“⁴⁹¹ (დროებითი ფულის ერთეული მაშინდელ საქართველოში). კომენტარები ზედმეტია.

ოკუპანტები და სეპარატისტები არ ინდობდნენ ლოგინს მიჯაჭვულ ინვალიდებსა და სხვა მძიმე ავადმყოფებს, რომლებსაც პირდაპირ საწოლში კლავდნენ. გაუგონარ აგრესიას იჩენდნენ მოხუცების მიმართაც. მაგალითად, საკუთარ სახლებში ცოცხლად დაწვეს 103 წლის დურუ ტაბალუა (სოფელი ოტობაია, გალის რაიონი), 96 წლის მარინე გოგუა (სოფელი ლინდავა, სოხუმის რაიონი), 90 წლის ლუშა ცაავა (სოფელი შრომა, სოხუმის რაიონი) და მრავალი – მრავალი სხვა.

აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი უპირატესად ქართველები გახდნენ, მაგრამ სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა მათთან ერთად ასობით სხვა ეროვნების წარმომადგენელიც დახოცეს. მათ ბრალად ედებოდათ ქართველთა გადარჩენის მცდელობა. ასე მაგალითად, 1993 წლის

491 იხილეთ: Бек, № 40, 1993.

ნოემბერში სოფელ ოდიშში (სოხუმის რაიონი) ჯერ დახვრიტეს და მერე მის სახლში შეფარებულ 13 მეზობელ ქართველთან ერთად დანვეს ბერძენი მერი ანასტასიადი. იმავე წლის სექტემბერში სოფელ გვარდამი (სოხუმის რაიონი) წამებით მოკლეს ქართველი მეუღლისა და შვილების გადარჩენის მიზნით საბერძნეთიდან სპეციალურად დაბრუნებული 26 წლის ახალგაზრდა კაცი ალექსანდრე ჩაკლოვი. დახვრეტილ მშვიდობიან მოქალაქეთა შორის, გარდა ბერძნებისა, არიან თვით აფხაზები, რუსები, სომხები, ებრაელები, უკრაინელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მათგან დავასახელებთ ოჩამჩირელ ბრანისლავა იგუმენოვას, რომელიც 1993 წლის დეკემბერში დახვრიტეს იმისათვის, რომ სეპარატისტთა ბოევიკებს განუცხადა: „მსგავს რამეს ფაშისტებიც კი არ აკეთებდნენ“.

სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ყიული შარტავა, რომლის ერთადერთ მიზანს ავტონომიურ რესპუბლიკაში მშვიდობის დამყარება, ქართველთა და აფხაზთა შერიგება წარმოადგენდა. სიცოცხლეს გამოასალმეს მთავრობის წევრები რაულ ეშბა, სუმბატ სააკიანი, თამაზ ხარბედია, ქ. სოხუმის მერი გურამ გაბესქირია, აგრეთვე მაღალი თანამდებობის პირები ჯუმბერ ბეთაშვილი, მამია ალასანია და სხვები. ოკუპანტები არ ინდობდნენ სასულიერო პირებსაც. მათ შეიპყრეს და დახვრიტეს კომანის მონასტრის წინამძღვარი ახალგაზრდა მღვდელმონაზონი ანდრია (ყურაშვილი), აფხაზი ეროვნების იპოლიაკონი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე იური (გიორგი) ანუა.

აფხაზეთში ჩატარებული ეთნონმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა შესახებ არსებული მონაცემები არასრულია. დღემდე ვერ ხერხდება სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ აფხაზეთის დაპყრობის დღეებში მასობრივად დახოცილთა შესახებ მონაცემთა სრული ბაზის შექმნა. მაგალითად, საკმაოდ ინფორმირებული მოსკოვური გაზეთის «Россия»-ს ცნობით, სოხუმის ალების დღეებში 6 ათასამდე ადამიანი დაიხოცა⁴⁹²; არსებული მონაცემების მიხედვით კი, ქ. სოხუმში დახოცილ მშვიდობიან მოქალაქეთა რაოდენობა 1200 კაცს შეადგენს. თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ქალაქის ქუჩები ქართველთა ცხედრებით იყო მოფენილი, მარტო ნ. კურჩენკოს პარკში 400 ადამიანი დაუხოცავთ. მიცვალებულთა ცხედრები ზღვაშიც ეყარა. შეუძლებელი აღმოჩნდა მათი იდენტიფიცირება, აგრეთვე იმ პირთა ვინაობის დადგენა, ვინც ოკუპაციის დასრულების შემდეგ აფხაზეთის

492 Россия, №42, 1993.

ქალაქებსა და სოფლებში ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა დახოცეს. მაგალითად, ზემოსხენებული ჟურნალისტი მიხეილ აიდიონოვი გვაუწყებს, რომ „სოფელ კინდლში ყველა ადგილობრივი მაცხოვრებელი ქართველი ჩამოახრჩვეს“⁴⁹³. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კოზირევი იძულებული იყო 1993 წლის 15 ოქტომბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ელიარებინა: „ის, რაც ხდება დღეს სოხუმში, არის ეთნიკური წმენდა“. იმჟამად სოხუმში ჩასული ი. დიაკოვი კი 1993 წლის 19 ოქტომბერს გაზეთში «იზვესტია» მოწმობს: „აფხაზეთში მეფობს გენოციდი“; მან პირადად იხილა „ათეულობით ცხედარი ზღვაში“, „ქალები გამოფატრული მუცლით“, „მოკვეთილი თავები, რომლებიც პლიაჟზეა დაყრილი“. რა თქმა უნდა, მათი უმეტესობის ვინაობა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით უცნობია, თუმცა დალუქულთა სრული სიის დასადგენად მუშაობა დღემდე მიმდინარეობს.

აფხაზეთში მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ამსახველი ეს და სხვა კიდევ უფრო შემადრწუნებელი ფაქტები თავმოყრილია ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე გამოცემულ წიგნებში⁴⁹⁴. მათში მოცემულია მომხდარი ტრაგედიის მალალკვალიფიციური სამართლებრივი ანალიზიც. გაკეთებულია დასაბუთებული დასკვნა, რომ ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა აფხაზეთში განახორციელეს ქართული მოსახლეობის მიზანმიმართული ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

არ შეიძლება უდიდესი სინანულით არ ვახსენოთ იმის შესახებაც, რომ აფხაზეთში არაოფიციალურ ფორმირებებში გაერთიანებული ქართველი ჯარისკაცების, უფრო ხშირად კი ყაჩაღების ხელით ასამდე საქართველოს მოქალაქე, მათ შორის სამოცამდე მშვიდობიანი აფხაზი, ორ ათეულზე მეტი სომეხი, რამდენიმე თურქი და ქართველიც კი დაიღუპა. ამის შესახებ ე.შევარდნაძემ 1994 წლის 9 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აღნიშნა: „რაგინდ მძიმე იყოს ამაზე საუბარი, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ: მკვლევლები, სახლების დანვა, მაროდორობის აქტები, ძარცვა-გლეჯა-ქართ-

493 Россия, №42, 1993.

494 International society to bring a verdict on the tragedy of Abkhazia/Georgia. Tbilisi, 2015 (<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/117908>); «Трагедия Абхазии, Грузия на суд Российской общественности. Тбилиси, 2016» (<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/180785>); აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. თბილისი, 2017. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/250997>

ველთა მხრიდან კონფლიქტის მონაწილეთა სინდისზეც არის⁴⁹⁵. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ომის დანაშაულის ჩამდენი ქართველი სამხედროები და კრიმინალები ქართულმა სახელმწიფომ სასტიკად დასაჯა. აფხაზეთის დე-ფაქტო პროკურატურის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის მასშტაბები და სიმძიმე შეუდარებლად უფრო მძიმეა, ვიდრე ქართველებისა⁴⁹⁶. ეს უკანასკნელები ძირითადად საკუთარ ქალაქებსა და სოფლებს იცავდნენ და მონაწილედ იყვნენ დასხმებს იგერიებდნენ. რაც ყველაზე მთავარია, აფხაზები არ გამხდარან და ვერც გახდებოდნენ მიზანმიმართული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი, თუნდაც იმიტომ, რომ მათ კომპაქტურ დასახლებებში ქართული სამხედრო შენაერთები არ შესულან. საოკუპაციო ძალებმა კი ამ დროს მთლიანად მიწასთან გაასწორეს ასობით ქართული დასახლებული პუნქტი, წინასწარი განზრახვით დახოცეს ან თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნეს ძირითადად ეთნიკური ქართველები, დაიტაცეს და დღემდე უკანონოდ ფლობენ, ან მოსპეს მისი კუთვნილი აურაცხელი ქონება ქალაქად და სოფლად. ქართველთა გენოციდის ჩამდენი ოკუპანტები და სეპარატისტები არა თუ არ დასჯილან, პირიქით, მოხდა მათი მორალური და მატერიალური წახალისება.

ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდათ ქართველებს, წარმოადგენს აფხაზეთის ხელში ჩაგდების, საქართველოსაგან მისი მოწყვეტის ხანგრძლივი მიზანმიმართული და გეგმაზომიერი კრემლისეული პოლიტიკის უშუალო შედეგს. აღნიშნული პოლიტიკა ხორციელდებოდა და ხორციელდება სეპარატისტთა სახელით და მათი ფორმალური მონაწილეობითაც. მიუხედავად ამისა, მთავარი პასუხისმგებლობა მომხდარზე რუსეთის ფედერაციას ეკისრება. სწორედ მან შეამზადა და მოახდინა ომის პროვოცირება აფხაზეთში; ის აიარალებდა სეპარატისტებს, რუსეთიდან შემოგზავნილ ბანდიტურ ფორმირებებს; კონფლიქტში სეპარატისტთა მხარეზე რუსეთის რეგულარული შენაერთები და რუსული გენერალიტეტი მონაწილეობდა; მოსკოვი იცავდა და იცავს პასუხისმგებლობისაგან ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებათა უშუალო შემსრულებლებს.

495 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი I., გვ.313

496 www.abkhaziya.org

IX. 2. აფხაზეთის ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკა

აფხაზეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ საქართველომ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, თუმცა უშედეგოდ. რუსულმა მხარემ ფაქტობრივად უარი თქვა საქართველოსთან მეგობრობაზე, სტრატეგიულ და სამხედრო კავშირზეც კი. 1993 წლის 8 ოქტომბერს საქართველომ თანხმობა განაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში განწევრიანებაზე, რაც გაფორმდა კიდევაც იმავე წლის 3 დეკემბერს. 1994 წლის 3 თებერვალს პრეზიდენტებმა ე. შევარდნაძემ და ბ. ელცინმა თბილისში ხელი მოაწერეს ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც მყარ სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობისთვის. 1996 წლის 17 იანვარს საქართველოს პარლამენტმა ცალმხრივად მოახდინა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია. რუსეთმა კი რატიფიკაციაზე უარი თქვა, რისი მთავარი მიზეზი გახლდათ ხელშეკრულებაში ჩადებული ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის აღიარება.

რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით საქართველომ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი – 1995 წლის 22 მარტს ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა (ვ. ნადიბაიძე, პ. გრაჩოვი) თბილისში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზის (ვაზიანი, ახალქალაქი, ბათუმი, გუდაუთა) 25 წლის ვადით დატოვებას ამ ვადის გაგრძელების შესაძლებლობით. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა რუსეთის მიერ ორი პირობის შესრულების შემთხვევაში. ეს იყო ხელშეწყობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში და დახმარება საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნაში. რუსეთმა პირობა არ შეასრულა და ხელშეკრულება ქალაქებზე დარჩა. მოსკოვს არა თუ არ უცდია ხელშეწყობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში (რაც მას ისედაც ევალებოდა, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო მისიის განმასხორციელებელ ქვეყანას), პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა აფხაზეთში მომხდარი ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგების დაკანონებას. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსული „სამშვიდობო“ მისიაც, რომელიც 1994 წლის ივნისიდან ხორციელდებოდა.

საკუთარი იმპერიული მიზნებიდან გამომდინარე, მოსკოვმა დაბლოკა აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართული მთელი რიგი საერთაშორისო ინიციატივები. მათ შორის შეიძლება დავა-

სახელოთ ქართულ – აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის დიტერ ბოდენის გეგმა (2001 წელი), გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის (ამჟამად პრეზიდენტის) ფრანკ-ვალტერ შტიინმაიერის გეგმა (2008 წელი), ვაშინგტონის გეგმა (2008 წელი) და ა. შ. მათ საპირისპიროდ „მშვიდობისმყოფელმა“ რუსეთმა თავისი ნამდვილი მიზნების რეალიზაცია მოახდინა, როდესაც 2008 წლის აგვისტოში დაიპყრო საქართველოს ტერიტორიების 20% და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების უხეში დარღვევით 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთის, აგრეთვე ცხინვალის რეგიონის (ე. წ. სამხრეთ ოსეთი) „დამოუკიდებლობა“ აღიარა. იმავე წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ⁴⁹⁷. აღნიშნული აქტით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადდა. 2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ასევე კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“⁴⁹⁸.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესიის საბოლოო მიზანს საქართველოს ხელისუფლების დამხობა, თბილისში მარიონეტული რეჟიმის დასმა და ევროატლანტიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციის შეჩერება წარმოადგენდა. თავისი უკანონო და აგრესიული ქმედებით, რუსეთმა აბუჩად აიგდო საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი, რეალური საფრთხე შეუქმნა პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მთელი ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას. საქართველოს დაცვაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროკავშირის, მისი მაშინდელი ხელმძღვანელის, საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პრინციპულმა პოზიციამ. სწორედ ბატონ სარკოზის ძალისხმევით, 2008 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა ექვსპუნქტიანი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის მეხუთე პუნქტი რუსეთის ფედერაციას ავალდებულებს, თავისი შეიარაღებული ძალები ომამდელ პოზიციებზე დააბრუნოს⁴⁹⁹.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საკუთარ სახლებში დევნილთა დაბრუნებას მხარს უჭერს მთელი ცივილიზებული სამყარო, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერო, ნატო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, ეუთო. მათ მიერ მიღებულ მრავალრიცხოვან რეზოლუციებში რუსული აგრესია შეფასებულია როგორც

497 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/45004?publication=0>

498 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7>

499 <https://old.civil.ge/geo/article.php?id=19157>

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. ისინი შეიცავენ დაჟინებულ მოწოდებებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების გაუქმების, საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის, დევნილთა უპირობო და ღირსეული დაბრუნების შესახებ. 2008 წლიდან გაერო რეგულარულად იღებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებულ რეზოლუციებს. 2018 წლის 12 ივნისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 72-ე სესიაზე მიიღო საქართველოს მიერ ინიცირებული ჰუმანიტარული ხასიათის მორიგი რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. ის გმობს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს, ადასტურებს დევნილთა უფლებას დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში ღირსეულად და უსაფრთხოდ, ხაზს უსვამს მათი საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობას. 2016 და 2017 წლებში თბილისსა (2017 წლის 29 მაისი) და ბუქარესტში (2017 წლის 9 ოქტომბერი) ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ არა მხოლოდ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, არამედ ყურადღება გაამახვილა საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევაზე, ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისკენ რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, აღნიშნული ტერიტორიების გამალებულ მილიტარიზაციაზე, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონულ მშვიდობას და უსაფრთხოებას. ნატოს ბრიუსელის სამიტისა და ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაციები (2018 წლის 11-12 ივლისი), აგრეთვე ბერლინში გამართული ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას რეზოლუცია „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“ (2018 წლის 11 ივლისი) შეიცავენ მოწოდებებს რუსეთის ფედერაციის მიმართ გააუქმოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება, შეწყვიტოს აღნიშნული ტერიტორიების მილიტარიზაცია, შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმება და გაიყვანოს იქიდან თავისი შეიარაღებული ძალები. მათში დაგმობილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის მაგალითები, მათ შორის ისეთი ველური აქტები, როგორცაა ოთხოზორია-ტატუნაშვილი-ბაშარაულის მკვლელობები.

საქართველოს ტერიტორიების რუსული ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილი საფრთხეები გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ დამტკიცებულ 2017 და 2018 წლების საბიუჯეტო კანონებში. მათში პირველად კანონის ძალით დასტურდე-

ბა ვაშინგტონის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის ფაქტი. საბიუჯეტო კანონების მიხედვით, ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებენ მთავრობები, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობას“ აღიარებენ; იკრძალება ნებისმიერი დაფინანსების გამოყოფა აღნიშნული რეგიონების რუსული ოკუპაციის მხარდასაჭერად. სერიოზული დაბრკოლება შეექმნება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან სესხის, გრანტებისა და კრედიტების გამოყოფას ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არღვევენ. საქართველოს მთლიანობის მხარდაჭერა დაფიქსირებულია პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ 2017 წლის 2 აგვისტოს ხელმოწერილ კიდევ ერთ კანონში რუსეთის, ირანისა და სამხრეთ კორეის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღების შესახებ.

სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ წლების მანძილზე მიღებული ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ ვერ შეაჩერეს რუსული აგრესია, რომლის მორიგი მსხვერპლი უკრაინა გახდა. 2014 წლის მარტში განხორციელებული ყირიმის ანექსია და შემდგომში სამხრეთ – აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები აიძულეს და ავალდებულებს ცივილიზებულ სამყაროს გაერთიანდეს, რათა აგრესორის ასალაგმავად ქმედითი ზომები განხორციელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უშუალოდ ევროკავშირისა და ნატოს ნევრი ქვეყნები თავად აღმოჩნდებიან სერიოზული საფრთხის წინაშე.

სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ე. წ. სამხრეთ ოსეთი) მიმართ საერთაშორისო არენაზე არაღიარების პოლიტიკის დამკვიდრება. მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით, აღნიშნული პოლიტიკა შედარებით წარმატებით ხორციელდება. ამ საკითხში რუსეთი პრაქტიკულად მარტო დარჩა. მას მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, მათ შორის მისმა უახლესმა მოკავშირეებმაც კი. მაშინ კრემლი „თანამოაზრეთა“ მოსყიდვის გზას დაადგა, რის თაობაზეც დაუფარავად ისაუბრა რუსმა ანალიტიკოსმა ანდრეი ეპიფანცევმა. 2014 წლის 2 დეკემბერს ღია ეთერში მან განაცხადა: „2008 წლის შემდეგ, როცა აფხაზეთთან ერთგვარი ინკუბატორული ურთიერთობის პროექტი ავირჩიეთ, არსებითად, ის ჩვენს კმაყოფაზე ავიყვანეთ, დავიცავით, ვცადეთ გარესამყაროში შეთრევა („затащить во внешний мир“), რისთვისაც სხვადასხვა პატარა

ქვეყნისგან აღიარება ვიციდეთ, რეალურად ვიციდეთ. ისე არ ყოფილა, რომ ვინმეს ამის სურვილი ჰქონდა, ჩვენ უბრალოდ ვიციდეთ“⁵⁰⁰.

ამიტომაც მოსკოვის დიპლომატიურ წარმატებად ვერ ჩაითვლება სარფიანი ეკონომიკური შეთანხმებებისა და ღიად ქრთამის გადახდის სანაცვლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება დანიელ ორტეგას (ნიკარაგუას პრეზიდენტი), უგო ჩავესის (ვენესუელას ყოფილი პრეზიდენტი), კუნძულოვანი ჯუჯა სახელმწიფოების ნაურუს, ვანუატუსა და ტუვალუს მიერ. ამ ქვეყნებიდან ვანუატუმ 2013 წლის მაისში აფხაზეთის აღიარება გააუქმა. მას მიბაძა ტუვალუმ, რომელმაც 2014 წლის დასაწყისში ასევე გააუქმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აღიარება, ცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. 2018 წლის 29 მაისს კრემლის კარნახით აფხაზეთი აღიარა აგრეთვე ცივილიზებული სამყაროსაგან გარიყულმა სირიის არაბთა რესპუბლიკის დანაშაულებრივმა რეჟიმმა ბაშარ ასადის ხელმძღვანელობით. აღნიშნული რეჟიმი სირიის ტერიტორიასაც სრულად ვერ აკონტროლებს, დაპირისპირებულია საკუთარ ხალხთან (რომლის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღსაც კი იყენებს) და მხოლოდ რუსეთის სამხედრო მხარდაჭერით არსებობს. მისი მხრიდან აფხაზეთის (ასევე ცხინვალის რეგიონის) აღიარება მხოლოდ დროებითი მოვლენაა, რომელიც ამ რეჟიმთან ერთად დასრულდება. ნიკარაგუასა და ვენესუელას გარდუვალი დემოკრატიზაცია ასევე გამოიწვევს ამ სახელმწიფოების მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების გაუქმებას.

რუსეთის სერიოზული მცდელობების მიუხედავად, მსოფლიოს არც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო, საკუთარი ღირსების მქონე არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არ ნავიდა და არც ნავა ისეთ დანაშაულებრივ ნაბიჯზე, როგორცაა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების აღიარება. აღნიშნული რეგიონების აღიარება ნამდვილად არის დანაშაული, რადგანაც იქ ჩატარებული გენოციდისა და ეთნონმენდის შედეგად აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაცლილია მოსახლეობის უმრავლესობისაგან; რადგანაც იქ ფუნქციონირებენ უკანონო მარიონეტული ეთნოკრატიული რეჟიმები, რომლებიც ეთნიკური ნიშნით ენევიან მოსახლეობის დიდი ნაწილის დისკრიმინაციას, ტოტალურად არღვევენ ადამიანის უფლებებს.

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი კვლავაც აგრძელებს თავის უაღრესად რეაქციულ, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიზანმიმართულ დარღვევაზე ორიენტირებულ იმპერიალისტურ

500 <https://www.youtube.com/watch?v=bFdiCf2oGhk>

პოლიტიკას, უხეზად არღვევს და დღემდე არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მან არა თუ არ აღადგინა სტატუს – ქვო, არ გაიყვანა საკუთარი სამხედრო შენაერთები ომამდელ პოზიციაზე, როგორც ამას 12 აგვისტოს შეთანხმება ითვალისწინებს, არამედ, პირიქით, საგრძნობლად გაზარდა სამხედრო ყოფნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათი ფაქტობრივი ანექსიის გზას დაადგა. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შესაბამისი „სამართლებრივი“ ბაზის შექმნა. 2008 წლის 17 სექტემბერს ხელი მოეწერა ე. წ. ხელშეკრულებას რუსეთსა და აფხაზეთის შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. მისგან გამომდინარე, 2009 წლის 30 აპრილს მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმდა „შეთანხმება“ აფხაზეთის ე. წ. სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ⁵⁰¹. აღნიშნული „შეთანხმების“ საფუძველზე კრემლი ახორციელებს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის სრულ კონტროლს, უკვე მოახდინა მისი „დემარკაცია“. ე. წ. საზღვრის მთელ პერიმეტრზე შექმნილია სათანადო ინფრასტრუქტურა, სადაც ოფიციალურად რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის, სინამდვილეში კი თავდაცვის სამინისტროს სპეცდანაყოფებია დისლოცირებული. „შეთანხმების“ მიხედვით, დემობილიზებული „მესაზღვრეები“ და მათი ოჯახის წევრები, სურვილის შემთხვევაში, აფხაზეთის სრულუფლებიანი „მოქალაქეები“ ხდებიან. აფხაზური მხარე კი ვალდებულია ისინი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოს.

თანამედროვე ეტაპზე სამშვიდობო პროცესი აფხაზეთში მთლიანად ბლოკირებულია. გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების გამოყენებით 2009 წლის 15 ივნისს რუსეთმა შეაჩერა აფხაზეთში გაეროს სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა. ყოველივე ამით სერიოზული საფრთხე ექმნება მშვიდობას და სტაბილურობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. ძალაშია 2008 წლის 23 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. მოქმედებ და საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 27 იანვარს დამტკიცებული „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა – თანამშრომლობის გზით“ და იმავე წლის 3 ივლისს მიღებული „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“. 2018 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“⁵⁰², რომელმაც საყოველთაო მონონება დაიმსახურა.

501 <http://kremlin.ru/supplement/190>

502 http://smr.gov.ge/Uploads/Concept_GE_7dd46c38.pdf; <http://smr.gov.ge/Uplo->

ქართულმა მხარემ მნიშვნელოვანი სამშვიდობო ნაბიჯიც გადადგა. 2010 წლის 23 ნოემბერს, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს სახელით აიღო ცალმხრივი ვალდებულება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ძალის გამოყენებლობისა და ცეცხლის განუახლებლობის, ანუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი გზებით მოგვარების შესახებ⁵⁰³. საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 7 მარტის განცხადებით, აღნიშნული ვალდებულება ქვეყნის ამჟამინდელმა ხელისუფლებამაც დაადასტურა⁵⁰⁴.

საქართველოს მთავრობის დიპლომატიურ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 2011 წლის 9 ნოემბერს, შვეიცარიის შუამავლობით, რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილი შეთანხმება „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“⁵⁰⁵, ასევე აღნიშნული შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით საქართველოს მიერ 2017 წლის 19 დეკემბერს, ხოლო რუსეთის მიერ 2018 წლის 19 მაისს შვეიცარიულ კომპანიასთან (SGS) დიდი დავიანებით, მაგრამ მაინც გაფორმებული შეთანხმებები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) რუსეთის განევრიანებაზე თბილისის თანხმობის (მსო-ში ახალი წევრის მიღება ხდება სრული კონსენსუსით ანუ ერთხმად) სანაცვლოდ კრემლმა 2011 წლის 9 ნოემბრის შეთანხმებაზე ხელმოწერით, პირდაპირ თუ ირიბად აღიარა საქართველოს ლეგიტიმური საზღვარი. შეთანხმება ითვალისწინებს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე, აგრეთვე ზემო ლარსის გამშვებ პუნქტზე ტვირთბრუნვის საერთაშორისო მონიტორების, კერძოდ შვეიცარიული კომპანია SGS-ის მიერ გაკონტროლებას. მასში „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მხოლოდ „სავაჭრო დერეფნებად“ მოიხსენიებიან, რამაც სეპარატისტთა სერიოზულ უკმაყოფილება გამოიწვია და იწვევს დღესაც⁵⁰⁶.

ads/_a2beda36.pdf

503 <http://www.tabula.ge/ge/story/53351-brdzola-mshvidobistvis>

504 <http://www.tabula.ge/ge/story/64436-parlamentma-sagareo-politikis-dzirita-di-mimartulebebis-shesaxeb-rezolucia-miigho>

505 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1512898>

506 ზურაბ პაპასქერი. საქართველი. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, გვ. 442-444; Ираклий Бжинава. Нелегитимное соглашение...წწწ.წწწ. გოვ.გვ/დსპაცე/ჰანდლე/1234/4577

მიუხედავად ყოველივე ამისა, სიტუაცია ჯერჯერობით უაღრესად რთულია და იგი სულ უფრო და უფრო მძიმდება. რუსეთის ფედერაცია ღიად იბრძვის პოსტსაბჭოთა სივრცეზე სრულმასშტაბიანი გავლენის აღდგენისთვის. მას არ სურს საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან, მათ თავისუფლებასთან, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან შერიგება. იგი წინააღმდეგია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა, რომელსაც საქართველომ 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერა.

რუსეთთან მიმართებაში საქართველოს მთავრობა ატარებდა და ატარებს უაღრესად კონსტრუქციულ და თანმიმდევრულ პოლიტიკას, ცდილობს მასთან ურთიერთობის დალაგებას. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯებიც იდგმება. მიუხედავად ამისა, კრემლი კვლავაც აგრძელებს თავის აგრესიულ პოლიტიკას. ამაზე მიუთითებს 2014 წლის 24 ნოემბერს მოსკოვის მიერ აფხაზეთის დე – ფაქტო ხელისუფლებისთვის თავსმობვეული ე. წ. ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“⁵⁰⁷. აღნიშნული აქტით რუსეთმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი ნამდვილი ზრახვები. მან მთლიანად ჩამოიხსნა ნილაბი და ღიად აგრძელებს ოკუპირებული აფხაზეთის ანექსიის პოლიტიკას. „ხელშეკრულების“ თანახმად, საქართველოს შავი ზღვის სპირეთის 200 კილომეტრიანი აფხაზეთის მონაკვეთი მძლავრ სამხედრო პლაცდარმად იქცა. ამით რუსეთი ცდილობს უზრუნველყოს გეოპოლიტიკური უპირატესობა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ შავი ზღვის აუზსა და მის მიმდებარე რეგიონებში. რუსეთის პოზიციებს კიდევ უფრო აძლიერებს მის მიერ 2015 წლის 21 ნოემბერს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან გაფორმებული „ხელშეკრულება“ გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ⁵⁰⁸. მისი „რატიფიკაცია“ რუსეთმა 2016 წლის 16 ნოემბერს მოახდინა. ამ აქტით გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი აფხაზეთის ანექსიისაკენ და ამ ტერიტორიის რუსეთის სამხედრო ბაზად გადაქცევისაკენ.

2009 წლის 1 თებერვლიდან აფხაზეთის ოკუპაციას უშუალოდ ახორციელებს რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შემავალი მე-7 სამხედრო ბაზა, რომლის ინფრასტრუქტურა მუდმივად ვითარდება და ფართოვდება. იგი წარმოად-

507 www.news.kremlin.ru/ref_notes/4783

508 http://www.mid.ru/foreign_policy/international_contracts/2_contract/-/storage-viewer/bilateral/page-32/43758

გენს „დამოუკიდებლობის“ მეოთხედი საუკუნის მანძილზე აფხაზეთში შექმნილ ერთადერთ „ღირსშესანიშნაობას“. ბაზა აერთიანებს სამხედრო, სამხედრო-ადმინისტრაციულ და სამედიცინო ობიექტებს, რომლებიც განლაგებულია აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე – გაგრაში, გუდაუთაში, ბომბორაში, ახალ ათონში, ეშერაში, სოხუმში, კოდორის ხეობაში, ოჩამჩირეში, ნაგვალუში, ოქუშში, გალში, საბერიოში ლეკუხონაში, ჭუბურხინჯში, თავილონში, ნაბაკევეში, მეორე ოტობაიასა და ფიჩორში. მე-7 ბაზის პირადი შემადგენლობა კარგად განვრთნილ და თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ 4.5 ათასზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს აერთიანებს. მის განკარგულებაშია T-90A-ს ტიპის ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები БТР-80А, თვითმავალი ჰაუბიცები 2С3 („აკაცია“), „გრადები“ БМ-21, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300 და ა. შ. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნატო თავის სამიტებზე და საპარლამენტო ასამბლეას სხდომებზე უკვე ღიად გამოხატავს შეშფოთებას აფხაზეთის მზარდი მილიტარიზაციის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის რეგიონალურ უსაფრთხოებას.

რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის მორიგ გამოვლინებას წარმოადგენს 2017 წლის 18 მაისს სოჭში ხელმოწერილი „შეთანხმება“ შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ⁵⁰⁹, რომელიც სოხუმში იმუშავებს. ამ ე. წ. ცენტრის თანამშრომლები დიპლომატიური ხელშეუზღებლობითა და შეუზღუდავი უფლებებით არიან აღჭურვილი. ანექსიონისტური პოლიტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის საბაჟო სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 სექტემბრის ბრძანება აფხაზეთში სპეციალიზებული საბაჟო საგუშაგოს შექმნის შესახებ⁵¹⁰, რომელმაც მთლიანად დაიქვემდებარა ადგილობრივი საბაჟო სამსახური.

რუსეთთან „სტრატეგიული პარტნიორობის“ გაღრმავება იწვევს აფხაზეთში არა ადგილობრივი ეკონომიკის, არამედ ოკუპანტის სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე სულაც არ აისახება. „ახალი შვეიცარიის“ შექმნის იდეა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები აჟღერებდნენ, აუხდენელი ოცნება, უტოპია აღმოჩნდა. „ახალი შვეიცარიის“ ნაცვლად, აფხაზეთმა მხოლოდ ოკუპაცია, მცოცავი ანექსია და სრული ეკონომიკური კოლაფსი მიიღო. ომამდე ეკონომიკურად განვითარებული, ავტონომიური რესპუბლიკა დღეს სულს

509 <http://docs.cntd.ru/document/542605976>

510 <http://docs.cntd.ru/document/456092593>

ლაფავს და მხოლოდ რუსული „დახმარების“ წყალობით არსებობს. უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რუსული ფინანსური „ინვესტიციები“, რომელიც აფხაზეთის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, სულ უფრო და უფრო მცირდება. ასე მაგალითად, 2014 წელს რუსული „ინვესტიციების“ წილმა აფხაზეთის ბიუჯეტში 77.4 % (139.3 მლნ დოლარი) შეადგინა, 2015 წელს – 60% (44 მლნ დოლარი), 2016 წელს – 65.6% (80.2 მლნ დოლარი), 2017 წელს – 64.5 % (92 მლნ დოლარი). 2018 წლის საბიუჯეტო გეგმაში რუსეთის „დახმარებაზე“ მოდის 57.75 % (64 მლნ დოლარი). ამრიგად, „დამოუკიდებლობის“ 25-ე წლისთავზე აფხაზეთს საკუთარი ბიუჯეტიც კი არ გააჩნია. მის სამეურნეო პოტენციალთან ერთად მოშლილია ყოფილ სსრკ-ში და მის ფარგლებს გარეთაც განთქმული საკურორტო – ტურისტული ინფრასტრუქტურა; მინასთანაა გასწორებული ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების კერები.

აფხაზური საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი არ შეიძლება არ აცნობიერებდეს „დამოუკიდებლობის“ პერიოდში შექმნილ ვითარებას. იგი უკვე ხმამაღლა საუბრობს ღრმა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, მორალურ-ფსიქოლოგიურ კრიზისზე, სრულ უპერსპექტივობაზე, იმედგაცრუებაზე, აქედან გამომდინარე, გახშირებულ თვითმკვლევლობებზე, „დამოუკიდებლობის“ დაკარგვის საფრთხეზე და ა. შ. აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი მამამთავრის სერგეი შამბას განცხადებით (2018 წლის 19 ივლისი), მდგომარეობა თუ არ გამოსწორდება, აფხაზეთს ელოდება XIX საუკუნის მსგავსი ტრაგედია, როცა შეიძლება „ისევ ყველაფერი დავკარგოთ, მაშინ მოგვინვეს ფორთხვით ვევედროთ ან საქართველოს, ან რუსეთს, თავის შემადგენლობაში მიგვიღოს“ („опять все потеряем, а потом станем на колени и будем просить или Грузию, или Россию принять нас в состав, умялять будем») ¹¹. აფხაზეთის მიმართ კრემლის პოლიტიკის, მათ შორის ფინანსური „დახმარების“ მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იქ დარჩენილი მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს და გადარჩენისთვის დაუტოვოს ერთადერთი შანსი – „ფორთხვით ვევედროს“ რუსეთს მის შემადგენლობაში „ნებაყოფლობით“ გაერთიანების შესახებ.

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს პოლიტიკა სრულიად განსხვავებულია და მიზნად ისახავს გარედან თავსმოხვეული ომების შედეგად გამყოფი ხაზების მეორე მხარეს აღმოჩენილ ჩვენს მოქალაქეებთან ნდობის აღდგენას და შერიგებას. აღნიშნული

511 https://www.youtube.com/watch?v=_Mr0WI_ni58

პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და 2018 წლის 4 აპრილს წარმოადგინა ზემოხსენებული ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. თბილისის მიზანი იყო და არის ოკუპირებულ ზონაში მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებთან სავაჭრო-ეკონომიკური და საგანმანათლებლო კავშირების აღდგენა-წახალისება, მათთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა. უკვე წლების განმავლობაში ეფექტურად მუშაობს ჯანდაცვის რეფერალური პროგრამა, რომელიც ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისთვის მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების სრული პაკეტის უფასოდ მიწოდებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამით უკვე ისარგებლა ათასობით ადამიანი.

მოსკოვის მიზნები და პრაქტიკული ქმედებები ძირეულად ეწინააღმდეგება აფხაზეთის მოსახლეობის იმ უდიდესი უმრავლესობის სასიცოცხლო ინტერესებს, რომელიც საკუთარი სახლებიდან იძულებით არის განდევნილი და მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საკუთარ სახლებში დაბრუნების ამაო მოლოდინშია. ღიად ახორციელებს რა აფხაზეთის ანექსიის პოლიტიკას, კრემლი ცდილობს მოხსნას ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის მას მიზნის მიღწევაში. ეს არის გალის რაიონის ქართული მოსახლეობა. 1993 წლიდან დღემდე რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლება ახორციელებს ადამიანის ღირსების, მისი ელემენტარული უფლებების შემლახველ ექსპერიმენტებს გალის რაიონში დაბრუნებული და საკუთარ სახლებში მცხოვრები ათეულ ათასობით ადამიანის წინააღმდეგ. მთელი რაიონი თავის ომამდელ საზღვრებში დღეისათვის წარმოადგენს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნაწილს, სადაც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინირებული, ყოველგვარ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს მოკლებული ადამიანები ცხოვრობენ⁵¹².

2015 წლის დეკემბერში მიღებული ე. წ. კანონისა („აფხაზეთში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“) და 2016 წლის დეკემბერში მასში შეტანილი შესწორებების მიხედვით, ადგილობრივი ძირძველი ქართული მოსახლეობა, წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ კერძო სახლებში მცხოვრები ადამიანები საოკუპაციო რეჟიმის მიერ „უცხო ქვეყნის მოქალაქეებად“ არიან გამოცხადებული. მათ ენიჭებათ მხოლოდ ბინადრობის უფლება, შესაბამისად, ისინი მონაწილეობას ვერ იღებენ ოკუპირებული

512 ჯამალ გამახარია. რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ. <http://scara.gov.ge/ka/search>

ტერიტორიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დე-ფაქტო არჩევნებში, არ ინიშნებიან საჯარო ან სხვა სამსახურში (გარდა სკოლის მასწავლებლისა). „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებს გალის რაიონიდან ჩამორთმეული აქვთ მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების თავისუფლად განკარგვის, საკუთრების შექმნისა და გასხვისების უფლება. ადამიანებს წართმეული აქვთ ქორწინებისა და აგრეთვე ახალშობილთა აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრაციის უფლებაც. ასეთი რეგისტრაცია გალის მკვიდრთ მხოლოდ აფხაზეთის ფარგლებს მიღმა შეუძლიათ. მკვიდრი მოსახლეობის მიმართ არსად დედამიწაზე არ ხდება მსგავსი დისკრიმინაცია, რომელიც აშკარად გენოციდის ნიშნებს შეიცავს. ოკუპანტები უხეშად არღვევენ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების ფუნდამენტურ უფლებას. 2016-2017 წლებში აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გამშვები პუნქტების დახურვით უკიდურესად შეიზღუდა გადაადგილების უფლებაც. ამრიგად, ოკუპანტები აგრძელებენ გალის რაიონის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული გენოციდის პოლიტიკას, ცდილობენ მის ასიმილაციას ან საკუთარი სახლებიდან განდევნას და ამ გზით აფხაზეთში „ქართული საკითხის“ ერთხელ და სამუდამოდ „მოგვარებას“.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ელემენტარული უფლებების დარღვევის თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთი ანგარიში მოამზადა და იგი საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინა⁵¹³. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დამიანის უფლებების კუთხით არსებული უმძიმესი ვითარება მუდმივად დგას გაეროს, მისი შესაბამისი ორგანოების, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ნატოს დღის წესრიგში. სამწუხაროდ, რუსეთი ჯერ-ჯერობით ანგარიშს არ უწევს ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს.

IX. 3. საეკლესიო საკითხები ოკუპირებულ აფხაზეთში და სინდისის თავისუფლების დარღვევა

საბჭოთა ოკუპაციის პერიოდშიც (1921-1991 წწ.) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ავტოკეფალური ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა. ეს საკითხი არასდროს გამხდარა დავის საგანი არც აფხაზეთში და არც რომელიმე სხვა (მათ შორის რუსეთის) ეკლესიის

513 Quarterly Reports of the Ministry of Foreign Affairs of Georgia on the Human Rights Situation in the Occupied Regions of Georgia <http://mfa.gov.ge/Occupied-Territories/ყოველკვარტალური-ანგარიშები.aspx>

მხრიდან. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში გაბატონებული კომუნისტური რეჟიმი სასტიკად დევნიდა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1918 წლის 23 იანვარს (5 თებერვალს) გამოსცა სპეციალური დეკრეტი, რომლის ძალითაც ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა. იგივე შინაარსის დეკრეტი საბჭოთა საქართველოში 1921 წლის 15 აპრილს გამოიცა⁵¹⁴. კომუნისტური ხელისუფლების ზეწოლით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის სათავეში პატრიარქი იდგა, რამდენიმე მიმდინარეობად დაიშალა. 1922 წლიდან 1943 წლამდე რუსეთში და საბჭოთა კავშირში ოფიციალური მართლმადიდებელი რუსული ეკლესიის სტატუსით სარგებლობდა 1917 წლიდან არსებული განახლების მოძრაობა (обновленцы), რომელსაც ასევე „იცოცხალ ეკლესიას“ („живая церковь“) უწოდებდნენ. აღნიშნული მოძრაობის მიერ ჩამოყალიბებულ „რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას“, სახელმწიფოს გარდა, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქებიც აღიარებდნენ⁵¹⁵. „რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის“ ხელმძღვანელმა ორგანომ – სამღვდლო სინოდმა 1927 წლის 8 თებერვალს ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თავის კანონიკურ საზღვრებში. ავტოკეფალიის ცნობის აქტში ნათქვამი იყო: „თბილისისა და სოხუმის ეპარქიები აღარ ითვლებოდეს სამღვდლო სინოდის უწყებაში“⁵¹⁶.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკიდურესად შევიწროებული რუსეთის საპატრიარქო ეკლესია კი იმ პერიოდში მწყემსმთავრის გარეშე იყო დარჩენილი. პატრიარქ ნიკონის (ბელავინი) გარდაცვალების, ანუ 1925 წლის 7 აპრილის შემდეგ, მას ახალი პატრიარქის არჩევის უფლებაც ჩამოერთვა და 1927 წლის მაისამდე არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ორგანიზაციად ითვლებოდა. 20-30-იანი წლების ათეისტური ისტერიის პირობებში მას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ქართულ ეკლესიასთან ევქარისტული კავშირის დამყარების შესაძლებლობა, საბჭოთა ხელისუფლების ნებართვის გარეშე არ შეეძლო ეცნო ან არ ეცნო იგი. 1943 წლიდან, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ გეზი ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიისა და საპატრიარქოს აღდგენისკენ აიღო. იმავე

514 ჯემალ გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის. თბილისი, 2012, გვ. 356-357.

515 Обновленчество. [ჰტტპს://რუ.ნიკიპედი.ორგ/ნიკი/](http://რუ.ნიკიპედი.ორგ/ნიკი/) BE

516 მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, გვ. 164-167.

წლის 4 სექტემბერს რუს იერარქთა ჯგუფს ი. სტალინი და ვ. მოლოტოვი შეხვდნენ, 8 სექტემბერს კი სრულიად რუსეთის ეპისკოპოსთა კრება გაიმართა. კრებამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად მიტროპოლიტი სერგი (სტაროგოროდსკი) აირჩია⁵¹⁷. მალევე დამყარდა ექვარისტული კავშირი ქართულ ეკლესიასთან. 1943 წლის 19 ნოემბერს რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა აღიარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მის კანონიკურ საზღვრებში⁵¹⁸.

1943 წლამდე და შემდგომ პერიოდშიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის იურისდიქცია მთელს აფხაზეთზე ვრცელდებოდა და მას მხოლოდ ქართველი მღვდელმთავრები მართავდნენ. სხვადასხვა დროს ეპარქიის სათავეში იდგნენ ამბროსი ხელაია (1919-1921), იოანე მარგიშვილი (1921-1925), ქრისტეფორე ციციქიშვილი (1925-1927), ეფრემ სიდამონიძე (1927 წ.), მელქისედეკ ფხალაძე (1927-1928 და 1935-1944), პავლე ჯაფარიძე (1928 წ.), ვარლამ მახარაძე (1929-1935), ანტონ გიგინეიშვილი (1952-1956), ლეონიდე უჯანია (1957-1964), რომან პეტრიაშვილი (1965-1967), ილია შიოლაშვილი (1967-1977), ნიკოლოზ მახარაძე (1978-1981), დავით ჭკადუა (1981-1992), დანიელ დათუაშვილი (1992-2010)⁵¹⁹. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ 1990 წლის 3 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებამ კიდევ უფრო განამტკიცა მისი კანონიკური ტერიტორიის მთლიანობა.

1992-1993 წლების ომმა აფხაზეთში როგორც ქვეყნის, ისე ეკლესიის ერთიანობაც შეინირა. ეკლესიური სეპარატიზმის წყარო იყო და ამჟამადაც არის ოკუპანტი სახელმწიფო – მართლმადიდებელი რუსეთი. აფხაზეთში ომის პერიოდში იგი დაუნდობლად ებრძოდა და ფიზიკურად ანადგურებდა ადგილობრივ მართლმადიდებელ ქართულ მოსახლეობას. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიამ მეუფე დანიელის (დათუაშვილი) ხელმძღვანელობით 1993 წლის შემოდგომაზე მრევლის უდიდეს ნაწილთან ერთად იძულებით დატოვა თავისი კანონიკური ტერიტორია. ამის შემდეგ აფხაზეთში მხოლოდ ოთხი სასულიერო პირი დარჩა. მათ შორის იყო მთელს აფხაზეთში ერთად-ერთი აფსუა-აფხაზეური ეროვნების მღვდელი მამა ბესარიონ აპლია. 1998 წლიდან ის სათავეში ჩაუდგა თვითმარქვია სოხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პე-

517 Московский собор 1943 года. <https://drevo-info.ru/articles/14105.html>

518 Грузинская Православная Церковь, часть I. – В книге: Православная Энциклопедия, т. 13. Москва, 2011, с. 191-229. <http://www.pravenc.ru/vol/xiii.html>

519 Пицундская и Сухумо-Абхазская епархия. <https://ru.wikipedia.org/wiki/>

რიოდში განვითარებულმა მოვლენებმა საეკლესიო საკითხშიც მეტი სიმწვავე და არეულობა შეიტანეს. 2009 წლის 15 სექტემბერს მღვდელმთავრის კურთხევის გარეშე ანუ უკანონოდ ჩატარებულმა აფხაზეთის სამღვდლოების რიგგარეშე საეპარქიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საქმიანობის შეწყვეტისა და ე. წ. აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიის დაფუძნების შესახებ⁵²⁰. თვითმარქვია ეპარქიამ მიზნად დაისახა ბიჭვინთის საკათოლიკოსოს აღდგენა. მსგავსი მოთხოვნა, როგორც ეს უკვე იყო ნაჩვენები, ყოველგვარ ისტორიულ და კანონიკურ საფუძველს მოკლებულია (იხილე აქვე ნაწილი II, III.3, IV.4, V.2). აფსუა-აფხა-ზური სამღვდლოების ამ უკანონო გადაწყვეტილებას საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მხრიდან გარკვეული რეაგირება მოჰყვა. სინოდის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა. მისი მართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეითავსა. ამიერიდან მისი უწმინდესობა ატარებს ტიტულს: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი“.

მთელი რიგი შიდა და გარე პოლიტიკური თუ რელიგიური ფაქტორების ზეგავლენით, 2011 წელს აფხაზეთის ისედაც მცირერიცხოვანი სამღვდლოება ორ ნაწილად გაიხლიჩა. ერთი ნაწილი გაერთიანებულია ზემოხსენებული ბიჭვინთისა და სოხუმის თვითმარქვია ეპარქიის შემადგენლობაში, რომელსაც მამა ბესარიონ აპლია ხელმძღვანელობს. აღნიშნული „ეპარქია“ ფაქტობრივად რუსეთის საპატრიარქოს პატრონაჟის ქვეშ იმყოფება. სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიის პოლიტიკა ამ შემთხვევაში ორმაგი სტანდარტებით ხასიათდება. სიტყვიერად აფხაზეთს იგი საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიად აღიარებს, საქმით კი, ე. წ. ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიის მეშვეობით, ოკუპირებული რეგიონის ეკლესიურ ცხოვრებაზე სრული კონტროლის დანესებას ცდილობს.

აფხაზეთის სამღვდლოების მეორე ნაწილმა 2011 წლის 15 მაისს ახალი ათონის მონასტერში პირველი საეკლესიო-სახალხო კრება მოიწვია, რომელიც ასევე არ იყო მღვდელმთავრის მიერ კურთხეული. მასში 2000-ზე მეტი სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანი მონაწილეობდა.

520 Заявление экстренного собрания духовенства и церковного совета абхазской православной церкви. http://aiasha.ru/orthodox_abkhazia/90/385/

ილეობდა. კრების მონაწილეთა შორის, გარდა ქრისტიანებისა, მრავლად იყვნენ მაჰმადიანები, წარმართები, ათეისტები, მოუნათლავი ადამიანები. ფაქტობრივად ეს იყო მიტინგი, რომელმაც პოლიტიკური და რელიგიური მიზნების მქონე „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“ დააფუძნა⁵²¹. „მიტროპოლიის“ სათავეში დგას აფხაზეთის ისტორიის, პირველ რიგში, საეკლესიო ისტორიის ფალსიფიკატორი არქიმანდრიტი დოროთე დბარი⁵²². აფხაზეთის სამღვდელთა ეს მეორე ნაწილიც ისტორიისთვის სრულიად უცნობი „აფხაზეთის ეკლესიის“ ვითომ დამოუკიდებლობის „აღდგენისთვის“ იბრძვის. არარსებული ეკლესიის „აღდგენის“ კურსი დაადასტურა ე. წ. მეორე საეკლესიო-სახალხო ყრილობამაც, რომელიც 2016 წლის 15 მაისს გაიმართა⁵²³.

„აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიას“ ორიენტაცია საბერძნეთის ეკლესიისკენ და კონსტანტინოპოლის პატრიარქისკენ აქვს აღებული. იგი მუდმივად მიმართავს მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიას მეთაურებს, მათ შორის კონსტანტინოპოლის პატრიარქს ბართლომე პირველს „აფხაზეთის ეკლესიის“ ავტოკეფალიის აღიარების თხოვნით⁵²⁴. 2012 წლის 9 იანვარს „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის“ წევრები კერძო პირების სტატუსით სტამბულში ბართლომე პირველმა მიიღო⁵²⁵. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის – ახალი რომისა და მსოფლიო პატრიარქი ბართლომე I აფხაზეთს ქართული სახელმწიფოს ნაწილად და ქართული ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიად მიიჩნევს. საკუთარი პოზიცია ამ საკითხში მსოფლიო პატრიარქმა 2017 წლის 25 დეკემბერსაც დაადასტურა, როდესაც

521 Джемал Гамахария. Церковно-народное собрание в Абхазии: религиозно-политические последствия. <http://abkhazeti.info/society/20110919254292182125.php>

522 Как в Абхазии возвращали церковный раскол. <https://eadaily.com/ru/news/2016/05/16/>

523 На церковно-народном собрании священной митрополии Абхазии принято обращение к Всеправославному церковному собору. [ჰტტპ://აბზა.გე/ენს/?ID=3271&მID=23](https://abzabz.ge/ენს/?ID=3271&მID=23)

524 Обращение церковно-народного собрания православного народа Республики Абхазия к Предстоятелям и священным синодам поместных православных церквей. <https://anyha.org/aarxjara-nanhua-9-2011-sh/>; Церковно-народное собрание просит Вселенского Патриарха об автокефалии. <http://www.portal-credo.ru/site/?act=news&id=120358> ; Обращение II церковно-народного собора Абхазии ко Вселенскому Патриарху. <http://www.portal-credo.ru/site/?act=news&id=120370>

525 Два Афона – две проблемы. [ჰტტპ://www.religion.in.ua/zmi/ukrainian_zmi/14188](https://www.religion.in.ua/zmi/ukrainian_zmi/14188); Вселенский Патриарх Варфоломей принял руководство священной митрополии Абхазии. <http://www.portal-credo.ru/site/?act=news&id=89064>

ილია მეორეს აღსაყდრების მე-40 და დაბადების 85-ე წლისთავი მიულოცა როგორც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, მცხეთათბილისის არქიეპისკოპოსს და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს⁵²⁶. 2018 წლის 23 ოქტომბერს მიღებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთთან მიმართებაში მსოფლიო პატრიარქის პოზიცია საბოლოოდ გარკვეულია. ამ საკითხთან დაკავშირებით მიტროპოლიტ ზენონის (იარაჯული) მიერ დასმულ შეკითხვაზე ბართლომე I-მა უპასუხა: „ჩამოვალ საქართველოში, თუ ეს პატრიარქის სურვილი იქნება და თბილისიდან საჯაროდ განვაცხადებ, რომ აფხაზეთის თვითმართვითი „ავტოკეფალისტებს“ მსოფლიო საპატრიარქოდან არ აქვთ მხარდაჭერა. განვაცხადებ, რომ აფხაზეთის ერთადერთი ეპისკოპოსი და პატრიარქი არის უნეტარესი და უნმინდესი ილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი არის ოკუპირებული. გვაქვს ინფორმაცია, რომ იქ უკანონოდ მოქმედებენ მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლები“⁵²⁷.

ამ განცხადებით სეპარატისტთა ავტოკეფალური ილუზიები კიდევ ერთხელ გაქარწყლდა. ნამდვილად არ შეიძლება და შეუძლებელიცაა აღადგინო ის, რაც ბუნებაში არასდროს არსებულა; შეუძლებელია სეპარატისტთა წარმოსახვაში არსებული „აფხაზეთის საკათოლიკოსოს“ აღდგენა, რადგანაც სინამდვილეში ის იყო ტერიტორიულად მთლიანად დასავლეთ საქართველოს მომცველი წმინდა ქართული საეკლესიო ორგანიზაცია. როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, XVII საუკუნის ბოლოს ანტიკანონიკური, ძალადობრივი გზით შეწყდა მისი იურისდიქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე და მთელი ეს რეგიონი მოქმედი ეკლესიებისა და სასულიერო პირების გარეშე დარჩა (იხილეთ აქვე ნაწილი III.3, აგრეთვე ნაწილი IV.4). გაუგებარია, რის აღდგენას ითხოვენ სეპარატისტულად განწყობილი მოპოლიტიკანო აფხაზი ეროვნების სასულიერო პირები?

XX – XXI საუკუნეების მიჯნაზე ისტორია განმეორდა – უცხო ქვეყნის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ასევე ანტიკანონიკური, ძალადობრივი გზით შეწყდა ქართული ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის იურისდიქცია. მაშინ აღნიშნული რეგიონი 1 აფხაზი, ერთი უკრაინელი და ორი რუსი ეროვნების მღვდლის ამარა დარჩა. რაც

526 Вселенский Патриарх поздравил Илию Второго с 40-летием интронизации. <https://1tv.ge/ru/news/>

527 <http://21-below.ge/article/mtavari/politika/msoplio-patriarki-chamoval-sakartveloshi-da-tbilisidan-ganvatskhadeb-rom-apkhazetis-tvitmarkvia>; http://www.deoccupation.ge/news_details/201

ყველაზე ტრაგიკულია, 1993 წელს აფხაზეთი იძულებით დატოვა და დღემდე უკან ვერ ბრუნდება აფხაზეთის მართლმადიდებელი მრევლის 80-90%. ომის დასრულების შემდეგ რაოდენობრივად ოდნავ გაზრდილი აფხაზეთის მართლმადიდებელი სამღვდლოება, რომელიც განდგომილია ქართული ეკლესიისაგან და არ არის კანონიკური წესით ხელდასხმული, მართლმადიდებელი მრევლის უკან დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგია. ამით იგი მხარს უჭერს აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ანტიქრისტიანულ, დანაშაულებრივ პოლიტიკას, რომელიც დაგმობილია ცივილიზებული სამყაროს მიერ. ყოველივე ამის შემდეგ კვლავაც უპასუხოდ რჩება ელემენტარული კითხვა: რომელი ეკლესიის აღდგენაზე საუბრობენ სეპარატისტები, თანაც მრევლის უდიდესი ნაწილის აფხაზეთში დაბრუნების გარეშე?

აფხაზეთში მოქმედი სამღვდლოება, განურჩევლად მისი რუსული თუ ბერძნული ორიენტაციისა, ახდენს ისტორიისა და თანამედროვე რეალიების გაუგონარ, ყოვლად წარმოუდგენელ ფალსიფიკაციას, რათა შეცდომაში შეიყვანოს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყარო; რათა „დაამტკიცოს“, რომ აფხაზეთიდან დევნილი ასეულ ათასობით მართლმადიდებელის საკუთარ სახლებში დაბრუნება ვითომ შეუძლებელია. სეპარატისტების მიერ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებისადმი სხვადასხვა დროს გაგზავნილ მიმართვებში მოტანილ ისტორიულ-კანონიკურ არგუმენტებს არაფერი აქვთ საერთო როგორც ისტორიასთან, ისე კანონიკასთან. უძველესი ქართული ეკლესიისთვის შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ მიმართვებში, რომლებიც სპეციალისტების მიერ დეტალურად არის განხილული და გაბათილებული⁵²⁸, მოცემულია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა და მოვლენების თვითნებური ინტერპრეტაცია. სეპარატისტთა მიმართვები თავიანთი შინაარსითა და სულისკვეთებით ეწინააღმდეგება რეალობას და, ძალიან ხშირად, თვით ქრისტიანულ მსოფლმხედველობასაც კი.

ქართული ეკლესიისაგან განდგომილი აფხაზეთის სამღვდლოება, ადგილობრივ საოკუპაციო რეჟიმთან ერთად, უხეშად არღვევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონში კომპაქტურად მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველების უფლებებს. ეროვნუ-

528 ალექსი ქშუტაშვილი. აფხაზეთში არსებული საეკლესიო მდგომარეობის სამართლებრივი ანალიზი. <http://www.orthodoxtheology.ge/afxazetisproblema/>; Алекси Кшуташвили. Вновь о церкви Абхазии. <http://abkhazeti.info/news/1365723799.php>

ლი ნიშნით მათ არნახულ დისკრიმინაციას, არაადამიანურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ჩაგვრას, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, ემატება კიდევ რელიგიური ჩაგვრა, სინდისის თავისუფლების არარსებობა, რომელიც ეკლესიების გახსნისა და მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების ფაქტობრივ აკრძალვაში გამოიხატება. გარდა ამისა, ილახება ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა უფლებები, რომლებსაც ეკრძალებათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ღმრთისმსახურების ჩატარება, რელიგიურ ღონისძიებებსა და დღესასწაულებში მონაწილეობა. მშვიდობიან მოსახლეობას არ ეძლევა წინაპართა საფლავების მონახულებისა და ქრისტიანული წესით პატივის მიგების საშუალება. ყოველივე ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა 2018 წლის 27 ივლისს დეტალურად ისაუბრა ქალაქ ვაშინგტონში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ რელიგიის თავისუფლების შესახებ ორგანიზებულ მინისტერიალზე. საერთაშორისო თანამეგობრობას მან სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდ⁵²⁹. ცხადია, მართლმადიდებელ ქართველთა დევნის პოლიტიკა, რომელსაც სეპარატისტული სამღვდლოება და საოკუპაციო რეჟიმი ახორციელებენ, რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის, მისი მოსახლეობის ასიმილაციისა და ეთნიკური წმენდის დასრულების მიზანს ემსახურება. სასურველია და უაღრესად მნიშვნელოვანი ამ ფაქტზე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა, პირველ რიგში, კონსტანტინოპოლის პატრიარქის ყურადღების გამახვილება. დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო პატრიარქის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდება რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში მართლმადიდებელთა პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური ჩაგვრის უსამართლო და სამარცხვინო პრაქტიკის აღკვეთა.

X. მოკლე დასკვნები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის საქართველოსადმი კუთვნილება დადასტურებულია მთელი მისი ისტორიით უძველესი დროიდან დღემდე. ეს მტკიცდება ამ ისტორიის უმთავრესი წყაროს – „ქართლის ცხოვრების“, მრავალრიცხოვანი ქართული დოკუმენტური მასალის (მათ შორის აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე შექმნილის) საფუძველზე. იგივეს ადასტურებს ძველბერძნულ-

529 <http://mfa.gov.ge/News/davit-zalkalianma-religiis-tavisuflebeta-shesakheb.aspx?CatID=5>

ლი, რომაული, ბიზანტიური, აღმოსავლური თუ საქართველოს მეზობელი ქვეყნების ისტორიული ლიტერატურა. მეცნიერება დღემდე არ იცნობს საპირისპირო მონაცემების შემცველ ისტორიულ წყაროებს. აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილება ეჭვს ქვეშ არ დაუყენებიათ სხვადასხვა დროის დამპყრობლებს, მეზობლებს, თვით რუსეთის ჩათვლით. ამ უკანასკნელმა 1810 წელს აფხაზეთი შეიერთა როგორც საქართველოს პროვინცია (მხოლოდ მოგვიანებით ჩამოყალიბდა იმპერიული იდეოლოგია – „აფხაზეთი საქართველო არ არის“).

სრულიად აშკარაა, რომ მდინარეებს ენგურსა და ფსოუს შორის მონაკვეთზე შექმნილი კულტურა მხოლოდ ქართულია, მისი შემოქმედიც, ცხადია, ქართველია. ამასთანავე, აღნიშნულ ტერიტორიაზე სხვა ეთნოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვალი არ ჩანს.

ეჭვს არ იჭვევს თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრების XVI – XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების, მათ მიერ ოსმალეთის დახმარებით სამეგრელოს სამთავროს ჩრდილოდასავლეთი რეგიონების თანდათანობით დაუფლების საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა ჩამოსახლების შემდეგ ადრე არსებული შიდაფეოდალური დაპირისპირებები კიდევ უფრო გამწვავდა, აფხაზეთი კვლავაც საერთო ქართული სამყაროს ნაწილად რჩებოდა.

გაუცხოება ქართველებსა და აფხაზებს შორის უკავშირდება რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ორსაუკუნოვან ანექსიას, ქვეყნის რუსიფიკაციას, ამ მიზნით ორ ხალხს შორის შუღლისა და მტრობის ხელოვნურად ჩამოგდებას, კრემლის იმპერიულ გეოპოლიტიკურ ამოცანებს. 1992-1993 წლების ომის მიზეზებიც ამაში უნდა ვეძიოთ.

აფხაზეთში ომის გაჩაღებაზე და მის შედეგებზე, ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილ ეთნიკურ წმენდაზე და გენოციდზე, ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევაზე მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, რადგანაც მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის წარმართვაში, ამჟამად კი ახორციელებს ეფექტურ კონტროლს მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აფხაზეთის რუსული ოკუპაციის შედეგად შექმნილი გეოპოლიტიკური, ჰუმანიტარული, საეკლესიო და უსაფრთხოების პრობლემები თავისი მნიშვნელობით დიდი ხანია გასცდა საქართველოს გამთლიანების, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში დაბრუნების თავისთავად მნიშვნელოვან თემას და გლობალური მასშტაბის გამოწვევად იქცა. მკაცრი რეალობა

მოითხოვს საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან რუსეთის სა-ოკუპაციო ჯარების გაყვანას, როგორც ამას 2008 წლის 12 აგვისტოს თვით რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების (დ. მედვედევი, მ. სააკაშვილი) ხელმოწერებით დადასტურებული სარკოზის დოკუმენტი ითვალისწინებს. ეს მოთხოვნა უნდა გახდეს რუსეთის წინააღმდეგ სამართლიანად დანესებული საერთაშორისო სანქციების მოხსნის ერთ – ერთი წინაპირობა. სხვანაირად ევროპა, დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიო ვერ აიცილებენ თავიდან რუსეთის ფედერაციის აშკარად ზღვარსგადასული აგრესიული პოლიტიკისაგან მომდინარე სამხედრო და ეკონომიკურ საფრთხეებს.

შექმნილი ვითარების განმუხტვისა და ჰუმანიტარული კატასტროფის შეჩერების მიზნით, აფხაზეთიდან რუსეთის საოკუპაციო ძალების გაყვანასთან ერთად აუცილებელია ნეიტრალური სახელმწიფოების მონაწილეობით სამშვიდობო პროცესის განახლება, დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ სახლებში დაბრუნება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი და სამართლიანი დარეგულირება, მათ შორის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადანყვეტაც საერთაშორისო სამართლის, საქართველოს კონსტიტუციის, ისტორიისა და არსებული რეალიების გათვალისწინებით.

X. Short Summary

Belonging of the territory of the Autonomous Republic of Abkhazia to Georgia is confirmed by its entire history from ancient times to the present day. It is proved on the basis of the main Historical source – „The Life of Kartli“, numerous Georgian documentary materials (including those created on the territory of today’s territory of Abkhazia). The same is confirmed by the historical literature of ancient Greece, Rome, Byzantium, the East and neighboring countries. Science hitherto is not familiar with the historical sources, containing opposite information. Abkhazia’s belonging to Georgia was not questioned by conquerors of different times, including Russia itself. In 1810, it annexed Abkhazia as a province of Georgia (the ideology „Abkhazia is not Georgia“ was developed later).

It is absolutely clear that the culture created in the sector of the Inguri and Psou rivers is exclusively Georgian, and naturally, the creators of this culture are Georgians. At the same time, there are no traces of life and activity of another ethnic groups in this territory.

The well-known fact of the resettlement of the ancestors of modern Apsua Abkhazians from the North Caucasus in the 16th-17th centuries and gradual reclaiming of the north-western regions of the Megrelian principality by them with the help of the Ottoman Empire is beyond doubt. Despite the aggravation of intra-feudal strife after the settlement of Abkhazia by the highlanders of the Caucasus, it continued to remain part of the common Georgian world. The alienation between the Abkhaz and the Georgians is due to the two-century annexation of Georgia by the Russian Empire, the russification of the country, the artificial incitement of strife and enmity between the two peoples, the imperial geopolitical objectives of the Kremlin. These are the reasons for the 1992-1993 war. The main responsibility for warmongering in Abkhazia and its consequences, for ethnic cleansing and genocide of the Georgian population, for the total violation of human rights lies with the Russian Federation, which played a decisive role in the outcome of the war, and now exercises effective control over the occupied territory of Abkhazia.

Geopolitical, humanitarian and church problems, as well as security problems arising from the occupation of Abkhazia, have long been out of the framework of acute internal Georgian issues on the integrity of the country, the return of refugees and IDPs, becoming a threat on a global scale. The harsh reality requires the withdrawal of the Russian occupation forces from the occupied regions of Georgia, as provided for in the Sarkozy document of August 12, 2008, signed by the presidents of Georgia and Russia (M. Saakashvili, D. Medvedev). This requirement should be one of the preconditions for the lifting of international sanctions, fairly established against Russia. Otherwise Europe and the rest of the civilized world will not be able to avoid the dangers of a military and economic nature arising from the excessive aggressive policy of the Russian Federation.

In order to defuse the current situation and avoid a humanitarian catastrophe, besides the withdrawal of the occupying forces from Abkhazia, it is necessary to resume the peacekeeping process with the participation and help of the neutral States and return refugees and IDPs to their homes and only after that a full-scale and just settlement of the conflict, including the resolution of the issue of the political status of Abkhazia with due regards to the International Law, the Constitution of Georgia, history and existing realities will become possible.

Х. Краткие выводы

Принадлежность территории Автономной Республики Абхазия к Грузии подтверждена всей ее историей с древнейших времен до наших дней. Она доказывается на основе главнейшего источника этой истории – «Жития Картли», многочисленных грузинских документальных материалов (в том числе созданных на территории сегодняшней территории Абхазии). То же самое подтверждается исторической литературой Древней Греции, Рима, Византии, восточных и соседних стран. Наука доселе не знакома с историческими источниками, содержащими противоположные сведения. Принадлежность Абхазии к Грузии не ставили под сомнение завоеватели разных времен, включая саму Россию. В 1810 году она присоединила Абхазию, как провинцию Грузии (только позже была разработана идеология «Абхазия – не Грузия»).

Совершенно ясно, что культура, созданная в секторе рек Ингури и Псоу является лишь грузинской, и творцом ее является грузин. При этом, на данной территории нет следов жизни и деятельности другого этноса.

Не подлежит сомнению общеизвестный факт переселения в XVI – XVII веках предков современных апсуа-абхазов из Северного Кавказа, постепенного освоения ими северо-западных регионов Мегрельского княжества с помощью Османской империи. Несмотря на обострение внутривассальных распрей после заселения Абхазии горцами Кавказа, она продолжала оставаться частью общегрузинского мира. Отчуждение между абхазами и грузинами объясняется двухвековой аннексией Грузии со стороны Российской Империи, русификацией страны, искусственным разжиганием распри и вражды между двумя народами, имперскими геополитическими задачами Кремля. В этом состоят и причины войны 1992-1993 годов. Главная ответственность за разжигание войны в Абхазии и ее последствиях, за этническую чистку и геноцид грузинского населения, за тотальное нарушение прав человека лежит на Российской Федерации, сыгравшую решающую роль в исходе войны, а ныне осуществляющую эффективный контроль над оккупированной ею территорией Абхазии.

Геополитические, гуманитарные и церковные проблемы, а также проблемы безопасности, возникшие в результате оккупации Абхазии давно вышли из рамок острых внутрегрузинских вопросов о целостности страны, возвращении беженцев и вынужденно перемещенных лиц,

превратившись в угрозу глобального масштаба. Суровая реальность требует вывода Российских оккупационных войск из оккупированных регионов Грузии, как это и предусматривается документом Саркози от 12 августа 2008 года, подписанным президентами Грузии и России (М. Саакашвили, Д. Медведев). Настоящее требование должно стать одним из предварительных условий для снятия международных санкций, справедливо установленных против России. Иначе Европа, остальной цивилизованный мир не сможет избежать опасностей военного и экономического характера, исходящих от чрезмерной агрессивной политики Российской Федерации.

В целях разрядки сложившейся обстановки и во избежание гуманитарной катастрофы, кроме вывода из Абхазии оккупационных сил, необходимо возобновление миротворческого процесса с участием нейтральных государств, возвращение в свои дома беженцев и вынужденно перемещенных лиц. Только после этого станет возможным полномасштабное и справедливое урегулирование конфликта, включая решение вопроса о политическом статусе Абхазии с учетом международного права, Конституции Грузии, истории и существующих реалий.

ნანი XI. დანართები

XI.1. ისტორიული რუკები

1. ბილიერმო სოლერის ხმელთაშუა ზღვის რუკის ფრგმენტი (1385წ.)



რუკაზე აღნიშნულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიც. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ჩრდილო – დასავლეთით დაფიქსირებულია Abazachia – აფსუა აფხაზთა მამინდელი სამშობლო. ქალაქ სოხუმთან (Sauastopoli) აღმართულია დროშა ხელის მტევნის გამოსახულებით. როგორც ცნობილია, აღნიშნული სიმბოლო ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთის დროშაზეა გამოსახული. მრავალრიცხოვანი ქართული წყაროებით კი დასტურდება, რომ „ხელი“ საქართველოში წარმოადგენდა სამეფო ძალაუფლების სიმბოლოს. ზემოთ მოტანილი ისტორიული მასალიდან კი ნათლად ირკვევა, რომ XIV საუკუნის ბოლოს, როცა ბილიერმო სოლერი თავის რუკას ადგენდა, სოხუმი სამეგრელოს მთავრების დადიანების საკუთრებას წარმოადგენდა. იგივეს გვიდასტურებენ ქვემოთ მოტანილი ფრედუჩე დ ანკონის 1497 და დიეგო ომემის 1559 წლების რუკები (აგრეთვე იმავე პერიოდის მრავალი სხვა ევროპული რუკა), რომლებზეც ქალაქ სოხუმთან აღნიშნულია

Porto Mengrelo (სამეგრელოს პორტი). ამრიგად, სოლერის რუკაზე გამოსახული ხელის მტევანი ქალაქ სოხუმის დადიანებისადმი კუთვნილების აღმნიშვნელი სიმბოლოა და მას თანამედროვე აფსუა – აფხაზთა წინაპრებთან არავითარი კავშირი არა აქვს (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 828 – 830).

2. ფრედრუჟე დ ანკონის საზღვაო რუკის ფრაგმენტი (1497წ.)



რუკაზე მითითებული Avogassia, ანუ აფხაზეთის საერისთავო თანამედროვე გუდაუთის რაიონს მოიცავდა და იგი ჯერ კიდევ ქართველებით იყო დასახლებული. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მისი საზღვარი სამეგრელოს სამთავროსთან (Mengrellia) თანამედროვე ახალ ათონთან – ანაკოფიასთან გადიოდა (ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 784). ქალაქ სოხუმთან (Savastopoli) სამეგრელოს სამთავროს მნიშვნელოვანი პორტი (Porto Mengrelo) მდებარეობდა (თამაზ ბერაძე, კოკა თოფურია, მანანა სანაძე, ბეჟან ხორავა. საქართველოს ისტორიული ატლასი. აფხაზეთი. თბილისი, 2013, გვ. 47, 95 – 96).

3. დიეგო ომემის შავი ზღვის რუკის ფრგმენტი (1559წ.)




წარმოდგენილ რუკაზე სამეგრელოს სამთავროს, შესაბამისად, სრულიად საქართველოს ჩრდილო – დასავლეთი საზღვარი, ისტორიული ტრადიციისამებრ, აზოვის ზღვასთან ახლოს არის აღნიშნული. აფხაზეთის სამთავრო, რომელიც სამეგრელოსადმი დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რუკაზე ცალკე დატანილი არ არის. აღნიშნული რუკის მიხედვითაც, ქალაქ სოხუმთან სამეგრელოს პორტი – Porto Mengrello მდებარეობდა, რაც ამ ქალაქისა და პორტის ქართველებისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 831 – 832; თამაზ ბერაძე, კოკა თოფურია, მანანა სანაძე, ბეჟან ხორავა. საქართველოს ისტორიული ატლასი. აფხაზეთი, გვ. 48, 96).

4. ვაკოპო გასტალდის რუკის ფრგმენტი (1561წ.)



წარმოდგენილ რუკაზე აზოვის ზღვაში შემავალი მდინარე ყუბანის შუა წელში აღნიშნულია ABCVAS REGI თავისი მთავარი ქალაქით Acua. აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეული იმავე ადგილას არის დაფიქსირებული აგრეთვე XVI საუკუნის სხვა ავტორების ჯერად მერკატორის, ბატისტა ანიეზეს და სხვათა რუკებზეც. ეს ფაქტი ადასტურებს XVIII საუკუნიდან დამკვიდრებულ მოსაზრებას თანამედროვე აფსუა – აფხაზთა წინაპრების ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების შესახებ. მათ თან ჩამოიტანეს თავიანთი მთავარი დასახლებული პუნქტის სახელწოდებაც და ქალაქ სოხუმს დღემდე Acua – ს ეძახიან (Essays from the History of Georgia. Abkhazia. Tbilisi, 2011, p. 493-497. Historical Maps, № 14).

5. არქანჯელო ლამბერტის რუკის ფრაგმენტი (1654 წელი)



რუკის ავტორი იტალიელი კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (Archangelo Lamberti) 1633-1649 წლებში სამეგრელოს იმ ნაწილში მოღვაწეობდა, რომელიც ამჟამად აფხაზეთის შემადგენლობაშია. მის მიერ შედგენილი და 1654 წელს გამოქვეყნებული რუკის მიხედვით, სამეგრელო ანუ კოლხეთი იწყება სოხუმთან – კელასურის კედელთან. ამ უკანასკნელზე გაკეთებულია წარწერა: „კედელი სამოცი ათასი ნაბიჯის (სიგრძისა), აბაზგთა თავდასხმების მოსაგერიებლად“. რუკაზე მითითებული ტოპონიმები მთლიანად ქართულია, მაგრამ აფსუა-აბაზგების ჩამოსახლების შემდეგ შეიცვალა. გამოქვეყნებულია სხვადასხვა ავტორების მიერ, მათ შორის: Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия-историческая область Грузии...გვ. 837-838; თამაზ ბერაძე, კოკა თოფურია, მანანა სანაძე, ბეჟან ხორავა. საქართველოს ისტორიული ატლასი. აფხაზეთი, გვ. 57, 97-99.

6. საფრანგეთის სამეფო კარტოგრაფის გიომ სანსონის რუკის ფრაგმენტი (1674 წ.).



გიომ სანსონის (G. Sanson) რუკის რუკის მიხედვით, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი თითქმის აზოვის ზღვამდე აღწევს. მის შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთი (Abassa) მოიცავს ტერიტორიებს ქალაქ სოხუმამდე. შემდეგ მოდიან სამეგრელო ანუ ოდიში (Odisci), გურია (Guriel), იმერეთი (Imereti), სამცხე-ჯავახეთი, ანუ საბარათაშვილო (Baratalu), ქართლი (Carduel), კახეთი (Kacheti) და სხვები. გამოქვეყნებულია: Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с. 843-845; Essaus from the History of Georgia. Abkhazia. Tbilisi 2011. Historikal Maps, №9).

7. „ჯიჰან-ნუმას“ კავკასიის თურქული რუკის ფრაგმენტი (XVII ს.)



კავკასიის თურქული რუკა ჩართულია მეცნიერ – ისტორიკოსისა და მწერლის ქათიბ ჩელების წიგნში „ჯიჰან – ნუმა“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1732 წელს სტამბულში დაიბეჭდა. სპეციალისტთა მოსაზრებით, რუკა XVII საუკუნის 60 – 70 – იან წლებშია შედგენილი და მისი ავტორის ვინაობა ცნობილი არ არის. იგი ზუსტად უთითებს იმჟამინდელ ადმინისტრაციულ საზღვარს ახლანდროსასხლებული აფსუა – აბაზებით დასახლებულ აბაზასა (აფხაზეთი) და სამეგრელოს შორის. რუკის მიხედვით, აბაზას ჩრდილო – დასავლეთით აღნიშნულია „დრბნდ“ (დერბენდი) – შუა საუკუნეების გაგარის (გაგრა) თურქული სახელწოდებაა. დერბენდის სამხრეთ – აღმოსავლეთით დაფიქსირებულია „ბუჯუნდუ“ (ბიჭვინთა), „სლუკსუ“ (სოუკსუ) – სავარაუდოდ, ბომბორის ნავსადგური, „ნხლ“ (ლიხნი),

„აღჩა“ („ქართლის ცხოვრების“ ალაცო, რომელსაც აბაზებმა ააფსთა უწოდეს), „არსანლარ“ (ანაკოფია) და სხუმ (ცხუმი/სოხუმი). ქალაქ სოხუმთან მდინარე კელასურის გასწვრივ გადის ადმინისტრაციული საზღვარი სამეგრელოსთან („მეგრილ“). აქვე წარწერის გარეშე აღნიშნულია ცნობილი საფორთიფიკაციო ნაგებობა – კელასურის კედელი (იხილე აქვე რუკა №5), რომელიც სამეგრელოს მთავარმა ლევან მეორე დადიანმა (1611 – 1657 წწ.) ააგო აბაზთა შემოსევების შესაკავებლად. თურქული რუკა გამოქვეყნებულია: თამაზ ბერაძე, კოკა თოფურია, მანანა სანაძე, ბეჟან ხორავა. საქართველოს ისტორიული ატლასი. აფხაზეთი, გვ. 56, 99.

8. რუსეთის იმპერიის რუკის ფრაგმენტები (1721 – 1725 წწ.)



რუკის ქვედა მარცხენა კუთხეში ლათინურ ენაზე გაკეთებული წარწერა გავამცნობს, რომ ეს არის „რუსეთის იმპერიის ახალი რუკა, დიდი სიზუსტით შესრულებული იოანე კოვენსისა და კორნელიუს მორტიერის მიერ, ასევე ევერარდოს ისბრანტ იდესის მხარდაჭერით.

შედგენილია ძირითადად ჰოლანდიასა და დასავლეთ ფრიზიაში“. რუკის ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებულ წარწერაში კი ჩამოთვლილია „უბრწყინვალესი და ძლევამოსილი ხელმწიფე, რუსეთის იმპერატორ პეტრე ალექსის ძის“ ქვეყნის მიწები. მასში ასევე ნათქვამია: „აქვეა მრავალი პროვინცია, რომელსაც მართავს გამარჯვებული და ტრიუმფატორი ხელმწიფე“. რუკის მიხედვით, რუსეთს უშუალოდ ესაზღვრება საქართველოც. მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვასთან იწყება და შეიცავს შემდეგ რეგიონებს: აფხაზეთი (Abassa), სამეგრელო (Mengrelia), გურია (Goriel), იმერეთი (Imereti). სამცხე-ჯავახეთი (Samsea) და კახეთი (Caguetia). გამოქვეყნებულია: Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия-историческая область Грузии..., გვ. 847; Essays from the History of Georgia. Abkhazia. Historical Maps, №11.

9. რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის ფრაგმენტი (1793 წლის 2 სექტემბერი)



რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის ფრაგმენტი (1793 წ.). საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ამ რუკის მიხედვით აზოვის ზღვის სანაპირომდე, კერძოდ ქ.ფანაგორიამდე (კაფასთან) აღწევს. მასზე დაფიქსირებულია: Грузія და მასში შემავალი Имеретия, Менгрелия; ამ უკანასკნელში იგულისხმება აფხაზეთიც, რომელიც არც არის აღნიშნული. რუკა გამოქვეყნებულია: Я. Яцунский. Историческая география-История ее возникновения и развития в XIV-XVIII вв. М., 1955); Б.Гогия. Абхазия..., გვ.73.

XI.2. კულტურის ძეგლები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხა აფხაზეთის ტერიტორიაზე				
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით				
№	ძეგლის დასახელება	აგების თარიღი	ძეგლის მდებარეობა	ძეგლის კატეგორია
გაგრის მუნიციპალიტეტი				
1	ეკლესია-მონასტერი	ადრე შუა საუკუნეები	სოფ. სულევო	
2	ბერძნული ეკლესია	XIX ს.	დაბა განთიადი	
3	განთიადის ბაზილიკა	VII ს.	დაბა განთიადი	ეროვნული
4	ეკლესია	ადრე შუა საუკ.	დაბა განთიადი	
5	კომპლექსი ბიჭვინთა	X-XII სს.	დაბა ბიჭვინთა	
6	ტაძარი გუმბათიანი	X ს.	დაბა ბიჭვინთა	ეროვნული
7	ეკლესია	შუა საუკუნეები	დაბა ბიჭვინთა	ეროვნული
8	ეკლესია მცირე	შუა საუკუნეები	დაბა ბიჭვინთა	ეროვნული
9	ეკლესიის ნანგრევები	შუა საუკუნეები	დაბა ბიჭვინთა	ეროვნული
10	სამონასტრო ნაგებობანი	შუა საუკუნეები	დაბა ბიჭვინთა	ეროვნული
11	ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევები		დაბა ბზიფი	
12	ბზიფის ტაძარი და ციხე	VIII-X სს.	დაბა ბზიფი	
13	სამაფსიდიანი ეკლესია	ადრე შუა საუკუნეები	სოფ. ალახაძი	
14	ეკლესიის ნანგრევი	შუა საუკუნეები	ქ. გაგრა, დასახ. ლიძავა-ტევრი	
15	კოშკი	შუა საუკუნეები	ქ. გაგრა, ოქტომბრის ქ. №18 სახლის ეზოში	
16	ეკლესიის ნანგრევი	შუა საუკუნეები	ქ. გაგრა, გაგრიფშის ხეობა	

17	ბერძნული ეკლესია	XIX-XX სს.	ქ. გაგრა, ალპური გზის მე-6 კმ.	
18	წმ. ევპატოხოსის გამოქვაბული	შუა საუკუნეები	ქ. გაგრა, ციხევერას ხეობა	
19	ეკლესია ბაზილიკური	VI-VII სს.	ქ. გაგრა	ეროვნული
20	გაგრის ცენტრალური პარკი		ქ. გაგრა	
21	გაგრის ციტრუსების მეურნეობის ძველი ბაღი		ქ. გაგრა	
გუდაუთის მუნიციპალიტეტი				
22	ეკლესია	განვით. შუა საუკუნეები	სოფ. ხოფი, ჩრდ-დასავლეთით 3 კმ.	
23	ეკლესია	გვიანი შუა საკუ.	სოფ. ყულანურხვა	
24	ტაძარი გუმბათიანი	X-XI სს.	სოფ. ფსირცხა, მიდამოები	
25	ბაზილიკა სიმონ კანანელისა	X-XI სს.	სოფ. ფსირცხა, მიდამოები	
26	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. ფსირცხა, მიდამოები	
27	ციხე	XIV-XV სს.	სოფ. ფსირცხა, მიდამოები	
28	სხვა ნაგებობანი	შუა საუკუნეები	სოფ. ფსირცხა, მიდამოები	
29	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. ოთხარა	
30	დოღმენები	ძვ.წ. II ათასწ. I ნახევარი	სოფ. ოთხარა	
31	გუმბათიანი ტაძარი	X-XI სს.	სოფ. ლიხნი	ეროვნული
32	შერვაშიძის სასახლე	X-XI და XIX სს.	სოფ. ლიხნი	ეროვნული
33	სხვა ნაგებობანი	XIX ს.	სოფ. ლიხნი	ეროვნული
34	ეკლესია «აბა-ათა»	განვით. შუა საუკ.	სოფ. ლიხნი, დასავლეთ განაპირას	ეროვნული
35	გალავანი	შუა საუკუნეები	სოფ. კალაღვარა	ეროვნული
36	კოშკები	შუა საუკუნეები	სოფ. კალაღვარა	ეროვნული
37	ტაძარი	შუა საუკუნეები	სოფ. კალაღვარა	ეროვნული
38	სხვა ნაგებობანი	შუა საუკუნეები	სოფ. კალაღვარა	ეროვნული

39	ციხე «ჰასან-თაბა»	შუა საუკუნეები	სოფ. კალაბევარა, მდ. ბზიფის ხეობა	
40	სტელა არაბული წარწერით	გვიანი შუა საუკ.	სოფ. კალაბევარა, სკოლა-ინტერნატის მუზეუმი	
41	ეკლესია	განვით. შუა საუკ.	სოფ. ზვანდრიფში, ადგილი აფსარხუ»	
42	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. დურიფში, მდ. ხიფსას ხეობა	
43	გამოქვაბული (სახიზარი)	შუა საუკუნეები	სოფ. ბარმიში, საკალმახე მეურნეობასთან	
44	ეკლესია «სერი ბაბა»	განვით. შუა საუკ.	სოფ. ბამბორა, ზღვისპირას	
45	დოლმენები	ძვ.წ. II ათასწ.-I ნახ.	სოფ. აჭანდარა, თეიმურაზ ივანეს ძე შამუგიას საკარმიდამო ნაკვეთი	ეროვნული
46	სვიმონ კანანელის გამოქვაბული	ადრეული შუა საუკ.	სოფ. ანუხვა, სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას	
47	ეკლესია	განვით. შუა საუკ.	სოფ. ანუხვა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში	
48	ბერების საცხ. სახლი	XIX ს.	სოფ. ანუხვა, სოფ. ცენტრი	
49	ეკლესია	VIII-IX სს.	სოფ. აბლარქუხი. აღმოსავლეთით ნაწილი ამბარა	
50	სასახლე	X ს.	სოფ. აბლარქუხი. აღმოსავლეთით ნაწილი ამბარა	
51	გალავანი	შუა საუკუნეები	სოფ. აბლარქუხი. აღმოსავლეთით ნაწილი ამბარა	
52	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. აბლარხუქი «მუშების ადგილი»	

53	ქვედა ციხე	განვით. შუა საუკ.	ქ. ახალი ათონი ივერიის (აფსარის) მთა	ეროვნული
54	ზედა ციხე	განვით. შუა საუკ.	ქ. ახალი ათონი ივერიის (აფსარის) მთა	ეროვნული
55	ეკლესია	VIII-IX სს. გადაკ. XIX ს.	ქ. ახალი ათონი ივერიის (აფსარის) მთა	ეროვნული
56	სხვა ნაგებობანი	განვით. შუა საუკ.	ქ. ახალი ათონი ივერიის (აფსარის) მთა	ეროვნული
57	კოშკი	განვით. შუა საუკ.	ქ. ახალი ათონი, სანაპირო	
58	წმ. პანტელეიმონის მონასტერი	XIX ს. II ნახ.	ქ. ახალი ათონი	
59	სვიმონ კანანელის ეკლესია	IX-X სს., გადაკ. XIX ს. II ნახევარში	ქ. ახალი ათონი	ეროვნული
60	ახალი ათონის პარკი		ქ. ახალი ათონი	
61	ტაძარი გუმბათიანი	VI-VII სს.	სოფ. დრანდა	ეროვნული
62	ეკლესია	შუა საუკუნეები	სოფ. ბაბუშარა	
63	გულრიფშის ბაღი		დაბა გულრიფში	
ორამჩირის მუნიციპალიტეტი				
64	ადაგუას მთის ეკლესია	შუა საუკუნეები	სოფ. ჯგერდა	
65	ტაძარი	X ს.	სოფ. მოქვი, მიდამოები	ეროვნული
66	სამრეკლო	გვიანი შუა საუკ.	სოფ. მოქვი, მიდამოები	ეროვნული
67	ერთნავიანი ეკლესია	XI ს.	სოფ. ილორი	ეროვნული
68	სამრეკლო	გვიანი შუა საუკ.	სოფ. ილორი	ეროვნული
69	გალავანი	გვიანი შუა საუკ.	სოფ. ილორი	ეროვნული
70	ეკლესია მარმალაბაა	გვიანი შუა საუკუნეები	სოფ. აძიუბუა, მიდამოები	
71	ტაძარი გუმბათიანი	X-XIII სს.	სოფ. აგუბედია, მიდამოები	ეროვნული

72	სამრეკლო	XIII-XIV სს.	სოფ. აგუბედია, მიდამოები	ეროვნული
73	სასახლე	შუა საუკუნეები	სოფ. აგუბედია, მიდამოები	ეროვნული
74	სხვა ნაგებობანი	შუა საუკუნეები	სოფ. აგუბედია, მიდამოები	ეროვნული
75	ციხე-სიმაგრე „აბააჟ“	შუა საუკუნეები	სოფ. კვიტოული	
76	ძველი გალავანი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების ნაშთები	შუა საუკუნეები	სოფ. კვიტოული	
77	წყალსადენი	შუა საუკუნეები	სოფ. კვიტოული	
78	ციხე-სიმაგრე	შუა საუკუნეები	სოფ. კვიტოული	
79	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. ჯგერდა	
80	სასახლე	შუა საუკუნეები	სოფ. ჯგერდა	
81	გუფის ეკლესია	შუა საუკუნეები	სოფ. ჯგერდა	
82	ციხე-სიმაგრე	შუა საუკუნეები	სოფ. ჯგერდა	
83	ეკლესია	შუა საუკუნეები	სოფ. ჯგერდა	
84	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. ფოქვეში	
85	ეკლესია	შუა საუკუნეები	სოფ. ფოქვეში	
86	ეკლესია „აბაა“	შუა საუკუნეები	სოფ. ფოქვეში	
87	ციხე „ბიჭიაქვაც“	შუა საუკუნეები	სოფ. ფოქვეში	
88	ეკლესია	XIX ს.	სოფ. ბესლახუბა	
89	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. ახუნა	
სოხუმის მუნიციპალიტეტი				
90	ღვთისმშობლის ნაეკლესიარი	შუა საუკუნეები	სოფ. ქვემო ბირცხა	
91	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. ფსხე	
92	წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	XX ს.	სოფ. პავლოვსკოე	
93	ღვთისმშობლის ნაეკლესიარი	შუა საუკუნეები	სოფ. ოდიში	

94	ნმ. ილიას ეკლესია	XX ს.	სოფ. ნახშირა	
95	ნმ. პანაიას ნაეკლესიარი	შუა საუკუნეები	სოფ. ნახშირა	
96	ფერიცვალების სახელობის ეკლესია	XIX ს.	სოფ. მთისკალთა	
97	ეკლესიის ნანგრევები	XIX_XX სს.	სოფ. მთისკალთა	
98	ეკლესია	XIX_XX სს.	სოფ. კელასური	
99	ციხედარბაზი	შუა საუკუნეები	სოფ. კამანი, აღმოსავლეთით	
100	იოანე ოქროპირის ეკლესია	ადრე შუა საუკუნეები	სოფ. კამანი	
101	ეკლესიის ნანგრევი	ადრე შუა საუკუნეები	სოფ. ზემო იაშთხვა	
102	ეკლესია	XIX ს.	სოფ. ზემო ეშერა	
103	ნმ. დემეტრეს ეკლესია	XX ს.	სოფ. ზემო ბირცხა	
104	ციხედარბაზი	შუა საუკუნეები	სოფ. გუმისთა	
105	ციხის ნანგრევი	შუა საუკუნეები	სოფ. გუმისთა	
106	ციხის ნანგრევი	შუა საუკუნეები	სოფ. გუმა, ჩრდ- ით	
107	ნმ. გიორგის ეკლესია	XIX ს.	სოფ. ბესლეთი	
108	ეკლესია	განვით. შუა საუკუნეები	სოფ. ბესლეთი, სასაფლაოზე	
109	ნმ. თევდორეს ეკლესია	ადრე შუა საუკუნეები	სოფ. ახალშენი	
110	ციხის ნანგრევი	შუა საუკუნეები	სოფ. ახალშენი	
111	სალოცავი „იოანე ნათლისმცემლის თავი“	გვიანი შუა საუკუნეები	სოფ. ახალშენი	
112	ნმ. გიორგის ეკლესია	XX ს.	სოფ. აჩანდარა	
113	ნმ. ელიას სახელობის ეკლესია	1910 წ.	სოფ. ამზარა	
114	სოხუმის სინაგოგა	XX ს.	ქ. სოხუმი	
115	დიოსკურიას ციხე	ჩვ.წ. აღ II ს.	ქ. სოხუმი	ეროვნული

116	ბესლეთის ხიდი	XII-XIII სს.	ქ. სოხუმი, მიდამოები	ეროვნული
117	საკათედრო ტაძარი	1915 წელი	ქ. სოხუმი	
გალის მუნიციპალიტეტი				
118	ეკლესია	XIX ს.	სოფ. ჩხორთოლი	
119	ეკლესია	XIX ს.	სოფ. ოქუმი	
120	ნათლისღების ეკლესია	XIX ს.	სოფ. წარჩე	
121	ეკლესია	XIX ს.	სოფ. ლუმურიში	
122	წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	XIX ს.	სოფ. ჭუბურხინჯი	

XI. 3. რეკომენდებული ლიტერატურა

აფხაზეთი, საქართველო: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. ჯემალ გამახარია, თამარ ჯაფარიძე, დაზმირ ჯოჯუა. თბილისი, 2017. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/250997>

ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო, I. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბილისი, 2005.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბილისი, 2014 (ქართულ და რუსულ ენებზე). <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/57288>

ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი, 1991.

ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005.

თეიმურაზ გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. თბილისი, 2008. <https://mokvi.files.wordpress.com/2013/04/e>

თეიმურაზ გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი, 2011. <https://mokvi.files.wordpress.com/2014/02/e>

თამაზ დიასამიძე. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რადაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

ანზორ თოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა. თბილისი, 1995.

კახა კვაშილავა. ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. თბილისი, 2011. <http://abkhazovedenie.com/files/eBooks/21/>

ნატო მარშანია. ქედუხრელი რაინდი [არზაყან ემუხვარი]. თბილისი, 2012. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3903>

ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. ჯემალ გამახარია, თეიმურაზ გვანცელაძე, ლია ახალაძე, ბადრი გოგია, კობა ოკუჯავა, ბეჟან ხორავა, დაზმირ ჯოჯუა... თბილისი, 2007. <https://www.scribd.com/document/45888958>

კობა ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბილისი, 2002.

ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. თბილისი, 2004. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29913>

ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II. თბილისი, 2007. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29915>

ქართული პერიოდული პრესის მასალები. 1900-1921 წწ. (აფხაზეთი – რელიგია, განათლება, კულტურა). შემდგენელ-რედაქტორი ირაკლი გელენავა. თბილისი, 2014.

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/46885>

დავით ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო. თბილისი, 2006.

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. თბილისი, 2006 (ქართულ და რუსულ ენებზე). <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11523>

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. თბილისი, 2007 (ქართულ და რუსულ ენებზე). <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11526>

წმინდა მღვდელმონაშე კირიონ II (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი. თბილისი, 2006 (ქართულ და რუსულ ენებზე). <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11504>

წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი. თბილისი, 2006 (ქართულ და რუსულ ენებზე) <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11528>

ბეჟან ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV – XVIII საუკუნეებში. თბილისი, 1996.

ბეჟან ხორავა. აფხაზეთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბილისი, 2004.

www.nplg.gov.ge/dspace/handle/1234/4577

ნინო ჯაველიძე. აფხაზეთი და აფხაზნი. თბილისი, 2016.

დაზმირ ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი, 2007.

Essays from the History of Georgia. Abkazia from ancient times till the present days (Jemal Gamakharia, Teimuraz Gvantseladze, lia Akhaladze, Irakli Gelenava, Dazmir Jojua, Bejan khorava...).Tbilisi, 2011. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/10253>

International society to bring a verdict on the tragedy of Abkhazia/ Georgia. Tbilisi, 2015. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/117908>

Лия Ахаладзе. Памятники материальной культуры Абхазии (Часть I _ XVI).

http://rus.expertclub.ge/portal/cnid__9120/alias__Expertclub/lang__ru/tabid__2546/default.aspx

Хухути Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Тбилиси, 1967.

http://apsnyteka.org/file/Bgazhba_Iz_istorii_pismennosti_v_Abkhazii.pdf

Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до наших дней. Тбилиси, 1997. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/38375>

Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982.

Тамаз Диасамидзе. Региональные конфликты в Грузии: в Южной Осетии и Абхазской АССР (1989-2001). Сборник политико-правовых актов. Тбилиси, 2002.

Анатолий Качия. Илори (памятник XI века). Сухуми, 1963.

Материалы посольств Гавриила Гегенава, Федота Елчина и Павла Захарьева 1636-1640 годы. Тбилиси, 2014. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/57288>

Автандил Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси, 1998.

Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней (Джемал Гамахария, Тамаз Берадзе, Теймураз Гванцеладзе, Лия Ахаладзе, Ираклий Геленава, Дазмир Джоджуа, Бежан Хорава ...). Тбилиси, 2009. <http://dspace.nplg.gov.ge/han>

dle/1234/6651

Зураб Папаскири. Абхазия: История без фальсификации. Тбилиси, 2010. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29865>

Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тбилиси, 1999.

Трагедия Абхазии, Грузия, на суд Российской общественности. Джемал Гамахария, Тамар Джапаридзе, Дазмир Джоджуа. Тбилиси, 2016. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/180785>

Светлана Червонная. Абхазия, 1992: Посткоммунистическая вандея Грузии. Москва, 1993.

Бежан Хорава. Мухаджирство абхазов 1867 года. Тбилиси, 2013. <http://abkhazovedenie.com/ru/history?product=117>

გამოცემულია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის
სამინისტროსთან არსებული მეცნიერთა დახმარების
ფონდის ხელშეწყობით.

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com



Capetria

ISBN 978-9941-25-542-7



9 789941 255427

TV